

გ. ახვლედიანი

ზოგადი ფონეტიკის  
საფუძვლები



სტალინის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

---

**ქვირუზასი მასწავლებლის**  
ვინც ჩამინერგა ფონეტიკის სიყვარული  
აკადემიკოს  
**ლევ შერბას ნათელ ხსოვნას**  
და  
**ქვირუზას მასწავლებელს**  
ვინც მასწავლა მეცნიერებისათვის თავდადება  
ლატვიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნაიჯილ ნურს  
**ივანე ენძელინს**

ვაზენა ამ ნიგნს

---

**СВЕТЛОЙ ПАМЯТИ ДОРОГОГО УЧИТЕЛЯ**  
внушившего мне любовь к фонетике  
академика  
**ЛЬВА ВЛАДИМИРОВИЧА ЩЕРБЫ**  
и  
**ДОРОГОМУ УЧИТЕЛЮ**  
воспитавшему меня в преданности науке  
действительному члену Академии наук  
ССР Латвии  
**ИВАНУ МАРТЫНОВИЧУ ЭНДЗЕЛИНУ**

посвящаю эту книгу

# ს ა რ ჩ ე ვ ი

ზინაბიტიყვარობა . . .

87-  
XI—XIV

## ნაწილი პირველი

### ზოგადი ფონეტიკის შემსავალი

შუხავალი: ზოგადი ფონეტიკის საგანი და მეთოდები . . .

3—11

## თავი პირველი

ზოგადი ფონეტიკის საბუნებისმეტყველო საფუძვლები

12—54

I. ფონეტიკური ანატომია - ფიზიოლოგია

A. საწარმოთქმო ორგანოების აღწერილობა

12

B. საწარმოთქმო ორგანოების მოქმედება

23

II. ფონეტიკური აკუსტიკა

48

## თავი მეორე

III. ბგერათა კლასიფიკაცია

55—93

I. ბგერათა კლასიფიკაციის საფუძვლები

1. სამეტყველო ბგერათა მყდრობა-სიყრუე

56

2. მყდრობის ბარისხი

58

3. სამეტყველო ბგერათა სონორობა . . .

60

4. ხმოვანი, თანხმოვანი, „ნახევარხმოვანი“ .

62

II. ხმოვანთა კლასიფიკაციის საფუძვლები

1. ხმოვანთა სამი რიგი . . . . . 65

2. ხმოვანთა აწეულობის სამი საფეხური . . . . . 67

3—5. ხმოვანთა დაკომპლექსობა, ნახალიზაცია და ლაბიალიზაცია . . 68

6. ქართული ენის ხმოვანთა სამკუთხედი 71

7. ხმოვანთა ზოგადი კლასიფიკაცია . 72

III. თანხმოვანთა კლასიფიკაციის საფუძვლები

1. თანხმოვანთა სუნთქვერი და უსუნთქველი წარმოება 76

2. ასპირაცია და ასპირატები . . . . . 78

3. ხმულ თანხმოვანთა წყვილულებრივი, სამეულულებრივი და ოთხე-  
ულულებრივი სისტემები . . . . . 80

4—6. თანხმოვანთა ნაპარალელობა. აფრიკატები და ფარინგალური  
თანხმოვნები . . . . . 82

(ქართულ თანხმოვანთა ცხრილი) . . . . . 87

7. ქართული ენის თანხმოვანთა კლასიფიკაცია	85
8. თანხმოვანთა ზოგადი კლასიფიკაცია . . .	99

**თავი მესამე**

<b>ბგერათმშენებრივი</b>	94—128
1. ბგერათმშენებრთა საერთოდ. კლასიფიკაცია	94
2. გარდამავალი ბგერა . . . . .	96
3. ბგერათმშენებრთა და ბგერათმშენებრთა . . . . .	98
4. ბგერათმშენებრთა წესები . . . . .	99
5. კლასიფიკაციის ზოგადი სახე	109
6. ბგერათმშენებრთა . . . . .	116

**თავი მეოთხე**

<b>ბგერათმშენებრთა ანუ ბგერათმშენებრთა სინტაქსი-სემანტიკა</b>	121—128
1. აბსოლუტური და რელატიური ბგერათმშენებრთა . . . . .	121
2—3. ბგერათმშენებრთა სინტაქსი-სემანტიკა და ამის ფონეტიკური ფაქტორები . . . . .	123
4. ისტორიული ბგერათმშენებრთა	124

**თავი მესამე**

<b>მანერა . . . . .</b>	127—141
1. დინამიკური მანერა და მუსიკალური მანერა . . . . .	127
2. ლოგიკურ-ფონეტიკური მანერა და ლინგვისტიკური მანერა . . . . .	128
3. მარცვალთა, სიტყვათა და შესიტყვების მანერა . . . . .	129

**თავი მესამე**

<b>მარცვალთა . . . . .</b>	142—152
1. პრაქტიკული დამარცვალთა და ფონეტიკური მარცვალთა . . . . .	142
2. მარცვალთა, როგორც წარმოთქმის უმცირესი ბუნებრივი ელემენტი . . . . .	144
3. მარცვალთა წარმოთქმის ფონეტიკური ფაქტორები . . . . .	145
4. მარცვალთა შედგენილობის საკითხი . . . . .	147
5. მარცვალთა სახეობები . . . . .	149

**თავი მეხუთე**

<b>რუსული ენის ბგერათმშენებრთა მარცვალთა სახეობები</b>	153—163
1. რუსული ბგერათმშენებრთა და რუსული მანერა . . . . .	153
2. რუსული და ქართული ენის ბგერათმშენებრთა ურთიერთშეპირისპირება . . . . .	154
1. რუსულში ერთი ასო ზოგჯერ გამოხატავს რამდენიმე ბგერას . . . . .	155
2. მაგარი და რბილი თანხმოვანები რუსულში . . . . .	
3. რუსულში რამდენიმე ასო ზოგჯერ გამოხატავს ერთსა და იმავე ბგერას . . . . .	156
4. ზ და ზ ნიშნები რუსულ ორთოგრაფიაში . . . . .	

	83
5. რუსულისა და ქართულის ბგერები, რომლებსაც ანბანში არა აქვთ ასოები . . . . .	158
6. მახვილის გავლენა ხმოვნებზე რუსულში . . . . .	159
7—8. რუსულისა და ქართულის თანხმოვანთა და ხმოვანთა სისტემების ერთმანეთთან შეპირისპირება . . . . .	159

### თავი მერვე

ცანეტყვილო ბგერა და წერა . . . . .	164—183
1—2. ასო, ბგერა და ანბანი . . . . .	164
3. წერის წარმოშობისა და განვითარების შესახებ . . . . .	166
4. დამწერლობისა და წარმოთქმის ურთიერთობა სალიტერატურო ენაში . . . . .	171
5. ტრანსკრიფცია და ტრანსლიტერაცია . . . . .	175
6. ანბანი სინთეტიკური და ანალიტიკური . . . . .	178
7. ფონეტიკური წერის ალფაბეტური და ანალფაბეტური სისტემები . . . . .	180

### თავი მესამე

ენის ფონეტიკური ცვალებადობა . . . . .	184—236
1. წინასწარი შენიშვნები . . . . .	184
2—3. ენის ფონეტიკური სისტემა და მისი ცვალებადობა . . . . .	187
4. ბგერათცვლილებათა სახეები სიტყვაში . . . . .	192
ასიმილაცია . . . . .	193
დისიმილაცია . . . . .	200
მეტათეზისი . . . . .	204
ბგერათმონაცვლეობა . . . . .	207
ბგერათრედუქცია . . . . .	211
თანხმოვანთგადაწევა . . . . .	216
ფონეტიკური მოვლენები და ფონეტიკური ცვლილებები . . . . .	219
ბგერითი ანალოგია . . . . .	231
ზოგიერთი უცხოური ფონეტიკური ტერმინი . . . . .	234

### თავი მათე

ზგერათცვალებადობის კანონზომიერება და „ფონეტიკური კანონი“ . . . . .	237—255
1. შედარებითი ნეთოდი . . . . .	237
2. ფონეტიკური კანონი . . . . .	241
ფონეტიკური ანალოგიის მოქმედება . . . . .	243
სხვა ფონეტიკური კანონის ჩარევა . . . . .	245
უცხოური ენიდან ლექსიკის ნასესიებობა . . . . .	246
3. ფონეტიკური კანონის მოქმედების პირობები . . . . .	249
ბგერათცვლილება არაცნობიერია . . . . .	250
ფონეტიკური კანონის შეზღუდულობა დროითა და ადგილით . . . . .	250
4. ბგერათცვალებადობის ფაქტორების შესახებ . . . . .	252

# ნანილი ბოკა

## ზოგადი ფონეტიკის ზოგიერთი პრობლემა

I. ფონოლოგიის რამდენიმე საკითხი . . . . .	259
II. ბგერათმონაცვლეობის ზოგიერთი საკითხი ქართულში . . . . .	292
III. მარმონიულ ხშულთა ორი ხისტემა ქართულ ენაში . . . . .	301
IV. ქართულის ხშულთა მეექვსე სახეული (ფარინგალები) . . . . .	308
V. ხამეტყველო ბგერათა ტემბრის საკითხისათვის . . . . .	323
VI. თანხმოვანთა მჟღერობის ხარისხის დადგენის მეთოდი . . . . .	330
VII. თანხმოვანთა აქცესიური კომპლექსების სუპერაციის საკითხისათვის . . . . .	
1. თანხმოვანთა აქცესიური კომპლექსების საკითხისათვის ქართულში . . . . .	334
2. თანხმოვანთა აქცესიური კომპლექსების სუპერაციის საკითხისათვის ძველ ფრანგულში . . . . .	339
3. გრძელი ხმოვანი *-it- < *-xt-“ს წინ ძველ ისლანდიურში . . . . .	342
4. უკანაენისმიერ ხშულთა რეგრესულ-დისიმილაციური დაკარგვა ქართულში . . . . .	344
5. თანხმოვანთა აქცესიური კომპლექსების სუპერაციის მეშვიდე შესაძლებლობა . . . . .	349
VIII. ყრუ mediae ქართულში . . . . .	353
IX. ზ ბგერის მეტათეზისი ქართულში . . . . .	358
X. აბრუპტივები ანუ მკვეთრი ხშულები ქართულში . . . . .	361
XI. შენიშვნები ქართულ თანხმოვანთა განდახებისათვის . . . . .	374
XII. ხშულთა დისიმილაციური გამჟღერების საკითხისათვის . . . . .	378
ხშულთა დისიმილაციური გამჟღერება ოსურ ენაში . . . . .	379
ხშულთა დისიმილაციური გამჟღერება სვანურ ენაში . . . . .	383
XIII. ხმოვნისა და თანხმოვნის ერთმანეთისაგან განსხვავების საკითხისათვის . . . . .	388
XIV. დიალექტთა შერევის ორი ნიმუში . . . . .	393
XV. აფხაზურის თანხმოვან ფონემათა კლასიფიკაცია . . . . .	398
XVI. ფონეტიკა და ლოგოპედია . . . . .	
1. ფონეტიკისა და ლოგოპედიის საგანი . . . . .	404
2. დეფექტური მეტყველების სამი სახე და ფონეტიკა . . . . .	409
3. პარალელიზმი ისტორიულ ბგერათცვლილებებსა და დისლალიურ დარღვევათა შორის . . . . .	411
4. ლატერატების პრობლემა ლოგოპედიური გაშუქებით . . . . .	412
საძიებლები:	
ა. საგნობრივი . . . . .	421
ბ. მოხსენიებულ პირთა . . . . .	436

## წინასიტყვაობა

წინამდებარე შრომა „ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები“ შედგება ორი ნაწილისაგან: პირველი ნაწილი — ზოგადი ფონეტიკის შესავალი — ივარაუდება ზოგადი ფონეტიკის კურსის სახელმძღვანელოდ უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთათვის. მეორე ნაწილი — ზოგადი ფონეტიკის ზოგიერთი პრობლემა — შეიცავს მეტწილად ზოგადფონეტიკური საკითხების განხილვას — საკითხებისა, რომელთაგან უმრავლესი პირველადაა დასმული ავტორის მიერ ჩვენს მეცნიერებაში და განხილულია მეტწილად ქართულ-ქართველურ და მთის კავკასიურ ენათა მასალაზე; ზოგიერთი მათგანი, რომელთა შესახებ წინათაც ყოფილა მსჯელობა ფონეტიკურ ღებრატურაში, ავტორის მიერ განხილულია მეტწილად იმავე მასალაზე და უმთავრესად ახალი გაშუქებით.

პირველთა რიცხვს ეკუთვნის: III — ქარმონიულ ხშულთა ორი სისტემა ქართულში, IV — ქართულის ხშულთა მეექვსე სამეული, VII — თანხმოვანთა აქცესიური კომპლექსების სუპერაციის საკითხისათვის, VIII — ყრუ mediae ქართულში, X — აბრუპტივები ახუ მკვლერი ხშულები ქართულში, XII — ხშულთა დისიმილაციური გამჟღერების საკითხისათვის, XIII — ხმოვანთა და თანხმოვანთა ერთმანეთისაგან განსხვავების საკითხისათვის, XVI — ფონეტიკა და ლოგოპედია.

ახალი გაშუქებითაა წარმოდგენილი საკითხები ბგერათმონაცემლობისა ქართულში (II), ვ-ს გადასმისა (IX), დიალექტთა შერევისა (XIV) და აფხაზური ენის თანხმოვან ფონემათა კლასიფიკაციისა (XV).

„საფუძვლების“ მეორე ნაწილის დანარჩენ ოთხ სტატიაში (I, V, VI და XI) ავტორი არ ფიქრობს, რომ მან პირველად დააყენა ან ახლებურად გააშუქა მათში განხილული საკითხები. სტატიაში „ფონოლოგიის რამდენიმე საკითხი“ (I) მოცემულია ზოგადი წარმოდგენა საბჭოური ფონოლოგიის შესახებ, რომელიც გამომდინარეობს იმ დებულებიდან, რომ ფონემა, როგორც „საზოგადოებრივად დამუშავებული ბგერა“ (ნ. მარი. იხ. ქვემოთ, გვ. 2რმ), წარმოდგენს აკუსტიკურ-ფიზიოლოგიურ მოცემულობას, არსებულს მეტყველებაში მხოლოდ სიტყვის მნიშვნელობასთან ერთიანობაში. ახალია მასში დამუშავება

საკითხებისა: 1) ქართული ენის ფონემობრივი შედგენილობის, 2) ფონემათა პოზიციური განაწილებისა და 3) მათ ცვლილებათა შესახებ. სტატიები V და VI—„სამეტყველო ბგერათა ტემბრის საკითხისათვის“ და „თანხმოვანთა მკლერობის ხარისხის დადგენის მეთოდი“—წარმოადგენს წიგნის პირველი ნაწილის შესატყვისი პარაგრაფების (გვ. 52 და 53) უფრო გაშლილად გადმოცემას, ხოლო XI—„შენიშვნები ქართულ თანხმოვანთა განდასებისათვის“—ქართული თანხმოვნების შესახებ პროფ. ე. პოლივანოვის სტატიის კრიტიკულ განხილვას.

ჩამოთვლილ შრომათაგან ზოგი გამოქვეყნებულია, სტატიების სახით, ადრე—სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ჟურნალში ქართულად და რუსულად. ისინი აქ იბეჭდება მეტ-ნაკლები ცვლილებებით.

თავის „საფუძვლებში“ ავტორი ცდილობდა განეხილა ზოგადი ფონეტიკის საკითხები საბჭოური ენათმეცნიერების თვალსაზრისით და აცხადებდა მასში.— რამდენადაც ამის ნებას იძლეოდა ამ წიგნის დანიშნულება და მოცულობა, — თანამედროვე მდგომარეობა და უახლესი მიღწევანი საბჭოური ენათმეცნიერებისა ზოგადი ფონეტიკის დარგში და კერძოდ, ჩვენთან უმთავრესად, ზემოდასახელებულ ენათა შესწავლის შედეგად.

„საფუძვლების“ მომდევნო გამოცემისას ავტორს აზრად აქვს გასიყოს მეორე ნაწილი ცალკე წიგნად და საგრძნობლად შეავსოს იგი როგორც წინამდებარე გამოცემისათვის ნაუარაუდვეი შრომებით (მაგ., ნარკვევით ექსპერიმენტული ფონეტიკის შესახებ, რომელიც წარმოდგენილია ამ წიგნში მხოლოდ ადგილ-ადგილ), ისე იმ შრომებით, რომლებსაც იგი ამთავრებს უახლოეს ხანში.



წიგნის რედაქტორი პროფ. ს. მ. ყლენტი დაეხმარა ავტორს ბეჭდვის დროს რამდენიმე მნიშვნელოვანი შენიშვნით. ასპ. გ. შალამბერიძე ყურადღებით ასწორებდა კორექტურას და, თ. აბზიანიძესთან ერთად, შეადგინა საძიებლები.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯანმრთელობის კოლექტივმა, ვ. მიქაძის ხელმძღვანელობით, დიდი ვულობადგინებით გაათორმა ასეთი პოლიგრაფიულად ძნელი წიგნი.

ავტორი



# Предисловие

Предлежащий труд „Основы общей фонетики“ состоит из двух частей: первая часть — Введение в общую фонетику — предназначена для студентов филологического факультета Университета в качестве руководства по курсу Общей фонетики. Вторая — Некоторые проблемы общей фонетики — содержит в себе обсуждение ряда, преимущественно, общefonетических вопросов; большинство из них поставлено автором впервые в нашей науке и рассмотрено им на материале, главным образом, грузинско-картвельских и горских кавказских языков; некоторые же из них, трактовавшиеся в фонетической литературе и прежде, рассматриваются автором, главным образом, всё на том же материале и, по большей части, в новом освещении.

К числу первых относятся: III — Две системы гармонических смычных в грузинском, IV — Шестая тройка смычных в грузинском, VII — К вопросу о суперация акцессивных комплексов согласных, VIII — Глухие mediae в грузинском, X — Абруштивы или смычно-гор-танные в грузинском, XII — К вопросу о диссимиллятивном озвончении смычных, XIII — К вопросу о различии между гласным и согласным, XVI — Фонетика и логопедия.

В новом освещении представлены вопросы чередования звуков в грузинском (II), перестановки *з v* (IX), смешения диалектов (XIV) и классификации согласных фонем абхазского языка (XV).

В остальных четырех статьях (I, V, VI и XI) второй части „Основ“ автор не претендует на новизну ни постановки, ни освещения рассматриваемых в них вопросов. Статья I — Несколько вопросов фонологии — дает общее представление о советской фонологии, исходящей из положения, что фонема, как „общественно отработанный звук“ (Н. Марр. См. ниже, стр. 268), представляет собой акустико-физиологическую данность, существующую в речи лишь в единстве с значением слова. Новым в ней является изучение вопросов 1) фонематического состава, 2) позиционного распределения фонем и 3) их

изменений в груз. языке. Статьи V и VI—IX вопросу о тембре речевых звуков и Метод установления степеней звонкости согласных — представляют собой лишь более развёрнутое изложение соответствующих параграфов первой части книги (стр. 52 и 58), а XI — Заметки о классификации груз. согласных — критическое рассмотрение статьи проф. Ю. Поливанова о грузинских согласных.

Из перечисленных работ некоторые опубликованы автором, в виде статей, раньше — одновременно и в разных журналах на грузинском и русском языках. Здесь печатаются они в более или менее изменённом виде.

В своих „Основах“ автор старался рассматривать вопросы общей фонетики с точки зрения советского языковедения и отразить в них, — насколько ему позволил изначальное и объём книги, — современное состояние и новейшие достижения советского языковедения в области общей фонетики, в частности, у нас — в результате изучения, главным образом, названных выше языков.

При следующем издании „Оснoв“ автор предполагает выделить вгoрyю часть в отдельную книгу, значительно пополнив ее как работами, предназначавшимися для этого издания (напр., очерком экспериментальной фонетики, представленной в данной книге лишь местами), так и работами, заглаживаемыми им в ближайшее время.

---

Редактор книги проф. С. М. Жгенти помог автору в процессе её печатания рядом важных замечаний. Асп. Г. Шаламберидзе внимательно просматривал корректуру и, вместе с Т. Абзианцдзе, составили указатели.

Коллектив издательства Тбилисского госуд. университета имени Сталина, под руководством В. Микадзе, с большой старательностью оформил столь полиграфически трудную книгу.

23/X—49 г.

АВТОР

**ნანილი პირველი**

**ზოგადი უმნებოქის  
შესავალი**



## ფონეტიკის საგანი და მეთოდები

ფონეტიკა ენათმეცნიერების ერთი დარგია და სწავლობს ადამიანის სამეტყველო ბგერებს, ე. ი. ისეთ ბგერებს, რომლებიც ადამიანს გამოყენებული აქვს თავის მეტყველებაში.

უსასრულოდ მრავალგვარი ბგერის აღქმა შეუძლია ადამიანს. მათგან ზოგს გამოსცემს ხოლმე არაცოცხალი საგანი (შრიალი, კრიალი, ჩუხჩუხი, წკარუნი, რახუნი და მრავალი სხვა), ზოგს — ცოცხალი არსება (კივილი, წივილი, ყვირილი, წრიპინი, ყეფა, ზმუილი, კიხვინი და მრავალი სხვა). პირველი რიგის ბგერებს შეგვიძლია ვუწოდოთ საკუთრივ ფიზიკური ბგერები, ხოლო მეორე რიგისას — ბიოლოგიური ბგერები. ადამიანის პირიდან გამოსული ყოველგვარი ბგერაც (ყვირილი, კივილი, სტვენა, ხველა, კენესა, წრუპუნი და მრ. სხვა), რასაკვირველია, ბიოლოგიური ბგერებია, როგორც ყოველი ცხოველური ბგერა.

იმ უამრავ ბიოლოგიურ ბგერათაგან, რომელთა წარმოთქმაც ადამიანებს შეუძლიათ, თითოეულ ენაში მათ მიერ გამოყენებულ იქნა მხოლოდ რამდენიმე ბგერა ერთმანეთთან სიტყვიერი ურთიერთობისათვის: ადამიანის საზოგადოებრივი და გონებრივი განვითარების პროცესში, მრავალი ათეული ათასი წლის განმავლობაში, ამ ბგერებს თანდათან მიეცა გარკვეული დანიშნულება და, ამგვარად, ადამიანს გამოუმუშავდა სამეტყველო ანუ სოციალურად ღირებულ ბგერები. მაშასადამე, სამეტყველო ბგერა თავისი გენეზისით ბიოლოგიურია.

ამის მიუხედავად, დღეს იშვიათია ენაში ისეთი სამეტყველო ბგერა, რომელიც ადამიანის ბიოლოგიურ ბგერას (კენესას, ხველას, წრუპუნს და მისთანებს) უდრიდეს. ეს იმიტომ, რომ მეტყველებაში გამოყენების გამო ისინი გადაამუშავდნენ და დაკარგეს მსგავსება და კავშირი ბიოლოგიურ ბგერებთან.

სამეტყველო ბგერათა რიცხვი ყოველ ენაში განსაზღვრულია ამ ენის ისტორიის ყოველ საფეხურზე. მაგალითად, დღევანდელ სალიტერატურო ქართულს 33 ბგერა აქვს — არც მეტი და არც ნაკლები; მაგრამ ძველს ქართულს მეტი ჰქონდა. სალიტერატურო რუსულ ენას დღეს

39 ბგერა აქვს, ხოლო ძველ რუსულში გაცილებით ნაკლები იყო და ასე შექმნა.

სამეტყველო ბგერების საშუალებით ურთიერთობას ეწოდება სიტყვიერი ურთიერთობა ანუ, მოკლედ, ბგერითი მეტყველება.

ბგერითი მეტყველება მდგომარეობს არა მხოლოდ წარმოთქმაში, არამედ აგრეთვე გაგონება-გაგებაშიც. ბგერითს მეტყველებას იმიტომ აქვს სოციალური ფუნქცია, რომ მას — წარმოთქმულს — გაიგონებენ და გაიგებენ. მარტო გაგონება რომ ვერ მიანიჭებს მას სოციალურ ფუნქციას, ჩანს თუნდაც იქიდან, რომ უცნობი (უცხოური) ენა მოკლებულია ჩვენთვის ასეთ ფუნქციას იმის გამო, რომ მას კი გავიგონებთ, მაგრამ გაგონებულს ვერ გავიგებთ.

ფონეტიკას, როგორც საენათმეცნიერო დისციპლინას, ეკისრება სამეტყველო ბგერების შესწავლა მათი წარმოთქმა-გაგონებისა და, მაშასადამე, მათი სოციალური დანიშნულების თვალსაზრისით.

სამეტყველო ბგერის მეორე სახელწოდებაა ფონემა. გარდა იმისა, რომ ეს მეორე ტერმინი უფრო მოხერხებულია პირველზე თავისი სიმოკლითა და მოქნილობით (დაკავშირებულია ჩვენი მეცნიერების სახელწოდებასთან და მისაგან აღვილად იწარმოება სხვა ტერმინები: ფონემური ანუ ფონემატური, ფონემურობა და სხვა), ჩვენს მეცნიერებაში მის შემოტანას აძლევენ პრინციპულ მნიშვნელობას, სახელდობრ:

სამეტყველო ბგერას აქვს ფიზიოლოგიურ-აკუსტიკური თვისებები და, როგორც ითქვა, სოციალური მხარე; თუ სამეტყველო ბგერის განხილვისას მხედველობაში აქვთ უმთავრესად ბგერის ფიზიოლოგიურ-აკუსტიკური თვისებები; მაშინ ხმარობენ პირველ ტერმინს; მაგრამ თუ განიხილება უმთავრესად სამეტყველო ბგერის სოციალური მხარე, მაშინ ხმარობენ მეორე ტერმინს — ფონემას.

მარტივად ასე შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ფონემის, როგორც სამეტყველო ბგერის, სოციალური დანიშნულების გამხაზველად ტერმინის შინაარსი:

ქართული ენის რომელიმე ბგერის, მაგ. ბ-ს, ფიზიოლოგიურ-აკუსტიკურად შესწავლის შედეგად ჩვენ ვახასიათებთ მას, როგორც წყვილბაგისმიერ ხშულსა და მეღერ თანხმოვანს, ე. ი. იმის მიხედვით, თუ როგორ იწარმოება ბ ჩვენი საწარმოთქმო ორგანოებით და როგორ აღვიქვამთ მას ჩვენი სასმენი ორგანოთი. სოციალურად ბ-ს შესწავლისას კი ჩვენ ვგულისხმობთ ცნობილად მის ფიზიკურ თვისებებს (წყვილბაგისმიერობას, ხშულობას, მეღერობას) და ვიკვლევთ მას, როგორც სიტყვისთვის მნიშვნელობის მიმცემს და სიტყვის მნიშვნელობის მცველს. მაგ., ქართულში სიტყვა ოლი არაფერს არ ნიშნავს. მაგრამ საკმარისია მას მიეუმატოთ თავში ბ, რომ მან გარკვეული მნიშვნელობა შეიძინოს: ბოლი (ასევე შეუძლია ზოგიერთ სხვა ბგერასაც მიანიჭოს ოლი-ს გარკვეული მნიშვნელობა. ზოგიერთს და არა ყველას, მაგ.: დოლი

ზოლი, იოლი, მოლი, ტოლი; მაგრამ თოლი, კოლი, უოლი, ჟოლი, წოლი და ა. შ.: დ — ზ — ი — მ — ტ გამოდგა ოლისთვის მნიშვნელობის მისანიჭებლად, ხოლო თ — კ — უ — ყ — წ არ გამოდგა ამისათვის ამ შემთხვევაში; სხვაგან, პირიქით, შესაძლოა ესენი გამოდგნენ, ხოლო პირველები არა და ა. შ.).

კიდევ უკეთ ჩანს ფონემა ზ-ს (ისე როგორც ყველა სხვა ფონემის) სოციალური მხარე, როცა იგი გარკვეული მნიშვნელობის მქონე სიტყვას შეუტყვის მის მნიშვნელობას იპით, რომ შეენაცვლება მის ერთ-ერთ ბგერას; მაგ., ქალი — ბალი (ქ-ს შეენაცვლა ზ, რის გამოც იცვალა პირველი სიტყვის მნიშვნელობა). ზ დაუპირისპირდა ამ შემთხვევაში ქ-ს და ამით მიიღო მან სიტყვათგანმასხვავებლობითი ანუ მნიშვნელობის სადიფერენციაციო ფუნქცია.

ზ-ს (ისე როგორც ყველა სხვა ფონემას) შეუძლია დაუპირისპირდეს იმავე ქ-ს (ისე როგორც ყველა სხვა ფონემას) იმავე სადიფერენციაციო ფუნქციით ყოველ სხვა სიტყვაში; მაგ.: ქარი — ხარი, ქერი — ხერი, ქანი — ხანი და სხვა.

მართალია, შენაცვლებისას შესაძლებელია მნიშვნელობა კი არ იცვალოს სიტყვას, არამედ მივიღოთ უაზრო ბგერათკომპლექსი (მაგ.: ქმარი — ხმარი, ქუდი — ხუდი, ქსოვა — ხსოვა და მრავალი სხვა; მეორე რიგის სიტყვები ქართულში უაზროა). მაგრამ ეს არ აღეგნება დებულებას, რომ ფონემა არის სიტყვათგანმასხვავებლობითი ფუნქციის მქონე ბგერა.

ესაა ძირითადად ფონემის სოციალური დანიშნულება (იხ. კიდევ ქვემოთ გვ. 6).

როცა ამბობენ, დღევანდელ სალიტერატურო ქართულს 33 ფონემა აქვსო, ეს იმას ნიშნავს, რომ თითოეულ მათგანს შეუძლია იყოს დღევანდელ სალიტერატურო ქართულში სიტყვათგანმასხვავებელი ანუ, უცხოურად, დისტინქტური ფუნქციის მქონე; რომელიმე მათგანზე რომ დაკარგოს ეს ფუნქცია, ის გადაშენდება ქართული ენიდან.

ანალოგიურად შეგვიძლია ვიმსჯელოთ რუსულში დღეს არსებული 39 ფონემის შესახებაც.

ჩვენი მეცნიერების სახელწოდება — ფონეტიკა — წარმომდგარია ბერძნული სიტყვისაგან ფონე 'ხმა', საიდანაც, თავის მხრივ, უწარმოებიათ ზედსართავი ფონეტიკოს 'სახმო, ხმის შესახები რამ'. იმავე ფონე-დანაა ნაწარმოები ფონემა, რაც ძველ ბერძნულში ნიშნავდა 'ხმა, ბგერა'.

ფონეტიკას ჩვენ შეგვიძლია დაუუსახოთ შესწავლის საგნად ერთი რომელიმე ენის, მაგალითად, ქართული ენის, ბგერები და ბგერათშეხამება, მახვილი და ინტონაცია. ესაა კერძო ფონეტიკის საქმე, რადგანაც შეისწავლება ცალკეული ენის, ამ შემთხვევაში ქართულის, ბგერითი ფორმა: შეისწავლება, თუ რამდენი ბგერაა დღეს მოქმედ ქარ-

თულში და როგორ წარმოითქმის თითოეული მათგანი; როგორ ერთ-  
დებიან ბგერები ერთმანეთთან სიტყვაში და როგორი ბგერათშეერ-  
თება ახასიათებს დღევანდელ ქართულს; როგორია დღეს ქართულის-  
ბგერათსისტემა; როგორ ენაცვლებიან ერთმანეთს ბგერები ქართულ-  
ცოცხალ მეტყველებაში (მაგ., შ ენაცვლება ხ-ს: ვამბობთ შ ქამს,  
შ ჯული, და შ ჩემდა) და ემორჩილება თუ არა ასეთი ბგერათშენაცვ-  
ლება რაიმე კანონზომიერებას; იცვალა თუ არა ქართული ბგერათსის-  
ტემა ძველი ქართულიდან მოყოლებული დღემდე და, თუ იცვალა,  
როგორ: რომელი ბგერა დაკარგა მან, ან რომელი შეიძინა; იგივე კანონ-  
ზომიერება მოქმედებდა ძველ ქართულში, რაც დღევანდელშია, თუ არა;  
როგორი ბუნებისაა მახვილი დღევანდელ ქართულში და როგორი იყო  
ძველში და ა. შ.

მაშასადამე, კერძო ფონეტიკის საგანი ყოფილა კონკრეტული ენის  
ბგერითი ფორმის შესწავლა.

კერძო ფონეტიკის ნიმუშად ჩაითვლება, მაგალითად, ამა თუ იმ  
ენის გ რ ა მ ა ტ ი კ ა შ ი მოცემული მეტ-ნაკლებად ვრცელი ცნობები ამ ენის  
ბგერათშედგენილობისა, ბგერათა დახასიათებისა და კლასიფიკაციისა  
და ბგერათცვლილებათა შესახებ. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს,  
რომ ფონეტიკა გრამატიკის ნაწილია: ფონეტიკა ენათმეცნიერების ისე-  
თივე დამოუკიდებელი დარგია, როგორც გრამატიკა.

ისეთი ფონეტიკური საკითხების შესწავლა, რომლებიც სცილდება  
კონკრეტულად მოცემული ენის ბგერითი ფორმის ფარგლებს, შეადგენს  
ზ ო გ ა დ ი ფ ო ნ ე ტ ი კ ი ს საგანს.

კერძო ფონეტიკას ეკისრება აგრეთვე ცალკეულ ენაში მოქმედო  
წარმოითქმის ელემენტების (ბგერების, მახვილ-ინტონაციისა და ბგერათ-  
რაოდნობის) შესწავლა მათი დისტინქტური ფუნქციის თვალსაზრისით.

ავილოთ, მაგალითად, ქართული გ. წმინდა ფონეტიკურად (წარ-  
მოების ადგილისა და რაგვარობის მიხედვით) მას აქვს სამი დადებითი  
თვისება: უკანაენისმიერობა, მჟღერობა და ხშულობა; თითოეული ამ სამ  
თვისებათაგანით გ შესაძლებელია დაუპირისპირდეს სხვა ბგერებს, რო-  
მელთაც ცალ-ცალკე აღებული ეს თვისება არ გააჩნიათ, და ამგვარად  
შეასრულოს სიტყვათგანმასხვავებლის ფუნქცია: უ გ ი ა — უ ბ ი ა განს-  
ხვავებულია ერთმანეთისაგან გ-სა და ბ-ს დაპირისპირებით, მაგრამ გ განს-  
ხვავდება ბ-საგან მხოლოდ წარმოების ადგილით (გ უკანაენისმიერია);  
დანარჩენი ორი თვისებით (მჟღერობით და ხშულობით) ისინი ერთმა-  
ნეთისაგან არ განსხვავდებიან. მაშასადამე, გ უპირისპირდება ბ-ს მხო-  
ლოდ უკანაენისმიერობით. ასევე უპირისპირდება გ დ-ს (გ ო რ ა — დ ო რ ა).  
ამ დაპირისპირებით მყარდება განსხვავება ამ სიტყვებს შორის.  
გ ე რ ი — ქ ე რ ი განსხვავებულია ერთმანეთისაგან გ-სა და ქ-ს დაპირის-  
პირებით, მაგრამ გ განსხვავდება ქ-საგან მხოლოდ მჟღერობით (ქ-ს  
ფშვინვიერობას აქ არ ვითვალისწინებ); დანარჩენი ორი თვისებით



ისინი ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან (ორივე უკანაენისმიერია და ხშული).

ა გ ე ბ ა — ა ლ ე ბ ა განსხვავებულია ერთმანეთისაგან გ-სა და ლ-ს დაპირისპირებით: აქ გ უპირისპირდება ლ-ს ხშულობით; დანარჩენი ორი თვისებით ისინი ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან (ორივე უკანაენის-მიერია და მჟღერი).

როგორც ვხედავთ, ქართულ გ-ს სამივე დასახელებული თვისება რეალიზებულია სიტყვათგანსხვავების შესაქმნელად.

ზოგ ენაში ეს ასე არ ხდება.

მაგალითად, რუსულ რ-ს იგივე სამი დადებითი ფონეტიკური თვისება (უკანაენისმიერობა, მჟღერობა და ხშულობა) აქვს, მაგრამ მათგან სიტყვათგანსხვავებისათვის შესაძლებელია გამოყენებული იყოს მხოლოდ პირველი ორი. და ეს ხდება იმიტომ, რომ რუსულს არა აქვს ლ:

Гор — нир: Г უპირისპირდება თავისი უკანაენისმიერობით ნ-ს და ამით იგი განსხვავებს პირველ სიტყვას მეორისაგან; Г.О.А — К.И.А: Г უპირისპირდება к-ს მჟღერობით და ამით იქმნება განსხვავება სიტყვათა შორის; მესამე რამ, რომელიც უკანაენისმიერიც იყოს და მჟღერიც, მაგრამ არ იყოს ხშული, რუსულს არ გააჩნია. ამიტომ რ-ს ხშულობა გამოუყენებელი რჩება: ამიტომაა, რომ სულერთია, როგორ იტყვი: Г у е х თუ Г у е х (Г = ლ) — მნიშვნელობა ერთი აქვთ ('ბატი'). ქართულში კი როდია სულერთი, იტყვი: გ ე რ ი თუ ლ ე რ ი.

სამეტყველო ბგერათა წარმოთქმა და აღქმა სხვაა, ხოლო მათი სიტყვათგანმასხვავებლობითი (დისტინქტური) გამოყენება — სხვა.

სამეტყველო ბგერათა ასეთ განხილვას ეწოდება მათი ფონეტიკური თვისებათა შესწავლა ანუ ფონოლოგია.

კერძო ფონეტიკის საგანია, როგორც ითქვა, ცალკეული ენის წარმოთქმის ელემენტების შესწავლა. მაგრამ ადამიანის საწარმოთქმო მოქმედების მრავალფეროვნება არ შეიძლება ვლინდებოდეს რომელიმე ცალკეულ ენაში, რადგანაც ადამიანის წარმოთქმითი შესაძლებლობა უსასრულოდ მრავალია: ზოგი რომელ ენაშია გამოყენებული და ზოგი რომელში; ზოგიც შესაძლებელია არსად არ იყოს გამოყენებული. ცალკეულ ენაში კი საწარმოთქმო მოქმედება მკაცრად შეზღუდულია: მას — თავისი განვითარების გარკვეულ პერიოდში — შეიძლება ჰქონდეს ბგერათა განსაზღვრული რაოდენობა, ჩვეულებრივ არა უმეტეს ოთხი-ხუთი ათეულისა, განსაზღვრული ტიპის მახვილი და ინტონაციები, და მასში შეიძლება მოქმედებდეს ბგერათშენაცვლების განსაზღვრული კანონზომიერება.

ყოველგვარი წარმოთქმითი შესაძლებლობის გათვალისწინება და შესწავლა არც შესაძლებელია და არც საჭირო; მაგრამ მათი ტიპობრივი შესწავლა საჭიროცაა და შესაძლებელიც. სინამდვილეში ისინი შეისწავლება კონკრეტულ ენათა კერძო ფონეტიკების შესწავლის საფუძველზე — განზოგადების გზით, რასაც აწარმოებს ზოგადი ფონეტიკა.

რაც უფრო მეტი საწარმოთქმო მოქმედება და წარმოთქმის ელემენტებია გათვალისწინებული ზოგად ფონეტიკაში, მით უფრო მდიდარია მისი შინაარსი.

ზოგადი ფონეტიკა სწავლობს საწარმოთქმო ორგანოების ანატომია-ფიზიოლოგიას, წარმოთქმის ელემენტების აკუსტიკურ თვისებებსა და ამ ელემენტების ტიპობრივ ცვალებადობას დროთა განმავლობაში.

ზოგადი ფონეტიკა განსხვავებულია კერძოსაგან როგორც თემატიკურად, ისე საკითხთა განხილვის მოცულობით. მაგ., ყელხშული თანხმოვნების ანუ აბრუპტივების თემა არ შეეა რომელიმე გერმანიკული (მაგ. ინგლისური) ენის კერძო ფონეტიკაში, მაგრამ ზოგად ფონეტიკაში კი განიხილება, როგორც ტიპობრივი მოვლენა მრავალი ენისათვის, კერძოდ კავკასიურთათვის; მაგ., მახვილის საკითხი განიხილება როგორც კერძო, ისე ზოგად ფონეტიკაში, მაგრამ ზოგად ფონეტიკაში განიხილება მახვილის რაობა საერთოდ, მისი სხვადასხვა შესაძლებელი სახეობანი, მისი საწარმოთქმო და დისტინქტური როლი მეტყველებაში; კერძო ფონეტიკაში კი განიხილება კონკრეტული ენის მახვილის სახეობა, მისი დანიშნულება ამ ენაში, მისი მოქმედება ამ ენის გარკვეულ პერიოდში, მისი მოქმედების გავლენა ენის ისტორიულ განვითარებაზე და ასე შემდეგ.

კონკრეტული ენის წარმოთქმის ელემენტები (სამეტყველო ბგერები, მათი შეერთებანი, მახვილი და ინტონაცია) შესაძლებელია შესწავლილ იქნეს ორი სხვადასხვა თვალსაზრისით: ალწერილობითად ანუ სტატიკურად და ისტორიულად ანუ დინამიკურად. პირველ შემთხვევაში გვექნება ალწერილობითი ფონეტიკა, მეორეში — ისტორიული ფონეტიკა.

პირველი შეისწავლის წარმოთქმის ელემენტებს დროის გარკვეულ შონაკვეთზე (მაგ., დღევანდელი ქართულის ან ძველი ქართულისას რომელიმე პერიოდში), რომელზეც წარმოთქმის ელემენტები მეტ-ნაკლებად თითოქოს უცვლელი ჩანან: როგორია ამ ენის ბგერითი შედგენილობა და როგორ წარმოითქმის თითოეული ბგერა, როგორია ბგერათსისტემა და როგორი დისტინქტური შინაარსი აქვს თითოეულ მათგანს, როგორია მასში მოქმედი ბგერათშენაცვლება, როგორი მახვილი აქვს მას და ა. შ.

ისტორიული ფონეტიკა კი შეისწავლის იმავე ფაქტებს განვითარებაში, წინა საფეხურების გათვალისწინებით და მათთან დაკავშირებით. მაგ., დღეს მოქმედ ქართულში გვაქვს ბგერა-ფონემა ც სიტყვაში ცა. ეს ც არაფრით არ განსხვავდება იმ ც-საგან, რომელიც გვესმის სიტყვაში ცაშეტ; ამიტომ აღწერილობითი ფონეტიკა ერთნაირად განსაზღვრავს (ასწერს) ორივეს („წინაენისმიერი სისინა ყრუ აფრიკატი“). ისტორიული ფონეტიკა კი გვეტყვის, რომ ცაშეტ-ში ც მიღებულია თ + ს -საგან (ათ + სამ + მეტი). მეორე ნიშნები: დღევანდელ სალიტერატურო ქართულში გვაქვს ხ, აღწერილობითად: „უკანაენისმიერი

ყრუ სპირანტი (ნაპრალოვანი)“; ისტორიულად კი მასში ერთმანეთს დამთხვევიან ძველი ქართულის ხ და ჯ: ეს მეორე შეცვალა პირველმა სალიტერატურო ქართულში; ამგვარად, ხ-მ თავისი ადგილიც შეინარჩუნა და ჯ-ს ადგილიც დაიკავა (მაგ., ძვ. ქართულში ქელი ნიშნავდა ადამიანის ზედა კიდურს (рука), ხოლო ხელი — გიჟს; დღეს ხელი ნიშნავს ერთსაც და მეორესაც; შეად. გახელებული). ისტორიული ფონეტიკის მთავარი მეთოდია შედარებითი მეთოდი.

კონკრეტული ცოცხალი ენის შესწავლის საქმეში უმთავრესია ცალკეულ ბგერათა სწორად აღწერა და ამ ენის ბგერითი შედგენილობის სწორად დადგენა. ამისათვის ფონეტიკას სხვადასხვა მეთოდი აქვს.

ყველაზე ძველი და დღემდე ფართოდ გამოყენებული მეთოდია უშუალო დაკვირვება — სმენით, მხედველობითა და კუნთებრივი შეგრძნებით.

მართალია, უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ფონეტიკურ კვლევაში შემოვიდა იარაღობრივი დაკვირვება — ე. წ. ექსპერიმენტული ფონეტიკის სახელით, მაგრამ ფონეტიკა, როგორც მეცნიერება, შეიქმნა უმთავრესად უშუალო დაკვირვების გზით. გარკვეული სათანადო წვრთნის შემდეგ ჩვენ საკმაო სიზუსტით აღვიქვამთ სმენით ამა თუ იმ ბგერას, წარმოთქმულს სხვის ან ჩვენ მიერ. აგრეთვე საკმაო სიზუსტით შეგვიძლია ავწეროთ სამეტყველო ორგანოთა ხილული მოქმედება, ე. ი. ის საწარმოთქმო მოძრაობანი, რაც ჩანს თვალთ სხვისი ან საკუთარი წარმოთქმის დროს (სარკეში); ასეთია ტუჩების მრავალგვარი მოძრაობა ზოგიერთ ბგერათა წარმოთქმისას, ტუჩების კუნთების დავიწროება-გაფართოება, მათი წინ გაშოწევა და უკან დახევა; ენის წინა ნაწილის მოქმედება კბილების ან მაგარი სასის მიმართ და ა. შ.

მაგრამ ბევრი საწარმოთქმო მოძრაობა არა ჩანს უშუალოდ; ასეთია, მაგ., ენის უკანა ნაწილის მოქმედება რბილი სასის მიმართ, სახმო სიმების მოძრაობა და ბევრი სხვა. ასეთ შემთხვევაში მივმართავთ კუნთებრივ შეგრძნებას, რომლის საშუალებითაც დაკვირვება აგრეთვე მნიშვნელოვან შედეგს იძლევა.

გასული საუკუნის 70-იანი და მეტადრე 90-იანი წლებიდან ფონეტიკაში შემოდის ფიზიკასა და ფიზიოლოგიაში ნაცადი გრაფიკული მეთოდი, რომლის საშუალებითაც რეგისტრირდება მრუდთა სახით საწარმოთქმო ორგანოებისა და ჰაერის ტალღის მოძრაობათა უმცირესი ელემენტებიც კი; ამ გზით შესაძლებელი შეიქნა ბგერათწარმოთქმის (უკეთ: საწარმოთქმო მოძრაობათა) გაზომვა და გამოანგარიშება. ამგვარად საფუძველი ჩაეყარა ექსპერიმენტულ ფონეტიკას, რომლის განვითარებამ მიმდინარე საუკუნის დამდეგიდან მნიშვნელოვნად გააწლიდრა ფონეტიკური მეცნიერება.

დასახელებული მეთოდებით შესაძლებელია ვიკვლიოთ, უმთავრესად, ცოცხალი კონკრეტული ენის ბგერითი ფორმა. სხვა მეთოდებით ვსარგებლობთ, როცა ვიკვლევთ ხმარებიდან გამოსული ენის (მაგ., ძვე-

ლი ქართულის, ძველი რუსულის, ძველი ბერძნულისა და სხვ.) ბგერითს ფორმას.

იქ მკვლევარი მეტადაა, რა თქმა უნდა, შეზღუდული, რადგანაც იგი იძულებულია დაეყრდნოს, უმეტეს შემთხვევაში, არაპირდაპირ საშუალებებს, როგორცაა, მაგ., დამწერლობის სხვადასხვანაირობა ძველ წერილობითს ძეგლებში; გადამწერთა შეცდომები, ნასესხებობანი სხვა ენიდან და ლექსთა წყობის ჩვენებანი; ამ მასალებში მეღავნდება (უმეტესად დამწერის უნებლიეთ და, მაშასადამე, არაპირდაპირ) იმდროინდელი ბგერათწარმოთქმა.

არის ზოგი ძველი ენის შესახებ პირდაპირი ცნობებიც; მაგალითად, ძველ ინდოელ გრამატიკოსთა მიერ მოცემულია ძველი ინდური ენის ბგერათა ზუსტი აღწერილობა; ნაკლები სიზუსტითაა აღწერილი ძველი ბერძნულის ბგერები იმდროინდელ გრამატიკოსთა მიერ და ასე შემდეგ. მრავალი ძველი ენის შესახებ ასეთი ცნობები სრულიად არ მოგვეპოვება. რასაკვირველია, ძველ გრამატიკოსთა ცნობები დიდი ღირებულებისაა, მაგრამ მათი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ კრიტიკულად, — ისეთი გასაოცარი სიზუსტით აღწერილობისა ცი, როგორცაა ძველი ინდოელი გრამატიკოსების მიერ მოცემული აღწერილობა ძველი ინდური ენის ბგერითი შედგენილობისა.

წარმოთქმა-გაგონება ადამიანის მეტყველების არსებითი მხარეა, რადგანაც უმისოდ მეტყველება ვერ იქნებოდა ურთიერთგაგებინების საშუალება ადამიანთა შორის. თვით წერა, ე. ი. წერითი მეტყველება, რომელსაც საუკუნეთა განმავლობაში დაეკისრა კომუნიკაციის ფუნქცია შორეულ მანძილზე და რომელმაც ამით შესცვალა ზეპირი მეტყველება ამ მხრივ, არ შეიძლებოდა განვითარებულიყო ბგერითი ზეპირი მეტყველების გარეშე.

ამიტომ ფონეტიკა ენათმეცნიერების მნიშვნელოვანი დარგია.

აღსანიშნავია, სხვათა შორის; რომ რადიოგადაცემის ფართო გავრცელების გამო ზეპირი მეტყველება სერიოზულ მეტოქეობას უწევს წერითს შორეულ მანძილზე ადამიანთა კომუნიკაციის საქმეში. ეს შეეხება სივრცეს; დროის მანძილზე კი მხოლოდ წერითს მეტყველებას აქვს ძალა.

გრამატიკის მრავალი საკითხი შეიძლება გაგებულ იქნეს მხოლოდ ფონეტიკის დახმარებით. ისეთი მნიშვნელოვანი დარგი ენათმეცნიერებისა, როგორცაა ეტიმოლოგია, დადგა მეცნიერულ ნიადაგზე მხოლოდ იმის შემდეგ, რაც იგი ფონეტიკას დაეყრდნო, იმ დროიდან, როცა მან გამოიყენა ფონეტიკაში დადგენილი კანონზომიერებანი. „...ეტიმოლოგიურმა ძიებამ მხოლოდ ფონეტიკის შემწეობით მოიპოვა ობიექტური ხასიათი და გონებამახვილობის სავარჯიშო ასპარეზიდან მეცნიერულ დისციპლინად იქცა“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> არნ. ჩიკობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, 1, 1946 წ., გვ. 72.

კონკრეტული ენის ისტორიულად შესწავლა მისი ისტორიული ფონეტიკის გაუთვალისწინებლად შეუძლებელია.

ფონეტიკის თეორიული მნიშვნელობა მეტადრე გაიზარდა ამ უკანასკნელი ორი-სამი ათეული წლის განმავლობაში, როცა თანდათან ჩამოყალიბდა ფონეტიკის ისეთი მნიშვნელოვანი დარგი, როგორცაა ფონოლოგია (იხ. ზემოთ).

დიდია აგრეთვე ფონეტიკის პრაქტიკული მნიშვნელობა. მაგ., უცხოური ენის პრაქტიკულად წარმატებით შესწავლის საქმეში დიდ როლს ასრულებს ამ ენის შესაფერი სწორი წარმოთქმა; ეს კი მით უფრო ადვილი შესათვისებელია, რაც უკეთაა გაწვრთნილი ფონეტიკაში უცხოური ენის შემსწავლელი. ფონეტიკის ცოდნა აადვილებს ორთოგრაფიის წესების როგორც დადგენას, ისე მათ შესწავლას — მეტადრე ისეთი რთული ორთოგრაფიის მქონე ენებში, როგორცაა, მაგ., ინგლისური, ფრანგული, რუსული და სხვები. დიდი როლი შეასრულა ფონეტიკამ უანბანო ენათა ანბანის შედგენის საქმეში: მხოლოდ ფონეტიკოსს შეეძლო მათთვის ადეკვატური ანბანის შექმნა; ასეთსავე როლს ასრულებს ფონეტიკა ძველ ანბანთა ან ძველი ორთოგრაფიის რეფორმის საქმეში.

სრულიად განსაკუთრებულია ფონეტიკის მნიშვნელობა ლოგოპედიისა და სურდოპედაგოგიკისათვის: პირველი ასწორებს ენამოშლილობის სხვადასხვა ფორმებს (ენაჩლუნგობას, ენაბლუობას...), მეორე — ყრუმუნჯებს უფითარებს ნორმალურ ბგერით მეტყველებას: ერთიცა და მეორეც, მეტწილად, წარმოადგენს ფონეტიკის პრაქტიკულ გამოყენებას დაავადების შესაფერისად.

---

თავი პირველი

## ზოგადი ფონეტიკის საბუნებისმეტყველო საფუძვლები

ადამიანის წარმოთქმის ძირითადი ელემენტებია ცალკეული ბგერები, მათი შეერთებანი და მახვილი. მათ წარმოსათქმელად საჭიროა სხეულის იმ ორგანოების სათანადოდ ამოქმედება ან მხოლოდ მონაწილეობა, რომლებიც ადამიანს გამოყენებული აქვს თავის მეტყველებაში წარმოთქმის ელემენტების საწარმოებლად; ესენია: ფილტვები და დიაფრაგმა (და მათთან დაკავშირებული კუნთები), ხორხი, სახმო სიმები, ციციხვისებრი ხრტილები, სასა, ნაჭი, ქვედა ყბა, ენა, კბილები და ტუჩები. ამ ორგანოების პირვანდელი დანიშნულება ბიოლოგიური იყო — ისინი ადამიანის სასიცოცხლო ფუნქციას ასრულებდნენ (სუნთქვა, ყნოსვა, ლექვა, ყლაპვა და ა. შ.). მათს ამ დანიშნულებას დაემატა სამეტყველო ფუნქციებიც. ამაზე აქვს ნათქვამი ფ. ენგელსს: „...პირის ორგანოებში თანდათან ისწავლეს დანაწევრებული ბგერების ზედიზედ წარმოთქმა“.

ამ ორგანოების შემწეობით იწარმოება წარმოთქმის ყველა ელემენტი, — თითოეული მათგანი ამ ორგანოთა თავისებური მონაწილეობით.

წარმოთქმის ელემენტებს ჩვენ აღვიკვამთ სმენით — იმ ფიზიკურ თვისებების მიხედვით, რომლებიც აქვთ მათ, როგორც ბგერას საერთოდ, და რომლებითაც ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ეს თვისებებია სიმაღლე, სიძლიერე, ტემბრი და ხანგრძლიობა. ამიტომ წარმოთქმის ელემენტების შესასწავლად — როგორც მათი წარმოების, ისე აღქმის თვალსაზრისით — საჭიროა გავეცნოთ, ერთი მხრით, ამ საწარმოთქმო ორგანოების აგებულებასა და მათს ბგერათსაწარმოო მოქმედებას, ხოლო მეორე მხრით, წარმოთქმის ელემენტების ფიზიკურ თვისებებს.

საწარმოთქმო ორგანოების აგებულებასა და მათს ბგერათსაწარმოო მოქმედებას შეისწავლის ფონეტიკური ანატომია-ფიზიოლოგია, ხოლო წარმოთქმის ელემენტების ფიზიკურ თვისებებს — ფონეტიკური აკუსტიკა: ესენია ზოგადი ფონეტიკის საბუნებისმეტყველო საფუძვლები.

### I. ფონეტიკური ანატომია-ფიზიოლოგია

#### A. საწარმოთქმო ორგანოების აღნიშვნა

საყოველღეო ცხოვრებაში რომ „ხმის ამოღებას“ ვეძახით, ესაა, ჩვეულებრივ, ბგერის გამოღება სამეტყველოდ ან სასიმღეროდ. როგორც ერთისათვის, ისე მეორისათვის აუცილებლად საჭიროა ჰაერნაკადი. სა-

სიმღერო ჰაერნაკადი ამომდინარეობს ფილტვებიდან ამოსუნთქვის სახით — სასუნთქი მილისა, ხორხისა და პირის გზით. სამეტყველო ჰაერნაკადიც ჩვეულებრივ ფილტვებიდან ამოდის იმავე გზით; მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ზოგიერთ ენას (მაგ., ქართულს) აქვს რამდენიმე ისეთი ბგერაც, რომელთა წარმოთქმისათვის არაა საჭირო ჰაერნაკადის ფილტვებიდან ამომდინარეობა.

ამოსუნთქული ჰაერნაკადი — სამეტყველო იქნება იგი თუ სასიმღერო — განიცდის გარკვეულ ცვლილებებს ხორხში და ხახა-ცხვირ-პირის ღრუებში.

აგსწერთ ცალ-ცალკე სასუნთქ აპარატს, ხორხსა და ხახა-ცხვირ-პირის ღრუებს.

### ა. ხახუნთში აპარატის ნაწილები

სასუნთქი აპარატის ნაწილებია: სასუნთქი მილი ანუ სასულე, ფილტვები და შუასაძგიდე ანუ დიაფრაგმა.

ხახუნთქი მილი (იხ. სურ. 2) შედგენილია ხრტილოვანი რგოლებისაგან და დაფარულია შიგნიდან ლორწოვანი გარსით; რგოლების უკანა მესამედი აპკოვანია და წარმოადგენს კედელს, რომლითაც სასუნთქი მილი მიდებულა საყლაპავ მილზე; ამიტომაა, რომ სასუნთქი მილი არ აბრკოლებს საყლაპავი მილის გაფართოებას ყლაპვის დროს. სასუნთქი მილი იწყება ხორხის ქვეშ (შეიძლება თითოთ მოსინჯვა), გაივლის გულმკერდის ღრუში და განშტოვდება ორ მთავარ ბრონქად (იხ. სურ. 1, 2 და 3). ბრონქები თავის მხრივ განშტოვდებიან ფილტვებში უამრავი ბრონქიოლებისა და ბუშტულების სახით. სასუნთქი მილი წარმოადგენს ჰაერნაკადის სამოძრაო გზას ფილტვებიდან გარეთ (ამოსუნთქვა) და გარედან ფილტვებისაკენ (შესუნთქვა).

ფილტვები — მარჯვენა და მარცხენა — მოთავსებულია გულმკერდის ღრუში. ფილტვები რბილი და ელასტიკური სხეულია, წყალზე მსუბუქი — მათში ჰაერის მუდამ ყოფნის გამო. ფილტვებს შუა (მარცხნისაკენ) ძევეს გული (იხ. სურ. 1.)

დიაფრაგმა (შუასაძგიდე) წარმოადგენს ფართო კუნთს, რომელიც ჰყოფს ერთმანეთისაგან გულმკერდისა და მუცლის ღრუებს; დიაფრაგმა შეზნეჲილია ქვემოდან (მუცლის ღრუს მხრიდან) და გუმბათისებრ ამოზნეჲილია გულმკერდისაკენ. დიაფრაგმას აძევეს ფილტვები, ხოლო მის ქვეშაა მუცლის ორგანოები. დიაფრაგმის შეკუმშვა-მოშევა იწვევეს შესუნთქვა-ამოსუნთქვას: როცა შეიკუმშება, იგი ბრტყელდება და ქვემოთ დაიწევა და ამით გამოიწევეს გულმკერდის ღრუს მოცულობის გადიდებას (ესაა შესუნთქვის მომენტი); როცა დიაფრაგმა მოეშევა, იგი ამოიწევა ზემოთკენ და ამით დაავიწროებს გულმკერდის ღრუს მოცულობას (ესაა ამოსუნთქვის მომენტი).

შესუნთქვა და ამოსუნთქვა იმითმბა დაკავშირებული ფილტვებთან, რომ 1). შესუნთქვისას გულმკერდის ღრუს გადიდებასთან ერთად ფართოვ-

დება ფილტვებიც — იმ ჰაერის წნევის გამო, რომელიც მუდამაა ხოლმე ფილტვებში; 2) ამოსუნთქვისას გულმკერდის ღრუს დავიწროებასთან ერთად იკუმშება ფილტვებიც. პირველ შემთხვევაში (შესუნთქვისას) ატმოსფერული ჰაერის წნევა უფრო ძლიერია ფილტვების შიდაწნევაზე, ხოლო მეორეში (ამოსუნთქვისას), პირიქით, შიდაწნევა უფრო ძლიერია ატმოსფერულიაზე.

აღსანიშნავია აქვე, რომ გულმკერდის ღრუს გადიდება-დავიწროება (და, მაშასადამე, შესუნთქვა-ამოსუნთქვა) შესაძლებელია არა მხოლოდ დიაფრაგმის შეკუმშვა-მოშვების გზით, არამედ ნეკნებშია კუნთების შეკუმშვა-მოშვების გზითაც. ასეთი (ნეკნური) სუნთქვის შესახებ იხ. ქვემოთ.



სურ. 1.

გულმკერდისა და მუცლის ღრუები

მარცხნივ: K—ხორხი; L—მარჯვენა ფილტვი; LI—მარცხენა ფილტვი; Z—დიაფრაგმა; L—ღვიძლი, მარჯვნივ: La—სასუნთქი მილი, რომელიც ჩანს ორივე ფილტვისა და გულის ართმევის გამო.

### ბ. ხორხი

სასუნთქი მილის ზედა გაფართოებულ ნაწილს ეწოდება ხორხი ლარინგსი, ლათ. larynx). ხორხი შედგენილია შემდეგი ხრტილოვანი, ნაწილებისაგან: ბექდისებრი ხრტილი, ფარისებრი ხრტილი, ციციხვისებრი ხრტილები და ხორხსარქველი. ხორხი გაერთიანებულია ერთ მთლიან ორგანოდ: იგი მთლიანად ძეგს. ლორწოიანი გარსით დაფარულ აპკში. ხორხის შიგნით იმყოფება მბგერი იოგები ანუ სახმო სიმები (იხ. სურ. 3 და 4).

განვიხილათ ხორხის ნაწილებს ცალ-ცალკე.


ბექდისებრი ხრტილი უძრავადაა მიმაგრებული სასუნთქი მილის პირველ რგოლზე და წარმოადგენს ხორხის ფუძეს (სურ. 3, 4 და 5).



ბექდისებრი ხრტილი წინ ვიწროა, უკან ფართო, რითაც მართლაც ჰგავს თითის თვლიან ბექედს (სურ. 4-ზე ჩანს მისი ფართო და ვიწრო მხარეები, ხოლო 5-ზე ჩანს მთლიანად ორ სხვადასხვა მდგომარეობაში).

ფარისებრი ხრტილი წარმოადგენს ორ ოთხკუთხ საკმაოდ ფართო ფირფიტას, ერთმანეთთან შეერთებულს წინა კიდეებით; მათი შეერთების კუთხე დაახლოებით  $90^{\circ}$ -ია (მამაკაცისა) ან  $120^{\circ}$  (დედაკაცისა) (იხ. სურ. 5, სადაც ჩანს ფარისებრი ხრტილი). ფიკციტების შეერთების კუთხე წაშვერილია წინისკენ, — მეტადრე მამაკაცისა; მას ეძახიან ხორხის თავს: შეიძლება მისი მოსინჯვა თითით. მოსინჯება თითითვე შუაზე ზემოდან ამონაქდევნი. ფარისებრი ხრტილის უკანა ღია ქარეში მოქცეულია ბექდისებრი ხრტილის ფართო მხარე (იხ. სურ. 4).

ფარისებრი ხრტილს უკან აქვს ოთხი მორჩი (ორ-ორი თითოეულ ფირფიტას) — ორი ზედამორჩი და ორიც ქვედამორჩი; ოთხივეს ეწოდება რქები. ზედა რქები უფრო გრძელია; მათი საშუალებით ფარისებრი ხრტილი შეერთებულია ენისქვეშა ძვლის კიდეებთან (იხ. სურ. 3), ხოლო ქვედა, უფრო მოკლე, რქებით ფარისებრი ხრტილი დაყრდნობილია ბექდისებრი ხრტილზე.




სურ. 2.

ფილტვები სასუნთქი მილითა და ხორხითურთ, როგორც დაინახება ისინი წინიდან.  
1—ხორხი; 2—სასუნთქი მილი; 3—პრონკები; 4—მარცხენა ფილტი; 5—მარჯვენა ფილტი.

ციცხვისებრი ანუ პირამიდისებრი ხრტილები (სურ. 5.) წარმოადგენს ორ პატარა სამწახნაგიან პირამიდისებრი ხრტილს, მოთავსებულს ბექდისებრი ხრტილის ფართო ნაწილის თავზე; ისინი თავისუფლად არიან შენაწევრებულნი მასთან და ამიტომ მათ შეუძლიათ მრავალგვარი მოძრაობა შეასრულონ თავიანთი ღერძის გარშემო: უახლოვდებიან და შორდებიან ერთმანეთს, მიბრუნდებიან შიგნითკენ და გარეთ. მათს ასეთი მოძრაობის უნარს იმიტომ აქვს დიდი მნიშვნელობა, რომ მათს წინა მორჩებზე, რომლებსაც „სახმო ანუ მბგერი მორჩები“ ეწოდება, მიმაგრებულია მბგერი ორგანი ანუ სახმო სიმები.

ხორხსარქველი წარმოადგენს მსხლისებრ ბრტყელ ხრტილს, რომელიც ვიწრო ბოლოთი მიმაგრებულია ფარისებრი ხრტილის კუთხეში ამონაქლევის ცოტა ქვემოთ (იხ. სურ. 3 და 4, რომელზეც ხორხსარქველი




სურ. 3.

ხორხი, სასუნთქი მილი და ბრონქები თავისი განშტოებუი თერათ:

1—ხორხსარქველი; 2—ენისქვეშა ბეჭი; 3—ფარისებრი ხრტილი; 4—ბეჭისებრი ხრტილი; 5—სასუნთქი მილი; 6—მარცხენა ბრონქი; 7—მარჯვენა ბრონქი; 8, 9—ბრონქების განშტოება

1 კა...  
2017



უკანა


მარჯვენა

წინადას

სურ. 4.  
ბორხის ჩონჩხი

**A**—წინადას; **B**—მარჯვენა (მოსხნილია 'ფარისებრი სრული მარჯვენა ფირფიტა'); **C**—უკანადას.  
 1—ბორხარქველი; 2—ბედა რქა; 3—ბორხარქელის უკნა; 4, 5—ფარისებრი სრული მარჯვენა ფირფიტა; 6—პედა რქა; 7—ბეკელისებრი სრული ვიწრო მხარე; 8—სასუნთქი მილი; 9—სრულსებრი სრული; 10—ბეკელისებრი სრული ფართო მხარე; 11—ფარისებრი სრული სისასნე მუცლისებრი; 12—სრულსებრი სრული მორჩი; 13—ფარისებრი სრული კუთხის შუული კნოლი; 14—ბეკელისებრი სრული; 15 ბორხ-სარქელის უკნა ო.

განცალკევებულად ჩანს). ჩვეულებრივ (არა ყლაპვის დროს) ხორხსარქველი აშვერილია წინისაკენ თითქმის ვერტიკალურად, ხოლო ყლაპვის დროს იგი გადაიწევა უკან და გადაეხურება ხორხის პირს (აქედანაა სახელწოდება „ხორხსარქველი“). გადაყლაპული საქმელი გადასრიალდება ხორხსარქველის ზედაპირზე და ჩადის საყლაპავ მილში, რომელიც მოთავსებულია სასუნთქი მილის უკან (იხ. ზემოთ სასუნთქი მილი).



სურ. 5.

ხორხის შეადგენელი ხრტილები

- 1—ფარისებრი ხრტილი; 2—ხორხსარქველი; 3—ბუკისებრი ხრტილი (შინიდან);
- 4—ბუკისებრი ხრტილი (უკანიდან);
- 5—ციცხვისებრი ხრტილები.

ამგვარად, ხორხი წარმოადგენს ხორხსარქველისა, ბეკდისებრი, ფარისებრი და ციცხვისებრი ხრტილებისაგან შედგენილ მილისებრ ორგანოს.

ხორხის შიგნით იმყოფება წარმოქმნისა და სიმლერისათვის ფრიად მნიშვნელოვანი ნაწილი ხორხისა — მბგერა იოგები ანუ სახმო სიმები.


სახმო სიმების სახელწოდებით ცნობილია ერთი წყვილი გამობურცული ნაოკა ფარისებრი ხრტილის კედლების გასწვრივ შიგნიდან; თითოეულ ნაოკში არის კუნთი, სახმო კუნთად წოდებული. დაწყებული ფარისებრი ხრტილის წინა შიდაკუთხიდან, სადაც ისინი ზიმაგრებულია ერთად, სახმო სიმები განცალკევებულად მიემართებიან უკნისაკენ და ზიმაგრებული არიან ციცხვისებრი ხრტილების მბგერა მორჩებზე. სახმო სიმების თავზე მოთავსებულია აგრეთვე წყვილი ნაოკი, რომლებსაც ცრუ სახმო სიმებს ეძახიან, რადგანაც მათ, ნამდვილი სახმო სიმებისაგან განსხვავებით, არ შეუძლიათ ბგერის წარმოქმნა. ამ ორი პარკი, მორგანის პარკუ-

ორ წყვილ სიმს შუა მოთავსებულია კებად წოდებული.

ზემოხსენებულ სახმო კუნთში მოთავსებულია უამრავი კუნთისებრი ბოქკოები სხვადასხვა მიმართულებისა, რომელთაც შეუძლიათ ჰქონდეთ ნაწილობრივი დამოუკიდებელი შეკუმშვები; ამიტომაც, რომ სახმო სიმებს მოძრაობის აურაცხელი შესაძლებლობა აქვს: მოძრაობენ მათი ცალკეული ნაწილებიც.


სახმო სიმებს შუა გასწვრივ ნაპრალს ეძახიან ყიას;ყიის გაგრძელებას წარმოადგენს სამკუთხი ნაპრალა ციკვიცბრ ხრტილებს შუა: ამას ეძახიან ხრტილებშუა ნაპრალს. ყიას შეუძლია ზილოს მრავალგვარი ფორმა — იწის მიხედვით, ნიაქლოცბლია ერთმანეთს თუ დაშორებული ერთმანეთისაგან სახმო სიმები და — რამდენად. შეიძლება ყიასრულიად დაიკეტოს, ხოლო ხრტილებშუა ნაპრალი ღაა დარჩეს.

გასათვალ იწინებელია ყიისა და ხრტილებშუა ნაპრალის ხუთი მთავარი მდგომარეობა: 1) ყია წარმოადგენს ფართო წაგრძელებულ სამკუთხედს (იხ. სურ. 6 და 9 A), — ესაა ჩვეულებრივი სუნთქვისას (მიაკტივებულს) ყურადღება, რომ ყია და ხრტილებშუა ნაპრალი გაერთიანებულია ერთ მთლიან ნაპრალად); 2) იგივე მდგომარეობა ყიისა და ხრტილებშუა ნაპრალისა, მაგრამ მთლიანი ნაპრალი უფრო ფართოა (იხ. სურ. 7 და 9 B), — ესაა ღრმა სუნთქვისას; 3) ყია და ხრტილებშუა ნაპრალი დაკეტილია, ე. ი.



სურ. 6.  
სახმო სიმები სქემატურად ჩვეულებრივი ნაწილი სუნთქვის დროს

სახმო სიმებიც და ხრტილებიც ერთმანეთზეა მიდებული (იხ. სურ. 8 და 9 D); ამომდინარე ჰაერნაკადი ზედიზედ ჯახებით აათრთოლებს სახმო სიმებს



სურ. 7.  
სახმო სიმები სქემატურად ღრმა სუნთქვის დროს

(იხ. სურ. 10), — ესაა სახმო მდგომარეობა; 4) დაკეტილია ყია, მაგრამ ღიაა ხრტილებშუა ნაპრალი (იხ. სურ. 9 C), — ესაა ჩურჩხლის მდგომარეობა (ჩურჩხული შესაძლებელია აგრეთვე ყიაში, თუ ყია ვიწროდაა და სიმები მოღუნებული); 5) ყია და ხრტილებშუა არე დაკეტილია (როგორც მესამე მდგომარეობაში) და ჰაერნაკადის ამომდინარეობა სრულებით შეწყვეტილია (იხ. სურ. 8 და 9 D), — ესაა მდგომარეობა ყელბშულ თანხმონათათვის.


### გ. ხახა-ცხვირ-პირის ღრუები

იმ ღრუებს შორის, რომლებიც მდებარეობს ხორხის ზემოთ, ყველაზე რთულია და სემიტყველო წარმოთქმისათვის მნიშვნელოვანი

პირის ღრუ (იხ. სურ. 11<sup>25</sup> და 12<sup>1</sup>); ის მდებარეობს ზედა და ქვედა ყბებს შუა და მოსაზღვრულია წინიდან ტუჩ-კბილებით (სურ. 11<sup>1,10</sup>), ზემოდან — სასით (11<sup>5,6</sup>), ქვემოდან — ენით (11<sup>13</sup>), გვერდებიდან — ლოყებიდან და კბილებით, ხოლო უკანიდან — რბილი სასით (11<sup>6,7</sup>).

დასახელებული მოსაზღვრე ნაწილების შესახებ საჭიროა ვიცოდეთ შემდეგი: ქვედა ყბა (სურ. 11<sup>12</sup>) მოძრავია და თავისი აწევ-დაწვეით ავიწროებს ან აფართოებს პირის ღრუს; კბილების ორი რიგი — ზედა (სურ. 11<sup>3</sup> და სურ. 13) და ქვედა (სურ. 11<sup>11</sup> და სურ. 14) წარმოადგენს პირის ღრუს უძრავ საზღვარს.

თითოეულ რიგშია: 4 საკრელი, 2 საკბეჩი, 4 მცირე ძირითადი და 6 ძირითადი. წარმოთქმაში მეტი მნიშვნელობა აქვს ზედა რიგის კბილებს.



სურ. 8.

სახმო სიძები სკემატურად ფონაციის დროს

კბილები ჩამჯდარია ბუდეებში, რომლებსაც ექიმები ნუნებს ანუ; ალვეოლებს ეძახიან (ფონეტიკაში ნუნებს ანუ ალვეოლებს ვეძახით. ზედა კბილების ზემოთ განობურ-ცულ ადგილებს, იხ. სურ. 11<sup>4</sup>); ტუჩები ანუ ბაგეები (ზედა — 11<sup>1</sup>, ქვედა — 11<sup>10</sup>) წარმოადგენენ პირის ღრუს წინა მოძრავ საზღვარს; ისინი მოქმედებენ ერთმანეთისა და კბილების მიმართ, მეტადრე, ქვედა ტუჩი ზედა კბილების მიმართ; სასა გამყოფელია პირის ღრუსი ცხვირის ღრუსაგან. ვასხვა-ვებთ წინა სასას უკანა სასისაგან:


წინა სასა, რომელიც იწყება ნუნებიდან, მაგარია (იხ. სურ. 11<sup>5</sup>); უკანა სასა, რომელიც იწყება მაგარი სასის გასაყარზე — ბოლო კბილების ხაზზე — და თავდება ნაქით (სურ. 11<sup>7</sup> და 13<sup>6</sup>), რბილია (11<sup>6</sup>); რბილ სასას ჰქვია აგრეთვე სასის ფარდა; რბილი სასა მოძრავია, ხოლო მაგარი სასა — უძრავი. რბილი სასა აწესრიგებს ჰაერნაკადის მიმართულებას. მას შეუძლია აიწიოს და მიეზღინოს ხახის კედელს; ამით იგი გზას უკრავს ჰაერნაკადს ცხვირის ღრუსაკენ; მას შეუძლია მოდუნებულად დაეშვას; ამით იგი გზას აძლევს ჰაერნაკადს ცხვირის ღრუში გასასვლელად.

პირის ღრუში ყველაზე მოძრავი ორგანოა ენა (სურ. 11<sup>13</sup>). ამიტომ სამეტყველო წარმოთქმაში მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება; იგი მონაწილეობას იღებს თითქმის ყველა სამეტყველო ბგერის წარმოებაში. ენა წარმოადგენს მძლავრ მომრგვალო განიერ კუნთოვან ორგანოს, რომელიც მოკუმულ პირში თითქმის მთლიანად ავსებს პირის ღრუს. ენის წინა ნაწილი უფრო მოძრავია, ვიდრე ენის უკანა ნაწილი, რომე-

ლიც მიმაგრებულია ქვედა ყბისა და ენისქვეშა (11<sup>11</sup>) ძვლებზე. ამგვარად, ენის მეტად მოძრავი ნაწილი (წინაენა) ძვეს მაგარი (უძრავი) სასის პირდაპირ, ხოლო ენის ნაკლებ მოძრავი ნაწილი (უკანაენა) ძვეს რბილი (მოძრავი) სასის პირდაპირ.

ფონეტიკაში ენა გაყოფილია შემდეგ ნაწილებად: 1) ენის წვეტი (წინაენის წინაკიდე) — იმის მიუხედავად, წაწვეტილია ის თუ არა საწარმოთქმო მოძრაობის დროს. როდესაც ენის წვეტი აწეულია კბილების, ნუნების ან სასისაკენ, დაშენ დაინახება ენის ქვედა ზედაპირი; 2) ენის ტანი, რომლის ზედა ზედაპირს ეძახიან ენის ზურგს; ენის ზურგზე აღინიშნება: წინა, შუა და უკანა ნაწილები ენის ზურგისა, ანუ წინაენა, შუაენა და უკანაენა; 3) ენის ძირი, რომელიც მოქმედებს უმთავრესად ხახის კედლის მიმართ; 4) ენის გვერდითი კიდეები, რომლებიც მოქმედებენ კბილების რიგების მიმართ — ეხებიან, უახლოვდებიან ან შორდებიან მათ.

პირის ღრუს იმიტომ აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა ბგერათწარმოთქმაში, რომ 1) მასში მდებარეობს ძლიერ მოძრავი ორგანოები და 2) თვითონ პირის ღრუს შეუძლია მრავალგვარად იცვალოს თავისი მოყვანილობა. პირველის გამო მასში მრავალგვარი ფორმის ჩქამი შეიძლება წარმოიქმნეს




სურ. 9.

- ს ხმო სიმების უმთავრესი ძღვოშარეობანი სქემატურად:
- A — ჩვეულობრივი წყნარა: სუნთქვისას
  - B — ღრმა სუნთქვისას.
  - C — ჩურჩულისას.
  - D — საბმო მღვოშარეობა ან სიმების დაკეტილობა.
- 1—ფარისებრი ხრტილი; 2—მარცხენა ბეჯისებრი ხრტილი; 3—მარცხენა სახმო სიმი; 4—მთლიანი სახმო ნაპრაი; 5—ყია; 6—ხრტილებშუა ნაპრაი.

მრავალ თანხმოვანთა საწარმოებლად, ხოლო მეორის გამო პირის ღრუ წარმოადგენს მრავალი ტემბრის წარმომქმნელ წყაროს, რაზედაც ემყარება ხმოვანთა ურთიერთგანსხვავება.

მეორე ღრუ, რომელსაც აქვს ერთგვარი მნიშვნელობა ბგერათწარმოთქმისათვის, არის ხახა ანუ ხახის ღრუ (იხ. სურ. 12<sup>11</sup>). ის იწყება უკანიდან ხორხის ღრუს (11<sup>22</sup>) ზემოთ და გაერთიანებულია ზემოთ პირის ღრუსთან ხახისპირით (11<sup>23</sup>), ხოლო ცხვირის ღრუსთან (სურ. 11<sup>21</sup>) ცხვირ-ხახით. ხახა წარმოადგენს ღრუს, სადაც ერთმანეთს ხვდებიან სუნთქვისა და საკმლის ყლაპვის გზები. მაშასადამე, იგი ერთი მხრით წარმოადგენს საყლაპავი ნილის (11<sup>20</sup>) ნაწილს, ხოლო მეორე მხრით გადადის პირისა და ცხვირის ღრუებში. ხახის შუა ნაწილი მოსაზღვრულია წინიდან ენისძირის ზედაპირით, ხოლო უკანიდან — ხახის კედლით. აღსანიშნავია ორი რკალი, რომლებიც კარგად ჩანს სარკეში:



სურ. 10. კომპოზიციური მართობი, რომლებიც წარმოადგენენ სახმო სიმების თრთოლას (ვიბრაციას) სხვადასხვა სიმაღლის ბგერის წარმოქმნისას. ხეივანი მუხრის და ქვემოდას პირველი ქოიონბრტალურად მოცემული ვიბრაციები წარმოადგენენ მასშტაბს, — თითოეული კბილაკი უდრის 1/100 წანს.

წინაა სასა-ენის რკალი (11<sup>8</sup>), ხოლო უკანა — სასა-ხახის რკალი (11<sup>9</sup>). ხახის ღრუს ზედა ნაწილია ცხვირ-ხახის ღრუ (სურ. 11<sup>2</sup>). ცხვირ-ხახის ღრუ უერთდება ცხვირის ღრუს ორი ხერხელით, რომლებსაც ქოანები ეწოდება (შეად. სურ. 30 და 31).

მესამე მეტად ნიშნენლოვანი ღრუა ცხვირის ღრუ. იგი ძვეს პირის ღრუს თავზე (12<sup>3</sup>) და გაყოფილია მისაგან მაგარი სახის ძვლით; უერთდება ხახის ღრუს, როგორც ითქვამს, ცხვირ-ხახით. ცხვირის ღრუ გაყოფილია შუაზე ცხვირის ძვიდით. ცხვირის ხერხელებს ეძახიან ნესტოებს (წინიდან) და ქოანებს (უკან) — ხორხის ზემოთ მდებარე აქ აღწერილი ღრუები ცნობილია საერთო სახელწოდებით: — „ხესადგამი მელი“ (სურ. 12-ზე მოცემულია ხესადგამი ნილის შეუღლი კრილის მოდელი).

საწარმოთქმო ორგანოების აღწერილობის შემდეგ საჭიროა ვიცოდეთ, თუ როგორია მათ შორის აქტიური ორგანო და რომელი — პასიური.

აქტიურია ის საწარმოთქმო ორგანოები, რომლებიც ასრულებენ ბგერათწარმოთქმაში მთავარ როლს: ისინი მოძრაენი არიან და მოქმედებენ სხვა ორგანოების მიმართ, რომელნიც თავის მხრივ, ასრულებენ მხოლოდ დანებარე როლს; ეს უკანასკნელებია პასიური საწარმოთქმო ორგანოები.


აქტიური ორგანოებია: სახმო სიძები, ქვედა-ყბა, ენა (ყველა თავისი ნაწილით: ენის წვეტი, წინა, შუა და უკანაენა, ენისძირი), რბილი სასანაქითურთ, ხახის კედელი და ტუჩები. პასიური ორგანოებია: კბილები; ნუნები და მაგარი სასა. ზოგჯერ აქტიური ორგანო ასრულებს პასიურის როლს: ასეთია, მაგალითად, რბილი სასა გ—ქ—კ-ს წარმოთქმისას. ზოგჯერ რომელიმე ბგერის წარმოებაში



მონაწილეობს ორი აქტიური ორგანო: ასეთია, მაგალითად, ზედა და ქვედა ტუჩების მოქმედება ბ — ფ — პ-ს წარმოებაში.

### ბ. სანაკმოთქმო ორგანოების მოქმედება

ზემოაღწერილი საწარმოთქმო ორგანოების სათანადო მოქმედების შედეგია წარმოთქმის ელემენტების (ე. ი. სამეტყველო ბგერების, მათ



სურ. 11. ზესადაგამი მილის შვეული კრილი  
 1. ზედა ტუჩი. 2. ზედა ყბა. 3. ზედა კბილები 4. ზედა კბილების ნუნები. 5. მაგარი სასა. 6. რბილი სასა. 7. ნაქი. 8. სასის წინა (ანუ სასა-ენის) რკალი. 9. სასის უკანა (ანუ სასა ხახის) რკალი. 10. ქვედა ტუჩი. 11. ქვედა კბილები. 12. ქვედა ყბა. 13. ენა. 14. ენისქვეშა ძვალი. 15. ხორხსარკველი. 16. ფარისებრი ხრტილი. 17. ბეჭდისებრი ხრტილი. 18. ცრუ სიმები 19. სახშო სიმები. 20. საყლაპავი მილი. 21. სასუნთქი მილი. 22. ხოხხის ღრუ. 23. ხახისპირი. 24. ცხვირ-ხაზის ღრუ. 25. პირის ღრუ.

შეერთებათა, მახვილისა და ინტონაციის) წარმოქმნა. იმის გასათვალისწინებლად, თუ მოქმედების რა და რა შესაძლებლობები აქვს თითოეულ აღწერილ ორგანოს, საჭიროა გავეცნოთ ა) არტიკულაციასა და ორგანოთა ინდიფერენტულ მდგომარეობას, ბ) რესპირაციასა და ფონაციას, გ) ბგერათწარმოების სამ მომენტს, დ) საწარმოთქმო დაბრკოლებათა აღიღისა და რაგვარობას და ე) საარტიკულაციო ბაზისს.

## ა. არტიკულაცია და ინდიფერენტული მდგომარეობა

ბგერათწარმოთქმის დროს საწარმოთქმო ორგანოს თითოეული მოძრაობა ან მდგომარეობა არის არტიკულაცია. თითოეულ სამეტყველო ბგერას და მის ყოველგვარ სახესხვაობას აქვს თავისი საკუთარი არტიკულაცია, ე. ი. თავისი საკუთარი მოძრაობა ან მდგომარეობა. ამა თუ იმ ბგერას აღვიქვამთ მხოლოდ მაშინ, როცა მის არტიკულაციას ერთვის ჰაერნაკადის სათანადო მოძრაობა.

არტიკულაციის ამოსავლად ითვლება სამეტყველო ორგანოების ინდიფერენტული მდგომარეობა. ეს ის მდგომარეობაა, რომელშიც ორგანოები იმყოფება საწარმოთქმოდ ამოქმედებამდე. ამ მდგომარეობის დამახასიათებელია წყნარი სუნთქვა: შევისუნთქავთ და ამოვისუნთქავთ ცხვირით—პირმოკუმული (ზოგს ჩვეულება აქვს პირი ღია ჰქონდეს წყნარი სუნთქვის დროსაც და, მაშასადამე, სუნთქავდეს ცხვირითაც და პირითაც ერთჟამიერად). ცალკეული ორგანოები ინდიფერენტულ მდგომარეობაში შემდეგნაირად არიან მოწყობილი: 1) ხორხი თავახდილია, ე. ი. ხორხსარქველი ვერტიკალურადაა; 2) ყია ღიაა, ე. ი. სახმო სიმები დაშორებულია ერთმანეთს, როგორც ნაჩვენებია სურ. 9A-ზე, და ჰაერი უჩქამოდ ამომდინარეობს სასუნთქიდან; 3) რბილი სასა ჩამოშვებულია, და, მაშასადამე, ჰაერი შეისუნთქება და ამოისუნთქება ცხვირის გზით, თუ პირი მოკუმულია; 4) ენა ძვეს უძრავად ქვედა კბილებთან და ეხება ზედა კბილების რიგსაც, თუ პირი მოკუმულია; 5) ტუჩები დახურულია.


საჭიროა ვიცოდეთ, რომ რომელიმე ორი ენა (მაგ., ქართული და რუსული) ან ორი დიალექტი (მაგ., ხევსურული და გურული) განსხვავებულია მეტ-ნაკლებად ერთმანეთისაგან სამეტყველო ორგანოების ინდიფერენტული მდგომარეობით, რამდენადაც ეს მდგომარეობა აქტივიზირდება, ე. ი. უშუალოდ წინ უძღვის წარმოთქმას (იხ. ქვემოთ საარტიკულაციო ბაზისი, გვ. 47 და შემდ.).

## ბ. რესპირაცია და ფონაცია

ჩვეულებრივი წყნარი სუნთქვა, ანუ რესპირაცია, შეიცავს ორ თითქმის თანასწორი ხანგრძლიობის მოძრაობას—შესუნთქვას (ინსპირაციას) და ამოსუნთქვას (ექსპირაციას): ამოსუნთქვა ოდნავ უფრო ხანგრძლივია შესუნთქვაზე.

რესპირაციისაგან განსხვავებულია სამეტყველო სუნთქვა ანუ ფონაცია.

სპეციალურ ფონეტიკურ ლიტერატურაში ტერმინი „ფონაცია“ იხმარება წარმოთქმის მნიშვნელობით. ამ მნიშვნელობით ჩვენ მას არ ვხმარობთ. ფონაციას, როგორც სუნთქვას, აქვს იგივე ორი მომენტი — ინსპირაცია და ექსპირაცია. მაგრამ ფონაცია, როგორც სამეტყველო სუნთქვა, განსხვავდება რესპირაციისაგან, როგორც ჩვეულებრივი წყნარი სუნთქვისაგან, შემდეგით: 1) რესპირაცია ავტომატურია (უნებური), ფონაცია — ნებისმიერი, 2) რესპირაციაში შესუნთქვის ხანგრძლიობა თითქმის უდრის ამოსუნთქვისას (იხ. ზემოთ), ხოლო ფონაციაში შესუნთქვა გაცილებით ნაკლებ ხანგრძლივია ამოსუნთქვაზე: ფონაციაში შესუნთქვა ხდება სწრაფად, ერთბაშად, ხოლო ამოსუნთქვა—



სურ. 12. ხესადგავი მილის შვეული კრილის მოდელი  
I—პირის ღრუ; II—ხახის ღრუ; III—ცხვირის ღრუ.

დაყოვნებით, თანდათანობით; ეს იმიტომ, რომ ფილტვებში შესუნთქული ჰაერის მარაგი იხარჯება წარმოთქმის დროს თანდათანობით, მოზოგვით; 3) რესპირაცია ხდება უმეტესად ცხვირით, ხოლო ფონაცია — უმეტესად პირით (იხ. ზემოთ).

სუნთქვის (როგორც რესპირაციის, ისე ფონაციის) პროცესი მდგომარეობს, როგორც ზემოთ ითქვა, შემდეგში: შუასაძგიდის შეკუმშვა და მისი ამის გამო ძირს დაწევა იწვევს გულმკერდის ღრუს გადიდებას; ამის შედეგია ფილტვების გაფართოებაც და ამის გამო გარედან (ატმოსფერული) ჰაერის შესუნთქვა (ინსპირაცია). იმავე შუასაძგიდის მოშვება და ამის გამო გუმბათისებრ მისი ზევით ამოწევა აპატარავენს გულმკერდის ღრუს; ამიტომ მასში მდებარე ფილტვები იკუმშება და გამოდევნის ჰაერს გარეთ: ესაა ამოსუნთქვა (ექსპირაცია). სუნთქვის ასეთი პროცესი გულისხმობს გულმკერდის გადიდება-დაპატარაებას ვერტიკალურად. სუნთქვის ასეთ ტიპს ეძახიან აბდომინალურ (მუცლით) სუნთქვას. გარედან ჩანს (და შეიგრძნობა მუცელზე ხელის დადებით) მუცლის გამოწევა (შესუნთქვისას) და შეწევა (ამოსუნთქვისას).

გულმკერდის ღრუს გადიდება-დაპატარაება შეიძლება ხდებოდეს აგრეთვე ჰორიზონტალურადაც — ნეკნების აწევ-დაწევის გზით, ნეკნთაშუა კუნთების შეკუმშვა-მოშვებასთან დაკავშირებით. სუნთქვის ამ მეორე ტიპს ჰქვია კოსტალური (ნეკნებით) სუნთქვა.


უკვე ზემოთაც იყო ნათქვამი, რომ ბგერათწარმოთქმა მეტწილად გულისხმობს ფილტვებიდან ამოსუნთქულ ჰაერნაკადს. მაშასადამე, ბგერათწარმოთქმა ჩვეულებრივ ექსპირაციულია.

საერთოდ, ბგერა შეიძლება წარმოიქმნეს შესუნთქვითაც — ინსპირაციულად. ამის ნიმუშად გამოდგება, მაგ., ცხენის ხეიხინი, ადამიანის ხვრინვა, შესუნთქული სტვენა, გაოცების ან შეშინების ბგერა („აჲ“), მწვავე ტკივილის ან შეციების ბგერა („სსს...“) და ზოგიც სხვა; მაგრამ არც ერთი მათგანი ჩვეულებრივ არაა სოციალურად ღირებული სამეტყველო ბგერა, ფონემა. შეგვიძლია ჩვეულებრივი სამეტყველო ბგერებიც კი ვთქვათ ინსპირაციულად, მაგრამ არც ესენი ჩაითვლება ნორმალური მეტყველების ბგერებად.

მეორე მხრით, შესაძლებელია ბგერათწარმოთქმა ურესპირაციოდაც, ექსპირაცია-ინსპირაციის გარეშეც; მაშასადამე, ისე, რომ ფილტვებიდან ხორხის გზით ჰაერნაკადი არ ამომდინარეობდეს: ბგერა შეიძლება წარმოიქმნას ჰაერის იმ მარაგით, რომელიც ზესადგამ მილშია. ასეთია, მაგ., ეგრეთ წოდებული წლაპუნა ბგერები: კოცნა, წრუპუნა, „წ“ (ხალხური ქართული უარყოფის ნაწილაკი, რომელსაც ამ სახით სწერენ ხოლმე) და ზოგიც სხვა. მათი წარმოთქმისას ყია და ხრტილებშუა ნაპრალი დაკეტილია, რის გამოც შეწყვეტილია ჰაერნაკადის ამომდინარეობა; შესაძლოა ყია და ხრტილებშუა ნაპრალი ღიაც იყოს, მაგრამ ჰაერის მოძრაობა ხორხიდან არ ხდებოდეს. ეს თანხმობის ნსგავსი წლაპუნა ბგერები, რომელთაგან ზოგიერთი გამოყენებულია მეტყველებაში (მაგ., ზოგ სამხრეთ აფრიკის ენაში), აკუსტიკურად მოგვაგონებს ინსპირაციულ ბგერებს, რადგანაც ჰაერი შეიწოვება გარედან. მათ შეწოვნილ ბგერებს უწოდებენ.

ურესპირაციო (უსუნთქველი) ბგერათწარმოთქმა შეიძლება არსებობდეს შეწოვნილ ბგერათა გარეშეც. ასეთია, მაგ., კავკასიური ენების (კერძოდ — ქართულის) ე. წ. ყელხშული თანხმოვნები, რომლებიც აგრეთვე ურესპირაციოდ იწარმოებიან, მაგრამ განსხვავდებიან წლაპუნასა და შეწოვნილებისაგან იმით, რომ მათი წარმოებისას ჰაერი გამოიდევნება პირის ღრუდან გარეთ და არა პირიქით, როგორც ეს ხდება წლაპუნათა და შეწოვნილთათვის.

მაგ., ქართულ ენას აქვს ექვსი უსუნთქველი თანხმოვანი (პ — ტ — წ — ჭ — კ — ყ), რომელთაც აკუსტიკური თვალსაზრისით დაერქვა მკვეთრი თანხმოვნები. მათვე და ანალოგიურ თანხმოვნებს ეძახიან ყელ-



სურ. 13.

ს ა ს ა ზ ე ჯ ა კ ბ ი ჯ ე ბ ი ს რ ი გ ი თ: 1—საკრელები (შუა და გვერდით); 2—საკბეჩი (ანუ ეშვი); 3—მცირე ძირითადები; 4—ძირითადები; 5—რბილი სასა; 6—წაქი; 7—საბა-ხახის რკალი; 8—სა-სა-უნის რკალი; 9—მაგარი სასა.

ხშულებს ან „ხორხზედა ექსპირაციულ“ თანხმოვნებს (ნ. იაკოვლევი). რადგანაც ისინი, ისე როგორც წლაპუნა და შეწოვნილი ბგერები, სტოვენ ერთ ბაშის წყვეტის შთაქედვითებას, ამიტომ მათ ვუწოდეთ აბრუპტიული თანხმოვნები ანუ, მოკლედ, აბრუპტივები (ლათ. abruptio 'მოგლეჯა, მოწყვეტა'). ამგვარად, ბგერათა უმრავლესობა საერთოდ ენებში რესპირაციულია ანუ სუნთქვიერი, მაგრამ ზოგჯერ აქვს უსუნთქველი ბგერებიც (იხ. ქვემოთ, გვ. 78).

## 3. ბგერის წარმოთქმის საში მომენტი

როგორც ქვემოთ დაენახავთ, წარმოთქმულ სიტყვაში ცალკეული ბგერის ხანგრძლიობა არ აღემატება წამის (სეკუნდის) რამდენიმე მეასედ ნაწილს, მაგრამ ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს დავადასტუროთ, რომ ცალკეული ბგერა ამ მცირე მანძილზეც შეიძლება არ იყოს ერთნაირი: თავში შეიძლება სხვაგვარი იყოს, შუაში — სხვა და ბოლოში კიდევ სხვა. ამიტომ ფონეტიკაში მიღებულია ცალკეული ბგერის სამ მომენტად წარმოდგენა: პირველ მომენტს ჰქვია ექსკურსია ანუ შემართვა, მეორეს — მწვერვალი ანუ დაყოვნება, მესამეს — რეკურსია ანუ დამართვა. ბგერის ასე დანაწილებულად წარმოდგენას ის აზრი აქვს, რომ, გარდა ზემოხსენებულისა (ბგერის ნაწილების ერთმანეთისაგან განსხვავებულობა), ერთ რომელიმე ენას შეიძლება სხვა ჩვეულება ჰქონდეს ბგერის დაწყება-გათავებისა (შემართვა-დამართვისა), ვიდრე რომელიმე სხვა ენას (იხ. ქვემოთ, გვ. 104 და შემდ.).

განყენებულად თუ წარმოვიდგინოთ ცალკეული ბგერის არტიკულაციის ანუ წარმოთქმის პროცესს, ეს სამი მომენტი წარმოიდგინება შემდეგნაირად: სამეტყველო ორგანოები გამოდიან ინდიფერენტული მდგომარეობიდან, რომელიც, როგორც ითქვა, უშუალოდ წინ უძღვის არტიკულაციას; მოეწყობიან წარმოსათქმელი ბგერის საწარმოებლად და შეუდგებიან მისთვის მოქმედებას ჰაერნაკადის სათანადო მოძრაობის დართვით. ყველაფერი ეს ხდება ერთბაშად, წამის მეასედი ნაწილების განმავლობაში: ესაა სამეტყველო ბგერის წარმოთქმის პირველი მომენტი — ექსკურსია ანუ შემართვა ბგერისა.


მეორე მომენტში, რომელსაც ბგერის მწვერვალს ანუ დაყოვნებას ვეძახით, ორგანოები შეასრულებენ წარმოსათქმელი ბგერისთვის საჭირო მოძრაობას; მეორე მომენტი უფრო ხანგრძლივია პირველზე და მესამეზე. მესამე მომენტში ორგანოები უბრუნდებიან ინდიფერენტულ მდგომარეობას: ესაა რეკურსია ანუ დამართვა ბგერისა.

სინამდვილეში ეს სამივე მომენტი სრულად შეიძლება ჩანდეს მხოლოდ განცალკევებულად წარმოთქმულ ბგერაში, რაც იშვიათი მოვლენაა; ე. ი. ნორმალურ მეტყველებაში ბგერა წარმოითქმის სიტყვაში და არა განცალკევებულად. ამიტომ პირველ მომენტს ვამჩნევთ იმ ბგერაში, რომლითაც იწყება ლაპარაკი ან ცალკე თქმული სიტყვა; აგრეთვე მესამე მომენტს ვამჩნევთ იმ ბგერაში, რომლითაც ვათავებთ ლაპარაკს ან ცალკე თქმულ სიტყვას. ბგერის მეორე მომენტი კი ჩანს ყოველთვის, რადგანაც ისაა მისი სხვა ბგერისაგან განმასხვავებელი ნაწილი.

ამ სამ მომენტში ყველაზე ხანგრძლივია მეორე მომენტი. მისი შედარებითი ხანგრძლიობა შეგვიძლია წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად: თუ დავუშვებთ, რომ ერთი ბგერის წარმოსათქმელად საჭიროა წამის  $\frac{1}{60}$ ,

მაშინ შემართვის ხანგრძლიობა იქნება  $\frac{1}{60}$  წამი, დაყოვნებისა  $\frac{3}{60}$  წამი და დამართვისა  $\frac{1}{60}$  წამი.

ბგერის წარმოქმნის სამი მომენტი ერთნაირად შეეხება როგორც თანხმოვანს, ისე ხმოვანს. განსხვავებულია ამისაგან ცნება სამი ფაზის („იმპლოზია—ოკლუზია—ექსპლოზიის“) შესახებ: აქაც სამი მომენტია, მაგრამ 1) ეს შეეხება მხოლოდ ხშულ თანხმოვნებს და 2) იმპლოზია ხშულისა შეიცავს ორგანოთა საწარმოქმო დახშვის მომენტს, ექსპლოზია — განხშვის მომენტს, ხოლო იმპლოზიისა და ექსპლოზიის შუაშეარის ოკლუზიური (ე. ი. ხშვითი) დაყოვნება (ფრანგ. *implosion*: ‘ჩაგუბება’, *occlusion* ‘დაკეტვა’, *explosion* ‘სკდომა’).



სურ. 14.

ქვედა კბილების რიგი: 1—საკრელები; 2—საკუჭი (ანუ ეზვი); 3—პირე ძირითადები; 4—ძირითადები.


თვალსაჩინოებისათვის ბგერის წარმოქმნის სამი მომენტი შეგვიძლია სქემატურად ასე წარმოვიდგინოთ (იხ. სურ 15):

AB არის შემართვა, BC — დაყოვნება, CD — დამართვა. მათი შეფარდებითი ხანგრძლიობა ჩანს AD ხაზზე: AO არის შემართვის ხანგრძლიობა ( $\frac{1}{60}$  წ.), OM — დაყოვნებისა ( $\frac{3}{60}$  წ.) და MD — დამართვისა ( $\frac{1}{60}$  წ.)

მაგრამ ეს სქემაც არ იძლევა სრულ წარმოდგენას ბგერის სამი მომენტის შესახებ, რადგანაც ამ სქემით იგულისხმება ცალკე წარმოქმული ბგერა. სინამდვილეში უფრო ჩვეულებრივია ბგერა აკომპლექსში, ე. ი. როცა ბგერას წინაც უძღვის და შემდეგაც მისდევს რომელიმე


სხვა ბგერა. ასეთ შემთხვევაში არ გვაქვს სქემისებური არც შემართვა და არც დამართვა.

მაგ., სიტყვაში დრო დ ბგერის შემართვა იწყება ინდიფერენტული მდგომარეობიდან და ამიტომ ეს შემართვა ნორმალურია; მაგრამ რ ბგერის შემართვა იწყება არა ინდიფერენტული მდგომარეობიდან, არამედ დ ბგერის ჯერ დაუმთავრებელი დამართვიდან: მომდევნო რ-ს შემართვამ არ დააცადა დ-ს დამართვა დაესრულებინა; თავის მხრივ



სურ. 15.

არც რ-ს შემართვაა სრული; არაა სრული არც დამართვა რ-სი, რადგანაც მომდევნო თ-ს შემართვამ არ დააცადა რ-ს დამართვა დაესრულებინა. არც თ-ს აქვს სრული შემართვა, რადგანაც იგი არ იწყება ინდიფერენტული მდგომარეობიდან; მას აქვს სრული მხოლოდ დამართვა. სიტყვა დრო-ს წარმოთქმაში მომენტების თანამიმდევრობა ჩანს შემდეგი სქემიდან (სურ. 16).



სურ. 16.

ამ სქემიდან ჩანს შემართვა-დამართვის ურთიერთობა უშუალო მეზობლობაში მყოფ ბგერათა: მომდევნო ბგერის შემართვა ეჯახება და ერთვის წინა ბგერის დამართვას; აქედან გამომდინარეობს ერთი ბგერის გავლენა მეორეზე, მეზობელ ბგერათა ურთიერთ გავლენა: მომდევნოსი წინაზე და წინასი მომდევნოზე. თუ გავითვალისწინებთ, რომ მეტყველების პროცესში ყოველი ბგერა რომელიმე სხვა ბგერის მეზობლობაშია (უმეტესად ორმაგ მეზობლობაში—წინასთან და მომდევნოსთან, ხოლო ცალმაგ მეზობლობაში მუდამ—ან მომდევნოსთან და ან წინასთან), ადვილად წარმოვიდგენთ, რომ ყოველი ბგერა მეზობელი ბგერის გავლენის სფეროშია: თვითონაც განიცდის გავლენას და გავლენას ახდენს სხვაზეც. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ბგერათცვლილების უნიშვნელოვანი ნაწილი ამ ნიადაგზე აიხსნება.



## დ. საწარმოთქმო დაბრკოლებათა აღვილი და რაგვარობა

სამეტყველო ბგერის წარმოებაში დიდ როლს ასრულებს დაბრკოლება, რომელსაც უქმნიან საწარმოთქმო ორგანოები ჰაერნაკადს ზესადგამ მილში.

ჰაერნაკადის დაბრკოლება ხდება ზესადგამი მილის სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვაგვარად.

ამიტომ განასხეავენ სამეტყველო ბგერების წარმოების ადგილსა და წარმოების რაგვარობას.

ბგერის წარმოების ადგილს ეწოდება სახელი იმ ორგანოსი ან ორგანოს იმ ნაწილისა, რომელიც მონაწილეობს ამ ბგერის საწარმოთქმო დაბრკოლების შექმნაში (მაგ., ბაგისმიერია ბგერა, როცა მონაწილეობენ ტუჩები; წინაენისმიერია, როცა მონაწილეობს ენის წინა ნაწილი); ხოლო ბგერის წარმოების რაგვარობას აღნიშნავენ იმის მიხედვით, თუ რა სახის დაბრკოლებას ჰქმნის ორგანო ან მისი ნაწილი სხვა ორგანოს დახმარებით (მაგ., ნაპრალოვანია ბგერა, როცა ორგანოები ჰქმნიან ნაპრაღს; ხშულია, როცა ორგანოები კეტავენ ჰაერნაკადის გამოსაველ გზას).

### 1. დაბრკოლებათა აღვილები

თუ ჰაერნაკადს დაბრკოლებას შევუქმნით, მაგ., იმ ადგილას, სადაც უკანაენა ებჯინება რბილ სასას (იხ. სურ. 17), და თუ ეს დაბრკოლება



სურ. 17:—გ—ქ—კ

იქნება დაკეტილობის ანუ დახშულობის სახისა, როგორც სურათზეა ნაჩვენები, მაშინ წარმოიქმნება ერთ-ერთი ამათგანი: გ—ქ—კ, ე. ი. უკანაენისმიერნი; თუ იმავე ადგილას დაბრკოლებას მივსცემთ არა დაკეტილობის (დახშულობის) სახეს, არამედ ნაპრაღისას (იხ. სურ. 18), მაშინ წარმოიქმნება განსხეავებული ბგერა, სახელდობრ, იმავე ადგილას ერთ-ერთი ამ ნაპრაღოვანთაგანი: ლ—ხ.

თუ ჰაერნაკადს დაბრკოლება დახვდება სხვა ადგილას, მაგ., იქ, სადაც წინაენა ებჯინება ზედა კბილებს (იხ. სურ. 19), და თუ ეს დაბრკოლება იქნება დაკეტილობის (დახშულობის) სახისა, როგორც სურათზეა



სურ. 18: ღ-ბ

ნაჩვენები, მაშინ წარმოიქმნება სრულიად სხვა ბგერა, ვიდრე წინა შენთხვევებში; სახელდობრ, ერთ-ერთი ენაკბილისმიერი ხშული: ღ — თ — ტ; ხოლო ამავე ადგილას ნაპრალის შემთხვევაში (იხ. სურ. 20) წარმოიქმნება სხვა ბგერა, სახელდობრ, ერთ-ერთი ენაკბილის ნაპრალოვანი: ზ — ხ.

მაშასადამე, ბგერები (აქ თანხმოვნები) განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ჯგუფ-ჯგუფად — დაბრკოლების ადგილითა და რაგვარობით. მაგ., ჯგუფი ბ — ფ — ჰ (იხ. სურ. 21) განსხვავდება


ღ — თ — ტ ჯგუფისაგან (იხ. სურ. 19) დაბრკოლების ადგილით, ხოლო ჯგუფი გ — ქ — კ (სურ. 17) განსხვავდება ღ — ხ-საგან (იხ. სურ. 18) დაბრკოლების რაგვარობით; ჯგუფი გ — ქ — კ განსხვავდება ზ — ხ ჯგუფისაგან როგორც ადგილით, ისე რაგვარობით და ა. შ.



სურ. 19: ღ-თ-ტ

რა განსხვავებაა თითოეულ ჯგუფში შემავალ თანხმოვანთა შორის? როცა ჯგუფი წყვილიანია (მაგ., ქართ. ზ — ხ, სურ. 20), პირველი მუდერია, მეორე ყრუ, ე. ი. პირველისათვის სახმო სიმები პერიოდულად ეღერს ჰაერნაკადის ქვემოლან ჯახებით (იხ. ზემოთ გვ. 19 და სურ. 10) მეორისათვის — არა.


ასეთივეა წყვილები ფ—შ (მეღერი — ყრუ), ღ—ხ (მეღერი — ყრუ). ხოლო როცა ჯგუფში სამი თანხმოვანია (მაგ., ქართ. ბ — ფ: — პ, სურ. 21 ), პირველია მეღერი (ბ), მეორე და მესამე (ფ — პ) ყრუ (ე. ი. სახმო სიმები არ ეღერს): პირველი მათგანი (ფ) ფშვინვიერია (ე. ი. სახმო სიმები ღიაა ცოტა ხანს ტუჩების გაპობის შემდგომ და



სურ. 20: ხ—ს

იქიდან ამოდის ფშვინვისებრი ჩქამი), მეორე (პ) — ყელხშული ანუ აბრუბტივი (იხ. ზემოთ გვ. 27).

ანალოგიურია ჯგუფები ლ — თ: ტ (მეღერი — ყრუები: ფშვინ-




სურ. 21: ბ—ფ—პ

ვიერი — აბრუბტივი), ძ — ც: წ, ჯ — ჩ: ჰ და გ — ქ: კ. (დაწერილებით ქვემოთ).

ბგერათსაწარმოებელი ადგილი ზესადგამ მილში ბევრია, მაგრამ არც ერთ ცალკეულ ენაში არაა გამოყენებული ყველა: თითოეული ენა იყენებს მხოლოდ რამდენიმე განსაზღვრულ ადგილს.

დავასახელებთ მათგან უმთავრესებს. გამოსავალია, რასაკვირველია, ქართულ ბჰერათა წარმოების ადგილები.

ნიშუშები მოყვანილია უმთავრესად თანხმოვნებზე. ორგანოებში კირველად დასახელებულია აქტიური ორგანო.




სურ. 22: ვ—ფ.

1) ტუჩები — ერთმანეთის მიმართ (იხ. სურ. 21); წარმოითქმება ამგვარად წყვილბაგისმიერი ანუ ბილაბიალური თანხმოვნები: ბ—ფ—პ (ლათ. *labium* 'ტუჩი', *labialis* 'ტუჩებისმიერი, ანუ უკეთ 'ბაგისმიერი').

ტუჩების წყველად აქტიურ მონაწილეობას ხმოვანთა წარმოთქმაში ვეძახით ლაბიალიზაციას: ტუჩები წინ წამოიშვირებიან მეტნაკლებად ვიწროდ მომრგვალებული.


ქვედა ტუჩი — ზედა კბილების მიმართ (სურ. 22): წარმოითქმება ბაგე-კბილისმიერი ანუ ლაბიოდენტალური, მაგ., ვ — ფ (ლათ. *dens* 'კბილი', *dentalis* 'კბილისმიერი').



სურ. 23: ქ—შ.


2) წინაენა (ანუ ენის ზურგის წინა ნაწილი) — კბილების მიმართ (იხ. სურ. 19): წარმოითქმება წინაენისმიერი (ანუ დორსალური — ლათ. *dorsum* 'ზურგი', *dorsalis* 'ზურგისა') დ — თ — ტ, რომელთაც ეძახიან აგრეთვე კბილისმიერს ანუ დენტალურს; ამავე ადგილას იწარმოება აგრეთვე ზ — ს (იხ. სურ. 20), თუ ნაპრალია (და არა ხშვა; როგორც დ — თ — ტ-სთვის).

ენისწვერი — ნუნების მიმართ (იხ. სურ. 25): წარმოითქმება ჟ — შ, თუ ნაპრაღია, როგორც ჩანს სურ. 23-ზე; ან წარმოითქმება ინგლ. d — t, თუ ხშვაა, როგორც ჩანს სურ. 24-ზე; ამათ (ენისწვერის-მიერებს) ეძახიან აპიკალურ (ლათ. apex 'წვეტი', apicalis 'წვეტისე-



სურ. 24. ინგლ. d—t.


ბრი') თანხმოვანს — ენის ფორპის მიხედვით, ხოლო ნუნისმიერს ანუ ალვეოლარულს (ლათ. alveoli 'ალვეოლები', alveolaris 'ალვეოლარული') — პასიური ორგანოს მიხედვით.



სურ. 25: ბ—შ.

ენისწვერი ზედა კბილების მიმართ აწარმოებს გასწვრივ ნაპრაღს, ან ენის წვერი გამოშვერილია კბილებს შუა (იხ. სურ. 25); ორივე შემთხვევაში წარმოითქმის ინგლისური ე. წ. ინტერდენტალური ანუ კბილთა შუა თანხმოვანი th; მეღერი: to breathe—წარმოათქმის თ


ბრი (სახელი) 'სუნთქვა' (ზმნა); ყრუ: breath—წარმოითქმის ბრე 'სუნთქვა'. მაშასადამე, ენისწვერი შეიძლება არ იმყოფებოდეს კბილებს შუა-ენისწვერი გადალუნულია ზემოთკენ და მისი ქვედა მხარე ებჯინება შაგარ სასას (იხ სურ. 26): წარმოითქმება ე. წ. ცერებრალური



სურ. 26: d—t.

(ლათ. *cerebralis* 'ტვინისა') ანუ კაკუმინალური (ლათ. *caecuminalis* 'ნწვერვალისა') d—t თანხმოვნები (ეს ბგერები იყო ძველ ინდურში, დღეს აქვს ბენგალურს).

შუაენა (ენის ზურგის შუა ნაწილი). აწარმოებს ნაპრალს მაგარი



სურ. 27: j—x.


სასის მიმართ (იხ. სურ. 27): წარმოითქმება შუაენისმიერი ანუ პალატალური თანხმოვანი (მასვე ეძახიან რბილს ანუ მაგარისა-სისმიერს); მაგ., გერმანული ყრუ ch (ფონეტიკურად x) სიტყვაში ich და რუსულში მეღერი j, მაგ., პირველი ბგერა სიტყვაში яма (jama), და ქართ. ჯ (იხ. პალატალიზაცია, გვ. 111 და შემდ.).

3) უკანაენა — რბილი სასის მიმართ (სურ. 17): წარმოითქმება უკანაენისმიერი ანუ რბილისასისმიერი ხშულები გ — ქ — კ, რომელთაც ეძახიან აგრეთვე ველარულს (ლათ. velum 'ფარდა სასისა') აქვე წარმოითქმება ლ — ხ (სურ. 18).

4) რბილი სასა ნაქითურთ — უკანაენის (ენის ზურგის უკანა ნაწილის) მიმართ: წარმოითქმება ე. წ უეულარული (ლათ. uvula 'ნაქი') რ (იხმარება, მაგ., ფრანგულში), რომელიც ცნობილია „მოქცეული“ რ-ს სახელწოდებით (r grassé) (იხ. ქვემოთ გვ. 40 და შემდ.).

5) ენისძირი — ხახის კედლის მიმართ: წარმოითქმის, მაგ., ქართ. ფარინგალური ჯ — ყ (იხ. ქვემოთ გვ. 86).

6) სახმო სიმები — ერთმანეთის მიმართ ხშვა-სკდომით: წარმოითქმის „ყელისმიერი“ ანუ ლარინგალური ხშული, მაგ., მეგრ.:



სურ. 28.

სასის დაყოფა:

I—მაგარი სასის წინა ნაწილი; II—შუა სასა; III—რბილი სასის წინა ნაწილი; IV—რბილი სასის უკანა ნაწილი. კბილების გასწვრივ პუნქტირი წარმოადგენს აღვეოლებს ანუ ნუნებს. ქვედა პუნქტირით შემოჯარვულია რბილი სასის ის ნაწილი, რომელსაც ვერ სწვდება ხელოვნური სასა.



სურ. 29.

ხელოვნური სასა

„ე ან“ ნიშნით ცნობილი მაგარი შემართვა ხმოვნისა გერმანულში.

სახმო სიმები ერთმანეთის მიმართ ნაპრალოთ: წარმოითქმის მ ტიპის ნაპრალოვანი ლარინგალები. (ხმოვანთა წარმოებაში აქ ჩამოთვლილ ორგანოთა მონაწილეობის შესახებ იხ. თავი მეორე, II).

დაბრკოლების ადგილის საკვლევად, ე. ი. იმის ზუსტად დასადგენად. თუ პირის-ღრუს ზედა კედლის (კბილების, ნუნების და სასის) რომელ ადგილას სდება დაბრკოლება ენის ზედაპირის მასთან შეხებით, ჩვენ ვიყენებთ ე. წ. ხელოვნურ სასას. ესაა თხელი (3 მმ.) და მსუბუქი ლითონისაგან დანზადებული საკვლევი იარაღი, რომელიც წარმოადგენს პირის ზედა კედელზე მისადგმელ მოფელს გარკვეული პიროვნების სასისას. სასურველია, მოდელი იყოს შავი ფერისა, რადგანაც პირში შეტანის წინ იგი ოდნავ დაიფარება ხოლმე თეთრი ფხვნილით (ტალკით). წარმოითქმის დროს ენას

ესა თუ ის ნაწილი (წარმოსათქმელი ბგერის შესაფერისად) შეეხება ხელოვნური-სასის შესაფერ ადგილს და დაასველებს მას.

წარმოთქმის შემდეგ ხელოვნური სასა გამოილება პირიდან ფრთხილად და წინასწარ მომზადებულ შაბლონზე გადაიტანება ის ადგილები, სადაც შეეხო ენა. საორიენტაციოდ ხელოვნურ სასახე (და შაბლონზე) აკეთებენ ნახვრეტებს. (იხ. სურ. 28, 29).

ამგვარად მიიღება პ ა ლ ა ტ ო გ რ ა მ ა, რომელიც თან ახლავს თითქმის ყველა-სქემას მარცხნივ (იხ. სურ 17, 19, 21, 23—27).

## 2. დაბრკოლებათა რაგვარობანი

დაბრკოლებათა სახეების ანუ დაბრკოლებათა რაგვარობის რიცხვი უფრო ცოტაა. მაგ., ქართულში ჩვენ ვარჩევთ დაბრკოლებათა ოთხ რაგვარობას: 1) ხშულობას, 2) ნაპრალოვნობას, 3) შერეულ-რაგვარობას ანუ ხშულობა-ნაპრალოვნობას და 4) ღიაობას.

### 1) ხშულობა

საწარმოთქმო დაბრკოლების ერთი რაგვარობაა ხშულობა. იგი წარმოადგენს ჰაერნაკადის ჩაკეტვას საარტიკულაციო (საწარმოთქმო) ორგანოებით. დამკვეთ ორგანოთაგან ერთია, ჩვეულებრივ, აქტიური, მეორე — პასიური. მაგ., წინაენა ებჯინება კბილებს დ-სათვის: პირველია აქტიური ორგანო, მეორე — პასიური. ან, მაგ., ტუჩები ეკვრიან ერთმანეთს ბ-სათვის: ორივე ტუჩი აქტიურია, მაგრამ ქვედა ტუჩის აქტიურობა მეტია.

ყოველ დახშვას, ჩვეულებრივ, მოსდევს მისი განხშვა, გაღება ანუ „სკდომა“. ხშვის შესაფერია სკდომაც: რაც უფრო მტკიცეა ხშვა, მით უფრო სწრაფი და ენერგიულია სკდომაც და, პირიქით; თუ ხშვა სუსტია და მოდუნებული, სკდომაც სუსტი იქნება: ზოგ ენაში ხშულები განსხვავებულია ერთმანეთისაგან ხშვა-სკდომის ენერგიულობით.

ხშვა-სკდომის შედეგად გვაქვს ხშულ-მსკდომი თანხმოვნები. ასეთია, მაგ., ქართულის ხუთი სრული ჯგუფი (1. ბ — ფ — პ, 2. ღ — თ — ტ, 3. შ — ც — წ, 4. ჯ — ჩ — ჭ და 5. გ — ქ — კ) და მეექვსე დეფექტიანი ჯგუფი (6 — ყ).

მეგრულში გვაქვს სახმო სიმების ხშულ-მსკდომი თანხმოვანი (ყ). რუსულში არის მხოლოდ ხშულ-მსკდომთა შემდეგი ჯგუფები: 1. ნ — მ, 2. ლ — რ, 3. ა, 4. ყ, 5. რ — კ (მესამესა და მეოთხეს არა აქვს შესაფერი მქლერები, ხოლო აბრუპტივები — არც ერთ ჯგუფთაგანს).

„ხშულ-მსკდომის“ ნაცვლად ამბობენ მოკლედ „ხშულები“ ან „მსკდომები“.

დასახსომებელია, რომ 1) ყველა ჩამოთვლილი ხშულ-მსკდომის წარმოთქმისას რბილი სასა აწეულია ზემოთ, რის გამოც ჰაერნაკადისათვის გზა ცხვირის ღრუსაკენ დაკეტილია, და 2) ყველა ჩამოთვლილ ხშულ-მსკდომს ეძახიან მეყსეულ თანხმოვნებს, რადგანაც მათი წარმოთქმა ხდება ერთბაშად (მყის) და არა დაყოვნებით.



ჩამოთვლილი რაგვარობის ჯგუფებიდან გამოჰყოფენ ხოლმე მესამეს (ძ — ც — წ) და მეოთხეს (ჯ — ჩ — ჰ), როგორც არასუფთა ხშულებს. მათ ეძახიან რთულ ხშულებს ანუ აფრიკატებს (მათ შესახებ იხ. აქვე ქვემოთ).

## 2) ნაპრალოვნობა

საწარმოთქმო დაბრკოლების მეორე რაგვარობაა ნაპრალოვნობა. იგი წარმოადგენს საარტიკულაციო ორგანოების ერთმანეთთან ძლიერ მიახლოებას (მხოლოდ არა მკიდროდ ერთმანეთთან მიტანას): ორგანოებს შუა რჩება სხვადასხვა ფორმის კუქრუტანა ანუ ნაპრალი, რომელი გზითაც გამომდინარეობს ამგვარად დაბრკოლებული ჰაერნაკადი.

ნაპრალი შეიძლება იყოს შედარებით ვიწრო ან ფართო, ლარი-სებრ მომრგვალებული ან გასწვრივი. ამ რაგვარობით ნაწარმოებ თანხმოვნებს ვეძახით სპირანტებს, ფრიკატივებს ანუ ქართულად ნაპრალოვნებს [დასახსომებელია, რომ აკად. ნ. მარი სპირანტს ეძახდა ლარინგალურ ხშულსა (ჲ), ნაპრალოვან ჰ—ჴ-ს და შუაენისმიერ ღ-ს].

ნაპრალოვნები შეგვიძლია წარმოვთქვათ როგორც ერთბაშად, მეყსეულად, ისე დაყოვნებით, გაგრძელებით, რითაც ისინი არსებითად განსხვავდებიან ხშულთაგან: ხშულები შესაძლებელია წარმოითქვან მხოლოდ ერთბაშად, მეყსეულად (იხ. ზემოთ გვ. 38). ნაპრალოვნებს ეძახიან მყოფარ თანხმოვნებს. ქართულში გვაქვს შემდეგი ნაპრალოვანი ჯგუფები: 1. ვ, 2. ზ — ს, 3. თ — შ, 4. ღ — ხ და 5. ჰ (პირველ წყვილს აკლია ყრუ მეტოლე, მეხუთეს — მეღერი). რუსულს აქვს მხოლოდ ოთხი ჯგუფი: 1. в — ф, 2. з — с, 3. ж — ш, 4. х (მეოთხეს აკლია მეღერი მეტოლე).

ყველა ამ ნაპრალოვნის წარმოთქმისას რბილი სასა ისევეა აწეული, როგორც ზემოაღწერილი ხშულებისათვის, ე. ი. ცხვირის ღრუსაკენ გასავალი გზა გადაკეტილია.

## 3) შერეული რაგვარობა ანუ ხშულობა-ნაპრალოვნობა

შერეულ რაგვარობას (ანუ ხშულობა-ნაპრალოვნობას) ჩვენ ვეძახით ისეთს, რომელიც შეიცავს ორ სხვადასხვა რაგვარობას (ხშვასა და ნაპრალოვნობას) ერთი საძეტყველო ბგერის ფარგლებში. ასეთებია: ა) აფრიკატები (მაგ., ქართ. ძ — ც — წ, ჯ — ჩ — ჰ), ბ) ვიბრანტები ანუ მთრთოლნი (მაგ., რ), გ) ლატერალები ანუ გვერდითნი (მაგ., ლ) და ნაზალები ანუ ცხვირისეული თანხმოვნები (მ — ნ).

### ა. აფრიკატები

აფრიკატები (ძ — ც — წ, ჯ — ჩ — ჰ) იმიტომ შეგვიძლია ჩავთვალოთ შერეულებად ანუ ხშულ-ნაპრალოვნებად, რომ ისინი, საერთოდ მიღებული აზრით, შედგენილია თითოეული ორი სხვადასხვა რაგვარობის


თანხმოენისაგან: ხშული + ნაპრალოვანი, მაგ.: ძ < ღ + ზ, ჯ < ღ + ე; ც < თ + ს და ა. შ.

მიუხედავად იმისა, რომ აფრიკატის მეორე ნაწილი ნაპრალოვანია და, მაშასადამე, მყოვარი, იგი წარმოითქმის მეყსეულად, ისე როგორც მარტივი ხშული.

აფრიკატს ეძახიან რთულ თანხმოვანს.

**ბ. ვიბრანტები**

ვიბრანტს ანუ მთრთოლს ეძახიან ჩვეულებრივ ისეთ თანხმოვანს (მაგ., ქართული რ), რომლის წარმოებისას ხდება დაკვიშული ენისწვერის ზედიზედ სწრაფი ხშვები (თრთოლა, ვიბრაცია) ნუნების მიმართ. საბოლოო ანგარიშში მივიღებთ შერეული რაგვარობის მყოვარ თანხმოვანს, რომლის გაგრძელება შეიძლება ისევე, როგორც ყოველი ნაპრალოენისა. ამით ვიბრანტი უახლოვდება ნაპრალოვანს.



სურ. 30.

გ ა ლ ე ბ უ ლ ი პ ი რ ი ს ღ რ უ ს ქ ე - შ ა ტ უ რ ა დ'

1—ზედა ბუჩი; 2—ქვედა ბუჩი; 3—ენა; 4—მაჯარი სასა; 5—რბილი სასა; 6—ნაქი; 7—უკანა (სასა-ხახის) რკალი; 8—წინა (სასა-ენის) რკალი; 9—სასის ნუშისებრი ვირკვავი; 10—ხახის კედელი.

ენის წვერის სათრთოლო გაქანებათა (ე. ი. ვიბრაციათა) რიცხვი სხვადასხვაა იმის მიხედვით, თუ როგორი სიმტკიცის რ არის ამა თუ იმ ენაში და როგორ ბგერითს გარემოცვაშია იგი.

საერთოდ ვიბრაციათა რიცხვი აღწევს წამში 20—35-მდე, მაგრამ რადგანაც ერთი წამის ხანგრძლიობა არ ესაჭიროება რ-ს სიტყვაში, ამიტომ რ-ს მოუწევს 1—5-მდე, — იმის მიხედვით, თუ სიტყვის თავშია იგი, ბოლოში, ხმოენის წინ თუ შემდეგ და ა. შ.


რ მეღერია, მაგრამ იგი შეიძლება დაყრუვდეს გარკვეულ პირობებში, — მაგ., სიტყვაში თეთრს (ორ ყრუს შუა)

**რ. ყრუვდება.**

ქართული რ ნუნისმიერია ანუ ალვეოლარული; მისი ვიბრაციათა რიცხვია არა უმეტეს 2—3-ისა. ამიტომ იგი საშუალო სიმტკიცისაა. ამაზე გაცილებით სუსტია (როგორც ჩანს, ვიბრაციათა რიცხვის სიმცირის გამო) ქანური ენის რ: იგი ხშირად იკარგვის (მაგ., ოხორი > ოხოი 'სახლი', ბერე > ბეე 'ბავშვი') ან იცვლება ღ-დ (მაგ., მურე > მუ დე 'რა არის' (ა. ჩიქობავა, ქანურის გრამატიკული ანალიზი, § 7, 9). რუსული რ მტკიცეა ქართლისაზეც.

არის ისეთი რ-ც, რომლისთვისაც ენისწვერი არ თრთის ნუნების მიმართ. ასეთია, მაგ., ე. წ. ფრანგული 'მოქცეული' (картавый, ფრანგ. grasseye) რ, რომელსაც ვეძახით უვეულარულ (ნაქისმიერ) რ-ს (იხ. გვ. 37).

ასეთი რ-ს საწარმოებლად ენის წვერი დაშვებულია ქვედა კბილებთან და მსუბუქად ებჯინება მათ შიგნიდან; უკანა ენა (ენის ზურგის უკანა ნაწილი) აწეულია ოდნავ; ნაჭი გადახრილია წინისაკენ, დაბჯენილია ენის ზურგის აწეულ ნაწილზე და ვიბრირობს. ცხვირის გზა დაკეტილია. ფრანგულს აქვს ისეთი რ-ც, რომლისთვისაც არ ვიბრირობს არც ენის



სურ. 30ი.

ფართოდ გაღებული პირის ღრუ (პირის კუთხეები შეკრიბილია):  
 1-ზედა ტუჩი; 2-ზედა კბილები; 3-წვერი; 4-რბილი სასა; 5-ნაჭი; 6-სასის-ენის  
 რკალი; 7-სასის-ხაზის რკალი; 8-სასის ნეკრები ვიკვალის; 9-ხაზის ღრუ; 10-ენა;  
 11-ქვედა კბილები; 12-ქვედა ტუჩი; 13-ნიკაპი.

წვერი და არც ნაჭი: ესაა უვიბრაციო დორსალური რ. მას ეძახიან პა-რიზულ რ-ს.

მის საწარმოებლად ენის წვერი ისეა, როგორც წინა შენთხვევაში; ნაჭი არაა გადახრილი წინისაკენ, დაბჯენილია სასისაკენ ძალზე აწეულ ენის ზურგზე და არ ვიბრირობს; ჰაერნაკადი გამომდინარეობს დაბჯენილი სასის ორივე გვერდით.

აქ ჩამოთვლილი რ-ები სონორული თანხმოვნებია.

- ზოგიერთ ენაში არის ჩქამიერი (ანუ უკეთ ჩქამქარბი) რ, ასეთია, მაგ., ჩეხურის ზ, რომელიც წარმოადგენს სხვა ღირებულების თანხმოვანს, ვიდრე იმავე ენის სონორული რ. მაშასადამე, ჩეხურს აქვს ორი „რ“-საგანგებოდაა აღსანიშნავი ვიზბანტთა (მთრთოლთა) რიგში ე. წ. ბილაბიალური, ე. ი. წყვილბაგისმიერი ვიზბანტი, რომელიც აქვს, მაგ., აფხაზურ ენას<sup>1</sup>. სახელდობრ, ასეთია დი — თი — ტი თანხმოვნები, მაგ., სიტყვებში: ადიგ 'მინდორი', ათიან 'თივა' ატიანრა 'ჯდომა'.

დი — თი — ტი წარმოადგენს აფხაზურ თანხმოვანთა სამეულებრივი სისტემის ერთ-ერთ (მეოთხე) სამეულს; ესაა აფხაზურის იგივე დ — თ — ტ (ე. ი. აფხაზური სისტემის მესამე სამეული), გართულებული ბაგეთა ვიზბანციით, რაც გამონახტულია დამატებით ი ნიშნაკით. მაშასადამე, დი — თი — ტი-ს შეგვიძლია ვუწოდოთ წინაენისმიერთა ლ ა ბ ი ო ვ ი ბ რ ა ნ ტ ი ზ ე ბ უ ლ ი ს ა მ ე უ ლ ი.

### გ. ლატერალები

ლატერალი (ლატერალური) ანუ გვერდითი თანხმოვანია, მაგ., ქართულის ლ, რომლის წარმოთქმისას წინაენა ებჯინება ზედაკბილებს, ეხება რა თავისი ქვედა კიდით ქვედა კბილებსაც; ხოლო ჰაერნაკადი გამომდინარეობს ენის გვერდებსა და ლოყების კედლებს შუა (ლათ. *latus* 'გვერდი', *lateralis* 'გვერდითი'). მაშასადამე, ლ-ს წარმოებაში ხდება ხშვაც (წინაენისა ზედაკბილებთან) და ადგილი აქვს ნაპრალსაც (ენის გვერდებსა და ლოყებს შუა). ამიტომ ვეძახით ლ-ს შერეული რაგვარობის თანხმოვანს.

შესაძლებელია ჰაერნაკადი გამომდინარეობდეს მხოლოდ ცალი გვერდის გზით: ასე წარმოთქმულ ლ ს ვეძახით უნილატერალურს ანუ ცალგვერდითს. ჩვეულებრივი ლ ბილატერალურია ანუ ორგვერდითი.

„გვერდითობა“ (ე. ი. ჰაერნაკადის გვერდიდან გამომდინარეობა) აუცილებელი ნიშნეულობაა ყოველგვარი სახის 'ლ'-სათვის.

ლ ჩვეულებრივ მელერია, მაგრამ ყრუვდება გარკვეულ პირობებში (მაგ., ქართულში ყრუ თანხმოვანთა შუა ლ ყრუვდება: სახლს, ნისლში, ბოთლში — ლ ყრუა).

ზოგიერთ ენაში ყრუ ლ წარმოადგენს ფონემას. ასეთია, მაგ., ვალიური ენა (კელტური ენაა უელსში) და, ალბათ, ხუნძური ენის ერთ-ერთი „ლატერალთავანი“, მაგ., სიტყვაში ლ'აბგო 'სამი'.

<sup>1</sup> ბილაბიალურ ვიზბანტს მოგვაცონებს ბგრა. რომელიც საყოველღეო ცხოვრებაში იხმარება სხვადასხვა შემთხვევაში; მაგ., რუსულში (და ქართულშიც) ამ ბგერის შედაქილით გააჩერებენ ხოლმე შებზულ ცხენებს (შეიქლება დაიწეროს თფრრრ).

ქართული ლენაკბილისმიერია; უცხოურად მას დენტალურს ეძახიან. ენის ზურგი მისი წარმოებისას ბრტყლადაა.

ლატერალურ თანხმოვანს აქვს რამდენიმე სხვა სახეობაც.

თუ ოდნავ ზემოთკენ გადაღუნული ენისწვერი ებჯინება ნუნებს და ენის ზურგი ჩაღრმავებულია, წარმოითქმის ნუნისმიერი ანუ ალვეოლარული *l*; ესაა გერმანულის *l* და აგრეთვე ინგლისურის მაგარი *l*, მაგ., ინგლ. სიტყვაში *all* 'ყველა'.

რუსულს აქვს ორი სხვადასხვა ლ: „მაგარი“ *л* და „რბილი“ *л'* ('სილბოს ნიშანია). პირველს ეძახიან ველარიზებულს ანუ გაუკანაენისმიერებულს, ხოლო მეორეს — დარბილებულს ანუ პალატალიზებულს.

რუსული მაგარი *л*-ს წარმოითქმისას წინაენა ებჯინება ზედა კბილებს (როგორც ქართული ლ-სათვის), ენის ზურგი ჩაზნექილია, ხოლო უკანაენა ამოზნექილია რბილი სასისაკენ (ასეთი *л* არის, მაგ., სიტყვებში: *лук, мол, дал*).

რუსული რბილი *л'*-სათვის წინაენა ისევე ზედა კბილებთანაა (როგორც *л*-სათვის), მაგრამ ენის ზურგი აწეულია მაგარი სასისაკენ და ფართოდ ეხება მას (ასეთი *л'* არის, მაგ., სიტყვებში: *люк, молъ, даль*).

ვიბრანტ რ-ს და ლატერალურ ლ-ს შერჩათ ძველი სახელწოდება „ლიკვიდები“ ანუ „მდინარნი“ (ლათ. *liquidus* 'მდინარი'). ეძახიან მათ აგრეთვე „ნარნარა“ თანხმოვნებს, რომელთა რიცხვში ხშირად გულისხმობენ ნაზალურ ანუ ცხვირისეულ თანხმოვნებსაც (*მ — ნ-ს*).

ლ — რ — მ — ნ-ს ეძახიან სონორულ თანხმოვანთა ჯგუფს (იხ. ბგერათა სონორობა).

ზოგიერთ კავკასიურ ენაში წარმოდგენილია თავისებური რთული თანხმოვნები, რომელთა შედგენილობაშიც კარგად შეიმჩნევა ლატერალური თანხმოვნის (ლ-ს) ელფერი; ე. ი. მსმენელი შეიგრძნობს დამატებითს ბგერას, წარმოქმნილს ჰაერნაკადის მომდინარეობით ენის გვერდსა (ან გვერდებსა) და ლოყას შუა.

ასეთ თანხმოვნებს დაერქვა „კავკასიური ლატერალური თანხმოვნები“; ისინი გვხვდება, სახელდობრ, ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ჯგუფის ენებში, არქულ ენაში, აღილეურსა და უბიხურ ენებში და ბაცურ ენაში\*.

მაგ., ხუნძურში აღნიშნულია ოთხი შემდეგი „ლატერალური“ თანხმოვანი: 1. ლ' — მარტივი ლატერალური სპირანტი, მაგ., სიტყვაში ლ'აზგო 'სამი'; 2. ლ'ჟ — პირველის მაგარი ვარიანტი, მაგ., ლ'ჟინ 'წყალი'; 3. ლ' — ფშვინვიერი ლატერალური აფრიკატი, მაგ., ლ'არ 'რქა' და 4. ლჟ — მკვეთრი ლატერალური აფრიკატი, მაგ. ლჟინ 'ზამთარი'.

\* ეს ცნობები: ამ ბგერათა კვალიფიკაცია, მათი ტრანსკრიფცია და ნიმუშები მომყავს დოც. ი. ცერცვაძის შრომიდან „ლატერალურ თანხმოვანთა რეფლექსები ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ენებში“. 1948 (ხელნაწერი).

ი. ცერცვაძეს, ამათ გარდა, შეუნიშნავს დღემდე უცნობი ლატერალური თანხმოვანი ანდიურ ენებში; ესაა ლ'-ს მკვეთრი სახეობა, მაგ., სიტყვაში ლ'ონ 'სახურავი' (აქამდე ფიქრობდნენ, რომ ხუნძურში ყველაზე სრულადაა წარმოდგენილი „ლატერალური თანხმოვნები“ — ზეპოთ დასახელებულების სახით).

მართებული იქნება, თუ მათ (ლ'—ლ'—ლ'—ტე) ეწოდება ლატერალიზებული თანხმოვნები — იმის ანალოგიურად, როგორც აუხაზურის დე — თი — ტი-ს ვეძახით ლაბიო-ვიბრანტიზებული თანხმოვნებს.

#### დ. ნაზალები

შერეული რაგვარობის თანხმოვნებია აგრეთვე ნაზალები ანუ ცხვირისეული მ—ნ: ისინი, ერთი მხრით, ხშულებია; მ-სათვის ისეთივე ხშვა ხდება, როგორც ბ-სათვის, ხოლო ნ-სათვის ისეთივე, როგორც დ-სათვის. მაგრამ ამავე დროს მ—ნ-ს წარმოთქმისას რბილი სასა დაშეებულია, და, მაშასადამე, ჰაერნაკადს ცხვირის ღრუსაკენ გზა ღია აქვს. ამიტომ ჰაერნაკადის ნაწილი გადის ცხვირშიც და პირშიც (მხოლოდ ცხვირში, თუ პირის გზა დაკეტილია ტუჩებით ან ენით).

მ — ნ მეტად უახლოვდებიან ნაპრალოვნებს, რამდენადაც შესაძლებელია მათი გაგრძელება ცხვირის გზით.


მ — ნ, როგორც ცხვირისეული თანხმოვნები, უპირისპირდებიან ყველა სხვა არაცხვირისეულ ანუ „სუფთა“ ბგერას. მ — ნ მელერი თანხმოვნებია, მაგრამ ყრუვდებიან გარკვეულ პირობებში, მაგ., სიტყვაში იქმს (ყრუ თანხმოვანთა შუა).

ამათ გარდა აღსანიშნავია შუაენისმიერი ნ და უკანაენისმიერი ნ: პირველი განსხვავდება წინაენისმიერი (მაგ., ქართ.) ნ-საგან მით, რომ ენის ზურგის შუა ნაწილი აიწევა და ებჯინება მაგარ სასას (ეს ნ გვხვდება, მაგ., ფრანგულში და იწერება ფი ნიშნებით, მაგ., სიტყვაში *siège* 'ნიშანი'); ხოლო მეორე (უკანაენისმიერი) განსხვავდება წინაენისმიერი (მაგ., ქართ.) ნ-საგან მით, რომ ენის ზურგის უკანა ნაწილი ებჯინება რბილ სასას, რომელიც ამავე დროს ჩამოშვებულია ჰაერნაკადის ცხვირში გასაშვებად.

ეს მეორე გვხვდება, მაგ., გერმანულსა და ინგლისურში და იწერება აგრეთვე ორი ნიშნით *ng*; მაგ.: გერმ. *Zunge* 'ენა', ინგლ. *ping-pong* (თამაშია ერთგვარი).

#### 4) ლიაობა

საწარმოთქმო დაბრკოლების მესამე რაგვარობაა ლიაობა. ის წარმოადგენს საარტიკულაციო ორგანოებს შორის მეტ-ნაკლები მანძილის არსებობას — იმის გამო, რომ ისინი შესაძლებელია ერთმანეთს შორდებოდნენ მეტ-ნაკლებად. ღია ბგერებად ითვლება ხმოვნები; „ნახევარხმოვნები“ — მცირე ლიაობის მქონედ. ქართულში ხუთი ხმო-



სურ. 31. ხეობი ხმელანნი: • ა ბ გ დ •

ვანია: ა ე ი ო უ; რუსულში — ექვსი ძირითადი: а э и о у ы. „ნახევარ-  
ხმოვნებია“ ქართულში: ა ჯ, რუსულში й.

ხმოვნები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან არა მხოლოდ ლიაობის მოცულობით, სიდიდით, არამედ აგრეთვე კონფიგურაციით, მოყვანილობით. ე. წ. ნახევარხმოვნებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და ხმოვანთაგან აგრეთვე ლიაობის ფორმითა და სიდიდით. თუ რა განსხვავებაა ქართულ ხმოვანთა შორის—როგორც ლიაობის სიდიდით, ისე მოყვანილობით, კარგად ჩანს სურათ 31-ზე. ანალოგიური განსხვავებაა რუსულ ხმოვანთა შორის.

რაც შეეხება ა და ჯ „ნახევარხმოვნებს“, ისინი წარმოადგენენ შესაფერი ხმოვნების დავიწროების შედეგს: ა არის ი-ს დავიწროების; შედეგი, ხოლო ჯ—უ-სი (ასევე რუს. й არის и-ს დავიწროების შედეგი). ძლიერი დავიწროების გამო ისინი იქცევიან ნაპრალოვან თანხმოვნებად: ამდენად. ქართ. ა და ჯ (მაგ., სიტყვებში: დიალექტალური შამაა, ჯარი) და რუს. й (иои) დგანან ხმოვანთა და თანხმოვანთა მიჯნაზე.

დაწვრილებით საკითხები ხმოვანთა და „ნახევარხმოვანთა“ შესახებ განხილული იქნება ქვემოთ. აქ კი საჭიროა აღინიშნოს, რომ როგორც ხმოვნებს ლიაობა სხვადასხვა სიდიდისა და მოყვანილობისა აქვთ, ისე თავისი განსხვავებული სიდიდისა და მოყვანილობის ლიაობა აქვთ ნაპრალოვან თანხმოვნებს (გ, ზ — ხ, უ — შ, ლ — ხ და ჰ) და ხშულ-ნაპრალოვნებს: ვიბრანტ რ-ს, ლატერალურ ლ-ს და ნახალურ მ—ნ-ს.

### დაბრკოლებათა ადგილისა და რაგვარობის აღმნიშვნელი ტერმინები

საწარმოთქმო დაბრკოლებათა ადგილისა და რაგვარობის განხილვის დასასრულს საჭიროა განვმარტოთ შემდეგი ტერმინები: 1. ჰომორგანულობა და ჰეტერორგანულობა, 2. ჰომოგენურობა და ჰეტეროგენურობა (ბერძნული ჰომოს ნიშნავს 'მსგავსი', ჰეტეროს— 'განსხვავებული, სხვადასხვა', გენოს — 'წარმოქმნა, წარმოშობა').

1) ჰომორგანულია ერთმანეთის მიმართ ის ბგერები, რომლებიც ბრკოლდებიან ერთსა და იმავე საარტიკულაციო ადგილას ანუ იწარმოებიან ერთი და იმავე ორგანოს მონაწილეობით; მაგ., ერთმანეთის ჰომორგანულია, ე. ი. ერთსა და იმავე ადგილას იწარმოებიან: ბ და ფ წ ბ და პ, ფ და მ; ღ და ზ; გ და ღ და ა. შ.

ჰეტერორგანულია ერთმანეთის მიმართ ის ბგერები, რომლებიც იწარმოებიან სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვა ორგანოებით; მაგ., ერთმანეთის ჰეტერორგანულია: ბ და ღ; გ და ყ და ა. შ.

2. ჰომოგენურია ერთმანეთისა ის ბგერები, რომლებიც იწარმოებიან ერთი და იმავე რაგვარობით; მაგ., ბ და ფ; (ბ და გ) ხ და ლ.



ჰეტეროგენურია ის ბგერები, რომლებიც იწარმოებიან სხვადასხვა რაგვარობით; მაგ., ბ და ვ; ბ და ზ; გ და ე; დ და რ და ა. შ.

### 3. საარტიკულაციო ბაზისი

ყოველ ცალკეულ ენას ახასიათებს მასში ხმარებულ ბგერათა თავისებური წარმოთქმა, რომლითაც ეს ენა განსხვავდება სხვა ენისაგან. როგორც ქვემოთ დავინახავთ, რუსული ენის, მაგ., რ განსხვავებულია ფიზიოლოგიურად და აკუსტიკურად როგორც ქართული ტ-ს, ისე ქართული თ-საგანაც; რუსულის ნ, მ, რ განსხვავებულია ქართულის შესატყვის ბგერათაგან (ბ, დ, გ) და ა. შ.

ზოგიერთ ენას ახასიათებს იმ სამეტყველო ორგანოთა საწარმოთქმო მოქმედება, რომელნიც მეორე ენაში შეიძლება არ იყვნენ გამოყენებული საწარმოთქმოდ. მაგ., ქართულში არაა გამოყენებული ნორმალური მეტყველებისას ნაქი თავისებური რ-ს წარმოსათქმელად, ზოგიერთ სხვა ენაში კი (მაგ., ფრანგულში, გერმანულში) ნაქი გამოყენებულია ამ ფუნქციით. ქართულში ენის ძირი გამოყენებულია სასის კედლის მიმართ სამოქმედოდ (მაგ., ჯ და ყ-ს) საწარმოებლად; მრავალ სხვა ენაში — არა; ამის გამო ერთ ენას აქვს ისეთი ბგერები, რომლებიც სხვა ენას შეიძლება არ გააჩნდეს. ზოგ ენაში რომელიმე ორგანო არ აწარმოებს იმ ბგერას, რომელსაც იგი აწარმოებს სხვა ენაში; მაგ., ფრანგულში წინაენა არ აწარმოებს არც ერთ აფრიკატს კბილების ან ნუნების მიმართ, ხოლო რუსულსა და ქართულში — აწარმოებს და ა. შ.

ენათა ამ ფონეტიკურ თავისებურებას, სახელდობრ: კონკრეტული ენის საწარმოთქმო ჩვევებს, შემუშავებულს ამ ენის განვითარების მანძილზე და მასში ტრადიციით დამკვიდრებულს, ეწოდება ამ ენის საარტიკულაციო ბაზისი ანუ აქტივიზირებული ინდიფერენტული მდგომარეობა. მაშასადამე, საარტიკულაციო ბაზისი სოციალური მოვლენაა და არა ფიზიოლოგიური. როგორც ფიზიოლოგიური მოვლენა, იგი დაკავშირებულია სამეტყველო ორგანოთა აბსოლუტურ ინდიფერენტულ მდგომარეობასთან (იხ. ზემოთ, გვ. 24).

საარტიკულაციო ბაზისად ვერ ჩავთვლით, ამიტომ, იმ ინდივიდუალურ განსხვავებას წარმოთქმაში, რომელიც ახასიათებს ერთი ენის ან ერთი დიალექტის მხოლოდ ცალკეულ წარმომადგენელს.

საარტიკულაციო ბაზისით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ენები და, ჩვეულებრივ, ერთი ენის დიალექტები ერთმანეთისაგან.

საარტიკულაციო ბაზისი რომ სოციალური, კულტურულ-ისტორიული მოვლენაა, იქედანაც ჩანს, რომ ორი სხვადასხვა ენის წარმომადგენელს შესაძლოა ერთნაირი ფორმის საწარმოთქმო ორგანოები ჰქონდეთ, მაგრამ სამეტყველო ბგერათა წარმოთქმა უეჭველად სხვადასხვა აქვთ; ე. ი. მათი საარტიკულაციო ბაზისი ერთმანეთისაგან განსხვავებულია.

განსხვავებულია, მაგ., ქართულისა და რუსულის საარტიკულაციო ბაზისები, ფრანგულისა და ინგლისურის, ხევსურული დიალექტისა და სალიტერატურო ქართულის და ასე შემდეგ.

საარტიკულაციო ბაზისის დახასიათება შეიძლება საწარმოთქმო ჩვევების მიხედვით; მაგ.: ინგლისურად სწორად წარმომთქმელს „ქვედა ყბა ოდნავ წინისაკენ აქვს წამოწეული, ენა უკანისკენ და მოდუნებული; ფრანგულად წარმომთქმელს კი — პირიქით: ქვედა ყბა — უკანისაკენ, ხოლო ენა — წინისაკენ და დაკიმული“ და სხვა.

ცნობილია უცხოურ ენაზე მოლაპარაკის „აქცენტი“, როცა ამ ენის სწორ წარმომთქმას იგი დაუფლებული არ არის: უცხოური ენის ბგერათა წარმომთქმისას ის იყენებს თავისი მშობლიური ენის საარტიკულაციო ბაზისს.

უცხოური ენის სწორი წარმომთქმის დაუფლება მდგომარეობს ამ ენის საარტიკულაციო ბაზისის შეთვისებაში. ამიტომ მის შესწავლას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება.

არანაკლები თეორიული მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ ენის საარტიკულაციო ბაზისის გათვალისწინებას, რადგანაც ძრავალი ფონეტიკური ცვლილების ახსნა ამ ენაში შესაძლებელია მხოლოდ მის საფუძველზე (იხ. თავი მეათე, 4).

## II. ფონეტიკური აკუსტიკა

ფონეტიკურ აკუსტიკაში განიხილება სამეტყველო ბგერათა ის ფიზიკური თვისებები, რომლითაც სამეტყველო ბგერებს ვასხვავებთ ერთმანეთისაგან. ამისათვის კი საჭიროა გვექონდეს ქვემოთმოყვანილი ცნობები საერთოდ ბგერის, როგორც ფიზიკური მოვლენის, შესახებ; აგრეთვე ჩვენი სასმენელი ორგანოს საშუალებით მისი აღქმის შესახებ.

ბგერა არის ჰაერის ნაწილაკთა განსაზღვრული რხევითი მოძრაობა, რაც შეიგრძნობა სმენით. ჩვენ მიერ ბგერითი შეგრძნებები განსხვავებულია იმის მიხედვით, თუ როგორია საბგერო ტალღები. მაგ., ჩვენი ყური სრულებით ვერ შეიგრძნობს იმ რხევითს მოძრაობას, რომლის რიცხვი დაახლოებით 16-ზე ნაკლებია წამში ან თუ 20 000-ზე მეტია წამში: მხოლოდ ამ რიცხვების ფარგლებში შეუძლია ადაძიანს აღიქვას ბგერის სახით ჰაერის ნაწილაკთა რხევითი მოძრაობა. ამ ფარგლებში რაც უფრო ხშირია რხევა, მით უფრო მაღლად აღვიქვამთ ბგერას და, პირიქით, რაც ნაკლებ ხშირია, მით უფრო დაბლად აღვიქვამთ მას.

ბგერას აღვიქვამთ ტონის ან ჩქამის სახით. ყოველ ბგერას — ტონსაც და ჩქამსაც — ახასიათებს ოთხი თვისება: სიმაღლე, სიძლიერე, ხანგრძლიობა და ტემბრი.

განვიხილავთ ჯერ ტონსა და ჩქამს, შემდეგ — ბგერის ამ ოთხ თვისებას.

## ა. ტონი და ჩქამი

ტონი და ჩქამი განსხვავებულია ერთმანეთისაგან მით, რომ ტონს შევიგრძნობთ მაშინ, თუ მბგერა სხეული ირხევა პერიოდულად და სათანადო სიჩქარით (16 — 20 000 რხევის ფარგლებში წამში). ტონის სახით შევიგრძნობთ, მაგ., კამერტონის, ენიანი თუ სიმიანი საკრავის, ადამიანის სახმო სიმების და მისთანათა ხმას; ჩქამის სახით კი შევიგრძნობთ ბგერას, როცა სხეული ირხევა არაპერიოდულად ან არასათანადო სიჩქარით; ჩქამია, მაგ., გრგვინვა, კრიალი, შრიალი, ჩუხჩუხი და მრავალი მისთანა. მაშასადამე, ბგერა შეიძლება იყოს ტონიერი, ე. ი. მხოლოდ ტონისაგან შედგენილი, და ჩქამიერი, ე. ი. მხოლოდ ჩქამისაგან შედგენილი; შეიძლება აგრეთვე შერეული ბგერა, რომელშიც ზოგჯერ სქარბობს ტონი, ზოგჯერ — ჩქამი. მაგ., მუსიკაში გამოყენებულია მხოლოდ ჩქამშეურეველი ტონი; აგრეთვე ადამიანის ხმა, რომელიც შედეგია სახმო სიმების პერიოდული რხევისა, წარმოადგენს მხოლოდ ტონს. ჩქამშეურეველ (უჩქამო) ტონს ეძახიან მუსიკალურ ტონს.

სამეტყველო ბგერათა უმეტესი ნაწილი ჩქამიერია! (ე. ი. შედგენილია მხოლოდ ან უმთავრესად ჩქამისაგან); ასეთია პირველ რიგში ჩურჩულით წარმოთქმული ყველა ბგერა და ყველა ყრუ თანხმოვანი, თუნდაც ნორმალურად წარმოთქმული.

## ბ. ბგერის სიმაღლე

როგორც ითქვა, ბგერის სიმაღლე განისაზღვრება რხევათა სიხშირით. აქ განვიხილავთ მხოლოდ ტონის სიმაღლეს, რადგანაც ჩქამის აბსოლუტური სიმაღლის განსაზღვრა შეუძლებელია.

მაგ., რაიმე მუსიკალური საკრავის სიმი, რომელსაც ერთ წამში შეუძლია ჰქონდეს 128 ორმაგი რხევა ( $v. d. = \text{vibration double}$ ), გამოსცემს  $dc^2$ , ე. ი. მცირე ოქტავის  $dc$ -ს სიმაღლის ტონს; მაგრამ, თუ ავაქლერებთ ამავე სიმის ნახევარს, იგი გამოსცემს ორჯერ მაღალს ( $d^2$ ), რადგანაც რხევათა რიცხვი იქნება 256, ე. ი. გაიზრდება ორჯერ. თუ ავაქლერებთ მესამედს, მივიღებთ სამჯერ მაღალ ტონს და ა. შ.

მაშასადამე, რაც უფრო მოკლეა სხეული, მით უფრო მაღალია მის მიერ გამოცემული ტონი.

ტონის სიმაღლეზე გავლენა აქვს აგრეთვე სხეულის სიმსხოს, სიმკვრივის და დაჭიმულობას. მაგ., მოზრდილი ადამიანის ხმა საერთოდ უფრო დაბალია ბავშვისაზე, რადგანაც მოზრდილის სახმო სიმები უფრო გრძელია, მსხვილია და მკვრივი, ვიდრე ბავშვისა. ქალის სახმო სიმები მოკლეა მამაკაცისაზე, — ამიტომ ქალის ხმა შედარებით მაღალია. დაჭიმული სახმო სიმები, ისე როგორც რომელიმე საკრავის დაჭიმული სიმი, გამოსცემს უფრო მაღალ ტონს და ა. შ.

რამდენადაც ხმის ტონის სიმაღლე გამოყენებულია როგორც სა-  
სიმღეროდ, ისე სამეტყველოდ, საჭიროა ვიცოდეთ, რომ სიმღერაში  
რხევათა სიხშირე აღწევს 1000-მდე რხევას წამში (მეორე ოქტავის si),  
ხოლო მეტყველებაში — მხოლოდ 320-ს (პირვე. ოქტავის mi).

ორ უკიდურეს წერტილს შუა ჰერტაღლის გაქანებას ეძახიან ცალ რხევას  
(V. S. = ფრ. vibratiua simplex — პარტივი რხევა), ხოლო იქით-აქეთ — ორმაგ რხე-  
ვას (V. D. = ფრ. vibratiua duplex). უძრავი მდგომარეობიდან გაქანების სიდიდეს ვე-  
ძახით ამპლიტუდას, ხოლო ორმაგი რხევის ხანგრძლიობას — რხევის პე-  
რიოდს.

სხეულის სიგრძე და ტონის სიმაღლე — სხეულის სხვამხრივ ერთნაირობისას —  
უკუპროპორციულია.

საშუალოდ ბავშვის სახმო სიმების სიგრძე უდრის 7 მილიმეტრს, ქალისა —  
1,3 სანტიმეტრს, მამაკაცისა — 1,8 სანტ.

საერთოდ ადამიანის უდაბლესი (სასიმღერო) ხმა არის E ანუ დიდი ოქტავის  
mi (= 60 ვიბრაციას), ხოლო უმაღლესი — h<sup>2</sup> ანუ მეორე ოქტავის si (= 1000-მდე  
ვიბრაციას); მეტყველებაში გამოყენებული სიმაღლე კიდევ უფრო ვიწრო ფარგლებშია;  
სახელდობრ: მამაკაცისა A — e (106—160), ე. ი. დიდი ოქტავის la-სა და მცირე ოქ-  
ტავის re-ს შუა; ქალისა და ბავშვისა a — e<sup>1</sup> (213—320), ე. ი. მცირე ოქტავის La-სა  
და პირველი ოქტ. mi-ს შუა. სხუადასხვა საკრავის მუსიკალური ტონი იმყოფება  
27 — 4700-ს ფარგლებში.

აგრეთვე უნდა გვახსოვდეს, რომ სასიმღერო და სამეტყველო სი-  
მაღლისაგან განსხვავებულია რეზონატორული ანუ სატემბრო სიმაღლე:  
სამეტყველო სიმაღლე გამოყენებულია მუსიკალური მახვილის მქონე  
ენებში; აგრეთვე მეტყველებაში ფრაზის სხვადასხვა ინტონაციისა და  
ემოციურობის გამოსახატავად ყოველ ენაში; რეზონატორული სიმაღლე  
კი ეხება ცალკეულ ფონემას, როგორც სამეტყველო ბგერას, რომლის  
სიმაღლე უცვლელი სიდიდეა; მაგ., რომელიმე ქართ. ე შეგვიძლია ვიმ-  
ღეროთ სხვადასხვა სიმაღლეზე, მაგრამ მისი საწარმოთქმო რეზონა-  
ტორული სიმაღლე უცვლელია, სანამ ის რჩება ე-დ. ეს იმიტომ, რომ  
გარკვეული სახის ე-ს საწარმოთქმო რეზონატორი უცვლელია.

## ბ. ბგერის სიძლიერა

ბგერის სიძლიერე ანუ ინტენსიობა დამოკიდებულია იმაზე, თუ  
როგორი ენერგიით ირხევა მბგერი სხეული. ბგერა მით უფრო ძლიერია,  
რაც უფრო დიდია მერხვე ნაწილაკთა გაქანება (ამპლიტუდი). თუ ავაე-  
ღერებთ, მაგ., იმავე საკრავის სიმს, დასაწყისში უფრო ძლიერ ბგერას  
გავიგონებთ, ვიდრე შემდგომ მომენტებში — ამპლიტუდის შემცირების  
კვალობაზე. ბგერის სიძლიერე დამოკიდებულია აგრეთვე ბგერის სიმაღ-  
ლეზე და სხეულის სიდიდეზე.

სამეტყველო ბგერათა სიძლიერე დამოკიდებულია სახმო სიმების  
ამპლიტუდზე.

სიძლიერე პირდაპირ პროპორციულია ამპლიტუდის კვადრატისა. (მაგ., თუ ანტილიტუდი გადიდდა ორჯერ, სიძლიერე მ.იმატებს ოთხჯერ; თუ გადიდდა სამჯერ, სიძლიერე იმატებს ცხრაჯერ და ა. შ.). ეს შეფარდება არ ირღვევა, სანამ ტონის სიმაღლე არ შეცვლილა; მაგრამ, თუ შევცვლით ტონის სიმაღლეს (მაგ., თუ დავკვიმავთ სიმს), იცვლება მისი სიძლიერეც (სიძლიერე პროპორციულია ტონის სიმაღლის კვადრატისა)

ხმის სამეტყველო სიძლიერე გამოყენებულია დინამიკური მახვილის მქონე ენებში: ჩვეულებრივ მეტი სიძლიერით წარმოითქმის ხოლმე მახვილიანი ხმოვანი.

## დ. ბგერის ხანგრძლიობა

ბგერის ხანგრძლიობა არის ბგერას ის თვისება, რომელიც გამოიხატება ზოგის წყვეტილად შეგრძნობაში, ხოლო ზოგისა — გრძლივად შეგრძნობაში.

როცა მბგერ სხეულს შეეარხევთ ერთბაში სწრაფი დარტყმით (ჯახებით, ბიძგით), რხევა თანდათან კი არ სუსტდება, არამედ წყდება ერთბაშად. ასეთია, მაგ., დაფი, დაირა, მიწაზე დავარდნილი სხეული და მისთანანი. ასეთია აგრეთვე, მაგ., ქართული ენის სამეტყველო ბგერათა შორის ხშულ-ნსკდომი თანხმოვნები, რომელთაც ვეაახით მეყსეულ თანხმოვნებს (ბ — ფ — პ, დ — თ — ტ, ძ — ც — წ, ჯ — ჩ — ქ; ზ — ქ — კ, ჯ — ყ). ხანგრძლიობით განსხვავება ამათ შორისაც არის (მაგ., დ-ს ხანგრძლიობა უდრის წამის 0, 18; ტ-სი — წამის 0, 16; ჯ-სი — წამის 0, 3; ჩ-სი — 0, 17 და ა. შ.), მაგრამ ეს მცირე განსხვავება ვერ არღვევს მათ მეყსეულობას: მათი წარმოთქმა გაგრძელებით არ შეიძლება.

როცა შეეარხევთ სხეულს იმგვარად, რომ რხევა გრძელდებოდეს უწყვეტლივ (თანდათან დასუსტებით) გარკვეულ ხანს (მაგ., ხეხვით, ჭიშვით...), ჩვენ შევიგრძნობთ გრძლივ, მყოფარ ბგერას. ასეთია, მაგ., ვიოლინო, სასულე საკრავი და, მაგ., ქართული ბგერებიდან ხმოვნები (ა — ე — ი — ო — უ), ნაპრალოვნები (გ, ზ — ს, ჟ — შ, ღ — ხ, ჭ) და შერეულთაგან ვიბრანტი (რ), ლატერალი (ლ) და ნაზალური (მ — ნ). ესენიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ხანგრძლიობით, მაგრამ ყველა მათთვის საერთოა ის თვისება, რომ თითოეული მათგანის გაგრძელება შესაძლებელია ბუნებრივადაც (მაგ., სიტყვებში თასს, შიშში, დეზზე...) და ხელოვნურადაც (სსსს..., შშშ...), და მათი გამოცნობა შეგვიძლია წარმოთქმის ყველა მომენტში.

მყოვრებიც ამით არსებითად განსხვავდებიან მეყსეულთაგან: მეყსეულებიც შეიძლება დავაყოვნოთ (მაგ., გადიდდა, მათთან...), მაგრამ მათ გავიგონებთ და ვიცნობთ მხოლოდ გათავებისას, ექსპლოზიისაში.

ბგერათა ხანგრძლიობა — როგორც მყოვართა, ისე მეყსეულ თანხმოვანთა, მეტარდე კი ხმოვანი ბგერებისა — დამახასიათებელია ზოგიერთი ენისათვის. ქართველურ ენათაგან სვანურში, მაგ., ერთი და იგივე ხმოვანი ზოგ შეძახევიაში გრძელია, ზოგში მოკლე, ე. ი. მეტ-

ნაკლებ ხანს დაყოვნებული; ასევეა, მაგ., ფრანგულშიც, გერმანულშიც იყო ძველ ბერძნულში, ლათინურში და სხვაგან. ზოგ ენაში ბგერის სიგრძე-სიმოკლე — მეტადრე კი ხმოვნისა — გამოყენებულია სიტყვათმნიშვნელობის განმასხვავებლად. ასე, მაგ., გერმანული სიტყვა ლამნიშნავს 'კრავი', ლამ 'კოკლი'. ზოგიერთი ენისათვის ამ დამახასიათებელ თვისებას ჰქვია სიგრძე-სიმოკლე ანუ რაოდენობა, უცხოურად — კვანტიტეტი.

## მ. ბგერის ტემბრი

ბგერის მეოთხე თვისებაა ტემბრი ანუ ბგერის ელფერი. ტემბრის არის ბგერის ის თვისება, რომლითაც, მაგ., განსხვავდება ერთმანეთისაგან სხვადასხვა მუსიკალური საკრავის ხმა: გიტარისა ვიოლინოს ხმისაგან, ორივესი ფორტეპიანოსაგან და ა. შ.; ერთი ადამიანის ხმა განსხვავდება მეორე ადამიანის ხმისაგან ტემბრით. — ხმის ყველა სხვა თვისების (სიმაღლისა, სიძლიერისა და ხანგრძლიობის ერთნაირობის) დაცვით.

სამეტყველო ბგერების ერთმანეთისაგან აკუსტიკური განსხვავება, საბოლოო ჯამში, მდგომარეობს მათი ტემბრის განსხვავებაში; მეტადრე ეს თვალსაჩინოა ხმოვანთა ურთიერთშორის განსხვავებაში. როგორც თავისი ხმის საკუთარი ტემბრი აქვს თითოეულ საკრავს, თითოეულ ადამიანს, განსხვავებული სხვა საკრავისა და სხვა ადამიანის ხმის ტემბრისაგან, ისე თითოეულ ბგერას, და კერძოდ ხმოვანს, აქვს თავისი ტემბრი, განსხვავებული სხვა ბგერის ტემბრისაგან.

აქ აღნუსხული განსხვავებანი გამომდინარეობენ იმ განსხვავებათაგან, რაც არსებობს ბგერის გამომცემ საგანთა (აქ საკრავების, ადამიანის საწარმოთქმო აპარატის, თითოეული ბგერის) რეზონატორებში. ე. ი. იმ სივრცეში, სადაც ადგილი აქვს თანარხევასა და თანაბგერობას. საკრავის რეზონატორია მთელი მისი ტანის მოცულობა, ადამიანის საწარმოთქმო აპარატისა — უმთავრესად ზესადგამი მილი, თითოეული ბგერისა (ხმოვნისა) — ზესადგამი მილის რომელიმე ღრუს ან ღრუს ნაწილის ისეთი კონფიგურაცია, რომელიც საჭიროა მხოლოდ ამ ბგერისათვის (იხ. სურათები 17 — 27, 31, 31 ხ, 32 და შეადარე ერთმანეთს: სხვადასხვა ბგერის ღრუების მოყვანილობა).

იმის გასაგებად, თუ როგორ წარმოიქმნება ბგერის ტემბრი, საჭიროა ვიქონიოთ წარმოდგენა რეზონატორისა და რეზონანსის შესახებ.

ყოველ მბგერ სხეულს აქვს თავისებური ტონი, „საკუთარი ტონი“, რომელიც წარმოადგენს მარტივი ტონებისაგან შედგენილ რთულ ტონს. შეგვიძლია გამოვაცემინოთ ამ სხეულს თავისი საკუთარი ტონი ისე, რომ თვით იგი კი არ მოვიყვანოთ საბგერო რხევაში, არამედ რომელიმე სხვა მბგერი სხეული, რომელიც ეხება მას ან იმყოფება მასთან განსაზღვრულ მანძილზე; ეს ხდება მაშინ, თუ ამ ორ სხეულს აღმოაჩნდა საერთო ერთი ან რამდენიმე შემადგენელი (პარციალური) ტონი. ამ მოვლენას —

თანარხევას და თანაბგერობას — ეწოდება რეზონანსი, ხოლო თანარხვე და თანამბგერ სხეულს — რეზონატორი. კერძოდ, რეზონატორს წარმოადგენს ის სივრცე (მაგ., ჭურჭელი), რომელშიც ხდება ჰაერის ასეთი თანარხვეა და თანაბგერობა ანუ რეზონანსი. რეზონატორს წარმოადგენს ზესადგამი მილი (ხახა-ცხვირ-პირის ღრუები) ყველა იმ საბგერო რხევისათვის, რომელიც კი შესაძლებელია წარმოიშვას ჩვენს სამეტყველო ორგანოებში. რეზონატორის (აქ ღრუების) მოცულობა და ფორმა განსაზღვრავს ბგერის ტემბრს.

ტემბრითაა განსხვავებული ერთმანეთისაგან როგორც ხმოვნები, ისე თანხმოვნები.

ტონი შეიძლება იყოს მარტივი და რთული. მარტივი ტონი იშვიათი მოვლენაა: ის წარმოადგენს სხეულის ქანქარისებრი მარტივი რხევის შედეგს, რის გამოც მას არა აქვს ტემბრი. მარტივ ტონს გამოსცემს, მაგ., კამერტონი, აგრეთვე მიახლოებით აულიტა და ადამიანის სტვენა: მათთვის დამახასიათებელია „მწივანობა“, „სიწვრილე“, „უსრულლობა“. რთული ტონი გვაქვს მუსიკალურ საკრავებში, ადამიანის სასიმღერო ხმაში და სამეტყველო ბგერებში, მეტადრე — ხმოვნებში; მათ რთული ტონი შეუგვია არა ქანქარისებრი მარტივისა, არამედ რთული რხევისა: როცა ირხევა მბგერი სხეული (მაგ., იგივე სიმი), ის ირხევა არა მხოლოდ მთლიანად, არამედ თავისი ნაწილებითაც (ნახევრით, მესამედით და ა. შ.); როგორც მთლიანი, ის გამოსცემს ძირითად ტონს, ხოლო მისი ნაწილები — მასზე უფრო მაღალ ტონებს, რომლებსაც ვეძახით თანატონებს (ობერტონებს); ამათი შერთვა ძირითად ტონთან გვაძლევს რთულ ტონს, რომელიც, მართალია, ჩვეულებრივ გვესმის ერთ მთლიან ტონად, მაგრამ ადვილად შედარდება სათანადო ანალიზით და მახვილი სმენითაც კი. ამ რთული ტონის შექმნაში მონაწილე ყველა ტონს (ძირითადს და თანატონებს) ვეძახიან პარციალურ (ანუ ნაწილობრივ) ტონებს. რადგანაც ამ პარციალური ტონების შეფარდებითი რიცხვი, სიძლიერე და სიმაღლე სხვადასხვა საკრავს (და საერთოდ სხვადასხვა მბგერ სხეულს) განსხვავებული აქვს, ამიტომ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მათი (რთული) ტონები — მაშინაც კი, როცა ძირითადი ტონის სიმაღლე და სიძლიერე მათ ერთნაირი შეიძლება ჰქონდეთ ეს განსხვავებაა ტემბრი. თანატონები შესაძლებელია ჰარმონიული და დისჰარმონიული. ჰარმონიულია თანატონები იმ შემთხვევაში, თუ პარციალური ტონების ვიბრაციათა რიცხვები ისე შეეფარდებიან ერთმანეთს, როგორც 1 შეეფარდება მთელ რიცხვებს (1:2:3:4 ან 1:3:5...); მაგ., თუ ძირითად პარციალურ ტონს აქვს 64 რხევა (v. d.), მეორე პარციალურ ტონს 128 (= 64 x 2), მესამეს 192 (= 64 x 3) და ა. შ., მივიღებთ ჰარმონიულ თანატონებს (do<sup>1</sup> — do<sup>2</sup> — do<sup>3</sup>). თუ არა გვაქვს ასეთი შეფარდება, როგორც ერთისა მთელ რიცხვებთან, მაშინ გვექნება დისჰარმონიული ტონები (მაგ., ზარის რეკვა, ტაშტის ქლრიალი და მისთ.). სხვადასხვა მბგერ სხეულს (მაგ., საკრავს) პარციალური ტონების რიცხვი სხვადასხვა აქვთ; მაგ., ვიოლინოს მეტი (15), ვიდრე ფორტეპიანოს (6); ზოგში კარბობს დაბალი თანატონები (მაგ., ფორტეპიანოში), ზოგში — მაღალი (მაგ., ვიოლინოში, ზოგიერთ სასულე საკრავში); ამიტომ ფორტეპიანოს ხმა „რბილი“ ბგერის შთაბეჭდილებას სტოვებს, ვიოლინოსი — „მწივანა“ ბგერისას.

რაც ითქვა ტონის, როგორც ჰაერის ნაწილაკთა პერიოდული (რიტმული) რხევის შესახებ, იგივე ითქმის ჩქამის შესახებაც — მიუხედავად იმისა, რომ ჩქამი არაპერიოდული რხევის შედეგია, და ამიტომ მისი პარციალურ „ტონებად“ დაშლა არ შეუძლებელია.

ჩქამს აქვს მეტ-ნაკლები სიძლიერეც (მ-გ., შეადარე გრგვინვა შრიალს, ჩუხჩუხი ჭაჩუნს და სხვა), მეტ-ნაკლები სიმაღლეც (მეად., მაგ., კრიალი ჩხარუნს) და ტემბ-

რიც (შეად., მაგ., გამხპარი ფოთლის შრიალი სხვადასხვა რეზონატორში: პატარა ოთახში და გაშლილ მინდორში).

ყოველ ტონს საერთოდ თან ახლავს მეტ-ნაკლები ჩქამი; აგრეთვე ჩქამშიც ზოგჯერ გვესმის ტონიც. მაგრამ ამა თუ იმ ბგერას ვეძახით ტონიერს ან ჩქამიერს — იმის მიხედვით, თუ რომელი კარბობს მასში: ტონი თუ ჩქამი. მაგ., სასიმღერო ხმაში და სამეტყველო ბგერათა შორის ხმოვნებში კარბობს ტონი: ამიტომ მათ ვეძახით ტონიერს, მუსიკალურ ტონს ან მოკლედ ტონა. თანხმოვნებში კარბობს ჩქამი: ამიტომ მათ ვეძახით ჩქამიერებს.

### III. აუსილუბელი აკუსტიკური პაუზა ბგერათნარმოქმედებაში

ნორმალურად წარმოთქმული სიტყვა გვევლინება, როგორც უწყვეტ-ლივი ბგერათშენაერთი; ასევე შესაძლებელია მოგვევლინოს ნორმალურად წარმოთქმული მთელი ფრაზაც. მართლაც, ფიზიოლოგიურად სიტყვისა და ფრაზის წარმოთქმის მთელ მანძილზე არტიკულაცია, ე. ი. ორგანოთა საწარმოთქმო მოქმედება, შეიძლება არ წყდებოდეს; მაგრამ სიტყვაში ზოგიერთი ბგერის დაყოვნების მომენტი არ იძლევა ბგერითს ეფექტს და ამდენად წარმოადგენს უბგერობას ანუ აკუსტიკურ პაუზას, მიუხედავად სათანადო ორგანოთა მოქმედების უწყვეტლობისა.

სალიტერატურო ქართულში ასეთი ბგერებია ყველა ხშული თანხმოვანი (ფ — ჰ, თ — ტ, ც — წ, ჩ — ჭ, ქ — კ, ყ). მათი ხშვის (დაყოვნების) მომენტში საწარმოთქმო ორგანოები მოქმედებენ: ჰაერნაქადს (ხორხისეულს თუ მხოლოდ პირისეულს) ერთხანს გზას უკეტავენ; მაშასადამე, არტიკულაციას ადგილი აქვს, მაგრამ ბგერა არ აღჩქმება.

ეს უბგერობა — აუცილებელი პაუზა — წარმოადგენს სამეტყველო ბგერის აღჩქმის აუცილებელ ნაწილს. ამიტომ ეს უბგერო მომენტი ჩვენო ცნობიერების გარკვეული ფაქტია: აღიქმება აკუსტიკური პაუზა, როგორც ხსენებულ ბგერათა განუყრელი ნაწილი.

არახშულებს ასეთი პაუზა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ჰქონდეს. რაც შეეხება ხშულ მჟღერ თანხმოვნებს, მათი წარმოთქმის პროცესში „უბგერობას“ ადგილი არა აქვს, როცა მჟღერი ხშული სრული მჟღერობისაა (იხ. გვ. 59 და შემდ.); ეს იმიტომ, რომ მათი ხშვის დროს სახმო სიმების ვიბრაციული მოქმედება (ჟღერა) არ წყდება, და გვესმის გაუფორმებელი ხმა, „ლალანი“, რომელსაც გერმანულად *Blallaute* ეწოდება.



## ბგერათა კლასიფიკაცია

### I. ბგერათა კლასიფიკაციის საკითხები

ადამიანის ბგერით მეტყველებაში მოცემულ ბგერათა რაოდენობა პირველი შეხედვით უთვალავია. წიგნიერმა იცის თავისი მეტყველების ბგერათა რიცხვი მხოლოდ მის ენაში ხმარებული ასოების რიცხვის მიხედვით, რაც, როგორც დაინახავთ, ყოველთვის სწორი არ არის. უწიგნურს კი წარმოდგენაც არ შეუძლია ჰქონდეს იმის შესახებ, რომ სულ 3 — 4 ათეულ ბგერათა კომბინაციებით შეიძლება წარმოითქვას მის განკარგულებაში მყოფი უამრავი სიტყვები და ამდენივე ნიშნით დაიწეროს ყველაფერი.

მრავალი საუკუნის განმავლობაში, დამწერლობის შექმნისა და განვითარების კვალობაზე, შესაძლებელი შეიქნა არა მხოლოდ დადგენა სამეტყველო ბგერათა რიცხვისა, არამედ მათი კლასიფიკაციაც ანა თუ იმ პრინციპის მიხედვით.

როგორც ჩანს, სამეტყველო ბგერათა ყველაზე ძველი კლასიფიკაციაა მათი დაყოფა ორ ჯგუფად: თანხმოვნებად და ხმოვნებად. ამას ამტკიცებს დამწერლობის განვითარების ერთი უძველესი საფეხურთაგანი — მარცვლოვანი დამწერლობა, სადაც საგანგებო ასოები შეუქმნიათ მხოლოდ თანხმოვანთათვის, ხოლო ხმოვანთათვის — არა (ასეთია, არსებითად, მაგ., არაბული დამწერლობა დღესაც): ეს მოწმობს თანხმოვანთა და ხმოვანთა შორის განსხვავების შემჩნევას და დამწერლობაში ამ განსხვავების გამოხატვას.

ამაზე უკეთ ჩანს ბგერათა კლასიფიკაციის ეს სახე ძველი ინდიური დამწერლობიდან (დევანაგარი), რომელიც წარმოადგენს მარცვლოვანი დამწერლობიდან ასოებრივზე გარდამავალ საფეხურს: აქ ანბანის პრაქტიკულ დალაგებაში პირველ რიგში მოთავსებულია ხმოვნები (მარტივი და რთული), შემდეგ — თანხმოვნები.

კლასიფიკაციის სხვა სახეებიც იყო მიგნებული ძველად (ძველ საბერძნეთში და მეტადრე ძველ ინდოეთში), სახელდობრ, ბგერათა წარმოების ადგილი და რავჯარობა საერთოდ, სონორულ თანხმოვანთა თავი-

სებურება, ნაპრალოვან და ხშულ თანხროვანთა განსხვავება, მქლერობა-სიყრუე და ზოგი სხვაც. მაგრამ საკლასიფიკაციო პრინციპების მეცნიერულად ზუსტი დამუშავება მოგვცა 19 — 20 საუკუნეების ფონეტიკამ.

განვიხილავთ ამ საკლასიფიკაციო პრინციპებს ცალ-ცალკე და ბოლოს მოვიყვანთ 1) ხმოვანთა და 2) თანხმოვანთა კლასიფიკაციას.

## 1. სამეტყველო ბგერათა მქლერობა-სიყრუე

სამეტყველო ბგერათა შორის ჩვენ ვარჩევთ მქლერ ბგერებს ყრუ ბგერებისაგან.

ბგერათა შორის ასეთი განსხვავება იქმნება ხორხში: ზოგიერთი ბგერის წარმოთქმისას ადგილი აქვს სახმო სიმების პერიოდულ რხევას, რასაც აღვიქვამთ ხოლმე როგორც მუსიკალურ ტონს; სახმო სიმების ამ პერიოდულ რხევას ფონეტიკაში ვეძახით ჟღერას.

ამიტომ ჟღერის მქონე სამეტყველო ბგერებს ვეძახით მქლერ ბგერებს.

დანარჩენი სამეტყველო ბგერების წარმოქმნისას სახმო სიმები არ ირხევიან პერიოდულად და, მაშასადამე, ისინი არ ჟღერენ: მათ ჩვენ აღვიქვამთ არა როგორც ტონს, არამედ როგორც მხოლოდ ჩქამს; ჟღერის არმქონე ბგერებს ვეძახით არამქლერს ანუ ყრუ ბგერებს (ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რომ ჩქამნარეგია მეტ-ნაკლებად მქლერი ბგერებიც).

სამეტყველო ბგერის ჟღერით თუ ყრულ წარმოთქმის თვისებას ეწოდება მქლერობა-სიყრუე.

ამ თვისების მიხედვით სამეტყველო ბგერები იყოფა ორ ჯგუფად: მქლერებად და არამქლერებად ანუ ყრუებად:

მაგ., დღევანდელი სალიტერატურო ქართულის 33 ბგერიდან 18 მქლერია და 15 ყრუ; მქლერებში 5 ხმოვანია: ა — ე — ი — ო — უ; ხოლო 13 თანხმოვანი: ბ — გ — დ — ვ — ზ — ლ — მ — ნ — თ — რ — ღ — ძ — ჯ; ყრუებია შემდეგი თანხმოვნები: თ — კ — პ — ს — ტ — ც — ქ — ყ — შ — ჩ — ც — წ — ჭ — ხ — ჰ.

შევნიშნავთ აქვე, რომ: 1) ხმოვნები მქლერია ნორმალურ ხმაძლიერ წარმოთქმაში. ხოლო ჩუროხლით წარმოთქმული ხმოვნები ყრუა, ისე როგორც ყრუა ჩუროხლით წარმოთქმული ყველა სხვა ბგერა; 2) ბგერის „ხმამალა“ წარმოთქმა არაა ფონეტიკური ტერმინი, თუ გვინდა ამით გამოვხატოთ რუსული ртомно, ინგლისური loudly, გერმანული laut, რადგანაც სიტყვის პირველ ნაწილში (.ხმა -) იგულისხმება სახმო სიმების ჟღერა, რაც ძლიერად (ртомно) წარმოთქმისათვის აუცილებელი არაა, ხოლო მეორე ნაწილში (-მალა) იგულისხმება ბგერის სიმალდე, რაც აგრეთვე არაა აუცილებელი ძლიერად წარმოთქმისათვის. ამიტომ რუსულის შესატყვისად ფონეტიკაში უმჯობესია ვიხმართ ძლიერი (ртомно), ძლიერ, ძლიერად (ртомно); 3) მქლერობის შემქმნელი ვიბრაციები სახმო სიმებისა კარგად ჩანს სურ. 10-ზე

მქლერია თუ არა რომელიმე ბგერა, ე. ი. ჟღერს თუ არა სიმები რომელიმე ბგერის წარმოთქმისას, ადვილად გამოიცინობა უშუალო დაკვირვებითაც თავის ან სხვის წარმოთქმაზე: სახმო სიმების პერიოდული

ვიბრაცია საგრძნობია ხორხის თავზე თითის შიშვით: სახმო სიმების რხევა გადაეცემა ხორხის ხრტილოვან ნაწილს, რასაც დამკვირვებელი ადვილად შეიგრძნობს თაათ. რაგინად შეიგრძნობა იგივე ვიბრაციული რხევა თავზე ან გულმკერდზე ხელის დადებით, რადგანაც იგი გადაეცემა თავისა და გულმკერდის ძვლოვან ნაწილებსაც.

სმენის საშუალებითაც შეიგრძნობა სახმო სიმების ასეთი ჟღერა: საპირთა გამოსაქნობი ბგერის წარმოთქმისას ყურების დაცობა თითებით; თუ გავიგონეთ ერთგვარი ზუზუნის, მაშასადამე, სახმო სიმები ჟღერს, და ბგერა მელერი ყოფილა, ხოლო თუ ზუზუნის არ გვესმის, ბგერა ყრუ ყოფილა.

ამგვარად შეიძლება თითოეული ბგერის მელერობა-სიყრუის შეუცდომლად დადგენა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ვიცით გამოსაქნობი ბგერის სწორი წარმოთქმა.

დამკვირვებელმა უნდა იცოდეს, რომ უფრო ძნელია განკალკევებით ყრუს წარმოთქმა, ვიდრე მელერისა. როდესაც ჩვენ წარმოთქვამთ როზელიმე მელერ ბგერას (მაგ., ა-ს არა ჩურჩულით), ჩვენ გვესმის ყელის „ღაღანი“. შეადარეთ ამას ჩურჩულით წარმოთქმული, ე. ი. ყრუ ა: აქ უკვე ღაღანი აღარ გვესმის. არც ერთ ყრუ ბგერაში ეს თავისებური ბგერა, რომელსაც ჩვენ „ღაღანი“ ვუწოდებთ, არ გვესმის, მაგრამ გვესმის ყველა მელერში. ამიტომ, თუ გვინდა წარმოთქვათ ნამდვილი ყრუ ბგერა (თ, კ, ქ, ხ, ხ...), ეს „ღაღანი“ მათ არ უნდა ახლდეს. ძალიან ხმაძლიერადაც („ხმამალლა“) რომ წარმოთქვათ ყრუ ბგერის შემცველი სიტყვა, არც ერთ ყრუ ბგერას არ ექნება ეს, „ღაღანი“ (წარმოთქვით: ქშინვა, თქმა, ხარისხს, ათს—არცერთ ყრუს არ ახლავს „ღაღანი“; სამაგიეროდ ყველა მელერს ახლავს იგი). თუ ჩვენ ყრუ ბგერას ვამბობთ ღაღანით, ეს მხოლოდ განკალკევებულად და, მაშასადამე, ხელოვნურად თქმულში; და ამას ჩავდივართ მხოლოდ იმისათვის, რომ მსმენელს გავაგონოთ იგი ვარკვევით (ამას სჩადის, მაგ., მასწავლებელი კლასში — შორს მსხლომი მოწაფეების გასაგონად).

ბგერათა მელერობა-სიყრუის დასადგენად ექსპერიმენტული ფონეტიკა საგრძნობლად კ ი მ ო გ რ ა ფ ი თ. ესაა სამეტყველო ბგერათა გრაფიკულად დაფიქსირებისათვის გამოყენებული იარაღი, რომლის საშუალებითაც იკვლევენ ბგერის სხვადასხვა თვისებას: სიძლიერეს, მანგრძლობას, სატემბრო სიმაღლეს, აგრეთვე ბგერის დასაწყისსა და გათავებას სიტყვაში და სხვას; კერძოდ, ზუსტად ირკვევა ამა თუ იმ ბგერის მელერობა და სიყრუე და მელერობის სხვადასხვა ხარისხი (იხ. ქვემოთ, გვ. 59)

კომოგრაფი (იხ. სურ. 31a) წარმოადგენს ლითონის ცილინდრს, რომელსაც შემოახვევენ ხოლმე გამურულ ქაღალდს და თანახომიერი ტრიალის მოძრაობაში მოჰყავთ საათის მექანიზმით (ან ელექტრომობტორით). მასზე — ტრიალის დროს — საგანგებო მოწყობილობით რეგისტრირდება (იწერება) პირიდან ამოდენილი ჰაერნაკადის წნევის სხვადასხვა ცვლილება დამკვირვებელს თავის პირთან მიტანილი აქვს ვრაგვარი ძაბრი (ამბულზური), შეერთებული რეზინის მილით პაწაწა რეზინის დაფთან, რომელზეც მიმარებელია წვეტიანი ხამწერი („კალამი“). ჰაერნაკადის სხვადასხვა ფორმა რეგისტრირდება ცილინდრის ქაღალდზე დამახასიათებელი მრუდების ანუ კ ი მ ო გ რ ა მ ი ს სახით; მისი ამოწიფურის და გამოანკარიშების გზით ეარკვევთ ბგერის ფიზიკურ თვისებებს.

იმ 18 მკლერი თანხმონიდან, რომლებიც ქართულს აქვს, ზოგიერთს ქართულში მოეპოვება შესატყვისი ჰომორგანული ყრუ (აქ ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ თვრამეტივე ყრუდება ჩურჩულით წარმოთქმისას); სახელდობრ, ყრუ მოეპოვება ცხრას: ბ — გ — დ — ვ — ზ — თ — ლ — ძ — ჯ — ს, ხოლო არ მოეპოვება შესატყვისი ყრუები ხუთს: ვ — ლ — მ — ნ — რ — ს.

იმათგან, რომელთაც მოეპოვება ყრუ, ხუთს (ბ — გ — დ — ძ — ჯ) შეესატყვისება ორ-ორი ჰომორგანული ყრუ (ბ-ს — ფ და პ, გ-ს — ქ და კ, დ-ს — თ და ტ, ძ-ს — ც და წ, ჯ-ს — ჩ და ჭ), ხოლო სანს (ზ — თ — ლ) თითო ჰომორგანული ყრუ (— ზ-ს — ხ, თ-ს — შ, ლ-ს — ხ). ქართულს აქვს ისეთი ორი ყრუ თანხმონი, რომლებსაც არა აქვთ შესატყვისი ჰომორგანული მკლერი: ესენია ყ და ჰ.

ანგვარად, მკლერობა-სიყრუის თვალსაზრისით ქართული ბგერები ასე შეიძლება დავალაგოთ:

მკლერები	--	ყრუები	მკლერები	—	ყრუები
ბ	—	ფ — პ	ვ	—	—
დ	—	თ — ტ	ზ	—	ს
ძ	—	ც — წ	თ	—	შ
ჯ	—	ჩ — ჭ	ლ	—	ხ
გ	—	ქ — კ	—	—	ჰ
—	—	— ყ	ლ — მ — ნ — რ	—	—

## 2. მულარობის ხარისხი

ექსპერიმენტულმა ფონეტიკამ კიმოგრადის მრუდების ანალიზის გზით გამოარკვია, რომ ყველა მკლერ ბგერას როდი აქვს მკლერობის ერთი და იგივე ხარისხი.


გამორკვა, რომ მკლერსა და ყრუ ბგერას შუა არის რამდენიმე საფეხური, რომელთაგან ზოგნი უფრო ახლო არიან მკლერთან, ზოგნი — ყრუსთან. მაშასადამე, შესაძლოა არსებობდეს ნახევრად მკლერი ან ნახევრად ყრუ, ან ერთი მესამედით მკლერი და ა. შ.

მართლაც, ჩენი საყოველღეო დაკვირვებიდანაც შეგვიძლია ზოგიერთი (რათქმა უნდა, არაზუსტი) დასკვნის გამოტანა: მაგ., რუსულის მკოდნე ყოველ ქართველს, რომლისთვისაც ქართულია მშობლიური, შეუძლია იკოდეს, რომ მის მიერ წარმოთქმული ბ — გ — დ ვერ აღწევს მკლერობის იმ ხარისხს, რომ, მაგ., რუსმა, რომლისთვისაც რუსულია მშობლიური, აღიქვას ეს მკლერი თანხმონები (ბ — გ — დ) რუსული ნ — რ — ძ-ს სახით.

მაგ., გაბმულ ლაპარაკში თუ თქვენ (ქართველი) იტყვიან რუსის გასაგონად მისთვის გაუგებარ სიტყვას (მაგ., რაიმე საკუთარ სახელს, რომელშიც არის ბ — გ — დ ან რომელიმე ამათგანი), რუსი აღიქვამს მათ (მას) თავისი П — К — Т-ს სახით.

(„ქართველი“ და „რუსი“ მიუთითებს არა ეროვნებაზე, არამედ: ენობრივად ქართველი და ენობრივად რუსი). თუ რუსს პირველად ესმის, მაგ., გვარი გოგიავა, შესაძლოა მან გაიგონოს (და, თუ დასაწერად ეუბნებით, დაწეროს კიდევ) *кокиава*; ბოდოკია-ს გაიგონებს, როგორც *потокиа* და სხვა.

ეს ფაქტი ადასტურებს ქართული მეღერი ხშულების ნაკლებ მეღერობას: ქართულ ხშულთა მეღერობა არაა საკმარისი რუსის სმენისათვის, რომ მან მეღერად აღიქვას ისინი. გამოდის, თითქოს ქართული ბ — გ — დ უფრო ახლო იდგეს რუსულ ყრუებთან, ვიდრე მეღერებთან.



სურ. 31a

კომპრაფი (თბილისის ექსპერიმენტულა ფონეტიკის კაბინეტში)

ანგვარი განსხვავება აღმოჩნდა გერმანულ ენებსა, ერთი მხრით, და რომანულ და სლავურ ენებს შორის, მეორე მხრით (გერმანულ ენებში ნაკლები ხარისხის მეღერობა აღმოაჩნდა მეღერ ხშულებს, ხოლო რომანულსა და სლავურ ენებში მეტი).

დადასტურდა აგრეთვე (და ეს არანაკლებ მნიშვნელოვანია), რომ ერთი და იგივე მეღერი თანხმოვანი მეტ-ნაკლები მეღერობისაა ერთსა და იმავე ენაში — იმის მიხედვით, თუ როგორს უშუალო ბგერითს მეზობლობაშია იგი.

ამ ფაქტების შემჩნევამ, რაც მოხდა მიმდინარე საუკუნის 10—20-იან წლებში, ძლიერი იარაღი მისცა ხელში ენათმეცნიერებს ზოგიერთი მანამდე აუხსნელი ბგერათცვლილების ახსნისათვის; მეტადრე სანდო შე-

იქნა ეს მეთოდი იმის შენდევ, როცა დადგენილ იქნა მკვლევრების ხარისხის გამომანგარიშების ზუსტი ხერხი.

როგორც გამოირკვა, სახმო სიმები ჟღერენ სხვადასხვაგვარი შეფარდებით მკვლერი თანხმოვნის წარმოთქმის მთელ მანძილზე: თანხმოვანი აღწევს სრულ მკვლერობას, თუ სახმო სიმები მთელ მანძილზე ჟღერენ; ნახევრად მკვლერია თანხმოვანი, თუ მხოლოდ ნახევარზე ჟღერენ და ა. შ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აკად. ნ. მარი ფ — თ — ქ — ც — ჩ თანხმოვნებს თვლიდა საშუალო მკვლერობისად („средний звонкость“).

იმის შემდეგ, თაც ითქვა ზემოთ მკვლერობის ხარისხის შესახებ, აღარ შეიძლება ვილაპარაკოთ ამ თანხმოვანთა საშუალო მკვლერობაზე — არც არსებითად. რადგანაც მათ მკვლერობის ჩანასახიც (სახმო სიმების ემბრაციების სახით) არა აქვს, და არც ტერმინოლოგიურად, რადგანაც „საშუალო მკვლერობა“ სხვა რამეს აღნიშნავს.

### 3. სამეტყველო ბგერათა სონორობა

სამეტყველო ბგერები აკუსტიკური თვალსაზრისით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან აგრეთვე მეტ-ნაკლები ბგეროვნობით, მეტ-ნაკლები ბგერასავსეობით ანუ, უცხოურად, მეტ-ნაკლები სონორობით. კერძოდ, ბგერის მეტ-ნაკლები სონორობა განიზომება მეტ-ნაკლებ მანძილზე მისი გასაგონრობით. მაგ., ა მეტად სონორია ანუ მეტად ბგეროვანია ზ ზე — ა უფრო შორს ისმის ერთნაირი პირობების დაცვით (წარმოთქმის სიძლიერე, ამინდი, ბგერითი გარემოცვა...), ვიდრე ზ; რ მეტად სონორია ჩ-ზე და ა. შ.

უეკველია, რომ ბგერის სონორობას ანუ ბგეროვნობას ჰქმნის ხმის მონაწილეობა ბგერაში: რაც უფრო მეტად მონაწილეობს ბგერაში ხმა, მით მეტია ბგერის სონორობა. მაგრამ ეს არაა ბგერის სონორობის შექმნის ერთადერთი ფაქტორი, რამდენადაც ერთნაირი ზომით ხმიანი ბგერები განსხვავებული შეიძლება იყვნენ ერთმანეთისაგან სონორობით (მაგ., რომელიმე დ და ზ ან გ და ჟ) და განსხვავებულია ერთმანეთისაგან სონორობით სრულიად უხმო, ე. ი. ყრუ ბგერები (მაგ., კ და ჩ, ფ და შ) და ა. შ.

ბგერათა ერთმანეთისაგან სონორობით განსხვავებას საფუძვლად უძევს, ხმის მონაწილეობის თუ არმონაწილეობის გარდა, რამდენიმე სხვა ფაქტორი.

მკვლერ ბგერებში სონორობით გამორჩეულია ხმოვნები (მაგ., ქარ-თულის ხუთი ხმოვანი: ა — ე — ო — ი — უ); სხვა პირობების ერთნაირობის დაცვით, რაც უფრო ღიაა ბგერა, ე. ი. რაც უფრო დაწეულია ძირს ქვედა ყბა და ენა დაშორებულია სასას, ხმოვნის წარმოთქმისას, მით უფრო სონორად აღვიქვამთ მას. ამიტომაც ხმოვნები საერთოდ მეტად სონორია თანხმოვნებზე, როგორც უფრო ღია ბგერები.

ამ მხრივ განსხვავებაა ხმოვნებს შორისაც. ხმოვნებში (და, მაშა-ღადამე, ყველა ბგერაში) ყველაზე სონორია ა, როგორც ყველაზე ღია

ხმოვანი. მასზე ნაკლებ სონორია ე, რადგანაც უფრო ვიწროა, ვიდრე ა და ა. შ.

ლიაობის გარდა მნიშვნელობა აქვს იმას, ლაბიალიზებულია (ტუჩებმომრგვალებულია) ხმოვანი თუ არა: ლაბიალიზებული ხმოვანი (მაგ., ქართულის ო, უ) ნაკლებ სონორია არაღაბიალებზე (მაგ., ქართულის ე-სა და ი-ზე).

მაშასადამე, სონორობის თანდათან ზრდადობის კვალობაზე ქართულის ხმოვნები დალაგდება შემდეგი თანმიყოლებით: უ — ი — ო — ე — ა.

ლიაობას თანხმოვანთა სონორობისთვისაც აქვს მნიშვნელობა: სხვა პირობების ერთნაირობის დაცვით, ნაპრალოვანი თანხმოვანი უფრო სონორია, ვიდრე ხშული (ხ მეტად სონორია თ-ზე, ზ — დ-ზე, ლ — გ-ზე და ა. შ.).

ამ მხრივ მეტერ თანხმოვნებში გამოჩეულია ხშულ-ნაპრალოვანი მეტერი თანხმოვნები (ლ — მ — ნ — რ), რომელნიც თავისი ლიაობით ალემატებიან ყველა თანხმოვანს და უახლოვდებიან ხმოვნებს: ამდენადვე ისინი სონორობითაც ალემატებიან ყველა თანხმოვანს და უახლოვდებიან ხმოვნებს.

როგორც ვიცით, ისინი ხშიერობითაც მეტნი არიან ყველა თანხმოვანზე და ამითაც ახლო დგანან ხმოვნებთან.

განსხვავებით ყველა სხვა თანხმოვნისაგან მათ უწოდებენ სონორულ თანხმოვნებს.

სონორულ თანხმოვანთა რიგს ეკუთვნიან აგრეთვე ე. წ. ნახევარ-ხმოვნები, მაგ., ქართ. ჯ და ჯ (დიალექტ. დედაჯ, ჯაკობ, ჯარი, ჯარესი), რუს. ж (= ж + ჯ) ში პირველი ბგერა, ფრანგ. w სიტყვაში il doit (il dwa). ყველა ესენი, ე. ი. მ — ნ — ლ — რ — ჯ — ჯ, იწოდებიან აგრეთვე სონანტებად.

რაც შეეხება ხშულ თანხმოვნებს, ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, სხვა პირობების ერთნაირობის დაცვით, იმით, პირის ღრუს უკანა არეშია ნაწარმოები თანხმოვანი (მაგ., ქართ. გ — ქ — კ) თუ წინა არეში (მაგ., ქართ. ბ — ფ — პ, დ — თ — ტ): უკანა არეში წარმოებულნი უფრო სონორნი არიან წინ წარმოებულზე შესაბამისად (ე. ი. გ — ბ სა და დ-ზე, ქ — ფ-სა და თ-ზე, კ — პ-სა და ტ-ზე).

საყურადღებოა, რომ ამ მხრივ შეუენისმიერებსა (მაგ., მ, იხ-ქვემოთ) და ნუნისმიერებს (მაგ., ქართ. შ, უ) უკანა თანხმოვნების რიგებში აქვთ ადგილი, ე. ი. ისინი მეტად სონორები არიან, ვიდრე ბაგისმიერები და კბილისმიერები.

ყრუ თანხმოვნების ერთმანეთისაგან სონორობით განსხვავებულობისათვის, სხვა პირობათა ერთნაირობის დაცვით, მნიშვნელობა აქვს დამახასიათებელი ჩქამის სიძლიერეს: რაც უფრო ძლიერია ყრუ თანხმოვნისათვის დამახასიათებელი ჩქამი, მით უფრო სონორია იგი; მაგ., ც სონორია წ-ზე, ჩ — ჭ-ზე, თ — ტ-ზე და ა. შ.)

საერთოდ აღსანიშნავია, რომ სონორობით „ყრუ ბგერათა ერთმანეთისაგან განსხვავება ნაკლებია, ვიდრე მქლერთა ერთმანეთისაგან განსხვავება“.

მაშასადამე, სონორობის თანდათან ზრდადობის კვალობაზე ქართულის თანხმოვნები დალაგდება შემდეგი თანმიყოლებით.

1. პ — ტ — წ, 2. (ფ), 3. ფ — თ — ც, 4. კ — ქ — ყ (კ), 5. ს, 6. ჯ — ჩ, 7. ხ — შ, 8. ბ — დ — ძ; 9. ვ, 10. გ, 11. ზ, 12. ჯ, 13. ლ — ე; 14. მ — ნ — ლ — რ.

ფრჩხილებში ჩასმულია თანხმოვნები, რომლებიც სალიტერატურო ქართულში არ იხმარება.

[შესამოწმებელია ზუსტი მეთოდებით სონორობის ზრდადობის ასეთი თანამიმდევრობა: შესაძლოა, საქირო იქნეს ზოგიერთი ცვლილების შეტანა. კერძოდ, როგორც ჩანს, ქართ. ვ ზოგიერთ შუქთხვევაში, ე. ი. ზოგიერთ კომპლექსში. უფრო სონორია, ვიდრე თვით სონორული თანხმოვნები. იხ. გვ. 205 ნეტათეზისის შესახებ].

#### 4. ხმოვანი, თანხმოვანი და „ნახევარხმოვანი“

როგორც ზეწოთ (გვ. 56) ითქვა, ხმოვანი, როგორც თანხმოვნისაგან განსხვავებული სამეტყველო ბგერა, შემჩნეულ იქნა მეცნიერული ფონეტიკის სექციაზე გაცილებით ადრე: ჯერ კიდევ ძველი ბერძნებისა და მეტადრე ძველი ინდოელების მიერ.

ძველი საბერძნეთიდან მომდინარე ტრადიციული სასკოლო გრამატიკების გავლენით ამ ცნებების (ხმოვანი, თანხმოვანი — ლათინურად *vocalis*, *consonans*) გვერდით დამკვიდრდა ენათმეცნიერებაში ცნება ნახევარხმოვანი (ლათინურად *semi-vocalis*: იგულისხმებოდა ბგერა, რომელიც არ ეკუთვნის არც ხმოვანს და არც თანხმოვანს). მაგრამ საყურადღებოა, რომ ძველი ბერძენი გრამატიკოსები თვლიდნენ ნახევარხმოვნებად ლ — მ — ნ — რ-ს (და აგრეთვე ს — ძ — ქს — ფს-ს; ამ ორ უკანასკნელს თითოეული ასო ჰქონდა — წ, ψ) და მიათვლიდნენ თანხმოვნებს, ხოლო ძველი ინდოელი გრამატიკოსები ასხვავებდნენ თანხმოვნურ რ — ლ-ს ხმოვნური რ — ლ-საგან.

ტერმინი ხმოვანი თავისთავად მართებულია ნხოლოდ იმდენად, რამდენადაც მიუთითებს ხმის უპირატესობას ნორმალურ ხმოვანთა წარმოთქმაში; მაგრამ საკლასიფიკაციო საფუძვლად იგი ვერ გამოდგება, თუ არ პირობითად, რადგანაც: 1) ხმოვანი შესაძლებელია წარმოითქვას ჩურჩულითაც, ე. ი. უხმოდ, მაგრამ იგი ამის გამო სხვა ბგერად არ შეიცვლება, მაშინ როცა უხმოდ (ე. ი. ყრუდ, უღერის უმისოდ) წარმოთქმული რომელიმე მქლერი თანხმოვანი, მაგ., დ იქცევა ყრუ ფშვინვიერად (თ) ან ყრუ აბრუპტივად (ტ); 2) ხმის უპირატესობა გვაქვს აგრეთვე სონორულ თანხმოვნებში (რ — ლ — მ — ნ), მაგრამ ესენი თანხმოვნებად ითვლება.

მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი „ხმოვანი“ — ისე როგორც ტერმინი „თანხმოვანი“ — არაა ზუსტი, ისინი მაინც დატოვებულია მეცნიერ-



რულ ფონეტიკაში; მაგრამ უნდა გვახსოვდეს ამ ტერმინების პირობითობა: მათ ვხმარობთ სხვა უფრო ზუსტი ტერმინების უქონლობის გამო.

რაც შეეხება ტერმინს „ნახევარხმოვანი“, ამით აღინიშნება ის ბგერები, რომლებიც ხმოვნისა და თანხმოვნის მიჯნაზეა.

როგორც აკუსტიკური (ხმიანობა-უხმოობის) თვალსაზრისითაა ძნელი ხმოვანსა და თანხმოვანს შორის მტკიცე საზღვრის გავლება, ისე ფიზიოლოგიური თვალსაზრისითაც: შეგვეძლო გვეთქვა, რომ ხმოვნები ღიაა, თანხმოვნები — არა; მაგრამ თანხმოვნებშიც გვაქვს მეტ-ნაკლები ღიაობა: ნაპრალოვნები და მეტადრე სონორული თანხმოვნები არანაკლებ ღიაა, ვიდრე ვიწრო ო ან ვიწრო უ. ამდენად ხმოვანსა და თანხმოვანს შორის პრინციპული განსხვავება მხოლოდ მაშინაა, როცა თანხმოვანი ხშულია.

აღნიშნავენ ჰაერნაკადის სიძლიერით განსხვავებას ხმოვნებსა და თანხმოვნებს შორის: ძლიერი ექსპირაცია ახასიათებს თანხმოვნებს, სუსტი — ხმოვნებს. ეს მართალია, მაგრამ აქაც არაა მათ შორის მყარი განსხვავება, რამდენადაც ჰაერნაკადის ყველაზე ენერგიული ამომდინარეობა ახასიათებს ყრუ თანხმოვნებს. (აქედან მათი სახელწოდება „ძლიერი“ — fortes), მათზე სუსტი — მეფერ თანხმოვნებს („სუსტნი“ — le-nes), მათზე უფრო სუსტი — სონორულ თანხმოვნებს და ყველაზე სუსტი — ხმოვნებს.

აქ ისეთი კრიტერიუმიც აღარ გვაქვს, როგორც ღიაობის მიხედვით გვექონდა: იქ ის მაინც ვიცოდით, რომ ხშულ თანხმოვანსა და ხმოვანს შორის გარდაუვალი საზღვარი გვექონდა, აქ კი არავის შეუძლია თქვას, ჰაერნაკადის რა ზომის სიძლიერეა საჭირო იმისათვის, რომ გვექნეს ბგერათა ესა თუ ის კლასი; საყურადღებოა აგრეთვე, რომ ყელ-ხშულ თანხმოვნებს ანუ აბრუპტივებს ვიწრო ხმოვნებზე უფრო სუსტი ჰაერნაკადის ამოწოლა აქვთ, რაც ადვილად შემოწმდება ხელის ზურგის პირთან მიტანით წარმოთქმის მომენტში.

ყველაზე მნიშვნელოვანია ის განსხვავება ხმოვანსა და თანხმოვანს შორის, რომელსაც პოულობენ ორგანოთა და ქიმიური მიხედვით: ხმოვანთა წარმოთქმისას დაქიმულია ყველა ორგანოები, რეზონატორთა კედლების ჩათვლით, და ამიტომ ხმოვანთა არტიკულაცია არაა ლოკალიზებული ერთ განსაზღვრულ ადგილასო; თანხმოვანთა წარმოთქმისას, პირიქით, დაქიმულია მხოლოდ მათი წარმოების ადგილი და ამიტომ ყოველი თანხმოვანი ლოკალიზებულია ერთ რომელიმე ადგილასო.

საკმარისია შევადაროთ ვიწრო „ი“-ს და „ს“-ს პალტოგრამები ერთმანეთს, რათა დაერწმუნდეთ იმაში, რომ „ი“ არანაკლებ ლოკალიზებულია „ს“-ზე. ლოკალიზებულია ყველა ხმოვანი; ვიწრო ხმოვანი მეტად, ვიდრე ფართო (ანუ ღია). თვით ისეთი ფართო ხმოვანიც კი, როგორცაა, მაგ. ო, ლოკალიზებულია ორმაგად: უკანაენის რბილი სასის მიმართ აწევით და ტუჩების მომრგვალებით: სრულიად ბუნებ-

რივია, რომ უკანაენაც და ტუჩებიც მეტადაა დაქიმული, ვიდრე ამ წარმოებაში არამონაწილე ორგანოები. კიდევ მეტიც: საკმარისია ერთ-ერთი ნათვანის მოცემული მოძრაობა. მოვშალოთ (ენის უკანა ნაწილი არ ავწიოთ, ან ტუჩები არ მოვამრგვალოთ, რომ წარმოითქვას არა *ო*, არამედ სხვა რაიმე ბგერა).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ხმოვანსა და თანხმოვანს შორის ის განსხვავებაა ჩვეულებრივს ხმამალალ (ხმაძლიერ) შეტყველებაში, რომ ხმოვანი იწარმოება უმთავრესად ხმის გამოღებით შესაფერი საწარმოთქმო ორგანოების გარკვეულ მდგომარეობაში შეჩერებისას, ხოლო თანხმოვანი ჩქამნარევი ხმის (სონორულ თანხმოვნებში) ან ხმანარევი ჩქამის (მჟღერ თანხმოვნებში) და ან მხოლოდ ჩქამის გამოღებით შესაფერი საწარმოთქმო ორგანოების მოძრაობისას: თანხმოვნებში დინამიკური წარმოების ბგერებია, ხმოვნები — სტატიკურისა.

ნახევარხმოვნებად ითვლება, მაგ., ის ქართული ბგერები, რომელთაც წინათ *ჟ*-სა და *ჭ*-ს (ან ზოგჯერ *ჯ*-ს) სახით გამოხატავდნენ სიტყვებში: მამაჟ, ჩჩენ; ან რუსულ *ж* სიტყვებში: *мощь, ძელაщ*; ფრანგული ბგერა, რომელიც პირობით (ე. ი. არა ტრადიციულ ფრანგულ წერაში) გამოიხატება *ж* ასოთი, მაგ., *travaļ* — იწერება *travail* — 'შუშაობა', და ბგერა, რომელიც აგრეთვე პირობითად გამოიხატება *w* ასოთი, მაგ., *mwa* — იწერება *moi* — 'მე'.

ფრანგული *ж*-ს მსგავსი „ნახევარხმოვანი“ აქვს რუსულსაც, მაგ., სიტყვებში *я=жа, юг=жук, даю=даю* და სხვა.

ჩვენ რომ შევადაროთ რუსული *ж* სა და *ж*-ს წარმოთქმა, დავინახავთ, რომ *ж* უფრო ახლო დგას რუს. *н*-სთან: ორივესათვის (*н, ж*) ენის შუანაწილია აწეული მაგარი სასის მიმართ, მაგრამ *н*-სათვის ნაპრალი უფრო ფართოა, *ж*-სათვის — უფრო ვიწრო; კიდევ უფრო ვიწროა *ж*-სათვის, რის გამოც ჰაერნაკადის ხეხვა ვიწრო ნაპრალში მეტია *ж*-სათვის, ვიდრე *н*-სათვის. ამიტომ *ж* ჩქამიერი მჟღერი ნაპრალოვანი თანხმოვანია; ხოლო *н* სუსტი ხმოვანია, რომელიც მარცვალს ვერ ჰქმნის.

ამ ნიშნუშე კარგად ჩანს ე. წ. „ნახევარხმოვანთა“ ბუნება; მას, როგორც წესი, ორი ფორმა აქვს: ჩქამიერი (მჟღერი ან ყრუ) თანხმოვნისა (მაგ., რუს. *ж*) და სუსტი (უმარცვლო) ხმოვნისა (მაგ., რუს. *н* და, ალბათ, ქართული *ჟ*). ამის ანალოგიურია ნახევარხმოვანი *ჭ* ან *ჯ*, ფრანგ. *w*: როგორც ჩანს, ქართული *ვ* არის (უმარცვლო) სუსტი უ, ხოლო ფრანგ. *w* — ჩქამიერი მჟღერი თანხმოვანი.

ამგვარადვე ინგლისური *ж* (მაგ., სიტყვებში: *humour* — წარმოითქმის 'hju: mə 'ჰიუმორი', *your* — ju: 'თქვენი', *you* — ju: 'თქვენ') და ინგლ. *w* (სიტყვებში: 'winter — wintə' 'ზამთარი', 'we — wi 'ჩვენ', *railway* — reilwei 'რკინიგზა') ისეთივე ჩქამიერი მჟღერი თანხმოვნებია, დაახლოებით, როგორც ფრანგული *ж* და *w*.

## II. ხმოვანთა კლასიფიკაციის საფუძვლები

სამეტყველო ბგერათა ფიზიოლოგიური და აქუსტიკური თვალსაზრისით შესწავლის შედეგად მიღებულია მათი კლასიფიკაცია. ამ თავში ვიძლევიტ ხმოვანთა კლასიფიკაციას.

ქვემოთ მოცემულია უმთავრესად ქართულ ხმოვანთა კლასიფიკაცია — ძირითადში ფიზიოლოგიური — სამკუთხედის სახით; მოკლედ განხილულია აგრეთვე ხმოვანთა ზოგადი კლასიფიკაცია.

იმ ცნობებს გარდა, რაც მოცემულია ზემოთ ხმოვანთა შესახებ, საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს კიდევ მათი კლასიფიკაციის შემდეგი საფუძვლები: 1. ხმოვანთა სამი რიგი — წინა, შუა და უკანა; 2. ხმოვანთა აწეულობის სამი საფეხური — მაღალი, საშუალო და დაბალი; 3. ხმოვანთა დაქიმულობა; 4. ხმოვანთა ნაზალიზაცია და 5. ხმოვანთა ლაბიალიზაცია.

### 1. ხმოვანთა სამი რიგი: წინა, შუა და უკანა

იშის მიხედვით, თუ ენის ზურგის რომელი ნაწილი აიწევა სასის მიმართულებით ხმოვანთა წარმოთქმისას, ჩვენ ვასხვავებთ სამი რიგის ხმოვანს: ა) წინა, ბ) შუა და გ) უკანა რიგისას.

#### ა. წინა რიგის ხმოვნებია, მაგ., ქართულში ე და ი.

მათი წარმოთქმისას ენის წვერი დაშვებულია და ძვეს ქვედა კბილებთან, ხოლო ენის ზურგის წინა ნაწილი აიწევა მაგარი სასის მიმართულებით: ე-სათვის — ნაკლებ, ი-სათვის — მეტად. რუსულში წინა რიგის ხმოვნებია и და э. მათვე ეწოდება პალატალური ანუ მაგარი სასისმიერი ხმოვნები, რადგანაც ენის ზურგის წინა ნაწილი უახლოვდება მაგარ სასას (ლათ. palatum 'სასა'). (იხ. სურ. 31).

ამავე რიგს ეკუთვნის ქართ. ე, რომელიც ძველ ქართულში, როგორც ჩანს, ხმოვნისა და თანხმოვნის მიჯნაზე იყო (იხ. ზემოთ).

სხვადასხვა ენაში შესაძლებელია წინა რიგის ხმოვანთა სხვა სახეებიც (მაგ., ფრანგულში არის ორი სახის ე, რომელთაგან ერთი უფრო ვიწროა ჩვენს ე-ზე); მაგრამ წინა რიგის ყველა ხმოვნისათვის საერთოა ენის ზურგის წინა ნაწილის მიმართულება მაგარი სასისაკენ — წინ და ზევით: გამოსაველ მდგომარეობად იგულისხმება ქართული ა-ს მდგომარეობა.

#### ბ. შუა რიგის ხმოვანია, მაგ., ქართულში ა.

შუა რიგის ხმოვნის წარმოთქმისას ენის ზურგი ოდნავ აიწევა სასისაკენ და დაიხვეს უკან, ან სრულიაჯ ნეიტრალურ მდგომარეობაშია — უკან არ გაიწევა: ამ მეორე სახისაა ქართული ა.

შუა რიგის ხმოვანია რუსული *а* (სიტყვებში *аа, паа*), რომელიც, მაშასადამე, იმავე რიგისაა, რომლისაჲ ქართული *ა*, მაგრამ ერთმანეთისაგან ძლიერ განსხვავდებიან: ქართული *ა* იმდენად უფრო წინაა რუსულის ამ *а*-ზე, რომ ძლიერ უახლოვდება წინა რიგის *ე* ს; ხოლო რუსული *а* იმდენად უფრო უკანაა, რომ ენის მდგომარეობით უახლოვდება უკანა რიგის *ო*-ს.

რუსული *а*-ს წარმოებისას ქვედა ყბა ძლიერ ეშვება ძირს, ენა მიიწევს უკან და ენის ზურგის უკანა ნაწილი ოდნავ აიწვევა რბილი სასისაკენ; ენის წვერი გაშორდება ქვედა კბილებს თითქმის ისე, როგორც *о*-სათვის.

ქართული *ა*-სთვის კი, როგორც ითქვა, ენა თითქმის უძრავია — სასისაკენ აიწვევა და არც უკან გაიწვევა.

შუა რიგის ხმოვანია აგრეთვე ის ბგერა, რომელიც საერთაშორისო ანბანში გამოიხატება *ჰ* ნიშნით, მაგ., ინგლისურ სიტყვაში *april* — ფონეტიკურად *eiɾɪl*, და არის მუდამ უმახვილო მდგომარეობაში.

დღევანდელ სალიტერატურო ქართულში ასეთი ხმოვანი არა ჩანს. სვანურსა და მეგრულში (ზუგდ.-სამურზ.) არის ეს შუა რიგის ხმოვანი, რომელსაც გამოვხატავთ *ჰ* ნიშნით: სვანური მკჷირ 'სეელი', გგებ 'ფიკვი', ოტებ 'დავაბრუნე'; მეგრული ქკრი 'ქორი', ცკრა 'ქალიშვილი', ფთასგნქ 'ვთესავ' და სხვა.

შუა რიგის ხმოვანია რუსული *ы* (მაგ., სიტყვაში *ныа*).

შუა რიგის ყველა ხმოვნისათვის — ასეთი ხმოვნები კი ბევრია სხვადასხვა ენაში — საერთოა ენის ზურგის მიმართულება სასისაკენ ვერტიკალურად ან ენის ზურგის ნეიტრალური მდგომარეობა.

## ბ. უკანა რიგის ხმოვნებია, მაგ., ძარტულში *ო* და *უ*

უკანა რიგის ხმოვანთა წარმოქმნისას ენის ზურგის უკანა ნაწილი აიწვევა რბილი სასის მიპართ — უ-სთვის. მეტად, *о*-სთვის — ნაკლებ; ენის წვერი დაშვებულია და დაშორებულია ქვედა კბილებს: უ-სათვის — მეტად, *о* სათვის — ნაკლებ; უკანაენის (ანუ ენის ზურგის უკანა ნაწილის) მიახლოებით რბილ სასასთან უ და *о* ნაკლებად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ვიდრე ე და *и* მაგარ სასასთან მიახლოებით (შეად. ისინი ერთმანეთს სურათ 31-ზე). ამ რიგს ეკუთვნის აგრეთვე ქართული *ჳ*, რომელიც წარმოადგენს სუსტ უ-ს.

ასეთივეა რუსული *о* და *у*; ე. ი ქართ. *о* და *უ* ენის არტიკულაციის მხრივ არ განსხვავდებიან რუსული *о* და *у*-საგან.

უკანა რიგის ხმოვანთა წარმოქმნაში ტუჩების მონაწილეობის შესახებ იხ. ქვემოთ.

უკანა რიგის ხმოვნები შეიძლება სხვაუ იყოს, რადგანაც — რიგის ფარგლებში — ენის უკანა ნაწილის მეტ-ნაკლები უკანდახევა და სასისაკენ აწევა ბევრნაირი შეიძლება. მაგრამ უკანა რიგის ყველა ხმოვნისათვის საერთოა უკანაენის მიმართულება რბილი სასისაკენ — უკან და ზევით.

თუ წინა რიგის ხმოვნებს ეძახიან პალატალურს (რბილს) ანუ მაგარი სასისმიერ ხმოვნებს (იხ. ზემოთ), უკანა რიგის ხმოვნებს ეძახიან ველარულს (მაგარს) ანუ რბილი სასისმიერ ხმოვნებს.

### შენიშვნა ა ხმოვნის რიგის შესახებ

ქართული ა შუა რიგის ხმოვანად მივიჩნით (გვ. 65). მაგრამ ა, როგორც ხმოვნის ტიპი, შესაძლებელია იყოს აგრეთვე წინა რიგისაც და უკანა რიგისაც. მაგ., წინა რიგისა გვაქვს რუსულში პალატალიზებული თანხმოვნის წინ: *д.п.н, р.а.т.н* (ა. წინა რიგისაა, რადგანაც ენის ზურგის წინა ნაწილია, ოდნავ რომ აიწევა); ასეთივეა ფრანგული *.а.* მაგ., სიტყვებში *пале* — ფონეტ. *pa:l* 'თითი', *camarade* — ფონეტ. *camarad* 'ამხანაგი' (შუა რიგის რუს. *.а.-ს* შესახებ იხ. გვ. 66)

უკანა რიგისაა რუსული *.а.* მაგ., სიტყვებში *д.а.п, н.а.п* და აგრეთვე ფრანგული *.а.* ისეთ სიტყვებში, როგორცაა, მაგ., *mois* — ფონეტ. *mo:wa* 'თვე' (შეად. *moi* — ფონეტ. *mo:wa* 'მე'. სადაც *.а* წინა რიგისაა), *ma:le* — ფონეტ. *ma:i* 'მამალი' (შეად. *mal* ბოროტება') და *.а.* შ.

ამგვარად, ქართული ა შუა რიგის ხმოვანია; ფრანგულში გვაქვს წინა და უკანა რიგის *.а.* ხოლო რუსულში — სამივე რიგისა.

### 2. ხმოვანთა აწეულობის სამი საფეხური: მაღალი, საშუალო და დაბალი

წინა თავში ჩვენ ვამახვილებდით ყურადღებას უქთაერესად იმაზე, თუ ენის რომელი ნაწილი მოქმედებდა სასის მიმართ — წინ და ზევით, უკან და ზევით. აქ საჭიროა დავაზუსტოთ, თუ რამდენად აიწევა ენის ესა თუ ის ნაწილი სასისაკენ.

ამ მხრივ ვასხვავებთ აწეულობის სამ საფეხურს: ა) მაღალს, ბ) საშუალოს და გ) დაბალ საფეხურებს.

### ა. მაღალი აწეულობის ხმოვნებია, მაგ., ძარტულში ი—ჟ, უ—ჟ<sup>1</sup>.)

ეს ის ხმოვნებია, რომელთა წარმოქმნისას ენა აწეულ მდგომარეობაშია: ი — ჟ-სათვის თავისი ზურგის წინა ნაწილით, ხოლო უ — ჟ-სათვის — უკანა ნაწილით.

ამ ხმოვნებს ეძახიან აგრეთვე ვიწრო ანუ დახურულ ხმოვნებს. ასეთივეა რუსულის *и — ѣ* და *у*.

### ბ. საშუალო აწეულობის ხმოვნებია, მაგ., ძარტულში ე — ი

ამ ხმოვნებისათვის ენას (ე-სთვის ზურგის წინა ნაწილით, ი-სთვის — უკანათი) საშუალო ადგილი უკავია შედარებით მაღალი აწეულობის ხმოვ-

<sup>1</sup> ა და ჯ აქ განიხილება როგორც ხმოვნები


ნებთან (ი — ჰ, უ — ჯ) და დაბალი აწეულობის ხმოვნებთან (ქართ. ა, რუს. ა).

### ბ. დაბალი აწეულობის ხმოვანია, მაგ., ქართულში ა

ქართული ა-სთვის ენა ძვეს ყველა ხმოვნისაზე დაბლა, ხოლო რუსულსთვის ოდნავ აწეულია, მაგრამ ვერ აღწევს საშუალო (ა-ს) აწეულობას. მაშასადამე, ქართულ ა-სა და რუსულ ა-ს შორის განსხვავება არის ენის აწეულობის მხრივ, მაგრამ ორივეს აწეულობის საფეხური დაბალია. დაბალი აწეულობის ხმოვნებს ეძახიან აგრეთვე ფართო ანუ დიახმოვნებს.

აწეულობის საფეხურები ბევრია სხვადასხვა ენაში. აქ მოყვანილია მხოლოდ ქართულისა და რუსულის ნიმუშები. ერთი და იგივე ხმოვანი შეიძლება იყოს ორი სახისა: ფართოსი და ვიწროსი, ე. ი. ერთისა და იმავე აწეულობის საფეხურის ხმოვანს შესაძლებელია ჰქონდეს სხვადასხვა სახე—აგრეთვე აწეულობის აღწერილი საფეხურების შიგნით დასაფეხურების მიხედვით. მაგ., ფრანგულშია საშუალო საფეხურის (ე-ს და ა-ს) ორი სახეობა: უფრო ფართო და უფრო ვიწრო; მაგ., ფრანგული fait — ფონეტიკურად [ε (ფართო ე-თი) 'გაკეთებული', მაგრამ: [e — ფონეტ. [e (ვიწრო ე-თი) 'ჭეია'; ფრანკ. pomme. — ფონეტ. [pɔm: 'ვაშლი' (ფართო ა-თი), ფრანკ. mot — ფონეტ. [mɔ (ვიწრო ა-თი) 'სიტყვა'.

სურათ 31b-ზე წარმოდგენილია ენისა და ტუჩების მდგომარეობის შედარებითი სქემა ქართულის ხუთი ხმოვნისათვის. ცხრილის შესწავლისას გამოსავალ წერტილად უნდა იქნეს მიღებული ა-ს სქემა: აიღეთ მი-



სურ. 31b

ენის აწეულობის შედარებითი სქემა

მართულება ა — ე — ი, შემდეგ ა — ა — უ და დაუკვირდით, თუ როგორ მდგომარეობას მიიღებს ენა თითოეული მიმართულებით; აგრეთვე ტუჩებიც: ა — ე — ი-ს დროს ენა მიდის წინ და ზევით, ა — ა — უ-ს უკან და ზევით.

### 3. ხმოვანთა დაჯიმვულობა

ხმოვნებს ახასიათებს აგრეთვე მეტ-ნაკლები დაჯიმვულობა, მაგრამ ეს თვისება არ ასხვავებს ერთმანეთისაგან ერთი და იმავე ენის ხმოვნებს, ე. ი. არ შეიძლება ერთსა და იმავე ენაში ერთი რომელიმე ხმო-

ვანი ხასითდებოდეს დაქიმული წარმოთქმით, მეორე — არა (სხვა პირობების ერთნაირობის დაცვით).

ხმოვანთა დაქიმულობა ასხევეებს ერთ ენას მეორისაგან. მაგ., ცნობილია, რომ ფრანგულ ენას ახასიათებს ხმოვანთა დაქიმული წარმოთქმა, რუსულს — მოდუნებული.

ერთი ენის ფარგლებში შეიძლება განსხვავდებოდნენ ხმოვნები დაქიმულობით განსხვავებულ პირობებში; მაგ., რუსულში მახვილიანი ხმოვნები უფრო დაქიმულია, ვიდრე უმახვილო; გერმანულში დაქიმულია გრძელი ხმოვნები.

დაქიმული წარმოთქმის საფუძველია სამეტყველო ორგანოთა მტკიცე დაქიმული მდგომარეობა - მოქმედება. „რამდენადაც უფრო დაქიმულია მუსკულატურა ტუჩებისა, ენისა, ლოყებისა, რბილი სასისა, თარინგის კედლებისა და ა. შ., მით უფრო მკაფიოა, გარკვეულია ეს ელფერი (იგულისხმება დაქიმულობა). და ხმოვანს მთლიანად ეძლევა ლითონისებრი ელფერი; რაც უფრო რბილია კედლები, ე. ი. რაც უფრო ნაკლებად დაქიმული მუსკულატურა, მით ნაკლებად ეს ელფერი მკაფიო და გარკვეული, და ხმოვანი მთლიანად ბერს რალაც ყრუდ. (А. В. Щерба, Фонетика франц. яз. 3, 25).

ქართულს (და, როგორც ჩანს, ზანურს) ახასიათებს ხმოვანთა დაქიმული წარმოთქმა, ქართული ვოკალიზმის ისტორიული დაურღვევლობა ამის მაჩვენებელია.

#### 4. ხმოვანთა ნაზალიზაცია

ზოგიერთ ენაში ხმოვნები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან იმის მიხედვითაც, მხოლოდ პირის ღრუს გზით გამოდის ჰაერნაკადი ხმოვნის არმოებისას, თუ ორივე გზით — პირითაც და ცხვირითაც. იმ ხმოვნებს, რომელთა წარმოთქმისას ჰაერნაკადი გამოდის მხოლოდ პირით, ეძახიან პირისეულს ანუ ორალურ ხმოვნებს; ხოლო იმ ხმოვნებს, რომელთა წარმოთქმისას ჰაერნაკადი გამოდის პირითაც და ცხვირითაც, ეძახიან ცხვირისმიერს ანუ ნაზალიზებულ ხმოვნებს.



სურ. 32. ცხვირისეული ანუ ნაზალიზებული ა

ნაზალიზებულ ხმოვანთა წარმოთქმისას რბილი სასა ნაქითურთ დაშვებულია ძირს (იხ. სურ. 32) და ცხვირის ღრუში შესაველი ღიაა; ღიაა, რა თქმა უნდა, აგრეთვე პირის ღრუც — წარმოსათქმელი ხმოვნის

შესაფერად (მაგ., ა-სათვის, თუ იწარმოება ნაზალიზებული ა; ო-სათვის თუ წარმოსათქმელია ნაზალიზებული ო და ა. შ.). ჰაერნაკადის ნაწილი გაივლის ცხვირის ღრუში და იწვევს თავისებურ ტემბრს, რომელსაც ნაზალურს ანუ ცხვირისეულ ტემბრს ვეძახით.

სასის ფარდის ანუ რბილი სასის დაშვება და აწევა კარგად ჩანს სარკეში, თუ პირს ძლიერ ფართოდ გააღებთ და სასაზე სინათლის შუქს მიუშვებთ: როცა წარმოვთქვამთ სუფთა (ორალურ) ა-ს (უმჯობესია იმაზე ვარჯიში, რადგანაც სხვა ხმოვნისთვის პირის ღრუ ესე ფართოდ არ გაიღება), ფარდა აიწევა და ნიექვრება კედელს (მაშასადამე, გზა ცხვირისაკენ დაიკეტება); როცა იტყვიოთ ა (ნაზალიზებული ა), ფარდა ძირს დაეშვება—გზა ცხვირისაკენ ღიაა.

რომელიმე ხმოვნისათვის ნაზალური ტემბრის მინიჭებას ეწოდება ამ ხმოვნის ნაზალიზაცია.

ქართულს არა აქვს სოციალურად ღირებულ ხმოვანთა ნაზალიზაცია. ფიზიოლოგიურად კი, ცოცხალი მეტყველების პროცესში, ქართულსაც მოეპოვება ნაზალიზებული ხმოვნები; მაგალითად, სიტყვებში: საში, კანი ა ოდნავ ნაზალიზებულია; უფრო მეტადაა ნაზალიზებული იგივე ა სიტყვებში: სამს, კანს; კიდევ უფრო მეტად სიტყვებში: სანდრო, სანთელი. ევროპულ ენათა შორის ნაზალიზაცია გავრცელებულია, მაგ., ფრანგულში; მასზე ნაკლებაა პოლონურში. ნიმუშები ფრანგულიდან: enfant — ფონეტიკურად ან: fã (ორივე ა ნაზალიზებულია, პირველი გრძელია) 'ბავშვი', ciãq — ფონეტ. sã (ნაზალიზებული ფართო ე) 'ხუთი' და ა. შ. (შეად. სურ. 31 ა და 32 სასის ფარდის მხრივ).

## 5. ხმოვანთა ლაბიალიზაცია

ტუჩების აქტიური მონაწილეობა ხმოვანთა წარმოებაში გამოიხატება მათს მეტ-ნაკლებად წინ წამოწევისა და მომრგვალებაში; ა-სა და წინა რიგის ხმოვნებისათვის (ე, ი) ჩვეულებრივ ტუჩები თითქმის პასიურნი არიან: ისინი ოდნავ გაიწევიან გასწვრივ.

ამიტომ ხსენებული ფორმით ტუჩების აქტიური მონაწილეობა შეეხება უპირველესად ო-სა და უ-ს: პირველის წარმოთქმისას ტუჩები წამოიწევიან წინ და მომრგვალდებიან მხოლოდ იმდენად, რომ ქვედა კბილები შეიძლება ჩანდეს; ხოლო უ-სათვის ტუჩები უფრო მეტად წამოიწევიან და მეტადვე მომრგვალდებიან — კბილები არ შეიძლება ჩანდეს. ამ ხმოვნებს ეძახიან ტუჩებმომრგვალებულს ანუ ლაბიალიზებულ ხმოვნებს. [რომ საყოველთაოდ მიღებული არ იყოს ეს უცხოური ტერმინი, უმჯობესი იქნებოდა მის ნაცვლად გვეხმარა ო-სა და უ-სათვის ლაბიალური, რადგანაც ამ ხმოვნების წარმოქმნაში უმთავრეს

1. Labium ტუჩი, labia — ტუჩები, labials — ტუჩისეული; აქედან ლაბიალიზაცია — 'გატუჩისეულება'.



როლს სწორედ ტუჩები ასრულებენ; ნამდვილად ლაბიალიზებულია ხმოვნები, რომლებზეც ახლა გვექნება საუბარი და რომელთა წარმოებაში ტუჩების როლი მთავარი არ არის].

ლაბიალიზებულს ეძახიან აგრეთვე ისეთ ხმოვნებს, როგორცაა, მაგ., გერმ. ö და ü (ფონეტ. y) სიტყვებში Töchter 'ქალიშვილები' და Brüder 'ძმები' ან ფრანგული u და eu (ფონეტიკ. იგივე ö და ü), მაგ., სიტყვებში: deux — ფონეტ. di 'ორი', rue — ფონეტ. რუ 'ქუჩა'. მაშასადამე, ესენია ლაბიალიზებული წინა რიგის ხმოვნები. ფონეტიკურად პირველი (ö) წარმოადგენს ლაბიალიზებულ ე-ს, ხოლო მეორე (y) — ლაბიალიზებულ ი-ს: საკმარისია წარმოთქვათ ხმაშეუწყვეტლივ ე და ტუჩები თანდათან მოამრგვალოთ ო-სათვის, რომ მიიღოთ ö; ხოლო ი ს ხმაშეუწყვეტლივ გაგრძელებით და ტუჩების უ-სათვის მომრგვალებით მიიღებთ y-ს.

## 6. ქართული ენის ხმოვანთა სამკუთხედი

რაც ითქვა აქამდე ხმოვანთა შესახებ (მეტადრე გვ. 65—68), ამის დასკვნას წარმოადგენს ქართულ ხმოვანთა კლასიფიკაცია, რომელიც აქვეა მოცემული ქართულ ხმოვანთა „სამკუთხედის“ სახით (იხ. სურ. 33)

სამკუთხედის მწვერვალზე მოთავსებულია ა — შუა რიგის ხმოვანი; მის მარცხენა და მარჯვენა გვერდებზე წარმოდგენილია წინა რიგისა (მარცხენაზე) და უკანა რიგის (მარჯვენაზე) ხმოვნები. ა წარმოადგენს გამოსავალ წერტილს ენის აწევის ორი მიმართულებისათვის: წინ და ზევით; უკან და ზევით (იხ. გვ. 68), ე. ი. : ა — ე — ი, ა — ო — უ.

მარცხენა გვერდის ხმოვნების (ა-ს ჩათვლით) წარმოთქმის დროს, წინაენის წინ და ზევით მოძრაობისას, ტუჩები თითქმის პასიურად არიან: მხოლოდ ოდნავ თანდათან უახლოვებიან ერთმანეთს ვერტიკალურად და გაიწევიან გასწვრივ — დაწყებული ა-დან — ე-სთვის ნაკლებად, ი-სათვის მეტად.

რაც შეეხება მარჯვენა გვერდის (ა-ს ჩათვლით) ხმოვანთა წარმოთქმას, აქ, უკანა ენის უკან და ზევით მოძრაობისას, ტუჩები აქტიურ მონაწილეობას იღებენ: უახლოვებიან რა ერთმანეთს აგრეთვე ვერტიკალურად და კუთხეებიდან ცენტრისაკენ, წამოიშვირებიან წინ და მომრგვალებიან: ო-სათვის ნაკლებ, უ-სათვის მეტად. ეს შეეხება ხმოვანთა სამ რიგს.


ხმოვანთა აწეულობის საფეხურებიც თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი ამავე სამკუთხედზე: აწეულობის ყველაზე მაღალი საფეხურია ი — უ (არალაბიალიზებული-ლაბიალიზებული: პირველია მაღალი წინ, მეორე — მაღალი უკან); საშუალო საფეხურია ე — ო (არალაბიალიზებული-ლაბიალიზებული: პირველია საშუალო წინ, მეორე — მაღალი უკან); ყველაზე დაბალი აწეულობის საფეხურზეა ა (იხ. სურ. 31 ხ).

მაშასადამე, ვიწროვდება არე წინაენასა და მაგარ სასას შუა თან-  
დათანობით — დაწყებული ა-დან ზევით, წინ და უკან (ე — ი), უფრო  
ზევით, წინ და უკან (ო — უ).

თუ კიდევ უფრო ზევით აიწევა წინა ენა ე — ი-ს, ხოლო უკანაენა  
ო — უ-ს ხაზით, მივიღებთ სუსტ ხმოვანს წინ (ჟ), სუსტ ხმოვანს უკან  
(ჟ); ამ მეორესათვის ტუჩები კიდევ უფრო წამოიწვირებიან წინ და  
მრგვლად დავიწროვდებიან.

ამგვარად, ქართული ენის ხუთ (ან შვიდ) ხმოვანში ყველაზე წინა  
რიგისაა ი (ან ჟ), ყველაზე უკანაა უ (ან ჟ). ყველაზე ვიწროებია ი — უ  
(ან ჟ — ჟ), ყველაზე ფართოა ა.

სამკუთხედის სახით წარმოდგენილი ქართულ ხმოვანთა კლასიფი-  
კაცია ფიზიოლოგიურ საფუძველზეა დამყარებული. საყურადღებოა, რომ  
ეს კლასიფიკაცია ემთხვევა აკუსტიკურსაც. მართალია, სამკუთხედი მოცე-  
მულია ქართულ ხმოვანთა, ხოლო ხმოვანთა რეზონატორული (სატემბრო)  
ტონის სიმაღლე გამოანგარიშებულია ფრანგულისა და რუსულის, მაგრამ  
ეს ხელს არ გვიშლის ზოგადი დასკვნების გამოტანაში: ხმოვანთა რეზონა-  
ტორული ტონის სიმაღლე კლებულობს დაწყებული ი-დან ე — ა — ი-ს  
გავლით და უ-ში გათავებული (ი—3648, ე—1824, ა—912, ი—456,  
უ—228).



სურ. 33 ხმოვანთა სამკუთხედი

## 7. ხმოვანთა ზოგადი კლასიფიკაცია

ხმოვანთა საკლასიფიკაციო სქემა მოცემულია ქართულ ხმოვანთა  
სამკუთხედის სახით.

თითოეული ენის ვოკალიზმი (ხმოვანთა სისტემა) მეტ-ნაკლებად  
უეჭველად განსხვავებულია სხვა ენის ვოკალიზმისაგან.

ქართულის ისეთ ახლო მონათესავე ენებსაც კი, როგორცაა მე-  
გრული და სვანური, ქართულისაგან განსხვავებული ვოკალიზმი აქვთ:

\* ამ თავში ვისარგებლე მ. ი. მატუსევიჩის მშენიერი წიგნის *Введение в  
описанию фонетику*, 1941, თავით „ОСНОВНЫЕ ТИПЫ ГЛАСНЫХ“ (გვ. 63 — 68 : გადმო-  
ვიღე მთლიანად ხმოვანთა სამკუთხოვანი ცხრილი (შედგენილი შერბას მიხედვით)  
და ზოგიერთი ახსნაც — სათანადო ცვლილებებით. ნიმუშებიც უმთავრესად ამოღებუ-  
ლია იქიდან.

მეგრულს ნაკლებ, სვანურს მეტად. მეგრული ვოკალიზმის შედგენილობა უკვე იმით განსხვავდება ქართულისაგან, რომ მეგრულს მოეპოვება გ, რაც ქართულში არა გვაქვს. გაცილებით მეტი განსხვავებაა ქართულსა და სვანურ ვოკალიზმს შორის.

კიდევ უფრო მეტად განსხვავდება ქართულისაგან შორეული მონათესავე ენებისა, მაგ., რომელიმე კავკასიური ენისა, და მეტადრე უნათესაო ენათა ვოკალიზმი.

ამის მიუხედავად, დაახლოებით ამავე სქემით შეგვიძლია დავალოთ სხვა ენათა ხმოვნებიც.

რომელიმე სხვა ენას შესაძლოა ჰქონდეს ქართულზე უფრო მარტივი ან უფრო რთული ვოკალიზმი. მაგალითად, აფხაზურში სამხმოენიანი ვოკალიზმია (ა — ი — უ): ასეთ შექმნევაში სამკუთხედის სამი წერტილი იქნება დაკავებული, მაგრამ, თუ ავიღებთ, მაგ., ფრანგული ენის ვოკალიზმს, ვნახავთ, რომ მასში ორი ე და ორი ო არის. მაშასადამე, ფრანგულ ხმოვანთა სამკუთხედის მარცხენა და მარჯვენა გვერდებზე გვექნება დაკავებული მეტი რიცხვი წერტილებისა, ვიდრე ქართულ ხმოვანთა სამკუთხედზე: ორი ე (პირველი — უფრო ფართო — ახლო იქნება ა-სთან, მეორე — უფრო ვიწრო — ახლო იქნება ო-სთან); ორი ო (პირველი — უფრო ფართო — ახლო იქნება ა-სთან, მეორე — უ-სთან) და ა. შ.

სამკუთხედის გვერდებზე გარკვეული წერტილის დაკავება მოასწავებს ამა თუ იმ ხმოვნის საწარმოთქმო ადგილისა (წინ, შუაში თუ უკან) და აწეულობის (მაღალი, საშუალო, დაბალი) ჩვენებას.

რას ნიშნავს თქმა: ქართულს ერთი ე (ან ერთი ო) აქვს, ფრანგულს — ორიო? ეს ნიშნავს შემდეგს: თუ ჩვენ ა-დან გადავალთ ხმაუწყვეტლივი თანდათანობით ო-ზე, შუა მომენტში ჩვენ ვიცნობთ (გავიგონებთ) მხოლოდ ერთ ე-ს, ხოლო თუ ფრანგი შეასრულებს იმასვე, იგი იმავე ხაზზე გაიგონებს (იცნობს) თავის ორ ე-ს. ამგვარადვე ჩვენ გავიგონებთ ერთ ო-ს, ფრანგი — ორს.

ეს ნიშნავს იმას, რომ სოციალურად ღირებული ე და ო (ანუ ფონემა ე და ო) ქართულში თითოა, ფრანგულში — ორ-ორი

აქ წარმოდგენილ ცხრილში (იხ. სურ. 34) მოცემულია ხმოვანთა ძირითადი ტიპები — უმთავრესად იმ ხმოვანთა, რომელნიც ევროპულ ენებში გვხვდებიან.

ხმოვნები დალაგებულია სამკუთხედის სქემით და თითოეული ხმოვანი გამოხატულია საერთაშორისო-ფონეტიკური ასოციაციის ნიშნებით.

ცხრილში დაკავებულია მრავალი წერტილი როგორც მარცხენა გვერდზე (მიმართულება ენისა წინ და ზევით), ისე მარჯვენაზე (უკან და ზევით); უფრო მეტია დაკავებული წერტილები მარცხენაზე, რადგანაც მეორე (გარეთა) რიგში მოცემულია ოთხი ლაბიალიზებული ხმოვანი; ლაბიალიზებულია ორი წინა რიგისა (i — 1) და ორიც შუა რიგის (e — ე) ხმოვანი. საერთოდ, მარცხენა გვერდზე (წინა და შუა რიგისა, მაღალი და საშუალო აწეულობის) ხმოვნები უფრო ხშირადაა ლაბიალი-

ზებული, ვიდრე მარჯვენა გვერდზეა ხმოვნები არალაბიალიზებული, ე. ი. მარცხენა გვერდზე ლაბიალიზებულია ოთხი, მარჯვენაზე არალაბიალიზებულია ორი (უკანა რიგის ყველაზე მაღალი აწეულობისა და შუა რიგის საშუალო აწეულობისა).

დაკავებულია სამი წერტილი დაბალი აწეულობის ხაზზე: მარცხნიდან პირველი **a** ყველაზე დაბალი აწეულობის წინა რიგის **a** არის, მეორე **a** — იმავე დაბალი აწეულობის ძლიერ უკანა რიგის **a**, ხოლო მესამე (შებრუნებული **a** ნიშნით) — იმავე აწეულობის და იმავე რიგის ლაბიალიზებული **a**.

შუაზე დაკავებულია სამი წერტილი; ესენია ე. წ. შუა რიგის ხმოვნები: ზემოდან პირველი — მაღალი აწეულობის, მეორე — საშუალო და მესამე — დაბალი აწეულობისა.

მსოფლიოს არც ერთ ენაში არ არსებობს ყველა ეს 21 ხმოვანი; სხვადასხვა ენაში კი გვხვდება ყველა მათგანი.

ავსტრალ თითოეულ მათგანს მოკლედ და მოვიყვანთ სათანადო ნიმუშებს იმ ენებიდან, სადაც ეს ხმოვნები გვხვდება.

სასტამბო ნიშნების უქონლობის გამო მივუთითებთ ნომრებზე, რომლებითაც აღნიშნულია ხმოვნები.

თუ განსახილველი ხმოვანი გვხვდება ქართულსა ან რუსულში, ამას ყოველთვის აღვნიშნავთ.

წინა	საშუალო	უკანა
1 y i	ɪ 11	ɨ 10
2 Y I		ʊ 9
3 ø e	ɘ 12	o 8
4 œ ɛ	ɜ 13	ɔ 7
5 æ		
	ɔ 6	ɑ 5

სურ. 34. ხმოვანთა ძირითადი ტიპები და მათი ნიშნები.

№ 1. ორი ხმოვნიდან მეორეა არალაბიალიზებული წინა რიგის ყველაზე მაღალი აწეულობის ი; გვხვდება, მაგ., ფრანგულსა და გერმანულში: ფრანგ. *cire* 'ცვილი', გერმ. *vier* 'ოთხი' *ix* (გამოხატავს გრძელ დაკიმულ ი-ს).

პირველი იგივეა, მხოლოდ ძლიერ ლაბიალიზებული (ე. ი. ტუჩები ძლიერ წამოშვერილი და ვიწროდ მომრგვალებული); გვხვდება, მაგ., იმავე ენებში: ფრან. tu 'შენ', გერმ. über.

№ 2. მეორეა არალაბიალიზებული წინა რიგის მაღალი (მაგრამ № 1-ზე ოდნავ დაბალი) აწეულობის ი; მაშასადამე, უფრო ფართოა № 1-ზე; გვხვდება, მაგ., გერმ. და ინგლისურში: გერმ. dick 'სქელი, მსხვილი'; ინგლ. sit 'ჯდომა'. ასეთივეა რუსული და ქართული ი: пил 'სვამდა', ქართ. შინ.

პირველი იგივეა, მხოლოდ ლაბიალიზებული (ტუჩები ნაკლებად წამოშვერილი და უფრო ფართოდ მომრგვალებული, ვიდრე № 1-ში); გვხვდება, მაგ., გერმანულში: fünf 'ხუთი'.

№ 3. მეორეა არალაბიალიზებული წინა რიგის საშუალო აწეულობის ე; ესაა ვიწრო ე, რომელიც არის ფრანგულში, ინგლისურში, გერმანულში და რუსულში, მაგრამ ოდნავ ერთმანეთისაგან განსხვავებული: ფრან. été 'ზაფხული' (ორივე ე ამ სიტყვაში ერთნაირია), გერმ. Meer 'ზღვა' (წარმოითქმის როგორც ერთი გრძელი ვიწრო ე), ინგლ. red 'წითელი', რუს. дети.

პირველი იგივეა, მხოლოდ ლაბიალიზებული (ტუჩები კიდევ უფრო ნაკლებად წამოშვერილი და უფრო ფართოდ მომრგვალებული, ვიდრე № 2-ში); გვხვდება, მაგ., ფრანგ. და გერმანულში: ფრანგ. bleu 'ლურჯი', გერმ. Söhne 'ვაჟები' (ხმოვანი S-სა და h-ს შუა).

№ 4. მეორეა არალაბიალიზებული წინა რიგის საშუალო აწეულობის (მაგრამ ნაკლები აწეულობისა, ვიდრე № 3) ე; მაშასადამე, ესაა ფართო ე, რომელიც არის ფრანგულში, ინგლისურში, რუსულში, გერმანულში და ქართულში, მაგრამ ერთმანეთისაგან ოდნავ განსხვავებული: ფრანგ. mère 'დედა' (m-სა და r-ს შუა), რუს. дед, გერმ. denn 'რადგან', ქართ. ერთი, მე.

პირველი იგივეა, მხოლოდ ლაბიალიზებული (ტუჩები კიდევ უფრო ნაკლებად წამოშვერილი და უფრო ფართოდ მომრგვალებული, ვიდრე № 3-ში); გვხვდება ფრანგულში და გერმანულში: ფრანგ. veuf 'ახალი', გერმ. können 'შეძლება'.

№ 5. ესაა წინა რიგის ყველაზე (წინა ა-ს გარდა) დაბალი აწეულობის (ე. ი. ძლიერ ფართო) და ძლიერ უახლოვდება სითართოვით წინა ა-ს; გვხვდება, მაგ., ინგლისურში: cat 'კატა'.

მისი ლაბიალიზებული სახეობა იშვიათია.

№ 6. პირველია წინა რიგის ყველაზე დაბალი აწეულობის (ე. ი. ყველა წინა რიგისაზე ფართო) ხმოვანი ა; გვხვდება, მაგ., რუსულში: даян, ქართულში (უფრო მეტად შუა რიგისაკენ გადახრილი): დალი; ფრანგულში: patte 'თათი'.

მეორეა უკანა რიგის ყველაზე დაბალი აწეულობის (ე. ი. ყველაზე ფართო) ა, რომელიც გვხვდება, მაგ., ფრანგულში (base 'ფუძე'), ინგლ. (part 'ნაწილი') და რუსულში (даа).

მესამეა ღრმად უკანა რიგის ლაბიალიზებულია შორის ყველაზე დაბალი აწეულობის ა; მისი ლაბიალიზაცია სუსტია (ე. ი. ტუჩები არაა ძლიერ წამოშვერილი და ვიწროდ მომრგვალებული); გვხვდება, მაგ., ინგლისურში: ძიფ 'ძაღლი'.

№ 10. მარჯვნიდან პირველი წარმოდგენს უკანა რიგის ყველაზე მაღალი აწეულობის ძლიერ ლაბიალიზებულ (ძლიერ წამოშვერილსა და ვიწროდ მომრგვალებულ) უ-ს. გვხვდება, მაგ., ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულსა და რუსულ ენებში — ოდნავ ერთმანეთისაგან განსხვავებული სახეობებით: ინგლ. food 'საკმელი', ფრანგ. soupe 'სუფი', გერმ. Grund 'ნიადაგი', რუს. луг.

მეორე — იშვიათი ხმოვანია. ესაა არალაბიალიზებული უ, რაც წაგავს უკან გადაწეულ რუსულ ხ-ს.

№ 9. უკანა რიგის მაღალი (მაგრამ № 10-ზე ცოტა დაბალი) აწეულობის ოდნავ № 10-ზე ნაკლებ ლაბიალიზებული უ; გვხვდება, მაგ., ინგლ. და გერმ., აგრეთვე ქართულში: ინგლ. food 'კარგი', გერმ. und 'და' (კავშირი), ქართ. გული.

№ 8. უკანა რიგის საშუალო აწეულობის, № 10-ზე კიდევ ნაკლებ ლაბიალიზებული ო; იგია ვიწრო ო; გვხვდება, მაგ., ფრანგ. და გერმანულში: ფრანგ. rôtie 'უარდი', გერმ. Sohn 'ვაჟი'.

№ 7. მარჯვნიდან პირველი წარმოდგენს უკანა რიგის საშუალო (მაგრამ უფრო დაბალი, ვიდრე № 8) აწეულობისა და № 8-ზე ნაკლებად ლაბიალიზებულ ო-ს; მაშასადამე, ესაა ფართო ო, რომელიც გვხვდება გერმ., ფრანგ., რუსულსა და ქართულში — საკმაოდ ერთმანეთისაგან განსხვავებული სახეობები. გერმ.: Stock 'ჯოხი', ფრანგ. note 'ნოტი'. რუს. стол, ქართ. ბოლი.

მეორეა იგივე, მხოლოდ არალაბიალიზებული; გვხვდება, მაგ., ინგლისურში: cut 'კრა'.

№ 11. ესაა შუა რიგის მაღალი აწეულობის არალაბიალიზებული ხმოვნების წარმომადგენელი. ამ რიგისა და აწეულობისაა, მაგ., რუსული ხ.

№ 12. ამის შესახებ იხ. გვ. 67: იგივეა, რაც ა.

№ 13. ესაა შუა რიგის დაბალი აწეულობის არალაბიალიზებული გრძელი ხმოვანი, მაგ., ინგლისურში turn (წამოთქმ. tɜ : n 'ტრიალი' 'bird (ბა : d) 'ფრინველი'.

### III. თანხმოვანთა კლასიფიკაციის საუბეჭდები

თანხმოვანთა კლასიფიკაციის ნიმუშად აქ განხილული გვაქვს უმთავრესად ქართულ თანხმოვანთა ფიზიოლოგიური კლასიფიკაცია; მაგრამ მოკლედ წარმოდგენილია აგრეთვე თანხმოვანთა ზოგადი ფიზიოლოგიური კლასიფიკაცია.

იმის გარდა, რაც მოცემულია ზემოთ თანხმოდანთა შესახებ, საჭიროა გათვალისწინება მათი კლასიფიკაციისათვის კიდევ ზოგიერთი სხვა-საფუძვლებისა, სახელდობრ:

1. თანხმოდანთა სუნთქვიერი და უსუნთქველი წარმოება;
2. ასპირაცია (ანუ ფშვინვა) და ასპირატები (ფშვინვიერები);
3. ხშულ თანხმოდანთა წყვილულებრივი, სამეულელებრივი და ოთხეულელებრივი სისტემები;
4. თანხმოდანთა ნაპრალოვნობა (ანუ სპირანტულობა);
5. რთული თანხმოდანები (ანუ აფრიკატები);
6. თანხმოდანთა ფარინგალურობა.

## 1. თანხმოდანთა სუნთქვიერი და უსუნთქველი წარმოება

როგორც წესი, ყოველი სამეტყველო ბგერა იწარმოება ჰაერნაკადით — ამოსუნთქვის გზით. ამას ვეძახით სუნთქვერ ბგერათწარმოებას. მაგრამ არის ზოგიერთ ენაში ისეთი თანხმოდანები, რომლებიც იწარმოება „ყელხშვით“, ე. ი. სახმო სიმების დაკეტილობისას. მაშასადამე, ამოსუნთქული ჰაერის უმისოდ იმ ჰაერის მარაგით, რომელიც იმყოფება ზესადგამ-მილში. ესაა უსუნთქველი ბგერათწარმოება.

ქართულში, მაგ., უსუნთქველია შემდეგი ხშული თანხმოდანები: პ — ტ — წ — ჭ — კ — ყ (იხ. გვ. 26, 27 და 38); ასეთი ხშული თანხმოდანები აქვს, მაგ., სომხურს და კავკასიურ ენებს (აქედანაა მათი სახელწოდება „კავკასიური ხშულები“).

უსუნთქველ თანხმოდანებს ეძახიან ყელხშულ (смычно-гортанные) თანხმოდანებს. ეს ტერმინი იხმარებოდა ქართულ ფონეტიკურ ლიტერატურაშიც (ტერმინ „მკვეთრების“ გვერდით). უკვე კარგა ხანია მათ ვეძახით აბრუპტივებს. განვიხილოთ ამ ტერმინებით გამოხატული ცნებები.

„ყელხშული“ არ შეეფერება სინამდვილეს, რადგანაც ყელდაუხშველადაც შესაძლებელია უსუნთქველ თანხმოდანთა წარმოთქნა. მართალია, როგორც წესი, უსუნთქველ თანხმოდანთა წარმოთქმისას სახმო სიმები დახურულია და ამის გამო ჰაერნაკადი არ ამომდინარეობს სასუნთქიდან, მაგრამ ჰაერნაკადის ამომდინარეობის შეწყვეტა — რაც მთავარია უსუნთქველ თანხმოდანთათვის — შესაძლებელია სახმო სიმების დაუკეტავადაც: 1

თუ ამოვცლით ფილტვებიდან ჰაერს ერთბაში ძლიერი ამოსუნთქვით ან თანდათანობით (მაგ., რომელიმე სუნთქვიერი ბგერის ზედიზედ ხანგრძლივი განმეორებით) ისე, რომ შესუნთქვა არ ხდებოდეს, ჩვენ შევძლებთ წარმოვთქვათ მხოლოდ უსუნთქველი თანხმოდანები.

რადგანაც ჰაერნაკადის მოწოდება ხორხის გზით შეწყვეტილია, ამიტომ საწარმოთქმოდ გამოიყენება ღია ზესადგამ მილში (კერძოდ — პირის ღრუში) მყოფი ჰაერი, რომელიც, თავისი სიმცირისა და სასუნთ-

ქიდან ამოწოდებული ჰაერნაკადის წყაროსთან კავშირის შეწყვეტის გამო, საკმარისი არაა ჩვეულებრივი ხანგრძლიობის ხშულის წარმოსათქმელად: აუცილებელია მისი მეტი სისწრაფით წარმოთქმა. მართლაც, ეს ასე ხდება: მაგ., ჩვენი გამოანგარიშებით, თუ თ-ს ესაპიროება წაწის 22 მეასედი, ტ-სთვის საკმარისია წამის 16 მეასედი; ც-ს — 25, წ-ს — 14 და ა. შ.

წინათ ამ თანხზოვნებს ვეძახდით, აკუსტიკური შთაბეჭდილების მიხედვით, მკვეთრებს, რაკ იმიტომ კი არაა დასაწუნი, რომ ვერ გამოხატავს სათანადო შოვლენას (პირობითად ყოველი ტერმინი შეიძლება გამოდგეს), არამედ იმიტომ, რომ გაკირდა მასჯან სხვა ტერმინების წარმოება და მისი უცხოურ ენაზე თარგმნა.

პროფ. ნ. იაკოვლევას მიერ შემოღობილი „როსხხეუა ექსპირაცია“ (исpirationная аххурация) მოვლენ ს გამოხატავს მხოლოდ გადატანითა მსმენელობით (ექსპირაცია შეიძლება მხოლოდ ფილტვებიდან); მთავარი ნაკლი ისევე ისაა, რომ მისგან ძნელია სხვა მისგან ნაწარმოებ ტერმინთა შედგენა.

ამიტომ ათ წელზე მეტია, რაც ვხმარობთ ტერმინ აბრუპტივის (ლათ. abruptio 'მოწყვეტა, მოკლეჯა'). მართლაც, საარტიკულაციო ორგანოები სწრაფად მოსწყდებიან ერთმანეთს. აკუსტიკურადაც მოწყვეტის შთაბეჭდილება გვაქვს. მისგან სხვა ტერმინების შედგენაც არაა ძნელი (აბრუპტივიული, აბრუპტივიზაცია, დეხაბრუპტივიზაცია და სხვა), სხვა ენებზე მისი თარგმნის საკიროებაც არაა.

აბრუპტივია აგრეთვე ის ბგერა, რომლის წარმოთქმა ხდება სახმო სიმების ხშვა-სკდომით. ესაა, მაგ., მეგრულის კ თანხმოვანი (მაგ., კუდე). ან ჩრდილო-გერმანულის ასეთივე ყელხშული, რომელიც თან უძღვის ხმოვნით დაწყებულ ყოველ სიტყვას ('aber, 'unter და სხვა). პირველ შემთხვევაში (მეგრულში) ის წარმოადგენს დამოუკიდებელ ფონემას, მეორეში (გერმ.) ის ხმოვნის ელემენტია და ეძახიან მას ხმოვნის მაგარ შეპართვას (იხ. ქვემოთ).

ეს ბგერა მართლაც ყელხშულია, რადგანაც სახმო სიმები გამოყენებულია აქ საარტიკულაციო ორგანოს ფუნქციით.

## 2. ასპირაცია (ანუ ფშვინვა) და ასპირატები (ანუ ფშვინვეიკები)

ზოგჯერ სახმო სიმები იმდენად უახლოვდებიან ერთმანეთს, რომ ამომდინარე ჰაერნაკადი წარმოქმნის თავისებურ ჩქამს სახმო სიმების კიდებზე ხეხვით: ამ ჩქამს ეძახიან ასპირაციას (ქართ. ფშვინვა, ლათ. aspiratio 'ქროლა, ნიავი'); ასეთია, მაგ., ქართული ჰ.

ზოგ ენაში ეს ასპირაცია წარმოადგენს დამოუკიდებელ სამეტყველო ბგერას, ფონემას, ისეთი თვისებისას, როგორცაა, მაგ., ს, შ, ხ; ამიტომ ჰ-ც ისევე სპირანტი ანუ ნაპრალოვანი, როგორც, მაგ., ს, შ, ხ.

ქართულ თანხმოვანთა სისტემაში ჰ წარმოადგენს მეხუთე დეფიკტურ წყვილულს (იხ. გვ. 83).



ასპირაცია, ჩვეულებრივ, ყრუა; მაგრამ ზოგიერთ ენაში არის მეღვ-  
ერი ასპირაციაც. მაგ., ასეთია უკრაინული რ სიტყვაში *гора*: „მეღერი  
ჰ“-ს წარმოთქმისას სახმო სიმების უკანა ნაწილი ღიაა, ხოლო მათი  
წინა ნაწილი ეღვრს.

აკად. შჩერბას აზრით, ამგვარი სპირანტები (მაგ., ქართული ჰ,  
გერმანული და ინგლისური h და სხვა) იწარმოება ფარინგსში, ე. ი.  
ენის ძირისა და ფარინგსის კედელს შუა შექმნილი გასწვრივი ნაპ-  
რალით.

ქართული ჰ გვაქვს, მაგ., სიტყვაში ჰაერი; გერმანული—სიტყვაში  
*Haus*, ინგლისური — სიტყვაში *house*. ამ სამში ყველაზე სუსტია ქართუ-  
ლი, ხოლო ყველაზე ძლიერი — ინგლისური h.

არის მისი სხვა სახეებიც.

როდესაც ეს ასპირაცია ანუ ფშვინვა უშუალოდ თან მისდევს  
თანხმოვანს და განუყოფლადაა მასთან შერწყმული, ასეთი ასპირაციის  
ქონე თანხმოვანს, ვეძახით ასპირირებულ ანუ ფშვინვიერ  
თანხმოვანს, მოკლედ ასპირატს.

არსებითად ასპირატია (ანუ ფშვინვიერი) ყრუ სპირანტებიც  
(ქ — ს — შ — ხ), რადგანაც ფშვინვის ჩქამი თან ახლავს მათ; მაგრამ  
ასპირატთა ანუ ფშვინვიერთა სახელწოდებით ცნობილია მხოლოდ ხშული  
თანხმოვნები. ხშული თანხმოვნის ასპირაცია მდგომარეობს იმაში, რომ  
სახმო სიმები მცირეოდენ ხანს იმავე ღია მდგომარეობაში რჩება,  
როგორშიც იყო სახმო სიმები, როცა ამ ხშულისათვის ზესადგამ მიღში  
ჭშვა მოხდა. ამიტომ შეიმჩნევა ასპირაცია ხშულში მეტად, ვიდრე ნაპ-  
რალოვანში. სხვადასხვა ენის ასპირატების მეტ-ნაკლები ფშვინვიერობა  
აიხსნება სახმო სიმების ღია მდგომარეობაში მეტ-ნაკლებ ხანს შეჩერე-  
ბით ზესადგამ მიღში ხშვის მოშლის შემდეგ.

მაგ., ქართულის ფ — თ — ც — ჩ — ქ — ჯ (ჯ სალიტერატურო  
ქართულში არაა) ტიპური ასპირატებია: ტუჩების არტიკულაციას  
(ფ-სათვის), წინაენისას (თ — ც — ჩ-სათვის), უკანაენისას (ქ-სათ-  
ვის) და ენის ძირისას (ჯ-სათვის) თან ახლავს ყელისმიერი  
(ე. ი. სახმო სიმების მიერი) ჩქამი ფშვინვის სახით; ამათზე  
ოდნავ ნაკლებაა ასპირირებული ინგლისური ან გერმანული ყრუ ხშულები  
და კიდევ უფრო ნაკლებ რუსული п — т — ц — ч — к, ე. ი. მათში  
ასპირაცია ანუ ფშვინვა სუსტად ჩანს.

ფშვინვიერობის მეტ-ნაკლებობას ადვილად იგრძნობს დამკვირვე-  
ბელი, თუ ხელის ზურგს მიიტანს პირთან ახლო შესამოწმებელი ბგერის  
წარმოთქმისას. კარგი შესამოწმებელი საშუალებაა აგრეთვე სანთლის  
(ან ასანთის) ალი, რომელიც მეტად გადაიხრება ქართული, მაგ., თ-სა-  
თვის, ოდნავ უფრო სუსტად გადაიხრება ინგლისურის ან გერმანულის  
t-სათვის და ძლიერ სუსტად რუსულის т-სათვის. ასეთია ამ ენათა-  
ყველა დანარჩენი ყრუ ხშულების ურთიერთშეფარდება.

მოყვანილ ნიმუშებში ასპირირებულია მხოლოდ ყრუ ხშული თანხმოვნები. მაგრამ შესაძლებელია მეღერიც იყოს ასპირირებული. მაგ. ძველ ინდურში იყო არა მხოლოდ ყრუ ასპირირებული ხშულები, არამედ მეღერიც (ლათინური ანბნით ფონეტიკურად ყრუ ასპირატებს სწერენ ასე pl, tl, kl და ა. შ., ხოლო მეღერებს ასე: hl, dl, gl და ა. შ.; ზოგიერთ ახალ ინდურ ენაშიცაა დღეს მეღერი ასპირატები.

### 3. ხშულ თანხმოვანთა წყვილულებრივი, სამეულულებრივი და ოთხეულულებრივი სისტემები

აბრუპტივების არსებობა ქართულსა და ქართველურ-კავკასიურ ენებში ჰქმნის მათი ხშული თანხმოვნების სამეულულებრივ სისტემას.

ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ენებში ჰომორგანული ხშულები სამ-სამია: მეღერი, ყრუფშინვიერი და ყრუ აბრუპტივი (ბ — ფ — პ, დ — თ — ტ და სხვა).

იმ ენებში, სადაც აბრუპტივები არაა, ხშულ თანხმოვანთა სისტემა, ჩვეულებრივ, წყვილულებრივია, ე. ი. მათი ჰომორგანული ხშულები ორ-ორია. ასეთია, მაგ., რუსული, ინგლისური და გერმანული, რომელთაც აბრუპტივები არა აქვთ; ამის გამო მათ აქვთ ხშულთა მხოლოდ წყვილულებრივი სისტემა. სახელდობრ, ქართული ბ — ფ — პ-ს შესატყვისად რუსულს აქვს მხოლოდ ნ — п; დ — თ — ტ-ს შესატყვისად — д — т და ა. შ.

ქართულ-ქართველურის მსგავსად კავკასიურ ენებსაც აქვთ ასეთი სისტემა; იგივეა სომხურში და ოსურში.

ქართულს აქვს ხშულ თანხმოვანთა ხუთი სრული სამეული:

1. ბ — ფ — პ, 2. დ — თ — ტ, 3. ძ — ც — წ, 4. ჯ — ჩ — ქ, 5. გ — კ — კ (დალაგებულია თანმიყოლებით წინიდან უკან მიმართულებით).

ხშულთა მეექვსე სამეულიდან სალიტერატურო ქართულს — (და ქართული ენის დიალექტთა უმრავლესობას) შერჩენია მხოლოდ ყ (ე. ი. მესამე წვერი, აბრუპტივი), დაუკარგავს პირველი (მეღერი) და მეორე (ყრუ ფშინვიერი) წვერი. რომ ეს ასეა, ჩანს იქიდან, რომ ხშულთა სამეულის მეორე (ფშინვიერი) წვერი (ვ) შენახულია ქართულის ზოგიერთ დიალექტში (მაგ., ხევსურულში: ველი, ვმალი) და ჰქონდა ძველ ქართულს (მაგ., იმავე სიტყვებში).

მაშასადამე, მეექვსე სამეული, რომელსაც ამის გამო დეფექტიან ანუ ნაკლოვან სამეულს ვეძახით, დადასტურებულია სალიტერატურო ქართულ ენაში მხოლოდ მესამე წვერით (ყ). ასევეა ზანურშიც.

რაც შეეხება სვანურს, აღმოჩნდა ამ უკანასკნელ დროს, რომ ხშულთა მეექვსე სამეული აქ სრულია: ხშულთა მეექვსე სამეულს სვანურში აქვს — ისე როგორც ქართულში — მეორე და მესამე წვერი, მაგ-

რამ, ამათ გარდა, აქვს აგრეთვე პირველიც (ე. ი. მეერი). მაშასადამე, სვანურში, სხვა ქართველურ ენათაგან განსხვავებით, მეექვსე სამეულის სრულია და არა დეფექტური.

ხშულ თანხმოვანთა სამეულებრივი სისტემა, როგორც ჩანს, დამახასიათებელია კავკასიურ ენათა ბგერითი აგებულებისათვის, მათ შორის — ქართულ-ქართველურებისათვის.

ზოგიერთი კავკასიური (მეტადრე დასავლური კავკასიური) ენისათვის დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ხშულ თანხმოვანთა ოთხეულებრივი სისტემაც კი, ე. ი. თითოეული სამეულის ნაცვლად — ოთხეული: ერთი მჟღერი ხშული (როგორც სამეულებში) და სამი ყრუ, რომელთაგან პირველი იქნებოდა სრულფეშინევიერი ყრუ ხშული (როგორც სამეულებში), მეორე — ოდნაფეშინევიერი ყრუ ხშული (რომელიც არაა სამეულში) და აბრუპტივი (როგორც სამეულში).

მაშასადამე, ხშულთა ჩვეულებრივი სამეულისაგან იგი განსხვავებული უნდა ყოფილიყო მესამე ყრუ წევრით, რომელსაც ეწოდა პრერუპტივი.

პრერუპტივის არსებობა ქმნის ხშულთა ოთხეულებრივ სისტემას.

პრერუპტივები ხშულთა ოთხეულებრივ სისტემაში მიიღებენ ასეთ სახეს: ბ — ფ — წ — ჰ, დ — თ — შ — ტ, ძ — ც — ჭ — წ და ა. შ. (პრერუპტივები აღნიშნულია აბრუპტივის გადაბრუნებული ასოთი).

ხშულ თანხმოვანთა ოთხეულებრივი სისტემა შენახულია დღემდე ქვემო-ადიღეური ენის ბჟედულურსა და შაფსულურ დიალექტებში (გ. როგავა).

ეს სისტემა უნდა ჰქონოდა უძველეს დროს ყველა კავკასიურ ენებს, კერძოდ ქართულსაც.

ფიზიოლოგიურად პრერუპტივი წარმოადგენს, როგორც ზემოთაა ნათქვამი, ასპირირებულ ხშულს: იგი ძლიერ უახლოვდება ამ მხრივ (თუ სავსებით იგივე არაა) რუსულ ყრუ ხშულებს, რომლებიც ოდნავ ფშინევიერია და საკმარისად განსხვავებულია ასპირაციის ოდენობით ქართულის ფშინევიერთაგან (იხ. ზემოთ გვ. 79).

მიუხედავად იმისა, რომ ფიზიოლოგიურად და აკუსტიკურად ადიღეური ენის პრერუპტივი და რუსულის ყრუ ხშული (თითქმის) ერთი და იგივეა, ჩვენ რუსულში არ აღვნიშნავთ მის პრერუპტივულ ხასიათს, რადგანაც რუსულში ყრუ ხშულის ამ თვისებას არავითარი სოციალური (ფონოლოგიური) ღირებულება არა აქვს: რუსული ყრუ ხშულისებურმა თანხმოვანმა, როგორიცაა ადიღეურისა, მოიპოვა სოციალური ღირებულება მხოლოდ ოთხეულებრივ სისტემაში.

#### 4. თანხმობანთა ნაპრალოვნობა ანუ სპირანტულობა

ზემოთ განვიხილეთ ნაპრალოვნობა, როგორც ბგერათწარმოთქმის რაგვეარობა (იხ. გვ. 39). იქვეა მოყვანილი ქართულისა და რუსულის სპირანტები ანუ ნაპრალოვნები

##### ქართულის 5 წყვილელი

1. ვ — ვ̄
2. ზ — ზ̄
3. ქ — ქ̄
4. ლ — ლ̄
5. — — ჰ

##### რუსულის 4 წყვილელი

1. в — в̄
2. з — з̄
3. ж — ж̄
4. — — х

ქართულის ნაპრალოვანთა პირველი და მეხუთე წყვილელი დეფექტიანია ანუ ნაკლოვანი: პირველს აკლია მეღერი ვ-ს ყრუ მეტოლე ჭ, ხოლო მეხუთეს — ყრუ ჰ-ს მეღერი მეტოლე. რუსულის ნაპრალოვნებში მხოლოდ მეოთხე წყვილია ნაკლოვანი: ყრუ х-ს აკლია მეღერი მეტოლე. დანარჩენები სრული წყვილელებია ქართულშიც და რუსულშიც, ე. ი. თითოეულ წყვილში პირველი ნაპრალოვანი მეღერია, მეორე — ყრუ.

ფიზიოლოგიურ-ფონეტიკურად ქართულში ძლიერ ხშირად წარმოვთქვამთ ჭ-ს (ე. ი. იმას, რაც პირველ წყვილს აკლია ქართულში), და საკმაოდ ხშირად წარმოითქმება სალიტერატურო რუსულში ლ (ე. ი. ის, რაც მეოთხე წყვილელს აკლია რუსულში), მაგრამ არც ჭ არის ფონემა ქართულში და არც ლ არის ფონემა რუსულში. მაგ., სიტყვებში ვსინჯავ, კარავში, ვტევ, ვჩივი გარკვევით გვესმის ჭ: ჭსინჯაჭ, კარაჭში, ჭტევ, ჭჩივი; რუსულ სიტყვებში: вода, водами რ ასო წარმოითქმის როგორც ლ.

სპირანტები ანუ ნაპრალოვნები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან არა მხოლოდ წარმოების ადგილისა და მეღერობა-სიყრუის მხრივ, არამედ იმ ნაპრალის ფორმის სხვადასხვაობითაც, რომელშიც გამოდის ხოლმე ჰაერნაკადი სპირანტის წარმოთქმისას.

ნაპრალი შესაძლებელია იყოს, როგორც ზემოთ ითქვა (გვ. 39), ღარიანებრ მომრგვალებული ან გასწვრივი.

ა. ღარიანებრ მომრგვალებული ნაპრალი იწარმოება, ჩვეულებრივ, ზედა და ქვედა ტუჩით-ერთმანეთის მიმართ და წინაენით ზედა კბილებთან.

ღარიანებრ ტუჩებმომრგვალებული ნაპრალით ნაწარმოები სპირანტია, მაგ., ინგლისური w სიტყვებში: water (wa : tə) 'წყალი', where (weə) 'სად'. ასეთივეა ფრანგული წყვილბაგის სპირანტი, მაგ., სიტყვებში: moi 'მე' (ითქმის mwa), louer 'ქება' (ითქმის lwe). ამასვე უახლოვ-

დება ტუჩების მოქმედების მხრივ ფრანგული თანხმომავანი u, ზაგ., სიტყვებში: lui 'იგი', 'მას' muet 'მუნჯი'.

განსხვავება მათ შორის მაინც მნიშვნელოვანია ენის მოქმედების მხრივ: w-სათვის (ინგლისურშიც და ფრანგულშიც) ენის უკანა ნაწილი აიწვევა რბილი სასისაკენ, ხოლო ფრანგული თანხმომავანი u-სათვის ენის ზურგის წინა ნაწილი აიწვევა მაგარი სასისაკენ ისე, როგორც ქართული o-სათვის (იხ. სწორები, გვ. 61 და შემდ.).

ქართულში ასეთი ფონემა დღეს არ არსებობს, მაგრამ w-ს უახლოვდებოდა, ალბათ, თანხმომავური ფუნქციისა როცა იყო ხოლმე, ის ზგერა, რომელიც გამოხატულია ჟ ან ჯ ნიშნით ძველ ქართულში (შეად. იქვე).

ლარისებრ მომრგვალებული ნაპრალით იწარმოება სპირანტთა მეორე წყვილგული ს—ზ, ე. წ. სისინა სპირანტები: მათი წარმოთქმისას წინაენა აიწვევა კბილების მიმართ და მიუახლოვდება მათ, ხოლო ენის კიდები მიებჯინება ორივე გვერდის კბილებს; ენის შუაზე სიგრძივ კეთდება ვიწრო მრგვალი ლარისებრი ნაპრალი, რომელშიც გამომდინარეობს ჰაერნაკადი. ამასთანავე აუცილებელია, რომ ენის წვერი, რომელიც დაშვებელი უნდა იყოს ძირს, თავისი წინა კიდით ეხებოდეს ქვედა კბილებს შიგნიდან<sup>1</sup>.

ლარისებრ მომრგვალებული-ნაპრალითვე იწარმოება სპირანტთა მესამე წყვილგული ჟ—შ, ე. წ. შიშინა სპირანტები. ენის წვერი აწეულია ზევით და ჰქმნის მომრგვალებულ ნაპრალს ნუნებთან (ანუ ალვეოლებთან). მათ ეძახიან ნუნებისმიერს ანუ ალვეოლარულ ნაპრალოვნებს.

განსხვავებულია მაგარი ჟ—შ (მაგ., რუსულის ж—ш) რბილისაგან (მაგ., ქართულის ჟ—შ).

მაგრისათვის შუა ენა ჩაიზნიქება, ხოლო რბილისათვის—არა.

ბ. გასწვრივი ნაპრალი კეთდება უფრო მეტ ადგილებში, ვიდრე ლარისებრი; სახელდობრ: ტუჩებშუა, ქვედა ტუჩსა და ზედაკბილებს შუა, ენის წვერსა და კბილებს შუა, ენის ზურგსა და მაგარ სასას შუა, უკანა ენასა და რბილ სასას შუა, ენის ძირსა და ფარინგსის კედელს შუა.

ტუჩებშუა გასწვრივი ნაპრალი კეთდება ზედა და ქვედა ტუჩის ერთმანეთთან მიახლოებით. ამ ნაპრალით ნაწარმოები სპირანტი იშვიათია; გვხვდება იგი მეღერი სახით, მაგ., ესპანურში სიტყვაში es-xa-ი 'ცხენი'. მათ შეიძლება ეწოდოს ბილაბიალური ანუ წყვილბაგისმიერი აგ—ფ<sup>2</sup>.

<sup>1</sup> სამწუხაროდ, ამას არ ექცევა სათანადო ყურადღება: ეს იქნება მნიშვნელოვანია, რომ, თუ ენის წვერი არაა საკმარისად დაშვებული ძირს და არ შეეხება ქვედა კბილებს, წარმოთქმება ენაჩლუნგისებრი ე. წ. „სიფსიფა“ ჯ—ბ.

ქვედა ტუჩსა და ზედა კბილებს შუა გასწვრივი ნაპრალით იწარმოება ჩვეულებრივი ვ და ფ — ქართულისა და რუსულის სპირანტთა პირველი წყვილელი.

ენის წვერსა და ზედა კბილებს შუა გასწვრივი ნაპრალით იწარმოება, მაგ., ინგლისური ენის სპირანტები th (ყრუ, მაგ., სიტყვაში thorn 'ეკალი', და მელერი, მაგ., სიტყვაში there 'იქ'). ეს წყვილი ნაპრალოვანი ძლიერ წააგავს (როგორც არტიკულაციურად, ისე აკუსტიკურად) „სიფსიფა“ ხ — ზ — ს (იხ. აქვე ზემოთ). მათ ეძახიან კბილთა-შუას ანუ ინტერდენტალურ (იგულისხმება ზედა და ქვედა კბილებს შუა) ნაპრალოვანს, რადგანაც ენის წვერის ქვედა კიდე, მართლაც, ჩანს ზედა და ქვედა კბილებს შუა.

ენის ზურგსა და მაგარ სასას შუა გასწვრივი ნაპრალით იწარმოება ის შუაენისმიერი სპირანტები — მელერი და ყრუ, რომლებიც აქვს, მაგ., გერმანულს სიტყვებში: sich, sprechen, durch (ყრუ გამოიხატება ch ნიშნებით) და ja, jeder (მელერი გამოიხატება ხშირად j ნიშნით)<sup>1</sup>. პირველს ეძახიან ich-Laut-ს, რადგანაც იგი გვხვდება მეტწილად წინა რიგის ხმოვნების (და თანხმოვანთა) შემდეგ.

უკანაენასა და რბილ სასას შუა გასწვრივი ნაპრალით წარმოითქმის, მაგ., ქართულის სპირანტთა მეოთხე წყვილი ღ — ხ; ესაა უკანაენისმიერი ნაპრალოვნები.

ენის ძირსა და ფარინგის უკანა კედელს შუა გასწვრივი ნაპრალით იწარმოება, მაგ., აფხაზურის ლაბიალიზებული ფარინგალური სპირანტები — ყრუ და მელერი: ჰი — ჰი, მაგ., სიტყვებში ა'ჰია 'ხმალი', აფჰი 'ჩალა' — ა'ჰია 'მშრალი', ჰიბა 'ორი'.

## 5. აფრიკატები ანუ რთული თანხმოვნები

ხშილი თანხმოვნის ერთ სახეობას წარმოადგენს აფრიკატორ (ლათ. affricare 'ხეხვა') ანუ „ნახევრადხშილი“, როგორც მას ეძახის ზოგიერთი (უმეტესად ფრანგი) ფონეტიკოსი. ქართულის აფრიკატებია: ძ — ც — წ, ჯ — ჩ — ჭ.

აფრიკატი რთული ხშილი თანხმოვანია და, საერთოდ მიღებული აზრით, შედგენილია მარტივი ხშილისა და მისი ჰომორგანული ნაპრალოვნისაგან (ანუ სპირანტისაგან); მაგ., აფრიკატი ძ იგულისხმება შედგენილად ღ + ზ-საგან, ც — თ + ხ-საგან, წ — ტ + ხ-საგან; ჯ — დ + თ-საგან, ჩ — თ + შ-საგან და ჭ — ტ + შ-საგან.

თითოეული აფრიკატის შედგენილობაში, როგორც აქედან ჩანს, პირველია ხშილი, ხოლო მეორე — ნაპრალოვანი; მათი შერწყმუ-

<sup>1</sup> ქართული ძ, როგორც თანხმოვანი, უდრის გერმ. j-ს (მაგ., jeder-ში) და რუს. j-ს (მაგ., я სიტყვის პირველ ბგერას). იხ. გვ. 60 და შემდ.

ლობა ჰქმნის ერთ მთლიან განუყოფელ თანხმოვანს; მათი განუყოფელი შერწყმულობა კი შესაძლებელია იმიტომ, რომ ხშული და მასთან შერწყმული ნაპრალოვანი (ანუ სპირანტი) უექველად ჰომორგანული (ერთ-სა და იმავე ადგილას ნაწარმოები) თანხმოვნებია; მაგ., ღ წინაენის ხშულია, ხოლო ზ — წინაენისვე ნაპრალოვანი (შერწყმულად ჰქმნიან ძ-ს); თ — წინაენის ხშულია, ხოლო ს — წინაენისვე ნაპრალოვანი (შერწყმულად ჰქმნიან ც-ს) და ა. შ.

აფრიკატის შემადგენელი თანხმოვნები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაშასადამე, არა წარმოების ადგილით, არამედ რაგვარობით: პირველია ხშული, მეორე — ნაპრალოვანი (ანუ სპირანტი); ე. ი. ისინი (მაგ., ღ და ზ ძ-ში) არიან ჰომორგანულნი, მაგრამ ჰეტეროგენურნი. (იხ. გვ. 46—47).

გარდა ამისა, აფრიკატის შემადგენელი თანხმოვნები მეღერობა-სიყრუით ერთნაირნი უნდა იყვნენ: ან ორივე მეღერი (ღ + ზ = ძ), ან ორივე ყრუ (თ + ს = ც), და თანამიმდევრობა მხოლოდ ერთი, სახელ-ღობრ: ხშულს უნდა მოსდევდეს ნაპრალოვანი.

ამიტომაც, რომ აფრიკატის პირველი ნაწილი (იმპლოზია, იხ. გვ. 29) ხშულია, ხოლო მეორე ნაწილი (ექსპლოზია) — ნაპრალოვანი (იქვე). ამიტომვე ჩავთვალეთ ჩვენ იგი შერეული ანუ ხშულ-ნაპრალოვნის რა-გვარობის თანხმოვნად (იხ. გვ. 39).

ამგვარად, ქართული აფრიკატების წარმოებაში მონაწილეობს ხშულ-თა მეორე სამეული (ღ — თ — ტ) და ნაპრალოვანთა მეორე (ზ — ს) და მესამე (წ — შ) წყვილი; მეღერები (ზ — უ) ერთიან მხოლოდ ღ-ს, ხოლო ყრუები (ს — შ) — თ-სა და ტ-ს.

აფრიკატები აქვს აგრეთვე რუსულს, გერმანულს, ინგლისურსა და ზოგიერთ სხვას; ფრანგულს აფრიკატები არ გააჩნია.

რუსულში ორი ყრუ აფრიკატია (ц — ч) სოციალურად ღირებუ-ლი, ხოლო მათი შესატყვისი მეღერები (ძ — ჯ: ძз — ძж) არსებობს რუსულში მხოლოდ ფიზიოლოგიურად, ე. ი. ისინი (რუს. ძ — ჯ) ფონე-მებს არ წარმოადგენენ.

აგრეთვე გერმანულშიც სამი ყრუ აფრიკატია: ც (იწერება z) და ჩ (იწერება tsch), მაგ.: Zeit და Deutsch, და pf, მაგ., სიტყვაში Apfel 'ვაშლი'.

ეს უკანასკნელი (ე. ი. pf) შედგენილია, როგორც ყველა სხვა აფრი-კატი, ხშულისა (p) და ნაპრალოვნისაგან (f), რომელნიც ჰომორგანულნი (ორივე ლაბიალურია), მაგრამ ჰეტეროგენურნი არიან.

ინგლისურს აქვს ორ, აფრიკატი: მეღერი ჯ (მაგ., სიტყვაში gib — წარმოითქმის ჯიბ 'სოლი', job — წარმოითქმის ჯობ 'შრომა' და მისი შესატყვისი ყრუ ჩ (child — წარმოითქმის ჩაილდ 'ბავშვი').

ქართულის ხშულ თანხმოვანთა სისტემაში აფრიკატები ჰქმნიან ხშულთა მესამესა და მეოთხე სამეულებს: წინაენისმიერ ძ — ც — წ-სა და ნ უნისმიერ ანუ ალვეოლარულ ჯ — ჩ — ჰ-ს.

## 6. ფარინგალური თანხმოვნები

იმ თანხმოვნებს, რომლებიც იწარმოებიან ენისძირის მიბჯენით ან მიახლოებით ხახის (ფარინგის) უკანა კედელთან, ვეძახით ფარინგალურ თანხმოვნებს (იხ. გვ. 37). მიბჯენის შემთხვევაში იწარმოება ხშული ფარინგალური, ხოლო მიახლოების შემთხვევაში — ნაპრალოვანი ფარინგალური. ხშული ფარინგალურია, მაგ., ქართულის ყ, ხოლო ნაპრალოვანი (ანუ სპირანტები) ფარინგალურია, მაგ., აფხაზურის ჰი — ჰი.

დღევანდელ სალიტერატურო ქართულსა და მის ყველა დიალექტს აქვს ყ: ესაა ფარინგალური აბრუპტივი; მაშასადამე, მეექვსე ე-წ-დეფექტიანი სამეულის მესამე წევრი. ამავე სამეულის მეორე — ფშვინფერი — წევრი (ჟ) ჰქონდა ძველ ქართულს და აქვს დღეს ზოგიერთ მის დიალექტს, მაგრამ სალიტერატურო ქართულს იგი არ შერჩენია.

რაც შეეხება ამავე სამეულის მესამე — მჟღერ — წევრს, იგი უნდა ჰქონოდა უძველეს (ლიტერატურამდელ) ქართულს: ეს დებულება სატმაოდ დამარწმუნებლადაა დამტკიცებული ამ უკანასკნელ ხანებში.

მაშასადამე, ქართულ ენას უძველეს პერიოდში მეექვსე სამეული ჰქონდა სრული (და არა დეფექტიანი).

მეექვსე სამეული უძველესი ქართულისათვის მიიღებს ასეთ სახეს: ზ — ჯ — ყ (გადაბრუნებული ზ წარმოადგენს ფარინგალურ მჟღერ ხშულ თანხმოვანს).

გ. როგავას აზრით, ქართულში უნდა არსებულყო ხშულთანხმოვანთა ოთხეულებრივი სისტემა (იხ. გვ. 81 და შემდ.); ამიტომ, მისივე აზრით, ჩვენი მეექვსე სამეული ზ — ჯ — ყ მიიღებს ოთხეულის ასეთ სახეს: ზ — ჯ — ჩ — ყ, სადაც გადაბრუნებული ყ წარმოადგენს ფარინგალურ პრერუპტივს.

რაც შეეხება ფარინგალების ფიზიოლოგიურ რაგვარობას, დღეს უკვე დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს ექსპერიმენტის გზით, რომ სპირანტოიდულია როგორც ყ (ა. ჩარგეიშვილი), ისე ჯ (ს. ქლენტი) —

ფარინგალურ ხშულთა ამ თვისების მიგნებას დიდი მნიშვნელობა ეძლევა მათი ისტორიული ბედის გარკვევაში.

ფარინგალური სპირანტის ანუ ნაპრალოვნის ნიმუშად შეიძლება მოვიყვანოთ აფხაზურის ზემოდასახელებული (იხ. გვ. 84) ჰი — ჰი მხოლოდ საჭიროა განმარტებისათვის აღვნიშნოთ შემდეგი:



ში წარმოადგენს ფარინგალურ ლაბიალიზებულ ყრუსპირანტს, ხოლო ჭი — მელერს: ორივესათვის ტუჩები მომრგვალებულია დაახლოებით ისე, როგორც ფართო თ-სათვის. მელერობა-სიყრუის გარდა, მათ შორის განსხვავება თითქმის არაა (ნიმუშები გვ. 84).

პ ი რ უ ი					სხვირ ში		
არახშულნი			ხშულნი				
მთლიანი	მეორე დითი	ნაპირ ოქსა	როულნი	მარცხენი			
(ა)	ა	ა	ა	ა	მელერი	წყვეტილი	საყრდენი
					ყრუ		
					ფუნიკური		
ფ	ფ	ფ	ფ	ფ	მელერი	წყვეტილი	საყრდენი
					ყრუ		
					ფუნიკური		
ქ	ქ	ქ	ქ	ქ	მელერი	წყვეტილი	საყრდენი
					ყრუ		
					ფუნიკური		
ღ	ღ	ღ	ღ	ღ	მელერი	წყვეტილი	საყრდენი
					ყრუ		
					ფუნიკური		
(ბ)	ბ	ბ	ბ	ბ	მელერი	წყვეტილი	საყრდენი
					ყრუ		
					ფუნიკური		
ვ	ვ	ვ	ვ	ვ	მელერი	წყვეტილი	საყრდენი
					ყრუ		
					ფუნიკური		
(გ)	გ	გ	გ	გ	მელერი	წყვეტილი	საყრდენი
					ყრუ		
					ფუნიკური		
(დ)	დ	დ	დ	დ	მელერი	წყვეტილი	საყრდენი
					ყრუ		
					ფუნიკური		
(ე)	ე	ე	ე	ე	მელერი	წყვეტილი	საყრდენი
					ყრუ		
					ფუნიკური		

სურ 25. ქართულ თანხმონათა ცხრილი.

## 7. ქართული ენის თანხმომავანთა კლასიფიკაცია

წარმოდგენილ ცხრილში (იხ. სურ. 35) მოცემულია ქართული ენის თანხმომავანთა, უმთავრესად, ფიზიოლოგიური კლასიფიკაცია—მათი წარმოების ადგილისა და რაგვარობის მიხედვით. გარდა იმისა, რაც იყო თქმული ქართულის თანხმომავანთა შესახებ ზემოთ (იხ. გვ. 31—45) და თანხმომავანთა საკლასიფიკაციო საფუძვლების შესახებ (იხ. გვ. 77—78), გასათვალისწინებელია კიდევ შემდეგი:

1. ცხრილში შეტანილია ფრჩხილებში მოთავსებული ექვსი ასო (ჟ, ზ — ჯ, ჰ, ზ, ჟ), რომლებიც არ გამოხატავენ დღევანდელ სალიტერატურო ქართულში არსებულ არც ერთ ბგერას.

პირველი მათგანი (ჟ) ხორხში წარმოებული მკვეთრია — სახმო სიმების ხშვა-სკდომით — და ახასიათებს მეგრულს (მაგ., სიტყვაში ჟუდე, იხ. გვ. 37); ქართულ მეტყველებაში გვხვდება, როგორც კენესის ან ქინთვის ბგერა, აგრეთვე აკრძალვის შორისდებულში: ჟაჰ. მეგრულში იგი ფონემაა, ქართულში — არა.

მეორე მათგანი (ზ) სრულიად არ გვხვდება ნორმალურ ქართულ მეტყველებაში; ესაა მეღერი ფარინგალური ხშული, რომელიც უნდა ჰქონოდა უძველეს ქართულს და გადანაშთის სახით შენახული აქვს დღევანდლამდე დიალექტობრივ სვანურს, მაგ., ბალსზემოურ სიტყვაში ზაჟ 'ბელელი' (ს. ჟლენტი).

მესამე — ამავსე სამეულის ფშვინვიერი წვერი—გვხვდება ქართულში მხოლოდ დიალექტობრივ (მაგ., ფშაურში, ხევსურულში, მოხვეურში და ზოგ სხვა კილოში), მაგ.: ჯელი (დღეს: ხელი), ვენაჯი (დღეს: ვენახი) და სხვა;

ამგვარად, ფარინგალურ ხშულთა სამეულიდან სალიტერატურო ქართულში (და მის დიალექტთა უმრავლესობაში) შენახულია მხოლოდ ერთი ხშული (ჟ).

მეოთხე (ჰ) და მეექვსე (ჟ) თანხმომავანები, „ნახევარხმომავანად“ წოდებულნი, აგრეთვე არ იხმარებიან ქართულ სალიტერატურო მეტყველებაში, მეტადრე, თუ სიტყვას მკაფიოდ წარმოვთქვამთ; მაგრამ დიალექტებში და დაუდევრად (არამკაუიოდ) წარმოთქმულ სიტყვაში ისინი გვესმის, როგორც თანხმომავანები, ი-სა და უ-ს (ან ვ-ს) ადგილას გარკვეულ შემთხვევებში, მაგალითად: ი-ს ნაცვლად გვესმის თანხმომავანი ჰ ხმონის წინ (ჰაკობ, ჰორამ) ან ხმონის შემდეგ (ჰამაჰ, ხბოჰ); უ-ს ნაცვლად გვესმის ზოგჯერ თანხმომავანი ჟ ჩქამიერი თანხმომავანის შემდეგ ხმონის წინ (საშჯალო); ვ-ს ნაცვლად ასეთსავე პირობებში (სიტყვა) (იხ. გვ. 64).

რაც შეეხება მეხუთე (ჰ) თანხმომავანს, მას წარმოვთქვამთ ხოლმე — როგორც დიალექტებში, ისე სალიტერატურო ქართულში — ყველა დაყრუებული ვ-ს ნაცვლად — სიტყვის ბოლოს ან ყრუ თანხმომავანთა მეზობლობაში; მაგ.: ვხედავ — ჰხედაჰ.

2. ცხრილის ვერტიკალურ სვეტებში მოცემულია საწარმოთქმო დაბრკოლებათა ცალკეული ადგილები, ე. ი. დასახელებულია აქტიური ორგანოები: ტუჩები ანუ ბაგეები („ბაგისმიერი“), წინაენა („წინაენის-შიერი“), შუაენა („შუაენისმიერი“), ენისძირი („ენისძირისმიერი“) და ზორხი (იგულისხმება სახმო სიმები—პირობითად „ზორხისმიერი“); პირ-ველი ორის მოქმედება დიფერენცირებულია: პირველი — წყვილბაგე („წყვილბაგისმიერი“) და კბილბაგე („კბილბაგისმიერი“), მეორე—ენაკბი-ლი („ენაკბილისმიერი“) და ენანუნა („ენანუნისმიერი“).

ჰორიზონტალურად ნაჩვენებია ორი ადგილი ზოგადად: „პირში“ და „ცხვირში“ — იგულისხმება პირის ღრუ და ცხვირის ღრუ. პირველ ღრუში იწარმოება ქართულის ყველა თანხმოვანი, მაგრამ შ — ნ-ს წარმოებაში მონაწილეობს აგრეთვე ცხვირის ღრუც; ამიტომაც ნაჩვენები „ცხვირში“.

საგანგებოდაა აღსანიშნავი, რომ ორი უკანასკნელი ვერტიკალური სვეტი („ენისძირისმიერი“ და „ზორხისმიერი“) მხოლოდ პირობითა-დაა პირის ღრუსთან გაერთიანებულად წარმოდგენილი: სინამდვილეში პირის ღრუ (ცხრილში „პირში“) გრძელდება წინიდან მხოლოდ რბილი სასის თაღებამდე, ხოლო იმის შემდეგ არის ფარინგსი (ხახის ღრუ) და იმის ქვემოთ ხორხი. (იხ. სურ. 12 II); ასე რომ პირის ღრუს გარეთ იწარმოებიან ზ — ჯ — ყ (ფარინგსში) და ზ — ყ (ხორხში).

თუ უცხოურ ტერმინებს ვიხმართ, საკუთრივ პირის ღრუში წარ-მოებულ ბგერებს ეწოდება ორალური (ლათ. os, oris 'პირი', oralis 'პირისეული'), ხოლო ფარინგსის ღრუში წარმოებულთ — ფარინგა-ლური და ხორხის ღრუში — ლარინგალური (იხ. ზემოთ).

საყურადღებოა, რომ თანხმოვანთა უმრავლესობა ქართულს — ისე როგორც ბევრ სხვა ენას—მოუდის წინაენისმიერებზე, ხოლო ენისძირის-შიერები ისტორიულად მცირდებიან; სახელდობრ, ჯ დაკარგულია სალი-ტერატურო ქართულში ისტორიულ ხანაში, ხოლო ზ — უძველეს დროს.

3. ჰორიზონტალურ ორ რიგში მოცემულია საწარმოთქმო დაბრ-კოლებათა ორი მთავარი რაგვარობა — „ხშულობა“ („ხშულნი“) და არახშულობა („არახშულნი“); თანხმოვანთა უმრავლესობა ეკუთვნის ხშულთა რიგს. ხშულები დიფერენცირებულია: მარტივნი, სადაც შედის მ — ნ, ოთხი სამეული და ყ; რთულნი, რომელთაც შეადგენს აფრიკატ-თა ორი სამეული.

არახშულთა რიგიც დიფერენცირებულია: ნაპრალოვნები (ჟ — ა, ოთხი წყვილმეული და ზ), გვერდითი (ლ) და მთრთოლი (რ).

ქართული არახშული ყველა თანხმოვანი მარტივ თანხმოვნებად ითვლება.

საერთოდ ბგერათა სირთულე-სიმარტივის შესახებ უნდა ითქვას შემდეგი:

აბსოლუტურად მარტივი არც ერთი სამეტყველო ბგერა არ შეიძლება იყოს, რამდენადაც თითოეული მათგანის წარმოქმნაში მონაწილეობას იღებს — აქტიურად ან პასიურად — რამდენიმე საწარმოო ორგანო. მაგრამ თუ ჩვენ საგანგებოდ გავხაზავთ ზოგიერთი მათგანის (აქ აფრიკატების) სირთულეს, ეს იმიტომ, რომ მხედველობაში გვაქვს მათი ორმაგი შედგენილობა, შემადგენელთა გარკვეული თანამიმდევრობით (იხ. ზემოთ, გვ. 84, 85).

ავიღოთ თუნდაც მარტივ თანხმოვნებად ცნობილი რიგი ჩვენს ცხრილში („მარტივნი“): ისინი დახასიათებულია აკუსტიკურად ვერტიკალურ სვეტებში, როგორც მჟღერი და ყრუ; თავის მხრივ ყრუ შეიძლება იყოს ფშვინვიერი და მკვეთრი.

რომელიმე მ-ს წარმოებაში მონაწილეობს პირის ღრუც (რადგანაც ჰაერნაკადის ნაწილი პირის გზითაც გამოდის), ცხვირის ღრუც (რადგანაც ჰაერნაკადის ნაწილი გამოდის ცხვირის გზითაც, რის გამოც იგი იძენს თავისებურ — ნაზალურ — ელფერს), ორივე ტუჩი (საკმაო ენერგიულად დაიხშვებიან და გაიპობიან), ენა (პასიურად), სახმო სიმები (ელერენ). ასეთივე „რთულია“ ბ-ც (ცხვირის ღრუს მონაწილეობის გამოკლებით). ასეთივეა ფ-ც (ცხვირის ღრუსა და სახმო სიმების ელერიტო მონაწილეობის გამოკლებით, მაგრამ, იმავე სახმო სიმების კიდებზე ჰაერნაკადის ხახუნის გამო, ფშვინვის დართვით). „რთულია“ აგრეთვე პ-ც, რომლის წარმოებისას ტუჩების ხშვა-სკდომას უშუალოდ თან მიჰყვება სახმო სიმების გაპობაც, რასაც აღვიქვამთ ტკაცანის სახით.

ასეთივე ანალიზი, შესაფერი ცვლილებებით, შეიძლება გავუკეთოთ ნ-ს და ყველა დანარჩენ მარტივ სამეულს.

4. ზ — ხ წყვილულსა და ძ — ც — წ სამეულს ეძახიან სისინა თანხმოვნებს, ხოლო ჟ — შ წყვილულსა და ჯ — ჩ — ჭ სამეულს — შინა თანხმოვნებს.

## 8. თანხმოვანთა ზოგადი კლასიფიკაცია

თანხმოვანთა ზოგადი კლასიფიკაცია წარმოდგენილი გვაქვს ცხრილის სახით (იხ. სურ. 36). ნიშნები გამომუშაებულია საერთაშორისო ფონეტიკური ასოციაციის მიერ ჯერ კიდევ წარსული საუკუნის 80-იან წლებში, მაგრამ შემდეგ შესწორებული და შევსებულია რამდენჯერმე; უკანასკნელად შემოწმდა 1947 წელს და მიღებულ იქნა აქ წარმოდგენილი სახით.

ამ ასოციაციის მიერ შედგენილი ასოები მონოტიპურად ან გამოყვანილი და არა დიაკრიტიული ნიშნების (წერტილების, ხაზების, წრეებისა და სხვ.) დახმარებით. მონოტიპური (ბერძნ. monos 'ერთი', typos 'ნაბეჭდი') ასოების უპირატესობა იმაშია, რომ იგი ხელაუღებლივ იწერება. ჩვენს მეცნიერებაში გამოყენებულია თითქმის მხოლოდ დიაკრიტიკულ ნიშნებიანი ასოები. მაგ., მონოტიპურად კ = დიაკრიტიულად

ზ (ქართ. ე), მონოტ. λ=დიაკრიტ. l' (რბილი ლ); დიაკრიტულად ნ და ჯ გამოიხატება ასე: ნ და j (მონოტიპურად მეშვიდე სვეტის პირველ უჯრედში). ცხრილში ერთადერთი შემთხვევაა მონოტიპურობის დაუცველობისა: ესაა j (ქართ. ე).

ბიბლიოგრაფია	სტრუქტურული	ფონოლოგიური	პოეტიკური	სინტაქსური	სემანტიკური	აქსიოლოგიური	სტილი	რეგისტრები	ფონოლოგიური	სემანტიკური	სინტაქსური	სტრუქტურული	ბიბლიოგრაფია
საქართველო	საქართველო	საქართველო	საქართველო	საქართველო	საქართველო	საქართველო	საქართველო	საქართველო	საქართველო	საქართველო	საქართველო	საქართველო	საქართველო
საქართველო	საქართველო	საქართველო	საქართველო	საქართველო	საქართველო	საქართველო	საქართველო	საქართველო	საქართველო	საქართველო	საქართველო	საქართველო	საქართველო
საქართველო	საქართველო	საქართველო	საქართველო	საქართველო	საქართველო	საქართველო	საქართველო	საქართველო	საქართველო	საქართველო	საქართველო	საქართველო	საქართველო

სურ. 36. თანხმობითა ხოლო კლასიფიკაციის ცხრილი

ცხრილში გათვალისწინებულია უმთავრესად ევროპულ ენათა თანხმობენები. მასში არ არის მოცემული არც აბრუპტივები, არც ფარინგალური ხშულები და არც ლატერალიზებული თანხმობენები. ბევრი რამ სხვაც აკლია ცხრილს, მაგრამ ჩვენ მიზანშეწონილად დავინახეთ მაინც წარმოგვედგინა იგი ამ სახით: ახალ ევროპულ ენათა შემსწავლელს ეს ცხრილი მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს. [ჩვენ აქ არ მოგვყავს ის დამატებითი ნიშნები, რომლებიც ცხრილში არაა შეტანილი, მაგრამ ცხრილისათვის დაურთავს ასოციაციას (იხ. გვ. 177)].

ცხრილის შესასწავლად საჭიროდ მიგვაჩნია შემდეგი განმარტებანი:

1. როცა თითოეულ უჯრედში მოცემულია ასოები წყვილ-წყვილად, იგულისხმება, რომ პირველია მჟღერი, მეორე — ყრუ (მაგ.: p ხ, ჭ d), ხოლო როცა უჯრედში ცალ-ცალი ასოა, იგულისხმება ყოველთვის მჟღერი (გამონაკლისს წარმოადგენს ლარინგალური ცალეული, რომელიც, როგორც ლარინგალური ანუ სახმო სიმების ხშული, არ შეიძლება იყოს მჟღერი; ეს ბგერა უდრის მეგრულ ყ-ს);

2. მესამე ვერტიკალურ სვეტში წარმოდგენილია ერთად კბილისმიერი და ნუნისმიერი წარმოებანი დაუნაწევრებლად, რაც არ შეიძლება ჩაითვალოს ცხრილის ღირსებად. აიხსნება ეს, ალბათ, იმით, რომ t d ნიშნებით გამოიხატება, მაგ., ფრანგულში კბილისმიერები, ხოლო, მაგ., ინგლისურში ნუნისმიერები. ამავე სვეტში მოცემულ მ ზ-ს არავითარი კავშირი არა აქვს ნუნებთან; ესაა ინგლისურის th (ყრუ და მჟღერი), რომელიც ჩვეულებრივ კბილებშუა (ინტერდენტალურად) იწარმოება;

3. მეხუთე და მეექვსე ვერტიკალური სვეტების თანხმობენები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მით, რომ პირველი (პ ა ლ ა ტ ო - ა ლ ვ ე ო ლ ა - რ უ ლ ი) უფრო მეტად პალატალურია, ხოლო მეორე (ალვეოლო-პალატალური) — უფრო მეტად ალვეოლარული, ე. ი. პირველი წარმოადგენს უფრო რბილ შ — ჟ-ს, ხოლო მეორე — მაგარ შ — ჟ-ს;

4. ლაბიო-დენტალური (მეორე ვერტიკ.) ნაზალური წარმოითქმის მოემზადეთ ვ-სათვის (შიაბჯინეთ სუსტად ქვედა ტუჩი ზედა კბილებს) და წარმოთქვით „მ“ (პაერი გაივლის ცხვირშიც);

5. ფრიკატივი ლატერალური თითქმის იგივეა, რაც ხუნძურის ლ' (იხ. გვ. 42 და შემდ.) — ყრუ და მჟღერი;

6. რეტროფლექსური (მეოთხე ვერტიკალური სვეტი) იგივეა, რაც ცერებრალური: მათი წარმოთქმისას ენისწვერი შებრუნებულია და ებჯინება (ხშულისათვის) ან უახლოვდება (ფრიკატივისათვის) მაგარი სასის წინა კიდეს;

7. მესამე ვერტიკალურ სვეტში მოცემული სუსტი ვიბრანტი და ფრიკატივი რ (გადაბრუნებული ლათ. r-ს სახით) წარმოადგენს სუსტი რ-ს (ე. ი. ვიბრაციათა მცირე რიცხვის მქონე) სახეობებს;

8. მეშვიდე ვერტიკალური სვეტის პირველი წყვილი წარმოადგენს პალატალურ ხშულებს, რაც უდრის რბილ ჩ-ს და ჯ-ს; ამავე სვეტის ბოლოდან მეორე უჯრედში მოცემულია გერმანულის ich-ბგერა (იხ-ზემოთ 84) და ქართულს ჟ. ამავე სვეტის მეორე უჯრედში (ზემოდან) მოცემულია რბილი ნ (მაგ., ფრანგ. ligne 'ხაზი'), ხოლო მეოთხე უჯრედში რბილი ლ (მაგ., რუს. сѣнь 'მარილი');

9. მერვე ვერტიკალური სვეტის ზემოდან მეორე უჯრედში მოცემულია უკანაენისმიერი ნ (მაგ., გერმ. სიტყვაში Zaunge 'ენა'), ხოლო ბოლოდან მეორე უჯრედში—ხ და ლ;

10. რაც შეეხება უვულარულთა (მეცხრე) სვეტს, აქ იგულისხმება ნაქის მიერ უკანაენის მიმართ წარმოებული თანხმოვნები. შესაძლებელია, მართლაც, ამგვარად იწარმოებოდეს რ-ს რამდენიმე სახე (მესამე ვერტიკალური სვეტის რ-ების უკანა შესატყვისები), მაგრამ ამ მეცხრე სვეტის პირველ უჯრედში მოთავსებული q ო შესაძლოა გამოხატავდეს ჩვენს ფარინგალურ ყ-ს და მის შესატყვის მჟღერ მ-ს; ეს იმტომია საფიქრებელი, რომ ამ ცხრილის ავტორებისათვის არ იყო ცნობილი ამ თანხმოვნების წარმოების ადგილი: მათ ისინი „ღრმად უკანაენისმიერებს“ ეძახდნენ წინათ (იხ. ზემოთ გვ. 86);

11. მეათე ვერტიკალურ სვეტში მოცემული ფარინგალები წარმოადგენენ, ალბათ, აფხაზური ჰი — ჰი-ის მაგვარ სპირანტებს — იმ ლაბიალური ელფერის გამოკლებით, რომელიც ახლავს აფხაზურის ფარინგალებს (იხ. ზემოთ გვ. 86);

12. უკანასკნელ ვერტიკალურ სვეტში ცალეულია, როგორც ვთქვით (განმარტება 1), მეგრულის ყ, ხოლო წყვილულში ჰ და მისი შესატყვისი მჟღერი, რომელიც გვაქვს, მაგ., უკრაინულში;

13. ბოლო ჰორიზონტალურ რიგში მოცემულია დაუნაწევრებლად ბგერები, რომლებიც ხმოვნისა და თანხმოვნის მიჯნაზეა და რომელთაც ამიტომ, შეუძლიათ შეასრულონ როგორც ხმოვნის, ისე თანხმოვნის როლი.

ტერმინი „უფრიქციო“ ნიშნავს „ფრიქციის (ხახუნის) არმქონე“ ქ. ი. ეს ბგერები წარმოითქმიან საკმაოდ ფართო ნაპრალში.



## ბგერათშეერთებანი

### 1. ბგერათშეერთება სანეროდ. კოარტიკულაცია

ცოცხალი წარმოქმნის ერთეულია სიტყვა, როგორც გარკვეული მნიშვნელობის მატარებელი, და არა განცალკევებული ბგერა. ჩვეულებრივს შეტყველებაში ცალკეული ბგერა არ წარმოიქმნება, რამდენადაც იგი არაა რაიმე მნიშვნელობის მატარებელი.

თუ ზოგჯერ ჩვენ განზრახ წარმოვთქვამთ განცალკევებულ ბგერას, მაგ., ა-ს, ის უთუოდ განსხვავებული იქნება მეტ-ნაკლებად იმ ა-ებისაგან, რომლებიც გვაქვს, მაგ., სიტყვებში: აქ, რა, ბანი ქალი და ა. შ. მაშასადამე, ჩვეულებრივად (სიტყვაში) ყველა სამეტყველო ბგერა მოცემულია სიტყვის სხვა ბგერებთან შეერთებაში.

უშუალო შეზობლობაში მყოფ ბგერათა ერთმანეთზე მეტ-ნაკლები აუცილებელი გავლენის არტიკულაციური საფუძველია ბგერათა შემართვა-დამართვის ურთიერთობა, სახელდობრ: წინა ბგერის დამართვისა და მომდევნოს შემართვის შეხვედრა და ამის გამო მათი შერევა (იხ. გვ. 28 და შემდ.); იხ. აგრეთვე კოარტიკულაციის შესახებ (გვ. 96 და შემდ.).

იშვიათია ყოველ ენაში ისეთი სიტყვა, რომელიც განცალკევებული ბგერისაგან შედგებოდეს; მაგ., ქართულში ასეთი სიტყვა სრულიად არაა; რუსულში არის კავშირი *и* და თანდებულები *у* და *о*, ფრანგულში *est* 'არის' (წარმოიქმნის *e*), *et* 'და' (წარმოიქმნის *e*), *à*, *au* (წარმ. *o*) და ზოგი სხვაც; სვანურში *o* 'და'. მაგრამ ასეთი ერთ-ბგერიანი სიტყვები წარმოთქმაში, ჩვეულებრივ, მიეკედლებიან ხოლმე წინა ან მომდევნო სიტყვის ბოლო (ან თავიკიდურ) ბგერას.

ფონეტიკაში — ისე როგორც სხვა მეცნიერებაში — ჩვენ გვიხდება მთლიანის (აქ სიტყვის) ხელოვნურად დანაწილება (ცალკეულ ბგერებად) — წარმოთქმულის შესწავლის გასაადვილებლად.

ასევეა დაწერილობაშიც, რომელიც აგრეთვე წარმოგვიდგენს სიტყვას მხოლოდ ხელოვნურად და პირობითად: დაწერილს არ შეუძლია გამოსახოს წარმოთქმული სიტყვის შედგენილობა მთლიანად, რადგანაც წერაში არ გამოისახება ბგერათა ერთმანეთთან შეერთების სხვადასხვა სახეობა და შეერთებულ ბგერათა შუა წარმოქმნილი ე. წ. გარდამავალი ბგერა (იხ. გვ. 96).



ამის მიუხედავად, ჩვენ ზაანც გვიხდება ლაპარაკი ცალკეულ ბგერაზე, რადგანაც უამისოდ ჩვენ ვერ შევძლებდით მთლიანის საფუძვლიანად შესწავლას. ეს უნდა გვახსოვდეს მუდამ (იხ. ზემოთ გვ. 29 და შემდ.).

ცოცხალ წარმოთქმაში სამეტყველო ბგერა უეჭველად შეერთებულია ან წინა ბგერასთან, ან მომდევნოსთან და ან ორივესთან: წინასთანაც და მომდევნოსთანაც. ასეთი შეერთება მეტ-ნაკლებად სცელის ბგერის ელფერს. მეზობელი ბგერები ეგუებიან ერთმანეთს. მაგ., ხმოვანი ა არაა საესებით ერთნაირი შემდეგ სიტყვებში: აბი, ბანი, განი, ნლობა, ჰაში. პირველსა და მეოთხე შემთხვევაში ა მხოლოდ ცალი მხრით უერთდება მეზობელ ბგერას: პირველში (აბი) მომდევნო ბ-ს, მეოთხეში (ნლობა) წინა ბ-ს; ორივე შემთხვევაში ა უერთდება ბ-ს, მაგრამ მაინც განსხვავებული ერთმანეთისაგან, რადგანაც პირველ შემთხვევაში (აბი) ა იწყება „თავისუფლად“, ხოლო თავდება-მომდევნო ბ-ს გავლენით—მასთან შეერთების გამო; ნლობა-ში კი ა იწყება ბ-ს გავლენით და თავდება „თავისუფლად“.

სიტყვაში ბანი ა შეერთებულია ანუ შეგუებული როგორც წინა ბ-სთან, ისე მომდევნო ნ-სთან; ამის გამო იგი (ა) განსხვავებულია როგორც იმ ა-საგან, რომლითაც იწყება სიტყვა აბი, ისე იმ ა-საგან, რომლითაც თავდება სიტყვა ნლობა. მეორე მხრივ, ყველა ეს ა განსხვავებულია იმ ა-საგან, რომელიც გვაქვს სიტყვაში განი.

სამი-ში გვაქვს ყველა დანარჩენი ოთხი ა-საგან განსხვავებული ა.

ამგვარად, მოცემულ ხუთ სიტყვაში (აბი, ბანი, განი, სამი, ნლობა) გვაქვს ხუთი ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავებული ა.

რაც ითქვა ა-ს შესახებ, იგივე შეიძლება ითქვას ყოველი სხვა სამეტყველო ბგერის შესახებაც, ე. ი.: თითოეული სამეტყველო ბგერა სიტყვაში უერთდება მეზობელ ბგერას ან ცალმხრივ (როცა იგი იწყებს ან ათავებს სიტყვას), ან ორმხრივ (როცა იგი მოხვდება ორ სხვა ბგერას შუა). მაგ., ამავე ხუთი სიტყვიდან სამში გვაქვს ბ, მაგრამ არც ერთი მათგანი არ უდრის მეორე ბ-ს: პირველი არის ა-სა და ი-ს შუა (აბი), მეორე იწყებს სიტყვას და ი-ს წინაა (ბანი), მესამე არის ი-სა და ა-ს შუა (ნლობა).

აქ მართებულია დაისვას საკითხი: შეიძლება თუ არა შემართავ-დამართავზე მითითებით დაეკმაყოფილდეთ და უშუალო მეზობლობაში მყოფ ბგერათა ურთიერთგავლენის მიზეზი მიგნებულად ჩავთვალოთ?

რომ ეს საკმარისი არ არის, ამას მოწმობს შემდეგი გარემოება:

ბგერები ერთმანეთზე გავლენას ახდენენ არა მხოლოდ მაშინ, როცა ისინი უშუალოდ ემეზობლებიან ერთმანეთს (კონტაქტური გავლენა), ე. ი. არა მხოლოდ მაშინ, როცა დამართავ-შემართავ უერთდება ერთმანეთს, — არამედ მაშინაც, როცა სიტყვაში ბგერები დაშორებულია

ერთმანეთს სხვა ბგერით. ამ შემთხვევაში ამბობენ: ბგერა გავლენას ახდენს ბგერაზე მანძილზე (დისტანციური გავლენა). მაგ., გვაქვს სიტყვა ჰიშკარი — ძველია (ბ)ჰისკარი: შიშინა ჰ-მ იმოქმედა სისინა ს-ზე და აქცია იგი შიშინა შ-დ; ჰ-ს გავლენას ს-ზე ხელი ვერ შეუშალა მათ შუა მყოფმა ი-მ. მაშასადამე, გავლენაა გარკვეულ მანძილზე. აქ ჰ-ს დამართვის შეერთებაზე ს-ს შემართვასთან ლაპარაკი არ შეიძლება.

მანძილზე გავლენას ადგილი აქვს აგრეთვე იმერულად თქმულ მოვითანე-ში: მომდევნო ი-მ გავლენა მოახდინა წინა ო-ზე („მოვითანე“). მით, რომ დააკარგვინა მას ლაბიალიზაცია და აქცია იგი ე-დ, მიუხედავად იმისა, რომ ო-სა და ი-ს შუა არის ვ, რაც გამორიცხავს ო-ს დამართვისა და ი-ს შემართვის შეერთებას. მაშასადამე, მანძილზე ბგერათა ურთიერთგავლენას ვერ ახსნის დამართვა-შემართვის ურთიერთობა.

ამიტომ, როგორც ჩანს, ორივე სახის გავლენის — უშუალო მეზობლობაშიც და მანძილზეც — მიზეზი ერთია, ხოლო თითოეული მათგანი წარმოადგენს ამ საერთო მიზეზის კერძოულ გამოვლენას.

უნდა ვიფიქროთ, გარკვეული შეხედულებების თანახმად, რომ სიტყვის წარმოსათქმელად ხდება საწარმოთქმო მოძრაობის ინერვაცია არა ცალ-ცალკე ბგერებისა, არამედ მთელი სიტყვისა; მაშასადამე, ადგილი აქვს წარმოთქმის პროცესში არა განცალკევებულ არტიკულაციებს, არამედ მთლიანი სიტყვის არტიკულაციას, კოარტიკულაციას (ლათ. co-articulatio „თანაარტიკულაცია“), რომელშიც ხორციელდება, მეტნაკლები სიზუსტით, საწარმოთქმო ინერვაცია. საწარმოთქმო ინერვაციის სრულიად ზუსტ რეალიზაციას ხელს უშლის სიტყვის შემადგენელ ბგერათა კონტაქტუ.ი თუ დისტანციური მეზობლობა.

მაშასადამე, კოარტიკულაციის საფუძველზეა შესაძლებელი ბგერათა როგორც კონტაქტური (უშუალო მეზობლობითი), ისე დისტანციური (არაუშუალო მეზობლობითი) ურთიერთ გავლენა.

## 2. ბარდამავალი ბგერა ბგერათშეერთების პროცესში და დამდბარი ბგერა

ზემოთ ნაჩვენები იყო, თუ როგორ ეგუებიან ერთმანეთს მეზობელ ბგერები და რა გავლენას განიცდიან ისინი საწარმოთქმო ბგერათშეერთების პროცესში.

აქ განვიხილავთ მეზობელ ბგერათა შორის გარდამავლობას იმავე ბგერათშეერთების პროცესში.

ყოველ ორ შეერთებულ ბგერას შუა არის მეტნაკლები ხანგრძლიობის გარდამავლობა იმ შემთხვევაში, თუ მათ აღვიქვამთ როგორც ორს ცალკეულ ბგერას. მაშასადამე, გარდამავლობა არ ექნება ისეთ ბგერათშეერთებას, როგორიცაა, მაგ. ა + ა > ა, დ + დ > დ, თ + ს > ც-

სიტყვა და-ს წარმოთქმის პროცესში დ-ს იმიტომ ვცნობილობთ, როგორც ცალკე ბგერას, რომ მასა და ა-ს შუა ოდნავ შესამჩნევ საზღვარსა ვგრძნობთ; ვცნობილობთ აგრეთვე ა-ს: ეს საზღვარია მათ შორის გარდამავლობა. დ-ს არტიკულაცია თანმიყოლებით იცვლება და თანდათანობით გადადის ა-სათვის საჭირო არტიკულაციაში: დ-ს ხწვის გაპობის შემდგომ ხდება ენის ძირს დაშვება, რისთვისაც საჭიროა დრო (მართალია, ძლიერ მცირე). ამასობაში ბ გ ე რ ო ბ ა (აქ ხმა) არ შეწყვეტილა; ე. ი. არტიკულაცია არ შეწყვეტილა, ბგერითი ეფექტი არის, მაგრამ უკვე აღარ არის დ და ჯერ არ არის ა. ამ გარდამავლობის მომენტში წარმოებულ ბგერას ეძახიან გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ბ გ ე რ ა ს.

გარდამავლობის ხანგრძლიობა, როგორც ითქვა, შესაძლებელია მეტ-ნაკლები იყოს სხვადასხვა ბგერათშეერთებისას და სხვადასხვა თანამიმდევრობისას; მაგ., გ ლ კ ო მ პ ლ ე ქ ს შ ი (გ-ს და დ-ს შუა) მეტია, ვიდრე დ გ -ში; ა ი კ ო მ პ ლ ე ქ ს შ ი მეტია, ვიდრე ა ე -ში და ა. შ.

მეტყველებაში გარდამავალი ბგერა უურადლებას არ იქცევს, რადგანაც მოცემულ ენაში მას არა აქვს სოციალური ღირებულება, იგი არ წარმოადგენს ფონემას; ამიტომაც, რომ მწერლობიან ენებში მას გრაფიკული ნიშანი (ასო) არ მოეპოვება.

იმ ბგერას, რომელიც მოცემულ ენაში მკაფიოდ გამოირჩევა ამ ენის სხვა ბგერათაგან და ამიტომ წარმოადგენს ფონემას (სიტყვათგანმასხვავებელ ბგერას), ეწოდება დ ა მ დ გ ა რ ი ბ გ ე რ ა.

იმის დასამტკიცებლად, რომ გარდამავალი ბგერა არ წარმოადგენს ფონემას მხოლოდ მოცემულ ენაში, ხოლო რომელიმე სხვა ენაში იგი შესაძლებელია ფონემად გვევლინებოდეს, გამოდგება შემდეგი ფაქტი: მაგ., ა ი ს ი ტ ყ ე ი ს წ ა რ მ ო თ ქ მ ი ს ა ს ე ნ ა მ უ ნ დ ა გ ა ი ა რ ო ს ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა — დაწყებული ენის დაბალი აწეულობიდან და გათავებული ენის მაღალი აწეულობით (იხ. გვ. 68 და შემდ.); ენის ამ მდგომარეობათაგან ერთია ის საშუალო აწეულობა, რომელიც საჭიროა ქართული ე-სათვის. თუ ქართულად მეტყველი წარმოთქვამს ა ი -ს ნელა და ხმაშეწყვეტილივ ა-დან ი-ზე თანდათანობით გადასვლით (ა — ი), მისი ყური შეამჩნევს მათ შუა გარკვევით მხოლოდ ე-ს; ფრანგულად მეტყველი კი მათ შუა გარკვევით შეამჩნევს ორ ე-ს. ეს იმიტომ, რომ ფრანგულ ენაში არსებობს ორი ფონემური ე, ფრანგულად მეტყველის ყურისათვის მკაფიოდ ერთმანეთისაგან განსხვავებული; ხოლო ქართულს აქვს მხოლოდ ერთი ე (ფრანგულის ერთი ე ვიწროა ქართულის ე-ზე, მაგ., სიტყვაში *mérite* — წარმოთქმაში *merit* 'დამსახურება', მეორე ე ფართოა ქართულის ე-ზე, მაგ., სიტყვაში *mère* — წარმოთქმაში 'მერ' 'დედა'. ქართულის ე-ს არც ერთი არ უდრის სავსებით).

მაშასადამე, ის ბგერა, რომელიც ქართული მეტყველებსთვის გარდამავალია და ამიტომ ფონემას არ წარმოადგენს, ფრანგულში

დამდგარი ბგერაა და ფონემად ევლინება ფრანგულად მეტყველს (იხ. აგრეთვე გვ. 76).

### 3. ბგერათშეერთვა და ბგერათშეერთება

განვიხილოთ კონტაქტური (უშუალო მეზობლობით) ბგერათშეერთება.

ბგერათშეერთების მრავალნაირობა შეგვიძლია დავაჯგუფოთ ამა თუ იმ ნიშნეულობის თვალსაზრისით. მაგალითად, შეერთება ხმოვნისა ხმოვანთან, თანხმოვნისა თანხმოვანთან, ხმოვნისა თანხმოვანთან, თანხმოვნისა ხმოვანთან; შეერთება ერთნაირი ან განსხვავებული ხმოვნებისა, ერთნაირი ან განსხვავებული თანხმოვნებისა; შეერთება ფართო ხმოვნისა ვიწროსთან ან პირიქით, ხშული თანხმოვნისა ნაპრალოვანთან ან პირიქით და ა. შ.

თითოეული ასეთი დაჯგუფების განხილვა მოგვცემს თავისებურ შედეგს. მაგ., ორი ერთნაირი ხმოვნის შეერთებას ( $ა + ა$ ,  $ო + ო \dots$ ) შეუძლია მოგვცეს გრძელი ხმოვანი ( $აა$ ,  $ოო$ ), თუ ამ ენას აქვს საერთოდ გრძელი ხმოვნები; ორი სხვადასხვა ხმოვნის შეერთებას (მაგ.,  $ა + ი$ ,  $ო + უ \dots$ ) შეუძლია მოგვცეს დიფთონგი ( $აი$ ,  $ოუ \dots$ ), თუ ამ ენას აქვს საერთოდ დიფთონგები; ან შეუძლია მოგვცეს პირველი ხმოვნის ცვლილება, მაგ.,  $ა + ი > ეი$ ;  $აილო > ეილო$  (იმერულში).

ორი ერთნაირი თანხმოვნის შეერთებას (მაგ.,  $გ + გ$ ,  $თ + თ$ ,  $ზ + ზ$ ,  $ხ + ხ \dots$ ) შეუძლია მოგვცეს თავისებური გრძელი თანხმოვანი ( $\overline{გავს} = გგავს$ ,  $\overline{ერთან} = ერთთან$ ,  $\overline{ვაზე} = ვაზზე$ ,  $\overline{სწუნარ} = სწუნხარ$ ); ორი სხვადასხვა თანხმოვნის შეერთებას შეუძლია მოგვცეს პირველის ცვლილება (მაგ.,  $\overline{ერთგული} > \overline{ერდგული}$ ,  $\overline{მისდევს} > \overline{მიზდევს}$ ); ხშულისა და ნაპრალოვანი თანხმოვნის შეერთებას შეუძლია მოგვცეს აფრიკატი ( $\overline{ათსამშეტი} > \overline{ცამშეტი}$ ,  $\overline{ათშვიდშეტი} > \overline{ჩვიდშეტი}$ ) და ა. შ.

როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, ყოველგვარი ბგერათშეერთება იწვევს მეტ-ნაკლებ ცვლილებას ორივე შეერთებული ბგერისას, ერთი მათგანისას კი — უფრო მეტად.

შედეგის მიხედვით ბგერათშეერთება შეიძლება იყოს ორგვარი ტიპისა: ბგერათშერთვა ან ბგერათშერთება.

ბგერათშერთვა არის ისეთი ბგერათშერთება, რომელიც არ სცვლის შეერთებულ ბგერათა ძირითად ხასიათს. მაგ., სიტყვაში დოღ წარმოითქმის ტუჩების წამოშვერა-მომრგვალებით (მომდევნო ო-ს გავლენით), მაგრამ მას ადვილად ვცნობილობთ როგორც დ-ს (მაგალითად, იმ დ-ს, რომელიცაა, ვთქვათ, სიტყვაში და), რადგანაც ო-ს ვერ შეუცვლია დ-ს ძირითადი ხასიათი. სიტყვაში ან ა-ს ოდნავი ნაზალობა (ცხვირისეულობა) აქვს, მაგრამ მასში ადვილადვე ვცნობილობთ ჩვეუ-

ლებრივს ა-ს (მაგ., როგორცაა სიტყვაში აქ და სხვა). ორივე შემთხვევაში გვაქვს ბგერათშერთვა.

ბგერათშერწყმა არის ისეთი ბგერათშერთება, რომელიც სცვლის შეერთებულ ბგერათა ძირითად ხასიათს. მაგ., იმერულად წარმოთქმულ ეილო სიტყვის ე-ში ველარ ვცნობილობთ ა-ს, რადგანაც შეცვლილია მისი ძირითადი ხასიათი; აგრეთვე მიზღვეს სიტყვის ზ-ში ვერ ვცნობილობთ ს-ს; თ + ს > ც შეერთებაში (მაგ., ცაშეტი) სრულიად აღარ ჩანს აღარც თ და აღარც ს და ა. შ. სამივე შემთხვევაში გვაქვს ბგერათშერწყმა.

საყურადღებოა, რომ სხვადასხვა ენაში ერთვეაროვანი ბგერათშერთება შესაძლოა გვადღევედეს სხვადასხვაგვარ შედეგს: ერთ ენაში რომ ბგერათშერთებაა, მეორე ენაში იგივე ბგერათშერთება შეიძლება მოგვევლინოს ბგერათშერწყმის სახით. მაგ., ქართულში ბგერათშერთება ნგ (მაგ., სიტყვაში დინგი) წარმოადგენს ბგერათშერთვას, რადგანაც თითოეული მათგანი ადვილად იცნობა; მაგრამ იგ გერმანულში (მაგ., სიტყვაში Zunge) არ იცნობა არც ნამდვილი (წინაენისმიერი) ი და არც ნამდვილი (არაცხვირისეული) გ: გვაქვს უკანაენისმიერი ცხვირისეული; მაშასადამე, გერმანულში იგ წარმოადგენს ბგერათშერწყმას.

მეორე ნიმუში: ყოველი თანხმოვანი „რბილდება“ (პალატალიზდება, იხ. ქვემოთ) მომდევნო ი-სა ან ე-ს წინ. ამ მოვლენას მეტ-ნაკლებად ადგილი აქვს ყოველ ენაში, კერძოდ—ქართულშიც და რუსულშიც; მაგ., ქართულში ბგერათშერთებაში დე (სიტყვაში დელა) დ ოდნავ დარბილებულია; რუსულ ძე-ში (дѣла) აგრეთვე დარბილებულია (მართალია, მეტად, მაგრამ მთავარია არა ეს), მაგრამ განსხვავება დიდია ქართულ დ'-სა და რუსულ ძ'-ს შორის ('სილბოს ნიშანია): ქართულში ბგერათშერთებას შედეგად მივიღეთ იგივე ერთადერთი დ, რომელიც აქვს ქართულს, ხოლო რუსულში მივიღეთ რუსულის მეორე (რბილი) ძ', რომელიც წარმოადგენს ცალკე ფონემას. მაშასადამე, ქართულში დე ბგერათშერთებაა, ხოლო რუსულში ძე—ბგერათშერწყმა.

#### 4. ბგერათშერთების წესები

როგორც ვნახეთ, ბგერათშერთების მრავალნაირობა შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, შედეგის თვალსაზრისით, ორი მთავარი ტიპის სახით: ბგერათშერთების ერთი ტიპია ბ გ ე რ ა თ შ ე რ თ ვ ა, მეორე— ბ გ ე რ ა თ შ ე რ წ ყ მ ა.

მეორე მხრივ, ბგერათშერთება, როგორც პროცესი, მიმდინარეობს გარკვეული წესების თანახმად. განვიხილოთ ეს წესები ბგერათშერთების პროცესის თვალსაზრისით, სახელდობრ: რა წესებს ემორჩილება ბგერის ბგერასთან შეერთება?

## ა. ბგერათშეპართეპის კირველი წანო

უშუალო მეზობლობაში მყოფი ორი ბგერის წარმოთქმისას მათი საზიარო არტიკულაცია წარმოებს მხოლოდ ერთხელ (და არა ცალ-ცალკე თითოეულისათვის). ამ წესს ვეძახით საზიარო არტიკულაციის წესს.

ამ წესის თანახმად, მაგ., ორი უშუალოდ მეზობელი მეღერი ბგერისათვის სახმო სიმები უწყვეტლივ ეღერს ორივე ბგერის წარმოთქმის განმავლობაში. ქართულში მუდამ ასეა ნორმალურად (არა ჩურჩულით) წარმოთქმულ ხმოვანთა შეერთებისას: აბგო, აშგო, გაიგო, და ა. შ.

მაგრამ მეღერი თანხმოვანთა შეერთებისას მეღერობა არ შეიძლება უწყვეტელი იყოს, თუ შეერთებულთაგან ერთ-ერთი ხშული თანხმოვანია: როგორც ვიცით, ყოველ ხშულს — და მათ შორის მეღერსაც — აქვს აუცილებელი პაუზა („უბგერობა“) (იხ. გვ. 54). მაშასადამე, მეღერობა უწყვეტელია უშუალოდ მეზობელ მხოლოდ არა ხშულ ბგერათა წარმოთქმისას; ხმოვნებს გარდა ასეთია ნაპრალოვანი და სონორული თანხმოვნები. მეღერობა არ წყდება, მაგ., შემდეგ შეერთებებში: ზზ (ვაზზე), ზღ ან ლზ (უზლო, თაღზე), მრ (მრავალი), რნ, (მარნის), ლნ (მელნის) და ა. შ.

მაგრამ მეღერობა შეწყდება შემდეგებში: ადი, აღვა, აგო, უბღია და მისთანებში.

ამავე წესის თანახმად ორი ჰომორგანული ბგერის შეერთებისას სათანადო ორგანოების საზიარო არტიკულაცია ხდება ერთჯერ; მაგ., ღთ-სათვის წინაენის ხშვა-სკდომა კბილებთან (ჰაგ., ბეღთან), მზ-სათვის ტუჩების ხშვა-სკდომა (ამბავი).

## ბრძელი ხმოვანი და ბრძელი თანხმოვანი.

ორი სავსებით მსგავსი ბგერის შეერთებისას მათი საზიარო არტიკულაცია გრძელდება უწყვეტლივ: დაბგო, შეშხო, ომმა, ვაზზე, მათთან, ცხაღღება, ბბონია. ამ გზით, ჩვეულებრივ, წარმოიქმნება ხოლმე გრძელი ხმოვანი (მაგ., აა > ა, ეე > ე) და გრძელი ან გაორმაგებული თანხმოვანი, რომელსაც, ჩვეულებრივ, ეძახიან გემინატს ანუ გემინირებულ თანხმოვანს (ლათ. geminare “მეუღლება, გაორკეცება”); აქედან მსგავს თანხმოვანთა შეერთებას ვეძახით გემინაციას. გემინირებულია, მაგ., თ მათთან-ში, მ ლომმა-ში, ზ ხაზზე-ში და ა. შ.

მსგავს ხშულთა შეერთებისას გრძელდება, რა თქმა უნდა, მხოლოდ შუა მომენტი.

ორი მსგავსი ხშულის შეერთებისას განასხვავებენ გრძელ ხშულს. გემინირებულისაგან: თუ მსგავს ხშულთა შეერთება ჰქმნის სავსებით ერთიან ხშულს, განსხვავებულს თითოეული შეზადგენლისაგან.

მხოლოდ დახანებით, მაშინ გვაქვს გრძელი ხშული; ხოლო, როცა წენაერთში მაინც იგრძნობა ორმაგობა, მაშინ გვაქვს გემინატი ანუ გაორმაგებული ხშული. ზოგ ენას მეტად ახასიათებს გრძელი ხშულები, ზოგს — გემინატები.

## ა ფ რ ი კ ა ტ ი

საზიარო არტიკულაციის წესის თანახმად აქამდე აღწერილი ბგერათშეერთების ყველა სახეობა წარმოადგენს ბგერათშერთვის ნიმუშებს (იხ. ზემოთ გვ. 98 ბგერათშერთვის შესახებ). მაგრამ ამ წესით შესაძლებელია ბგერათშერთების ისეთი პროცესიც, რომლის შედეგად გვაქვს ბგერათშერწყმა. ამგვარი ბგერათშერთების ნიმუშს წარმოადგენს აფრიკატები, რომლებიც, საყოველთაოდ მიღებული აზრით (იხ. გვ. 85 და შემდ.), წარმოადგენენ ხშული თანხმოვნების შერწყმას მომდევნო ჰომორგანულ სპირანტებთან; მაგ., ქართულის ექვსი აფრიკატი (ძ — ც — წ, ჯ — ჩ — ჭ) მიღებულად ითვლება მეორე სამეფლის (ღ — თ — ტ) შერწყმისაგან მომდევნო მეორე (შ — ხ) და მესამე (ჟ — შ) წყვილელთან:

ქართულ აფრიკატთა პირველ ჯგუფში (ძ — ც — წ) შემავალ ხშულებს (ღ — თ — ტ) საზიარო არტიკულაცია აქვთ მომდევნო მეორე (სინა) წყვილელთან (შ — ხ); ესაა მათი წინაენისმიერობა (რაგვარობით კი ისინი განსხვავებულნი არიან); აგრეთვე მეორე ჯგუფშიაც (ჯ — ჩ — ჭ): იმავე წინაენისმიერ ღ — თ — ტ-ს უერთდება მომდევნო წყვილელი ჟ — შ; აქაც საზიაროა წინაენისმიერობა. განსხვავება იმაშია მხოლოდ, რომ პირველ შემთხვევაში (ძ — ც — წ) წინაენა ზედა კბილებთანაა და ეხება ქვედასაც (ისე როგორც შ — ხ-სათვის), ხოლო მეორე შემთხვევაში (ჯ — ჩ — ჭ) წინაენა ნუნებთანაა და ქვედაკბილებს არ ეხება (ისე როგორც ჟ — შ-სათვის). აქედან ჩანს, რომ აფრიკატების ორ ჯგუფს შორის განსხვავება დამოკიდებულია მათში შემავალი სპირანტების განსხვავებაზე.

## ბ. ბგერათშერთების მეორე წესი

უშუალო მეზობლობაში მყოფი ორი ჰეტერორგანული ბგერის წარმოთქმისას ორგანოები იცვლიან მდგომარეობას უმოკლესი გზით. ამ წესს ვეძახით არტიკულაციის უმოკლესი გზის წესს.

ამ წესის თანახმად საწარმოთქმო ორგანოები, წინმდგომი ბგერის გათავების შემდეგ, კი არ უბრუნდებიან ინდიფერენტულ მდგომარეობას (იხ. გვ. 24), არამედ გადადიან მომდევნო ბგერის წარმოებაზე პირდაპირ, რამდენადაც ეს შესაძლებელია. ამიტომ სუსტდება წინმდგომი ბგერის დამართვა და მომდევნო ბგერის შებართვა: წინმდგომის დამართვა არ დასრულდება, ხოლო მომდევნო შებართვა იწყება არა ინდიფერენტული მდგომარეობიდან, არამედ წინმდგომი ბგერის დაუმთავრებელი დამართვიდან.

წარმოვთქვათ განსხვავებულ ხმოვანთა შეერთება ეი (შეიტანა) აუჩქარებლივ და დაუუკვირდეთ, თუ როგორ გადადის ენა ე-ს მდგომარეობიდან ი-საზე. შეადარეთ ცალკე წარმოთქმული ე: როცა დავასრულებთ განმარტოებულ ე-ს, ენა უბრუნდება იმ მდგომარეობას, რომლიდანაც გამოვიდა ე-ს დაწყებისას; ხოლო ეი-ს წარმოთქმისას ეს აღარ ხდება: ენა ე-დან პირდაპირ გადადის ი-ს მდგომარეობაში, ე. ი. მიდის წინ და ზევით (იხ. სურ. 31). განსხვავებულ ხმოვანთა ყოველგვარ შეერთებაში (მაგ.: აი, ია, იე, იი, იო, უი, უო...) შეგვიძლია დავინახოთ ანალოგიური პროცესი.

ასეთივეა თანხმოვნისა და ხმოვნის შეერთების (მაგ., დე-ს წარმოთქმის) პროცესი: დ-ს არტიკულაციის გათავების შემდეგ ენა კი არ უბრუნდება იმდროინდელ მდგომარეობას, არამედ პირდაპირ გადადის ე-ს მდგომარეობაში. ანალოგიურადვე ერთდება „ხმოვანი + თანხმ.“, მაგ., ედ.

ამავე პროცესს აქვს ადგილი თანხმოვნის შეერთებისას თანხმოვანთან, როგორცაა, მაგ.: თრ ან რთ, რგ ან გრ, ღგ ან გღ, თქ ან ქთ და მრავალი სხვა. თითოეული ამ შეერთებათაგანის განხილვა დაგვარწმუნებს არტიკულაციის უმოკლესი გზის წესის მართებულობაში.

#### დ ი ვ თ ო ნ ბ ი

ხმოვანთა ამ წესით შეერთებაში საგანგებოდაა აღსანიშნავი დ ი თ-თ ო ნ გ თ ა წარმოქმნა.

საქმე ისაა, რომ განსხვავებულ სრულ ხმოვანთა ერთმანეთთან ისეთი შეერთება, როგორცაა, მაგ., აი, აე ან იი, იუ და სხვა, არ იწვევს შენიშვნებს, გარდა იმისა, რომ მათ შუა (მაგ., ა-სა და ი-ს შუა აი-ში, ან ი-სა და ი-ს შუა იი-ში) გარდამავლობა (ან უკეთ: გარდამავლობის ხანგრძლიობა) მეტ-ნაკლებია; აი-ში მეტია, ვიდრე აე-ში, იი-ში მეტია, ვიდრე უი-ში: აი-ში ა-დან ი-მდე მეტი გზა აქვს გასავლელ ენას, ვიდრე აე-ში ა-დან ე-მდე; იი-დან ი-მდე მეტი გზაა ენისათვის, ვიდრე ი-დან უ-მდე.

რაც შეეხება არასრული ხმოვნის („ნახევარხმოვნის“) შეერთებას მეორე ხმოვანთან, ამაზე საჭიროა მეტად შევაჩეროთ ყურადღება.

ორი ზედიზედ მოსული სრული ხმოვნის შეერთება, ჩვეულებრივ, ჰქმნის ორ მარცვალს. მაგრამ ზოგ ენაში (ან ერთი ენის სხვადასხვა პერიოდში) ზოგიერთ სრულ ხმოვანთა შეერთება ჰქმნის ერთ მარცვალს — ერთ-ერთი ხმოვნის დასუსტების გზით. ასეთ ენებში (ან ენის გარკვეულ პერიოდში) სუსტდება, ჩვეულებრივ, ვიწრო ხმოვნები, სახელდობრ, ი და უ, რომლებიც იქცევიან ჯ და ჯ-დ („ნახევარხმოვნებად“).

ორი განსხვავებული ხმოვნის ისეთ შეერთებას, რომელიც გვაძლევს ერთ მარცვალს ერთ-ერთი ხმოვნის დასუსტების გზით, ეწოდება



დიფთონგი ანუ ორხმოვანა (ბერძ. di(s) 'ორმაგი', phthongos 'ბგერა').

ამგვარად, დიფთონგის წარმოქმნის პროცესი წარმოადგენს არტიკულაციის უმოკლესი გზის წესის რეალიზაციას: ორი სრული ხმოვანი თავსდება ერთ მარცვალში, რადგანაც ისინი უერთდებიან ერთმანეთს უმოკლესი გზით, რაც, თავის მხრივ, განსაზღვრავს მათს ერთმანეთთან მეტ სიმჭიდროვეს, ვიდრე ორი სრული ხმოვნის შეერთებისას.

დიფთონგის წარმოქმნის პროცესი, ბგერათშეერთების თვალსაზრისით, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად: ფართო ხმოვნის (მაგ., ა-ს) შეერთებისას ვიწრო ხმოვანთან (მაგ., ი-სთან) პირველის დამართვა ოდნავ ხანგრძლივდება მომდევნო ხმოვნის შემართვის ხარჯზე; ამის გამო ეს ვიწრო ხმოვანი მოკლდება და სუსტდება; ამ გზით მიღებული მოკლე და სუსტი ი გამოიხატება ქართულში ჟ-ს სახით (ეს ასო ამ მნიშვნელობით იხმარებოდა ძველ ქართულში). ჟ-ს ეძახიან იოტს. საყურადღებოა, რომ ვიწრო ხმოვანი (აქ ი) სუსტდება იმ შემთხვევაშიც, როცა იგი წინ უძღვის ფართოს (აქ ა-ს), ე. ი. ია შეერთებაშიც; მაშასადამე, ია-ში ი-ს დამართვის დასუსტების ხარჯზე ძლიერდება მომდევნო ა-ს შემართვა.

ამგვარად, აი გვევლინება აჟ დიფთონგის სახით, ხოლო ია — ჟა დიფთონგის სახით. პირველი (აჟ) კნობილია დამავალი დიფთონგის სახელით, რადგანაც შეერთება იწყება სრული ხმოვნით და თავდება მოკლე სუსტით; ხოლო მეორე (ჟა) — აღმავალი დიფთონგის სახელით, რადგანაც შეერთება იწყება სუსტი ხმოვნით და თავდება სრულით: პირველი (აჟ) კლებადია, მეორე (ჟა) ზრდაა.

რამდენადაც დიფთონგი წარმოადგენს მხოლოდ ერთ მარცვალს, ამდენად მარცვლის მატარებელია (ანუ მარცვლოვანი) მასში მხოლოდ სრული ხმოვანი, ხოლო დასუსტებული ხმოვანი (აქ ჟ) — მარცვლოვნობას მოკლებული (ანუ უმარცვლო).

ასეთივე შედეგი შეიძლება მოგვეცეს ფართო ხმოვნის (მაგ., იმევე ა-ს) შეერთებამ მომდევნო ან წინმდგომ უ-სთან: როგორც ვიცით, უ აგრეთვე ვიწრო ხმოვანია (იხ. ზემოთ). აქაც შესაძლებელია მივიღოთ დიფთონგი აჟ (აუ-საგან) და ჟა (უა-საგან).

[ასო ჟ-ს აქ ეხმარობთ დასუსტებული ანუ უმარცვლო უ-ს აღსანიშნავად; ძველად ამ მნიშვნელობით უფრო ხშირად იხმარებოდა ასო უჟ, მაგრამ ზოგჯერ ხმარობდნენ ჟ-საც].

მაშასადამე, აჟ წარმოადგენს აჟ-ს ანალოგიურ დამავალ დიფთონგს, ჟა — აღმავალს (ჟა-ს ანალოგიურად).

აღწერილი დიფთონგების ნიმუშები გვაქვს ქართულში, მაგ., შემდეგ სიტყვებში (ძველი დამწერლობით): ღეღამ (— აი-საგან), მაკობ (ია-საგან); თჳალი (ძველად იწერებოდა თჳალი და შემდეგ თჳალი), საშჳალი (ვწერთ დღეს საშუალი, როგორც ძველად) და სხვა.

დიფთონგის მარცვლოვან ნაწილად გვევლინება არა მხოლოდ ა, როგორც აქ წარმოდგენილ ნიმუშებშია, არამედ ყოველი ხმოვანი; სახელდობრ: ეა (ეი-საგან, მაგ., დღამა), ოა (ოი-საგან, მაგ., უფროდნი) — დამავალი დიფთონგები; აე (აე-საგან), აო (აო-საგან), აუ (აუ-საგან, მაგ., აუდა) — აღმავალი დიფთონგები.

ყველა ამ შემთხვევაში ხმოვანთშეერთების პროცესი ისეთივეა, როგორც ზემოაღწერილი, სახელდობრ: ორ შეერთებულ ხმოვანთაგან ერთ-ერთი სუსტდება მეორის სასარგებლოდ და ვლებულობთ, ბგერათშეერთების II წესის თანახმად, სრული ხმოვნის შეერთებას სუსტ ხმოვანთან ერთი მარცვლის ფარგლებში: ერთია მარცვლოვანი, მეორე — უმარცვლო ხმოვანი.

როგორც ჩანს, ქართულში ისტორიულად ქარბობს დამავალი დიფთონგები, რომლებშიც დიფთონგის უმარცვლო ნაწილად გამოყენებულია უმრავლეს შემთხვევაში ა.

დამავალ დიფთონგს ეძახიან ნამდვილ დიფთონგს.

დღევანდელ სალიტერატურო ქართულში დიფთონგები ნაკლებად შეიმჩნევა.

უფრო გავრცელებულია დიფთონგები რუსულ ენაში, სადაც აგრეთვე ქარბობს დამავალი ანუ ნამდვილი დიფთონგები; დიფთონგის უმარცვლო ნაწილად აგრეთვე გვევლინება ж (= ა). რუსულში დიფთონგებია: აж (აი-საგან, მაგ., ааж), აш (იწერება еш, მაგ., ешореж), აи (აი-საგან, მაგ., аириж), уи (უი-საგან, მაგ., проиуи).

არანამდვილი დიფთონგებია რუსულში: ja (იწერება я), ja (იწერება е, მაგ., еа 'ქამდა'), ja (იწერება э, მაგ., эака), ja (იწერება io, მაგ., иа 'სამხრეთი'), რომლებშიც j წარმოდგენს არა სუსტ ხმოვანს, არამედ შუაენისმიერ თანხმოვანს (იხ. ზემოთ გვ. 64).

არანამდვილი დიფთონგი გავრცელებულია ქანურში, მაგ.: ლოაა 'ლოყა', აინ 'არის' ოააუ 'გათლა'.

დასასრულ, აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ ერთ მარცვალში თავსდება სამი ხმოვანი; ასეთ შეერთებას ეწოდება ტრიფთონგი (სამხმოვანი). სალიტერატურო ქართულში ტრიფთონგები არა გვაქვს. ტრიფთონგად შეიძლება ჩაითვალოს, მაგ., იმერ. კილოს რააა? დედააა. ინგლისურში ასეთად ითვლება, მაგ., აია (სიტყვაში diary 'დღიური' — წარმოითქმის daiaɪə; აია (სიტყვაში player — წარმოითქმის pleia 'მოთამაშე') და სხვა.

### შეგარტვა-ღამართვის სახეები

ბგერათშეერთების მეორე—უმოკლესი გზის—წესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოქმედებას წარმოდგენს სახმო სიმების არტიკულაციის შეერთება ამა თუ იმ ბგერის შემართვასა ან დამართვასთან. იმის მიხედვით, თუ როგორი საწარმოთქმო მოძრაობა აქვთ სახმო სიმებს ამა თუ

იმ ბგერის შემართვისას (დასაწყისში) ან დამართვისას (ბოლოში), ვასხვავებთ შემართვისა და დამართვის რამდენიმე სახეს, სახელდობრ: 1) ფ შ ვ ი ნ ვ ი ე რ ს, 2) ძ ლ ი ე რ ს ა და 3) რ ბ ი ლ ს შემართვა-დანართვას.

1) ფ შ ვ ი ნ ვ ი ე რ ი ა ბ გ ე რ ი ს შემართვა-დამართვა, თუ ამ ბგერის შემართვა-დამართვისას სახმო ხიმები საფშვინვო მდგომარეობაშია (იხ. გვ. 79) და ჰაერნაკადის მტ-ნაკლები რაოდენობა გაივლის სიმებში გასაგონრად. ფშვინვიერ-შემართვიანი, მაგ., ქართული ა სიტყვაში ჰაერი. ფშვინვიერშემართვიანი ხმოვნები ახასიათებს ზოგიერთ ენას; ასეთია, მაგ., გერმანული ენა (მაგ., სიტყვებში haben, Himmel, Herbst ფშვინვიერშემართვიანი ა, i და e); ზოგიერთ ენაში კი არ არის ასეთი ხმოვნები; მაგ., რუსულსა და სხვა სლავურ ენებს, აგრეთვე ფრანგულს, იტალიურსა და სხვა რომანულ ენებს, არა აქვთ ფშვინვიერშემართვიანი ხმოვნები (ამიტომაც, რომ რუსს ან ფრანგს უჭირთ, საგანგებო ვარჯიშის უმისოდ, მაგ., haben-ის წარმოთქმა: ფრანგი ამბობს აბნ, რუსი ხაბნ). დღევანდელ სალიტერატურო ქართულსაც ნაკლებ ახასიათებს ფშვინვიერშემართვიანი ხმოვნები (არის მხოლოდ შორისდებულებში, მაგ., ჰა, აჰა, და უცხოურ სიტყვებში, მაგ., ჰაერი, ჰანგი, ჰიშნი, ჰომეროსი და სხვა). როგორც ჩანს, ძველ ქართულს იგი მეტად ახასიათებდა, მეტადრე ე. წ. ჰემეტობის პერიოდში.

დამახასიათებელია ფშვინვიერშემართვიანი ხმოვნები ქართულისა, კანურისა და სვანურის ზოგიერთი კილოებისათვის (ს. ჟღენტი).

რაც შეეხება ფშვინვიერშემართვიან თანხმოვანს, ეს ძლიერ იშვიათი მოვლენაა საერთოდ: არც ერთ დასახელებულ ენას. გარდა ქართულისა, იგი არ გააჩნია; თვით ქართულს, რომელსაც ისტორიულად უეჭველად ჰქონდა ფშვინვიერშემართვიანი თანხმოვნებიც, დღეს თითქმის გაქრობამდე დასუსტებია ისინი. ესაა ფშვინვიერშემართვიანი ყველა თანხმოვანი (გარდა მეორე და მესამე სამეულისა), რომლებითაც იწყება ზმნები ობიექტურ მესამე და სუბიექტურ მეორე პირში: ჰჰარავს, ჰჰარავ, ჰჰითხავს, ჰჰითხავ, ჰჰარგავს, ჰგავს და მისთანანი (მაშასადამე, ფშვინვიერშემართვიანი თანხმოვნები იწერება ჰფ, ჰკ, ჰქ, ჰგ). დღეს ქართულში ასეთი თანხმოვნები ამ მნიშვნელობით იხმარება ზოგ დიალექტში, ხოლო სალიტერატურო ქართულში ისინი იხმარება იშვიათად და, თუ იხმარება, არა მორფოლოგიურის, არამედ ემოციური დანიშნულებით (მაგ., ჰჰრის, მოჰჰლა, ჰჰეავის და მისთ.).

ყველა დასახელებულ შემთხვევაში სახმო სიმებში წარმოებული ფშვინვა მკიდროდ (უმოკლესი გზით) ერთვის მომდევნო თანხმოვნის შემართვას.

ფშვინვიერდამართვიანი ხმოვანი აგრეთვე იშვიათი მოვლენაა; ქართულში ამის ნიმუშად გამოდგება შორისდებულები, მაგ., ვაჰ, უჰ, სადაც ა და უ ფშვინვიერდამართვიანი ხმოვნებია.

რაც შეეხება ფშვინვიერდამართვიან თანხმოვანს, ასეთია ყველა ასპირატი ანუ ფშვინვიერი ხშული თანხმოვანი და, ჩვეულებრივ, ყრუ სპირანტები (იხ. გვ. 82), რომელთაც ზესადგამ მილში ხშვის ან ნაპრალის მოშლის შემდეგ, თან მისდევს (უმოკლესი გზით) დამართვისას სახმო სიმებში წარმოქმნილი ჩქამი (ფშვინვა, ანუ ასპირაცია).

დამართვის მეტ-ნაკლები ფშვინვიერობით განსხვავდება ერთმანეთისაგან ქართულისა, გერმანულ-ინგლისურისა და რუსულის ხშული თანხმოვნები: ქართულის ხშულები მეტად ფშვინვიერდამართვიანია, ვიდრე გერმანულ-ინგლისურისა, ხოლო რუსულის — მათზე ნაკლები.

2) ძლიერია ანუ მაგარი ბგერის (უმეტესად ხმოვნის) შემართვა, თუ ამ ბგერის შემართვისას სახმო სიმების მჭიდროდ დახშული მდგომარეობა სწრაფად იცვლება მათი გაპობით, რის შედეგადაც გვესმის ერთგვარი ძლიერი კვნესისებრი ჩქამი; ძლიერია ანუ მაგარი ხმოვნის დამართვა, თუ ბგერის დამართვისას სახმო სიმები სწრაფი წყვეტილ დაიხშვება, რის შემდეგაც გვესმის კვნესისებრი ჩქამი.

ძლიერშემართვიანი ხმოვნები ქართულ სალიტერატურო მეტყველებაში არ იხმარება; ზოგჯერ წარმოითქმება ხოლმე ძლიერშემართვიანი ხმოვანი დაქინებულად თქმულ არა-ში: 'არა' ('ნიშანი წარმოადგენს ბგერის ძლიერ შემართვას). ეს ის ბგერაა, რომელიც ცნობილია არაბულში ჰამზათ-ის სახელწოდებით (ნიშანია ა).

ქართველურ ენებში მაგარშემართვიანი ხმოვნები აქვს ზანურს (მეგრულსა და ქანურს); მაგ., მეგრ. და ქანური (ეიწურ-არქაბული, ათინური) ყუჭი 'ყური', ყონა 'ყანა' (ყ გამოხატავს უ-ს და ო-ს ძლიერ შემართვას). ევროპულ ენებში მაგარშემართვიანი ხმოვნები ყველაზე მეტად ახასიათებს სალიტერატურო გერმანულს; მაგ., სიტყვებში 'aber, 'immer, ober: სიტყვის დამწები ყოველი ხმოვანი ძლიერშემართვიანია (ან ფშვინვიერშემართვიანი, იხ. გვ. 105).

არც ძლიერდამართვიანი ხმოვანი აქვს ქართულს; მხოლოდ ცალკეული ხმოვნით გათავებული ნაწილაკი შეიძლება წარმოითქვას ძლიეროდ დამართვით ქართულში, მაგ.: ა' (სამწუხარო გაკვირვების გამოხატვა) — არაბ' (აკრძალვის გამოხატვა).

ძლიერშემართვიანი თანხმოვანი იშვიათია, კერძოდ არა აქვს იგი ქართულსაც; ხოლო ძლიერდამართვიანი თანხმოვნებია ქართულში აბრუპტივები ხმოვნის წინ (მაგ., ტარი, პირი, კარი): დამართვისას გვესმის მანამდე დახშული სახმო სიმების გაპობის ტკაცანისებრი ჩქამი. ძლიერდამართვიანია აგრეთვე ფრანგულის მეღერი და ყრუხშულები.

3) ნელია ანუ რბილი ბგერის შემართვა-დამართვა, თუ ამ ბგერის შემართვა-დამართვისას სახმო სიმები ჩქამის წარმოუქმნელად შეუდგებიან (შემართვა) ბგერის წარმოებას და უჩქამოდვე ერთმანეთს დასცილდებიან (დამართვა) ბგერის დასრულებისას. მაშასადამე, ნელია ანუ

რბილი შემართვა-დამართვა გვაქვს მაშინ, თუ არაა არც ფშვინვიერი და არც ძლიერი შემართვა-დამართვა.

ქართული ხმოვნებისათვის ნორმალურ მეტყველებაში დამახასიათებელია მხოლოდ ნელი შემართვა-დამართვა, ე. ი. ქართული ხმოვანი იწყება ნელი შემართვით და თავდება ნელივე დამართვით. ასეთივეა ყველა მეღერი და სიანორული თანხმოვნები.

ნელშემართვიანია ყველა ხმოვანი სლაუური ენებისა, კერძოდ რუსულისა, და რომანული ენების. რაც შეეხება სლაუურ და რომანულ ენათა თანხმოვნების შემართვას, ისიც ჩვეულებრივ ნელია, ხოლო დამართვა სლაუური ენებისა ფშვინვიერია, რომანულისა, კერძოდ ფრანგულის — ძლიერი).

შევნიშნავთ აქვე, რომ ბგერათშეერთების არტიკულაციის უმოკლესი გზის წესის მოქმედებას ვხედავთ მხოლოდ ფშვინვიერ შემართვა-დამართვიან და ძლიერშემართვა-დამართვიან ბგერებში; რაც შეეხება ნელშემართვა-დამართვიან ბგერებს, აქ შეერთებას ადგილი არა აქვს, რადგან ნელი შემართვა-დამართვა არ ჰქმნის აკუსტიკურად გასაგონარ ელემენტს.

[აქ, ბგერათშეერთებაში, ნელშემართვიან ბგერებზე მოგვიხდა საუბარი შემართვა-დამართვის სახეებთან დაკავშირებით].

## ბ. ბგერათშეერთების მესამე წესი

უშუალო მეზობლობაში მყოფი პეტერორგანული თანხმოვნების წარმოთქმისას ზოგჯერ მათი არტიკულაცია მიისწრაფვის ერთჯამიერობისაკენ. ესაა არტიკულაციის ერთჯამიერობის წესი.

თანხმოვანთა დეცესიური და აქცესიური კომპლექსები

თანხმოვანთა არტიკულაციის ერთჯამიერობისადმი მისწრაფებას მაშინ აქვს ადგილი, როცა შესაერთებელი ორი თანხმოვიდან წინმდგომი იწარმოება ზესადგამი მილის უფრო წინა არეში, ვიდრე მომდევნო თანხმოვანი. ასეთია, მაგ., შემდეგი შეერთებანი: ბდ, ფხ, ტკ, სქ და მისთანები (და არა შებრუნებული თანმიმდევრობით: დბ, ხფ, კტ, ქს...). შეიძლება ითქვას, რომ ბდ-ჯგუფში ბ-სა და დ-ს ხშვა ხდება (ან შეიძლება ხდებოდეს) თითქმის ერთჯამიერად; თითქმის ერთჯამიერია აგრეთვე ტკ-ში ხშვა წინაენისა ტ-სათვის და უკანაენისა კ-სათვის; ტუჩების დახშვა ფხ-ში ფ-სათვის და ნაპრალის შესაქმნელი მოძრაობა ხ-სათვის ხდება აგრეთვე თითქმის ერთჯამიერად; ამგვარადვე ხ-სათვის საჭირო ნაპრალი და მომდევნო ქ-ს ხშვა სქ-ში თითქმის ერთჯამიერია. ერთჯამიერობისადმი მიდრეკილება, ყოველ შემთხვევაში, ყველაშია; და არის იმიტომ, რომ ყველა განხილულ ჯგუფში წინმდგომი თანხმოვანი (ბ-, ფ-, ტ-, ხ-) იწარმოება უფრო წინა არეში, ვიდრე მომდევნო (-დ-, -ხ,

-კ, -ქ). აჭიჭოპაცაა, რომ წინმდგომი თანხმოვანი ადრე უნდა წარმოითქვას (ე. ი. ადრე უნდა განიხზოს, თუ თანხმოვანი ხშულია, ან ჰაერნაკადი ადრე უნდა გამოედინოს, თუ თანხმოვანი ნაპრალოვანია), ვიდრე მომდევნო: ერთჟამიერი წარმოთქმა მათ ერთ თანხმოვნად აქცევდა, ხოლო მომდევნო თანხმოვნის ადრე განხშევა (ან მისთვის ჰაერნაკადის გამომდინარეობა) ფიზიოლოგიურად შეუძლებელია. მაშასადამე, თანხმოვანთა ასეთი თანამიმდევრობისას გვაქვს მათი არტიკულაციის პირველ ნაწილში (ე. ი. ხშვისა და ნაპრალის წარმოების დროს) ერთჟამიერობა, ხოლო მეორე ნაწილში (განხშვისა და ჰაერნაკადის დენის დროს)—წინმდგომის ადრე წარმოთქმა.

თანხმოვანთა ასეთი თანამიმდევრობის კომპლექსს ვეძახით დეცესიური ანუ იქითურ კომპლექსს (ლათ. decessio 'იქით წასვლა, დაშორება'). დეცესიურია, მაგ., ბღ, ღგ, ზგ და მისთანები; შებრუნებული თანამიმდევრობის კომპლექსს ვეძახით აქცესიური ანუ აქეთურ კომპლექსს; აქცესიურია, მაგ., ღბ, გღ, გზ და მისთ. (ლათ. accessio 'აქეთ მოსვლა').

არავითარ ერთჟამიერობაზე არ შეიძლება ლაპარაკი აქცესიურ კომპლექსში (მაგ., გღ-ში), რადგანაც წინმდგომი თანხმოვანი (აქ გ), გაუჩინარდება, თუ მას არ ექნება ცალკე ხშევა. საკმარისია სცადოთ ერთჟამიერი ხშევა გღ-კომპლექსის წარმოსათქმელად, რომ მასში გ გაუჩინარდეს; დეცესიურ კომპლექსში კი (მაგ., ღგ) ერთჟამიერი ხშევა ჩვეულებრივია.

ეს მსჯელობა რომ გადავიტანოთ ბგერათა შემართვა-დამართვის ურთიერთობის ცნებებზე, ვნახავთ, რომ დეცესიურ კომპლექსში შემავალ თანხმოვნებს (მაგ., ბღ, ღგ, თქ, ზგ-ს) შემართვის მომენტი ერთჟამიერი აქვთ, ხოლო დაყოვნებისა და დამართვის მომენტები თითოეულს თავ-თავისი; აქცესიურ კომპლექსში შემავალ თანხმოვნებს თავ-თავისი აქვთ სამივე მომენტი.

მაშასადამე, დეცესიურ-აქცესიურ კომპლექსთა ერთმანეთისაგან განსხვავება ემყარება ბგერათმეერთების მესამე წესს, რომლის თანახმად დეცესიურ კომპლექსში შემავალ თანხმოვნებს ერთჟამიერი შემართვა აქვთ.

#### თანხმოვანთა ჰარმონიული კომპლექსები ქართულში

თანხმოვანთა ისეთ კომპლექსებს, როგორცა, მაგ., ბღ, თხ, ქყ, ეძახიან ქართული ენის სპეციფიკურ კომპლექსებს. სპეციფიკურია ეს კომპლექსები ქართულისათვის, რადგანაც ასეთი რამ, სისტემის სახით, სხვა კავკასიურ ენაში არ გვხვდება; ქართულში კი ისინი სისტემას წარმოადგენენ. ეძახიან მათ აგრეთვე ჰარმონიულ ჯგუფებს, რადგანაც კომპლექსში შემავალი თანხმოვნები (მაგ., ბ და ღ, თ და ხ, ქ და ყ) შეგუებულია ერთმანეთთან არა მხოლოდ ფიზიოლოგიურად (იხ. ქვემოთ), არამედ აკუსტიკურადაც: კომპლექსის შემადგენელი ორივე

თანხმოვანი ერთნაირი მეღერობა-სიყრუისაა: ან ორივე მეღერი, ან ორივე ყრუ ფშვინვიერი, ან ყრუ მკვეთრი.

მათი ერთმანეთთან ფიზიოლოგიური შეგუებულობა იმაში გამოიხატება, რომ ყველა ჰარმონიული კომპლექსი დეცესიურია, ე. ი. მათი შემაღენელი თანხმოვნები ერთჯამიერშემართვიანია: ყოველ ჰარმონიულ კომპლექსს ერთი შემართვა აქვს და არა ორი, ე. ი. არა ცალ-ცალკე თითოეული შემაღენლისათვის.

მაშასადამე, ქართულის თანხმოვანთა ჰარმონიული კომპლექსები, როგორც დეცესიური ბგერათშეერთებანი, შედგება ბგერათშეერთების III წესის მოქმედებისა: მათში შეერთებულია ჰეტერორგანული თანხმოვნები არტიკულაციის (აქ შემართვის) ერთჯამიერობის საფუძველზე.

ქართულში ჩვენ ვასხვავებთ თანხმოვანთა ჰარმონიული კომპლექსების ორ სისტემას: A-სისტემა და B-სისტემა.

საერთოა ორივე სისტემისათვის კომპლექსთა პირველი კომპონენტები, სახელდობრ: ხშულთა პირველი ოთხი სამეული: ბ — ფ — პ, დ — თ — ტ, ძ — ც — წ, ჯ — ჩ — კ.

განსხვავებულია ერთმანეთისაგან A და B-სისტემები კომპლექსთა მეორე კომპონენტებით, სახელდობრ: A-სისტემაში მონაწილეობს ხშულთა მეხუთე სამეული (გ — ქ — კ), ხოლო B-ში მეოთხე წყვილული (ღ — ხ) და მეექვსე სამეულის ყ.

#### A = სისტემა

1. ბგ — ფქ — პკ: აბგა — ფქვა — აპკი
2. დგ — თქ — ტკ: ადგა — თქვა — ტკივილი
3. ძგ — ცქ — წკ: ძგერა — ცქერა — წკირი
4. ჯგ — ჩქ — კკ: ჯგღეთა — ჩქარი — კქნობა

#### B = სისტემა

1. ბღ — ფხ — პყ: ბღაღის — ფხა — ეპყრობა
2. დღ — თხ — ტყ: დღე — თხა — ტყე
3. ძღ — ცხ — წყ: ძღოლა — ცხელი — წყალი
4. ჯღ — ჩხ — კყ: ჯღაბნა — ჩხირი — კყივის

[საგანგებო კვლევის საგანია ამ სისტემების შედგენილობის ანალიზი და მათი წარმოქმნის საკითხი].

#### 4. კოარტიკულაციის ზოგიერთი სახე

ბგერათშეერთების მრავალფეროვნებას ვერ ამოსწურავს ზემო-განხილული სამი წესი; ამიტომ ბგერათშეერთების ზოგიერთ დანარჩენ სახეებს ვაერთიანებთ კოარტიკულაციის ცნებაში.

როგორც ვიცით, თითოეული ბგერის წარმოთქმა შედეგია რამდენიმე საწარმოთქმო ორგანოს აქტიური ან პასიური მოქმედება-მდგომარეობისა.

მაგ., ა-სათვის: 1) ტუჩები გაღებულია ფართოდ, 2) ქვედა ყბა დაწეულია ძირს, 3) ენა ძვეს თითქმის ნეიტრალურად, 4) ენის წვერი ძვეს ქვედა კბილების რიგთან, 5) რბილი სასა აწეულია და კეტავს გზას ცხვირისკენ, 6) სახმო სიმები ჟღერს. ამ ექვსი მოძრაობა-მდგომარეობიდან ა-სთვის არსებითია მხოლოდ ენის მღებარეობა, დანარჩენი მომენტები არაარსებითია ა-სთვის.

თუ შევადარებთ ამას ო-ს წარმოთქმას, დავინახავთ, რომ ო-სთვის არსებითია, ენის მღებარეობასთან ერთად (ენა გაწეულია უკნისკენ და აწეულია ზევით), ტუჩების მომრგვალება და მათი წინ წამოშვება; დანარჩენი მომენტები არაარსებითია. გ-ს წარმოთქმისათვის არსებითია მხოლოდ სახმო სიმების ჟღერა და უკანაენის მიბჯენა რბილ სასაზე; კ-სათვის არსებითია სახმო სიმების დაკეტილობა და უკანაენის გ-ს მსგავსი მღებარეობა და ა. შ.

მოცემულ ბგერათა ჩამოთვლილი საწარმოთქმო მომენტები — არსებითიც და არაარსებითიც — წარმოადგენს მის პირველადს საწარმოთქმო მოძრაობა-მდგომარეობას, რამდენადაც მხედველობაში მიღებულია ცალკე წარმოთქმული ბგერა (აქ: ა, ო, გ, კ).

მაგრამ ბგერითს გარემოცვაში, ე. ი. ბგერათშეერთებისას სიტყვაში, თითოეული ბგერა იძენს ხოლმე დამატებითს ანუ მეორეულ საწარმოთქმო მოძრაობა-მდგომარეობას. ასეთია, მაგ., ტუჩების მომრგვალება თანხმოვნისათვის მომდევნო ო-სა ან უ-ს წინ; მაგ., მარცვალ გუ-ში გ წარმოითქმის მომრგვალებული ტუჩებით, რაც საჭიროა მხოლოდ მომდევნო უ-სათვის. მაშასადამე, გ-მ შეიძინა ლაბიალობა, რაც არ შედის მის პირველადს არტიკულაციაში; ამგვარად გ-ს ლაბიალიზაცია, შეძენილი მის ნიერ გარკვეულ გარემოცვაში (აქ უ-სთან მეზობლობაში), წარმოადგენს მის მეორეულ არტიკულაციას.

ჩვეულებრივ, ცოცხალი წარმოთქმის პროცესში, ეს მეორეული არტიკულაცია არაარსებითია მოცემული ბგერისათვის (აქ გ-სათვის); მაგრამ ისტორიულად ზოგიერთ მეორეულ არტიკულაციას შეუძლია მოიპოვოს მოცემული ბგერისათვის არსებითი ხასიათი. ასეთია, მაგ., პალატალიზაცია რუსულში, ნაზალიზაცია ფრანგულში და სხვა მისთანები (იხ. ქვემოთ).

ამა თუ იმ ბგერის მიერ მეორეული არტიკულაციის შექმნა ხდება კოარტიკულაციის საფუძველზე ბგერათშეერთებაში — სხვა ბგერებთან როგორც უშუალო, ისე არაუშუალო მეზობლობაში (იხ. ზემოთ გვ. 96).

განვიხილავთ სანიმუშოდ კოარტიკულაციის ორ სახეს — პალატალიზაციას და ველარიზაციას.



როგორც ვიცით, შუაენის (ე. ი. ენის ზურგის შუა ნაწილის) მაგარი სასის მიმართ არტიკულირების შედეგად მიღებულ ბგერას ეძახიან პალატალურს (ლათ. palatum 'სასა', ფრანგ. palatal 'სასისა'); ხმოვანთაგან პალატალურია, მაგ., ე და ი, ხოლო თანხმოვანთაგან, ფრანგ. უ-ს, რომელიც ტრადიციული ფრანგული ანბნით იწერება en, ეთქვათ, სიტყვაში ligner 'ხაზვა' (ზმნა), ან რუსულის ж, მაგ., სიტყვაში я (= j + a).

მართლაც, ყველა ამ ბგერების წარმოებაში მოქმედებს შუაენა-მაგარი სასის მიმართ: ე და ი ხმოვნებისათვის შუაენა მეტ-ნაკლებად უახლოვდება მაგარ სასას, j-სათვის — უფრო მეტად, ხოლო უ-სათვის სავსებით მიებჯინება მას. აკუსტიკური შთაბეჭდილების მიხედვით მათ ეძახიან რბილ ბგერებს. მაშასადამე, ე და ი ხმოვნები, j და უ-ს თანხმოვნები პალატალურად ნაწარმოები რბილი ბგერებია.

ქართულში პალატალური (ფიზიოლოგიურად) ანუ რბილი (აკუსტიკურად) თანხმოვანი არა გვაქვს, თუ არ ჩავთვლით ა-ბგერას, რომელიც, როგორც „ნახევარხმოვანი“ ხმოვნისა და თანხმოვნის მიჯნაზე (იხ. გვ. 64 და შემდ.)

მაგრამ ამ პალატალური რბილი ბგერების გვერდით შეიძლება ამა თუ იმ ენას ჰქონდეს გაპალატალურებული (ანუ პალატალიზებული) გარბილებული ბგერები. ასეთებია თანხმოვანთაგან, მაგ., რუსულის მ' და რ' სიტყვაში ძეტя; ხოლო ხმოვანთაგან, მაგ., გერმ. ü სიტყვაში, მაგ., über. ჩვეულებრივ, როგორც პალატალურს, ისე პალატალიზებულ ბგერებს ეძახიან მოკლედ რბილს. ყოველ ბგერას შეუძლია გაპალატალიზდეს მეტ-ნაკლებად.

პალატალურს ანუ რბილს და პალატალიზებულს ანუ გარბილებულ ბგერებს უპირისპირდება ამ თვისებების არმქონე ბგერები, რომელთაც ეძახიან მაგარ ბგერებს. მაგ., ფრანგ. პალატალურ უ-ს (ligner-ში) უპირისპირდება n, მაგ., note-ში, როგორც რბილს მაგარი. ასევე მ'-ს (де-но-ში) უპირისპირდება მ (дом-ში), როგორც რბილს მაგარი; რუს. и რბილია, я — მაგარი და а. შ.

რაში მდგომარეობს გაპალატალურება-გარბილება?

პალატალურდება (ანუ პალატალიზდება, რბილდება) სამეტყველო ბგერა, როცა მის პირველადს დამახასიათებელ არტიკულაციას (იხ. ზემოთ გვ. 109) ემატება მეორეული არტიკულაცია, რომელიც ამ შემთხვევაში მდგომარეობს შუაენის არტიკულირებაში მაგარი სასის მიმართ. მაგ., რუს. მ-სა ან რ-სათვის პირველადი არტიკულაციაა წინაენის კბილებზე მიბჯენა; მაგრამ როცა მოხვდებიან მომდევნო ვ-სთან (რუს. მ უდრის ქართ. ე-ს, ხოლო რუს. მახვილიანი ე სიტყვის თავში უდრის ქართ. ეე-ს) მეზობლობაში (вместе с ним), ისინი შეიძენენ იმ მეორეულ არტიკულაციას, რომელიც პირველადია ვ-სათვის, სახელ-

დობრ: შუაენის არტიკულირებას მაგარი სასის მიმართ; ე. ი. კოარტიკულაციის საფუძველზე ვ-ს შუაენისმიერობა ხორციელდება დროზე ადრე, უკვე  $\pi$ -ს ან  $\tau$ -ს წარმოებისას. მაშასადამე, აქ გვაქვს ერთგვარი ანტიციპაცია, წასწრებულობა. ანგვარად, ვ-ს პალატალურობა-სილბო გადაედო  $\pi$ — $\tau$ -ს, რაც გამოიხატა იმაში, რომ წინაენის მიბჯენის არეს  $\theta$ — $\tau$ -სათვის მიემატა შუაენის მიბჯენა მაგარ სასაზე (იხ. სურ. 37), სადაც წარმოდგენილია პალატალიზებული  $\delta$ — $\theta$ — $\theta$  ( $\delta'$ — $\theta'$ — $\theta'$ ).

პალატალიზება შესაძლებელია მეტ-ნაკლებად ყველა თანხმოვნისა, გარდა იმ თანხმოვნებისა, რომელნიც თავისთავად პალატალური არიან (მაგ., ფრან.  $\eta$ -ს და რუს.  $j$ );



სურ. 37.

პალატალიზაციის შემთხვევაში თანხმოვანს ემატება შუაენის მოქმედება, როგორც მეორეული არტიკულაცია.

შუაენის ასეთ მოქმედებას ეწოდება იოტისებრი ან ი-სებრი არტიკულაცია, რადგანაც სწორედ იოტს და ი-ს აქვს ანალოგიური არტიკულაცია (იოტია, მაგ., რუს.  $j$ —პირველი ბგერა სიტყვაში  $\pi$ , ან ქართ.  $\delta$ ).

ეს იოტისებრი არტიკულაცია შეიძლება მიემატოს როგორც წინაენისმიერს, ისე ბაგისმიერსა და უკანაენისმიერ თანხმოვნებს; ე. ი. ყველა მათგანს შეუძლია გარბილდეს მეტ-ნაკლებად. მაგრამ პალატალიზდებიან ანუ რბილდებიან ისინი ერთმანეთისაგან ჯგუფობრივ განსხვავებულად; სახელდობრ: წინაენისმიერების (ენაკბილისა და ენანუნის) ჯგუფი პალატალიზდება შუაენის. მაგარ სასასთან შეხების ფართობის გადიდებით (იხ. სურ. 37 და შეად. სურ. 19, გვ. 32), ბაგისმიერების ჯგუფი პალატალიზდება შუაენის რბილი სასისაკენ მხოლოდ აწევით, ხოლო უკანაენისმიერების ჯგუფი პალატალიზდება შუაენის უკანა ნაწილის ფართოდ შეხებით მაგარი სასის უკანა ნაწილთან (იხ. სურ. 37, სადაც მოცემულია პალატალიზებული  $g'$ — $ch'$ — $ch'$ , და შეად. სურ. 17, გვ. 31).

პალატალიზდება აგრეთვე ხმოვნებიც. ამის ნიმუშია, მაგ., გერმანულში ე. წ. უმლაუტი; მაგ., უ-ს უმლაუტი წარმოადგენს უ-ს პალატალიზებას, რაც ნიშნავს იმას, რომ უ-ს ორი პირველადი არტიკულაციიდან (უკანაენის აწევა რბილი სასის მიმართ და ტუჩების მომრგვალება) პირველს შეენაცვლა ი-სებრი არტიკულაცია, როგორც მისთვის მეორეული. ამგვარივე პალატალიზაცია გვაქვს იმავე გერმანულში, მაგ., სიტყვაში Hand — Hände, რომელშიც ჰ უმლაუტირებულია ხ-ს სახით. აქაც გერმ. ხ-ს პირველადი ორი არტიკულაციიდან (ენა ოდნავ უკან გაწეული და ტუჩები ფართოდ გასწვრივ ღია) პირველს შეენაცვლა ი-სებრი არტიკულაცია (და ოდნავ დავიწროვდა ტუჩების გასწვრივი ღიაობა).

ამ ნიმუშებში აღარა ჩანს ნათლად, თუ როგორ განხორციელდა მათთან კოარტიკულაცია: ენის ისტორიამ დააბნელა ოდესღაც ცოცხალი პროცესი. უფრო გამჭვირვალეა კოარტიკულაციის პროცესი ქართული ენის იმერული კილოს ანალოგიურ მოვლენაში; მაგ., დეიწყო (ნაცვლად დამწყო-სი), სადაც ა-ს პირველადი ორი არტიკულაციიდან ერთს (სახელდობრ, ენის ქვედა აწეულობას) შეენაცვლა ი-სებრი არტიკულაცია იენის გამო, რომ ა-ს მომდევნო არის სწორედ ი; მაშასადამე, აქაც ისეთივე ანტიციპაცია, წასწრებულობა გვაქვს, როგორც ზემოთ მ'ა-ში: ი-ს პალატალურობა გადაედო ა-ს, რის შედეგადაც მივიღეთ ე; აი-ს კოარტიკულაციის საფუძველზე მივიღეთ ეი. ანალოგიურადვეა მიღებული დმუწყო დამწყო-საგან, სადაც აუ-ს კოარტიკულაციის ძალით მივიღეთ იუ: ის მეორეული არტიკულაცია, რომელიც შეითვისა ა-მ მომდევნო უ-ს გავლენით, არის ტუჩების დროზე ადრე მომრგვალება უკვე ა-ს წარმოქმნისას. აქაც ანტიციპაციასთან გვაქვს საქმე.

პალატალიზაციას, როგორც კოარტიკულაციის ერთ-ერთ გამოვლინებას, ადგილი აქვს მეტ-ნაკლებად ყოველ ენაში, კერძოდ—ქართულშიც. უბრალო დაკვირვებიდანაც ჩანს, რომ სიტყვაში დედა ორი სხვადასხვა დ გვაქვს, მართალია, ნაკლებ ერთმანეთისაგან განსხვავებული, ვიდრე რუსულ დეда-შია ერთმანეთისაგან განსხვავებული ორი დ. ქართულშიც და რუსულშიც კოარტიკულაციას აქვს ადგილი, მაგრამ ქართულში იგი სუსტია, რუსულში—ძლიერი: პირველში იგი წარმოადგენს ბგერათშერთვას, ხოლო მეორეში — ბგერათშერწყმას (იხ. ზემოთ გვ. 98); ქართულში ოდნავ იცვალა (დარბილდა) პირველი დ (დედა-ში) და ახალი ფონემა არ წარმოქმნილა, რუსულში კი სიტყვაში дедя პირველი დ წარმოადგენს სხვა ფონემას მეორე დ-სთან შედარებით.

რუსულ ენას, ქართულისაგან განსხვავებულად, აქვს პალატალიზებული თანხმოვანთა სისტემა; ამიტომ კოარტიკულაციური პალატალიზაცია უკეთაა გამოხატული რუსულში, ვიდრე ქართულში:

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ პალატალიზაცია უფრო შესამჩნევადაა გამოხატული წინა რიგის თანხმოვნებში (მაგ., ბ — ფ, დ — თ, ზ — ს...), ვიდრე უკანა რიგისაში (მაგ., გ — ქ...). ეს, ალბათ, აიხსნება

ფიზიოლოგიურად: წინა ორგანოები (ტუჩები და წინაენა) უფრო მოქნილია, ვიდრე უკანა (ენის უკანა ნაწილი); ამიტომ კოარტიკულაციური წასწრებულობა (ანტიციპაცია) უფრო ადვილად ხორციელდება წინა რიგის ორგანოებში.

მართლაც, რუსულ მეტყველებაში ერთმანეთს უპირისპირდებიან, როგორც სხვადასხვა ფონემები, მაგარი და რბილი თანხმოვნები მხოლოდ წინა რიგისაში: რ — რ', პ — პ', ძ — ძ', ტ — ტ', ვ — ვ', ც — ც', ხ — ხ', ლ — ლ', რ — რ'; უკანა რიგის თანხმოვნებში (გ, კ, ზ) ასეთ ფონემატურ დაპირისპირებას ადგილი არა აქვს, ე. ი. რუსულში არაა გ', კ', ზ' ფონემები, იმის მიუხედავად, რომ პალატალიზაცია ამათიციდება (მაგ., гиря-ში, кисть-ში და хилый-ში პალატალიზებულია г, к და х).

რომ შევადაროთ გ' — კ' — ზ'-ს პალატალიზაცია, მაგ., ძ' — ტ'-ს ან ვ' — ც'-სას, დავინახვთ, რომ ეს უკანასკნელები განსხვავდებიან ძ — ტ-სა და ვ — ც-საგან მეტად, ვიდრე გ' — კ' — ზ' განსხვავდებიან გ — კ — ზ-საგან.

თუ რამდენად ძლიერია რუსულში კოარტიკულაციური პალატალიზაცია, ჩანს იქიდანაც, რომ მას ადგილი აქვს ბგერათა უშუალო მეზობლობის ფარგლებს გარეთაც, მანძილზეც. მაგ., სიტყვები: две, спина, зонттик, წარმოითქმის ძ'ვ'ფ, ც'п'ინა, ვ'ზ'ნ'ტიკ, ე. ი. მომდევნო პალატალური ხმოვნების წინ პალატალიზებულია არა მხოლოდ პირველი თანხმოვანი (ვ', პ', ტ'), არამედ მეორეც (ძ', ც', ხ').

მაშასადამე, კოარტიკულაციური პალატალიზაცია განხორციელდა მანძილზეც.

დასასრულ, აღვნიშნავ, რომ პალატალური და პალატალიზებულ ბგერებს უფრო მაღალი სატემბრო სიმაღლე აქვთ, ვიდრე მაგარებს, რადგანაც ამა თუ იმ ბგერის პალატალიზებისას მისი რეზონატორი (პირის ღრუში) მოკლდება; მოკლე რეზონატორში კი, როგორც ვიცით, სხვა პირობების ერთნაირობის დაცვით, მაღალი ტონები წარმოიქმნება.

### ველარიზაცია

პალატალიზაციას უპირისპირდება ველარიზაცია. ისე როგორც არსებობს პალატალური — რბილი ბგერები (იხ. ზემოთ), არსებობს აგრეთვე ველარული — მაგარი ბგერები, მაგ.: ხმოვნებში ველარულია ქართ. ო და უ, თანხმოვნებში ვ — ქ — კ, ლ — ზ ('ველარული' ნიშნავს 'რბილსასისმიერს': ლათ. *velum palati* 'ფარდა სასისა'; აქედან ფრანგ. *vélair*, გერმ. *velar*). ველარულობა ფიზიოლოგიური ტერმინია და ნიშნავს ენის ზურგის უკანა ნაწილის არტიკულირებას რბილი სასის ფარდის (*velum* 'ფარდა') მიმართ. ტერმინი მაგარი — აკუსტიკური შთაბეჭდილების გამომხატველია რბილთან დაპირისპირებით.

მაგრამ ამ ველარული ბგერების გვერდით არსებობს ენაში ველარისებული ბგერები, ისე როგორც პალატალური ბგერების გვერდით არსებობს პალატალიზებული ბგერები (იხ. ზემოთ).

რომელიმე ბგერის, გარდა თვით ველარული ბგერებისა, წარმოთქმის დროს უკანაენის მიახლოებას რბილ სასასთან ეწოდება მოცემული ბგერის ველარისაცია. მაშასადამე, ველარისება შესაძლებელია ყველა ბგერისა, გარდა თვით ველარული ბგერებისა.

ველარისება ხდება—ისე როგორც პალატალიზება—კოარტიკულაციის საფუძველზე. მაგ., სიტყვებში ბუ, დო, ზურგი, სოლი წარმოთქმისას თანხმოვნები ბ, დ, ზ, ს ველარისებულია იმის გამო, რომ თითოეულმა მათგანმა შეიძინა მომდევნო ხმოვნების ველარულობა (უკანაენის აწევა რბილი სასისაკენ), როგორც მეორეული არტიკულაცია; ამ პოზიციაში ბ, დ, ზ, ს წარმოითქმის უკანაენის აწეულობის პირობებში; მაშასადამე, აქაც ისეთსავე ანტიციპაციას აქვს ადგილი, როგორსაც პალატალიზაციის დროს: ანტიციპირებულია ველარულობა.

ხმოვნის ველარისაციის ნიმუშს წარმოადგენს, მაგ., ინგლ. all — წარმოითქმის ა : l 'მთლად ყველა'. praw — წარმოითქ. pa : w 'პაიკი', 'სადაც მომდევნო ველარულ (მაგარ) l-სა და ველარულ w-სთან კოარტიკულაციის გამო გვაქვს, ნეიტრალური a-ს ნაცვლად, ველარული ა : (გრძელი ფართო ო).

საკმაოდ ველარისებულია აგრეთვე რუსული a, მაგ., სიტყვაში ნაа — მომდევნო ველარულ (მაგარ) а-სთან კოარტიკულაციის გამო.

ველარისაცია — ისე როგორც პალატალიზაცია — შესაძლებელია იყოს მეტ-ნაკლები სიძლიერისა.

აღსანიშნავია, რომ ველარისაცია ნაკლებ გავრცელებული მოვლენაა, ვიდრე პალატალიზაცია.

რაც შეეხება სატემბრო სიმაღლეს, იგი უფრო დაბალი აქვს ველარულ და ველარისებულ ბგერებს, ვიდრე პალატალურსა და პალატალიზებულს—იმის გამო, რომ უკანაენის მაგარი სასის მიმართ არტიკულირებისას უფრო გრძელი რეზონატორი გვაქვს პირის ღრუსი, ვიდრე პალატალიზებისას. მაშასადამე, პალატალიზაცია უპირისპირდება ველარისაციას არა მხოლოდ ფიზიოლოგიურად (წარმოების ადგილის) მიხედვით, არამედ აკუსტიკურადაც, სახელდობრ: პალატალიზებული ბგერები მაღალი სატემბრო ტონისანი არიან, ველარისებული კი—დაბალი სატემბრო ტონისანი.

ფრიად საყურადღებოა, რომ, ალბათ, ასეთი აკუსტიკური დაპირისპირების შედეგია ველარისაციის დაკავშირება ლაბიალიზაციასთან (ე. ი. ტუჩების წაშვერა-მომრგვალებასთან).

საქმე ისაა, რომ სატემბრო ტონი მით უფრო დაბლდება, რაც უფრო მეტადაა დაგრძელებული რეზონატორი; ხოლო რეზონატორის

(პირის ღრუს) დაგრძელებას შველის ტუჩების წაშვერა-მომრგვალებამ დაპირისპირება მოითხოვს დაპირისპირებულ მოვლენათა მაქსიმალურ განსხვავებულობას. ამიტომ ბუნებრივია ტენდენცია სატემბრო ტონის ან ამაღლებისა პალატალიზებულ ბგერებში, ან დადაბლებისა ველარიზებულ ბგერებში: პირველი შეუძლებელია, რადგან რეზონატორის დინოკლება მაქსიმალურია პალატალიზებისას; დარჩა მეორე, რომელიც; შესაძლებელია, რადგანაც რეზონატორის დაგრძელების საშუალება არსებობს ტუჩების დახმარებით.

მაშასადამე, ველარიზებულ ბგერათა მიდრეკილება ლაბიალიზაციისადმი, რომელსაც ლაბიოველარიზაციას უწოდებენ, აიხსნება აკუსტიკურად.

ამგვარად, ჩვენ განვიხილეთ კოარტიკულაციის ორი სახე—პალატალიზაცია და ველარიზაცია.

ამის ანალოგიურად შეგვიძლია ვიმსჯელოთ კოარტიკულაციის სხვა სახეებზეც. მაგ.: ლაბიალიზაციაზე, ნაზალიზაციაზე და სხვებზე, სადაც კი რომელიმე ბგერა იძენს მეორეულ არტიკულაციას სხვა მეზობელი იბგერისაგან კოარტიკულაციის ძალით. მაშასადამე, არსებობს კოარტიკულაციური ლაბიალიზაცია და ასეთივე ნაზალიზაცია, ისე როგორც არსებობს კოარტიკულაციური პალატალიზაცია და ასეთივე ველარიზაცია.

## 6. ბბმრატასიმილატია

ბგერათა შეერთების ცოცხალ პროცესში, წარმოთქმაში, ბგერათა ერთმანეთზე მეტ-ნაკლები გავლენის გამო, ძლიერ ხშირია მეზობელ ბგერათა ურთიერთ მიმსგავსება ანუ უცხოურად ბგერათასიმილატია, მოკლედ — ასიმილატია.

ასიმილაციის ნიმუშია, მაგ., ზნაცვლად ს-სა სიტყვაში მზგავსებან დნაცვლად თ-სა სიტყვაში ერღგული (სალიტერატურო ქართულში: ორთოგრაფიულად იწერება: მსგავსი, ერთგული).

ასიმილაციის ეს სახე ძლიერ ჰგავს ზემოთ განხილული კოარტიკულაციის ზოგიერთ სახეს: იქაც და აქაც გვაქვს დროზე ადრე არტიკულირების (აქ სახმო სიმების მოქმედების) შედეგი: ყრუ ს-ს (მზგავსებში) და ყრუ თ-ს (ერთ-ში) არტიკულაციის დროს დაიწყეს ღღერა სახმო სიმებმა, მაშინ როცა მათ ღღერა უნდა დაეწყოთ ცოტა გვიან მომდევნო გ-სათვის; ე. ი. აქაც ადგილი ჰქონდა სახმო სიმების ვიბრაციის ანტიციპაციას.

მაგრამ განსხვავება მაინც არის ასიმილაციასა და კოარტიკულაციას შორის: კოარტიკულაციის შემთხვევებში მოცემული ბგერა იძენს მეორეულ არტიკულაციას ბგერითს გარემოცვაში და

ამასთანავე ინარჩუნებს ყველა თავის პირველადს არტიკულაციას; ხოლო ასიმილაციის შემთხვევებში ბგერა არ იძენს მეორეულ არტიკულაციას და იცვლება სხვა — ამ ენაში არსებულ — ბგერად. პირველის ნიმუშს წარმოადგენს, მაგ., ზემოთ განხილული პალატალიზაცია (მაგ., დ-სი), ხოლო მეორის ნიმუშებია აქვე მოყვანილი ს > ზ, თ > დ.

როგორც შემდეგ დავინახავთ, ასიმილაცია ყველაზე გავრცელებული ბგერათცვლილებათა ყოველ ენაში.

აქ განხილული იქნება მხოლოდ დღეს ცოცხალ წარმოთქმაში მოქმედი ასიმილაციის შემთხვევები, ე. ი. ისეთები, რომლებშიც პირველი შეხედვითვე ჩანს ასიმილაციის პროცესი. რაც შეეხება ისტორიულ ასიმილაციის შემთხვევებს, სადაც პროცესი აღარაა ისე გამჭვირვალე, ისინი განხილული იქნება ისტორიულ ბგერათცვალეობაში (იხ. თავი მეცხრე).

განასხვავებენ ასიმილაციის სხვადასხვა სახეს: მანძილის მიხედვით არსებობს კონტაქტური (უშუალო მეზობლობაში) და დისტანციური (დაშორებული მანძილით) ბგერათასიმილაცია. კონტაქტურის ნიმუშია: მზგავსი, მიზღვეს, ერღვული, შქამს, შქონდა (სალიტერ. ნორმებით იწერება: მსგავსი, მისღვეს, ერთგული, სქამს, შქონდა). დისტანციურის ნიმუშია: შიმშილი (უნდა ყოფილიყო სიმშილი).

მომართულების მიხედვით არსებობს რეგრესული და პროგრესული ბგერათასიმილაცია<sup>1</sup>. როდესაც ასიმილაციური (მიმსგავსებითი) მოქმედება მიმართულია უკან, სიტყვის თავისაკენ, ამბობენ — ასიმილაცია რეგრესულიაო; ამის ნიმუშებად გამოდგება ყველა ზემოთ მოყვანილი ექვსი შემთხვევა (მზგავსი, მიზღვეს, ერღვული, შქამს, შქონდა, შიმშილი), სადაც ს და თ გამეღვრებულია მომდევნო მელერის (გ, დ, ზ) გავლენით, ს ქცეულია შ-დ მომდევნო ჭ-ს გავლენით, გ გაყრუებულია მომდევნო ქ-ს გავლენით და ს ქცეულია შ-დ მომდევნო შ-ს გავლენით. ეს ნიშნავს, რომ ასიმილაციური (გავლენის მომხდენი) ბგერები (გ, დ, ზ, ჭ, ქ, შ) მოქმედებენ მარჯვნიდან მარცხნივ, სიტყვის თავისაკენ.

როდესაც ასიმილაციური მოქმედება მიმართულია წინ, სიტყვის ბოლოსაკენ, მარცხნიდან მარჯვნივსაკენ, ამბობენ — ასიმილაცია პროგრესულიაო; პროგრესული ასიმილაციის ნიმუშებია, მაგ.: ტპა, კპილი, გაბრიყვთა შეწუხთა (ნიმუშები მოყვანილია უმთავრესად დასავლური კილოების ცოცხალი წარმოთქმიდან); Ванька — წარმოითქმის რუსულ დიალექტებში ван'к'а (ე. ი. კ დარბილებულია წინმდგომი

<sup>1</sup> ტერმინები რეგრესული და პროგრესული პირობითია; მათს აქ მოცემულ მნიშვნელობას არავითარი კავშირი არა აქვს რეგრესისა და პროგრესის ჩვეულებრივს გაგებასთან.

რბილი *ჩ*'-ს გავლენით); ინგლ. *juice* (წარმოითქ. ფიჯზ) 'ღორები' (წინმდგომი მელერი *ჯ*-ს გავლენით მელერდება მომდევნო *ჯ*). მოყენილქართულ ნიმუშებში პირველ სამ შემთხვევაში გვაქვს წინმდგომი მკვეთრის *ტ*, *კ*, *ყ* გავლენა მომდევნო მელერზე (*ბ*, *დ*), მეოთხეში წინმდგომი ყრუს გავლენა მომდევნო მელერზე (*დ*). ყველა მოცემულ ნიმუშებში ასიმილაციური (ასიმილაციური გავლენის მომხდენი) მოქმედებს წინ, სიტყვის ბოლოსაკენ.

შედგის მიხედვით ასიმილაცია შეიძლება იყოს სრული ან ნაწილობრივი. სრულია ასიმილაცია, როცა მოცემული ბგერა საფეხებით მიემსგავსება ასიმილაციურს; მაგ., ქქონდა-ში მელერი *გ* საფეხებით დაემსგავსა ასიმილაციურს (მომდევნო. *კ*-ს); ნაწილობრივია ასიმილაცია, როცა მოცემული ბგერა მთლიანად კი არ მიემსგავსება ასიმილაციურს, არამედ მხოლოდ რაიმე მხრივ; მაგ., ერღვულ-ში *თ* მიემსგავსა მელერ *გ*-ს მხოლოდ მელერობით, ე. ი. ყრუ *თ* იქცა მელერად, მაგრამ *გ*-დ არ ქცეულა: აგრეთვე ტკბილი-ში მელერი *ბ* იქცა წინმდგომი ასიმილაციურის *კ*-ს გავლენით მხოლოდ მკვეთრ *პ*-დ, მაგრამ ამით ის არ იქცა *კ*-დ.

სრული ასიმილაციის ნიმუშებია კიდევ, მაგ.: წულო (გურული: კილოდან) — მიღებულია წალო-საგან (იმერული ნაწილობრივი ასიმილაციის წალო-ს საფეხურის გავლით): წალო > წალო > წალო; შიმშილი < ხიმშილი; რუს. *отдых* 'მოსვენება' — წარმოითქმის *оддых*; *сжал* 'მოწურა' — ითქმის *жжал* (= *жал*); გერმ. *einmal* — წარმოითქმის 'aimma: | 'ერთხელ'.

ნაწილობრივი ასიმილაციის ნიმუშები: ქართლისა იხ. ზემოთ (მზგავსი და სხვ.); რუს. *сделал* 'გააკეთა' — ითქმის მხოლოდ *здѣлал*; *лодка* — *лотка* 'ნავი'; *ложка* — *лошка*; ფრანგ. *observer* 'თვალყურის დევნება, შემჩნევა' — წარმოითქმის *apsɛrvɛ*; ინგლ. *husband* 'ქმარი' — *hʌzɪbnd*; გერმ. *Handkorb* 'კალათა', — *hʌtkorb* (უ წარმოადგენს ველარულ *ჩ*-ს).

ხმის მონაწილეობა-არ მონაწილეობის მიხედვით განასხვავებენ ასიმილაციურ გამმელერებას და ასიმილაციურ გაყრუებას. ზემომოყვანილი ნიმუშებიდან ასიმილაციის ამ სახის წარმოსადგენად გამოდგება თითქმის ყველა (გარდა ხუთი შემთხვევისა; არ გამოდგება, მაგ., შკაშს, სადაც ასიმილაცია ხდება ადგილის მიხედვით; არ გამოდგება არც წალო ან წალო, სადაც გვაქვს აგრეთვე ასიმილაცია ადგილის მიხედვით; არც *Ванька*, სადაც გვარობის მიხედვითაა, და ა. შ.). მაგ., მზგავსი-ში *ს* იცვალა *ზ*-დ მომდევნო მელერ *გ*-სთან მიმსგავსების გამო; მაშასადამე, *ზ* გვაქვს იმიტომ, რომ უკვე



ს-ს წარმოთქმის დროს დაიწყო ხმის მონაწილეობა; პირიქით, .იოჰკაი-ში კ იცვალა III-დ მომდევნო ყრუ კ-ს გავლენით; მაშასადამე, ხმაჲ შეწყვიტა თავისი მონაწილეობა უკვე კ-ს წარმოთქმის დროს, ე. ი. დროზე ადრე, და ამიტომ კ-ს ნაცვლად მოგვევლინა III. იგივე ითქმის, სათა-ნადო ცვლილებებით, ყველა სხვა მოყვანილი ნიმუშის შესახებ.

ბ გ ე რ ა თ წ ა რ მ ო ე ბ ი ს ა დ გ ი ლ ი ს მი ხ ე დ ვ ი თ ასიმილაცია შესაძლებელია დაკავშირებული იყოს რომელიმე ორგანოსთან—ტუჩებთან, ენის რომელიმე ნაწილთან, ცხვირის ღრუსთან; მაგ., ზემომოყვანილ ნიმუშში წაუღო > წუღო ა-ს ასიმილაციური ცვლილება უ-დ დაკავშირებულია როგორც ენის მდგომარეობასთან (ენის ნეიტრალური მდგომარეობა ა-სთვის იცვლება უკანანის აწეულობით რბილი სასისაკენ), ისე ტუჩების მოყვანილობასთან (ტუჩების ღია გასწვრივი მოყვანილობა ა-სთვის იცვლება მათი ვიწრო მომრგვალებულობით). ს-ს. ცვლა შ-დ შკამხ-ში (ან ც-ს ცვლა ჯ-დ ჯჰაი-ში) აგრეთვე წარმოადგენს წარმოების ადგილის მიხედვით ასიმილაციას: წინანის მდგომარეობა ხ-სათვის (ენის-წვერის ქვედა კიდე ეხება ქვედა კბილების რიგს, ხოლო ზედა კიდე ჰქმნის ნაპრალს ზედა კბილებთან) იცვლება ჰ-ს გავლენით შ-ს მდგომარეობით (ენის წვერის ქვედა კიდე აღარ ეხება ქვედა კბილებს და ენის წვერი ჰქმნის ნაპრალს ნუნებთან). სწორედ ასეთივე ცვლილება ხდება ც-სი ცჰაი-ში, მაგრამ აქ ისიც ემატება, რომ III მქლერდება ჯ-დ.

რუსული დიალექტალური მ'ახხჰჰ წარმოადგენს ორთოგრაფიულად დაწერილ მედხჰჰ-ს 'სპილენძისა': აქა გვაქვს ნაზალური (ცხვირისეული) ასიმილაცია, რადგანაც არაცხვირისეული დ-ს წარმოთქმისას დროზე ადრე ჩამოეშვა ნაქი ძირს და ჰაერნაკადი ცხვირის გზით გაედინა; ამის გამო დ იქცა ხ-დ.

ტუჩებთანაა დაკავშირებული II-ს ცვლა III-დ გერმ. 'aimma:l-ში (იხ. ზემოთ): უკვე II-ს წარმოთქმის დროს შეიცვალა—მომდევნო ბაგის-მიერ III-სთან მიმსგავსების გამო—ენის მდგომარეობა II-სათვის (ენის-წვერის მიბჯენა ზედა კბილებზე) ტუჩების ხშვით ერთმანეთის მიმართ, რის შედეგადაც მივიღეთ III II-ს ნაცვლად. ასიმილაციის ამ სახეს შეიძლება ეწოდოს ლაბიალური ასიმილაცია.

ბ გ ე რ ა თ წ ა რ მ ო ე ბ ი ს რ ა გ ვ ა რ ო ბ ი ს მიხედვით ასიმილაციას ვეძახით ასიმილაციური ცვლილების ისეთ სახეს, როცა მოცემული ბგერა იცვლის რაგვარობას; მაგ., როცა ასიმილაციის ძალით ხშული იცვლება ნაპრალოვნად, ან პირუკმო; როცა პირისეული (ორალური) იცვლება ცხვირისეულად (ნაზალურად), ან პირუკმო; როცა აბრუპტივი, როგორც უსუნთქველი თანხმოვანი, იცვლება სუნთქვიერად, ან პირუკმო:

მაგ., რუს. ხალხური ყყყაც მიღებულია ცეჩყაც-ისაგან, რომლის პირველი ნაპრალოვანი ც შეცვლილა ხშული ყ-თი (წარმოების ადგილის ცვლასთან ერთად).

ზემომოყვანილი ნაზალური ასიმილაციის ნიმუში მ'ჰყყყყყ გამოდგება აგრეთვე რაგვარობის ასიმილაციის ნიმუშად, რამდენადაც ძ და ყ ერთმანეთისაგან განსხვავებული თანხმოვნებია.

ტკბილი-ს ნაცვლად ტკბილი (დასავლურ კილოებში, ისე როგორც ტბა-ს ნაცვლად ტბა და სხვ.) წარმოადგენს აბრუპტივულ ასიმილაციას. ასეთივე ასიმილაცია გვაქვს სიტყვაში აქეტკენ ნაცვლად აქეტკენ-ისა, ქვითკირი ნაცვლად ქვითკირი-სა და მისთანები; განსხვავება მათ შორის მხოლოდ ისაა, რომ ტკბილ-ში ასიმილაცია პროგრესულია, ხოლო ქვითკირ-ში რეგრესული: ასიმილატორი ორივე შემთხვევაში აბრუპტივია..

[რთული და საურთიერთო ასიმილაციები განხილული იქნება ისტორიულ ბგერათცვლილებასთან; იხ. თავი მეცხრე].



## ბგერათრაოდნობა ანუ ბგერათა სიგრძე-სიმოკლე

### 1. აბსოლუტური და რელატიური ბგერათრაოდნობა

თითოეული სამეტყველო ბგერის წარმოთქმისათვის საჭიროა გარკვეული ნაწილი დროისა, ე. ი. თითოეულ სამეტყველო ბგერას აქვს გარკვეული ხანგრძლიობა. მაგ., ქართული ა-ს ხანგრძლიობა საშუალოდ უდრის წამის  $\frac{17}{100}$ -ს, გ-სი წამის  $\frac{10}{100}$ -ს, ქ-სი  $\frac{17}{100}$ -ს და ა. შ.

ბგერათა ხანგრძლიობას განსაზღვრავს შემდეგი ფაქტორები: 1. წარმოთქმის ტემპი, რომელიც დაკავშირებულია მეტყველის ტემპერამენტთან, ასაკთან, მის მეტ-ნაკლებ ემოციურობასთან, გარემოსთან და სხვ.; 2. ფონეტიკური პირობები, მაგ., მახვილიანი ხმოვანი უფრო ხანგრძლივია, ჩვეულებრივ, ვიდრე უმახვილო; ზოგ ენაში ხმოვანი მეტად ხანგრძლივია მკლერი თანხმოვნის წინ, ვიდრე ყრუს წინ და ა. შ.; 3. ენის ისტორია, ე. ი. ენაში დამკვიდრებული ტრადიცია; მაგ., გერმანულ ენაში ისტორიულად დამკვიდრებულია ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლით განსხვავებულობა: მას აქვს ორი ი — გრძელი (ī) და მოკლე (i), გრძელი ე (ē) და მოკლე ე (e) და ა. შ.; ქართულს კი ასეთი რამ არა აქვს.

ბგერის ის ხანგრძლიობა, რომელიც დამოკიდებულია წარმოთქმის ტემპზე, წარმოადგენს ბგერის აბსოლუტურ ხანგრძლიობას; მას არა აქვს თვალსაჩინო საენათმეცნიერო მნიშვნელობა, ამიტომ მას არა აქვს რაიმე საგანგებო სახელწოდება.

პირიქით, დიდი საენათმეცნიერო მნიშვნელობა აქვს ბგერის იმ ხანგრძლიობას, რომელიც წარმოიქმნება ფონეტიკურ პირობებში, და აგრეთვე იმ ხანგრძლიობას, რომელიც ისტორიულად მოსდევს ამა თუ იმ ენას. ბგერათა ამ უკანასკნელი ორი სახის ხანგრძლიობას ჰქვია ბგერათრაოდნობა (ლათ. quantitas, ფრანგ. quantité, კვანტიტეტი) ანუ ბგერათა სიგრძე-სიმოკლე.

ბგერათრაოდნობა რელატიური (შეფარდებითი) ბგერათხანგრძლიობაა: მოცემულ სიტყვაში იგი უცვლელია; თუ, მაგ., ინგლ. სიტყვას forward 'წინ, წინა' (წარმოითქმის 'fɑ: wəd), რომელშიც გვაქვს გრძელი ო, ვიტყვით სწრაფი ტემპით, შემცირდება ო-ს ხანგრძლიობა, მაგრამ

მისი შეფარდება ამ სიტყვის სხვა ბგერებთან უცვლელი დარჩება, რადგანაც სწრაფად თქმულ 'ჩა: wad-ში შესატყვისად შემცირდება ყველა სხვა ბგერის ხანგრძლიობა.

წინათ უფრო მეტ ყურადღებას აქცევდნენ ხმოვანთა ხანგრძლიობასა და რაოდენობას. როდესაც ბგერათრაოდნობაზე იყო ლაპარაკი, იგულისხმებოდა მხოლოდ ხმოვნების სიგრძე-სიმოკლე. ეს, უთუოდ, იმიტომ, რომ, მართლაც, ზოგიერთ შემთხვევაში, მაგ., ლექათწყობაში ხმოვანი და ხმოვნის რაოდენობა თავისთავად ასრულებს მნიშვნელოვან როლს, ხოლო თანხმოვანთა რაოდენობა თავისთავად არავითარს.

არსებობს სხვადასხვა ენაში (მაგ., ქართველურ ენათაგან სვანურში) გრძელი და მოკლე ხმოვანი, არსებობს აგრეთვე გრძელი და მოკლე თანხმოვანი (მაგ., ქართულში). შეიძლება თუ არა დავადგინოთ, თუ რამდენით უფრო გრძელია ანუ რამდენით ხანგრძლივია გრძელი მოკლეზე? ამის გამოკვლევა არაა ძნელი რომელიმე ენის ცალკეული შემთხვევისათვის, ე. ი. შეიძლება დადგენა, რომ მაგ., საშუალო ნორმალური ტემპით ნათქვამ სიტყვაში იყიდდა, სადაც ითქმის მხოლოდ ერთი დახანებული დ (ჟ), ეს დ ამდენით და ამდენით უდრო გრძელია ისეთივე ტემპით ნათქვამი სიტყვის იყიდას-ზე; ან ერთნაირ პირობებში მწრე-ს 5 ამდენით და ამდენით უფრო გრძელია იმავე სვანურის მარქ-ს ა-ზე და ა. შ. მაგრამ ამას იმდენი მნიშვნელობა არა აქვს ენათმეცნიერებისათვის, რამდენიც იმის დადგენას, რომ ამა თუ იმ ენაში არსებობს ბგერათა რაოდენობითი განსხვავება. საერთოდ კი შეგვიძლია მივიღოთ, როგორც ამოსავალი წერტილი, რომ ე. წ. გრძელი ბგერა ჩვეულებრივ უგრძესია მოკლეზე 2—3-ჯერ.

აბსოლუტურ ხანგრძლიობას რომ არა აქვს რაიმე მნიშვნელობა, იქიდანაც კარგად ჩანს, რომ ერთი და იგივე ბგერა ერთმარცვლიან სიტყვაში უფრო გრძელია, ვიდრე ორ და მეტმარცვლიანში: რაც უფრო მეტმარცვლიანია სიტყვა, მით მოკლეა მასში ესა თუ ის ბგერა, მაგ., გამოანგარიშებულია წამის მესაღებებში pმ-ს ხანგრძლიობა შემდეგ ფრანგულ სიტყვებში «pâte 'ცომი'—27, pâté 'ნაჭებარი'—20, pâllsserte 'ნამცხვარი'—14 და pâllsserie Saint Germain—12. გერმანული მ ერთმარცვლიან სიტყვაში საშუალოდ — 13.2, ორმარცვლიანში — 10.8, მ შესაბამისად — 26.6 და 22.0\*.

## 2. ბბმრატა სხვადასხვა ხანგრძლიობა

ნაპრალოვნები (ანუ სპირანტები), ლიკვიდები (რ, ლ), ნაზალები (მ, ნ) და ხმოვნები ნაკლებად არიან შეზღუდული ხანგრძლიობის მრავალფეროვნებაში, ვიდრე ხშული თანხმოვნები, ე. ი. პირველებს (ნაპრალოვნებს, ლიკვიდა-ნაზალებს და ხმოვნებს) მეტად შეუძლიათ ჰქონდეთ სხვადასხვანაირი ხანგრძლიობა, მეტადრე კი ხმოვნებს. მაგ., ხმოვანი შეიძლება იყოს მოკლეზე მოკლე: თუ მოკლე ხმოვნის ხანგრძლიობა რომელიმე ენაში საშუალოდ უდრის წამის  $\frac{8}{100}$ , მოკლეზე მოკლესი შეიძლება უდრიდეს  $\frac{4}{100}$ — $\frac{5}{100}$ . (ასეთ ხმოვანს ეძახიან ირრაციონალურ ხმოვანს); თუ ამავე ენაში ხმოვნის ხანგრძლიობა არის საშუალოდ  $\frac{12}{100}$  წამისა, მას შეიძლება ვუწოდოთ ნახევრად გრძელი, თუ საშუალოდ  $\frac{20}{100}$  წამისა,—გრძელი, თუ ამაზე მეტია,—ზეგრძელი. აქ მოყვანილ რიცხვებს არა აქვთ გადამწყვეტი მნიშვნელობა სიგრძე-სიმოკლის დადგენისათვის. მთავარია ის, რომ, მაგ., ხმოვნებისათვის დადგენილია ჩვენს მეცნიერებაში ხუთი სხვადასხვა ხანგრძლიობის ხმოვანი: ირრაციონალური, მოკლე, ნახევრადგრძელი, გრძელი და ზეგრძელი.

ლიკვიდა-ნაზალეზსა და საკუთრივ ნაპრალოვნებსაც აქვთ შესაძლებლობა მრავალსახეობისა, მაგრამ ფონეტიკაში მიღებულია წათი ნხოლოდ ორ-ორი სახე: მოკლე (საშუალოდ  $^6 - 10/100$ )<sup>ა</sup> და გრძელი ( $12/100$  და მეტი).

უნდა აღინიშნოს, რომ არსებითი განსხვავებაა ხშულის გახანგრძლივებასა, ერთი მხრით, და დანარჩენ ბგერათა გახანგრძლივებას შორის, მეორე მხრით: რისი გახანგრძლივებაცაა შესაძლებელი ხშულში, სწორედ ის არ გვესმის, მეტადრე ყრუ ხშულში (იხ. გვ. 54). ესაა დაყოვნების მომენტი (ანუ უცხოურად ოკლუზია), რომელიც უბგერო მომენტია ყრუ ხშულში (ქართულში მეტერ ხშულშიც). რომელიმე სიტყვაში მათთან ან ბზონია გვაქვს გრძელი თ ( $\bar{t}$ ) და გრძელი გ ( $\bar{g}$ ), რომელთა შეწართვა (იმპლოზია) უდრის წამის  $3/100$  და დამართვაც (ექსკლუზია) აგრეთვე ამდენს, მაგრამ ოკლუზია (დაყოვნება) შესაძლებელია გავაგრძელოთ, რამდენითაც გვინდა; ჩვენ კი მას ვერ გავიგონებთ: აქ უბგერო ნდგომარეობაა ექსკლუზიამდე. ჩვეულებრივი მოკლე ხშულის ხანგრძლიობა უდრის საშუალოდ წამის  $10 - 15/100$ , ხოლო გრძელისა — ორჯერ ნეტს.

### 3. ბგერათხანგრძლიობის ფონეტიკური ფაქტორები

როგორც ხემოთ ითქვა, ხმოვნებში უფრო თვალსაჩინოა ხანგრძლიობრივი განსხვავება. ხემოთვე იყო აღნიშნული, რომ ბგერათხანგრძლიობის ერთ-ერთი განმსაზღვრელთაგანია ფონეტიკური პირობები. როგორია ეს პირობები, ე, ი. რა ახდენს გავლენას ხმოვანთა ხანგრძლიობაზე?

მაგ., ინგლისურში ვიწრო ხმოვნები უფრო გრძელია, ვიდრე ფართო ხმოვნები: feet 'ფეხები' და fit 'შესაფერი, ვარგისი' (პირველ სიტყვაში ვიწრო e არის და წარმოითქმის გრძლად, მეორეში ფართო e არის და წარმოითქმის მოკლედ).

ასეთივე შეფარდებაა boat-სა 'ნავი' და pot-ს 'ქოთანის' შორის: პირველში ვიწრო o არის და წარმოითქმის გრძლად, pot-ში ფართო o და წარმოითქმის მოკლედ.

ამგვარადვე გერმანულში ხმოვნის სივიწროვესთან დაკავშირებულია სიგრძე, ხოლო სიფართოვესთან — სიმოკლე: biete—bitte — პირველში ვიწრო e არის და გრძელია, მეორეში — ფართო e და მოკლეა; ასევე Sohne — sonne-ში: პირველის o ვიწროა და გრძელი, მეორისა — ფართოა და მოკლე.

როგორც (კვალიტეტს) რომ გავლენა აქვს ბგერათხანგრძლიობაზე, ამ ნიშნუშებს გარდა, მრავალი სხვაც შეიძლება სოვიყვანოთ; მაგ., ფრანგული ენის ორი a-დან ერთია ველარული (უკანა წარმოებისა, მაგ., pâte-ში 'ცომი'—ითქმის ა), მეორე პალატალური (წინა, მაგ. patte-ში 'თათი'—ითქმის ა): ეს ორი a განსხვავებულია აგრეთვე სიტყვებში mâle 'მამრი'—ა, mal 'ბოროტება'—ა და მრავალ სხვაში. საყურადღებოა, რომ, როგორც ირკვევა, ძველი ბერძნული η და ω განსხვავდებოდნენ ε და o-საგან არა მხოლოდ რაოდენობით, არამედ როგორც ერთად: η და ω იყო გრძელი და უფრო ფართო ხმოვნები, ვიდრე ε და o. აქედან, მაშასადამე, იმის დასკვნაც შეიძლება, რომ ხმოვნის სიგრძე შეიძლება იყოს დაკავშირებული მის სიფართოვესთანაც. ამის საბუთად შეიძლება გამოდგეს თუნდაც იმავე ფრანგული ვოკალიზმის თავისებურება, რომ „სი-ფართოვეც (სივიწროვესთან ერთად) შეიძლება უკავშირდებოდეს სიგრძეს (წუათანა სი-

ფართავის ხმოვანი კი ჩვეულებრივ მოკლეა)“. ზოგჯერ სიფართოვესთანაა დაკავშირებული, როგორც ს. ჟლენტმა ექსპერიმენტით გამოარკვია, ხმოვანთა სიგრძე სვანურში (იხ. „სვანური ფონეტიკის ძირითადი საკითხები“, გვ. 11—21).

ბგერათა ხანგრძლიობაზე გავლენა აქვს სიძლიერის მახვილს. მაგ., რუსულში მახვილიანი ხმოვანი გრძელია უმახვილოზე; ასევეა ფრანგულშიც, სადაც მახვილიანი ხმოვანი ერთნახევარჯერ გრძელია უმახვილოზე; ს. ჟლენტის მიხედვით (იხ. იგივე შრომა, გვ. 147 შემდ.), სვანურშიც ასეთივე სურათი გვაქვს: აქ გრძელი ხმოვანი თითქმის ორჯერ ხანგრძლივია მოკლეზე (შედარებულია ზად და ხად).

ხმოვანთა ხანგრძლიობაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მომდევნო თანხმოვნის მებობლობას. მაგ., გერმანულში მომდევნო თანხმოვანთა ჯგუფის წინ ხმოვანი ჩვეულებრივ მოკლეა: Macht, kurz (ა, უ). თუმცა ამ კანონს მრავალი გამონაკლისი აქვს.

ფრანგულში ყოველი ხმოვანი, როგორც წარმოშობისაც უნდა იყოს იგი (გრძელისა თუ მოკლესი), გრძელია ბოლოკიდური r, v, z, j-ს წინ: père 'მამა', rêve 'ძილი, სიხმარი', lèse 'შურაცხყოფა' collègue 'კოლეგია'—ყველაში ე გრძელია. სხვა თანხმოვანთა და თანხმოვანთა ჯგუფის წინ ხმოვანი მოკლეა.

ს. ჟლენტმა (იხ. დასახელებული შრომა, გვ. 112 და შემდ.) გვიჩვენა, რომ სვანურში ხმოვანი გრძელდება რ, ნ, მ, ჯ, ზ, ჟ, ვ და ჟ-ს წინ—მეტადრე, თუ ხმოვანი მახვილიანია (სხვათა შორის, ფრანგულშიც მახვილიანობა ხელს უწყობს ხმოვანთა დაგრძელებას ხსენებულ თანხმოვანთა წინ):

ნიმუშები სვანურიდან: შარე, ვერე 'წვერი', გორვაშ და მრ. სხვა (ა, ე, ო არიან რ-ს წინ). ზურალ 'ქალი'. დღულ 'სითხის დენის ხმაური', ლიშურიელ და მრ. სხვა (ა, ე, ე არიან ლ-ს წინ). ეჯნემ 'მან', ხოშემ 'უფროსმა' და სხვ (ე, ა არიან მ-ს წინ) და ასე შემდეგ:

აღსანიშნავია, რომ ხმოვნის ხანგრძლიობა დამოკიდებულია აგრეთვე იმაზე, ღია მარცვალშია იგი თუ დახურულში. მაგ., ძირის მოკლე ხმოვანი გრძელდება, როგორც წესი, ღია მარცვალში ახალ გერმანულში: მაგ., საშ. ხემო-გერმ. hāben > ახ. ხემო-გერმ. hāben, საშ. ზ გერმ. lēsen, > ახ. ზ. გერმ. lēsen, v ūgel > vāgel, gebilben > gebilben და მრ. სხვ.

ასეთივე წესი მოქმედებს ფრანგულშიც: დახურული მარცვლის ხმოვანი მოკლეა ღია მარცვლისაზე.

#### 4. ისტორიული ბგერათრიაოღნობა

აქამდე საუბარი იყო ფონეტიკური პირობებით შექმნილ ხანგრძლიობა-რაოდნობაზე. დაგვრჩა კიდევ განსახილველი ბგერათა ისტორიული რაოდნობა.

არის ენები, რომელთაც ბგერათრიაოღნობა გამოყენებული აქვთ სიტყვათა სემანტიკური დიფერენციაციისათვის. ასეთი იყო, მაგ., ლათინური ენა, რომელშიც სიტყვა vĕnit ნიშნავს 'მიღის' (ე), მაგრამ vĕnit 'მივიდა' (ე); ლათინ. manūs 'ხელი' (უ), მაგრამ manūs 'ხელისა'. ასევეა გამოყენებული მნიშვნელობის დიფერენციაციისათვის ბგერათრიაოღნობა მრავალ სხვა ძველ ენაშიც (მაგ. ძვ. ბერძნ., ძველ ინდურში) და ბევრ

ახალშიც (მაგ., გერმანულში, ინგლისურში). ზოგ ენაში ეს ნხოლოდ ნაწილობრივია გამოყენებული; მაგ., ფრანგულში მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა გვაქვს სიტყვათა განსხვავებისა ხმოვანთრაოდნობის საფუძველზე. ასეთია მაგ.: maitre (გრძელი ღია ე-თი), 'ბატონი' — mettre და metre (ორივე სიტყვაში მოკლე ღია ე) 'დადება, დადგმა' და 'მეტრი'; დანარჩენში ეს სამი სიტყვა ერთნაირად წარმოითქმის (საერთაშ. ანბანით me:tre — metre). ასეთივეა დაპირისპირებანი: tête [te:t] 'თავი' — tette [tet] 'ძუძუ ცხოველისა', bête [be:t] 'მხეცი' — bette [bet] 'თეთრი ქარხალი' და რამდენიმე სხვა (იხ. ზემოთაც). ფრანგული იმიტომაც აქ სასურაღლებო, რომ მას, ლათინური ენის ჩამომავალს, არ შერჩენია ეს თვისება (რაოდნობის სადიფერენციაციოდ გამოყენება), როგორც სისტემა. ბგერათრაოდნობის ამ სადიფერენციაციო დანიშნულებას ჰქვია ფონოლოგიური ბგერათრაოდნობა.

ფონოლოგიურია ხმოვანთრაოდნობა აგრეთვე გერმანულში და ინგლისურშიც (ინგლისურში ნაკლები მოცულობით, ვიდრე გერმანულში). გერმანულში: Saat [za:t] 'თესლი' — satt [zat] 'მადლარი', Miete [mi:te] 'დაქირავება' — Mitte [mitə] 'შუა', ihn [i:n] — in [in] და მრ. სხვა.

ინგლისურში seat [si:t] 'სკამი' — sit [sit] 'ჯდომა', neat [ni:t] ხარი — knit [nit], 'ქსოვა, შეკერა', gaud [ga:d] 'სამკაული' — god [gɔd] 'ღმერთი' და სხვა.

როგორც ჩანს, ქართველურ ენებში ფონოლოგიური ხმოვანთრაოდნობა არა გვაქვს და, ალბათ, არც ძველად ყოფილა იგი მათში. რაც ზემოთაა მოყვანილი სვანურის შესახებ, ეს მხოლოდ ფონეტიკური ბგერათრაოდნობაა.

ს. ჟღენტი ხსენებულ შრომაში ამბობს: „სვანურში ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლე ასეთ (იგულისხმე: ფონოლოგიურ) ფუნქციას მოკლებულია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთადერთ სიტყვას: მარე 'კაცი' — მარე 'მაგრამ' (გვ. 116).

შესაძლებელია სხვა სიტყვებიც მოინახოს სვანურში, რომლებშიც გრძელი ხმოვნები იქნება ფონოლოგიური ხასიათისა, მაგრამ ამით არ დაირღვევა ის დებულება, რომ სვანურს არა აქვს ფონოლოგიური რაოდნობა (ს. ჟღენტი).

დამარწმუნებლადია, ვფიქრობ, დამტკიცებული არნოლდ (ბენედიქტე) ჩიქობავას შრომაში „გრძელი ხმოვნები მთიულურში“<sup>1</sup>, რომ, რაც წინათ მკვლევარებს სიგრძედ მიაჩნდათ მთიულურში, ის „წარმოადგენს ტონის მოდულაციაზე დამყარებულ ტონურ მახვილს“ (გვ. 339).

თანხმოვანთა ფონოლოგიური რაოდნობა საერთოდ უფრო ნაკლებია გავრცელებული, ვიდრე ხმოვანთა, მაგრამ მაინცაა იგი ბევრგან დადასტურებული. მაგ., არც ქარ-

<sup>1</sup> თბილისის უნივერსიტეტის შოამბე, IV, გვ. 333 და შუბდ.

თულსა და არც რუსულ ძირეულ სიტყვებში არ გვხვდება თანხმოვანთა ფონოლოგიური სიგრძე, ე. ი. ისეთი შემთხვევები, როცა ორი სიტყვა განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან გრძელი („გაორკეცებული“) თანხმონით; მაგ., ისე, როგორც ფინურ-სუმ-შია: kato ‘დანაკარგი’ — katto ‘სახურავი’, palo ‘ხანძარი’ — pallo ‘ბირთვი, ბურთი, (M. H. Матусевич, გვ. 70). ჰემოზოფიანილი ნიმუშები ქართულიდან (ლომმა — ლომა, ყიიდა — ყიდა) და რუსულიდან (подска — подска, отдрить — одрить), მართალია, თანხმოვანთა რაოდენობითი დაპირისპირებაა, ზაგრამ მხოლოდ შემთხვევითი, რამდენადაც მკლავდება სიგრძე მორფოლოგიური ელემენტების (ფორმანტების) შესაყარზე.



## თავი მეხუთე

# მ ა ხ ვ ი ლ ი

### 1. დინამიკური მახვილი და მუსიკალური მახვილი

მეტყველების პროცესში ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს გამოვყოთ, მეტად გამოჩინების მიზნით, რომელიმე ელემენტი: ბგერა, მარცვალი, სიტყვა და შესიტყვება—საქიროების მიხედვით. ეს შესაძლებლობა გამოიხატება ამ ელემენტების გაძლიერებულ ან ხმაამაღლებულ წარმოთქმაში.

თუ საქიროა, რაიმე გარემოების გამო, გაეუხაზოთ მოსაუბრეს, რომ ჭქონია მას, და არა ვინმე სხვას, გაეძლიერებთ გ-ს სიტყვაში გქონია. ამგვარადვე შეგვიძლია გავამახვილოთ მსმენელის ყურადღება მარცვალ მო-ზე მო-საგან განსხვავებით (მაგ., ვიტყვით: „შმოიტანა და არა შიიიტანა“), ან მთელ სიტყვაზე (მაგ., „აკაკი და არა ილია“) და ა. შ.

მეტყველების ამ ელემენტთა გამოყოფა-გამოსაჩინებლად ან ერთმანეთთან დასაპირისპირებლად ჩვენ შეგვიძლია წარმოვთქვათ ისინი ძლიერად (როგორც მოცემულ შემთხვევაში) ან მალლად: მაგ., მო-შეიძლება წარმოითქვას ორივე გვარად; გ შეიძლება წარმოითქვას ძლიერად აგრეთვე სიტყვებიც (აკაკი, ილია);

მეტყველების ელემენტთა გამოყოფა-გამოჩინებას ან მათს ერთმანეთთან დაპირისპირებას-სიძლიერე-სიმალლით და ამათი მოდულაციით ეწოდება მახვილი.

სიძლიერით გამოყოფა-გამოჩინებას ან მის მოდულაციას ეძახიან სიძლიერის ანუ დინამიკურ მახვილს, ხოლო სიმალლით გამოყოფა-გამოჩინებას ან მის მოდულაციას — მუსიკალურს ან ტონურ მახვილს.

დინამიკური მახვილის მეორე სახელწოდებაა ექსპირატორული (ან ექსპირაციული) მახვილი. ამ ტერმინს ხმარობენ იმ თეორიის მომხრენი, რომლის თანახმად სიძლიერის მახვილის წარმოქმნის ფაქტორია ძლიერი ამოსუნთქვა (ექსპირაცია); ხოლო ტერმინს დინამიკური მახვილი ხმარობენ ამის საწინააღმდეგო თეორიის მომხრენი, რომელთა აზრით

ასეთი მახვილის წარმომქმნელია საწარმოთქმო ორგანოთა არტიკულაციური დაძაბულობა.

ორივე სახის—როგორც მუსიკალური, ისე დინამიკური—მახვილის სახეცვალებას საერთოდ, ხოლო კერძოდ და განსაკუთრებით მუსიკალური ანუ ტონური მახვილის სახეცვალებას მარცვლის, სიტყვისა თუ შესიტყვების ფარგლებში ეწოდება ინტონაცია.

ზოგიერთი ფონეტიკოსის აზრით, მახვილად უნდა ჩაითვალოს მეტყველების ელემენტთა გამოყოფა-გამოჩინება აგრეთვე მეტ-ნაკლები დახანებით ანუ სიგრძე-სიმოკლით, რომელსაც ზემოთ ბგერათრადნობა ეუწოდეთ (იხ. გვ. 121 და შემდ.)

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბგერათრადნობით (უცხოურად კვანტიტეტი) მეტყველების ელემენტთა გამოყოფა-გამოჩინება ან მისი (ბგერათრადნობის) საშუალებით მათი (მეტყველების ელემენტთა) ერთმანეთთან დაპირისპირება არაა შესატანი მახვილის ცნებაში; ერთი (გამოყოფა-გამოჩინება) და მეორე (დაპირისპირება) შესაძლებელია ბგერის სხვა თვისებებითაც (მაგ., მუდგრობა-სიყრუე, ხშულობა-ნაპრალოვნობა და სხვა), მაგრამ ამის გამო ისინი არ შეგვაქვს მახვილის ცნებაში.

## 2. ლოგიკურ-ემოციური მახვილი და ლინგვისტური მახვილი

მახვილის—როგორც დინამიკურისა, ისე მეტადრე მუსიკალურის—სახეცვალება უსასრულოდ მრავალფეროვანია მარცვალში, სიტყვაში და მეტადრე შესიტყვებაში; იგი სხვადასხვა სახეს იღებს იმის მიხედვით, თუ რას გამოხატავს მტქმელი: თხრობას, კითხვას, ძახილს, გაკვირვებას, აღტაცებას, სასოწარკვეთილებას, გაჯავრებას, აღერსს და ა. შ.

კიდევ მეტიც: თითოეული ამათგანის გამოხატვა შესაძლოა მრავალგვარი იყოს; სხვადასხვა ინტონაციით შეიძლება წარმოითქვას თხრობა—იმის მიხედვით, თუ ვის მოვეუთხრობთ (დიდს თუ პატარას, უფროსს თუ უმცროსს, შინაურულად თუ ოფიციალურად...), დამარწმუნებლობის რა ძალა გვინდა მივსცეთ ჩვენს თხრობას, ზღაპარს მოვეუთხრობთ თუ ნამდვილს, დადებითი მსჯელობაა თუ კრიტიკულ-უარყოფითი და ა: შ. უსასრულოდ.

თითოეული მათგანის წარმოთქმისათვის დამახასიათებელია თავისებური მახვილი მისი თავისებური მოდულაციით.

ამგვარ მახვილთა ერთობლიობას ეწოდებენ ლოგიკურს ანუ ინტელექტუალურ მახვილს, რამდენადაც მას შეუძლია გამოხატოს აზრის ნაირფეროვნება, და ემოციურს, რამდენადაც მას შეუძლია გამოხატოს გრძნობათა ნაირფეროვნება. ჩვენ ვუწოდებთ მას საერთოდ ლოგიკურ-ემოციურს ანუ მოკლედ ლოგიკურ მახვილს: ძნელია (და არცაა საჭირო) დადგენილ იქნეს ყოველ კერძო შემთხვევაში, თუ როდისაა იგი წმინდა ლოგიკური და როდის წმინდა ემოციური.

საკუთრივ ლოგიკურ მახვილს ეძახიან შესიტყვებაში რაიმე მხრივ მეტად მნიშვნელოვანი სიტყვის გამოყოფა-გამოჩინებას. მაგ., წინადა-

დებამი „ხალხის წინ დადგა მედროშე დიდი“ (რევაზ მარგიანი) ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ გაძლიერება-ამაღლებით თითოეული სიტყვა, რომელსაც საჭიროდ ვცნობთ მივანიჭოთ დანარჩენ სიტყვებზე მეტი მნიშვნელობა: ხალხის (და არა ვინმე სხვის), წინ (და არა უკან), დადგა (და არა შედგა), მედროშე (და არა მეთაური) და ა. შ.

თითოეულ გამოყოფილ სიტყვას შეუძლია ჰქონდეს ლოგიკური მახვილი.

ლოგიკურ-ემოციური და საკუთრივ ლოგიკური მახვილი, რომელიც გამოიხატება მეტყველების ელემენტთა გაძლიერებაში (ე. ი. დინამიკურად) ან სიმალლეში (ე. ი. მუსიკალურად), აქვს მეტ-ნაკლებად ყოველ ენას.

მაგრამ ამასთანავე ყოველ ენას აქვს ტრადიციულად მასში დამკვიდრებული ტიპი მახვილისა, რომელიც დამახასიათებელია მოცემული ენისათვის და ამიტომ ასხვავებს ამ ენას ზოგიერთი სხვა ენისაგან. ასეთ მახვილს ვუწოდებთ ლინგვისტურ მახვილს.

მაშასადამე, ისეთ მახვილს, რომელიც ტრადიციულია მოცემული ენისათვის, ვწოდებთ ლინგვისტური მახვილი.

ლოგიკურ-ემოციურისაგან ლინგვისტური მახვილი იმით განსხვავდება, რომ პირველი მოქმედებს მხოლოდ მოცემულ შემთხვევაში და დამოკიდებულია იმაზე, თუ აზრის ან გრძნობის რა ელფერია გამოსახატავი; ხოლო მეორე (ლინგვისტური) მოქმედებს ყოველ შემთხვევაში და დამოუკიდებლად იმისაგან, თუ რა არის გამოსახატავი. მაგ., რუსულ სიტყვაში *ружѣ* ლინგვისტური მახვილი გამოიხატება იმაში, რომ მახვილი ამ სიტყვაში ბოლოზეა და იგი დინამიკურია: როდესაც ან როგორც არ უნდა წარმოვთქვათ ეს სიტყვა (თხრობით, კითხვით, გაკვირვებით...), მახვილი ბოლოზეა და იგი დინამიკურია.

ლინგვისტური მახვილი ზოგიერთ ენაში გამოყენებულია ფონოლოგიურად, ე. ი. სიტყვათა ან სიტყვის ფორმათა განსასხვავებლად.

### 3. მარცვალთმახვილი, სიტყვათმახვილი და შესიტყვების მახვილი

ყოველ ენას აქვს ამა თუ იმ ხასიათის მახვილი მარცვლის, სიტყვისა და შესიტყვების.

მოუხედავად იმისა, რომ ცოცხალ წარმოთქმაში ჩვენ შეგვიძლია — საჭიროების მიხედვით — მახვილი მივანიჭოთ ცალკეულ ბგერასაც (ე. ი. გამოყოფილ-გამოჩინებულად ვთქვათ იგი: თუ თანხმოვანია, გავაძლიეროთ; თუ ხმოვანია, გავაძლიეროთ და ავამაღლოთ კიდევაც), — ცალკეული ბგერის მახვილზე მაინც არ ულაპარაკობთ ჩვენს მეცნიერებაში; ამიტომაცაა, რომ არ არსებობს ამისთვის თვით ტერმინიც „ბგერათმახვილი“.

საქმე ისაა, რომ ლინგვისტური მახვილი, რომელიც, როგორც ითქვა, ტრადიციითა დამკვიდრებული ამა თუ იმ ენაში, უკავშირდება ცალკეულ ბგერას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ბგერა შეადგენს მარცვალს; თუ კი იგი შეადგენს მარცვალს (ასეთი

პირველ რიგში ხმოვანი ბგერაა). მაშინ გვექნება მარცვალთმახვილი და არა „ბგერათ-მახვილი“.

მართალია, არსებობს ბგერათრაოდნობა (ე. ი. ბგერათა სიგრძე-სიმოკლე როგორც ხმოვნებისა, ისე თანხმოვნების), რის საფუძველზეც აგრეთვე შესაძლებელია ბგერათა გამოყოფა-გამოჩინება სხვა ბგერათაგან და მათი დაპირისპირება; ეს კი აგრეთვე ტრადიციულად შეიძლება იყოს ამა თუ იმ ენის კუთვნილება,—მაგრამ ბგერათრაოდნობა, როგორც ითქვა, ჩვენ არ შეგვაქვს მახვილის ცნებაში.

როდესაც ლაპარაკია მახვილზე, ჩვეულებრივ, გულისხმობენ ხოლმე სიტყვათმახვილს (და არა მარცვალთმახვილს ან შესიტყვების მახვილს) და მხედველობაში აქვთ ორ-ან მეტმარცვლიანი სიტყვა. სინამდვილეში კი თავისებური მახვილი აქვს ერთმარცვლიან სიტყვას და, მაშასადამე, ცალკეულ მარცვალსაც.

მარცვალთმახვილი არსებითად განსხვავდება სიტყვათმახვილისაგან.

### ა. მარცვალთმახვილი

მარცვალთმახვილი ეწოდება იმ ბგერათსიძლიერეს (დინამიკურის შემთხვევაში) ან ბგერათსიმაღლეს (მუსიკალურის შემთხვევაში) და მათ მოდულაციას ერთი მარცვლის ფარგლებში, რითაც ერთი მარცვლი განსხვავდება სხვა მარცვლისაგან ან უპირისპირდება მას.

დინამიკური მარცვალთმახვილის სახეებია, მაგ.: თანდათან გაძლიერებული (აღმავალი), თანდათან დასუსტებული (დამავალი) და გაძლიერებულ-დასუსტებული (აღმავალ-დამავალი) და ბევრი სხვაც.

მუსიკალური მახვილის სახეებია, მაგ.: თანდათან ამალღებული (აღმავალი), თანდათან დადაბლებული (დამავალი) და ამალღებულ-დადაბლებული (აღმავალ-დამავალი) და ბევრი სხვაც.

ყოველ ენას აქვს გამოყენებული მეტ-ნაკლებად მარცვალთმახვილის ესა თუ ის სახე საჭირო შემთხვევაში. მაგ., ქართულ ერთმარცვლიან სიტყვაში ხვალ გვექნება მარცვლის სხვადასხვა სიძლიერე-სიმაღლე — იმის მიხედვით, თუ რა გვინდა გამოვხატოთ: ბ რ ძ ა ნ ე ბ ა (ხვალ — მარცვლი ძლიერდება ბოლოსაკენ), უ კ მ ა ყ ო ფ ი ლ ე ბ ა (ხვალ — სუსტდება ბოლოსაკენ), და ე ი ნ ე ბ ა (ხვალ — ძლიერდება და შემდეგ სუსტდება) და ა. შ.

იგივე სიტყვა ხვალ შეიძლება წარმოითქვას სხვადასხვა მუსიკალური მახვილით — იმის მიხედვით, თუ რა გვინდა გამოვხატოთ: გა ნ მე ო რ ე ბ უ ლ ი შე კ ი თ ხ ვ ა (ხვალ? — აღმავალი მახვილით), გა კ ვ ი რ ე ბ ა (ხვალ! — დამავალი მახვილით), მო უ ლ ო დ ნ ე ლ ო ბ ი ს გ რ ძ ნ ო ბ ა (ხვალ... — აღმავალ-დამავალი მახვილი) და ა. შ.

მაგრამ ზოგ ენას მარცვალთმახვილის სხვადასხვა სახე გამოყენებული აქვს ლინგვისტურად, ე. ი. იგი დამკვიდრებულია მათში ტრადიციულად და ზოგ მათგანში გამოყენებულია ფონოლოგიურად, ე. ი.

სიტყვათა ან სიტყვის ფორმათა სადიფერენციაციოდ. ასეთია, მაგალითად, ჩინური ენის მუსიკალური მარცვალთმახვილი: შა ნიშნავს 'დედა, დედაბერი', როცა იგი ატარებს თანაბრად ამალღებულ მახვილს; შა ნიშნავს აგრეთვე 'ცხენი', თუ აღმავალი მახვილი აქვს; იგივე შა ნიშნავს 'გინება', როცა დამავალია მახვილი, და 'კანაფი', თუ მახვილი თანაბრად დაბალია.

განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ თითოეულ ენაში მარცვალთ-მახვილის ლინგვისტურ-ფონოლოგიურად გამოყენება შეზღუდულია: იშვიათია ენა, რომელსაც მარცვალთმახვილის 4—5 ტიპზე მეტი ჰქონდეს გამოყენებული ლინგვისტურ-ფონოლოგიურად, — მიუხედავად იმისა, რომ რეალურად, ცოცხალ მეტყველებაში, მისი სხვადასხვაობა შეუზღუდველია (შეად., მაგალითად, ზემოთ მოყვანილი ქართულის ნიმუში: ხვალ შესაძლებელია წარმოითქვას — ისე როგორც ყოველი სხვა მარცვალი — მარცვალთმახვილის უამრავი სახეობების გამოყენებით; ლინგვისტურ-ფონოლოგიურად კი მარცვალთმახვილის არც ერთი ტიპი არაა გამოყენებული ქართულში).

აქ განხილულია ერთმარცვლიანი სიტყვა, ე. ი. არა უაზრო ცალკეული მარცვალი, როგორცაა, ვთქვათ, რვე —, -უ-, —ლი, არამედ აზრის მატარებელი მარცვალი; ეს იმ მიზნით, რომ მეტი სისრულით გამოვვემეღავნებინა მარცვლის სამახვილო შესაძლებლობანი. ანალოგიურად გაანალიზდება მარცვალი ერთზე მეტ მარცვლიან სიტყვაში.

## ბ. სიტყვათმახვილი

ერთზე მეტ მარცვლიან სიტყვაში ერთ-ერთი მარცვლის დანარჩენ მარცვალთაგან სიძლიერით ან სიმალლით გამოყოფა-გამოჩინებას ეწოდება სიტყვათმახვილი, ხოლო ამგვარად გამოყოფილ-გამოჩინებულ მარცვალს — მახვილიანი მარცვალი.

სიტყვათმახვილი განსხვავდება მარცვალთმახვილისაგან იმით, რომ სიტყვათმახვილისათვის მთავარია მახვილიანი მარცვლის გამოყოფა-გამოჩინება ამავე სიტყვის დანარჩენ მარცვალთაგან, ხოლო მარცვალთ-მახვილისათვის მთავარია სიძლიერე-სიმალლის მოდულაცია ერთი მარცვლის ფარგლებში. სიტყვათმახვილი წარმოადგენს სიტყვის ფონეტიკური მთლიანობის ფაქტორს: მას ექვემდებარება სიტყვის დანარჩენი მარცვლები; მარცვალთმახვილს ასეთი დანიშნულება არა აქვს: იგი მხოლოდ უპირისპირდება თავისი სიძლიერე-სიმალლითა და მოდულაციით სხვა მარცვლებს.

ერთზე მეტ მარცვლიან სიტყვაში სიძლიერე-სიმალლით გამოყოფილ-გამოჩინებული მარცვლის მახვილს გვძახით სიტყვის მთავარ მახვილს.

მთავარმახვილიანი მარცვალის უპირისპირდება სიტყვაში დანარჩენ მარცვლებს, რომელნიც, თავის მხრივ, ზოდი არიან ერთმანეთის თანაბარნი სიძლიერე-სიმაღლით ან ამათი მოდულაციით. მაგ., რუს. სიტყვაში **красота** — წარმოითქმის დაახლოებით **краса́та** — მთავარ-(დინამიკურ)-მახვილიანი მარცვალაა **та́**, ხოლო მეორეხარისხოვანი მახვილები აქვეს-ორ დანარჩენ მარცვალსაც: **крас-са** და **са-ს**. ეს რომ ასეა, ჩანს იქიდან, რომ **крас** და **са** ერთმანეთისაგანაც განსხვავდებიან სიძლიერით: **крас** უფრო სუსტად წარმოითქმის, ვიდრე **са**.

სიტყვის მეორეხარისხოვან მახვილებს ვეძახით თანამახვილებს.

იმ სამი მარცვლიდან, რომლებიც შეადგენენ სიტყვას **красота**, მარცვალთმახვილი ყველაზე სრულად რეალიზებულია მთავარმახვილიან მარცვალში, ყველაზე ნაკლებ—პირველ თანამახვილიან მარცვალში (**крас**-ში).

ლინგვისტური სიტყვათმახვილი ზოგ ენას დინამიკური აქვეს-ზოგს — მუსიკალური ანუ ტონური. მაგ., რუსულ ენაში სიტყვათმახვილი დინამიკურია, ე. ი. მახვილიანი მარცვალის გამოიყოფა სიტყვაში სიძლიერით; ასეთივეა სიტყვათმახვილი ფრანგულში, გერმანულში და ბევრ სხვა ენაში. მაგრამ სიტყვათმახვილი ტონური აქვეს, მაგ., ჩინურს, ნორვეგიულს, ლიტავურს, სერბულს და ბევრ სხვას, ე. ი. ამ ენების სიტყვაში მახვილიანი მარცვალის გამოიყოფა სიმაღლით. კერძოდ, ტონური სიტყვათმახვილი იყო ძველ ბერძნულსა და ძველ ინდურში.

არც ერთ ამ დასახელებულ ენათაგანს არა აქვეს მხოლოდ ერთი ტიპის მახვილი: მხოლოდ დინამიკური ან მხოლოდ ტონური; თითოეულ მათგანს აქვეს უპირატესად ერთი (მაგ., დინამიკური) მეორის (მაგ., მუსიკალურის) ელემენტებით.

აქედან, რა თქმა უნდა, არ გამომდინარეობს, რომ დინამიკური-ლინგვისტური სიტყვათმახვილი დასახელებული პირველი წყების ენებში ერთნაირია ან რომ ტონური-ლინგვისტური მახვილი მეორე წყების ენებში ერთნაირია. ფრანგულში, მაგ., დინამიკური სიტყვათმახვილი უფრო სუსტია, ვიდრე რუსულში ან გერმანულში; განსხვავება აგრეთვე რუსულისა და გერმანულის დინამიკურ სიტყვათმახვილთა შორის.

ქართულში, როგორც ჩანს, სიტყვათმახვილი აგრეთვე დინამიკურია, მაგრამ ძლიერ სუსტი, უფრო სუსტი, ვიდრე ფრანგულში, ე. ი. ქართულ მეტყველებაში სიტყვათმახვილი არ გამოიყოფა ისეთი სიძლიერით, როგორც ფრანგულში და, მით უმეტეს, როგორც რუსულში.

ასეთივე თავისებური აქვეს ტონური სიტყვათმახვილი მეორე წყების ტონურმახვილიან ენებსაც.

ამგვარად, ლინგვისტური სიტყვათმახვილი შესაძლებელია თავისებური ჰქონდეს თითოეულ ენას (და კილოსაც კი).

ლინგვისტური სიტყვათმახვილი ზოგ ენაში უძრავია, ფიქსირებულია, ხოლო ზოგში — მოძრავი, თავისუფალი, არაფიქსირებული. უძრავმახვილიან ენებში სიტყვის მთავარი მახვილი მუდამ მერამდენემე (პირველზე, მეორეზე, მესამეზე...) მარცვალზეა ცალკეულ სიტყვაში; მაგ., ფრანგულ ენაში სიტყვათმახვილი თითქმის მუდამ პირველ მარცვალზეა ბოლოდან (ე. ი. მახვილი ბოლომარცვალზეა); ასევეა სომხურში, თურქულში და ბევრ სხვა ენაში; პოლონურ ენაში მთავარი მახვილი სიტყვისა ბოლოდან მეორე მარცვალზეა (ე. ი. წინაბოლო მარცვალზე); დღევანდელ ქართულში სიტყვის მესამე მარცვალზეა ბოლოდან სამ- და მეტ მარცვლიან სიტყვებში (ორ მარცვლიანში მეორეზე ბოლოდან) და ა. შ.

ზოგ ენაში მთავარი სიტყვათმახვილი სიტყვის თავშია (ე. ი. ბოლოდან უკანასკნელ მარცვალზე): ასეთია, მაგ., ჩეხური ენა, ფინური ენა; გერმანულში მახვილი სიტყვის თავშია ან სიტყვის ძირეულ მარცვალზე.

ყველა ჩამოთვლილ ენაში სიტყვათმახვილის ადგილი შეზღუდულია ერთი რომელიმე (მერამდენემე) მარცვლით; მაგრამ არის ენები, რომლებშიც სიტყვათმახვილის ადგილი, მართალია, შეზღუდულია, მაგრამ არა მხოლოდ ერთი მარცვლით, არამედ ორით (მაგ., ლათინურში სიტყვათმახვილი მეორეზეა ბოლოდან ან მესამეზე) ან სამით (მაგ., ძველ ბერძნულში სიტყვათმახვილი შეიძლებაოდა ჰქონოდა სიტყვის ერთ-ერთ სამ მარცვალთაგანს ბოლოდან).

მოძრავი ანუ თავისუფალი სიტყვათმახვილის მქონე ენის ნიმუშად შეგვიძლია განვიხილოთ რუსული ენა.

რუსულში მთავარი ლინგვისტური სიტყვათმახვილი — რაგვარობით დინამიკური — არაა შეზღუდული სამახვილო მარცვლის მერამდენეობით სიტყვაში: მთავარი მახვილი შესაძლებელია იყოს ბოლოდან პირველ მარცვალზე (рѣзак 'თავი, მეთაური'), მეორეზეც (рабѣта 'სამუშაო, მუშაობა'), მესამეზეც (время 'დროისა'), მეოთხეზეც (напрѣток 'გამოშუშავება'), მეხუთეზეც (загородного 'ქალაქგარეთისა') და შესაძლოა უფრო შორსაც ბოლოდან.

მოძრავი სიტყვათმახვილისათვის დამახასიათებელია, რომ მას ეკისრება ენაში (აქ რუსულში) გრამატიკული და სემასიოლოგიური ფუნქცია, ე. ი. მას აქვს ფონოლოგიური დანიშნულება. მაგ., რუსული рѣзак (მხლ. რიცხვ. ნათეს. ბრ.) 'თვალისა', მაგრამ рѣзак (მრავლ. რიცხვ. სახელ.-ბრალდ. ბრ.) 'თვალეები'; мѣся 'ტანჯვა' — мѣся 'ფქვილი' და მრავალი სხვა.

ზოგიერთ მოძრავმახვილიან ენას აქვს მრავალი სიტყვა, რომლებშიც მახვილის ადგილი უცვლელია ფორმათა წარმოებაში; ასეთ მახვილს ეძახიან მუდმივ მახვილს. მუდმივი სიტყვათმახვილი აქვს, მაგ., რუსულში მრავალ სიტყვას: дѣмья, вѣрна, мечта, пѣня, дѣмать, рѣзакъ, жѣмь და მრავალი სხვა, რომლებშიც მახვილი ადგილს არ იცვლის

სხედასხვა ფორმებში შეადარე ამათ, მაგ.: голова (მაგრამ r'ólovu), горѣ (მაგრამ r'óry), стол (მაგრამ stolá); пины (მაგრამ p'ínep'ny), бѣла (მაგრამ b'elá) და სხვა.

უძრავმახვილიანი ენის ნიმუშად შეგვიძლია მოვიყვანოთ ფრანგული ენა, რომელშიც, საერთოდ მიღებული აზრის თანახმად, სიტყვათმახვილი სიტყვის ბოლო მარცვალზეა თითქმის ყოველთვის (არაა ბოლო მარცვალზე მხოლოდ მაშინ, თუ ამ მარცვლის სამახვილო ბოლო ხმოვანია e-ხმოვანი — e-მუნჯის ერთი სახეობა; მაგრამ e-საც შეიძლება მახვილი მოხედეს, თუკი იგი წარმოდგენილია le-ნაცვალსახელით, მაგ.: donne-le 'შიეც იგი' წარმოითქმის don'l'e). მაგ., chanter 'მღერა' — წარმოითქმის sã:té; ouvrier 'მუშა' — uvrié (მახვილი ბოლომარცვალზე); მაგრამ: quatre 'ოთხი' — kãtrã, défendre 'დაცვა' — defã:d'rã (მახვილი არაა ბოლო მარცვალზე, რადგან სამახვილო მარცვლის ხმოვანია ბოლოში e).

აკად. ლ. შჩერბას აზრი, რომ „არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია ვილაპარაკოთ სიტყვათმახვილის არსებობის შესახებ ფრანგულ ენაში, არამედ უნდა ვილაპარაკოთ მხოლოდ „საფრაზო მახვილის შესახებ.“, მოითხოვს საგანგებო განხილვას.

აქ კი შევნიშნავთ მხოლოდ, რომ არ შეიძლება არსებობდეს უსიტყვათმახვილო ენა, რამდენადაც ყოველ ენაში არსებობს სიტყვა, როგორც აზრობრივი თუ ფონეტიკური ოდენობა. ადამიანთა ურთიერთობაში არსებობს მრავალი ისეთი სიტუაცია, როცა მოქმედი იძულებულია ილაპარაკოს (მაგ., უპასუხოს, უბრძანოს, გაუწყრეს, გაიკვიროს...) ცალკეული სიტყვებით და, მაშასადამე, იხმაროს სიტყვათმახვილი: სიტყვა კომეტადრე დამოუკიდებელი მნიშვნელობის მატარებელი, ყოველ ენაში ჩვეულებრივ მახვილიანია.

ფრანგულში, როგორც ტიპურად უძრავმახვილიან ენაში, მახვილს არა აქვს ფონოლოგიური დანიშნულება, ე. ი. მახვილი არაა გამოყენებული სიტყვათა გრამატიკულ-სემასიოლოგიური დიფერენცირებისათვის.

მოძრავ და უძრავმახვილიან ენათა შორის საშუალო ადგილი უკავია, მაგ., გერმანულ სალიტერატურო ენას. უძველეს ხანაში გერმანული, როგორც ყველა ძველი ინდოევროპული ენები, მოძრავმახვილიანი იყო, დღეს კი იგი ძირითადად უძრავმახვილიანია: მახვილს ტენდენცია აქვს დაიკავოს სიტყვის საწყისი ან სიტყვის ძირისეული მარცვალი (იხ. ზემოთ).

დღევანდელი სალიტერატურო გერმანული რომ არაა ტიპურად უძრავმახვილიანი ენა, ჩანს იქიდანაც, რომ მასში სიტყვათმახვილს

ზოგჯერ ეკისრება ფონოლოგიური ფუნქცია; მაგ.: übersetzen 'გადატანა, გადაყვანა' — übersétzen 'გადათარგმნა'; umgehen 'ურთიერთობის ქონა'... — umgéhén 'შემოვლა'; damit 'ამით'... — dami't 'რათა'; modern 'ლპობა, ხრწნა' — modérn 'მოდისა, თანამედროვე' და სხვა.

ამასვე მოწმობს ის გარემოება, რომ უცხოური ენებიდან ნასესხები სიტყვები გერმანულში ხშირად ინარჩუნებენ თავიანთი სიტყვათმახვილის ადგილს; მაგ., Major 'მაიორი', Prisión 'სატუსალო', Matelot (წარმო-



ითქმის *matlis*) 'მატროსი' და სხვა წრავალი (ე. ი. მახვილის ადგილი ფრანგულისებურია, რადგანაც ისინი ფრანგულიდანაა ნასესხები).

ტიპურად უძრავმახვილიანი ენები კი ყოველ უცხოურ სიტყვას უცვლიან ხოლმე მახვილის ადგილს თავისი სამახვილო ნორმების შესაფერისად. ასეთია, მაგ., ფრანგული, რომელშიც ყოველ უცხოურ სიტყვას ბოლოში აქვს მახვილი; ასეთივეა ქართულიც: ყველა უცხოურ სიტყვას—ზოგადს თუ საკუთარ სახელს—აძლევს მახვილს იმადგილას, სადაც სჩვევია თვითონ ქართულს, მაგ.: ვოდქვილი, ინსტრტუტი, კონგრესი, ნაროდნიკები, ტურგენეფს, ტრლსტოი, ოფიცერი და მრ. სხვა.

### სიტყვათმახვილი ქართულში

ზემოთ აღნიშნული გვაქვს, რომ ქართული სიტყვათმახვილი რომელობით ძირითადად დინამიკურია, ხოლო ადგილის მიხედვით იგი მეორე მარცვალზეა (ორმარცვლიანში) ან მესამეზე (სამ- და მეტმარცვლიან სიტყვაში ბოლოდან).

საჭიროა უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ქართულის სიტყვათმახვილის საკითხი.

ნ. მარის აზრით\*, ქართულ სიტყვაში მახვილიანი მარცვლებია ბოლოდან მეორე და მესამე; მრავალმარცვლიან (ე. ი. ორზე მეტ მარცვლიან) სიტყვაში მახვილი შეიძლება იყოს ბოლოდან მეორეზე ან მესამეზე: ქართველი — ქართველი, მარგალიტი — მარგალიტი და სხვა. ოთხ- და ხუთმარცვლიან სიტყვებში ორი მახვილი შეიძლება იყოს (მარგალიტი, მწმენბელი), ხოლო ამათზე მეტ მარცვლიანებში მეორე მახვილი სავალდებულოა (აღმაშენბელი).

აქ არ ჩანს, თუ რომელ მახვილად თვის ნ. მარი ქართულ მახვილს — დინამიკურად თუ მუსიკალურად. მაგრამ ამის შემდეგ გამოსულ შრომაში\*\* ქართული მახვილი კვალიფიცირებულია როგორც მუსიკალური (ტონური), „რომელიც მდგომარეობს მახვილიან მარცვალზე ხმის აწვევაში“... მახვილის ადგილის შესახებ განმეორებულია ზემომოყვანილი აზრი.

მახვილის ადგილი სიტყვაში ნ. მარს საერთოდ სწორად აქვს დადგენილი (იმის გამოკლებით, რომ სამმარცვლიანში, ძითქოს, მახვილი მეორე მარცვალზე შეიძლებაოდეს); სავსებით გასაზიარებელია აგრეთვე მეორე მახვილის (ე. ი. თანამახვილის) არსებობა ოთხსა და მეტ მარცვლიან სიტყვაში.

მაგრამ, რაც შეეხება დებულებას, რომ მრავალმარცვლიან სიტყვაში (მაგ., ქართველი, მარგალიტი) მახვილი შესაძლებელია მეორე მარცვალზე ბოლოდან (ქართველი, მარგალიტი), ანაა არ ადასტურებს ჩვენი

\* Н. М а р р, Грамматика древнеапостольного грузинского языка, 1925, გვ. 13 და შემდ.

\*\* N. M a r r, et M. Brière, La langue Géorgienne, 1931, გვ. 14 და შემდ.

დაკვირვება: მთავარი სიტყვათმახვილი ქართულ მრავალმარცვლიან სიტყვაში შესაძლებელია მხოლოდ მესამე მარცვალზე ბოლოდან.

ქართული სიტყვათმახვილის დღემდე შენახული გარკვეული ადგილი (მეორე ან მესამე მარცვალი) რომ ძველი (არა უძველესი!) მოვლენაა, ამას ადასტურებს ზანურის ორივე დიალექტი—მეგრული და ქანური, რომლებშიც აგრეთვე დაცულია სიტყვათმახვილის ეს ადგილი. „ორმარცვლიან სიტყვებში მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზეა, სამდა მეტ მარცვლიანებში—ბოლოდან მესამე მარცვალზე“ (არ. ჩიქობავა, ქანურის გრამატიკული ანალიზი, 1936, გვ. 41). საყურადღებოა, რომ ქანურში, ისე როგორც ქართულის მთიულურსა და ზემორაქულში, უვხვდება ტონური მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზე, რომლის ხმოვანი გაგრძელებულად წარმოითქმის (იხ. იქვე, გვ. 42; აგრეთვე ზემოთ, გვ. 124).

ქართული მახვილის ექსპერიმენტული კვლევა აწარმოა ე. ვ. ზელმერმა ჰ. ფოგტის ინიციატივით (ეს უკანასკნელი ქართულის კარგი მცოდნეა).

ჰ. ფოგტის მოსაზრება, რომ „ქართულს არა აქვს მკაფიოდ გამოხატული არც დინამიკური და არცა მუსიკალური (ტონური) მახვილი“, დაუდასტურებია ზელმერის ექსპერიმენტულ კვლევას. მაგრამ საერთოდ ორივენი იმ აზრისკენ იხრებიან, რომ ქართულს მეტწილად უნდა ჰქონდეს ტონური სიტყვათმახვილი, ხოლო მასთანვე დინამიკურიც.

ეს აზრი უახლოვდება ნ. მარის მიერ 1931 წ. გამოთქმულს.

სამწუხაროდ, ზელმერის დასკვნები დამყარებულია ძლიერ ცოტა მასალის კვლევაზე (მაგ., ოთხმარცვლიანი სიტყვა მხოლოდ ერთი ჰქონია). თუ ამას დაუმატებთ, რომ, დინამიკური მახვილის კვლევის მეთოდური სიძნელის გამო, მას დინამიკური მახვილის შესახებ დასკვნა მიუღია არაპირდაპირი დაკვირვებით, ზელმერისა და ფოგტის დასკვნები უეჭვოდ მისაღები ვერ იქნება.

ჩვენი დაკვირვებით, სალიტერატურო ქართულში დღეს სუსტი (გვ. 132) დინამიკური სიტყვათმახვილია დომინანტი, მაგრამ მასში ჩანს აგრეთვე ტონურობის ელემენტიც.

ქართული მახვილის საკითხი უართოდ (არა მხოლოდ მახვილის ადგილის თვალსაზრისით) და შედარებით-ისტორიულად განიხილა არნ. ჩიქობავამ<sup>1</sup>. იგი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ახალი ქართულისა და ძველი ქართულის მახვილი ერთმანეთისაგან ძლიერ განსხვავებულია: ახალ ქართულში მახვილი სუსტ-დინამიკურია თავისი რომელიღაცით და სიტყვაში ფიქსირებულია თავისი ადგილის მიხედვით; ძველ ქართულში კი მახვილი ძლიერ-დინამიკურია და არაფიქსირებული, თავისუფალი: იგი შეიძ-

<sup>1</sup> იხ. მისი „მახვილის საკითხისათვის ქართულში“—საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. III, № 2, 3, 1942, გვ. 191—198 და 298—303.

ლებოდა მოხვედროდა სიტყვის უკანასკნელ მარცვალს და იწვევდა მის წინ მდგომი მარცვლის ხმოვნის ამოვარდნას (მაგ., \*ძამ-ა > ძმან; შეად. ჭან. ჯუმა, მეგრ. ჯიმა); შეიძლებოდა მოხვედროდა სიტყვის პირველ მარცვალს და იწვევდა მომდევნო მარცვლის ხმოვნის ამოვარდნას (მაგ., \*თაფ-ალ > თაფ-ლი; შეად. მეგრ.-ჭან. თოფ-ური). თუ რა სიძლიერისა უნდა ყოფილიყო მახვილი ძველ ქართულში, ჩანს ისეთი შემთხვევებიდან, როგორცაა, მაგ., იფქლი < \*ჩ-ფექ-ალ, სადაც პირველი მარცვალის მახვილმა გამოიწვია ხმოვნების დაკარგვა ორ მომდევნო მარცვალში.

ზანურში (ჭანურსა და მეგრულში) ბატონობდა, ალბათ, მუსიკალური მახვილიყო, ამბობს არნ. ჩიქობავა: ჭანურისა-და მეგრულის სრულ-ხმოვნობა (ძად-ლი || ზან. ჯოლორი, შატლი || ზან. შუნტური და სხვა) შეუძლებელი იქნებოდა ძველი ქართულისებრი მახვილის მოქმედებისასო.

თუ დღესაც გვაქვს სალიტერატურო ქართულში ხმოვანთა ამოვარდნა (მაგ., მეგობარი — მეგობრის, მასწავლებელი — მასწავლებლის), ეს უფრო ტრადიციული ნორმის შედეგია, ვიდრე მახვილის გავლენისაო (იქვე).

ძველი (და უძველესი) ქართული მახვილის აღდგენის მეთოდი უეჭველად სწორადაა მიკვლეული; ამდენად არნ. ჩიქობავას ეს გამოკვლევა წარმოადგენს ქართული მახვილისა და ისტორიული ვოკალიზმის კვლევის ახალ ეტაპს. დასკვნებიც ექვემოშუტანელი ჩანს.

გფიქრობ მხოლოდ, რომ ძლიერი დინამიკური მახვილის ასეთი მოქმედება უნდა ივარაუდებოდეს უძველეს (მწერლობამდელ) ქართულში — დაპირისპირებით ზანურთან, როპელსაც იმთავითვე მუსიკალური მახვილი უნდა ჰქონოდა. ძველი (მწერლობით დადასტურებული (ქართულის ისეთი მერყეობა, როგორცაა ხადიდებულად — ხადიდებლად (რაც აღდგომდა დამახასიათებელი ქართულისათვის) მოწმობს იმას, რომ უკვე ძველი ქართულზე ითქმის ის, რასაც ავტორი ახალ ქართულზე ამბობს („უფრო ტრადიციული ნორმის შედეგია, ვიდრე მახვილის გავლენისა“).

ხმოვანთდაკარგვითი რედუქცია ქართულში (იხ. ქვემოთ გვ. 214) მოწმობს ძლიერ-დინამიკური მახვილის არსებობას უძველეს ქართულში. ამასვე უკერს მხარს მოძრავი მახვილი და ძლიერ-დინამიკური (მარედუცირებელი) მახვილის გადმონაშთები, რაც შემონახული აქვს ქართველურ ენათა შორის ყველაზე არქაულ ენას — სვანურს (დიალექტებში).

სვანურში შეიმჩნევა ტენდენცია სიტყვაში მახვილის ადგილის ფიქსირებისა — სახელდობრ, ბოლოდან მეორე მარცვალზე (ს. ჟლენტი, სვან. ფონეტიკის ძირითადი საკითხები, ხელნაწ. 1946, გვ. 146 და შემდ.).

ქართულისა და ზანურის ფიქსირებული მახვილი მეორეული მოვლენა უნდა იყოს (იხ. აგრეთვე ქვემოთ გვ. 211 და შემდ.).

## ზ. შესიტყვების მახვილი

შესიტყვების, როგორც სიტყვათა ორგანიზებული შეერთების, მახვილი განსხვავებულია მარცვალთ და სიტყვათმახვილისაგან. შესიტყვება წარმოადგენს ფონეტიკურ მთლიანობას მაშინაც, როცა ის გამოხატავს დამთავრებულ აზრს (ე. ი. როცა იგი წინადადებაა, მაგ.: „უფრო დიადი მომავლის დღე ჩანს“) და მაშინაც, როცა იგი გამოხატავს აზრის მხოლოდ ნაწილს (მაგ., „მომავლის დღე“).

შესიტყვების ფონეტიკური მთლიანობის ფაქტორია მახვილი, ისე, როგორც მარცვლისა და სიტყვის. განსხვავება იმაშია, რომ შესიტყვებას ამთლიანებს მეტწილად მუსიკალური ანუ ტონური მახვილი, ინტონაცია, მაშინ როდესაც მარცვალთა და სიტყვათმახვილი ზოგჯერ დინამიკურია და ზოგჯერ ტონური. ამიტომ შესიტყვების მახვილს ხშირად უწოდებენ შესიტყვების ინტონაციას.

შესიტყვებაში ზოგჯერ მოკლე (ჩვეულებრივ ერთმარცვლიანი) სიტყვები უმახვილოა, რის გამოც ისინი ეკედლებიან მომდევნოს ან წინმდგომ მახვილთან სიტყვას. მაგ., ასეთია კავშირები, ნაწილაკები, თანდებულები, ზოგიერთი ნაცვალსახელი და სხვა. როცა ისინი ეკედლებიან მომდევნო სიტყვას, მათ ეძახიან პროკლიტიკებს, ხოლო როცა ეკედლებიან წინმდგომს, ეძახიან ენკლიტიკებს. „თან მოჰყვებოდა დედას“ (თან პროკლიტიკა); „შან კი სხვა ხურდა“ (კი ენკლიტიკა).

ზემოთ აღნიშნული იყო ლოგიკურ-ემოციური მახვილის მრავალფეროვნება მარცვალში, სიტყვაში და, მეტადრე, შესიტყვებაში.

ამოუწყველია შესიტყვების ლოგიკურ-ემოციური მახვილის მრავალსახეობა თითოეულ ენაში.


მაგრამ თითოეულ ენას აქვს რამდენიმე ტრადიციულად დამკვიდრებული ტიპი შესიტყვების მახვილისა. ესაა ლინგვისტური მახვილშესიტყვებისა.

ზოგიერთი მათგანი გამოხატულია წერაში სასვენი ნიშნებით. ასეთია, სახელდობრ, შესიტყვების მახვილი თხრობითსა, კითხვისა და ძახილის შესიტყვებებში.

სასვენი ნიშნები ერთნაირია მრავალ ენაში: თხრობითი შესიტყვების ბოლოს იწერება წერტილი, კითხვითის ბოლოს — კითხვის ნიშანი, ხოლო ძახილის ბოლოს — გაკვირვების ნიშანი; მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თითოეული მათგანის შესიტყვების მახვილი ანუ ინტონაცია ერთნაირი იყოს. პირიქით, იშვიათია ორი სხვადასხვა ენა, რომელთაც შესიტყვების ინტონაცია ერთნაირი ჰქონდეს ერთი და იმავე ტიპის (მაგ., თხრობითის) შესიტყვებაში. მაგ., დიდი განსხვავებაა ქართულის თხრობითისა და რუსულის თხრობითი შესიტყვების ინტონაციას შორის, ქართულის კითხვითსა და რუსულის კითხვითს შორის და ა. შ.

ყოველი თხრობითი შესიტყვება თავდება დაბალი ტონით, რაც წერაში აღინიშნება წერტილით. მაგ.: *ოთარაანთ ქვრივი, გავიდა ოთხი წელიწადი. გაზაფხულის პირი იყო. პეტრეს ქალაქში ერთი ორიოდ დღე მოუგვიანდა.*

შესიტყვებათა პირველ სიტყვებზე ტონი თანდათან მაღლდება, ხოლო ბოლოსკენ დაბლდება. ტონის მოძრაობის საერთო სურათი ასეთია\*:



რაც უფრო ვრცელია შესიტყვება, მით რთულია ტონის მოდულაცია თითოეული ნახევრის შიგნით. ამ ოთხში ყველაზე მარტივია ინტონაცია პირველ შესიტყვებაში, ყველაზე რთული — მეოთხეში.

კიდევ უფრო მეტადაა რთული ინტონაცია რთულ წინადადებაში: დღეს ხალაშოზე, მზე რომ გადაიხრება, უნდა ქარაგანი დაიძრას. მთავარისა და დამოკიდებული წინადადების მიჯნაზე (აქ ორჯერ: ხალაშოზე-ს ბოლოს და გადაიხრება-ს ბოლოს) იწერება მძიმე, რაც იმას გამოხატავს, რომ ამ ადგილას ტონი მაღლდება.

საყურადღებოა, რომ რთულ წინადადებაში ტონი მაღლდება პირველი წინადადების ბოლოს — სულ ერთია, მთავარია იგი თუ დამოკიდებული (შეად., მაგ.: *კარგი იქნება, თუ მოხვალ და თუ მოხვალ, კარგი იქნება*; ორივე შემთხვევაში ინტონაციის სქემა ასეთია:

რთული წინადადების შიგნით ტონის ამალლებასთან (და, მაშასადამე, მძიმის ხმარებასთან) დაკავშირებით აღვნიშნავთ კიდევ შემდეგს:

მიღებულია მძიმის დასმა რომ-ით დაწყებულ დამოკიდებულ წინადადებაში მხოლოდ რომ-ის წინ; ნამდვილად კი ტონის ამალლება ხდება რომ-ის შემდეგ; მაგ.: *„კვირა არ გავიდოდა, რომ ოთარაანთ ქვრივს არ ჩამოეღო ეს იარაღი“* (ინტონაცია იცვლება რომ-ის მიმყოფ: ტონი მაღლდება აქ).

საყურადღებოა აგრეთვე ტონის ამალლება წინადადების შიგნით თანაგვაროვან წევრთა განმეორებისას; მაგ.: *„... ნახვდით ბუდით ჩამოკიდებულს... თოფს, ხმალს..., ხანჯალს, დამბაჩას, სახწრაფოს და ხაპირწამლეს“*; თითოეული თანაგვაროვანი წევრი, უკანასკნელის გარდა, წარმოითქმება ამალლებული ტონით წყვეტილად (ე. ი. ხმა შეწყდება მომდევნო სიტყვის დაბლად დაწყებამდე). ტონის ასეთ ამალლებას ვეძახით *მოლოდინის ინტონაცია*.

კერძოდ, ასეთი ინტონაცია გვაქვს თვლაში, სადაც თითოეული ამალლებული ტონი გვიჩვენებს თვლის გაგრძელებას, ხოლო დადაბლებული — თვლის გათავებას: *ერთი, ორი, სამი, ოთხი.*

\* სქემას არა აქვს სიხუსტის პრეტენზია. ტონის მოდულაცია I-ისა და II ნაკვეთის შიგნით სქემაზე არ აღვნიშნავს.

ამგვარად, თხრობითი ტიპის ყველა შესიტყვებისათვის საერთოა აღმავალი ინტონაცია.

### კითხვითი უსიტყვების მახვილი ჰართულში

ყოველი კითხვითი შესიტყვების ბოლოს იწერება კითხვის ნიშანი, მაგრამ კითხვითი ინტონაცია არაა ყოველთვის ერთნაირი.

— რა ამბავია? — რაღაც ჩხუბი მოხვლიათ. — ვისა და ვის? — გიორგისა და მეჯინიბეს. — რაზედ? — სწორედ არც მე ვიცი... — ჩხუბი მოგვივიდა?

კითხვითი ინტონაცია ბევრნაირია, მაგრამ მათი უმრავლესობა ჯგუფდება ორი მთავარი ტიპის გარშემო: ერთია ის ტიპი, რომელშიც ინტონაცია აღმავალია (ბოლო სიტყვის ტონი მაღლდება: ჩხუბი მოგვივიდა?)

მეორეა ის, რომელშიც ინტონაცია დამავალია შესიტყვების ბოლოს, მაგრამ ტონი ძლიერდება და ოდნავ მაღლდება შესიტყვების შიგნით, სახელდობრ, კითხვითს სიტყვაზე: რა ამბავია?

პირველი ტიპის ინტონაცია გვაქვს მაშინ, როცა შესიტყვებაში არაა კითხვითი სიტყვა; ხოლო მეორე ტიპისა, — როცა შესიტყვებაში კითხვითი სიტყვა არის.

საყურადღებოა, რომ მეორე ტიპის კითხვითი შესიტყვების შიგნით (რა ამბავია?) სიძლიერე სპარბობს სიმაღლეს. ამავე ტიპის შესიტყვებაში ინტონაცია, როგორც ითქვა, დამავალია, მაგრამ არა იმ სიღრმეში, როგორც თხრობითში, ე. ი. კითხვითი შესიტყვების მეორე ტიპის ინტონაცია უფრო მაღალია, ვიდრე თხრობითისა.

აღვნიშნავთ აგრეთვე შემთხვევას, როცა კითხვითს შესიტყვებაში კითხვითი სიტყვა არის, მაგრამ ინტონაცია აღმავალია. ასეთია ე. წ. განმეორებული შეკითხვის ინტონაცია: როდის მოდიხარ? (ჩვეულებრივი მეორე ტიპის ინტონაცია). მაგრამ როცა ამ შეკითხვის მთქმელმა პასუხი (ხვალ, ზეგ...) ვერ გაიგონა, ან გაიგონა, მაგრამ დაავიწყდა, — ხელმეორედ ჰკითხა: როდის მიდიხარ? — აქ გვაქვს ისეთივე აღმავალი ინტონაცია, როგორც პირველ ტიპში — მიუხედავად იმისა, რომ შესიტყვება მეორე ტიპისაა.

### ძახილის უსიტყვების მახვილი ჰართულში

ძახილის შესიტყვება მრავალი რისამე გამომხატველი შეიძლება იყოს. მასში შეიძლება გამოიხატებოდეს ბრძანება, ნატვრა, თხოვნა, წაქეზება, გაკვირვება, აღტაცება, მწუხარება და მრავალი მისთანა. ამის კვალობაზე მრავალფეროვანია ძახილის შესიტყვების ინტონაციაც. მაგრამ წერაში ძახილის შესიტყვების ნიშანი ერთია — გაკვირვების ნიშანი.

ჰაი, ჰაი, რომ ცოდოა!... შენი მტერიმც:ნუ ყოფილა ასე!... შეი--  
ლო, გიორგის აბა ერთი მომხედვე შენს დედას!... რა დაგემართა!... ხახუ-  
კი... არ უტიროდა, არა!

ძახილის შესიტყვებაში მახვილი ჩანს, მეტწილად შესიტყვების შიგ-  
ნით და არა მის ბოლოს; და ეს მახვილი უფრო ხშირად დინამიკურია  
და არა ტონური. მეტადრე გაძლიერებულია ბრძანებისა, წაქეზებისა  
და მისთანათა გამონზატველი სიტყვები.

## მ ა რ ც ვ ა ლ ი

ზოგადი ფონეტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხთაგანს წარმოადგენს საკითხი მარცვლის შესახებ, სახელდობრ: გასარკვევია, თუ რა ფონეტიკური ფაქტორი ჰქმნის მარცვალს, როგორია მარცვლის ფონეტიკური შედგენილობა და საწარმოთქმო მოქმედების რომელ მომენტშია მარცვლის ფონეტიკური საზღვარი ანუ მარცვალთვასაყარი.

პრაქტიკულ წერასა ან ბეჭდვაში და წერა-კითხვის სწავლებაში ხშირად გვპირდება სიტყვის, როგორც მნიშვნელობიანი სამეტყველო ერთეულის, ნაწილებად (მარცვლებად) დაშლა, რასაც დამარცვლას ვეძახით. გასარკვევია აგრეთვე, მაშასადამე, თუ რა ურთიერთობაა პრაქტიკულ დამარცვლასა და ფონეტიკურ მარცვალთვასაყარს შორის.

### 1. პრაქტიკული დამარცვლა და ფონეტიკური მარცვალი

სასკოლო გრამატიკებში მარცვალს, ჩვეულებრივ, ასე ახასიათებენ: „მარცვალი არის ერთი ხმოვანი ან ჯგუფი ხმოვნისა და თანხმოვნისა (ან: ხმოვნისა და თანხმოვნებისა), რომლებიც ჰაერის ერთი ტალღის ამოღებით წარმოითქმის“<sup>1</sup>.

თითქმის ასევეა განსაზღვრული მარცვალი ა. ი. ზემსკისა და სხვათა რუსული ენის გრამატიკაში: „მარცვალია ბგერა ან რამდენიმე ბგერა, რომლებიც წარმოითქმის ამოსუნთქული ჰაერის ერთი ჯახებით“<sup>2</sup>.

იმის გამოსაცნობად, თუ რამდენი მარცვალია, კერძოდ, ქართულ სიტყვაში, ა. შანიძე ამბობს: „...რამდენი ხმოვანიც იწერება სიტყვაში, მარცვალიც იმდენივეა შიგ“ (იქვე).

ხსენებულ რუსულ გრამატიკაშიც დაახლოებით ასეა, სახელდობრ: „...მარცვალთა რიცხვი სიტყვაში უდრის ხმოვან ბგერათა რიცხვს“ (იქვე).

<sup>1</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა. ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი. სახელმძღვანელო V—VII კლასებისათვის, თბ., 1946. გვ. 19.

<sup>2</sup> А. М. Земский, С. Е. Крючков, М. В. Светлаев, Грамматика русского языка, Ч. I. Учебник для педагогических училищ, М. 1948. стр. 8.



აკად. ლ. შჩერბას რედაქციით გამოსულ რუსული ენის გრამატიკაში არათერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ როგორ წარმოიქმნება მარცვალი: ჰაერის ერთი ჯახებით (ანუ ჰაერის ერთი ტალღის ამოღებით) თუ სხვაგვარად; ნათქვამია მხოლოდ, რომ „სიტყვა წარმოთქმისას ადვილად იშლება ნაწილებად, როლებსაც მარცვლები ჰქვია“<sup>1</sup>. რაც შეეხება მარცვალთა რიცხვს, იგივეა განმეორებული, მხოლოდ დართული აქვს სიტყვა „ჩვეულებრივ“: „სიტყვაში ჩვეულებრივ იმდენია მარცვალი, რამდენიც ხმოვანი ბგერებია მასში“ (იქვე).

„როცა ვლაპარაკობთ, ჩვენ ამოვისუნთქავთ ხოლმე ჰაერს არა ერთბაშად, არამედ პატარ-პატარა ჯახებით. რამდენ ასეთ ჯახებას მოვახდენთ ერთი სიტყვის წარმოთქმისას, იმდენ ნაწილად ანუ იმდენ მარცვლად დაიშლება იგი; მაგ., სიტყვაში И-Д-У-Т ორი მარცვალია, სიტყვაში МА-ИИИ-НМ — სამი, სიტყვაში СТОЛ—ერთი“<sup>2</sup>.

აღვნიშნავთ, უკანასკნელ, თუ როგორ განემარტავთ ჩვენ მარცვალს სასკოლო გრამატიკაშივე:

„სიტყვა შეიძლება გაიყოს იმდენ ნაწილად, რამდენიც ხმოვანია მასში: ს ი ტ ყ ვ ი ს ნ ა წ ი ლ ს, რ ო მ ე ლ ი ც შ ე ი ც ა ვ ს ე რ თ ხ მ ო ვ ა ნ ს, ე წ ო დ ე ბ ა მ ა რ ც ვ ა ლ ი“<sup>3</sup>.

საყურადღებოა, რომ სასკოლო გრამატიკებში და ზოგჯერ სამეცნიერო ლიტერატურაშიც ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ სიტყვა ადვილად იშლება მარცვლებად.

მარცვლის რაობის შესახებ ასეთი ზოგადი და მასთანვე სადავო დებულებებით (იხ. ქვემოთ) დაკმაყოფილება იმიტომაა შესაძლებელი სასკოლო გრამატიკებში, რომ სიტყვის პრაქტიკული დამარცვლის წესები, მაგ., სტრიქონიდან სტრიქონში გადატანის მიზნით, არც ერთი სალიტერატურო ენისათვის არაა დადგენილი მეცნიერულ-ფონეტიკური კვლევის შედეგად: ეს პრაქტიკული წესები, მაგ., რუსულში, ქართულში და ევროპულ ენებში, საერთოდ მომდინარეობენ ძველი საბერძნეთის გრამატიკოსებიდან.

პრაქტიკულ დამარცვლაში არც შეიძლება დაცულ იქნეს მეცნიერულ-ფონეტიკური მოთხოვნილება, რადგანაც მასში (პრაქტიკული დამარცვლის წესებში) ითვალისწინებენ აგრეთვე სიტყვის მორფოლოგიურ შედგენილობას; ამასთანავე მეცნიერულ-ფონეტიკური მოთხოვნილების დაცვა გაართულებდა ორთოგრაფიას, რაც სასურველი არ არის.

<sup>1</sup> Грамматика рус. языка. Ч. I. Фонетика и Морфология, Учебник для 5 и 6 классов—под редакцией акад. Л. В. Щербы, 1945, стр. 21.

<sup>2</sup> А. М. Земский და სხვანი, იქვე.

<sup>3</sup> Г. С. Ахвледиანი, Учебник грамматики русского языка для 7-х классов, 1948.

## 2. მარცვალი, როგორც წარმოთქმის უმცირესი ბუნებრივი ელემენტი

მეტყველების ნაკადი შედგება, რა თქმა უნდა, ბგერებისაგან, მაგრამ მისი დაშლა შემადგენელ ბგერებად მხოლოდ ფონეტიკური ანალიზის შედეგია; ე. ი. ვინც არაა დახელოვნებული წარმოთქმული ნაკადის — ცალკეული სიტყვის თუ შესიტყვების — ბგერებად დაშლაში, მას უფრო ეძნელება ეს, ვიდრე მისი დაშლა მარცვლებად.

მაგ., უწიგნური ადვილად დაშლის სიტყვას ფოთოლი მარცვლებად (ფო — თო — ლი), მაგრამ ვერ დაშლის მას ბგერებად (ფ — თ — ლ — ი). კიდევ მეტიც: რამდენადაც შესიტყვება შეიძლება წარმოადგენდეს წარმოთქმის ერთ მთლიან ნაკადს, უწიგნური მას დაშლის მარცვლებად სიტყვის საზღვრის დარღვევით. მაგ., ტყეხ ახხია ფონეტიკურად იშლება: ტყე — ხა — ხხი — ა, მის ადვილას: მი — ხა — დგი — ლახ (ისე როგორც მი — ხა — დგი — მი), ვინც აქ არის: ვინ — ცა — ქა — რის და ა. შ.

ეს იმას მოწმობს, რომ ჩვენი რწყმული მეტყველება (ანუ მეტყველების, წარმოთქმის ნაკადი) შეიძლება დაიშალოს ორგვარად: სიტყვებად (ტყეხ ახხია, მის ადვილას, ვინც აქ არის) და მარცვლებად (ტყე — ხა — ხხი — ა). პირველია მორფოლოგიური-სემანტიკური (ე. ი. ფორმისა და მნიშვნელობის მიხედვით), ხოლო მეორე — ფონეტიკური დაშლა.

ჩვენ ვერ გამოვიცნობთ, თუ რამდენი სიტყვაა უცნობ ენაზე რწყმულად წარმოთქმულ შესიტყვებაში, მაგრამ მარცვალთა რიცხვის გამოცნობა მასში არ არის ძნელი.

აქედან ჩანს, რომ მარცვალი უფრო ბუნებრივი შემადგენელი ელემენტია მეტყველების ნაკადისა, ვიდრე სიტყვა (მხედველობაში გვაქვს წარმოთქმა-გაგონების თვალსაზრისი და არა ფორმისა და მნიშვნელობის).

მარცვალი უფრო ბუნებრივი ელემენტია წარმოთქმის ნაკადისა არა მხოლოდ სიტყვასთან შედარებით, არამედ ცალკეულ ბგერასთან შედარებითაც, როგორც ზემოთაა ნაჩვენები უწიგნურის ნიმუშზე: ცალკეულ ბგერებად დაშლა სიტყვისა ან შესიტყვებისა უფრო ძნელია, ვიდრე მარცვლებად.

ამიტომ შესაძლებელია ითქვას, რომ წარმოთქმა-გაგონების თვალსაზრისით, მარცვალი არის წარმოთქმის უმცირესი ბუნებრივი ელემენტი.

მარცვლის პრობლემა შეიცავს, როგორც ითქვა, შემდეგ საკითხებს: 1) რა ფონეტიკური ფაქტორი ჰქმნის მარცვალს, 2) როგორია მარცვლის შედგენილობა და 3) სადაა მარცვალთგავსად საწარმოთქმო ნაკადში.

პირველი სწუითხი, როგორც ჩანს, ზოგადფონეტიკურია, ე. ი. მარცვლის შემქმნელი ფაქტორი ერთია ყოველ ენაში. რაც შეეხება მარცვლის შედგენილობასა და მარცვალთგასაყარს, ესენი განსხვავებული შეიძლება ჰქონდეს თითოეულ ენას; ამიტომ მარცვლის შედგენილობა და მარცვალთგასაყარი განსხვავებულია ენების მიხედვით.

### 3. მარცვლის წარმომქმნელი ფონეტიკური ფაქტორი

არსებობს რამდენიმე თეორია იმის შესახებ, თუ რა ჰქმნის მარცვალს: ამოსუნთქული ჰაერნაკადის ძალა, ბგერათა სონორობა თუ რაიმე სხვა ფაქტორი. განვიხილავ მათგან სამს.

იმ თეორიას, რომლის მიხედვითაც მარცვალს ჰქმნის ჰაერნაკადის ჯახება, ვეძახით „ჯახების თეორია“. ამ თეორიას მისდევს ზოგი ზემოდანსახელებული სასკოლო გრამატიკა<sup>1</sup>. რადგანაც ჰაერნაკადი ამომდინარეობს არა უწყვეტლევ, არამედ ზედიზედ ჯახებათა რიგით, ამიტომ თითოეული ჯახება ჰქმნის მარცვალს; ამგვარად, ამ თეორიის თანახმად, მარცვალი არის ბგერა ან ბგერათა ჯგუფი, რომელიც წარმოიქმნის ჰაერნაკადის ერთი მთლიანი ჯახებით.

ამ თეორიას მხარს ვერ დაუჭერთ: მართალია, რომ ჰაერნაკადი ამომდინარეობს ნაწყვეტ-ნაწყვეტად, მაგრამ თითოეული „ჯახება“ შეესატყვისება არა მარცვალს, არამედ, უმთავრესად, ცალკეულ ბგერას; მაგ., სიტყვაში სკამს, რომელიც ერთ მარცვალს წარმოადგენს, გვაქვს არანაკლებ სამი „ჯახებისა“.

მეორე თეორიაა „სონორობის თეორია“, რომელიც უკანასკნელ ხანამდე გავრცელებული იყო თითქმის ისე, როგორც პირველი. ამ თეორიის თანახმად, სიტყვაში ან შესიტყვებაში იმდენია მარცვალი, რამდენიც სონორობის მწვერვალია მასში. ეს იმას ნიშნავს, რომ მარცვალსა ჰქმნის მოცემული ბგერათა ჯგუფის ყველაზე სონორული ბგერა, რომლის, როგორც ცენტრის ანუ მწვერვალის, გარშემო ჯგუფდება ბგერათა ამ ჯგუფის დანარჩენი ყველა ბგერა. ამ თეორიით, მაგ., სიტყვაში სკამს ერთი მარცვალია იმიტომ, რომ ა, როგორც ყველაზე სონორი ბგერა ამ ჯგუფში (სონორობის მიხედვით ბგერათა დახარისხების შესახებ იხ. თავი მეორე, გვ. 62), წარმოადგენს ამ ჯგუფის ცენტრს ანუ მარცვლის მწვერვალს. ასეთ შემთხვევაში მარცვლის მწვერვალს (აქ ა-ს) ვეძახიან მარცვლის მატარებელს. ანუ მარცვლოვანს, ხოლო ჯგუფის დანარჩენ ბგერებს უმარცვლოვანს. მოცემულ სიტყვაში (სკამს) მ-ც საკმაოდ სონორია, მაგრამ მას აქ არ შეუძლია იყოს მარცვლის მწვერვალი ანუ მარცვლოვანი; იგი უმარცვლოა, რადგანაც მის გვერდით მასზე მეტად სონორია ა. ბგერათა სხვა გარემოცვაში, მაგ.,

<sup>1</sup> არა-ჩანს, თუ რომელ თეორიას მისდევს შერბასეული და ახლედინის გრამატიკები.

სიტყვაში ნაღმს, მ ჰქმნის მეორე მარცვალს ღმს, სადაც იგი (მ) მეტად სონორია როგორც მის წინ მდგომ ღ-ზე, ისე მომდევნო ხ-ზეც. ასეთსავე სონორულ მარცვალსა ჰქმნის, ამ თეორიით, ლ სიტყვაში სახლს (ხა—ხლს, მაგრამ ხა—ხლი, რომელშიც მარცვლოვანია არა ლ არამედ ი), რ სიტყვაში თე—თრს (მაგრამ თე—თრი), ნ სიტყვაში ი—ფნს (მაგრამ იფნი).

აქედან ჩანს, რომ მარცვლის წარმოქმნაში, ამ თეორიით, მნიშვნელობა აქვს არა სონორობას თავისთავად, არამედ შეფარდებითს სონორობას; ამიტომ ყოველი ბგერა შეიძლება იყოს მარცვლოვანი მასზე ნაკლებ სონორთა გარემოცვაში, მაგ. ზ ვ-სა და ხ-ს შუა (თე-ვზს), ხ ქ-სა და თ-ს შუა (ქხთ), ვ ქ-სა და ხ-ს შუა (ა—ქვს), გ ძ-სა და ხ-ს შუა (ბი-ძგს) და ა. შ.

მარცვლოვანია უპირველესად ხმოვნები, რადგანაც სონორობით ისინი აღემატებიან დანარჩენ ბგერებს, რომლებიც მეტწილად უმარცვლოებია; მეორე რიგში მარცვლოვანია სონორული თანხმოვნები ანუ სონანტები (რ—ლ—მ—ნ); შემდეგ რიგებში მარცვლოვანია ყველა თანხმოვანი კლებადი სონორობის კვალობაზე.

ამგვარად, სონორობის თეორიის თანახმად, მარცვალი არის წარმოქმნის მონაკვეთი, რომლის ცენტრს წარმოადგენს ნაკლებ სონორთა შუა მოქცეული მათზე მეტი სონორობის მქონე ბგერა.

სონორობის თეორია უფროა მისაღები, ვიდრე ჯახებისა—მეტადრე მარცვლის შედგენილობის საკითხისათვის: ამ თეორიის საფუძველზე ხდება გასაგები, თუ რატომაა, რომ ორი ხმოვანი ზოგ ენაში ჰქმნის მხოლოდ ერთ მარცვალს, მაგ., რუს. мах-ში ხმოვანი ორია, მაგრამ მარცვალი ერთი; ან თუ რატომაა, რომ ზოგ ენაში მარცვალს შეადგენს მხოლოდ თანხმოვანთაგან შედგენილი ბგერათჯგუფი; მაგ., სერბ. прет 'თითი', ерх 'მუხა', ჩეხ. вих 'მგელი' წარმოადგენენ უხმოვნო მარცვლებს (იხ. შემდეგ გვერდზე „მარცვლის შედგენილობის საკითხი“).

მესამე თეორია წარმოადგენს ამ ორი — ჯახებისა და სონორობის — თეორიის ერთგვარ შერიგებას: ზოგ მარცვალს ჰქმნის ბგერის გაძლიერება, ზოგს—ბგერის სონორობა. ამ თეორიას შეიძლება ეწოდოს შემარიგებლობითი.

მაგ., ორი სხვადასხვა სიტყვითვის ხმოვნის შეერთებისას (აი, აუ, აე, იუ), სონორობის თეორიის თანახმად, გვაქვს თითო მარცვალი, რადგანაც მეტად სონორი (აქ ა და ი) წარმოადგენს მარცვლის ცენტრს; მაშასადამე, მივიღებთ დიფთონგს; მაგრამ, განზრახ თუ გავაძლიერებთ ნაკლებ სონორს (აქ ი, უ და ე-ს), მივიღებთ ორ-ორ მარცვალს. რომ ეს, მართლაც, შესაძლებელია, ჩანს იქიდან, რომ ზოგ ენაში (მაგ., ქართულში, ფრანგულში), რომელთაც არა აქვთ დიფთონგისადმი მიდრეკილება, ორ-ორი მარცვალია მოცემულ შემთხვევებში და არა თითო; ეს იმიტომ, რომ ორივე ხმოვანი თანაბრადაა გაძლიერებული.

ყოველ შემთხვევაში, ამ შემარიგებლობითი თეორიითაც მარცვლის წარმომქმნელ ფონეტიკურ ფაქტორთაგან უპირატესობა ენიჭება სონორობის ფაქტორს.

სანამ შევუდგებოდეთ მარცვლის შედგენილობის საკითხის განხილვას, საჭიროა ვიცოდეთ, რომ განსასხვავებელია ღია მარცვალი და ხურული მარცვლისაგან. ღია მარცვალი ეწოდება ისეთ მარცვალს, რომელიც თავდება მარცვლოვანი ბგერით, ხოლო დახურული მარცვალი—ისეთს, რომელიც თავდება უმარცვლო ბგერით.

ღია მარცვლებია, მაგ.: ჭა, რუ, ხა — ღი — ღი, ი — ყო, ხა — და — უ — რი და ა. შ.

დახურული მარცვლებია, მაგ.: სად, ტყეს, მარ — ცვლის, ხკამ — თან და ა. შ.

წესში განზრახ ვამბობთ „მარცვლოვანი“ (და არა „ხმოვანი“), რადგანაც, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, ზოგიერთ ენაში შეუპირობებელი (ფონოლოგიური) მარცვლოვნობა შეიძლება ჰქონდეს სონორთანხმოვნებსაც; მაგ., სერბ. ср—дс 'გული', гр—о—дс 'პატარა ყელი' (ср- და гр- ღია მარცვლებია).

#### 4. მარცვლის შედგენილობის საკითხი

როგორც ზემოთ ითქვა, ხმოვან ბგერას ყოველ შემთხვევაში უპირატესობა აქვს მარცვლის შედგენაში: მაშინაც, როცა იგი მარტო ჰქმნის მარცვალს (ი—ყო, ა—რის, ყ—ен,) და მაშინაც, როცა იგი სხვა ბგერათა ჯგუფშია მოქცეული (ხა — ხლი, წელს, ფარს, етод). ყველა ამ შემთხვევაში ხმოვანი მარცვლოვანია (ანუ მარცვლის მატარებელი).

ყოველთვის მარცვლოვანია თუ არა ხმოვანი?

ხმოვანთაგან ა, მართლაც, ყოველთვის და ყოველ ენაში მარცვლოვანია, რამდენადაც ის ყველა სხვა ბგერას აღემატება სონორობით; დანარჩენი ხმოვნები—მეტადრე ი და უ—შეიძლება არ იყვნენ მარცვლოვნები, რაც დამოკიდებულია მათ მეზობლობაზე: თუ რომელიმე ხმოვანი მოხვდა ისეთ ბგერათჯგუფში, სადაც არის მათე მეტი სონორობის ხმოვანი, მას მიდრეკილება აქვს იქცეს უმარცვლო ხმოვნად. ისეთ ენებში, რომლებსაც აქვთ დიფთონგები (მაგ., ინგლ., გერმ. და, ნაწილობრივ, რუსულში), ეს მიდრეკილება რეალიზდება, და ვიწრო ხმოვნები იქცევიან უმარცვლოებად. ასე, მაგ., გერმ. 'ar**ba**it-ში (იწერება Arbeit 'სამუშაო') გაერთიანებულია ერთ მარცვალში **a** და **i**, რომელთაგან **i** უმარცვლოა, ხოლო **a** მარცვლოვანი<sup>1</sup>; დიფთონგია აგრეთვე, მაგ., **au**გ-ში (იწერება Auge 'თვალი'), სადაც **u** უმარცვლოა.

<sup>1</sup> ნახვარწრე ასოს ქვეშ (მაგ., **i**) აღნიშნავს ამ ბგერის უმარცვლოობას, ხოლო წრე (მაგ., **u**)—მის მარცვლოვნობას.

რუსულში ჩვეულებრივია მხოლოდ *ж*-ს უმარცვლოობა, მაგ., სიტყვებში *жакъ, жекъ, жикте*, რომლებშიც *ж* წარმოადგენს უმარცვლო *ж* ხმოვანს-ქართულსა და ფრანგულში ამას, ჩვეულებრივ, ადგილი არა აქვს, და ორი სხვადასხვა ხმოვნის შეერთება გვაძლევს ორ მარცვალს; მაგ., წაილო, წაელო, წაულო; მოიტანა, მოეტანა, მოუტანა — ყველა შემთხვევაში ხმოვანთა შეერთება *ჰქმნის* ორ-ორ მარცვალს; აგრეთვე ფრანგულში, მაგ., *peizā*-ში (იწერება *payson* 'გლეხი') *ei* ორი მარცვალია: *pei*-ში (იწერება *paye* 'მხარე') აგრეთვე<sup>1</sup>.

მაშასადამე, ზოგიერთ ენაში ხმოვანი შეიძლება არ იყოს მარცვლოვანი, ზოგში იგი მუდამ მარცვლოვანია.

მარცვლის შედგენილობისათვის სხვადასხვა ენაში მნიშვნელოვანია აგრეთვე საკითხი იმის შესახებ, შეუძლია თუ არა თანხმოვანს შეასრულოს მარცვლოვნობის ფუნქცია.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული (იხ. გვ. 146), მაგ., სერბულში ან ჩეხურში მარცვლოვნობის ფუნქციას ასრულებს თანხმოვნები *г* და *л*. ეს სონორები ამავე ფუნქციით არსებობდნენ გარკვეულ პირობებში ძველ ინდურ ენაშიც.

ოცხალი ენებიდან სონორი თანხმოვნების (*г—л—п—п*) მარცვლოვნობა აღინიშნება, მაგ., რუსულში, ინგლისურში და გერმანულში.

რწყმულ სწრაფ წარმოთქმაში, მაგ., რუსულად ლაპარაკისას, სიტყვას *делалн* 'გააკეთეს' სამ მარცვლად კი წარმოვთქვამთ, მაგრამ *ла* წარმოითქმის, როგორც მარცვლოვანი *л*: *зд'а-л-ли*; *торговать* 'ვაჭრობა' წარმოითქმის *тр-га-в'а'т*; *Ивановна* 'ივანეს ასული' — *и-ва-н-нъ*; *в. самом деле* 'ნამდვილ' — *фса-м-д'а-ли* და მრ. სხვა.

ინგლისურში, მაგ., *table* 'მაგიდა' — წარმოითქმის *tei-bl*; *bacon* 'შაშხი' — *bei-kn*; *rhythm* — *ri-ðm* და ა. შ.

გერმანულში, მაგ.: *Vater* 'მამა' — *fa-tr*; *Himmel* 'ცა' — *hi-mil*; *heissen* 'დაძახება' — *hai-sn*, *leben* 'სიცოცხლე' — *le-bm*.

საქიროა აღინიშნოს, რომ გერმანულში, ინგლისურისაგან განსხვავებით, მაგრამ რუსულის მსგავსად, სონორი თანხმოვნები გვევლინებიან მარცვლოვნობის ფუნქციით მხოლოდ რწყმულ სასაუბრო წარმოთქმაში და, უმთავრესად, დიალექტებში.

ფრანგულში სონორი თანხმოვნები ამ ფუნქციით არ არსებობენ.

რაც შეეხება ქართულს, საქიროა ითქვას შემდეგი: იმ ოცხალ-ენათაგან, რომელთა ნიმუშებიც მოყვანილია ზემოთ, სონორთა მარცვლოვნობა ფონოლოგიურია მხოლოდ სერბულში: ამათგან მხოლოდ სერბულშია შესაძლებელი არსებობდეს პოზიციურად შეუპირობებელი მარცვ-

<sup>1</sup> ამისაგან განსხვავებულად წარმოითქმის *pej* (იწერება *paye* 'ხელფასი'), სადაც *ქ* თანხმოვანია და არა ხმოვანი.

ლოვანი სონორი; მაგ., რ გვხვდება სერბულში ხმოვნის წინაჲ: *ррѣе* 'პატარა ყელი' სამმარცვლოვანია (*рр-о-ѣе*): შუად. *ррѣа* 'ძრწოლა', რომელიც ორმარცვლოვანია (*рр-о-ѣа*).

ქართულში—ისე როგორც რუსულში, გერმანულში და ინგლისურში—სონორთა მარცვლოვნობას ფონოლოგიური მნიშვნელობა არა აქვს, რადგანაც ქართულში—ისე როგორც ყველა ამ ენაში—მარცვლოვანი სონორი შეპირობებულია ბოზიციურად, სახელდობრ: ისინი გვევლინება მხოლოდ მათზე ნაკლები სონორობის მქონე ბგერათა კომპლექსში: ნა-ღმხ, ი-ფნხ, სა-ზლხ, თე-თრხ (იხ. ზემოთ).

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ არც ერთ სხვა ჩქამიერ თანხმოვანს, რომელსაც შეუძლია იყოს მარცვლოვანი ნაკლებ სონორთა კომპლექსში, არა აქვს ფონოლოგიური დანიშნულება; ასეა ქართულში და ყველა სხვა ენაში.

მაგრამ ქართულს მაინც თავისებური ადგილი უჭირავს მათ შორის: ზემოთ აღვნიშნეთ, რომ სონორი თანხმოვნები იძენენ მარცვლოვნობას, მაგ., რუსულში ან გერმანულში რწყმულ სასაუბრო წარმოთქმაში და, უმთავრესად, დიალექტებში; სალიტერატურო წარმოთქმაში ეს ძლიერ იშვიათია ამ ენებში. ქართულში კი პირიქით: მხოლოდ დინჯ სალიტერატურო წარმოთქმაში თუ შეიძლება სრულად (და, მაშასადამე, მარცვლოვნად) იქნეს წარმოთქმული სონორი თანხმოვნები შემდეგ სიტყვებში: საზლხ, ნაკლხ, ბოთლხ; თეთრხ, თეატრხ; იფნხ, დავითნლ და მისთანებში,—თორემ სასაუბრო სწრაფს წარმოთქმაში ისინი (სონორი თანხმოვნები) სრულიად იკარგვიან (ვაგბობთ: სახხ, ნაკხ, ბოთხ, თეთხ და ა. შ.), ან, ყოველ შემთხვევაში, ყრუვდებიან, მაგ., ნა-ღმხ (შ წარმოითქმის, მაგრამ ყრუა), ი-ფნხ და სხვა.

ქართულის ეს თავისებურება წააგავს რუსულისას ზოგიერთ შემთხვევაში, მაგ., სიტყვის ბოლოს: *рунда* 'მანეთი' წარმოითქმის სწრაფ მეტყველებაში *рун'*, მაგრამ დინჯ სალიტერატუროში *ру-нда'*—ორ მარცვლად, სადაც *н* მარცვლოვანია; *жизнь* 'სიცოცხლე'—სასაუბრო *жнц'*, სალიტერატურო წარმოთქმაში *жн-знь'* და ა. შ.

## 5. მარცვალთბასაყარი

ვერც ერთი ზემოვანხილული თეორია ვერ იძლევა საკმარის პასუხს იმაზე, თუ წარმოთქმის რომელი მომენტია მარცვლის საზღვარი ანუ მარცვალთვასაყარი. სონორობის თეორია არც თვლის საჭიროდ მარცვალთვასაყარის ადგილის ზუსტად ჩვენებას; საერთოდ კი, ამ თეორიით, მარცვლის ბოლო იმყოფება მინიმალურად სონორ ბგერაში, რომელიც შეიძლება მიეკედლოს როგორც წინმდგომს, ისე მომდევნო მარცვალს. მაგ., სიტყვაში ზაფხული, ამ თეორიით, ჩვენ არ ვიციით, თუ სადაა მარცვალთვასაყარი: ზა-ფხუ-ლი თუ ზაფ-ხუ-ლი.

ძლიერ საყურადღებოა აკად. შჩერბას მარცვალთგასაყარის თეორია, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: „... თითოეულ თანხმოვანს შეიძლება ჰქონდეს სამი ფორმა: ა) ძლიერდამართვიანი, როცა თანხმოვნის ბოლო (დამართვა) უფრო ძლიერია დასაწყისზე (შემართვაზე); შეად. პირველი თანხმოვნები სიტყვებში: сон ‘ძილი, სიზმარი’, ссоря ‘ჩხუბი’, к кому ‘ვის, ვისკენ’ (თუ არ წარმოითქმის х кому), ра-заадоpитъ ‘შეგულიანება’, ра-ссоритъся ‘წაჩხუბება’ და ა. შ.; ძლიერდამართვიანი თანხმოვნები ჰქმნიან მარცვლის დასაწყისს; ბ) ძლიერშემართვიანი, როცა თანხმოვნის ბოლო სუსტია მის დასაწყისზე; შეად. ბოლო თანხმოვნები სიტყვებში ყс ‘ულვაში’, ყм ‘ქკვა’, кит ‘ვეშაპი’ (რუსულშიც და ფრანგულშიაც ამასთანავე ოდნავ მცირდება წინმდგომი ხმოვნის ხანგრძლიობა); ძლიერშემართვიანები ჰქმნიან მარცვლის ბოლოს; გ) ორმწვერვალიანი ანუ გაორმაგებული, როცა თანხმოვნის დასაწყისიც და ბოლოც ერთნაირად ძლიერია, მისი შუანაწილი კი დასუსტებულია; ორმწვერვალიანები შეიძლება იმყოფებოდნენ მხოლოდ მარცვალთგასაყარზე“<sup>1</sup>.

როგორც ვიცი, ენები განსხვავებული შეიძლება იყვნენ ერთმანეთისაგან თანხმოვანთა ძლიერ- თუ სუსტშემართვიანი და ძლიერთუ სუსტდამართვიანი ფორმებით; ე. ი. ზოგ ენაში ძლიერშემართვიანთ თანხმოვნებია ჩვეულებრივი, ზოგში სუსტშემართვიანი და ა. შ.

რამდენადაც, ლ. შჩერბას თეორიით, მარცვალთგასაყარი ამაზეა დამოკიდებული, ამდენად ენებიც შესაძლებელია განსხვავებული იყვნენ ერთმანეთისაგან მარცვალთგასაყარით.

მაგ., რუს. სიტყვაში стѣ-кан ‘ქიქა’ კ-ს ნელი შემართვა აქვს მაგრამ ძლიერი დამართვა; ამიტომ, რომ კ იწყებს მომდევნო მარცვალს და არ მიეკუთვნება წინმდგომს; ე. ი. კ-ს ნელი შემართვა ჰქმნის წინმდგომი მარცვლის ღიაობას; ასეთივეა, მაგ., о-кря-снѣ ‘შეღებვა’ და სხვ.

ქართულში, როგორც ვიცი (იხ. გვ. 104 და შემდ.), თანხმოვნებს სხვაგვარი შემართვა-დამართვა აქვთ; თუ თანხმოვანთა ფშვინვიერ შემართვა-დამართვას ამ შეზღუდვისათვის (ე. ი. მარცვალთგასაყარის საკითხში) გავუთანასწორებთ ნელ შემართვა-დამართვას, ასეთ სურათს მივიღებთ: ქართულში ყველა თანხმოვანს აქვს, როგორც წესი, ნელი შემართვა-დამართვა, გარდა აბრუპტივებისა, რომელთაც ნელ შემართვასთან აქვთ ძლიერი დამართვა.

მაშასადამე, ქართულში მხოლოდ აბრუპტივი მიისწრაფვის მიეკედლოს მომდევნო მარცვალს; დანარჩენი თანხმოვნები ნეიტრალური

<sup>1</sup> Л. В. Щерба, Фонетика французского языка, 1948, стр. 78.



მიკედლების მხრივ: შეუძლიათ მიეკედლონ როგორც წინმდგომს, ისე მომდევნო მარცვალს.

ყოველ შემთხვევაში, ქართულ მარცვალს, ჩვენი აზრით, მიდრეკილება აქვს ღიაობისადმი, თუ სხვა რამ ფაქტორი (მაგ., სიტყვის მორფოლოგიური შედგენილობა) ხელს არ უშლის; ქართულ მარცვალს ადვილად შეუძლია გათავდეს არა მხოლოდ ხმოვნით (ე. ი. იყოს ღია), არამედ სონორული თანხმოვნებითაც, მაგ.: ვარ-ღი — ვა-რღი (არც ერთი არ არღვევს ქართული მარცვლის ბუნებას); მარ-ცვა-ღი — მარც-ვა-ღი და ა. შ.

ლ. შჩერბას თეორია კარგად უდგება გაორკეცებული თანხმოვნის დაშლას; მაგ., დიდ-ღება, ომ-შა. დანარჩენ შემთხვევებში იგი უფრო გამოსადეგია მარცვალთგასაყრის დასადგენად რუსულში, ფრანგულში და ისეთ სხვა ენებში, სადაც არის ამ ენებისებური შეპართვა-დამართვა.

ქართულში ფონეტიკური მარცვალთგასაყრის მონახვას მნიშვნელოვნად ხელს უწყობს აქცესიურ-დეცესიური კომპლექსების გათვალისწინება (იხ. ზემოთ თავი მესამე, ბგერათშეერთების მესამე წესი).

როგორც ცნობილია, სიძნელეს წარმოადგენს სიტყვის შიგნით თანხმოვანსა და თანხმოვანს შუა მარცვალთგასაყრის დადგენა; მაგ., ა-ღვა თუ ად-გა, დო-ქთან თუ დოქ-თან, ზა-ფხული თუ ზაფ — ხული.

პრაქტიკული თვალსაზრისით, მეტადრე სტრიქონიდან სტრიქონზე გადატანის საჭიროებისათვის, სულ ერთია, როგორ დამარცვლავთ სიტყვას; ოღონდ დამარცვლის წესი უნდა იყოს ადვილი და უნდა გახდეს სავალდებულო ყველასათვის, როგორც ყოველი ორთოგრაფიული წესი. პრაქტიკული დამარცვლის წესებში ჩვეულებრივ ითვალისწინებენ ხოლმე სიტყვის მორფოლოგიურ შედგენილობასაც — წესის ადვილად შესწავლის მიზნით, რაც, რა თქმა უნდა, მართებულა.

ამიტომაც, რომ ფონეტიკური დამარცვლა შეიძლება არ ემთხვეოდეს პრაქტიკულს. მაგ., სიტყვა კაცმა მორფოლოგიური შედგენილობით უნდა დაიმარცვლოს კაც-მა, მაგრამ ფონეტიკურად (მარცვლის ღიაობისადმი მიდრეკილების გამო, იხ. ზემოთ) შესაძლებელია კა-ცმა.

აქცესიურ-დეცესიურ კომპლექსთა განსხვავებულობა, რომელიც წმინდა ფონეტიკურია, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს აგრეთვე პრაქტიკულ დამარცვლაშიც:

როდესაც სიტყვის შიგნით გვაქვს აქცესიური კომპლექსი ორი თანხმოვნისა, პირველი მათგანი მიეკედლება წინმდგომ მარცვალს, ხოლო მეორე — მომდევნო მარცვალს; მაგ.: დოქ-თან (ემთხვევა მორფოლოგიურ დამარცვლას), შახ-ტე-ბი, იღ-ბა-ღი და ა. შ.

ხოლო როდესაც სიტყვის შიგნით გვაქვს ორი თანხმონის დეცე-  
სიური კომპლექსი, თანხმონები დაუშლელად მიეკედლება მომდევნო  
მარცვალს; მაგ.: ფა-ცხა; ხი.ტყვა (ემთხვევა მორფოლოგიურ და-  
მარცვლას); ა-ღვა (ემთხვევა მორფოლოგიურს, მაგრამ პრაქტიკულად  
მიუღებელია სტრიქონიდან სტრიქონზე გადატანის თვალსაზრისით);  
ე-პყრო-ბა (აგრეთვე), უ-თხრა (აგრეთვე) და ა. შ.

## რუსული ენის ბგერითი შედგენილობა ქართულსასთან შედარებით

სანამ შევადარებდეთ ერთმანეთს რუსულისა და ქართულის ბგერითს შედგენილობას, განვიხილოთ, თუ რა ურთიერთობაა რუსული ენის სამეტყველო ბგერათა და მათ გამომხატველ ანბანს შორის, ე. ი. როგორია რუსული წერისა და რუსული ენის ბგერათა ურთიერთშეფარდება.

### I. რუსული ბგერები და რუსული ასოები

სალიტერატურო რუსულ ენაში დღეს იხმარება 33 ასო: а б в г д е ё ж з и й к л м н о п р с т у ф х ц ч ш щ ъ ы ь э ю я.

ამათგან ექვსი ასო (а, в, и, о, у, ы), ჩვეულებრივ, გამოხატავენ რუსულის ექვს ხმოვან ბგერას — მეტადრე, როცა ეს ხმოვნები წარმოითქმიან მახვილით (უმახვილობა ცელის, უმთავრესად, о-ს და а-ს): მაგ.: игрѣ 'თამაში, თამაშობა', ъгры 'თამაშობანი', игрѣ 'თამაშისა'; э'ти 'ესენი'; г'ды 'მთები'; шар 'ბირთვი'; стул 'სკამი', учѣ 'ულვაშები', урок 'გაკვეთილი'; дым 'კვამლი', быки 'ხარები'.

#### е, ё, я, ю-ს ზოგიერთი ბგერითი მნიშვნელობა

ოთხი ასოდან — е, ё, я, ю — თითოეულს შეუძლია გამოხატოს, სულ ცოტა, ორი სხვადასხვა ბგერა გარკვეულ პირობებში. მაგ., მახვილიანი ობისას (ე. ი. როცა მათ, ამ ასოებით გამოხატულ ბგერებს, მახვილი აქვთ) თითოეულ მათგანს შეუძლია ჰქონდეს ორი სხვადასხვა ბგერითი მნიშვნელობა:

1) თითოეულ მათგანს შეუძლია გამოხატოს, მეტადრე სიტყვის თავში, ხმოვანი, რომელსაც წინ უძღვის უშუალოდ შუაენისმიერი თან-

ხმოვანი j; ე. ი. ё = jэ, ё = jი, я = ja-და ю = jy; მაგ., ем 'ვკამ' — წარმოითქმის jэм; ёду 'მივდივარ ზეითად' — jэду; ёж 'ზღარბი' — წარმოითქმის jош; ёлки 'ნაძვის ხეები' — jълки; я 'მე' — წარმოითქმის

ja; ясли 'ბაგა' — jacl'и; юг 'სამხრეთი' — წარმოთქმის jyk; югу 'სამხრეთს' — jygy.

2) თითოეული მათგანი გამოხატავს იმავე ხმოვნებს (ა, о, а, у) და ამასთანავე გვიჩვენებს მის წინ მდგომი თანხმოვნის სილბოს; მაგ.:

снег 'თოვლი' — сн'эк; снег 'თოვლს' — сн'эгу; тѣти 'მამიდები, დედები' — წარმოთქმის т'от'и; дяди 'ბიძები' — д'ад'и; люди 'კაცები, ხალხი' — л'уд'и.

აღსანიშნავია, რომ ასო и-ც მეტწილად გამოხატავს მის წინ მდგომი თანხმოვნის სილბოს (იხ. ზემომოყვანილი ясли, тѣти, дяди).

[აქ არა გვაქვს, რა თქმა უნდა, აღნიშნული მრავალი მნიშვნელოვანი მოვლენა რუსული წერისა და წარმოთქმის ურთიერობიდან].

### ჩ ასოს ბგერითი მნიშვნელობა

ჩ ასო გამოხატავს ე. წ. ნახევარხმოვანს და დიფთონგის უმარცვლო შემადგენელ ნაწილს: маჩ 'მაისი', моჩ 'ჩემი', прич 'გასინჯე'-ქართულში მას უდრის ე, რომელიც დღეს უკვე აღარ იხმარება ასოდ-

### რუსულ თანხმოვანთა წყვილეულები და ცალეულები

ცხრაშეტი ასოდან (б — п, в — ф; д — т, з — с, ж — ш, г — к; х, ц, ч; л, р, м, н) თითოეული გამოხატავს თითო თანხმოვანს.

წყვილ-წყვილად ჩამოთვლილიდან პირველი გამოხატავს მეღერ თანხმოვანს, მეორე — ყრუს; მომდევნო სამი ასო (х, ц, ч) გამოხატავს ყრუ ჩქამიერ ცალეულ თანხმოვნებს, ხოლო უკანასკნელი ოთხი — სონორულ ცალეულ თანხმოვნებს.

### ц ასო რუსულში

ц ასო გამოხატავს ორი თანხმოვანი ბგერის შეერთებას: ш + ж ან ш + ш.

### ш და ხ ნიშნები რუსულ წერაში

ш და ხ არ გამოხატავს არც ერთ ბგერას: რუსულ ორთოგრაფიაში ისინი წარმოადგენენ არა ასოებს (ე. ი. ბგერის გამომხატველ ნიშნებს), არამედ სხვა დანიშნულების პირობითს ნიშნებს.

ш — ხ-ს დაკისრებული აქვს ბგერითი მნიშვნელობა ჭეცნიერულ-ფონეტიკურ ტრანსკრიფციაში (იხ. ქვემოთ გვ. 157 და შემდ.).

## II. რუსულია და ქართული ენის ბგერათა ურთიერთ შეპირისპირება

ქართულ სალიტერატურო-სამწერლობო ენაშიც 33 ასო იხმარება, მაგრამ ქართულში წერისა და წარმოთქმის ურთიერთშეფარდება გაცილებით უფრო მარტივია, ვიდრე რუსულში:

## 1. რუსულში მართი ასო ზოგჯერ გამოხატავს რამდენიმე ბგერას

ქართულში თითოეულ ფონემას აქვს თავისი გამოხატველი ასო, რუსულში კი ფონემათა რიცხვი ბევრად მეტია ასოთა რიცხვზე; ამიტომ რუსულში ასოთა უმრავლესობას უხდება გამოხატოს თითოეულმანათი (და ზოგჯერ მეტი) ერთმანეთისაგან განსხვავებული ფონემა: მაგ.: ასეთია ასო л, რომელსაც დაკისრებული აქვს გამოხატოს როგორც მაგარი л (ვთქვათ, სიტყვაში етал 'დაიწყო, დადგა'), ისე რბილი л' (მაგ., სიტყვაში еталъ 'ფოლადი' — ითქმის етал', ე. ი. რბილი л-თი); ასეთია, მაგ., აგრეთვე ასო т, რომელიც გამოხატავს როგორც მაგარ т-ს (მაგ., სიტყვაში брат 'ძმა'), ისე რბილ т'-ს (მაგ., სიტყვაში братъ — ითქმის брат')

ო ასოთი რუსულში შეიძლება გამოიხატებოდეს სამი სხვადასხვა ბგერა: მახვილიანი ó (მაგ., вóды 'წყლები', гóры 'მთები'), а (მაგ.: вóды, гóры, вóды 'წყლისა', гóры 'მთისა' — წარმოითქმის вадá, гарá, вадá, гарá) და ის რედუცირებული (დასუსტებული) ხმოვანი, რომელიც: ფონეტიკურ ტრანსკრიფციაში გამოიხატება უნიშნით (მაგ., гóра — წარმოითქმის гóра 'ქალაქი', гóрады 'ქალაქები' — гьрады); აგრეთვე რ ასოთი შეიძლება გამოიხატებოდეს რუსულის ოთხი სხვადასხვა ბგერა, სახელდობრ: г (гóры, снѣга 'თოვლისა'. сн'ѣгъ), к (сн'ѣг — сн'ѣк 'თოვლი', лѣгте 'დაწეკით' — ითქმის л'актъ, — უ-სა და უ-ს შესახებ ტრანსკრიფციაში იხ. ქვემოთ), ქართული ლ-ს მსგავსი თანხმოვანი, რომელიც ფონეტიკურად გამოიხატება ყ ნიშნით (მაგ., когда 'როდის' — каγдá) და х (მაგ., всех благ 'ნახვამდის' — ითქმის ფც'ყу блах; л'актъ-ს ამბობენ აგრეთვე л'ахтъ).

## 2. მაგარი და რბილი თანხმოვნები რუსულში

რუსულში ურთიერთ დაპირისპირებულია მაგარი და რბილი თანხმოვნები, რომელთა შორის მეტწილად ფონოლოგიური განსხვავებაა; მაგ., ორი სხვადასხვა ფონემაა მაგარი л და რბილი л', მაგარი д და რბილი д', მაგრამ არაა სხვადასხვა ფონემა მაგარი г და რბილი г', მაგარი х და რბილი х' და ზოგი სხვა.

ყოველ შემთხვევაში, რუსულში ყველაზე ხშირია შემდეგი წყვილები სილბო-სიმაგარის მიხედვით: б — б', п — п', в — в', ф — ф', д — д', т — т' რუს. з — з', с — с', г — г', к — к', х — х', м — м', н — н', л — л', р — р'.

ამათგან ფონოლოგიური (სიტყვათგანმასხვავებელი) ღირებულება აქვს ყველა წყვილს, გარდა г — г'-სა, к — к'-სა და х — х'-სი.

რბილ თანხმოვანთა ფონოლოგიური ღირებულებაა, რომ ასე ამრავლებს რუსულ ბგერათა რიცხვს, რომლითაც რუსული აღმეტება ქართულს, — მიუხედავად იმისა, რომ ქართულს აქვს, რუსულისაგან განსხვავებით, აბრუპტივები (з, с, в, г, х).

აღსანიშნავია, რომ უკუქცევითი ნაწილაკის -ся და -сь-ს რბილი ღ' ზმნის დაბლოებაში ყოველთვის წარმოითქმება მაგრად: учѣсь 'ესწავლობ' წარმოითქმება учѣс (და არა учус'), учился — ითქმის учѣлса (და არა училс'а), учились — училис და ა. შ.

### 3. რუსულში რამდენიმე ასო ზოგჯერ გამოხატავს ერთსა და იმავე ბგერას

რუსულ წერაში გვაქვს მრავალი ისეთი შემთხვევა; როცა ერთი და იგივე ბგერა გამოიხატება სხვადასხვა ნიშნით; მაგ.: ჯ ხმოვანი გამოიხატება ასო а-თი (брат), ასო о-თი (вода — ითქმის вода) და ასო я-თი (ряд — წარმოითქმის р'ат, ясли — ითქმის јасл'и).

შეიძლება п თანხმოვანი გამოიხატებოდეს ნ-თი (поря — паря, მაგრამ лоп — იწერება лон 'შუბლი'; скопки 'ფრჩხილები' — იწერება с-ით (сконки); ჯ შეიძლება გამოიხატოს აგრეთვე ტ-თი (кѣрицы 'ქათმები', მაგრამ снѣга. жѣму 'ესიზმრება მას' — იწერება снѣтсѣ емѣ) და т-თი (братъ 'დაკისრება, ხელის მოკიდება' — იწერება братьсѣ) და სხვა მრავალი.

მართალია, ქართულშიც გვაქვს მსგავსი შემთხვევები, ე. ი. როცა ერთი და იმავე ასოთი იწერება სხვადასხვა ბგერა (იხ. 1) და როცა ერთი და იგივე ბგერა გამოიხატება წერაში სხვადასხვა ასოთი (იხ. 3), მაგრამ გაცილებით უფრო იშვიათად, ვიდრე რუსულში.

პირველის ნიმუშად გამოდგება ქართულში, მაგ., ასო ღ, რომელსაც შეუძლია გამოხატოს აგრეთვე თ-ც: ღიღი, მაგრამ კარგად წარმოითქმის კარგათ.

მეორის ნიმუშად, გამოდგება, მაგ., შემდეგი: ბგერა ზ შეიძლება გამოიხატოს ხ-თი: ზარი, მაგრამ ზხავსი (წარმოითქმის მზგავსი).

### 4. ლ და ლ ნიშნები რუსულ ორთოგრაფიაში

ლ და ლ ნიშნები, როგორც ითქვა, არ გამოხატავენ არც ერთ ბგერას.

1917 წლამდე რუსულ ორთოგრაფიაში ლ-ს დაკისრებული ჰქონდა აღენიშნა ორი რამ:

1) რომ მის წინ მდგომი თანხმოვანი მაგრად წარმოითქმის; მაგ.: лѣл 'იყო', მაგრამ лѣлѣ 'ნამდვილი ამბავი', лѣт 'ყოფა-ცხოვრება', მაგრამ лѣтѣ 'ყოფნა' და

2) რომ მაგარი თანხმოვნით დაბლოებული თავსართები (მაგ., -он-, -от-, -под- და სხვები), რიცხვითი სახელები двух, трёх, четырёх, უცხოური წინსართები кон-, суб- და სხვ. უერთდებიან е შ я ю-თი დაწყებულ მომდევნო სიტყვებს, მაგ.: онъявление, съезд, онъѣм; двухъярусный, субъект და სხვ.

დღევანდელ ორთოგრაფიაში ზ-ს შერჩენილი აქვს ეს მეორე ფუნქცია: მაშასადამე, ზ არის გამყოფი ნიშანი.

გამყოფი ნიშანია აგრეთვე ხ-ც (მხოლოდ არა თავსართებისა და двух-, трёх-, четырёх-ის შემდეგ) е ё я ю-ს წინ (семья, 'ოჯახი', платье 'ტანსაცმელი, კაბა', лѣтъ 'ასხამს', костью 'ძელით'...); უმთავრესად მას დაკისრებული ჰქონდა გამოეხატა მის წინ მდგომი თანხმოვნის სილბო: сталь—стал, быть—быт და სხვ.; გარდა ამისა ზ წარმოადგენდა გრამატიკულ ნიშანს, სახელდობრ: მდებარ. სქესის დაბოლოებას ყ — ы-სა და ж — ш-ს მიმყოფ: ночь, вещь, рожь, мышь), აწყო (და მყობადი) დროის მხ. რიცხ. მეორე პირის დაბოლოების ელემენტს: говоришь, пишешь, моешься 'იბან' და სხვა.

ყველა ეს ფუნქცია ზ-ს შენარჩუნებული აქვს დღევანდელ ორთოგრაფიაშიც.

თქმულიდან ჩანს, რომ სილბოს ნიშანს ზ წარმოადგენს მხოლოდ ზოგჯერ; ამიტომ უმართებულოა, როცა მას „мягкий знак“ — „სილბოს ნიშანს“ ეძახიან.

### რუს. ж — ш-ს ბგერითი მნიშვნელობა

ж—ш რუსულში მაგრად წარმოითქმის მაშინაც, როცა მათ მიმყოფიწერება ზ: дрожь—ითქმის дрош 'ერუანტელი', дрожью—ითქმის дро-жю 'ერუანტელით'; мышь 'თავეი' — ითქმის мыш, мышью — мышю. ж — ш თანხმოვნები რბილდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ისინი წარმოითქმიან დაყოვნებით, ე. ი. როცა გვაქვს გრძელი ж და ш — წერაში жж (ან ზოგჯერ жд) და щ: ви жжать 'წკმუტუნი'—выжат'; дождь 'წვიმა', дождя 'წვიმისა' — წარმოითქმის дош' (ж სიტყვის ბოლოს ყრუვდება, როგორც ყოველი მქდერი ჩქამიერი თანხმოვანი), даж'я; плащ, плащя — ითქმის плаш', плаш'я (შეიძლება აგრეთვე წარმოითქვას плашч', плашч'я).

### ზ და ხ ნიშნები ფონეტიკურ ტრანსკრიფციაში

რადგანაც დღევანდელ რუსულ ორთოგრაფიაში ზ — ხ-ს, როგორც ითქვა, არა აქვთ არავითარი ბგერითი მნიშვნელობა, ამიტომ ისინი გამოყენებულია. მეცნიერულ-ფონეტიკურ ტრანსკრიფციაში: ზ წარმოადგენს რედუცირებულ (დასუსტებულ) а-ს ან ი-ს მაგარი თანხმოვნების შემდეგ (მაგ., года 'წლისა' — წარმოითქმის годъ, книга — книга; город — წარმოითქმის. горът, городъ — горъдъ), ხოლო ზ — რედუცირებულ а, о, э-ს რბილ თანხმოვანთა შემდეგ; მაგ., часовъნი 'საათისა' — ч'ьсаов'ни, онъ нѣс (ე. ი. н'ос) 'მიჰქონდა', მაგრამ в'н'нѣс 'გამოიტანა' — წარმოითქმის в'н'н'ьс; снег (ე. ი. сн'ѣк) 'თოვლი', მაგრამ снегов'ни — ითქმის сн'ьгав'ни 'თოვლიანი' და ა. შ.

აქ აღწერილის მსგავსი შეფარდება წერასა და წარმოთქმას შორის ქართულში არა გვაქვს.

## 5. რუსულისა და ქართული ენების ბგერები, რომლებსაც ანბანში არა აქვთ ასოები

რუსულ მეტყველებაში — ისე როგორც ბევრ სხვა ენაში — წარმოითქმება გარკვეულ პირობებში (ანუ კომბინაციურად) ან გარკვეულ სიტყვებში ისეთი ბგერებიც, რომლებსათვის სათანადო ნიშანი ანბანში არ მოიპოვება.

ასეთია, მაგ., ის ხმოვნები, რომელთა გამოსახატავად მეცნიერულ-ფონეტიკურ ტრანსკრიფციაში გამოყენებულია ზ — ზ (იხ. აქვე ზემოთ). თანხმოვანთაგან ასეთია, მაგ., ლ, ძ და ჯ. სალიტერატურო რუსულში ლ ორთოგრაფიულად გამოიხატება იმავე ნიშნით, რომლითაც л, ხოლო ფონეტიკური ტრანსკრიფციით ბერძნული γ ასოთი. როგორც დამოუკიდებელი ბგერა, ის გვხვდება ორ-სამ რელიგიურ სიტყვაში (нѣга, нѣгу 'ღმერთის, ღმერთს' და სხვა ბრუნვებში ხმოვნის წინ; ѣдоуи, 'უფალო', нагодуѣ 'მადლი') და სიტყვებში тогдѣ 'მაშინ', когдѣ 'როდის' (ფონეტიკურად: нѣгу, нѣгу, ѣдоуи, наѣдуѣ, таѣдѣ, каѣдѣ).

აფრიკატები ძ და ჯ გვევლინება რუსულში მხოლოდ გარკვეულ ფონეტიკურ პირობებში, სახელდობრ: ასიმილაციით გამჟღერებული ყ-სა და ყ-ს ადგილას: ат'ѣдѣ ნыа < отѣ ყ ნыа (ყ გამჟღერებულია მომდევნო ნ-ს გავლენით); брадж ныа < брач ныа (აგრეთვე ყ გამჟღერებულია მომდევნო ნ-ს გავლენით).

ამგვარივე კომბინაციურად გამჟღერების შემთხვევები ბევრი გვაქვს ქართულშიც; მაგ.: ოცდაერთი — წარმოითქმის ოძდაერთი, გაურჩდა — ითქმის გაურჯდა, მაგრამ ამ მხრივ განსხვავება ქართულსა და რუსულს შორის ისაა, რომ ქართულს აქვს როგორც ც და ჩ ფონემები, ისე მათი მჟღერი სახეობა და წერილობითი ნიშნებიც ანუ ასოები მათთვის, ხოლო რუსულში არის მხოლოდ ყ და ყ, მათი მჟღერი სახეობა კი — არა, და ამიტომ არც სათანადო ასოები.

ქართულშიც გვაქვს ისეთი ბგერები, რომლებსთვისაც ანბანში ასოები არ მოგვეპოვება. ასეთია, მაგ., ჭ, რომელიც წარმოადგენს დაყრუებულ გ-ს: ქართულში ჭ ხშირად წარმოითქმის, მაგ., სიტყვებში მხინჯამ, კარაში — ჭხინჯაჭ, კარაჭში, მაგრამ მისთვის საგანგებო ნიშანი დღეს არ იხმარება (იხ. თავი მეორე, III, 4). ასეთივეა აგრეთვე ქართულში უმარცვლო უ, რომელიც ძველად იწერებოდა უ: ცოცხალ წარმოთქმაში უმარცვლო უ დღესაც გვაქვს ქართულში, მაგრამ შესაფერი ასო ქართულ ანბანში აღარ იხმარება (მაგ., ითქმის სიკჳდილი — იწერება სიკჳდილი, ითქმის კჳალი — იწერება კჳალი და სხვა (იხ. თავი მეორე, I, 4):



## 6. მახვილის ბავლინა ხმოვნებზე რუსულში

რუსული ხმოვნები (ა, ა, ი, ი, ყ, ხ) თავიანთი ძირითადი ბგერითი მნიშვნელობით წარმოითქვიან, როგორც წესი, მხოლოდ მახვილიანობის შემთხვევაში, ე. ი. როცა მათ მახვილი აქვთ: вода, это, ива, воды, рѣки, нѣли.

უმახვილო მდგომარეობაში თითოეული მათგანი თითქმის ყოველთვის განიცდის მეტ-ნაკლებ ცვლილებას: მეტწილად უმახვილო ხმოვნები რუსულში რედუცირდებიან.

გარდა იმისა, რაც იყო ზემოთ ნათქვამი, მოვიყვან რამდენიმე ნიმუშს სათანადო შენიშვნებით.

Стар — стар'ик — стър'ик'ѣ (ხმოვანზე პატარა ხაზი უჩვენებს მახვილს, ხოლო თანხმოვანზე — მის სილბოს): პირველ სიტყვაში *а* მახვილიანია, მეორეში *а* უმახვილოა, მაგრამ მახვილიანის პირველი წინმდგომი მარცვლის *а* არ რედუცირდება; მესამეში უმახვილო *а*, რომელიც მახვილიანის მეორე წინმდგომი მარცვლის ხმოვანია, რედუცირდება და იქცევა *ъ*-დ;<sup>1</sup> ასეთივეა, მაგ., *глава* — იწერება *голова*, *стѣра* — *сторона*, რომლებშიც მახვილიანის მეორე წინმდგომი მარცვლის *о* ხმოვანი რედუცირდება ისე, როგორც *а* ასეთსავე მდგომარეობაში.

იგივე *о* და *а* მახვილიანის მომდევნო მარცვლებში რედუცირდებიან *ъ*-დ: *баба* — იწერება *баба*; *сказал* 'თქვა', მაგრამ *вѣска* 'გამოთქვა' — იწერება *вѣсказал*; *дѣла* 'ფანჯრები' — იწერება *дѣла*; *сѣла* 'ძალა' — *сѣла*.

*дѣла* 'საქმეები' — იწერება *дела* (ხ წარმოადგენს რედუცირებულ *ъ*-ს მახვილიანის პირველ წინმდგომ მარცვალში); *дѣловѣ* 'საქმიანი' — *деловѣ* (რედუცირებულია *ѣ* მახვილიანის მეორე წინმდგომ მარცვალში).

იგივე *ѣ* მახვილიანის მომდევნო მარცვლებში რედუცირდება *ъ*-დ: *дѣло* 'მინდორი' — იწერება *дѣло*; *дѣла* 'ავადა' — *дѣла*; *дѣла* 'სოფელს' — *дѣла*; *дѣла* 'დასხდებით' — *дѣла* და *дѣла*.

[აქ ჩამოთვლილი არაა ხმოვანთა ბევრი სხვა ცვლილება უმახვილო მდგომარეობაში].

ქართულში უმახვილო ხმოვნები, როგორც წესი, ცვლილებას არ განიცდიან.

## 7. რუსულისა და ქართულის თანხმოვანთა სისტემების ერთმანეთთან შიდაპირისპირება

რუსულის თანხმოვანთა სისტემის მთავარი განსხვავება ქართული-ზაგან მდგომარეობს შემდეგში:

ა. რუსულის ჩქამიერი თანხმოვნები წყვილდებია მეტრობასი-სიყრუის თვალსაზრისით (б — п, д — т, ж — с და ა. შ.); მხოლოდ ორი

<sup>1</sup> *ъ* და *ъ* აქ წარმოადგენს რედუცირებულ ხმოვანთა ფონეტიკურ ნიშნებს (იხ. ზემოთ გვ. 157).

ჩქამიერია ცალეული —  $\mu$  და  $\nu$ , მაგრამ ისიც ფონოლოგიურად, თორემ აკუსტიკურ-ფიზიოლოგიურად ისინიც წყვილეულია (ე. ი. რუსულშიც არის ძ და ჯ, იხ. ზემოთ); სონორული თანხმოვნები ცალეულებია, როგორც ქართულში. ნაპრალოვანი თანხმოვნები რუსულსა და ქართულში ერთნაირად წყვილეულებია ( $\alpha - \epsilon$ ,  $\beta - \delta$ ;  $\kappa - \mu$ ,  $\tau - \theta$ ...).

არსებითი განსხვავებაა რუსულისა და ქართულის ხშულებს შორის: ქართულში ისინი სამეულებითაა წარმოდგენილი ( $\beta - \theta - \delta$ ,  $\lambda - \tau - \theta$ ...), რუსულში — წყვილეულებით ( $\sigma - \pi$ ,  $\alpha - \tau$ ...); ეს განსხვავება გამომდინარეობს იქიდან, რომ რუსულს არა აქვს აბრუპტივები ( $\beta$ ,  $\tau$ ,  $\kappa$ ,  $\sigma$ ,  $\lambda$ ,  $\theta$ ).

რუსულის მჟღერი ხშულები მეტად მჟღერია, ვიდრე ქართულისა; რუსულის ყრუ ხშული თანხმოვნები უფრო ახლოს დგანან ქართულის ფშვინვიერ თანხმოვნებთან, ვიდრე ქართულის აბრუპტივებთან.

ბ. ქართულთან შედარებით რუსულს მეტი აქვს რბილი თანხმოვნები (იხ. ზემოთ).

გ. როგორც რუსულ წარმოთქმაში არსებობს ძ და ჯ, მაგრამ ისინი არ არიან ფონემები, ისე ქართულ წარმოთქმაში გვაქვს ჭ და უმარცვლო უ, მაგრამ ისინი ფონემებს არ წარმოადგენენ (იხ. ზემოთ).

დ. რუსულს არა აქვს ფარინგალური ხშულები ყ და ჳ, ქართულს აქვს (ყ სალიტერატუროში, ჳ ზოგიერთ დიალექტში). (ფარინგალების შესახებ იხ. თავი მეორე, III, 6).

ე. რუსულში, ისე როგორც ქართულში, ხშირია მსგავს თანხმოვანთა შეერთება მორფოლოგიური ელემენტების შესაყარზე; მაგ.:  $\sigma\delta\alpha\tau\beta$  ( $\sigma + \delta\alpha\tau\beta$ ) 'მიცემა' — წარმოითქმის  $\alpha\delta\alpha\tau\beta$  ან უკეთ:  $\alpha\delta\alpha\tau$ , ე. ი. დაგრძელებული  $\alpha$ ; დაგრძელება გამოიხატება იმაში, რომ  $\alpha$ -ს სამი მომენტიდან (შემართვა, დაყოვნება, დამართვა) გახანგრძლივებულია დაყოვნების მომენტი; ასეთივეა  $\sigma\eta\tau\beta$  — იწერება  $\sigma\eta\tau\beta$  ( $\sigma + \eta\tau\beta$ ) 'შეკერვა'.

ამგვარსავე პროცესს აქვს ადგილი ქართულშიც: მათთან ( $\sigma + \theta$ ), ხწადა ( $\sigma + \theta + \alpha$ ), თას ( $\theta + \sigma$ ), დგუში ( $\delta + \gamma + \sigma$ ), ომა ( $\sigma + \theta + \alpha$ ).

ორმაგი თანხმოვნები რუსულ წერაში გვხვდება მეტწილად უცხოურ სიტყვებში, ე. ი. არა მორფოლოგიური ელემენტების შესაყარზე:  $\kappa\alpha\sigma\sigma\alpha$ ,  $\mu\alpha\sigma\sigma\alpha$ ,  $\sigma\gamma\mu\mu\alpha$ : 'ჯამი',  $\gamma\alpha\mu\mu\alpha$  და სხვ., მაგრამ ისინი წარმოითქმიან რუსულში არა გრძლად და არა ორმაგად, არამედ ერთ მარტივ თანხმოვნად:  $\kappa\alpha\sigma\alpha$ ,  $\sigma\gamma\mu\alpha$ .

ასეა ქართულშიც — მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ რუსულ წერაში დაცულია უცხოური დაწერილობა. (მაგ., იტ.  $\sigma\alpha\sigma\sigma\alpha$ , ლათ.  $\mu\alpha\sigma\sigma\alpha$ , ლათ.  $\sigma\mu\mu\alpha$ , ბერძ.  $\gamma\alpha\mu\mu\alpha$ ), ხოლო ქართულ წერაში მას არ ვიცავთ.

არსებითად განსხვავებულია ქართულისაგან რუსულ შიშინათა სიგრძე:

როგორც ვიცი, რუს. ж — ш მაგარი თანხმოვნებია, როცა ისინი არ არიან დაგრძელებულნი; მაგრამ რბილებია, როცა დაგრძელებიან; მაგ.: вѣж'и (ж გრძელია და რბილი) — იწერება вѣжи 'სადავე'; жуж'ит (პირველი ж მარტივია და მაგარი, ხოლო მეორე გრძელია და რბილი) — იწერება жужи́т; ш'ас'т'иь (ш წარმოადგენს გრძელსა და რბილ ш-ს) — იწერება счастье 'ბედნიერება'; шукь — იწერება щ'ка 'ქარიულაპია (თევზი)'.

ქართულში ასეთ რასმე ადგილი არა აქვს.

ვ. სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში (ე. ი. პაუზის წინ) რუსულში ყრუვდება ყოველი ჩქამიერი თანხმოვანი: лоп 'შუბლი' — იწერება лон (შეად. лба), роѡ 'თხრილი' — ров (рва); прѹт 'ტბა, გუბურა' — იწერება пруд (прѹда), гр'ас' 'ტალახი' — იწერება грязь, пах'ш 'ჰგავს' — пох'ж; пам'к 'დაეხმარა' — пом'г და ა. შ.

ასევეა ქართულშიც: ვამბოჴ, ქთხოჴ, მეორეო (იწერება ვანბოჴ; გთხოვ, მეორედ), თამახ (იწერება თამაჴ), ადემ — უნდა ყოფილიყო ადემ (შეად. აღმა) და ა. შ.

ზ. ყრუ თანხმოვნის წინ ჩქამიერი თანხმოვანი შეიძლება წარმოითქვას მხოლოდ ყრუდ, მაგ.: пуст'и́л 'შემოუშვა' — იწერება пусти́л; л'шки 'კოვზები' — л'шки; потп'ис'а́л 'მოაწერა' — подп'ис'а́л; гвост' 'ლურსმანი' — гвост'ь (ვ გაყრუვდა გაყრუებული ა'-ს წინ; ეს კი გაყრუებულია ბოლოში ყოფნის გამო, იხ. წინა შენიშვნა).

თ. მეღერი ჩქამიერი თანხმოვნის წინ ჩქამიერი თანხმოვანი შეიძლება წარმოითქვას მხოლოდ მეღერად; მაგ.: з'нит' 'ჩამოგდება' — იწერება з'нить, ад'н'и́л 'წაართვა' — от'нил; з'а'эл'т' 'გაკეთება' — с'д'ел'а'т'; пр'о'з'н'ь 'თხოვნა' — пр'о'с'ь'н'а; м'я'ад'н'я 'ლეწვა, კალოობა' — мо'ло'т'ь'н'я; т'я'г'ж'ь 'აგრეთვე' — т'я'к'же და ა. შ.

ასევეა ქართულშიც: მაღგან — მათგან, თაზზე — თახზე; ოძდახუთი — ოცდახუთი და ა. შ.

საყურადღებოა, რომ ეს წესი ირღვევა, როცა ჩქამიერი ყრუ თანხმოვანი მოხვდება в-ს წინ, ე. ი. в-ს წინ ყრუ ჩქამიერი არ მეღერდება (ისევე როგორც სონორული თანხმოვნების л м н р-ს წინ): свар'и́ть 'მოხარშვა' — წარმოითქმის свар'и́т'; от'вар'и́ть 'მოხარშვა' — წარმოითქმის ат'ва-р'и́т' (შეად. сло'ма'т'ь 'გატეხა', ср'э'з'а'т'ь 'მოკრა', от'н'я́ть 'წართმევა', от-мен'и́ть, 'გაუქმება', сня́ть 'მოხსნა, ჩამოღება', от'в'э'с'и'т'ь 'აწონვა' და ა. შ.).

ქართულშიც ასეა: მომდევნო გ არ ამჟღერებს წინა ყრუ თანხმოდანს, ისე როგორც სონორული თანხმოდანები: ასვა, მისვლა, ბალის ვაშლი (მაგრამ ბალიზ ღობე), თავს ვდეფ (მაგრამ თავზდეფ); შეადამას, მაგ., სროლა, სლოკინი, სმა, მისნი; მისმა ძმამ (მაგრამ მიზ ძმას), თავის ლურჯას (მაგრამ თავიზ დედას) და ა. შ.

## 8. რუსულისა და ქართულის ხმოვანთა სისტემების ერთმანეთთან შეპირისპირება

რუსულის ხმოვანთა სისტემის მთავარი განსხვავება ქართულისაგან მდგომარეობს შემდეგში:

ა. რუსულ სალიტერატურო ენაში ექვსი ძირითადი ხმოვანია (ა ე ი ო უ ყ), ქართულში — ხუთი (ა ე ი ო უ): რუსულს მეტი აქვს ყ.

თუ ყ-ს არ მივიღებთ ფონემად (და ეს ასეც არის, ე. ი. ყ არ წარმოადგენს დამოუკიდებელ ფონემას), მაშინ რუსულისა და ქართულის ხმოვან ფონემათა რიცხვი ერთნაირი იქნება.

ყ-ს შესახებ აღსანიშნავია შემდეგი: ყ-თი არ იწყება რუსულში არც ერთი სიტყვა; აქედან ჩანს, რომ იგი არაა დამოუკიდებელი ფონემა: ყ არის ყ-ს სახესხვაობა გარკვეულ პირობებში. მაგ., ორი სიტყვის შესაყარზე, როცა პირველი თავდება მაგარი თანხმოდანით, ხოლო მომდევნო იწყება ყ-თი, ეს უკანასკნელი მოგვევლინება ყ-ს სახით; ეს იმას ნიშნავს, რომ მაგარი თანხმოდანის შემდეგ გვაქვს არა ყ, არამედ ზ: *вызнь* 'ქობში' — *в изне*; *кыв'ь* — 'ტირიფთან' — *к ѣве*; *как вы, так и вам* 'როგორც მათ, ისე თქვენ' — იწერება *как им, так и вам*.

რუსულის ხმოვანთა სისტემა განსხვავდება ქართულისაგან არა ძირითადი ხუთი ხმოვნის ფარგლებში, არამედ მის გარეთ: რუსულ ხმოვნებს (მეტადრე ა — ო — ე-ს) აქვთ მრავალგვარი სახესხვაობა, რაც ქართულს არ გააჩნია.

რუსულში, მაგ., გვაქვს რედუცირებული ა და ო მაგარი თანხმოდანების შემდეგ (ამ რედუცირებულ ხმოვანს ფონეტიკურად გამოხატავენ ზ-თი), ხოლო რედუცირებული ა ო ე რბილი თანხმოდანის შემდეგ (გამოხატავენ უ-თი); ამათ შესახებ იხ. ზემოთ გვ. 156.

ბ. სალიტერატურო ქართულში არა გვაქვს არც ისეთი შეერთება ბგერათა, როგორცაა *je* (= *e*), *jo* (= *შ*), *ja* (= *я*), *ju* (= *ю*), რომელთაც შეიძლება ეწოდოს აღმავალი დიფთონგები; და არც ისეთი, როგორცაა *აი*, *ეი*, *იი*, *უი* — დამავალი დიფთონგები: *чай*, *лейка* 'ქაბრი, სარწყული', *домой* 'შინ', *раздуй* 'გაბერე, გააღვივე (ცეცხლი)' და სხვა.

გ. რუსულის ა საერთოდ უფრო ფართო და უკანა ხმოვანია, ვიდრე ქართული ა; შეადარეთ, მაგ.: ნაა და ბაა-ო, ძაა და ღაა-ო. რუსულის ი აგრეთვე საერთოდ უფრო ფართოა და უკანა, ვიდრე ქართული ი; შეადარეთ, მაგ., ნოი და ბოი-ი; Оиа და (ვ)ოლა.

რუსულის ა—и—у საერთოდ უდრინ ქართულ ე — ი — უ-ს.

## სამეცყველო ბგერა ღა ნერა

სამეტყველო ბგერის გრაფიკულ (წერილობითს) გამოსახულებას ვეძახით ასოს (რუს. буква, ლათ. litera). მწერლობიან ენაში ხმარებულ ასოთა ერთობლიობას ეძახიან ანბანს ანუ ბერძნულად ალფაბეტს (რუს. алфавит ან азбука).

სამივე ტერმინი წარმომდგარია ასოთა ტრადიციული რიგის პირველი ორი ასოს სახელწოდებისაგან: ან-ბან, ალფა-ბეტა, аз-буки.

### 1. ასო წარმ. უაღბენს სამეტყველო ბგერის პირობითს ნიშანს

სამეტყველო ბგერა, როგორც ვიცით, წარმოითქმება და გაიგონება; ამდენად იგი ფიზიოლოგიურ-აკუსტიკური მოვლენაა. სამეტყველო ბგერების ასოებრივი გამოსახულება კი დაინახება თვალით: ასო ოპტიკურად აღიქმება.

უკვე ამითაა განპირობებული სამეტყველო ბგერისა და ასოს ერთმანეთთან კავშირის პირობითობა: ფიზიოლოგიურ-აკუსტიკურის ოპტიკურად გამოსახვა შესაძლებელია მხოლოდ პირობითად.

ასეთი კავშირის პირობითობა თვალსაჩინოა აგრეთვე მრავალსხვა ფაქტიდანაც.

როგორც ვიცით, ცალკეული სამეტყველო ბგერა იშვიათი მოვლენაა: იგი, ჩვეულებრივ, არსებობს მხოლოდ სხვა ბგერასთან ერთად (იხ. თავი მესამე, 1); ასოები კი არსებობენ, როგორც წესი, მხოლოდ ცალკე. რწმული მეტყველების ასოებით გამოსახვა ამდენად ხელოვნურია და, მაშასადამე, პირობითი.

კიდევ უფრო ნათლად ჩანს ასოსა და სამეტყველო ბგერის კავშირის პირობითობა იმ ფაქტიდან, რომ ერთი და იგივე ასო შეიძლება გამოხატავდეს სხვადასხვა სამეტყველო ბგერას (მაგ., ჩვენ ორთოგრაფიულად ვწერთ: სწყინს, სძლევს, სკამს, სჯის, მაგრამ ს პრეფიქსს წარმოეთქვამთ მხოლოდ პირველ სიტყვაში; დანარჩენებში გვაქვს სამი-

სხვადასხვა ბგერა: ზძლევს, ზქამს, ჟჯის; ე. ი. „ს“ ასომ გამოხატა ოთხი სხვადასხვა ბგერა), ან ერთსა და იმავე სამეტყველო ბგერას გამოხატავდეს ორი ან მეტი ასო (მაგ., ქართული თ ბგერა შეიძლება გამოიხატოს „თ“ და „დ“ ასოებით: თაფი და კარგად — წარმოეთქვამთ კარგათ; რუსულში ა ბგერა შეიძლება გამოიხატოს „ა“ ასოთი — да, ‘დიახ’, „ი“ ასოთი — нагъ, იწერება ногъ, „ჟ“ ასოთი — л’ак ‘ლაწექ’, იწერება ляр და ა. შ.). (იხ. თავი მეშვიდე, II, 1, 3).

## 2. სამეტყველო ბგერები და ანბანი

ზემოაღნიშნული ურთიერთობა სამეტყველო ბგერასა და ასოს შორის სხვადასხვა სახით გვევლინება არა მხოლოდ სხვადასხვა ენაში, არამედ ერთი და იმავე ენის სხვადასხვა საფეხურზე. ამდენად მათი ურთიერთობა ისტორიულად ცვალებადია.

ზოგ ენაში მეტია მის ანბანში შემავალ ასოთა რიცხვი, ზოგში ნაკლები. მაგ., ქართულში დღეს იხმარება 33 ასო, რუსულშიც 33, გერმანულში 26 და ასე შემდეგ. ძველად ქართულში იხმარებოდა 40-მდე ასო, რუსულში 1917 წლის რეფორმამდე—35 ასო. ეს მოწმობს იმას, რომ სამეტყველო ბგერათა რიცხვით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან როგორც ენები, ისე ერთი ენა სხვადასხვა პერიოდში. მაგ., ძველ ქართულში იყო ჳ ფონემა და იხმარებოდა „ჳ“ ასოც. სალიტერატურო ქართულმა დაკარგა იგი, როგორც ფონემა; ამიტომ გადავარდა „ჳ“-ს ხმარებაც.

გვაქვს სხვაგვარი შემთხვევებიც. მაგ., იკარგვის ბგერები, მაგრამ ინახება მათი გამომხატველი ასოები. ასე დაემართა, მაგ., რუსულში ზ და ზ ასოებსა და იმ ფონემებს, რომლებსაც ისინი გამოხატავდნენ: დაიკარგა ფონემები, მაგრამ მათი ასოები ზ და ზ შეინახა რუსულ წერაში სხვა ფუნქციით (იხ. გვ. 156 და შემდ.); მათგან ზ შენახულია დღემდე თავისი მეორადი ფუნქციით, ხოლო ზ ძირითადად გაუქმებულია 1917 წლიდან: შერჩა მას მხოლოდ გამყოფი ნიშნის ფუნქცია (იხ. იქვე).

ყოველ შემთხვევაში, ზ და ზ აღარ ჩაითვლებიან ასოებად უკვე, რადგანაც ისინი არავითარ ბგერას არ გამოხატავენ.

რამდენიმე საუკუნის განმავლობაში იყო შენახული რუსულ ანბანში სრულიად ზედმეტად არა მხოლოდ ზ, არამედ აგრეთვე ზ (მათ) და მ (ჭიტა).

ამის საწინააღმდეგო მოვლენის (ე. ი. როცა მეტყველებაში არის ისეთი ბგერა, რომლისთვისაც ასო არ მოეპოვება ენას) ნიმუშები საკმარისად იყო მოცემული წინა თავში (იხ. 158 და შემდ.) როგორც ქართულიდან, ისე რუსულიდან.

სამეტყველო ბგერისა და ასოს ურთიერთშეუთანხმებლობიდან აღენიშნავ კიდევ ერთს; სახელდობრ, იმ შემთხვევას, როცა მარტივი

სამეტყველო ბგერა განოხატულია რამდენიმე ასოს შეერთებით, ასეთია, მაგ., გერმანულში sch—შ და tsch—ჩ: schwarz 'შავი', deutsch 'გერმანული'.

ასეთი და ზრავალი სხვა შეუთანხმებლობა ბგერასა და ასოს შორის მუდამ შეიძლება იყოს ყოველი ენის ტრადიციულ წერაში: ზოგენაში მეტი, ზოგში ნაკლები. ისეთი იდეალური წერა, რომ „იწერებოდეს წარმოთქმისამებრ და წარმოითქმოდეს დაწერილისამებრ“ მიუღწეველია (იხ. ქვემოთ).

### 3. წერის წარმოშობისა და განვითარების შესახებ

#### უძველესი წერის გადმონაშთები

ასოებრივ წერას, რომელიც წარმოადგენს კაცობრიობის კულტურული განვითარების ერთ უძლიერეს ფაქტორთაგანს, წინ უძღოდა წერის სხვა ფორმები; ძველი და უძველესი წერის ზოგიერთი სახე დღესაც კი იხმარება — ზოგიერთი ენის მწერლობაში თითქმის მთლიანად (მაგ., ჩინურში იდეოგრაფიული წერა), ხოლო გადმონაშთის სახით თითქმის ყველგან (მაგ., ჩვენი ციფრები იდეოგრაფიული წერის გადმონაშთია); წერის უძველესი სახე დღესაცაა გამოყენებული სასიგნალოდ (მაგ., რაიმე ნივთების სურათი იმ მაღაზიის აბრაზე, სადაც ისინი იყიდება, წარმოადგენს უძველესი პიქტოგრაფიული წერის ნიმუშს).

წერის შექმნამ შესაძლებელი გახადა წარმოთქმის ფიქსაცია წასაკითხავად; ამგვარად წარმოიქმნა ზეპირმეტყველების გვერდით წერით მეტყველება ანუ წერილმეტყველება, რომლის შესაძლებლობანი უფრო ფართოა, ვიდრე ზეპირმეტყველებისა — დროისა და სივრცის თვალსაზრისით; საკმარისია ვთქვათ, რომ ათასეული წლების წინათ ნათქვამ-ნააზრევიდან მხოლოდ ისაა დღეს ჩვენთვის ხელმისაწვდომი, რაც იმ დროს დაუწერიათ გამძლე მასალაზე. შორეულ მანძილზე სიტყვიერი ურთიერთობისათვის გამოყენებული იყო — ტელეფონისა და რადიოგადაცემის შემოღებამდე — და გამოყენებულია დღესაც მათ გვერდით წერილმეტყველება.

#### აკად. ნ. მარის აზრი წერის წარმოშობის შესახებ

არსებობს აკად. ნ. მარის აზრი წერის კავშირის შესახებ კინეტიკურ (სხეულმოძრაობითს) ენასთან. მარის აზრით, წერის პირველი ნიშნები ჩანს უკვე ხაზობრივ მეტყველებაში, რომელიც, მისი აზრით, წინ უსწრებდა ბგერითს მეტყველებას: ერთ მთლიან კინეტიკურ მეტყველებაში განვითარდა დიალექტიკურად ორი — ბგერითი და წერილობითი მეტყველება, რომელთაგან გაიმარჯვა ბგერითმა, როგორც უფრო მოქნილმა, ხოლო წერილმეტყველება შეიქმნა ბგერითის გრაფიკული სიმბოლო.



„საკმარისია ეთქვათ, რომ ხაზობრიობა შეიძლება განხორციელდეს არა მხოლოდ უშუალოდ „ხელის“, resp. „თითების“ არამატერიალური წარმავალი დაუდგარი მოძრაობით, არამედ მატერიალურადაც მათი იარაღობრივი შენაცვლებისას — ამომქრელით, ფუნჯით, კალმით, რომლებიც აფიქსირებენ ხაზებს საღებავებით, რაც, წერა იქნება ის თუ ფერწერა, გენეზისურადაა აგრეთვე დაკავშირებული მეტყველებასთან...“<sup>1</sup>

რამდენადაც როგორც კინეტიკური, ისე გრაფიკული (წერილობითი) მეტყველება თვალთ ალსაქმელი მოვლენაა, ამდენად მათ შორის გენეზისური კავშირი სრულიად დანარწმუნებელი მოსახრებაა: სამეტყველო ხელმოძრაობის დაფიქსირება რაიმე შესაფერ მასალაზე შესაძლოა გამხდარიყო გრაფიკული გამოსახულების და, მაშასადამე, წერის დასაბამი.

### პიქტოგრაფია და იდეოგრაფია

ძველმწერლობიანი ხალხების დამწერლობათა შესწავლა საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ წერის განვითარების ზოგიერთი საფეხური; საყურადღებო მასალას წარმოადგენს — მეტადრე წერის წარმოშობის შესწავლისათვის — ზოგიერთი ჩვენი დროის პრიმიტიული ხალხის დამწერლობისმაგვარი ნიშნები.

იმის მიხედვით, რაც ვიცით წინარეისტორიული ადამიანის მიერ გამოსახული საგნების შესახებ (კლდეებზე, მღვიმეებში და სხვ.), და, აგრეთვე, რაც ვიცით ჩვენი დროის პრიმიტიულ ხალხთა (ესკიმოსებისა, ჩრდ.-ამერიკის ინდიელთა, პერუს ტომისა სამხრ.-ამერიკაში, აუკაგირებისა ჩრდ.-აზიაში და სხვათა) შესახებ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პირვანდელი „დამწერლობა“ უნდა ყოფილიყო სურათისებრი ანუ ხატოვანი, რომელსაც ეძახიან პიქტოგრაფიულ წერას (ლათ. pictus 'დახატული' და ბერძნ. γραφή 'გამოსახულება').

პიქტოგრაფიით გადმოცემულია სიტყვობრივ დაუნაწევრებელი აზრი. მას, როგორც ჩანს, კავშირი აქვს პირვანდელ მხატვრობასთან: მოცემულია „მკითხველისათვის“ გადმოსაცემის სურათი; ამდენად იგი განსხვავდება ჩვეულებრივი მხატვრობისაგან მხოლოდ სიმბოლურობის ჩანასახით.

პირობითობა იმდენად სუსტია პიქტოგრაფიაში, რომ მას ერთნაირი სიადვილით „კითხულობს“ ყოველი ენის წარმომადგენელი: პიქტოგრაფია ინტერნაციონალური „წერაა“. პიქტოგრაფიის ნიმუშია, მაგ., სურათი, რომელზეც დახატულია ორი ადამიანი შიშველი გულებით; გულები შეერთებულია ხაზით: სურათზე გამოსახულია ორი ადამიანის მეგობრობა ან სიყვარული; ადამიანს ხელში უჭირავს მშვილდ-ისარი,

<sup>1</sup> Н. Я. Марр, Язык и письмо. Избр. работы, т. II, стр. 860.

მის ახლოს რაიმე ცხოველია: ესაა ნადირობის გამოსახულება; მზეების გამოსახულება წარმოადგენს დღეების რიცხვს, მთვარეებისა — ღამეების რიცხვს და მრავალი სხვა.

პიქტოგრაფიამ, დროთა განმავლობაში, განიცადა ცვლილებები, რაც იმაში მდგომარეობს, რომ სუსტდება მსგავსება გამონახატულებასა და გამოსახატავს შორის და ძლიერდება სიმბოლურობა და პირობითობა: ამდენად პიქტოგრაფია იქცევა იდეოგრაფიად (ბერძნ. ἰδέα 'აზრი', γραφή 'გამოსახულება').

იდეოგრაფიული წერა წარმოადგენს პიქტოგრაფიულის განვითარებას და მდგომარეობს შემდეგში: გამოსახულება გამარტივებულია, ნაკლებად ჰგავს გამოსახატავს და ამდენად წარმოადგენს გამოსახატავის თითქმის მხოლოდ სიმბოლურ ნიშანს; იდეოგრაფიული წერა მოასწავებს აზრის სიტყვობრივი დანაწევრების გზაზე შედგომას: სიმბოლური ნიშნები მოეპოვება უკვე არა სათქმელს მთლიანად, როგორც ეს პიქტოგრაფიაშია, არამედ ცალკეულ სიტყვებსაც — სიტყვების ბგერებად დანაწევრების გარეშე, რა თქმა უნდა.

ამდენად იდეოგრაფიას უკვე ნაკლებად აქვს ინტერნაციონალური ხასიათი: იდეოგრაფის გაგება („წაკითხვა“) შეუძლია თითქმის მხოლოდ იმას, ვისაც შეუსწავლია იგი: ამაში ჩანს პირობითობის გაძლიერება იდეოგრაფიაში.

უკვე პიქტოგრაფიულ დამწერლობაშია იდეოგრაფიის ჩანასახი. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ პირობითობის ელემენტი არ შეიძლება არ იყოს მასში, რადგანაც გამონახატულება არ შეიძლება საესებით მსგავსი იყოს გამოსახატავისა. მეორე — იმიტომ, რომ განყენებული ცნებები, რომლებიც ყოველთვისაა გამოსათქმელში კონკრეტულის გვერდით, შეიძლება გამოიხატოს მხოლოდ პირობითად, სიმბოლურად, ე. ი. იდეოგრაფიულად.

თითქმის მთლიანად იდეოგრაფიულია, მაგ., დღევანდელი ჩინური წერა (უძველესი ჩინური წერა კიდევ მეტად იყო ასეთი), რომელიც შექმნილია ოთხი ათასი წლის წინათ.

იდეოგრაფიულია აგრეთვე ძველი ეგვიპტური ე. წ. იეროგლიფური წერა (5 ათასი წლის წინათ), სუმერულ-ბაბილონური და ხეთური.

შევნიშნავთ აქვე, რომ იდეოგრაფიულად აგებულ წერის სისტემებს შერჩათ ბერძნული სახელწოდება იეროგლიფი, რაც ნიშნავდა „სალეთო ამონაკვეთი“ (ἱερός „სალეთო“, γλῆφι „ამონაკვეთი“).

### პოლიფონია და ჰომოფონია იდეოგრაფიულ წერაში

იდეოგრაფიული წერის მრავალ სიმბოლოთაგან აღსანიშნავია პოლიფონია და ჰომოფონია.

პოლიტონია (ბერძნ. πολιτωνια 'მრავალხმიანი') არის ერთი და იმავე მნიშვნელობის, მაგრამ განსხვავებულად მბგერი სიტყვების (ე. ი. სინონიმების) ერთი და იმავე იდეოგრამით გამოსახულება. იდეოგრამა, როგორც ითქვა, გადმოგვცემს, საუკეთესო შემთხვევაში, სიტყვის მნიშვნელობას და არა მის ბგერობას. მაშასადამე, მაგ., ორი სიტყვა 'მამაცი' და 'გულადი' (სულ ერთია, რომელ ენაზე — мужественный და храбрый, ინგლ. brave და manful) იდეოგრაფიულად გადმოიცემა ერთი და იმავე ნიშნით, რომელიც ერთნაირად შეიძლება იყოს გასაგები (ან გაუგებარი) ყოველ ენის წარმომადგენლისათვის. მაგრამ მისი ბგერითი შედგენილობა არც ერთს არ ეცოდინება, თუ რამ სხვა დამატებითი ცნობები და მითითებები არა აქვს ასეთი იდეოგრამის ამოჭკითხველს.

არანაკლებ სიძნელეს წარმოადგენს ჰომოტონია (ბერძ. ὁμοτωνια 'მსგავსხმიანი'), რომელიც წარმოადგენს სხვადასხვა მნიშვნელობის, მაგრამ ერთნაირად მბგერი სიტყვების სხვადასხვა იდეოგრამით გამოსახულებას; მაშასადამე, თუ პოლიტონიაში სინონიმები ერთი და იმავე იდეოგრამით გამოისახება, ჰომოტონიაში, პირიქით, ომონიმები გამოისახება სხვადასხვა იდეოგრამით. მაგ., ქართული 'ბარი' — იარაღი და 'ბარი' — ადგილი სხვადასხვა იდეოგრამით; ასევე რუს. перо 'ფრთა' და mine 'კალამი', ინგლ. mine 'ჩემი' და mine 'მალარო' დაიწერებოდა სხვადასხვა იდეოგრამებით: აქაც ამოჭკითხველს არ ეცოდინება, რომ ეს წყვილ-წყვილი სიტყვები ერთნაირად ბგერენ.

### ლურსმული წერა

იდეოგრაფიულ წერას სხვადასხვა ფორმა ჰქონდა სხვადასხვა ხალხის დამწერლობებში. მაგ., განსხვავებულია სუმერული და ჩინური იდეოგრაფია. კერძოდ, სუმერული იდეოგრაფიისაგან განვითარდა (სამი ათასი წლის წინათ ქ. წ.) ლურსმული წერა, რომელიც წარმოადგენს უკვე ბგერობრივ წერას — თავდაპირველად მარცვლობითს.

მარცვლობითი ანუ სილაბური (ბერძნ. συλλαβική 'მარცვალი') წერა იმაში მდგომარეობს, რომ ასო აქვს არა თითოეულ ბგერას, როგორც ანბანურში, არამედ მთელ მარცვალს: იწერება ასო მხოლოდ თანხმოვნისათვის, ხოლო ხმოვანი იგულისხმება ან გამოიხატება დამხმარე ნიშნით; ასეთია, მაგ., არაბული მარცვლობითი წერა.

სუმერული იდეოგრაფიისაგან მარცვლობითი ლურსმული წერის განვითარებას იმან შეუწყო ხელი, რომ სუმერული ენა მონოსილაბურია (ერთმარცვლოვანია), ე. ი. ყოველი სიტყვა შედგენილია თითო მარცვლისაგან.

ლურსმული მარცვლობითი წერა წარმოადგენს დამწერლობის მნიშვნელოვან პროგრესს, რადგანაც მასში მოცემულია სიტყვის ბგერობრივი ანუ ფონეტიკური ანალიზი. ბგერობრივი იმდენად, რამ-

დენადაც სიტყვა დაწლილია არა მნიშვნელობიან ელემენტებად, არამედ წარცვლებად.

მაშასადამე, ლურსნული მარცვლობითი წერა წარმოადგენს მარცვლობრივ-ბგერითს დამწერლობას.

ნიშნის პირობითობა აღწევს უმაღლეს საფეხურს.

დამწერლობის შემდეგი საფეხურია ანბანური ანუ ასოებრივი წერა, ე. ი. მარცვლის ცალკეულ ბგერებად დაშლა და თითოეული ბგერისათვის ასოს მიჩენა—ასოებრივ-ბგერითი დამწერლობა.

ძველი სპარსული დაწერილია უკვე ასოებრივ-ბგერითი ლურსნულით.

### ასოებრივი წერის განვითარება

ასოებრივი ანუ ასოებრივ-ბგერითი დამწერლობა, რომელიც დღეს ნოქმედებს მრავალ მწერლობაში (საბქოთა კავშირში, ევროპაში, ამერიკაში), მომდინარეობს სემიტურ ხალხთა — ფინიკიელებისა და არამიელების — დამწერლობიდან (არაა მეცნიერებში გადაწყვეტილი საკითხი, თუ საიდან მიიღეს იგი ამა თუ იმ სახით თვით სემიტელებმა).

რადგანაც სემიტურ ენებში თანხმოვნები წარმოადგენენ სიტყვის ნივთიერი მნიშვნელობის მატარებელს, ხოლო ხმოვნები — გრამატიკული მნიშვნელობის მატარებელ ნაწილს, ამიტომ სემიტურ მარცვლოვან წერაში ასო წარმოადგენს ბგერასაც (ჩვეულებრივ, თანხმოვანს) და მარცვალსაც. ამდენად სემიტური დამწერლობა მარცვლოვანიცაა ერთსა და იმავე დროს და ასოებრივიც. ამიტომაც, რომ სემიტურიდან გამოვიდნენ როგორც მარცვლებრივ-დამწერლობიანი (მაგ., ინდური დევანაგარი, ფალაური, არაბული და სხვ.), ისე საკუთრივ ასოებრივი ანბნები.

სემიტური დამწერლობა გავრცელდა სავაჭრო ურთიერთობის ნიადაგზე ირანის, ინდოეთის, საბერძნეთისა და სხვა ქვეყნების ხალხებში.

სემიტური დამწერლობა მრავალგვარად შეიცვალა მისი სხვადასხვა ენისათვის გამოყენებისა და იმ მასალის მიხედვით, რაზედაც იწერებოდა. კერძოდ, წერის მიმართულება შეიცვალა, მაგ., ძველ ბერძნულში: ძველი სემიტური წერის მიმართულება იყო მარჯვნიდან მარცხნივ, რაც შერჩა, მაგ., არაბულს, ხოლო ძველ ბერძნულში დამკვიდრდა მარცხნიდან მარჯვნივ.

საყურადღებოა, რომ ძველი ბერძნულის პირვანდელ დამწერლობას (ალბათ, X საუკუნიდან ქ. წ.) შემონახული აქვს ორივე მიმართულება: მარცხნიდან მარჯვნივ დაწერილ სტრიქონს მისდევს მარჯვნიდან მარცხნივ დაწერილი; წერის ამ წესს ეძახდნენ ბუსტროფედონს (ბერძნ. βῆστροφῶν ‘ხარი’, στρεφῶν ‘ტრიალი, მობრუნება’).

ძველი ბერძნული დამწერლობა წარმოადგენს სემიტური წერისაგან ასოებრივის განვითარების ერთ-ერთ ნიმუშს.

#### 4. დამწერლობისა და წარმოთქმის ურთიერთობა სალიტერატურო ენაში

ასოებრივ-ბგერითს ტრადიციულ დამწერლობასა და წარმოთქმას შორის მუდამ შეუთანხმებლობას აქვს ადგილი, რადგანაც არც ერთი ენის ასოებრივ-ბგერითს დამწერლობას არ შეუძლია გამოსახოს ზუსტად ცოცხალი წარმოთქმის პროცესი.

როგორც ვიცით, ცოცხალ წარმოთქმაში ყოველი სამეტყველო ბგერა (ფონემა) უეჭველად განიცდის მეტ-ნაკლებ ცვლილებას ბგერათ-შეერთების წესების ძალით. მაგრამ რადგანაც თითოეულ ასოს დაკისრებული აქვს გამოსახოს სამეტყველო ბგერის ძირითადი სახე და არა მისი სხვადასხვა სახეობა სხვა ბგერებთან მეზობლობაში, ამიტომ ჩნდება განხეთქილება წარმოთქმასა და მის გამოსახულებას შორის. მაგ., ქართულში „ღ“ ასოს მოეთხოვება გამოსახოს მეღერი უკანაენისშიერი ნაკრალოვანი თანხმოვანი, ვთქვათ სიტყვაში ბაღი, მაგრამ საკმარისია წარმოეთქვათ ბაღს, ბაღში და ან ბაღთან, რომლებშიც წარმოითქმება არაღ, არამედ მხოლოდ ხ, რომ განხეთქილება მოხდეს წარმოთქმასა და ასოს შორის: იწერება „ღ“, მაგრამ ვამბობთ ხ-ს.

ასეთი შეუთანხმებლობა მუდამაა მეტ-ნაკლები ზომით მათ შორის.

კიდევაც რომ დაეუშვათ სრული პირობითი შეთანხმებულობა წარმოთქმასა და დამწერლობას შორის მოცემული ენისათვის ანბანის შექმნის მომენტიში. (რაც ძლიერ საეჭვოა), განხეთქილება უნდა დაწყებულიყო იმავე მომენტიდან: დროთა განმავლობაში ენის ბგერითი (ისე როგორც ყოველი სხვა) მხარე იცვლება განუწყვეტლივ, ხოლო ბგერების გამოსახველი ასოები ან არ იცვლებიან (მაგ., ბეჭდურში) და, თუ იცვლებიან, არა ბგერითი ცვლილებების შესაბამისად:

ასოების მოყვანილობის ცვლილებას არავითარი კავშირი არა აქვს, რა თქმა უნდა, ბგერათცვლილებასთან, და პირველს არ შეუძლია გამოხატოს მეორე.

საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთი მასობრივი იარაღი, როგორცაა სალიტერატურო ენა, — მეტადრე საბჭოურ სინამდვილეში, — მით უკეთ ასრულებს თავის დანიშნულებას, რაც უფრო ზუსტადაა დადგენილი მისი მოხმარების წესები, რომლებიც სავალდებულოა ყველა მხმარებლისათვის — როგორც დამწერისა, ისე მთქმელისათვის. სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა წერილმეტყველებისა და ზეპირმეტყველების გარკვეული წესებით რეგულირება.

იმ წესების სისტემას, რომლებიც არეგულირებენ დამწერლობისა და წარმოთქმის ურთიერთობას, ეწოდება *ორთოგრაფია* ანუ მართლწერა, ხოლო იმ წესების სისტემას, რომლებიც არეგულირებენ წარმოთქმას — როგორც დამწერლობასთან ურთიერთობაში, ისე მისგან დამოუკიდებლად, ეწოდება *ორთოეპია* ანუ მართლმეტყველება.

## ორთოგრაფია და მისი პრინციპები

ორთოგრაფია, როგორც წერილმეტყველების საველდებულო წესების სისტემა, აქვს ყოველ სალიტერატურო ენას; მაგრამ ერთი ენის ორთოგრაფია (ბერძნ. ὀρθογραφία 'სწორი, მართებული' და γράφω 'დამწერლობა') განსხვავებულია სხვა ენის ორთოგრაფიისაგან როგორც ამ წესების სისტემის სირთულე-სიმატივით, ისე მისი აგების პრინციპებით.

მაგ., ჩვეულებრივ, ძველმწერლობიანი ენის ორთოგრაფია უფრო რთულია, ვიდრე ახალმწერლობიანისა; მაგრამ არა ყოველთვის: მაგ., ქართული ენის ორთოგრაფია გამოირჩევა თავისი სიმატივით მრავალთაგან — იმის მიუხედავად, რომ ქართული ძველმწერლობიანი ენაა.

უფრო დიდი — და, ვფიქრობთ, გადაწყვეტი — მნიშვნელობა აქვს ორთოგრაფიის სიძნელე-სიმატივისათვის მოცემული ენის ფონეტიკური ცვლილების მეტ-ნაკლებობას. ეს დებულება მართლდება სწორედ ქართული ორთოგრაფიის სიმატივით: დროთა განმავლობაში ქართული ენა ფონეტიკურად ნაკლებად შეცვლილა, ვიდრე ბევრი სხვა ენა (მაგ., რუსული, გერმანული, ფრანგული, ინგლისური და ზოგი სხვა) <sup>1</sup>.

განასხვავებენ ორთოგრაფიის აგების სამ მთავარ პრინციპს: ფონეტიკურს, მორფოლოგიურსა და ისტორიულს ანუ ტრადიციულს.

არც ერთი ენის ორთოგრაფიას არ უძევს საფუძვლად მხოლოდ ერთი ამ პრინციპთაგანი, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი უპირატესია ამა თუ იმ ენის ორთოგრაფიაში. მაგ., ქართულში, როგორც ფონეტიკურად ნაკლებად შეცვლილ ენაში, ქარბობს ფონეტიკური პრინციპი, ხოლო რუსულში — მორფოლოგიური, ინგლისურში — ისტორიული; თითოეულ მათგანში არის სიტყვები, რომლებიც იწერება არა იმ პრინციპით, რომელიც მასში გაბატონებულია.

ამ სამი მთავარი პრინციპის გარდა, აღსანიშნავია სიმბოლური პრინციპი.

### ა. ორთოგრაფიის ფონეტიკური პრინციპი

ფონეტიკური პრინციპის თანახმად სიტყვა უნდა იწერებოდეს წარმოთქმისამებრ, ე. ი. მოცემული სიტყვის დასაწერად საჭირო თითოეულ ასოს უნდა ჰქონდეს მხოლოდ ძირითადი ბგერითი მნიშვნელობა; მაგ., სიტყვა ამაგი დაწერილია ფონეტიკურად, მაგრამ ამაგს — არა, რადგანაც ასო „გ“ აქ გამოსახავს „ქ“ ბგერას (ს-ს წინ დაყრუებული

<sup>1</sup> როგორც ჩანს, ორთოგრაფიის სიძნელე არ ახლევს მოცემულ სალიტერატურო ენას უზიგნურად მისი ხმარებისაგან. ამის კარგი ნიმუშია, სამწუხაროდ, ქართული სალიტერატურო ენა ზოგიერთი ჩვენი მწერლისა და მეცნიერის ხელში: უგულვებელყოფენ მარტივ წესებს, ალბათ, მათი სიადვილის გამო; ავიწყდებათ, რომ შესწავლა ადვილსაც სჭირდება.

გ იძლევა ქ-ს). რუს. хрдит დაწერილია ფონეტიკურად, მაგრამ ход— არა; რადგანაც ход-ში დ-თი გამოსახულია т (დ-ს დაყრუების გამო სიტყვის ბოლოს); ფონეტიკურადაა დაწერილი, მაგ., ორივე რუსული სიტყვა: иэдрѣл და иенѣл. ფონეტიკურადაა დაწერილი, მაგ., ხტკი-ვა, მაგრამ ხძინავს — არა, რადგან წარმოითქმის ხძინაჭხ და ა. შ.

## ბ. ორფოლოგიის მორფოლოგიური პრინციპი

მორფოლოგიური პრინციპის თანახმად სიტყვა უნდა იწერებოდეს ისე, რომ მასში ჩანდეს სიტყვის შედგენილობა — დანოუკიდებლად იმისაგან, თუ როგორ წარმოითქმება იგი. მაგ., სიტყვა стол დაწერილია ისე, რომ აკმაყოფილებს ფონეტიკურ პრინციპსაც და მორფოლოგიურსაც; ასევეა დაწერილი სიტყვა ирѣн-ც; მაგრამ стѣлѣ და ногѣ დაწერილია მორფოლოგიური პრინციპის დაცვით (დაირღვეოდა მორფოლოგიური პრინციპი, რომ დაგვეწერა стѣлѣ და ногѣ, ე. ი. წარმოთქმისამებრ), მაგრამ ფონეტიკური პრინციპის დარღვევით.

სიტყვა ერთავული ან რიბში დაწერილია მორფოლოგიურად, მაგრამ არა ფონეტიკურად, რადგანაც წარმოითქმის ერღავული და რიბში. ორივე პრინციპს აკმაყოფილებს, მაგ., თავი, გული, რიგი.

როდესაც ჩვენ ვწერთ სჭრის, გქონდა, რიგს, აქეთკენ, ბალთან, ეიცავთ მორფოლოგიურ პრინციპს, რამდენადაც კარგად ჩანს ფუძეც, პრეფიქსიც, დაბოლოებაც და თანდებულებაც, მაგრამ დარღვეულია ფონეტიკური პრინციპი, რამდენადაც წარმოითქმის შჭირს, ქქონდა, რიქს, აქეტკენ, ბახთან.

როდესაც რუსულად სწერენ ночь, мѣшь, рожь, რომლებიც წარმოითქმიან ноч, мѣш, рош, დაცულია მორფოლოგიური პრინციპი, რადგანაც ხ მიუთითებს ამ სიტყვების მდებარეობით სქესზე და рожь-ში ж არის ამ სიტყვის ძირითადი ფონემა; მაგრამ დარღვეულია ფონეტიკური პრინციპი, რადგანაც ხ ზემეტია და рожь-ში ვწერთ ж-ს და წარმოვთქვამთ ш-ს.

ასეთივეა რუსული садѣться 'დაჯდომა' და садѣтся 'ჯდება': ორივე სიტყვა წარმოითქმის ერთიმეორის მსგავსად — садѣтъ; მაშასადამე, ამ ორთოგრაფიულ დაწერილობაში დაცულია (ინფინიტივისა და აწმყოს III პირის განსხვავებულად დაწერის გამო) მორფოლოგიური პრინციპი და დარღვეულია ფონეტიკური.

რამდენადაც მორფოლოგიური პრინციპით წერაში შესაძლებელია დაცული იყოს სიტყვის ფონემური შედგენილობის გამოსახვა, იმდენად მას შეიძლება ეწოდოს აგრეთვე ფონოლოგიური პრინციპი. მაგ.: სჭრის, გქონდა; столѣ, ногѣ — დაცულია ფონემების (ს, გ, ი) გამოსახვა — მიუხედავად იმისა, რომ ამ სიტყვებში ისინი გვევლინებიან სხვა სხვა-სხვაობით, ე. ი. წარმოითქმიან სხვაგვარად: როგორც შ, ქ და გ.

## გ. ორთოგრაფიის ისტორიული ანუ ტრადიციული პრინციპი

ორთოგრაფიის ისტორიული პრინციპის თანახმად წერა ეწოდება სიტყვის ისეთ დაწერილობას, რომელიც დამკვიდრებულია ტრადიციის ძალით მოცემული ენის დამწერლობაში — მიუხედავად მორფოლოგიური პრინციპის დარღვევისა; მორფოლოგიური პრინციპი კი დარღვეულა წარსულში ფონეტიკური პროცესების გავლენით.

ისტორიულია ანუ ტრადიციული, ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით, ყველა ის დაწერილობა, რომელიც უცვლელად მომდინარეობს წინა ეპოქებიდან; მაგ.: კაცო, სახლი, ციფო, მინდორი, სხედან და მრავალი სხვა. მაგრამ, როცა ამ პრინციპზეა საუბარი, მხედველობაში აქვთ მხოლოდ ისეთი შემთხვევები, როცა დამწერლობაში დარღვეულია მორფოლოგიური ან ფონეტიკური პრინციპი, დამწერლობა კი სწორად ითვლება.

ისტორიული პრინციპის თანახმად იწერება, მაგ., „თვრამეტი“ იმის შემდეგ, რაც დაიკარგა თავში ა და მოხდა გადასმა (ათ+რვა+მე-ტ-საგან); ვწერთ ტრადიციის ძალით „თაყვანისცემა“-ს აგრეთვე ბგე-რათგადასმის შედეგის ტრადიციულად ქცევის გამო (მორფოლოგიური შედგენილობა: თაყ-ყანის-ცემა).

როგორც პირველს, ისე მეორე ნიმუშში დარღვეულია მორფოლოგიური პრინციპი, მაგრამ დაცულია ისტორიულ-ფონეტიკური.

იწერება „ბეჩავი“ იმის შემდეგ, რაც ტრადიციულად იქცა დ-ს დაყრუებისა (შ-ს წინ) თ-დ და თ-ს შ-სთან შეერთების შედეგი (ჩ).

მხოლოდ ისტორიულ ფონეტიკას შეუძლია აღადგინოს ამ სიტყვების („თვრამეტი, თაყვანისცემა, ბეჩავი“) და მრავალ სხვათა მორფოლოგიური შედგენილობა.

კიდევ უფრო თვალსაჩინოა ტრადიციული დამწერლობის პრინციპი რუსულში; მაგ.: იწერება ЖИЛ ‘ცხოვრობდა’ და ШИЛ ‘კერავდა’ და არა ЖЫЛ და ШЫЛ, როგორც წარმოითქმის სინამდვილეში. იწერება კი ასე იმიტომ, რომ იწერებოდა ასე (ЖИЛ, ШИЛ) მაშინ, როცა Ж და Ш რბილი თანხმოვნები იყო; დღეს კი, გარკვეული დროიდან (სახელდობრ, XIV საუკუნიდან დაწყებული), რუს. Ж და Ш მაგრებიან; დაწერილობა კი შერჩა იმ დროინდელი, როცა მართებულად იწერებოდა ЖИ, ШИ.

ისტორიულია და ტრადიციული ქართულში ვნებითი ბრუნვის დაბოლოების დაწერილობა „დ“-ს სახით: მინდვრად, რომელიც დიდი ხანია, რაც წარმოითქმის თ-დ.

ისტორიული პრინციპით დამწერლობას ეძახიან ეტიმოლოგიურ დამწერლობას იმ შემთხვევაში, როცა მასში გამოისახება, თუ როგორი წარმოშობისაა სიტყვა ან ფორმა. ეტიმოლოგიური პრინციპი იქნებოდა დაცული, რომ დაგვეწერა თაყვანისცემა, თრვამეტი, ბედშავი. ეტიმო-



ლოგიურია, მაგ., დაწერილობა *жены* 'ცოლები' (წარმოითქმის *ჰონჰი*), *пчелы* 'ფუტკრები' (*ჩუსლჰი*); *двадцать* 'ოცი' (იგულისხმება, რომ წარმოშობილია *два + десять*-ისაგან *е*-ს დაკარგვით და სხვა ფონეტიკური ცვლილებებით: *д*-ში გვაქვს დაყრუებული *д*-სა და *с*-ს შეერთება; *д*-ს შემდეგ შეიძლება *а* და *я*; *д*-ს დაწერილობა კი შენახულია მხოლოდ იმისათვის, რომ მიუთითოს *десять*-ისაგან წარმომავლობა).

ამ სამ მთავარ პრინციპს გარდა შეიძლება დავასახელოთ კიდევ უ. წ. სიმბოლური პრინციპი, რომელსაც უფრო იშვიათად იყენებენ, ვიდრე ზემოგანხილულებს.

### დ ორთოგრაფიის სიმბოლური პრინციპი

ორთოგრაფიის სიმბოლური პრინციპის თანახმად წერა ეწოდება ბგერითი ომონიმების განზრახ სხვადასხვანაირად წერას, ე. ი. ერთნაირად წარმოთქმადი სიტყვების განზრახ განსხვავებულად გამოსახვას.

ასეთი იყო, მაგ., 1917 წლის ორთოგრაფიის რეფორმამდე, *мир*-ისა 'მშვიდობიანობა' და *мир*-ის 'ქვეყანა' განზრახ განსხვავებულად დაწერის დადგენა—მათი განსხვავებული მნიშვნელობის გამოხატვის მიზნით.

ასეთია, მაგ., დღეს რუს. *он поджѣг* 'ცეცხლი წაუკიდა' (წარმოითქმის *паджѣг*) და *поджог* 'ცეცხლის წაკიდება' (აგრეთვე *паджѣг*). ამავე პრინციპს ეწოდება აგრეთვე იეროგლიფური პრინციპი.

თუ უფრო ფართო მნიშვნელობით გავიგებთ ორთოგრაფიის სიმბოლურ ანუ იეროგლიფურ პრინციპს, მაშინ ამ პრინციპით დაწერილად უნდა მივიჩნიოთ ისეთი ბგერითი ომონიმების დაწერილობა, რომლებიც სხვადასხვა წარმოშობისაა და რომელთა ბგერითი დამთხვევა შემთხვევითია.

ასეთია რუსულში, მაგ., *лесть* 'პირფერობა' და *лезть* 'ძვრომა' (ორივე წარმოითქმის *ლ'ესტ'*); *плач* 'ტირილი' და *плачь* 'იტირე' (ორივე წარმოითქმის *პლაც'*); ფრანგ. *vin* 'ღვინო' და *vingt* 'ოცი', *vint* 'მოვიდა', *vain* 'ფუჭი' (ოთხივე წარმოითქმის *ვჰ*) და ა. შ.

ქართულისათვის შეიძლება დავასახელოთ ასეთი ნიმუში: ხშირად სწერენ დაჟ—კავშირ და-საგან განსხვავების მიზნით, ან სწერენ ჰყვავის—ყვავი-საგან განსხვავების მიზნით.

### 5. ტრანსკრიფცია და ტრანსლიტერაცია

როგორც ზემოთ ვნახეთ, სალიტერატურო ენის დამწერლობაში სამეტყველო ბგერები არაა—და არც შეიძლება იყოს—გამოსახული ზედმიწევნითი სიზუსტით; მასში დაწერილობისა და წარმოთქმის შეუთანხმებლობა მოწესრიგებულია ორთოგრაფიის წესებით—ზემომოყვანილი პრინციპების საფუძველზე.

მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში საჭირო ხდება სამეტყველო ბგერათა ზუსტად გამოსახვა, მაგ., უცხოურ ენათა ლექსიკონებში; ეს საჭიროება

მეტადრე საგრძნობია ენათმეცნიერებაში, ხოლო კერძოდ და განსაკუთრებით — ფონეტიკაში. ამიტომ სამეტყველო ბგერათა ზუსტად გადმოცემას საგანგებო ნიშნებით ეწოდება ფონეტიკური ტრანსკრიფცია (ლათ. transcribere 'გადაწერა').

ტრანსკრიფციისაგან განსხვავებენ ტრანსლიტერაციას, რომელიც წარმოადგენს ერთი ენის ანბნით დაწერილის სხვა ენის ანბნით დაწერას (ლათ. trans 'გადა(ღმა)' და littera 'ასო'); მაგ.: сагани, отахши, цигни.

### ტრანსკრიფცია და მისი ორი სახე

ტრანსკრიფციას მოეთხოვება, რომ 1) თითოეული ასო გამოხატავდეს მხოლოდ ერთ ბგერას და 2) თითოეულ ბგერას ჰქონდეს თავისი საკუთარი ასო.

ეს მოთხოვნილება არ შეიძლება იყოს დაცული არც ერთი ენის ტრადიციულ ანბანში. ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ ისეთი მაქსიმალურად ფონეტიკურ-დამწერლობიანი ენის წერაშიც კი, როგორცაა ქართული, არაა დაცული ეს მოთხოვნილება. მაგ.: 1) ასო „ს“ ზოგჯერ გამოხატავს ზ ბგერას (სძინავს—წარმოითქმის ზძინავს); მეორე მხრით, 2) ბგერა თ-ს არა აქვს თავის საკუთარი ასო, რაც ჩანს იქიდან, რომ თ ბგერა შეიძლება გამოიხატოს „ღ“ ასოთი (კარგად — ითქმის კარგად) და „თ“ ასოთი შეიძლება გამოიხატოს, მაგ., ტ ბგერა (იქითქენ — ითქმის იქითქენ).

ამიტომ, რომ ტრანსკრიფციისათვის არ კმარა არც ერთი ენის ტრადიციული ანბანი: საჭირო ხდება ახალი ასოების შექმნა ან არსებული ასოების გამოყენება დიაკრიტული („განმასხვავებელი“) ნიშნაკებით. პირველის ნიმუშს წარმოადგენს, მაგ., საერთაშორისო ანბნის (ნიშანი, რომელიც გამოხატავს „შ“-ს (ფრანგ. ch, გერმ. sch, ინგლ. sh, ლიტავეურსა და ლატვიურში ჯ და ა. შ.); ხოლო მეორისას ჯ ნიშანი იმავე შ ბგერისათვის, ე. ი. ჯ ნიშანი დიაკრიტული ნიშნაკით.

უფრო ხშირია ტრანსკრიფციაში ეს მეორე მეთოდი. საფუძვლად ჩვეულებრივ გამოყენებულია ლათინური ანბანი, მაგრამ ხშირია აგრეთვე ტრადიციული ანბნის გამოყენებაც.

ტრანსკრიფცია შესაძლებელია იყოს წმინდა ფონეტიკური ან ფონოლოგიური. ტრანსკრიფციის ეს ორი სახე იმით განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ პირველი გამოსახავს ბგერას, რომელსაც შესაძლოა არ ჰქონდეს დისტინქტური მნიშვნელობა; ხოლო მეორე (ფონოლოგიური ტრანსკრიფცია) გამოსახავს მხოლოდ იმ ბგერას, რომელსაც დისტინქტური მნიშვნელობა აქვს, ე. ი. გამოსახავს მხოლოდ ფონემას:

მაგ., რუს. покупать 'ყიდვა' ფონეტიკური ტრანსკრიფციით დაიწერება ასე: пькупат', ხოლო ფონოლოგიურად пакупат'.

პირველში (първѣтъ) პირველი n-ს მომდევნო ბგერა არაა არც a, არც o, არამედ რედუცირებული ხმოვანი, რომელიც რუსულში არ ჰქმნის, ე. ი. მას რუსულში არა აქვს დისტინქტური მნიშვნელობა მიუხედავად ის უნდა აღინიშნოს ფონეტიკურ ტრანსკრიფციაში ულსაც მოეთხოვება გამოსახოს ყოველი ბგერა. პირიქით, ფონოლოგიაში ტრანსკრიფციაში გამოხატულია მხოლოდ ფონემა a, რომელსაც ველებს o-ს უმახვილო მდგომარეობაში (ისე როგორც ენაცვლება i-ს ა რომელსაც ამასთანავე რუსულში აქვს დისტინქტური მნიშვნელობა (განსხვავებით ზ-საგან). (ზ-ს ფონეტიკური მნიშვნელობის შესახებ მოთ, გვ. 157).

აქვე დართულია დიაკრიტულ ნიშნაკთა ცხრილი, რომელიც აწარმოებულია და თარგმნილი ქართულად მატუსევიჩის წიგნიდან<sup>1</sup>.

ლაბიალიზაცია	°	ʃ̣ ʂ̣	სომხის სიპირროვა	.	ფჟ
პალატალიზაცია	ʹ	ṭ ṣ	სომხის სიჟაითროვა	,	ფც
ველარიზაცია	˘	ṭ. ṭ. ṣ. ṣ.	ნინ სამონულობა	˘	ო, ა.
ჟარიზაციზაცია	˘	ṭ ṣ	უან ბანულობა	˘	ა, ი.
ნაზალიზაცია	˘	ã ã̃	ნიზარძე	:	ა:ი:
აბიჟალუარობა	˘	ṭ ṣ	ნახუაქსიზარძე	.	ა.ი.
დორსალუარობა	˘	ḍ ẓ	სიპოლა	˘	ა̣ ო̣
მეზოვიდალუარობა	.	ɲ ɲ̃	უმაქსალ სომხი	.	ი უ
ასპირაცია	ʹ	ṭʰ p̣ʰ	მაყვლოვანი სომხი	.	ი უ
ყალბუვა	ʹ	'ap'	დაჭიხულობა	ʹ	éí
მელარობა და სონანტობა	˘	ṭ ḷ	დაჭიხულობა	˘	èì
სიყარვა	˘	ḍ ṃ	მთავარი მახვილი	˘	'ანბალი
ჩუჩილი	˘	ẓ ḷ	თანამახვილი	˘	ანბალი

სურ. 38. დიაკრიტულ ნიშნაკთა ცხრილი

განმარტებისათვის საჭიროა მიუთითოთ შემდეგზე: პირველ სვოცემულია ნიშნაკები ცალ-ცალკე, ხოლო მეორეში—თვით ასოებდა: ან თავზე, ან თავზე გვერდით, ან ქვეშ, ან ქვეშ გვერდზედადით.

<sup>1</sup> М. И. Матусевич, Введение в общую фонетику<sup>1</sup>, 1948, გვ. 98.  
ზოგადი ფონეტიკა

სიგრძის აღსანიშნავად ძლიერ გავრცელებულია პატარა ხაზი ასოს თავზე:  $\bar{a}$   $\bar{v}$ ,  $\bar{s}$   $\bar{n}$  და სხვა.

## 6. ანბანი სინთეტიკური და ანალიტიკური

განასხვავებენ სინთეტიკურ ანბანს ანალიტიკურისაგან. სინთეტიკური ანბანი ეწოდება ისეთს, რომელიც არ უწევს ანგარიშს, რთულ შედგენილობისაა თუ მარტივისა ის ბგერა, რომელიც ასოთი უნდა გამოისახოს. მაგ., ქართული ან რუსული ანბანი საერთოდ სინთეტიკურია: მარტივი „ჩ“ ასო გამოხატავს რთულ თანხმოვანს ანუ აფრიკატს, ხოლო ასეთივე მარტივი ასო, მაგ., „დ“ გამოსახავს მარტივ თანხმოვანს.

ანალიტიკური ანბანი ეწოდება ისეთს, რომელიც ითვალისწინებს ბგერის შედგენილობას და მარტივ ბგერას გამოსახავს მარტივი ასოთი, ხოლო რთულ ბგერას — რთული ასოთი. მაგ., დ ბგერა გამოისახება ლათ.  $d$ -თი, ხოლო ძ —  $d'$ -თი.

### აკად. ნ. მარის ანალიტიკური ანბანი

აკად. ნ. მარის მიერ შედგენილი ანალიტიკური ანბანი გამოყენებული იყო უმთავრესად კავკასიურ ენათა ბგერების გამოსახატავად.

ნ. მარის ანალიტიკური ანბანი აგებულია რიცხვთა გამოხატვის ციფრული სისტემის ანალოგიურად: როგორც რიცხვებია ციფრობრივ დაყოფილი ერთეულებად (ერთციფრიანი), ათეულებად (ორციფრიანი), ასეულებად (სამციფრიანი) და ა. შ., ისე ბგერებიც იყოფა მარტივებად (ერთნიშნიანი), ორშედგენილობიანებად (ორნიშნიანი) და სამშედგენილობიანებად (სამნიშნიანი).

განვიხილავთ მხოლოდ თანხმოვნებს.

ნ. მარის ანალიტიკური ანბანის თანახმად არსებობს რამდენიმე მარტივი ძლიერი თანხმოვანი (მაგ., ქართულისა და აფხაზურის  $d - t - t'$ ,  $g - k - k'$ ), რომლებსაც შესაძლოა მიემატოს შესაბამისად სუსტი თანხმოვნები ( $s - z$ ,  $sh - zh$ ;  $z - z'$ ,  $ch - ch'$ ), რის შედეგადაც მივიღებთ რთულ (ორშედგენილობიან) თანხმოვნებს.

მაგ., დ ძლიერი მარტივი თანხმოვანია, ხოლო  $d'$  — რთული (ორშედგენილობიანი:  $d + z$ ). ამიტომ, თუ პირველისათვის გამოდგება მარტივი ( $d$ ) ასო, მეორისათვის მარტივი ასო („ $d'$ “) გამოუსადეგარია, რადგან „ $d'$ “ მარტივი ასოა,  $d$  ბგერა კი რთული ( $d + z =$  ლათ.  $d + z$ ); ამიტომ  $d$ -ს ასოდ გამოყენებულია  $d'$ , რომელშიც  $v$  ნიშნაკს დაკისრებული აქვს გამოხატოს  $z$  ( $z$ )-ს შემავლობა  $d$ -ში. იმავე ნიშნაკს, დასმულს  $d'$  ასოს ქვეშ გადმობრუნებულად, ეკისრება გამოხატოს  $sh$ -ს შემავლობა, მაგ., ჯ-ში:  $d' =$  ჯ-ს (ე. ი.  $d + sh$   $d' + j =$  ჯ  $d'$ ).

ციფრების ანალოგიურად რომ. ვივარაუდოთ,  $d$  და  $d'$  იქნება ათეული (ორციფრიანი, ე. ი. ორშედგენილობიანი), რადგანაც ძლიერი თან-

ზმოვნები (აქ ღ) წარმოადგენენ ერთეულის რიგს, ხოლო სუსტები (აქ ზ და უ) წარმოადგენენ ნულის რიგს.

სამშედგენილობიანის (ციფრულად ასეულის) ნიმუშად შეიძლება განვიხილოთ აფხაზური  $\text{ქ}^{\circ}$  (ქართულს არა აქვს სამშედგენილობიანი ბგერა):

ტ. ძლიერი მარტივია (ერთეული); როცა მას დაერთვის ერთი სუსტი (ნულის რიგისა), მაგ., ხ, მივიღებთ წ-ს (ათეულს), რომელიც ამ ანბნით გამოიხატება  $\text{ქ-თი}$  (თავზე დასმულ წერტილს ევალება გამოხატოს  $\text{ქ}$ ); თუ მას მიემატება კიდევ მეორე სუსტი თანხმოვანი  $\text{ჯ}$  (ციფრულად — მეორე ნულის რიგისა), მივიღებთ აფხაზურში არსებულ  $\text{წ}^{\circ}$ -ს (ასეულს), რომელსაც ამ ანბნით გამოხატავენ  $\text{ქ}^{\circ}$ -ის სახით (ბგერა სამშედგენილობიანია და ასოც სამნიშნიანი აქვს).

გარდა თქმულისა, ნ. მარის ანალიტიკური ანბნის შესახებ საჭიროა ციკოდეთ კიდევ შემდეგი:

1. მარტივი თანხმოვნები სხვადასხვა (ძლიერნი: ბ — ფ — ჰ, მ, ვ, ჭ; ჯუსტნი: რ, ლ, მ || ნ), მაგრამ ესენი არც დაერთავენ სუსტებს და არც დაერთვიან სხვა ძლიერ თანხმოვნებს.

2. იმ ცხრა სუსტი თანხმოვიდან, რომლებიც დაერთვიან ძლიერებს (ჩიხ. ზემოთ), ოთხი (ზ — ხ, უ — შ) ერთვის წინაენისმიერებს (ღ — თ — ტ-ს), ხოლო სამი (ჭ — ყ, ც) — უკანაენისმიერებს შესაბამისად: მქდერი სუსტი დაერთვის მქდერ ძლიერს, ყრუ სუსტი — ყრუ ძლიერს; ორი დანარჩენი სუსტი (ა, კ) დაერთვის ძლიერებს — განურჩევლად მათი მქდერობა-სიყრუისა.

3. ამ ანბნის ტერმინოლოგიით, სიბილანტები ეწოდება სინა-შიშინა თანხმოვნებს (ზ — ხ, უ — შ-ს), სპირანტები ეწოდება ლიმების ნაპრალოვნებს (ჭ — ყ: ეს მეორე ასო წარმოადგენს მქდერ ჰ-ს), დიმების ხშულს (ც) და შუაენისმიერ ნაპრალოვანს (ა).

4. წერტილით ასოს თავზე წარმოდგენილია ხ ან ჰ თანხმოვნის მშედგენილობაში:

$$\begin{aligned} \text{ქ} &= \text{ც, ე. ი. } \text{ქ} + \text{s} - \text{თ} + \text{ხ} \\ \text{ქ}^{\circ} &= \text{წ} \quad \text{„} \quad \text{ქ} + \text{s} - \text{ტ} + \text{ხ} \\ \text{ღ} &= \text{ხ} \quad \text{„} \quad \text{ღ} + \text{h} - \text{ქ} + \text{ჰ} \\ \text{წ}^{\circ} &= \text{ყ} \quad \text{„} \quad \text{წ} + \text{h} - \text{ქ} + \text{ჰ} \end{aligned}$$

5. წერტილით ასოს ქვეშ წარმოდგენილია შ ან ჯ თანხმოვნის მშედგენილობაში:

$$\begin{aligned} \text{შ} &= \text{ჩ, ე. ი. } \text{შ} + \text{მ} - \text{თ} + \text{შ} \\ \text{შ}^{\circ} &= \text{ჭ} \quad \text{„} \quad \text{შ} + \text{მ} - \text{ტ} + \text{შ} \\ \text{ჯ} &= \text{წ} \quad \text{„} \quad \text{ჯ} + \text{წ} - \text{ქ} + \text{ჯ} \end{aligned}$$

6.  $\text{v}$  ნიშნაკით ასოს თავზე წარმოდგენილია ზ ან რ:

$$\begin{aligned} \text{ღ} &= \text{ღ, ე. ი. } \text{ღ} + \text{z} - \text{ღ} + \text{ზ} \\ \text{ღ}^{\circ} &= \text{ღ} \quad \text{„} \quad \text{ღ} + \text{r} - \text{ღ} + \text{რ} \end{aligned}$$

7.  $\nu$  ნიშნაკით ასოს ქვეშ წარმოდგენილია  $\psi$  ან  $\alpha$ :

$\alpha = \text{ჯ, ე. ი. } d + j - \text{დ} + \psi$

$\psi = \text{წ } " \quad g + y - \text{გ} + \alpha$

( $\psi$  ნიშანი წარმოადგენს ფარინგალურ მეღერ თანხმოვანს, იხ. გვ. 86)-

8. პატარა წრე ასოსთან წარმოადგენს ლაბიალიზაციას ( $t^0 - t^0$ ),  
კბილაკი — პალატალიზაციას ( $k - k^1$ ).

9. სიბილანტების დართვას ძლიერებთან ეწოდება ასიბილირება (მაგ.,  $t - t - \psi$  ასიბილირებულია  $\text{წ} - \text{ხ}$ -თი  $\text{დ} - \text{თ} - \text{ტ}$ -საგან), ხოლო სპირანტების დართვას — ასპირირება (მაგ.,  $\text{ხ, ყ}$  ასპირირებულია  $\text{ჰ}$ -თი  $k - k$ -საგან).

10. ნ. მარის ანალიტიკურ ანბანს საფუძვლად უძევს ლათინური ანბანი, მაგრამ ამასთანავე მასში გამოყენებულია აგრეთვე: ა) დიაკრიტიკული ნიშნაკები, ბ) ბერძნული ასოები ( $\text{შ} = \text{თ}, \text{ფ} = \text{ფ}, \text{ყ} = \text{მეღერ ჰ-ს}$ ), არაბული ( $\text{წ} = \text{ც}$ ) და რუსული ( $\text{ყ}, \text{ფ}$ ).

აკად. ნ. მარის ანალიტიკური ანბნით ქართული სიტყვები: ბრძოლა, ცხენი, ლურჯი, ჭიქა, ბრწყინავს დაიწერება ასე: brdola, ბრეჟურდი, ჭიკა, briknavs.

## 7. ფონეტიკური წერის ალფაბეტური და ანალფაბეტური სისტემები

ალფაბეტური ანუ ანბანური ეწოდება ფონეტიკური წერის ისეთ სისტემას, რომელშიც გამოყენებულია ასოები და სხვა დამატებითი პირობითი ნიშნაკები. აქამდე განხილული ან მოხსენებული ფონეტიკური წერის სისტემები ალფაბეტურია.

ანალფაბეტური ანუ არაანბანური ეწოდება ფონეტიკური წერის ისეთ სისტემას, რომელშიც არაა გამოყენებული ასოები, როგორც ბერძნული გამომხატველი ნიშნები.

ანალფაბეტური სისტემების ნიმუშად განვიხილავთ ორ სისტემას: 1) სინთეტიკურს (გუცმანისა) და 2) ანალიტიკურს (დესპერსენისა).

### ანალფაბეტური სინთეტიკური სისტემა.

ამ სისტემის ნიშნები წარმოადგენენ ზესადგამი მილის განაკვეთის გვერდით მოხაზულობას (იხ. სურ. 39).

პირველი რიგის პირველი ნიშანი სურათ 39-ზე წარმოადგენს ა-ს: ამ ნიშნით გამოსახულია პირის ღრუს მაქსიმალური ღიაობა ენასა და სასას-შუა; მომდევნო ნიშანი წარმოადგენს ე-ს: ქვედა მხარის შეზნექილობა.

გამოსახავს წინა ენის აწევას მაგარი სასისაკენ. შემდეგი ნიშნით გამო-  
სახულია ი: ქვედა მხარე მეტადაა შეზნეილი, ვიდრე ე-ს ნიშანში, რად-  
განაც ე-სათვის მეტადაა აწეული ენა, ვიდრე ე-სათვის. მომდევნოა ო-ს  
გამომსახველი: აქ მხრების ბოლოების გადაღუნულობა ნიშნავს ტუჩე-



სურ. 39. ანალფაბეტური ანალიტიკური სისტემის ნიმუში

ბის მომრგვალებულად წა-  
მოშვერას ო-სათვის; უკა-  
ნასკნელი გამოსახავს უ-ს:  
ბოლოები მეტადაა გადაღუ-  
ნული, ვიდრე ო-ს ნიშანში,  
რადგანაც უ-სათვის ტუჩე-  
ბის მომრგვალება და წანო-  
შვერა მეტია, ვიდრე ო-სა-  
თვის.

მეორე რიგში წარმოდ-  
გენილია სამეული ბ—ფ—პ,  
მესამეში დ—თ—ტ, მეოთ-  
ხეში გ—ქ—კ.

მეორე რიგის სამივე ნიშანი გამოსახავს ტუჩების ხშვას, ხოლო  
მათ თავზე ნიშნაკები — მათ შორის განსხვავებას: წერტილი — მეღერო-  
ბას, მარჯვენისკენ მობრუნებული კაუქი — ფშვინვიერობას, მარცხნისკენ  
მობრუნებული კაუქი — ყელხშვას, ხოლო კუთხიანი კაუქი — ნაზალობას.

ეს წერტილი და კაუქები ამავე მნიშვნელობით გამოყენებულია მე-  
სამე და მეოთხე რიგებში; მესამე რიგში ქვედა ირიბი ხაზით გამოსა-  
ხულია ენა, ხოლო ზედათი — ზედა კბილების რიგი, რომელსაც ებჯინება  
წინა ენა დ—თ—ტ-სათვის. მეოთხე რიგში ქვედა მრუდი ხაზით წარმო-  
დგენილია ენის უკანა ნაწილი, ხოლო ზედათი — რბილი სასა, რომელსაც  
ებჯინება უკანა ენა გ—ქ—კ-სათვის.


საყურადღებოა, რომ ავტორმა ნიშანთა ეს თავისი სისტემა პირ-  
ველად გამოიყენა ქართულ ბგერათა გამოსახატავად (1919 წელს).

სისტემის ნაკლია, რომ მასში გამოყენებულია დიაკრიტიკული ნიშ-  
ნები, ისე როგორც ანბნურ ანალიტიკურ სისტემებში (იხ. ზემოთ ნ. მა-  
რის ანალიტიკური ანბნის შესახებ): ამით დარღვეულია სინთეტიკუ-  
რობის პრინციპი. ბგერათა სიზუსტით გამოსახვა მასში შეუძლებელია.

სისტემის ღირსება მის თვალსაჩინოებაშია; ამიტომ მას სერიო-  
ზული მნიშვნელობა აქვს ყრუ-მუნჯთა და ენაჩლუნგთა სამეტყველო ბგე-  
რების დაყენება-გასწორების საქმეში. საენათმეცნიერო პრაქტიკაში მისი  
გამოყენება ძნელია მისი სირთულის გამო.

აღენიშნავთ, რომ ანალოგიური სისტემები მომდინარეობენ XVII  
ჩაუქუნდან.

სურათ 40-ზე წარმოდგენილია ზესადგამი მილის ზედა ნაწილების სქემა, სადაც ლათინური ასოებით გამოსახულია საარტიკულაციო ადგილები: a, b და c წარმოადგენს ზედა ტუჩის სამ სხვადასხვა მდგომარეობას: a—ისეთს, რომელიც საჭიროა, მაგ., მ-ს წარმოსათქმელად ორ უ-



სურ. 40. ზესადგამი მილის ზედა ნაწილების სქემა

შუა (უ)მ(უ); ს — ისეთ მდგომარეობას, რომელიც საჭიროა მ-სათვის (ა)მ(ა)-ში, ხოლო c — ისეთს, რომელიც საჭიროა მ-სათვის (ი)მ(ი)-ში.

d-თი წარმოდგენილია ზედა კბილების კიდეები, რომელსაც შეეხება ხოლმე ქვედა ტუჩი g და ჭ-სათვის და ან ენის წვერი კბილთაშუა ბგერის წარმოსათქმელად. f წარმოადგენს ალვეოლებს ანუ ნუნებს და ა. შ.: l-მდე, რომელიც გამოსახავს ხახის კედელს.

ბერძნული ასოებით, რომლებიც ნახაზზე არაა წარმოდგენილი, გამოსახვენ ხოლმე აქტიურად მოქმედ ორგანოებს: α — ტუჩებს, β — წინაენას, γ — ენის ზურგს, δ — რბილ სასას, ε — სახმო სიმებს, ζ — სასუნთქს.

ციფრებით (0—8) ბერძნულ ასოებთან გამოისახება ღიაობის სიდიდე და ფორმა: 0 (ნული) — გამოსახავს ხშვას, 1 და 2 — ნაპრალოვნობას, 3 და 4 ვიწრო ხმოვნების ღიაობას, 5 და 6 — საშუალო ხმოვნების ღიაობას, 7 და 8 — ფართო ხმოვნების ღიაობას; ამათგან კენტი ციფრი (1, 3, 5, 7) აღნიშნავს ღარისებრს ან მომრგვალებულ ნაპრალს ან ღიაობას, ხოლო წყვილი ციფრი (2, 4, 6, 8) — გასწვრივ ნაპრალს ან ღიაობას.

R გამოსახავს თრთოლას, მაგ., რ-სათვის: βR წარმოადგენს ენის წვერის თრთოლას რ-სათვის.

არის რამდენიმე სხვა ნიშანიც; მაგ.: ამა თუ იმ საარტიკულაციო წერტილთან მეტ-ნაკლები სიახლოვე გამოისახება ლათინური ასოს პირველ ადგილას დასმით; მაგ.: fg აღნიშნავს, რომ არტიკულაციის წერტილი f-სა და g-ს შუა (ე. ი. ალვეოლებსა და მაგარ სასას შუა) არის, მაგრამ უფრო ახლოა f-სთან, ვიდრე g-სთან; პირიქით, gf აღნიშნავს, რომ არტიკულაციის წერტილი უფრო ახლოა g-სთან და ა. შ.



ბრკეყალები (,) აღნიშნავს სათანადო ორგანოს უძრავობას.

ამ ნიშნების საშუალებით შესაძლებელია გაპრისახოს ყოველი ბგერის წარმოთქმაში მონაწილე ყველა ორგანო და, რაც ძლიერ მნიშვნელოვანია, ამ მონაწილეობის ფორმა.

ამ სისტემით (ანალიტიკურად) დაწერილი სიტყვა „სკამი“ წარმოგვიდგება შემდეგნაირად:

ს = $\alpha$ ,,	$\beta 1^{\prime}$	$\gamma$ ,	$\delta 0$	$\epsilon 3$	$\zeta 3$
კ = $\alpha$ ,,	$\beta$ ,,	$\gamma^{\prime}$ ,	$\delta 0$	$\epsilon 0$	$\zeta 0$
ა = $\alpha 8^b$	$\beta 7$	$\gamma 8$	$\delta 0$	$\epsilon 1$	$\zeta 4$
მ = $\alpha 0^b$	$\beta$ ,,	$\gamma$ ,,	$\delta 2$	$\epsilon 1$	$\zeta 4$
ი = $\alpha 4^b$	$\beta 3^{\prime}$	$\gamma 4^{\prime}$	$\delta 0$	$\epsilon 1$	$\zeta 1$ .

ჩვენ რომ სიტყვებით გადმოგვეცა ყველაფერი ის, რაც ამ ხუთ ფორმულაშია მოცემული, ამას დასკირდებოდა სულ ცოტა ამ წიგნის ერთი გვერდი.

მხოლოდ ს-ს ფორმულა რომ აეწეროთ, მივიღებთ შემდეგ თხრობას:

ს-ს არტიკულაციის დროს ტუჩები ( $\alpha$ ) უძრავია ( $\gamma$ ), წინა ენა ჰქმნის ვიწრო ღარისებრ ნაპრალს (1) ზედა კბილების რიგსა და ნუნებს შუა ( $\epsilon$ ) უფრო ახლო კბილებთან, ვიდრე ნუნებთან ( $\epsilon$ -ს უკავია პირველი ადგილი ფორმულაში); ენის ზურგი უძრავია ( $\gamma$ ), რბილი სასა ( $\delta$ ) ჰკეტავს (0) ცხვირისკენ გზას; სახმო სიმები ( $\epsilon$ ) ღიაა საკმაოდ ფართოდ, ღარისებრ (3); ამოსუნთქვა საშუალო სიძლიერისაა (3).

ამგვარადვე გადმოიცემა თითოეული აქ წარმოდგენილი ფორმულა.

მ-ს აღწერისას ყურადღება უნდა მიექცეს, ს-საგან განსხვავებით, ტუჩების მდგომარეობას ( $\alpha 0^b$ ), რბილი სასის ნაქიფურთ ჩამოშვებულობას (2), რის გამოც ჰაერნაკადი მიემართება ცხვირის ღრუსკენ, და სახმო სიმების ( $\epsilon$ ) სამეღერო მდგომარეობას (1).

კ-ს აღწერისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სახმო სიმების ( $\epsilon$ ) დახშულობას ( $\epsilon 0$ ) და ამის გამო სუნთქვის შეწყვეტას ( $\zeta 0$ ).

დანარჩენ ბგერათა აღწერა არ საჭიროებს განმარტებას.

ნათქვამიდან ცხადია, რომ ჟესპერსენის ანალფაბეტური ანალიტიკური ანბნის ღირსება მის სიზუსტესა და ეკონომიურობაშია. ამით ის გამოირჩევა სხვა ანალოგიური სისტემებიდან.

მისი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ იგი ვერ იძლევა საკმაო წარმოდგენას ბგერის აკუსტიკური მხარისა და ბგერის სირთულე-სიმარტივის შესახებ.

## ენის ფონეტიკური ცვალებადობა

### 1. წინასწარი შენიშვნები

ყოველი ენის ბგერითი მხარე განიცდის გარკვეულ ცვლილებებს. მაშასადამე, იცვლება ენა ფონეტიკურად, ისე როგორც იცვლება იგი ყველა სხვა მხრივაც: მორფოლოგიურად, სინტაქსურად და სემანტიკურად. უცვლელი ენა არ არსებობს: ამის უეჭველი საბუთია ყველა იმ ენის ისტორია, რომლის განვითარების სხვადასხვა საფეხურის შესწავლაც კი შეძლო ენათმეცნიერებამ.

იცვლება ენა ფონეტიკურად და ყველა სხვა მხრივ დროის განმავლობაში: განსხვავებულია წინანდელი მწერლების ენა დღევანდელთა ენისაგან და, რაც უფრო დაშორებულია დროით, მით უფრო მეტადაა განსხვავებული მისაგან; ზოგ ენაში შესამჩნევია განსხვავება მომდევნო თაობის მეტყველებისა წინა თაობის მეტყველებისაგან.

მაგ., ყაბარდოულ ენაში, რომელშიც გ — ქ — კ-ს აფრიკატიზაცია მიმდინარე ფონეტიკური პროცესია, უფროსი თაობა წარმოთქვამს სიტყვაში გაუაფრიკატებელ გ — ქ — კ-ს, ხოლო ახალგაზრდობა იმავე სიტყვაში — აფრიკატიზირებულს: ჯ — ჩ — ჭ-ს. ზოგი ენა იცვლება მეტი სისწრაფით, ზოგი ნაკლებით; ერთი და იგივე ენა იცვლება სხვადასხვა ტენპით პერიოდობრივ.

ერთი ენა მეტად იცვლება ფონეტიკურად, მეორე — გრამატიკულად და ა. შ.

მაშასადამე, ენის ცვალებადობა შეეხება მის ყოველ მხარეს: დროის განმავლობაში, ისტორიულად, ენას შეუძლია შეიცვალოს თავისი როგორც გრამატიკული, ისე ფონეტიკური სისტემა.

### ფონეტიკური ცვალებადობა და მისი თავისებურება

მოცემული ენის ბგერითი მხარის ისტორიულ მეტ-ნაკლებ ცვლილებათა აუცილებლობა არის ამ ენის ფონეტიკური ცვალებადობა. მაგრამ ამით არ ამოიწურება ფონეტიკური ცვალებადობის შინაარსი, რადგანაც ენის ბგერითი მხარე იცვლება არა მხოლოდ ისტო-

რიულად, არამედ მეტყველება-წარმოქმნის ყოველ მომენტში, განუწყვეტლივ: ეს ის ცვალებადობაა ენაში, რომელსაც იწვევს ბგერათა ერთმანეთზე გავლენა, ბგერათა ერთმანეთთან შეგუება ბგერათშეერთების ძალით (იხ. თავი მესამე, გვ. 94 და შემდ.).

წარმოქმნის ყოველი მომენტი შეიცავს ბგერათცვლილებას; ბგერათცვლილება განუყრელია წარმოქმნისაგან; უცვლელად არ წარმოქმნის არც ერთი ფონემა ჩვეულებრივს რწყმულ ლაპარაკში. ეს იმას ნიშნავს, რომ არ არსებობს მოცემულ ენაში ორი ისეთი სხვადასხვა სიტყვა, რომლებშიც ერთი და იგივე ფონემა სრულიად ერთმანეთის შესაბამისად წარმოითქმოდეს (დაწვრილებით იხ. გვ. 95 და შემდ.): მეტნაკლები განსხვავება მათ შორის ყოველთვის არის — მეზობლობისდაკვალად. ზოგჯერ ოდნავი განსხვავება შესამჩნევ განსხვავებად იქცევა.

თუ ჩვენ, მაგ., წარმოვთქვამთ: რიქში (ისე, როგორც დოქში), მაგრამ რიში (არა ისე, როგორც დოქი), ეს იმიტომ, რომ გადაყრუდა შ-ს წინ მეზობლობაში; წარმოვთქვამთ მიზგან (მაგრამ მიხი) — ს გამჟღერდა ჯ-ს წინ მეზობლობის გამო; წარმოვთქვამთ დმეცა (მაგრამ დმეცა) — ა დავიწროვდა მომდევნო ე-ს მეზობლობაში და ასე შემდეგ.

ესაა ენის ბგერითი ცვლილების სპეციფიკურობა, რადგანაც ანალოგიურ ცვლილებებს ადგილი არა აქვს ფონეტიკის გარეშე: ენის არც სემანტიკა და არც გრამატიკული ფორმა არ შეიძლება იცვლებოდეს იმ მომენტში, როცა მას ვხმარობთ ცოცხალ ზეპირ მეტყველებაში.

ბგერათშეერთების ნიადაგზე წარმოქმნილ ბგერათცვლილებებს ჰქვია კომბინატორული ფონეტიკური ბგერათცვლილებები.

კომბინატორულ ბგერათცვლილებათა აუცილებლობა წარმოქმნის პროცესში არის ფონეტიკური ცვალებადობის სპეციფიკურობა.

კომბინატორული ბგერათცვლილება კარგადაა გამოხატული კოარტიკულაციის სახეებში (პალატალიზაცია და ველარიზაცია) და ასინილაციის (იხ. თავი მესამე, გვ. 111 და შემდ.).

### კომბინატორული და განპირობებული ბგერათცვლილება

კომბინატორული ბგერათცვლილება წარმოიქმნება, როგორც ითქვა ზემოთ, ბგერათშეერთების ნიადაგზე; ამდენად იგი განპირობებული ბგერათცვლილებაა. ზემომოყვანილი ასინილაციის შემთხვევები (მაგ., ერდგული, შქამხ) წარმოადგენს კომბინატორულსა და ამასთანავე განპირობებულ ბგერათცვლილებას: კომბინატორულს იმიტომ, რომ ბგერათშეხამების (ლათ. combinare 'ორად შეერთება, შეხამება') შედეგად მიღებულია -თგ-საგან -დგ-; ხოლო განპირობებულს იმიტომ, რომ თ-საგან დ-ს მიღება განპირობებულია გ-ს წინ მეზობლობით.

ამგვარადვე ხ-სა და ჭ-ს შეხამების გზით მიღებულია — ხჭ-საგან შჭ, ხოლო ხ-საგან შ-ს მიღება განპირობებულია ჭ-ს წინ მეზობლობით.

ამიტომ კომბინატორულ ბგერათცვლილებას ეწოდება განპირობებული. მაგრამ ეს სწორად ვერ ჩაითვლება, რადგანაც განპირობებული ფონეტიკური ცვლილება შეიძლება არ იყოს კომბინატორული (მართალია, ყველა კომბინატორული ამასთანავე განპირობებულია); მაგ., სიტყვის ბოლოს მეღერი ჩქამიერი ყრუვდება, როგორც ვნახავთ, ქართულში და ბევრ სხვა ენაში; მაგ., მარათი — მარათ-ისაგან, ვახმოვ — ვახმოვისაგან: მეღერის ცვლილება აქ განპირობებულია სიტყვის ბოლოში მდებარეობით, მაგრამ ეს კომბინატორულად ვერ ჩაითვლება, რადგანაც არავითარ ბგერათშეერთებას ადგილი არა აქვს.

ამისვე ნიმუშია, მაგ., რუს. ГОТ 'წელი' — ГОД-ისაგან, ЛОН 'შუბლი' — ЛОН-ისაგან და სხვა.

რუსულში უმახვილო *o* იცვლება *a*-დ მახვილიანი მარცვლის წინა მარცვალში: *сТОА* 'მაგიდა', მაგრამ *сТОАѢ* — წარმოთქმაში *сТААѢ*. *o*-ს ცვლილება *a*-დ განპირობებულია *o*-ს უმახვილობით, მაგრამ ეს კომბინატორული არაა, რადგან ბგერათშეერთებას ადგილი არა აქვს.

მაშასადამე, კომბინატორული და განპირობებული არაა. თანხვედნილი ფონეტიკური ცნებები.

#### განპირობებული და განუპირობებელი ბგერათცვლილება

განპირობებულ ბგერათცვლილებას ეძახიან აგრეთვე დამოკიდებულს, რადგანაც ასეთ ცვლილებათა განხორციელება დამოკიდებულია გარკვეულ პირობებზე (ნიმუშები იხ. ზემოთ).

განასხვავებენ ასეთისაგან დამოუკიდებელ ანუ განუპირობებელ ბგერათცვლილებას, რომელსაც უცხოურად ეწოდება სპონტანური ბგერათცვლილება (ლათ. *spontaneus* 'თვითნებური, თავისთავადი', 'უმიზეზო').

მართლაც, საკმაოდ ხშირია ყოველ ენაში ისეთი ბგერათცვლილებები, რომლებშიც არა ჩანს განპირობებულობა, ე. ი. არა ჩანს, თუ რაზეა დამოკიდებული მოცემული ბგერათცვლილება.

ასეთია, მაგ., ძველი ქართულის ფარინგალური ფშვინვიერი ხშულის (*ჳ*-ის) შეცვლა უკანაენისმიერი ნაპრალოვნი *ხ*-ით) ახალ სალიტერატურო ქართულსა და მის დიალექტთა უმრავლესობაში: *ჳ* იყო ძველ ქართულში და არის დღესაც ქართულის ზოგ დიალექტში: პარი, პბო, მპარი, ვენაპი, პორცი, მუჭლი და სხვა — სალიტერ. ქართულში: ხარი, ხბო, მხარი, ვენახი, ხორცი, მუხლი.

ასეთივეა აგრეთვე, მაგ., უძველესი რუსული ენის ნაზალური ხმოვნების (*л* = ნაზალურ *e*-ს და *л* = ნაზალურ *o*-ს) შეცვლა *a*-დ და *y*-დ ახალ რუსულში მთლიანად: იყო *млцо* (*ml̄s̄o*) 'ხორცი' — გვაქვს *мясо* (წარმოთქმაში *m'aco*); იყო *злнх* (*z̄n̄x*) 'კბილი' — გვაქვს *зѣн* და სხვა.

არ ჩანს აგრეთვე, თუ რა პირობების გამო მოხდა რუსულში *ж* — *ш*-ს გამაგრება (XIV საუკუნიდან): მანამდე ისინი რბილები იყვნენ.

უმართებულოა ვეძახდეთ ასეთ ბგერათცვლილებებს სპონტანურს იმ გაგებით, თითქოს ისინი უმიზეზოდ მომხდარიყვნენ. მართალია, ჩვენ ჯერ-ჯერობით არ ვიცით, თუ რა პირობებმა გამოიწვია ისინი, მაგრამ არის შემთხვევები ჩვენს მეცნიერებაში, როცა ფონეტიკური ცვლილება სპონტანურად შეიძლებოდა ჩათვლილიყო, სანამ არ იქნა მიგნებული, თუ რა მიზეზმა გამოიწვია იგი.

პირველი შეხედვით შეგვეძლო გვეფიქრა, რომ სიტყვაში ავდექი ქ წარმოადგენს სპონტანური ანუ განუპირობებელი ცვლილების შედეგს; მაგრამ ნამდვილად ქ გადმოტანილია ანალოგიის ძალით ფორმისაგან ავდექ ან ადექ, სადაც ქ მიღებულია გ-საგან სიტყვის ბოლოს მქლერ-ჩქამიერთა გაყრუების გამო.

მაშასადამე, საბოლოო ჯამში აქ გვაქვს განპირობებული ბგერათ-ცვლილება.

## 2. ენის ფონეტიკური სისტემა და მისი მვადებადობა

### ბგერათსისტემა და ფონემათა სისტემა

როგორც მეორე თავში (გვ. 47 და შემდ.) იყო აღნიშნული, ყოველ ენას განსაზღვრულ პერიოდში აქვს თავისი საკუთარი, ყოველი სხვა ენისაგან განსხვავებული, საარტიკულაციო ბაზისი. ამის შესაბამისად, ბუნებრივია, თითოეულ ენას უნდა ჰქონდეს თავისი საკუთარი, სხვა ენაში განუყოფელი, ბგერათსისტემა: თავისებური აქვს (ან შეუძლია ჰქონდეს) თითოეულ ენას როგორც ცალკეული ბგერის წარმოქმნა (რამდენადაც შესაძლებელია ცალკეული ბგერის არსებობა), ისე ბგერათ-შეერთება.

იმ უამრავ ბგერათაგან, რომელთაც წარმოთქვამს მოცემულ ენაზე მეტყველი თავის ცოცხალ მეტყველებაში, სიტყვათა ან ფორმათა მნიშვნელობის განსასხვავებლად იგი ხმარობს ბგერათა ზუსტად განსაზღვრულ რიცხვს—არა უმეტეს რამდენიმე ათეულისა. ეს სამეტყველო ბგერები ანუ ფონემები, რომელთა რიცხვით განსხვავებულია ერთი ენა მეორისაგან, ჰქმნიან მოცემულ ენაში აგრეთვე დასრულებულ სისტემას, რომელშიც ფონემები (როგორც ყოველ სისტემაში მისი ნაწილები) შეთანხმებულია ერთმანეთთან იმ საფუძველზე, რომ ურთიერთდაპირისპირებით განასხვავებენ ერთმანეთისაგან სიტყვებს ან ფორმებს.

თავისებური აქვს თითოეულ ენას თავისი განვითარების განსაზღვრულ პერიოდში ფონემათა სისტემა: შესაძლებელია ბგერათა რიცხვი ერთნაირი ჰქონდეს ორ ენას (რაც, სხვათა შორის ძლიერ იშვიათია). შესაძლებელია აგრეთვე ორ სხვადასხვა ენაში არტიკულაციურად და აკუსტიკურად ერთნაირი ბგერა არსებობდეს, მაგრამ არ არსებობს ორი

ენა, რომლებშიც ფონემათა სისტემა ერთნაირი იყოს და რომელიმე ფონემას ერთი და იგივე ფონოლოგიური დანიშნულება ჰქონდეს ორივე ენაში.

მოცემული ენის ფონეტიკურ სისტემაში ჩვენ ვგულისხმობთ როგორც საარტიკულაციო ბაზისით განპირობებულ ბგერათსისტემას, ისე სიტყვათა ან ფორმათა განსხვავების საპირობით განპირობებულ ფონემათა სისტემას.

### ფონეტიკური სისტემის ცვალებადობა

მოცემული ენის ფონეტიკური სისტემა განიცდის მეტ-ნაკლებ ცვლილებებს: შემოდის ენაში ახალი ფონემა და ან გამოდის ხმარებიდან მასში არსებული ფონემა.

ფონეტიკური სისტემის ცვალებადობის მთავარი წყაროა ის ბგერათცვლილება, რომელიც განუყრელია ბგერათწარმოქმასთან ბგერათშეერთების ძალით (იხ. ზემოთ). მაგრამ ეს განუწყვეტლივი ბგერათცვლილება სცვლის ფონეტიკურ სისტემას მხოლოდ მაშინ, როცა მის შედეგად შემოდის ენაში ახალი ფონემა ან იკარგვის არსებული.

რაც უფრო მეტია ენაში ახლად წარმოქმნილ ან ხმარებიდან გადავარდნილ ფონემათა რიცხვი, მით უფრო ძლიერია მოცემული ენის ფონეტიკური სისტემის ცვალებადობა.

ენის ფონეტიკური სისტემა მნიშვნელოვნად იცვლება აგრეთვე ბგერათა ე. წ. სპონტანური ცვლილების შედეგად.

### ახალი ფონემის შემოსვლა ენაში

ახალი ფონემის შემოსვლის ნიმუშად შეიძლება მოვიყვანოთ: ჭ რუსულში, რბილი თანხმოვნები რუსულში და ჟ ქართულში.

უძველესი რუსულის ფონეტიკურ სისტემაში არ იყო ჭ (როგორც არაა იგი ქართულ-ქართველურ ენებში, ქანურის ათინური დიალექტის გამოკლებით). მის განვითარებას ხელი შეუწყო ზ-ს გაყრუებამ განსაზღვრულ პირობებში (სიტყვის ბოლოს და ყრუ თანხმოვანთა წინ) და აგრეთვე ჭ-ს მქონე უცხოური ენებიდან შემოსულმა სიტყვებმა.

მაშასადამე, რუსულ ფონეტიკურ სისტემაში შემოვიდა ახალი ფონემა განუწყვეტლივი ბგერათცვლის ნიადაგზე.

ჭ-ს შემოსვლაზე მეტად შეცვალა რუსულის ფონეტიკური სისტემა რბილ თანხმოვან ფონემათა შემოსვლამ მასში, რადგანაც იქ მხოლოდ ერთი ფონემა (ჭ) მოემატა, აქ კი 12: ნ'—პ', მ', ხ'—ფ', კ'—ტ', ვ'—ც', ლ', მ' და პ'.

სანამ რუსულ ფონეტიკურ სისტემაში ე. წ. რედუცირებული ხმოვანი ზ მოქმედებდა დამარბილებლად წინა თანხმოვნებზე, მანამდე აქ ჩამოთვლილი თანხმოვნების დარბილება წარმოადგენდა მხოლოდ განპი-

რობებულ კომბინატორულ ბგერათცვლილებას; ხოლო როცა ხ დაი-  
კარგა, ამ თანხმონებებს შერჩათ სილბო, რომელიც აღარ იყო უკვე გან-  
პირობებული; განუპირობებელი ბგერა კი, როგორც ვიცით, არის  
ფონემა.

მაშასადამე, აქაც რუსულ ფონეტიკურ სისტემაში შემოვიდა 12  
ახალი ფონემა განუწყვეტლივი ბგერათცვლილებების ნიადაგზე.

რუსულში ფ-ს შემოსვლის ანალოგიურად შემოსულა ქართულში.  
ჟ, როგორც ეს დამარწმუნებლად აქვს წარმოდგენილი თინათინ გონია-  
შვილს<sup>1</sup>.

როგორც ჩანს, უძველეს ქართულს არ უნდა ჰქონოდა ფონემა ჟ.  
აღბათ, შ-ს გამკლერებამ მისცა დასაბამი ჟ-ს არსებობას ქართულში—  
ჯერ კომბინატორული ბგერათცვლილებების შედეგისა, ხოლო შემდეგ  
ფონემის სახით (თ. გონიაშვილის შრომაში გათვალისწინებულია აგრე-  
თვე ჟ-ს წარმოქმნა რ — ზ — წ — ჭ — ჟ-საგან და მონათესავე ზანური-  
ენის მონაწილეობა ჟ ფონემის განმტკიცებაში).

რა ცვლილებები გამოიწვია ამ ფონემათა შესვლამ ენის ფონეტი-  
კურ სისტემაში?

გარდა იმისა, რომ ფ-ს შემცველი უცხოური სიტყვები რუსულში  
წარმოითქმიან სავსებით ადეკვატურად, გაჩნდა ენაში ახალი დაპირის-  
პირებანი იმის გამო, რომ ფ და რბილი თანხმონებები ასრულებენ სე-  
ტყვათგანმასხვავებელ როლს (арафд 'სავათი' (ფრინგ.) — арава 'შეშა';  
стал 'ფოლადი' — стал 'იწყო', брат 'აღება' — брат 'ძმა', р'ат 'რიგი' —  
рат 'მოხარულია', в'ол 'მიყავდა' — вол 'ხარი' და მრ. სხვა.—სიტყვები  
მომყავს წარმოთქმისამებრ).

ქართულში ჟ-ს შემოსვლის გამო გაჩნდა ახალი კომპლექსი ჟღ  
პარალელურად შხ კომპლექსისა, წარმოიქმნა ახალი დაპირისპირებანი  
(შალი — შალი, შრიალი — შრიალი, შლივილი — შხივილი; აგრეთვე სხვა  
მრავალი უფრო შორეული დაპირისპირებანი: შოლო — ბოლო, ბაში —  
ბალი, ვაში — ვაზი ან ვაძი და მრავალი სხვა).

### არსებული ფონემის დაკარგვა ენაში

ამის ნიმუშად შეგვიძლია დავასახელოთ ქართულში ჯ ფონემის  
დაკარგვა (ან უკეთ დამთხვევა ზ-სთან) ახალ სალიტერატურო ქართულსა  
და მის დიალექტთა უმრავლესობაში და რედუცირებული ხმონების  
ზ — ზ-ს დაკარგვა-გადაგვარება რუსულში.

ნიმუშები ზემომოყვანილს გარდა: ვაშამი, პსნა, მაცე, პსენება,  
ნაპშირი (ხევსურულში) და სხვა.

<sup>1</sup> Тинатин Гоняшвили, К истории одного звука в грузинском.  
Известия ИЯИМК, т. II, 1937 г., стр. 111 და შემდ.

ქართულიდან შეგვეძლო მოგვეყვანა ნიმუშად აგრეთვე ჰ ბგერა, რომელიც დაკარგვის გზაზეა დღეს ქართულში საერთოდ. განსხვავებით ჯ-საგან, რომლის ადგილი ხ-მ დაიკავა, ჰ-ს ადგილს სხვა ბგერა არ იკავებს (ამბობენ, მაგ., აერი ან უფრო იშვიათად ხაერი).

ძველ რუსულში XII საუკუნიდან იწყება ზ — ზ-ს დაკარგვა ან სრულ ხმოვნად ქცევა: ძვ. რუს. сѣхъ-сѣхъ 'ძილი, სიზმარი' (ბოლოში დაიკარგა, შიგნით იქცა სრულ ხმოვნად); ძვ. რუს. дѣхъ — дѣхъ 'დღე' (ბოლოში აგრეთვე დაიკარგა, შუაში იქცა სრულ ხმოვნად: ორივე თანხმოვანი რბილია; საყურადღებოა მეტადრე х-ს სიღბო, იხ. ზემოთ); лодѣка — лѣтка 'ნავი', тѣхъ — топот 'ცხენის თქარა-თქური' და შრ. სხვა.

აღსანიშნავია, რომ ჯ-ს დაკარგვა ქართულში ე. წ. სპონტანურ ბგერათცვლილებებს ეკუთვნის, ხოლო ზ — ზ-ს დაკარგვა ან გასრულხმოვნება — განპირობებულს, რამდენადაც მას უკავშირებენ მახვილიანობა-უმახვილობის გავლენას.

აქაც ფონემის დაკარგვამ გამოიწვია ფონეტიკური სისტემის მნიშვნელოვანი ცვლილება, მეტადრე რუსულში.

მოიშალა ისეთი დაპირისპირება, როგორცაა, მაგ., ჰელი — ხელი — იმის გამო, რომ ჯ დაემთხვა ხ-ს. მოიშალა კომპლექსები ჯს — ჯშ — ჯც — ჯჩ — ჯდ და გვაქვს: სხ — შხ — ცხ — ჩხ — თხ კომპლექსები და ა. შ.

რაც შეეხება ზ — ზ-ს დაკარგვას რუსულში, იგი შეიქნა წყარო მთელი რიგი მნიშვნელოვანი ცვლილებისა რუსულის ფონეტიკურ სისტემაში; მაგ.: მეღერ ჩქამიერთა გაყრუება სიტყვის ბოლოში: раи 'მონა' — იწერება раи, ხოლო 1917 წლამდე იწერებოდა раиხ ძველებურად, ე. ი. იმდროინდელურად, როცა ზ წარმოადგენდა ხმოვანს და იცავდა ზ-ს გაყრუებისაგან; рыт 'მკერდი' — იწერება დღესაც ძველებურად рытх, ე. ი. იმ დროინდელურად, როცა ზ წარმოადგენდა ხმოვანს და ამის გამო დ' დაცული იყო გაყრუებისაგან.

ზ — ზ-ს დაკარგვამ გამოიწვია სიტყვის ბოლოში თანხმოვანთა მომდევნო ა-ს დაკარგვა: л'ок დაწვა' — იწერება лѣг, — წარმოქმნილია \*лѣгх-ისაგან (შეად. легла მდებრ. სქ.), н'ос 'მიქონდა' — იწერება нѣс, — \*нѣсх-იდან (неслѣ მრავლ. რიცხვი) (ვარსკვლავით აღნიშნულია მწერლობაში დაუდასტურებელი ფორმა).

იმანვე გამოიწვია რეგრესული ასიმილაცია მეღერობა-სიყრუის მიხედვით: იყო кѣде 'სად' — გვაქვს гдѣ — гдѣ (ან γде — γდѣ); იყო сѣдорѣвх 'ჯანსალია' — გვაქვს здорѣв — здарѣф; იყო нѣчелѣ 'ფუტკარი' — გვაქვს пчела — пчѣла; იყო лѣвѣка 'მერხი, ღუქანი' — გვაქვს лѣфка და ბევრი სხვა.



ზ — ზ-ს დაკარგვამ გამოიწვია თანხმოვანთა დაკარგვა: იყო  
• чарнычарь 'მეჭურჭლე' — გვაქვს гончар — ганчар; იყო дьстькая 'ჭი-  
ჭა' — გვაქვს стакін და სხვა.

ნაკლებ იცვლება ენის ფონეტიკური სისტემა, როდესაც ადგილი  
• აქვს ენაში არსებულ ფონემათა ურთიერთშენაცვლებას, რაც განხილუ-  
• ლია შემდეგ პარაგრაფში იმ ფონეტიკურ ცვლილებებთან ერთად, რომ-  
• ლებიც შესაძლოა სცვლიდნენ მეტყველების საერთო ფონეტიკურ იერს,  
• მაგრამ არ სცვლიან ენის ფონეტიკურ სისტემას.

### 3. ენის ფონეტიკური სისტემა. მკვლევარის იური და მათი სპიციფიკი

ენის ფონეტიკური სისტემისაგან უნდა ვასხვავებდეთ მეტყველების  
• საერთო ფონეტიკურ იერს.

შესაძლებელია, მაგ., ჩვენ ვმეტყველებდეთ მეტ-ნაკლებად ჩქარი  
• ტემპით და, მაშასადამე, ვცვლიდეთ მეტყველების საერთო ფონეტიკურ  
• იერს, მაგრამ ენის ფონეტიკური სისტემა ამით არ შეიცვლება.

მეტყველების საერთო ფონეტიკური იერი შეიძლება შეცვალოს  
• აგრეთვე ბგერათა ურთიერთშენაცვლებამ, თუ ეს ხშირია ენაში, ან გა-  
• დაადგილებამ და სხვამ, მაგრამ ფონეტიკურ სისტემას ეს ვერ შეცვლის  
• (ნიმუშები იხ. ქვემოთ).

მეორე მხრივ, ენის ფონეტიკური სისტემის ცვლილება იწვევს, რა  
• თქმა უნდა, მეტყველების ფონეტიკური იერის შეცვლასაც.

არის ენაში ისეთი ფონეტიკური ცვლილებები, რომლებიც არ  
• სცვლიან არც ერთს და არც მეორეს; ასეთია, მაგ., ბგერის დაკარგვა  
• სიტყვაში: კარგა-ში დაკარგულია თ (დ-საგან), მალღა-სა და დაბღა-ში  
• აგრეთვე. დაკარგულია -ლს- წაგა-ში წაგალს-ისაგან, ისე როგორც ყო-  
• ფილა-ში დაკარგულია -რს- (იხ. ქვემოთ); ჭიშკარ-ში დაკარგულია ბ  
• (სიტყვის თავში).

კაცმა-ში დაკარგულია ნ, ხოლო დედამ-ში ან (კაცმან, დედამან)  
• და მრ. სხვა.

არც ერთ ამ ცვლილებას არ დაურღვევია ქართულის ფონეტიკური  
• სისტემა და არ გამოუცვლია ქართული მეტყველების იერი.

შესაძლოა სიტყვას ჩაერთოს რომელიმე ბგერა მოცემულ ენაში  
• არსებულთაგან: არც ეს დაარღვევს ენის არც ფონეტიკურ სისტემას და  
• არც მის ფონეტიკურ იერს. ასეთია, მაგ., ვ-ს ჩართვა ზეგით-ში, აქვა-  
• შებს-ში (აკ. შანიძე); დაღმართი (ჩართულია დ); გემბრიელი (დიალ.).

მოყვანილის მსგავსი ცვლილებანი ახასიათებენ მხოლოდ ცალკეულ  
• სიტყვებს და არა ენას მთლიანად.

ერთი და იგივე ფონეტიკური ცვლილება. შესაძლოა ერთ ენაში ასრულებდეს ფონეტიკური სისტემისა და, მაშასადამე, ფონეტიკური იერის მცვლელის როლსაც, ხოლო მეორე ენაში—მხოლოდ ფონეტიკური იერის მცვლელისას. ასეთია, მაგ., უძლათი, რომელიც გერმანულში სცვლის როგორც სისტემას, ისე იერს, მაგრამ იმავე უძლათის ანალოგიური ცვლილება (იმერული კილოს ე. წ. „ეურობა“, მაგ., წმეიდა) ცვლის მხოლოდ ქართული მეტყველების ფონეტიკურ იერს, სისტემას კი — არა.

განვიხილავთ ყველაზე გავრცელებულ ბგერათცვლილებებს სიტყვაში — იმაზე მიუთითებლივ, თუ რა როლს ასრულებენ ისინი ამ მხრივ.

#### 4. გგერათცვლილებათა სახეები სიტყვაში

##### ზოგადი შენიშვნები

ახალი სამეტყველო ბგერის შემოსვლა ენაში ან არსებულის გადავარდნა ხმარებიდან ეხება მთლიანად ენას და სცვლის როგორც ენის ფონეტიკურ სისტემას, ისე მის ფონეტიკურ იერს. ამისაგან განსხვავებით, ყველა სხვა ფონეტიკური ცვლილება, ჩვეულებრივ, შეზღუდულია სიტყვის ფარგლებით, ე. ი. ეხება, ჩვეულებრივ, მხოლოდ ცალკეულ სიტყვას, როგორც ბგერითსა და მნიშვნელობითს მთლიანობას. ასეთი ცვლილებებია, მაგ., ასიმილაცია, დისიმილაცია, მეტათეზისი, უძლათი (ასიმილაციის ერთი სახეობა) და სხვა.

რამდენადაც ესენი არ სცილდებიან ცალკეული სიტყვის ფარგლებს, იმდენად მათ არ შეუძლიათ შესცვალონ ენის ფონეტიკური სისტემა; ფონეტიკურ იერს კი სცვლიან იმის კვალობაზე, თუ რამდენადაა გავრცელებული ენაში ესა თუ ის ცვლილება.

ამ ცვლილებათა ზოგიერთ სახეს შეუძლია ამა თუ იმ ენაში წარმოქმნას ახალი ფონემა, რომლის მეტ-ნაკლები გავრცელება შესცვლის მოცემული ენის როგორც ფონეტიკურ იერს, ისე მის ფონეტიკურ სისტემას; ასეთია, მაგ., გაუმლაუტებელი ხმოვნები გერმანულში (იხ. ქვემოთ), რბილი თანხმოვნები რუსულში და სხვა.

თუ ბგერათცვლილების შედეგად წარმოქმნილმა ახალმა ბგერამ ვერ მიიღწია ფონემურობას, ე. ი. თუ მისაგან არ შეიქმნა ახალი ფონემა, იმ შემთხვევაში იგი იკარგვის ან მკაფიო წარმოთქმაში წარმოითქმის ისევე პირვანდლურად. მაგ., ქართულ სიტყვებში თეთრს, ბოთლს ყრუდება რ და ლ ყრუ თანხმოვანთა შუა; მაგრამ, რადგანაც ქართულში ყრუ რ და ლ ფონემები არა გვაქვს (ზოგ ენაში ასეთი რამ არის), ამიტომ ან უნდა წარმოქმნილიყო ახალი ფონემები (ყრუ რ და ლ), ან დაკარგულიყო და ან წარმოითქმოდეს პირვანდლურად.

ახალი ფონემა არ წარმოიქმნა, დაიკარგა რ და ლ: მართლაც, რწყემულ მეტყველებაში ამბობენ მხოლოდ თეთს, ბოთს, ხოლო მკაფიო წარმოთქმაში მეერი რ — ლ-თი: თეთრს, ბოთლს, ე. ი. პირვანდლურად.

საყურადღებოა, რომ ქართლის რ — ლ, როგორც სონორული თანხმოვნები, არ ემორჩილება სიტყვის ბოლოს მეღერ ჩქამიერთა გაყრუების კანონს (მაგ., თამარ-ში და უშალ წარმოთქმის მეღერი რ — ლ), მაგრამ ყრუ თანხმოვანთა წინ ისინი ყრუვდებიან (ამით ქართ. რ — ლ განსხვავდებიან რუსული р — л-საგან: ესენი არც ყრუ თანხმოვანთა წინ ყრუვდებიან: სიტყვებში ბარს, ბარში — ბალს, ბალში რ და ლ გაყრუებულია (შეად. რუს. барс — бар'с; სადაც р — л' მეღერებია).

ამ ყრუ რ — ლ-ს უნდა მოსვლოდა ის, რაც მოუვიდა მათ სიტყვებში თეთრს და ბოთლს. მართლაც, ქართლისთვის ჩვეული მკაფიო წარმოთქმის მეოხებითაა დაცული (მართალია, სუსტად) ბარს-ში, ბალს-ში და სხვ. რ — ლ.

რომ ეს ასეა, ჩანს ქართული ყოფილა-დან, რომელიც მიღებულია ყოფილარს-იდან, სადაც ბოლო ხ-ს წინ გაყრუება რ; ახალი ფონემა, როგორც უთქვი, არ წარმოქმნილა; მაშასადამე, იგი უნდა დაკარგულიყო და დაიკარგა კიდევ. ამას მოჰყვა ხ-ს დაკარგვაც (როგორც ჩანს; ხ-ს დაკარგვა მოხდა არაფონეტიკური გზით). ამ პროცესს ადასტურებს ხეცსურულში დაცული ყოფილას, ახ (= არს) და სხვები.

ანალოგიურია გაყრუებული ლ-ს ამბავი; მაგ., სიტყვაში მოვა, რომელიც მიღებულია მოვალს-იდან, მომხდარა ლ-ს დაკარგვა მისი გაყრუების ნიადაგზე.

ამავე გზითაა დაკარგული იმერულ კილოში ვს კომპლექსი: აქ (= აქვს); მიაქ (= მიაქვს) და სხვა: ვ დაყრუებულია ორ ყრუ თანხმოვანს შუა; უნდა მიგველო და მივიღეთ: ძ, მაგრამ იგი ვერ იქცა ფონემად, ამიტომ უნდა დაკარგულიყო და დაიკარგა კიდევ. შემდეგ დაიკარგა მომდევნო ხ-ც. საყურადღებოა, რომ ზოგჯერ იტყვიან აქვს, მიაქვს: ეს ადასტურებს ვ-ს ადრე დაკარგვას.

## ა ს ი მ ი ლ ა ც ი ა

### ა. ასიმილაციის სახეები

ასიმილაცია (ლათ. assimilatio 'მომსგავსება') ყველაზე მეტად გავრცელებული ბგერათცვლილებაა; როგორც ჩანს, ყოველ ენაში.

იგი განხილული გვაქვს ზემოთ; როგორც ბგერათშეერთების ნიადაგზე მოქმედი ბგერათცვლილება (იხ. გვ. 116 და შემდ.). იქვეა დადგენილი ასიმილაციის სახეები; სახელდობრ: მანძილის მიხედვით — კონტაქტური და დისტანციური, მიმართულებით — პროგრესული და რეგრესული, შედეგისა — სრული და ნაწილობრივი, გამეღერება-გაყრუებისა, წარმოების ადგილისა — თუ

რომელ ორგანოს უკავშირდება, და რა გვარობის — იცვლება თუ არა ბგერის რაგვარობა.

ნიმუშები მოყვანილი იყო ცოცხალი მეტყველების მიმდინარე ბგერათცვლილებიდან.

ასიმილაციის ყველა ეს სახე მოქმედებს მეტ-ნაკლებად ყოველ ენაში მათი განვითარების ყოველ საფეხურზე; მაგრამ აღსანიშნავია, რომ ასიმილაციის სხვადასხვა სახე ერთნაირად არაა გავრცელებული სხვადასხვა ენაში და ერთი და იმავე ენის სხვადასხვა პერიოდში. მაგ., ქართულში დღეს მეტადაა გავრცელებული რეგრესული მიმართულების ასიმილაცია, მაგრამ ძველ ქართულში პროგრესულიც იმდენადვე იყო (თუ მეტად არა) გავრცელებული, როგორც რეგრესული; რუსულში წინათაც ქარბობდა და დღესაც ქარბობს რეგრესული ასიმილაცია; ურალურ-ალთაურში, კერძოდ თურქულში, მეტადაა გავრცელებული პროგრესული და ა. შ.<sup>1</sup>. სვანურ ენაში, მაგ., იშვიათია ასიმილაცია მელერობა-სიყრუის მიხედვით, ქართულში კი ყველა სხვა სახეზე მეტად სწორედ ეს სახეა გავრცელებული.

მაგ., სვანურში კომპლექსები „მელერი ჩქამიერი + ყრუ“ ან „ყრუ ჩქამიერი + მელერი ჩქამიერი“ არ იცვლებიან არც რეგრესულად და არც პროგრესულად: -გჭ- კომპლექსი არ იძლევა წარმოთქმაში არც -კჭ-ს (შეად. ქართ. გჭირს — ითქმის კჭირს), არც -გჯ-ს. აგრეთვე -თგ- კომპლექსი არ იძლევა წარმოთქმაში არც -ღგ-ს (შეად. ქართ. ერღვული — იწერება ერთგული) და არც -თქ-ს: სვან. ნაგჭურ (საკ. სახ.) და მეთგი 'საკუთარი სახ'.

ასიმილაციის ზემოჩამოთვლილი სახეები არ არიან გათიშული ერთ-მანეთისაგან, მათი მოქმედება არ იზღუდება ერთი რომელიმე სახით: თითოეულ მათგანში შესაძლოა ჩანდეს ზოგი დანარჩენი სახეებიც. მაგ., ჭიშკარ-ში გვაქვს პროგრესული ასიმილაცია: წინა ჭ მოქმედებს მომდევნო ხ-ზე — იყო (ბ)ჭისკარი; დისტანციური: ასიმილატორია წინმდგომი (ჭ), ასიმილირებული — მომდევნო (ხ); ადგილის მიხედვით ალვეოლარული, ე. ი. ალვეოლარულმა (შიშინა) ჭ-მ მიიშვა ვაჟსა ენაკბილისმიერი ხ და აქცია იგი ალვეოლარულად (შიშინად); ნაწილობრივი — ხ არ მიემსგავსა ჭ-ს მთლიანად.

მოვიყვან დამატებით — იმის გარდა, რაც მოყვანილია მესამე თავში (გვ. 116 და შემდ.) — ასიმილაციის ნიმუშებს ქართულიდან და სხვა ენებიდან, სადაც ჩანს, რომ ასიმილაციის იგივე სახეები მოქმედებენ სხვადასხვა ენაში და სხვადასხვა დროს — ისტორიულად.

<sup>1</sup> ტერმინების „პროგრესული“ და „რეგრესული“ პირობითობა ზემოთაც იყო აღნიშნული (იხ. გვ. 117). დავუმატებ აქ ჯერჯერობით, რომ გამოთქმულია ვ. ვუნდტის მიერ ახრი ენათა მიხედვით მათი მეტ-ნაკლებად გავრცელებულობის შესახებ: კულტურულ ენებში მეტადაა გავრცელებული რეგრესული ასიმილაცია (და დისიმილაცია), არაკულტურულ ენებში — პროგრესული. ეს ახრი საეჭვოა.

ცეცხლი < \*სეცხლ-, შეადარეთ ზანური და-ჩხირ-ი; რეგრესული დისტანციური სრული ასიმილაცია რაგვარობის მიხედვით: ხ სპირანტი იქცა აფრიკატად.

ტყდება < \*ტხდ-, შეად. ტეხა: პროგრესული კონტაქტური ნაწილობრივი ასიმილაცია რაგვარობის მიხედვით: ხ არამკვეთრი სპირანტი იქცა ხშულ მკვეთრად (აბრუპტივად).

ძვ. ქართ. გლადატყავ < გლადადყავ (შეად. ლადადი): კონტაქტური ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაცია მელერობა-სიყრუის მიხედვით.

შეშა < \*სეშა, შეად. ზან. დიშქა (ქან. დიშქა): რეგრესული სრული და სხვა.

ადიშის ოთხთავიდან: მოქცე, ქცა; შემოგჯითქს, შეგითქთ (< მოგ-ცე, გცა; შემოგჯიდგს, შეგიდგთ): რეგრესული კონტაქტური ნაწილობრივი ასიმილაცია მელერობა-სიყრუის მიხედვით.

რუს. здесь 'აქ' < сдесь: რეგრესული კონტაქტური ნაწილობრივი ასიმილიცია (ხ-ს ამოვარდნის შემდეგ) მელერობა-სიყრუის მიხედვით.

რუს. ношка (იწერება ножка) < ножька 'ფეხი': რეგრესული კონტაქტური ნაწილობრივი (ხ-ს ამოვარდნის შემდეგ). прочьна (წარმოითქმის прочьна): აგრეთვე.

ლათ. summus 'უმაღლესი' < \*sup-mos (შეად. super 'ზემოთ'): რეგრესული ასიმილაცია რაგვარობის მიხედვით (ყ იქცა ცხვირისეულად და, იგულისხმება, მელერად მომდევნო m-ს გავლენით).

გერმ. hatte 'ჰქონდა' < \*habte (შეად. haben): რეგრესული სრული ასიმილაცია ადგილისა და მელერობა-სიყრუის მიხედვით (ს იყო მელერი ბაგისმიერი და იქცა ყრუ ენაკბილისმიერად — მომდევნო t-ს გავლენით).

იტალიური fatto 'საქმე' < ლათ. factus 'გაკეთებული': რეგრესული სრული — წარმოების ადგილის მიხედვით (c = k იყო უკანა ენისმიერი და იქცა ენაკბილისმიერად).

გერმ. Himbeere 'ჟოლო' < Hindbeere (გერმ. Hinde 'ფურ-ირემი'): ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაცია (ხ-ს დაკარგვის შემდეგ — წარმოების ადგილის მიხედვით: ენაკბილისმიერი n იქცა ბაგისმიერ m-დ).

ინგლ. was 'იყო' (წარმოითქმის wაჟ): პროგრესული ნაწილობრივი ასიმილაცია საწარმოთქმო ორგანოების მიხედვით (იყო a და იქცა ა-დ წინამდგომი w-ს გავლენით).

---

\* ვარსკვლავით აღინიშნება სავარაუდო აღდგენილი, მწერლობაში დაუდასტურებელი, ფორმა; < ნიშანი = „მიღებულია“, > ნიშანი = „იძლევა“.

ფრანგ. je suis 'მე ვარ' ხშირად წარმოითქმის [syi: ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაცია — მელერობა-სიყრუისა და წარმოების ადგილის მიხედვით (j იყო მეღერი ალვეოლარი და იქცა ყრუ ენაკბილისმიერად).

გერმ. angenehm 'სასიამოვნო' (წარმოითქმის ანგაემ): რეგრეს-ნაწილობრ. ასიმილაცია საწარმოო ორგანოების მიხედვით (u იყო კბილისმიერი და იქცა უკანაენისმიერად); ასეთივეა, მაგ., გერმ. gesang 'სიმღერა' < Gesang და ინგლ. song < song 'სიმღერა'.

ასეთი ნიმუშები მრავალია სხვადასხვა ენაში.

უკანასკნელ, რამდენიმე სიტყვა რთული ასიმილაციის შესახებ.

### ბ. რთული ასიმილაცია

რთული ასიმილაციის სახით ჩვენ ვასხვავებთ ბგერათა ისეთ მიმს-გავსებას, როდესაც ასიმილატორი მოქმედებს ბგერაზე არა უშუალოდ, არამედ შუალობით, ე. ი. მათ შუა მდგომი ბგერის მიმსგავსებით ასი-მილატორთან. ასეთია, მაგ., ერთობლივ წარმოთქმული რიგგარეშე. სადაც ასიმილატორია მეორე გ (სიტყვისა გარეშე):

ცალკე თქმული რიგს გვადლევს რიგს, რადგანაც მომდევნო ყრუ რეგრესულად აყრუებს გ-ს; მაგრამ თუ სათქმელია რიგგარეშე, მაშინ მეორე გ (გარეშე-ში) ამქლერებს რეგრესულადვე ხ-ს, რომელიც აღარ მოქმედებს გამაყრუებლად მის წინ მდგომ გ-ზე, და ეს გ რჩება მეღე-რადვე. მაშასადამე, ასიმილატორი გ მოქმედებს წინმდგომ გ-ზე გამეღე-რებული ხ-ს (ე. ი. ზ-ს) შუალობით.

შეადარეთ ამას ერთობლივ წარმოთქმული აქებზღღდიდეფს (= აქებს-და აღდიღებს).

ასეთივე რთული ასიმილაციის ნიმუშია რუსულში, მაგ., თანხ-მოვანთა შუალობითი დარბილება: два, მაგრამ д'в'а (იწერება две), სადაც ვ-ს წინ დარბილებული в' არბილებს მის წინ მდგომ д-ს: ასიმილა-ტორი в მოქმედებს д-ზე в-ს მეშვეობით, с'п'инг 'ზურგი': и-ს წინ დარბილებული п' არბილებს თავის მხრივ с-საც; зон'т'ик 'პატარა ქოლგა', з'д'а'с' 'აქ' (იწერება здесь) და ა. შ.

უფრო ხშირად რთული ასიმილაცია ეწოდება ორი ან მეტი ასიმილაციური პროცესის შედეგს, რომელიც მიღებულია ისტორიულ-თანამიმდევრულად ან ერთბაშად ერთსა და იმავე ფონეტიკურ ერთე-ულში. მაგ.: ავანტყოფი < ავამტყოფი < ავამდყოფი. ეს უკანასკნელი ფორმა, რომლიდანაც დაწყებულია ასიმილაციური პროცესი, მიღებულია ავამდყოფი-საგან მეტათეზისით (იქ. ქვემოთ) ანუ გადასმით. (დმ > მდ): ჯერ მოხდა დ-ს რეგრესული მიმსგავსება ყ-სადმი (დყ > ტყ), შემდეგ.

მ > ნ ტ-ს წინ აგრეთვე რეგრესულად. პირველად, მაშასადამე, ღ მიემს-  
ჯავსა ყ-ს მკვეთრობით, ხოლო შემდეგ — მ მიემსჯავსა ტ-ს წარმოების  
ადგილის მიხედვით.

შესაძლებელი იყო ამ ნიმუშში სხვაგვარი პროცესი: ავანტყო-  
ფი < ავანდყოფი < ავადყოფი ან ერთბაში ასიმილაცია: ავამდყო-  
ფი < ავანტყოფი. ყოველ შემთხვევაში, ადგილი აქვს რთულ ასიმი-  
ლაციას.

ასიმილაციური პროცესის თანამიმდევრობა უკეთ ჩანს შემდეგ  
ნიმუშში: ტხღ > \*ტხღ > ტყღ დიალექტალური ტყტ: გატყღა-გატყტა;  
ასიმილაციის გამოსავალია \*ტხღ, პირველი ასიმილაციის შედეგია ტყღ  
(ლიტერატურული), მეორისა — ტყტ (დიალექტ.).

იტალ. sonno 'ძილი' < ლათ. somnus < \*suepnos (შეად. სანსკ-  
რიტის svapna-, ბერძნ. νειος); გამოსავალია ასიმილაციისათვის კომპ-  
ლექსი -pn-, რომელიც იქცა bn-დ (ე. ი. გამეღერდა რეგრესულად n-ს  
წინ p); შემდეგ b > m-დ b-ს განაზღვრების გზით n-ს წინ, ხოლო უკა-  
ნასკნელ m სავსებით მიემსჯავსა n-ს. მაშასადამე: pn > bn > mn > nn.  
ასიმილაციური მოვლენებია ე. წ. სინჰარმონიზმი და უმლაუტი.

## 8. სინჰარმონიზმი

სინჰარმონიზმი ანუ ხმოვანთა ჰარმონია (ბერძ.  
συναρμωσις: 'თანაჰარმონია'). წარმოადგენს ხმოვანთა პროგრესულ დის-  
ტანციურ სრულს ასიმილაციას მთელი სიტყვის მანძილზე. იგი მეტ-ნაკ-  
ლებად გვხვდება სხვადასხვა ენაში, მაგრამ მეტადრე დამახასიათებელია  
ურალურ-ალთაური ენებისათვის (ფინურ, უნგრულ, თურქულ და სხვ.  
ენათათვის): აფიქსის ხმოვანი ეასიმილირება ფუძის ხმოვანს; მაგ.,  
იაკუტურ ენაში аҕа 'მამა', аҕа 'დათვი', оҕо 'ბავშვი' მრავლობითში  
იქნება аҕалар 'მამები', аҕалар 'დათვები', оҕолор 'ბავშვები'; აფიქსის  
ხმოვანი მუდამ ემსგავსება ფუძისას. თურქ. sev-mek 'სიყვარული', მაგ-  
რამ bāk-mak 'ყურება' და სხვა.

სინჰარმონიზმის ელემენტები, ე. ი. ხმოვანთა პროგრესული დის-  
ტანციური ასიმილაცია მოგვეპოვება ევროპულ ენებშიც: ფრანგ. camar-  
ade < camarade 'ამხანაგი', გერმ. Nachbar < ძველი ზემო გერმან.  
nāhigibir, იტალ. Taranto < Tarento და ა. შ.

საბოლოო ანგარიშში, სინჰარმონიზმი, არის მომდევნო ხმოვნის  
პალატალიზაცია (მაგ., sev-mek) ან ველარიზაცია (მაგ., аҕалар).

## დ. უმლაუტი

უმლაუტი ანუ მეტაფონია (გერმ. Umlaut, ბერძნ. μεταφω-  
νισα 'გადახმოვნება') წარმოადგენს აგრეთვე ხმოვანთასიმილაციურ მოვ-

ლენას, მაგრამ — განსხვავებით სინჰარმონიზმისაგან — რეგრესული მიწართულებისას და ნაწილობრივ ასიმილაციურ მოვლენას.

სინჰარმონიზმისაგან იმითაც განსხვავდება უმლაუტი, რომ პირველი არაა, ჩვეულებრივ, დაკავშირებული სიტყვის სემანტიკურ ან გრამატიკულ მნიშვნელობასთან, ხოლო მეორე (უმალატი) ხშირად არის სემანტიკურისა და გრამატიკული ფუნქციის მატარებელი. ასეთია საკუთრივ უმლაუტი მეტადრე ზოგიერთ გერმანიკულ ენაში და ნაწილობრივ სვანურში.

ფონეტიკურად უმლაუტი არის წინმდგომ მარცვალში ხმოვნის გაფართოება-დავიწროება მომდევნო მარცვლის ხმოვნის გავლენით. მაგ., ძვ. ზემო-გერმ. *sutum* 'ჩვენ ვხარშავდით, ვადულებდით', მაგრამ *gisotau* 'მოხარული, ადულებული': მიმღობაში -au დაბოლოების ა-მ გაათაროვა ფუძის u, და მიღებულია მისაგან o.

მეორე ნიმუში: ძვ. ზ.-გერმ. *gast* 'სტუმარი', მაგრამ *gesti* 'სტუმრები': დაბოლოების i-მ დაავიწროვა ფუძის a და მიღებულია მისაგან e.

პირველია გამაფართოებელი გავლენა მომდევნო ფართო ხმოვნისა, და ეძახიან მას ბრეხუნგ-ს (*Brechung* 'გარდატეხა') ანუ ველარულ ასიმილაციას, რადგანაც, გაფართოებასთან ერთად, ხმოვანი უკან გადაიწევა ხოლმე. მეორეა დამავიწროებელი გავლენა მომდევნო ვიწრო ხმოვნისა, და ეძახიან მას საკუთრივ უმლაუტს ანუ პალატალურს ანუ i-უმლაუტს, რადგანაც ხმოვანი შუაენისმიერდება (პალატალიზდება) მომდევნო i-ს ან j-ს გავლენით.

სვანურში, როგორც ჩანს, გვაქვს მეორე სახის — პალატალური — უმლაუტი: სვან. დწვით < დავითი (გამაუმლაუტებელი o დაკარგულია გაუმლაუტების შემდეგ), სვან. ხწდილ < ხადილი (აგრეთვე); სვან. მუბურ 'ბნელი'; ადგწრი 'კლავს' (o აქ შენახულია), მაგრამ უდგარა 'უკვდავი'.

უმლაუტისებური ფონეტიკური მოვლენაა იმერული კილოს ე. წ. ეურობა: მეფიდა, წეფიდა, მეიტანა, წეილო. ყველა შემთხვევაში ასიმილატორია<sup>1</sup> (ანუ მაუმლაუტებელი) o, ხოლო ასიმილირებულია (ანუ უმლაუტირებული) u და e.

ქართულსა და სვანურში — ისე როგორც გერმანიკულში — წარმოდგენილია საკუთრივ უმლაუტისებური რეგრესული ასიმილაცია. მაგრამ ორივე განსხვავდება გერმანიკული უმლაუტისაგან მით, რომ ქართულში უმლაუტირდება ჩვეულებრივ პრევერბები<sup>1</sup>, ხოლო სვანურში უმლაუტირდება როგორც ფუძე, ისე პრევერბი (პრევერბის უმლაუტის

<sup>1</sup> იშვიათ შემთხვევებში იმერულში უმლაუტი მოსდის ფუძისეულ ხმოვანსაც მაგ.: ქუთიხიო.



ნიმუშია სვანურში. მაგ., ატხე < \* ატიხე 'დააბრუნებს' — ძირია ტიხ-). გერმანიკულ ენაში კი უმლაუტირდება მხოლოდ ფუძისეული ხმოვანი<sup>1</sup>.

უნდა ვიფიქროთ, რომ უმლაუტის, როგორც რეგრესული ასიმილაციის, ფონეტიკური საფუძველია კონარტიკული პროცესი (იხ. გვ. 94 და 109) და არა რთული ასიმილაცია, როგორც ფიქრობს ზოგიერთი მკვლევარი (მაგ., ზივერსი). ამ მოსაზრების თანახმად, საკუთრივ უმლაუტში გვაქვს მომდევნო i-ს ან j-ს შუალობითი გავლენა წინმდგომ მარცვალზე: შუალობითი იმიტომ, რომ i-ს ან j არბილებს ასიმილატორსა (აქ i ან j) და ასიმილირებულს შუა მდგომ თანხმოვანს. ხოლო ეს უკანასკნელი გარბილებულობის ჩამო აუმლაუტებს (ე, ი. აპალატალებს) მის წინ მდგომ ხმოვანს.

მაგ., ძველი ინგლისურის *sendan* 'გზავნა' მიღებულია უმლაუტის გზით \* *sandj-an*-ისაგან: j-ს დაუბილებია, ამ თეორიის თანახმად, იმ კომპლექსი, რომელსაც ა შეუტეულია ი-დ.

დარბილებული თანხმოვნის მაუმლაუტირებელი გავლენა რომ არაა აუცილებელი უმლაუტში, ჩანს თუნდაც ქართულიდან, სადაც „უმლაუტი“ ხარციელდება უმეტესად უშუალოდ. ე. ი. ასიმილატორი უშუალო მეზობლობაშია ასიმილირებულთან: წიფლო, მიფიანა, მაგრამ წაგლო, მოგითანა, ე. ი. თანხმოვნის (აქ გ-ს) შუალობა ხელს უშლის „უმლაუტს“ (ერთადერთი თანხმოვანია ვ, რომელიც არ უშლის ხელს). ამის საწინააღმდეგოდ არ შეიძლება იმ საბუთის მოყვანა, რომ ქართულში თანხმოვნები არ პალატალებიან: გერმანიკულ ენებსაც არ ახასიათებს თანხმოვანთა პალატალიზაცია ქართულზე მეტად.

უკანასკნელ, უმლაუტის გრამატიკული ფუნქციის შესახებ.

გერმანულ (დოიჩლანდურ) ენაში უმლაუტმა მოიპოვა შინაგანი ფლექსიის ფუნქცია. მაგ., უმლაუტის საშუალებით იწარმოება სახელთა მრავლობითი რიცხვი: *Kalb* 'ხბო' — *Kälber* 'ხბოები' (ძვ. ზ.-გერმ. *kelbir*); ზმნის კონიუნქტ.: *werfen* 'გადაგდება' — *würfe* (ძვ. ზ.-გერმ. *wurfi*); — *jan*-ზე დაბოლოებული სუსტი ზმნები: *wählen* (გუთ. *waljan*) 'არჩევა'; ზედსართავეები *ig*, *lich* დაბოლებებით: *Kraft* 'ძალა', მაგრამ *kräftig* 'ძლიერი', *Tag* 'დღე' — *täglich* 'ყოველდღიური' და სხვა.

როგორც ამ ნიმუშებიდან ჩანს, გრამატიკული ფუნქცია მოუპოვებია საკუთრივ უმლაუტს (და არა ე. წ. ბრეხუნგს).

გრამატიკული ფუნქცია აქვს აგრეთვე სვანურ უმლაუტსაც. მაგ.: აჰოდ 'გაყიდა' — აჰოდ 'გაჰყიდე', მალანტ 'მიყვარს' — მალატ 'სიყვარული'.

იმის შემდეგ, რაც გერმანულ უმლაუტს, როგორც წარმოშობით ფონეტიკურ მოვლენას, დაუკავშირდა გრამატიკული ფუნქცია, უმლაუტი იქცა წმინდა გრამატიკულ საშუალებად და უმლაუტმა გაწყვიტა კავშირი ფონეტიკურ პროცესთან, ე. ი. აღარ შეიქნა საჭირო მომდევნო i-ს ან j-ს გავლენა უმლაუტისათვის. მაგ., საშ. ზ.-გერმანულში გვაქვს *aste* 'ტოტები' < ძვ. ზ.-გერმ. *asta*; გერმ. *Brüder*-სა ან *Väter*-ში i არაოდეს არ ყოფილა, ისე როგორც არც *asta*-ში.

<sup>1</sup> საყურადღებოა, რომ ეურობა ქართულშიც გვხვდება (მაგ.: დაეცა > დემეცა, დაეზართა > დემეზართა). მაგრამ არა ი-უმლაუტი, არამედ ე-უმლაუტი; ე. ი. ასიმილატორია ე და არა ი, როგორც იმერულში.

## დ ი ს ი მ ი ლ ა ც ი ა

ბგერათცვლილების ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახეს წარმოადგენს ბგერათა დისიმილაცია ანუ ბგერათა განმსგავსება (ლათ. *dissimilis* 'არამსგავსი, განსხვავებული', *dissimilatio* 'განმსგავსება'), რომელიც ზღვონარეობს შემდეგში: ორი ერთმანეთის მსგავსი (ან ერთგვარი) ბგერიდან სიტყვაში ერთი იცვლება, და ამით მატულობს განსხვავება მათ შორის; ამის შედეგად შესაძლოა დაიკარგოს ცვლილი ბგერა.

ამდენად დისიმილაცია არის ასიმილაციის საწინააღმდეგო ფონეტიკური მოვლენა: თუ ასიმილაციაში ერთმანეთს ემსგავსებიან განსხვავებული ბგერები (სიში > შიში, ერთგული > ერთგული), დისიმილაციაში, პირიქით; მსგავსი ან ერთგვარი ბგერები ერთმანეთს განემსგავსებიან: რბილი < ლბილი; ხტო < კტო.

პირველ ნიმუშში ორი ლ-დან ერთი იცვალა რ-დ, ხოლო მეორეში ორი ხშულიდან ერთი იცვალა სპირანტად. ორივე ნიმუში წარმოადგენს რეგრესული მიმართულების დისიმილაციას, რადგანაც დისიმილატორი (ლ და რ) ორივე შემთხვევაში მომდევნოა, ხოლო დისიმილირებელი (რ და ხ) — მათ წინ მდგომი.

პროგრესული მიმართულებისაა, მაგ.: ლერწამი < ლელწამი, *фешах* 'თებერვალი' < \**фешрапх*, სადაც დისიმილატორი (ლ და р) წინ უძღვის დისიმილირებულს (რ-ს და ж'-ს).

დასახელებელი ნიმუშებიდან მხოლოდ კტო-ში გვაქვს განსხვავებული (წარმოების ადგილით, ე. ი. ჰეტერორგანული) სადისიმილატო ბგერები; დანარჩენ სიტყვებში სადისიმილატო ბგერები სავსებით მსგავსია თითოეულში (ლბილი, ლელწამი, \**фешрапх*).

კტო-ს გადასვლისას კტო-ში განსხვავებამ იმატა ამ ორ თანხმოვანს შორის: ჰეტერორგანულობას მიემატა ჰეტერორგენურობა (კ და რ ჰომოგენური თანხმოვნებია, მაგრამ ჰეტერორგანული, ე. ი. ორივე ერთნაირად ხშულია, მაგრამ იწარმოებიან სხვადასხვა ორგანოთი).

დისიმილაცია ემართება ხმოვნებსაც; მაგ.: სათითაოდ < სათითოდ; დისიმილირებულია *о — о > а — о* (რეგრეს.); *ამელამ < აშალამ: а — а* (პირველი უშუალო მეზობლობაში; მეორე — მანძილზე); *ეხლა < ახლა: а — а > е — а* (რეგრეს.) და სხვა.

ხმოვანთა რეგრესულ დისიმილაციას წარმოადგენს გერმ. *ei > ai*; მაგ.: *ein > ain* (წარმოქმნაში), *stein > stain* (დისიმილირებულია *e — i*, როგორც სივიწროვით ერთმანეთთან ახლო ხმოვნები: განსხვავებამ იმატა).

საერთოდ დისტანციური დისიმილაცია უფრო მეტადაა გავრცელებული სხვადასხვა ენაში, ვიდრე კონტაქტური. ამ უკანასკნელის ნიმუში, ხსენებულ ხმოვნურ დისიმილაციათა გარდა: *кто > хто*; *ამბავი > ანბავი* (დიალ.); *ჯანაბა > ჯანდაბა*, *მუხამმაზი > მუხამმაზი* (ორივე

პროგრესულია); საყდარი > საყტარი > სახტარი (დიალექტ.); დისიმილირებულია რეგრესულად ყტ > ხტ, ე. ი. ხშული ყ განეწესგავსა ხშულსავე ტ-ს და მივიღეთ სპირანტი ხ (შეად. რუს. кто > хто); ნიჟნა > ნიჟნა, трамвай > трамвай.

### ბგერის დისიმილაციური დაკარგვა და ჰაპლოლოგია

დისიმილაციის ნიადაგზე ზოგჯერ იკარგვის დისიმილირებული ბგერა. ასეთია, მაგ., ერთმანეთი < ერთმანერთი-საგან (ერთმანეთი გააზრებულია, როგორც ერთი სიტყვა; მას რომ სემანტიკურად კავშირი შეწყვეტილი აქვს „ერთ“-თან, ჩანს დიალექტური ერთმანეთი-დან).

ამას ვეძახით ბგერის დისიმილაციურ დაკარგვას სიტყვაში.

დისიმილაციური დაკარგვის ნიმუშებია, მაგ.: მოხული < \* მოხლული (შეად. მოხრული, რომელშიც გვაქვს რეგრეს. დისიმილაცია: ლ — ლ > რ — ლ); ამავე ძირისაა სულ < \* სლულ (შეად. სრული რეგრეს. დისიმილაციით). პიჯვარი < პირჯვარი; ბებერი < \* ბერ-ბერი, კაკანი < \* კანკანი და სხვა.

ლათ. lanterna ‘ფანარი’ > laterna; ლათ. steti (ნამყო სრული stare-საგან ‘დგომა’) < \* stesti (პირველ ლათ. ნიმუშში n დაკარგულია რეგრესულ-დისიმილაციურად, ხოლო მეორეში — s პროგრესულ-დისიმილაციურად).

დისიმილაციისავე ნიადაგზე შესაძლოა სიტყვაში დაიკარგოს მთელი მარცვალი. ასეთია, მაგ., ბიცოლა < \* ბიძი(ბ)ცოლა, ფეხშველა (დიალექტ.) < ფეხშიშველა: პირველ შემთხვევაში მომხდარა რეგრესული დისიმილაცია, რომელშიც დისიმილატორია ც, ხოლო დისიმილირებული — ძ; მეორეში — დისიმილატორია მომდევნო შ.

დისიმილაციურად სიტყვიდან მარცვლის ამოვარდნას ეწოდება ჰაპლოლოგია (ბერძნ ἀπλόος ‘მარტივი, არართული’).

საყურადღებოა, რომ დისიმილაციურად ამოვარდნილ თანხმოვანს (ძ-სა და ც-ს) გადაჰყვება ხმოვანიც (ო).

ჰაპლოლოგიის ნიმუშებია, მაგ.: орденосец < орденонбсец, знаменосец < знаменонбсец; сызмльства ან сызмалетства (დოსტოვისკი) < сызмалолётства ‘ბავშვობიდან’; близорукий ‘შორს მხედველი’ < близозоркий (შეად. дальнзозоркий; близозоркий ხალხური ეტიმოლოგიით (ე. ი. შეცდომით) დაკავშირებულია სიტყვასთან „рука“); минералогия < минералология.

ლათ. stipendium < \* stipipendium ‘ჯამაგირი (სალდათისა)’; venificus ‘მომშხამველი’ < venemificus; nutrix ‘მკვებავი ქალი, ძიძა’ < \* nutritrix (ისე როგორც victor ‘დამმარცხებელი ვაჟი’ და victrix ‘დამმარცხებელი ქალი’).

დისიმილაცია ემართება მეტწილად სონორულ თანხმოვნებს, მათგან უფრო ხშირად რ—რ-სა და ლ—ლ-ს. თითოეული ამ წყვილთაგანი დისიმილირდება ერთი მეორის საშუალებით, ე. ი. რ—რ დისიმილირდება ლ-ს საშუალებით, ხოლო ლ—ლ დისიმილირდება რ-ს საშუალებით. ლ—ლ დისიმილირდება აგრეთვე ნ-ს საშუალებითაც. ნიმუშები:

ლ—ლ > ლ--რ (პროგრესული დისიმილაცია): ლელწამი > ლერწამი ან

ლ—ლ > რ—ლ (რეგრესული): წლეულს > წრეულს;

რ—რ > რ—ლ (პროგრესული): ორჯერ > ორჯელ ან

რ—რ > ლ—რ: დირექტორი > დილექტორი (დიალექ.).

ლ—ლ > ნ—ლ (რეგრესული): წლეული > წნეულს (იმერული); ხულმთელი > ხუნთელი (დიალექ.); ლილკილო > ლინკილო (იმერ.) ან ლირკილო.

დისიმილირდება აგრეთვე ნ—ნ წყვილი, ჩვეულებრივ, ლ-ს საშუალებით:

კანონი > კალონი (რეგრეს.) და ნ—მ > ლ—მ (რეგრეს.); ნემსი > ლემსი (ან ლეფსი—არის გვარი ლეფსიწვერიძე, ლეჩხ.).

რუს. веленюда > веренюда 'აქლემი':

ა'—ა' > р—ა' (რეგრეს.)

Проручъ 'ყინულქრილი' > проучъ: р—р > р—л (პროგრეს.). ამ ნიმუშებიდან ჩანს, რომ სონორული თანხმოვნები დისიმილდებიან ერთმანეთის საშუალებით.

დისიმილაცია მოსდით აგრეთვე ჩქამიერ თანხმოვნებსაც, მაგრამ მათი დისიმილაცია გაცილებით ნაკლებაა გავრცელებული სხვადასხვა ენაში, ვიდრე სონორულთა დისიმილაცია.

მეორე განსხვავება ჩქამიერ და სონორულ თანხმოვანთა დისიმილაციას შორის მდგომარეობს იმაში, რომ ჩქამიერთა დისიმილაციაში მოქმედებს, როგორც წესი, დისიმილაციური დაკარგვისა და ჰაპლოლოგიის კანონზომიერება, ხოლო სონორულთა დისიმილაციაში—სხვა სონორულით შენაცვლების კანონზომიერება. მაგ.:

გმელმეშაბი > გველმეშაბი: გ—გ > გ—ნული (პროგრესული დისიმილაცია); გააზრებულია ერთ სიტყვად, ისე როგორც დანარჩენები:

ოთხოთხი > ოთხთხი; ხ—ხ > ნული—ხ (რეგრესული);

ხუთხუთი > ხუთუთი: ხ—ხ > ხ—ნული (პროგრესული);

\* ლაღლაღი > ლაღაღი: ღ—ღ > ნული—ღ (რეგრესული).

ლათ. \*spondi > spopondi (ნამყო სრული spondēre-საგან 'აღთქმა'): s—s > s—ნული (პროგრესული); იხ. ზემოთ steti < \*stesti.

საგანგებოდაა აღსანიშნავი რ — რ-ს დისიმილაცია ქართულში.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულში სონორულთა დისიმილაცია მეტადაა გავრცელებული თავისი რეგრესული სახით, ვიდრე პროგრესულით, სიტყვათმაწარმოებელი სუფიქსი -ური-ს რ თითქმის ყოველთვის დისიმილირდება პროგრესულად, ე. ი. რ — ურ- > რ — ულ-ს.

მაგ., კახ-ური, კაც-ური, მაგრამ: გორ-ული, იმერ-ული, რუს-ული, გურ-ული, ლორ-ული; უ-გემ-ური, მაგრამ უ-ფერ-ული, უხერხ-ული და ა. შ.

აგრეთვე „მ—არ“ და -იერ სუფიქსების რ-ც დისიმილირდება პროგრესულად.

მაგ., მ-ღნ-არი, მაგრამ მქრ-ალი, მყრ-ალი, მშრ-ალი; გონ-იერი, მაგრამ ხორც-იელი.

ყველა შემთხვევაში გვაქვს რ—რ > რ—ლ. -ური-ს რ არ დისიმილირდება, უკეთეს სიტყვის ფუძეში გვაქვს რ-ს გარდა ლ-ც (რ—ლ და არა ლ—რ); მაგ.: ქართლ-ური, ავსტრალი-ური; მაგრამ პოლარ—ული (ა. შანიძე).

უნდა ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში პროგრესული (და არარეგრესული) დისიმილაცია განპირობებულია სემანტიკით:

სიტყვის ნივთობრივი მნიშვნელობა ისე ძლიერაა დაკავშირებული რ-ს შემცველ ძირთან, რომ მისი ლ-დ ქცევა (ე. ი. რეგრესული დისიმილაცია) ხიფათში ჩააგდებდა მის გასაგებრობას.

სემანტიკური ფაქტორი რომ მნიშვნელოვან როლს ასრულებს დისიმილაციაში, ჩანს, კერძოდ, იმ ფაქტიდან, რომ იგი ზოგჯერ აბრკოლებს დისიმილაციის მოხდენას, მაგ., გარდა ამ შემთხვევისა (-ური, მ—არი, -იერი), დისიმილაციას აბრკოლებს იმის გრძნობა, რომ სიტყვა რთულია, ე. ი. შედგენილია ორი (ან მეტი) სიტყვისაგან: არაფერი, როგორი; რაკრაკი, ხარხარი და სხვა (ა. შანიძე).

არაფერი, როგორი სალიტერატურო ფორმაა; იმერულ კილოში ამათავე მოსდის დისიმილაცია, რადგანაც, როგორც ჩანს, მათში აღარ იგრძნობა რთულშედგენილიანობა:

ამბობენ: არაფელი (პროგრესული დისიმილაციით) ან აფერი (რეგრესულ-დისიმილაციური დაკარგვით); როგორი (ან როგორ) გვევლინება იმერულ კილოში იმ ფორმის დისიმილაციით, საიდანაცაა იგი მიღებული. \* რაგვარი > რავალი, რაგვარ > რავა: პირველში გვაქვს პროგრესული დისიმილაცია (გ-ს დაკარგვით, რაც დისიმილაციის გარეშე მომხდარა), მეორეში (რავა) — პროგრესულ-დისიმილაციური დაკარგვა.

ზემოთქმულს გარდა, მეცნიერებაში ცნობილია დისიმილაციისათვის რამდენიმე სპეციალური ფონეტიკური კანონზომიერება.

მათგან მოვიყვან აქ მხოლოდ ერთს, სახელდობრ, ხშულთა დისიმილაციური გამჟღავნების კანონზომიერებას, რომელიც მდგომარეობს შემდეგში:

სიტყვაში შემავალი ორი ყრუ ხშულიდან ერთ-ერთი (მეტწილად პირველი) მჟღერდება, ე. ი. ყრუ ხშულები განემსგავსებიან ერთმანეთს მჟღერობა-სიყრუის მიხედვით.

პირველად ეს კანონზომიერება შემჩნეულ იქნა ოსურ ენაში, სადაც იგი მოქმედებს ქართულიდან ნასესხებ სიტყვებში. მაგ.; ოსური ბიტნა < ბიტნა, ოსური გჯრკო < ქართ. (კ)რკო; ოს. გოტოში < ქართ. კოტოში, ოს. გერთამ < ქრთამი; ოს. დიჰი < ტიკი (ოსურში კ იცვლება ჭ-დ ი და ე ხმოვნებისა და რ-ს წინ): ქართული ტიკი > ოს. \*დიკი > დიჰი და სხვა.

საყურადღებოა, რომ დისიმილაციური გამჟღავნების ფაქტები მოიპოვება ქართულშიც, მაგრამ მას აქ არა აქვს კანონზომიერების ხასიათი; ოსურში კი მან გამოწაკლისი თითქმის არ იცის. ნიმუშები ქართულიდან:

მთიულური ბატარა, ბატარძალი, ბატრონი (შეად. ბატონი); სალიტ. ქართ. ბატონი; ჭაბუკი (შეად. ძვ. ქართ. ჭაპუკი); ბილწი < ბილწი და რამდენიმე სხვა.

დისიმილაციური გამჟღავნება მეტწილად რეგრესულია — როგორც ოსურში, ისე ქართულში.

## მ ე ტ ა თ ე ზ ი ს ი

### ა. მეტათეზისი საერთოდ.

მეტათეზისი ანუ ბგერათგადასმის ეწოდება სიტყვაში ბგერის გადანაცვლებას (ბერძნ. μεταθεσις 'გადაადგილება').

მეტათეზისს წარმოადგენს, მაგ., თმრამეტი (შეად. ათ-რამეტი, სადაც გადმოსმულია წინ ვ), ნამგალი < მანგალი (შეად. მანგლისი), სადაც მ-სა და ნ-ს შეუწაცვლებიათ ერთმანეთისათვის ადგილი: მ გადანაცვლებულა სიტყვის ბოლოსაკენ, ხოლო ნ — სიტყვის თავისაკენ; რუს. тарелка 'თეფში, საინი' < \*талерка (შეად. გერმ. Teller): იგივე შენაცვლებაა ადგილებისა ა-სა და რ-ს მიერ; მეგრ. წინგი < ქ. წიგნი: ნ გადანაცვლებულია სიტყვის თავისაკენ.

მეტათეზისი ემართება მეტ-წილად სონორულ თანხმოვნებს: რ — ლ — მ — ნ-ს და აგრეთვე ვ-ს, რომელიც საკმაოდ ახლოა სონორობით პირველებთან; მაგრამ გვაქვს ჩქამიერ თანხმოვანთა მეტა-

თენისის შემთხვევებიც. ასეთია, მაგ., ბლარტი < \*ბჰარტი < ბარტყი — გადასმულია ყ; ნახშირი < ნაშხირი (შეად. ზანური ნოშქერი) — გადასმულია ხ. ხმოვანთა მეტათენისი იშვიათია (გამიგონია, მაგ., გამაახვილა < გაამაახვილა).

მარტივია მეტათენისი, როცა ადგილს იცვლის სიტყვაში ერთ ბგერა, მაგ.: თმრამეტი, მეგრ. წინგი, плѣмя 'ალი' (შეად. палѣть 'წვა, გარუჯვა, სროლა თოფისა და მისთ.'), გერმ. bersten 'სკდომა, ხეთქა' < ძველი ზემო გერმ. brestan და სხვ.

საურთიერთოა მეტათენისი, როცა სიტყვაში ორი ერთმანეთს მანძილით დაშორებული ბგერა შეუნაცვლებს ერთმანეთს ადგილს, მაგ.: ნამგალი, ცარიელი < ცალიერი; რუს. ладихъ 'ხელისგული' < долахъ (შეად. ძვ. სლავური дланъ 'ხელი, ხელისგული'), ლათ. scintilla 'ნაპერწყალი' > \*stincilla (შეად. ფრ. étincelle).

განასხვავებენ კონტაქტურ მეტათენისს დისტანციურისაგან. კონტაქტურია მეტათენისი მაშინ, როცა გადასმულ ბგერათა უშუალო მეზობლობა (კონტაქტი) არ ირღვევა; მაგ.: რღმა < ღრმა; ავამტყოფი < ავამყოფი; ნახშირი < ნახშირი, მეგრ. რშიალი < ქართ-შიალი, წინგი და სხვა. ყველა ამ შემთხვევაში გადასმას არ გამოუწვევია გადასმული ბგერის უშუალო მეზობლობის დარღვევა იმ ბგერასთან, რომელთანაც იგი წარმოითქმოდა გადასმამდე.

ისეთ მეტათენისს, როცა ირღვევა გადასმული ბგერის უშუალო მეზობლობა პირვანდელ მეზობელ ბგერასთან, ეწოდება დისტანციური ანუ მანძილის მეტათენისი. ასეთია, მაგ., არალიტერატ. ნამხე < ვნახე: დარღვეულია ვს უშუალო მეზობლობა ნ-სთან; ბლარტი < \*ბჰარტი < ბარტყი: დარღვეულია ყ-ს მეზობლობა ტ-სთან (გადასმული ყ აღმოჩნდა ბს მეზობლობაში, რომელმაც იგი აქცია მეღერდ-დ); დიალექტური ზრუგი < ზურგი; пла-мя < пал-ить, bersten < brestan; იტალ. formento 'ხორბალი' < ლათ. frumentum და სხვა.

დისტანციურია ანუ მანძილისა აგრეთვე საურთიერთო მეტათენისი, რომელშიც, როგორც ითქვა, ადგილით შეენაცვლება ერთმანეთს მანძილით დაშორებული ორი ბგერა; ე. ი. როცა ურთიერთ ადგილის შემცვლელი ბგერები არ არიან უშუალო მეზობლობაში ერთმანეთთან არც გადასმამდე და არც გადასმის შემდეგ. ასეთებია, მაგ., ცარიელი, თვარიელება < თვალიერება, тарѣлка და სხვა.

### ბ. მეტათენისის მიმართულება

თუ გავითვალისწინებთ ზემოთქმულს, რომ მეტათენისი მოსდის მეტწილად სონორულ თანხმოვნებს და ვ-ს, და დავემატებთ, რომ მათ შორის გადაისმება ხოლმე უშუალოდ მეზობელ ბგერაზე მეტად სონო-

რი, — შესაძლებელია დადგენილ იქნეს მეტათეზისის საერთო მიმართულება ზოგადად, სახელდობრ:

1. პროგრესული მიმართულებისაა მეტათეზისი, როცა ბგერა გადაინაცვლებს სიტყვის ბოლოსაკენ მაგ.: ვნახე > ნამხე — ვ წაქ უფრო სონორია ნ-ზე; ღრუბელი > არალიტერ. ღურბელი — რ მეტად სონორულია ღ-ზე; გრიგოლა > არალიტერ. გირგოლა; თაყვანისცემა > თაყვანისცემა; ლათ. frumentum 'ხორბალი' > იტალ. formento — r მეტად სონორია f-ზე; ძვ. ზემო-გერმან. brestan > ახალი ზემო-გერმ. bersten — r სონორია b-ზე; ლათ. vespa 'კრაზანა' > ძვ. ზემო-გერმ. wefsa — s სონორია p-ზე და ა. შ.

2. რეგრესული მიმართულებისაა მეტათეზისი, თუ ბგერა გადაინაცვლებს სიტყვის თავისაკენ მაგ.: ღრმა > არა ლიტ. რღმა — რ უფრო სონორია ღ-ზე; ზურგი > ზრუგი — რ უფრო სონორია გ-ზე; ცარიელი > ცარიელი — რ სონორია ლ-ზე; талерка > тарелка — p სონორია л-ზე; (ა)თრამამეტი > თმრამეტი — ვ აქ უფრო სონორია რ-ზე; ავადმყოფი > \*ავამდყოფი > ავანტყოფი — მ სონორია ღ-ზე (მ იცვალა ნ-დ ტ-ს წინ).

ქართულიდან მოყვანილი ნიმუშები საერთოდ გკაფიქრებინებს, რომ მეტათეზისის საერთო მიმართულება ქართულში რეგრესულია, ე. ი. ბგერა იცვლის ადგილს მეტწილად სიტყვის თავისაკენ. უფრო გარკვეულ სურათს გვაძლევს, რასაკვირველია, სონორული თანხმოვნები:

გერენალი < გენერალი, ზრუგი, თვარიელეზა, ნამგალი, რღმა, ჩღუქი (< ჩულქი), ცარიელი [არასალიტერატურო წარმოთქმაში აგრეთვე საკმაოდ გავრცელებულია, მაგ.: ბურვალი < ბულვარი, ნიმუტი, სარძიკველი < საძირკველი, ქრმის < ქმრის, ყვერიელი < ყველიერი, ძრიელ, ძრმის < ძმრის და სხვა]. ასეთივე სურათი ჩანს სონორულ თანხმოვანთა გადასმის მხრივ მეგრულშიც: არწი < არწი, ღრიმიტი < ღრიმიტი, თრწმე < თურწმე, მართახი < მართახი, ფირქი < ფიქრი, წინგი; ე. ი. აქაც მიმართულება რეგრესულია.

სრულიად აშკარაა რეგრესული გადასმა აგრეთვე ყ-სი ბლარტ-სა და ბლერტა-ში (< ბერტჷა).

ნაკლებ გარკვეულია მიმართულება ისეთ შემთხვევებში, როცა მეტათეზისი უშუალოდ მეზობელ ბგერებს ეხება და კომპლექსში ზოგჯერ სონორული თანხმოვანი არაა. ასეთია, მაგ., ავანტყოფი, ხვრა < ხრვა, თვრამეტი, ნახშირი.

გაურკვეველია: ავანტყოფ-ში (< ავადმყოფი) ღ გადაისვა ბოლოსაკენ (პროგრესულად), თუ მ გადმოისვა (რეგრესულად) თავისაკენ; ხვრა-ში რ გადაისვა (პროგრეს.), თუ ვ გადმოისვა (რეგრეს.); ნახშირ-ში (< ნახშირი, იხ. ზემოთ) შ გადაისვა, თუ ხ გადმოისვა; მეგრ. რშიალ-ში (< შრიალი) შ არის გადასმული, თუ რ გადმოსმული და ა. შ.



რადგანაც მეტათეზისის მიმართულება საერთოდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რეგრესულია ქართულში (და მეგრულშიც), ამიტომ შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ამ საექვო შემთხვევებშიც მეტათეზისი რეგრესულია; ე. ი. გადმოსმულია რეგრესულად მ და არა დ გადასმული პროგრესულად, ხვრა-ში გადმოსმულია ვ და ა. შ.

მაშასადამე, გარკვეულ შემთხვევებში ვ-ს მეტათეზისი ქართულში რეგრესულია; მაგ.: სვლა < სლვა, კვლა < კლვა და სხვ.

### გ. ვ-ს მეტათეზისი ქართულში

დადგენილია ქართულისათვის ვ-ს გადასმის კანონზომიერება გარკვეულ შემთხვევებში, სახელდობრ:

სონორული თანხმოვნების რ — ლ — ნ-ს მომდევნო ვ გადმოსმება რეგრესულად, როცა ამ სონორულ თანხმოვნებს წინ უძღვის ბაგისმიერი, წინაენისმიერი ან უკანაენისმიერი ჩქამიერი თანხმოვანი; მაგ.:

დაფლვა > დაფვლა, გახაპნვა > გახაპვნა; (ა)თრვამეტი > თრვამეტი; \*დათრვა > დათვრა, ნატრვა > ნატვრა, შენიშნვა > შენიშვნა; შექრვა > შექვრა, მოკლვა > მოკვლა, ჩავრვა > ჩავვრა, ხნვა > ხვნა, ხრვა > ხვრა. და სხვა.

მეტათეზისის მიზეზი არტიკულაციური შეიძლება იყოს მხოლოდ კონტაქტურ მეტათეზისში, ე. ი. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ადგილს იცვლიან უშუალო მეზობლობაში მყოფი ბგერები: მეტათეზისის გზით სიტყვაში იქმნება მოცემული ენისათვის ჩვეული კომპლექსი — ამ ენისათვის დამახასიათებელი მიმდევრობა ბგერათა. თავისთავად ცხადია, რომ ამასთანავე დიდ როლს ასრულებს კოარტიკულაცია (იხ. გვ. 95 და 109) და აქცესიური კომპლექსის დაძლევა (სუპერაცია) (იხ. გვ. 108 და შემდ.). რაც შეეხება დისტანციურ მეტათეზისს, იქ კოარტიკულაციის პირობებში გადამწყვეტია ფსიქოლოგიური მომენტი — ანტიციპაცია რეგრესული მეტათეზისისათვის, ხოლო ინერცია პროგრესულისათვის, ისე როგორც ამას ადგილი აქვს ასიმილაციისა და დისიმილაციის ანალოგიური სახეებისათვის.

### ბგერათმონაცვლეობა

ერთი და იმავე სიტყვის სხვადასხვა ფორმაში ბგერათა კანონზომიერ შენაცვლებას ჰქვია ბგერათმონაცვლეობა ან უალტერნაცია (რუსულად чередование звуков).

განასხვავებენ თანხმოვანთმონაცვლეობას ხმოვანთმონაცვლეობისაგან: პირველ შემთხვევაში ერთმანეთს ენაცვლებიან თანხმოვნები, მეორეში — ხმოვნები. იშვიათ შემთხვევებში ერთმანეთს ენაცვლება თანხმოვანი და ხმოვანი.

## ა. თანხმომავანთმონაცვლეობა და ხმომავანთმონაცვლეობა

თანხმომავანთმონაცვლეობას წარმოადგენს, მაგ., მელერისა და ყრუ ჩქამიერის მონაცვლეობა გარკვეულ ფონეტიკურ პირობებში: გრძნობა, გრძნობდა, მაგრამ გრძნობს (ბ გაყრუვდა ხ-ს წინ); რიბი, რიბზე. მაგრამ რიქში (გ გაყრუვდა შ-ს წინ). მაშასადამე, აქ გვაქვს მონაცვლეობა ერთი და იმავე სიტყვის სხვადასხვა ფორმაში: ბ/ფ, გ/ქ.

ანალოგიურია, მაგ., რუსულში შემდეგი მონაცვლეობა: грѣхъ მაგრამ грѣх (იწერება грѣх); лѣвоука, მაგრამ лѣпка (იწერება лѣвка). მაშასადამე, მონაცვლეობენ ამ შემთხვევაში д/т, в/ф.

თანხმომავანთა ასეთივე მონაცვლეობაა, მაგ.; გერმანულის შემდეგ სიტყვებში: Land 'მიწა, ქვეყანა' — წარმოითქმის lant (დ ყრუვდება სიტყვის ბოლოში, ისე როგორც ქართულსა და რუსულში), მაგრამ Lande — წარმოითქმის lande; liebt 'უყვარს' — წარმ. lipt (ბ გაყრუვდა t-ს წინ), მაგრამ lieben — წარმ. li : ხაი. მონაცვლეობენ d/t, v/p.

შესაძლებელია აგრეთვე ხმომავანთმონაცვლეობა ერთსა და იმავე სიტყვაში.

მაგ., ქართულის იმერულ კილოში გვაქვს მონაცვლეობა ა/ე და ო/ე: გაქცევა, მაგრამ გმიქცა; გაშვება, მაგრამ გოუშვა.

ანალოგიური ხმომავანთმონაცვლეობა გვაქვს რუსულშიც: нѣги 'ფეხები', მაგრამ наги 'ფეხისა' (იწერება ногѣ); д'ѣла (дѣло), მაგრამ д'ѣла (дѣл — ხ გამოხატავს რედუტირებულ ა ხმოვანს).

იშვიათ შემთხვევებში შესაძლებელია ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ხმოვანი და თანხმოვანი. მაგ., ქართულში გვაქვს ო/ვ მონაცვლეობა ო ხმოვნის რედუქციის შედეგად: მაწონი/მაწვნის, ნიორი/ნიორის, წოდ-/წოდ- (მიწოდება/აწვდის); მ/ვ(ვ): ქვრივი < \*ქმრივი და სხვა.

## ბ. ფონეტიკურად განპირობებული ბგერათმონაცვლეობა

ბგერათა მონაცვლეობის ყველა ჩამოთვლილი ნიმუში — როგორც თანხმოვანთა, ისე ხმოვანთა — განპირობებულია მონაცვლე ბგერათა ფონეტიკური პოზიციით, ე. ი. იმით, რომ მონაცვლე ბგერები (ბ/ფ, გ/ქ; რუს. д/т, в/ф; გერ. d/t ს/p; ა/ე, ო/ე; რუს. o/a, e/я) სხვადასხვა ფონეტიკურ პოზიციაშია, ე. ი. გვაქვს პოზიციური ბგერათცვლილება მაგ., ბ (გრძნობა-ში) ხმოვნის წინაა, რის გამოც დაცულია მისი მელერობა; ფ მიღებულია ბ-საგან ყრუ ხ-ს წინ მყოფობის გამო; ასევე რუსულსა (д ხმოვნის წინაა, т სიტყვის ბოლოში, в/ф აგრეთვე) და გერმანულშიც (д ხმოვნის წინ; т სიტყვის ბოლოში, ხ და р აგრეთვე; ბ მახვილიანია, а (ноги-ში) უმახვილო; е მახვილიანია (дѣла-ში), я — უმახვილო (дѣл-ში). ამგვარად თანხმოვნები განპირობებულია მეზობელ ბგერათა მელერობა-სიყრუიით, ხოლო ხმოვნები — მახვილიანობა-უმახვილობით.

ბგერათა ამ აუცილებელი განპირობებულობისაგან გამომდინარეობს ასეთი მონაცვლეობის მეორე ხასიათი: იგი (ე. ი. ასეთი მონაცვლეობა) ვერ ჰქმნის გრამატიკული ან სემანტიკური მნიშვნელობის დიფერენციაციას; ე. ი. სულ ერთია აზრისთვის, წარმოითქმება გრძნობს თუ გრძნოფს, — მნიშვნელობა ერთი იქნება. ესაა მხოლოდ, რომ გრძნობს ნაკლებ ბუნებრივია წარმოთქმაში; ასევეა სხვა ნიმუშებიც. მაგ.: სულ ერთია, წარმოვთქვამთ აქნა თუ აქნა, — მნიშვნელობა ამით არ იცვლება, მაგრამ უმართებულოა წარმოთქმისათვის აქნა; ასევეა აქნა და აქნა: შეიძლება ორივეში წარმოვთქვათ ა, — აზრი გასაგები იქნება, მაგრამ აქნა-ს ა-თი წარმოთქმა არაა მართებული სალიტერატურო რუსულისათვის.

ბგერათა ისეთ მონაცვლეობას, რომელშიც მონაცვლე ბგერათა განსხვავებულობა განპირობებულია პოზიციით (სიტყვის სხვა ბგერებთან მიმართებით ან მახვილიანობა-უმახვილობით), და ამიტომ მას (მონაცვლეობას) არა აქვს სადიფერენციაციო ძალა, ეწოდება ფონეტიკურად განპირობებული ანუ, მოკლედ, ფონეტიკური ბგერათმონაცვლეობა.

## 8. ისტორიული ანუ ფონოლოგიური ბგერათმონაცვლეობა.

### აბლაუტი

ფონეტიკური ბგერათმონაცვლეობა წარმოადგენს ცოცხალი წარმოთქმის პროცესში ბგერათა ცვლილების შედეგს და, როგორც ითქვა, იგი მუდამ განპირობებულია. მაგრამ ხშირია შემთხვევა, როცა ბგერათმონაცვლეობაში არა ჩანს ბგერათცვლილების განპირობებულობა. ასეთია, მაგ., შ/შ მონაცვლეობა სიტყვებში შრიალი/შრიალი ან ლ/ლ სიტყვებში ხული/ხუნი; ორივე წყვილში ერთი და იმავე ძირის სიტყვა გვაქვს, მაგრამ მნიშვნელობით ისინი ერთმანეთისაგან განსხვავებულია: „შრიალი — მრავალთ-ეყუანთ ჯმა, შრიალი — ქართაგან ფურცლის ჯმა“ (საბა). არა ჩანს, თუ რა პირობებს გამოუწვევია შ-სა და ლ-ს ერთმანეთისაგან განსხვავება, ე. ი. გვაქვს სპონტანური ბგერათცვლილება. ასეთივეა მონაცვლეობა ლ/ლ სიტყვებში ხული/ხუნი.

გვაქვს ისეთი მონაცვლეობაც, რომელშიც შერჩენილია ისტორიულად შეპირობებული ბგერათცვლილება, თორემ დღევანდელი წარმოთქმის თვალსაზრისით იგი განპირობებული აღარ არის. ასეთია, მაგ., ბ/ფ სიტყვებში კრება/კრეფა.

ექვს არ იწვევს, რომ ორივე სიტყვა ერთი წარმოშობისაა, სახელდობრ, კრებ-ისაგან; ისტორიულად მომხდარა ბ-ს გაყრუება სიტყვის ბოლოში (კრებ > კრეფ) ან ყრუ თანხმოვნის წინ (კრებ > კრეფს), და ამ გზით წარმოქმნილა ახალი ფუძე კრეფ-, რომელსაც დაკავშირებია განსხვავებული მნიშვნელობა (აქ სემანტიკური); კრება 'შეყრილობა', კრეფა 'ხილთა მოწილვა, გინა ყვავილთა მოწყვეტა' (საბა). ამგვარად

განმტკიცებულა ენაში კრებ-ის გვერდით კრეფ-ფუჟე. დღეს უკვე კრეფა-ში ფ-ს სიყრუე არაა განპირობებული არც მისი ბოლოში მყოფობით და არც მომდევნო ყრუსთან მეზობლობით.

მაშასადამე, თუ ჟრიალი-შრიალი-ში და სული/სუნი-ში გვაქვს ისტორიულად სპონტანური ბგერათმონაცვლეობა (ჟ/შ, ლ/ნ), კრებ-/კრეფ-ში ვხედავთ ისტორიულად განპირობებულს, კომბინატორულ ბგერათმონაცვლეობას (ბ/ფ).

ასეთივე ისტორიულ-განპირობებული თანხმოვანთმონაცვლეობაა რუსულში, მაგ., კ/ყ (стык/стыць 'ვაკაკუნებ') და რ/ჟ (друг/другъ 'ვეგვობობ'). გამოსავალია აქ კ და რ, რომელთაგან თითოეულს მოსდევდა ისტორიულად წათი ჯერ დამარბილებელი და შემდეგ ყ — ჯ-დ მცვლელი ბგერა (კ-ს მოსდევდა j თანხმოვანი, ხოლო რ-ს ხ მოვანი), მაგრამ ეს დამარბილებელ-შემცვლელი ბგერები დაიკარგნენ. ამგვარად, მიზეზი დაიკარგა—დარჩა შედეგი, გარკვეულ მნიშვნელობასთან (აქ გრამატიკულთან) დაკავშირებული.

ისტორიულ-სპონტანური ხმოვანთმონაცვლეობა გვაქვს, მაგ., ქართულში გრმხს/გრმხა-ში, ჰყლმტს/ჰყლმტა-ში (ე/ი), თხბრა/თხრის ან თბლა/თლის-ში (ა/ნული); რუსულში: соберѣ 'შეგკრებ'/собираю 'ვკრებ' (ც/ი), дерѣсь 'ეჩხუბობ'/дрѣсья 'ჩხუბობ' (ე/ნული); გერმანულში: uelmen 'აღწერა'/nahm 'ვიღებდი' (ე/ა), schwiuden 'გაქრობა'/schwand 'ქრებოდა' (ი/ა).

მოყვანილი ნიმუშებიდან ჩანს, რომ ისტორიულ ბგერათმონაცვლეობას — კომბინატორულ-შეპირობებულს თუ სპონტანურს — შესაძლებელია უკავშირდებოდეს გრამატიკული ან სემანტიკური განმასხვავებლობის ფუნქცია.

მაგ., გრამატიკულია ე/ი მონაცვლეობა ქართულის ზოგიერთ ზნა-ში, რადგანაც იგი დაკავშირებულია აწმყოსა და ნამყო წყვეტილის განსხვავებასთან; აგრეთვე რუსულის ზოგიერთ ზმნაში აწმყოსა და ინფინიტივის განსხვავებულობა დაკავშირებულია ე/ნულ მონაცვლეობასთან; აგრეთვე კ/ყ მონაცვლეობა стык/стыць-ში მიუთითებს (მახვილთან ერთად; შეადარე сѣкъ 'კაკუნს'/стыць 'ვაკაკუნებ') არსებითი სახელისა და ზმნის განსხვავებაზე.

ასეთ შემთხვევაში ამბობენ, ბგერათმონაცვლეობა გ რ ა მ ა ტ ი ზ ე ზ უ ლ ი ა რ.

თუ მონაცვლეობა უკავშირდება სიტყვათა ან გრამატიკულს, არამედ სემანტიკურ (ნიეთობრივ) განსხვავებას, ამბობენ, ბგერათმონაცვლეობა ს ე მ ა ნ ტ ი ზ ე ბ უ ლ ი ა. სემანტიზებულია, მაგ., ლ/ნ მონაცვლეობა ხული/სუნი-ში, ბ/ფ — კრებ-/კრეფ-ში, ბ/ბ — ლბობა/ლპობა-ში ჟ/შ — ჟრიალი/შრიალი-ში; ა/ა გერმანულში: Sprache 'ენა'/Spruch 'ნათქვამი' და მრავალი სხვა. თითოეულ ამ წყვილთაგანში შედის ერთმანეთის ფონეტიკურად მონაცვლე სიტყვა, რომლებიც განსხვავებულია ერთმანე-

თისაგან სემანტიკურად; წარმოშობით კი თითოეული წყვილი ერთ-ნაირია.

ისტორიულად განპირობებულს (კრებ-/კრემ- ტიპისა) ან ისტორიულად სპონტანურ (შრიალი/შრიალი ტიპისა) მონაცვლეობას, რომელთანაც შესაძლებელია დაკავშირებული იყოს გრამატიკული ან ხემანტიკური დიფერენციაციის ფუნქცია, ჰქვია ისტორიული ანუ ფონოლოგიური ბგერათმონაცვლეობა.

საგანგებოდაა აღსანიშნავი, რომ ისტორიულ-სპონტანურ ხმოვანთ-მონაცვლეობას, როგორცაა, მაგ., ე/ი (გრემხს/გრინხა); რუს. е/ну́ли (берѣ/брать) ან снор/сони́рать (о/и), გერმ. nelimen/nahm (e/a) ან Sprache/Spruch (a/u) და სხვა, დაერქვა სპეციალური სახელი „აბლაუტი“ (გერმ. Ablaut)<sup>1</sup>.

### ბ ბ ე რ ა ტ რ ე ლ უ ქ ც ი ა

ბგერათცვლილებების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს ბგერათრედუქცია (ფრანგ. réduction 'შემცირება, დაკლება'), რაც მდგომარეობს ამა თუ იმ ბგერის მიერ თავისი წარმოების სისრულის დაკარგვაში: გარკვეულ პირობებში ბგერას წარმოთქმაში შეიძლება დააკლდეს მკაფიოობა, რის გამოც მას შეიძლება დაეკარგოს ზოგიერთი დამახასიათებელი თვისება.

შეიძლება რედუცირდებოდეს როგორც ხმოვანი, ისე თანხმოვანი.

#### ა. თანხმოვანთა რედუქცია

რედუქცია მოსდის ყოველგვარ თანხმოვანს — როგორც ხშულს, ისე ნაპრალოვანს და სონორულ თანხმოვნებს.

მაგ., შესაძლებელია რედუქცია მოსდიოდეს ანუ რედუცირდებოდეს ნაპრალოვანი ხ; ეს მოხდება ამონადენი ჰაერნაკადის შემცირება-შესუსტებით ან ნაპრალის გაფართოებით: ორივე შემთხვევაში მიიღება ჰ-ს მაგვარი ნაპრალოვანი. რედუქციის შედეგად შესაძლოა ბგერა სრულიად დაიკარგოს, ე. ი. აღარ წარმოითქმოდეს. ამგვარადვე რედუცირდება ზ-ც.

კერძოდ, ს-ს დაკარგვა გარკვეულ პირობებში ქართული ენის დიალექტებში რედუქციის შედეგია: ამისთანა > ამიჰთანა > ამითანა; მიზღვეს (ზ < ხ მელერი დ-ს წინ) > მიძღვეს > მიღვეს. ზ-ს პირველი საფეხურის რედუქცია აქ აღნიშნულია ჟ-ს სახით: მართლაც, ნაპრალის გადიდებას შეუძლია მოგვეცეს ნახევარხმოვანი (ჟ).

<sup>1</sup> ზოგი ენათმეცნიერი იყენებს ამ ტერმინს საერთოდ ბგერათმონაცვლეობის ანუ ალტერნაციის აღსანიშნავად. ამ წიგნში ჩვენ მას ვხმარობთ მხოლოდ მხოვანთმონაცვლეობის მნიშვნელობით.

რედუქციის შედეგად ზ-ს დაკარგვა გვაქვს, მაგ., დიალექტობრივ  
ზრდება < იზრდება-ში.

შესაძლებელია ყველა სხვა თანხმონის რედუქცირებაც; ასეთია,  
მაგ., მელერი თანხმონის დასუსტება, გაყრუება და დაკარგვა: კარ-  
გალ > კარგათ > კარგა.

შესაძლებელია მელერი თანხმოვანი დაიკარგოს გაუყრუებლადაც;  
მელერი თანხმოვნის რედუქცირება არ გულისხმობს ყოველთვის მის  
გაყრუებას. ამის საბუთად გამოდგება, მაგ., ლ-ს რედუქცირება და და-  
კარგვა გაუყრუებლად (სახლზე, კლდე, იხ. ქვემოთ).

რედუქციას წარმოადგენს დეზაფრიკატიზაცია ანუ აფრიკატის  
მარტივ თანხმოვნად ქცევა. აფრიკატს შეუძლია რედუქცირება ორი  
გზით: შეიძლება მან დაკარგოს თავისი სპირანტული ელემენტი (მაგ.,  
წ > ტ: სწავლა > დიალექტ. ხტავლა) ან დაკარგოს თავისი ოკლუზიური  
(ხშულობის) ელემენტი და იქცეს სპირანტად (მაგ., ძღარბი > ზღარბი;  
ოძღაერთი > ოქღაერთი > ოზღაერთი, რაც იმას ნიშნავს, რომ ღ-ს წინ  
ც-საგან მიღებულმა ძ-მ დაკარგა თავისი ოკლუზიური ელემენტი და  
შეინარჩუნა მხოლოდ თავისი შედგენილობის სპირანტული ელემენტი)<sup>1</sup>.

რედუქცირდებიან სონორული თანხმოვნები—სონორობის შესუსტე-  
ბის გზით; ზოგჯერ ისინი რედუქციის გამო იკარგვიან. სონორულთა  
რედუქციის ნიმუშად ქართულში გამოდგება ლ-ს დაკარგვა თანხმოვანთა  
შუა: ხახლი, მაგრამ ხახლხ, ხახლზე (წარმოითქმის ხახხ, ხახზე). აქ  
რომ მხოლოდ დაყრუების გზით არ ხდება ლ-ს დაკარგვა წარმოთქმაში,  
ჩანს იქიდან, რომ ზ-ს წინ ლ არ შეიძლებოდა გაყრუებულიყო. რედუ-  
ქცირებულია აგრეთვე ლ კლდე-ში—წარმოითქმის კდე და (იმერეთში)  
ქტე.

ამგვარადვე შესაძლებელია ყველა სხვა სონორული თანხმოვნის  
რედუქცირება (ნუკრი, მაგრამ ნუკრხ, ნუკრზე — რ რედუქცირებულია;  
ნაღმი, მაგრამ ნაღმხ, ნაღმზე; იფნი, მაგრამ იფნში, იფნზე).

## ბ. ხმოვანთა რედუქცია

თანხმოვანთა რედუქციაზე მეტად იქცევა ყურადღებას ხმოვან-  
თა რედუქცია.

რედუქციის შედეგად შესაძლებელია ხდებოდეს ხმოვნის, ისე რო-  
გორც თანხმოვნის, არტიკულაციური დასუსტება და დაკარგვაც; ამ  
გზით ხმოვნის დაკარგვის ნიმუშია, მაგ., ბალი > ბლის (რედუქცირებუ-  
ლია ა).

რედუქციით ხმოვნის მხოლოდ დასუსტების (არა დაკარგვის) ნი-  
მუშია, მაგ., რუსულში უმახვილო ი და ა ხმოვნების ძლიერ გავრცელე-

<sup>1</sup> დიალექტობრივ გვხვდება ოძღაერთი.

ბული რედუქცია \*: ГОЛОСЪ — წარმოიქმება ГЛАВЪ, სადაც რედუქცირებულია ორივე უმახვილო ო ხმოვანი: ამ სიტყვაში ხმოვანთაგან დაქიმულად (იხ. გვ. 68) წარმოიქმნის მხოლოდ მახვილიანი ჯ: უმახვილოთაგან შესტია მახვილიანის პირველი წინა ო (აო-ში) და კიდევ უფრო სუსტია მეორე წინა ო (ოი-ში). დასუსტებული (რედუქცირებული) პირველი წინა ო დელაბიალიზდება (ანუ ჰჰარგავს ლაბიალიზაციას) და უახლოვდება წარმოთქმაში ა-ს, მაგრამ არა მახვილიანს, არამედ უმახვილო ა-ს (იგი არაა ისე ფართო, როგორც მახვილიანი ჯ); მახვილიანის მეორე წინა ო აგრეთვე დელაბიალიზდება და წარმოადგენს უფრო წინა წარმოების, ე. ი. საშუალო აწეულობის, ხმოვანს (ტრანსკრიფციაში პირველი წინა ო იწერება ა-ს სახით, ხოლო მეორე — ა-ს ან ა-ს სახით).

ГЛАВЪ-ში აჰ წარმოადგენს პირველი საფეხურის რედუქციას, ხოლო ГЪ — მეორე საფეხურის რედუქციას. სიტყვაში КЪРАНДЪШ რედუქციის პირველ საფეხურზეა а рა-ში, მეორე საფეხურზეა ъ ка-ში.

რაც შეეხება მახვილიანი მარცვლის მომდევნო ა და ო ხმოვნებს რედუქციის მეორე საფეხურზეა ყველა ა და ო, რომლებიც მოსდევნ მახვილიან მარცვალს; მაგ.: ГРЮД — წარმოთქმაში ГРЪТ (ან ГРѠТ), СИЛА 'ძალა' — С'ДЛА (ან С'ДЛА), ЮНОША 'ქაბუკი' — ЮНЪШЪ, КЪРИЦА 'ქათამი' — К'РИЦЪ და სხვა.

რუსულში ძლიერაა გავრცელებული აგრეთვე ხმოვნის დაკარგვა ხმოვნის რედუქციის შედეგად. ასეთია, მაგ., ე. წ. მერყევხმოვნიან სიტყვებში უმახვილო ხმოვნის ამოვარდნა დღევანდელ რუსულში: აიღ 'შუბლი' — АНЪ, ДЕНЬ 'დღე' — ДНЪ (რედუქცირებულია მახვილის გადასვლის გამო ფუძისეული ხმოვნებიდან დაბოლოებაზე); ასეთივეა, მაგ., ორ-ორ-მარცვლიანი სიტყვები: ПОСЛА 'ელჩი' — ПОСЛА, ОТЪЦ — ОТЦЪ და მრ. სხვა.

გერმანიკულ ენებში, რომელთაც ძველ საფეხურზე (და ზოგს დღესაც) ახასიათებს დინამიკური მახვილი, ისტორიულად ცნობილია ხმოვანთრედუქცია.

### 8. ხმოვანთრედუქცია და ბგერათმონაცვლეობა

ხმოვანთრედუქციის შედეგად ხშირია ბგერათმონაცვლეობა: შეიძლება წარმოიქმნეს მონაცვლეობა ძლიერი ხმოვნისა დასუსტებულთან ან ძლიერი ხმოვნისა ნულთან (დასუსტებული ბგერის დაკარგვის შენთხვევაში).

პირველის ნიმუშია, მაგ., რუსულის ГАРЪ (იწერება ГОРЪ) — ГРЪУ: მონაცვლეობაა ძლიერი (მახვილიანი) ო ხმოვნისა დასუსტებულ (უმახვილო) ა-სთან (იხ. ზემოთ ასეთი ა-ს შესახებ): ო/ა. პირველისავე ნდ

\* ხმოვანთა რედუქცია საერთოდ ძლიერაა გავრცელებული რუსულში.

მუშად შეიძლება მოვიყვანოთ ქართულიდან ო/გ მონაცვლეობა: მაწონი/მაწვნის (ო ქცეულა თანხმოვან გ-დ).

მეორის (ე. ი. მონაცვლეობისა „ძლიერი/ნული“) ნიმუშია ბალი/ბლისა (ა/ნული), მტერი/მტრისა (ე/ნული), ობოლი/ობლისა (ო/ნული) და სხვა

რუსულიდან: сон/сна (მონაცვლეობა ი/ნული), день/дня (ე/ნული) და მისთანები.

## დ. ხმოვანთრედუქცია ქართულში

თანხმოვანთა რედუქცია ქართულში განხილულია ზემოთ. აქ შეეჩერდები უფრო ვრცლად ხმოვანთა რედუქციაზე, რადგანაც ხმოვანთრედუქცია მეტად გავრცელებული და მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართულში.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ხმოვანთრედუქცია ქართულში თითქმის მხოლოდ ხმოვანთდაკარგვითი სახისაა და არა ხმოვანთდასუსტებითი, როგორცაა რუსულში, მაგ.: гълава — голава, вада — вода \*; რუსულში ძლიერაა გავრცელებული როგორც ბგერათა ხმოვანთდაკარგვითი (отъ — отъ), ისე ხმოვანთდასუსტებითი სახის რედუქცია.

მონაცვლეობა ო/გ (მაწონი/მაწვნის, ნიგოზა/ნიგოზის), სადაც გვაქვს არა მონაცვლეობა ძლიერისა და სუსტი ხმოვნებისა რედუქციის შედეგად, არამედ ხმოვნისა და თანხმოვნისა, ვერ ჩაითვლება რუსულისებრი ხმოვანთდასუსტებითი რედუქციის სახედ.

საერთოდ, ხმოვანთრედუქციის უმთავრესი ფაქტორია დინამიკური სიტყვათმახვილი. იმის კვალობაზე, თუ რამდენად ძლიერია დინამიკური სიტყვათმახვილი ამა თუ იმ ენაში, ხმოვანთრედუქციაც შესაძლებელია იქნეს მასში ხმოვანთდასუსტებითი ან ხმოვანთდაკარგვითი: ეს მეორე სახე, ჩვეულებრივ, გამოწვეულია დინამიკური სიტყვათმახვილის მეტი სიძლიერით. კერძოდ, რუსულის ხმოვანთრედუქცია განპირობებულია ძლიერ-დინამიკური სიტყვათმახვილით (იხ. გვ. 137 და შემ.).

უნდა ვიფიქროთ, რომ უძველეს ქართულში იყო რუსულისაზე უფრო ძლიერი დინამიკური სიტყვათმახვილი, რადგანაც სუსტ-დინამიკურ მახვილს, როგორცაა დღეს ქართულში, ალბათ, უკვე ძველი ქართულიდან მოყოლებული, არ შეეძლო მოეზდინა ხმოვანთდაკარგვითი რედუქცია. ის ვითარება მახვილის მხრივ, რაც დღეს აქვს ქართულს, ძველი (ისტორიული, მწერლობით შემონახული) ქართულის ჩათვლით, წარმოადგენს ტრადიციული ნორმის მოქმედებას: როგორც ჩანს, ისტორიული ქართულის სიტყვათმახვილი უკვე სუსტ-დინამიკურია (მუსიკალურობის ელემენტებით) და ფიქსირებულია სიტყვის ბოლოდან მეორე-მესამე მარცვალზე (და არა უძველესი ქართულისებრ ძლიერ-დინამიკური და მოძრავი), ხოლო ხმოვანთრედუქციის ვითარება ტრადიციით გადამაწოთური სისტემის სახით შემონახულია უძველესიდან.

\* თუ ფუძედრეკად ხმებში მოცემულ ხმოვანთმონაცვლეობას, მაგ., ე/ი-ს (წყვილს/წყვილს) არ ჩავთვლით ხმოვანთრედუქციის შედეგად.



ან მოსახრებას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ „ქართულში არ არის დაცული ის კანონზომიერება, რომელსაც ადგილი აქვს სვანურში... და ეს შეინიშნება არა მარტო დღევანდელ ქართულში..., არამედ ძველ ქართულშიც და ისიც ერთსა და იმავე ძველში...“ (გ. თოფურია). სვანურში კი დაცულია, როგორც ჩანს, ქართველურ ენათა უძველესი მოძრავმახვილიანობა.

სვანურში რომ მეტადაა შემონახული ქართველური სიტყვათმახვილის უძველესი ვითარება, ჩანს იქიდანაც, რომ მასში რედუქცირდება ყველა (არაგარძელი) ხმოვანი და არა მხოლოდ ა ე ო, როგორც ხდება ეს ქართულში; სვანურში რედუქციას იწვევს, როგორც პრეფიქსი, ისე სუფიქსი; ქართულში კი, როგორც წესი, მხოლოდ სუფიქსი<sup>1</sup>. ა-სა და უ-ს რედუქციისა და პრეფიქსის მარედუქცირებელი ძალის მაჩვენებელი ის ნიმუშები ძველი ქართულიდან, რომლებიც მოყვანილია არნ. ჩიქობავას და ვ. თოფურიას შრომებში<sup>2</sup>, მიუთითებენ იმაზე, რომ „სვანურსა და ქართულში რედუქციის წესები ძირითადად ერთნაირია“ (გ. თოფურია); მაგრამ ეს არის ერთნაირობა რედუქციის ნორმებისა დღევანდელ სვანურსა, რომელსაც შემოუნახავს უძველესი ვითარება, და უძველეს ქართულს შორის.

ისტორიულად ჩვენთვის ცნობილ ქართულ ენაში მოქმედ ფიქსირებულ სუსტ-დინამიკურ სიტყვათმახვილს აღარ ჰქონდა ხმოვანთდაკარგვითი ის მარედუქცირებელი ძალა, რომელიც უნდა ჰქონოდა უძველესი ქართულის მოძრავ ძლიერ-დინამიკურ სიტყვათმახვილს. მაგრამ, თუ ჩვენ მაინც შეგვიძლია ვილაპარაკოთ ხმოვანთრედუქციაზე ძველსა და ახალ ქართულში, ეს იმითომ, რომ ქართულში შემონახულია მოძრავი ძლიერ-დინამიკური სიტყვათმახვილის ხმოვანთრედუქციული მოქმედების შედეგი, მართალია, შეზღუდული სახით: ესაა ხმოვანთრედუქცია მეტწილად ბგერათკომპლექსში „თანხმ. + ხმოვ. (ა, ე ან ო) + სონორული თანხმ.“, რომელშიც ხმოვნის რედუქცირება დაკავშირებულია არა სიტყვათმახვილის გავლენას, არამედ კომპლექსის ზომდევნო ხმოვანს.

მაგ.: მხარ-ი — მხ-რ-ის, კედმლ-ი — კედ-ლ-ის, გუთან-ი — გუთ-ნ-ად, ატამ-ი — ატ-მ-ობა: მაწონ-ი — მაწ-ვ-ნ-ები, ყურძმნ-ი — ყურძ-ნ-ის, მტერ-ი — მტ-რ-ული და ა. შ.

საყურადღებოა, რომ ხსენებულ ბგერათკომპლექსში სონორულის ნაცვლად შეიძლება იყოს ვ: ალბათ, იმითომ, რომ იგი ძლიერ უახლოვდება აკუსტიკურად სონორულს; მაგ., ერისთავ-ი — ერისთ-ვ-ის, ერისთ-ვ-ობა. მეტადრე ხშირია კომპლექსში ვ ზმნურ ფუძეებში: ვხატავ — ხატ-ვ-ა, ვბედავ — ბედ-ვ-ა. ვკარგავ — კარგ-ვ-ა და სხვა.

ხსენებულ კომპლექსებში ხმოვანთრედუქციის გადმონაშთის შემონახულობა აიხსნება ამ კომპლექსების გრამატიკული გააზრიანებით. ჯერ ერთი — ბგერათ-კომპლექსები -არი, -ალი, -ელი, -ამი, -ანი და მისთანები

<sup>1</sup> პრეფიქსის გავლენით გამოწვეული რედუქციის ნიმუშია, მაგ.: ჩანს — უ-ჩან-ს. (ა. ჩიქობავა), დააკმლ — მა-კლ-ს (ვ. თოფურია).

<sup>2</sup> არნ. ჩიქობავა: 1) მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში. საქ. მეცნ.-აკად. მოამბე, ტ. III, 1942; 2) სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1942. ვარლამ თოფურია, რედუქციისათვის ქართველურ ენებში. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, 1946.

გააზრინებულია, როგორც სიტყვათმაწარმოებელი სუფიქსი. მეორეა და მთავარი ის, რომ ასეთი ხმოვანთრედუქციული ბგერათმონაცვლეობა (იხ. გვ. 210) დაკავშირებულია სიტყვათმცვლელსა (კედელი—კედლის, ვხატვა—ხატვა) და სიტყვათმაწარმოებელ (მხარ-ი — მხრიანი, ატამი — ატამობა) მონაცვლეობებთან; ე. ი. ფონეტიკური პროცესი აქ მორფოლოგიზებულია და სემანტიზებული, ისე როგორც სემანტიზებულია კომპლექსები -არი, -ალი და სხვები.

ამაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ „მარედუცირებელი“ ხმოვნით შეიძლება იწყებოდეს მხოლოდ მაწარმოებელი ელემენტი; ე. ი. „მარედუცირებელი“ ძალა აქვს მხოლოდ მაწარმოებელ ელემენტს, აფიქსს (აქ სუფიქსს).

მაშასადამე, ქართულში მოქმედი რედუქცია გამძლეა იმიტომ, რომ ის მორფოლოგიზებულია და სემანტიზებული თითქმის მთლიანად; ამდენად იგი აღარაა ფაქტობრივ ფონეტიკური მოვლენა.

რაც შეეხება ხმოვანთრედუქციის ისეთ შემთხვევებს, სადაც კომპლექსში არ მონაწილეობს არც სონორული თანხმოვანი და არც ვ (მაგ., ნაბადი — ნაბდის, ხომეხი — ხომხის), არაა შეუძლებელი, რომ ისინიც გააზრინებული ყოფილიყვნენ. ყოველ შემთხვევაში, ისინი წარმოადგენენ გადმონაშტს იმ უძველესი ხანიდან, როდესაც მოძრავი ძლიერ-დინამიკური სიტყვათმახვილის მოქმედებით რედუცირდებოდა ყოველი ხმოვანი ყოველგვარ კომპლექსში; მაგ., ბიჯი — ბჯენა, ტყუბი — შეიტყბენს და სხვა.

[ხმოვანთრედუქცია განხილულია მოკლედ აკ. შანიძის „ქართული გრამატიკის საფუძვლებში“ (1942), ხოლო ვრცლად არნ. ჩიქობავას და ვ. თოფურიას ზემოდასახელებულ შრომებში].

## თ ა ნ ხ მ ო ზ ა ნ თ ბ ა დ ა წ ე ვ ა

თანხმოვანთგადაწევა არის ამა თუ იმ ენის ხშულ თანხმოვანთა სისტემებრივი, კანონზომიერი ფონეტიკური ცვლილება რაგვარობის მიხედვით<sup>1</sup>.

თანხმოვანთგადაწევის კანონზომიერება პირველად შემჩნეულ იქნა გერმანიკულ (გუთურსა, ინგლისურსა, დოიჩლანდურსა და სხვ.) ენებში, ხოლო შემდეგ სხვებშიც, კერძოდ სომხურსა და ოსურში.

გერმანიკულ ენებში განასხვავებენ პირველსა და მეორე თანხმოვანთგადაწევას: პირველი უფრო ძველია და მოქმედებდა ყველა გერმანიკულ

<sup>1</sup> ამ ფონეტიკურ მოვლენას უმართებულად შერჩა გერმანულად სახელწოდება Lautverschiebung; უზღობესია მას ვეძახდეთ თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ თ გ ა დ ა წ ე ვ ა ს (და უფრო ზუსტად ხშულთა გადაწევა) და არა ბ გ ე რ ა თ გადაწევა, რაც თარგმანია გერმ. Lautverschiebung-ისა. სპეციალურ ფონეტიკურ შრომებში თანდათან ვრცელდება მართებული ტერმინი передъизменение (ან переносъ) согласных, ფრანგ. mutation consonantique და ინგლ. consonantshift.

ენაში, მეორე — უფრო გვიანდელია და შეეხო მხოლოდ ე. წ. ზემოგერმანულს (დოიჩლანდურს). აქ სანიმუშოდ განვიხილავ მხოლოდ პირველს, საერთო გერმანიკულ თანხმოვანთადაწევას, და, რამდენადაც საერთო გერმანიკულის ფონეტიკური სახე ყველაზე უკეთ შემონახულია გუთურში, გერმანიკულ ენათა შორის ყველაზე უძველესში, ნიმუშებს სხვა ენებთან შედარებისას მეტწილად მოვიყვან გუთურიდან.

გუთურისა (პირობით იგულისხმება საერთო გერმანიკული) და სხვა ინდოევროპულ ენათა საერთო წარმოშობის ზოგიერთი სიტყვების შედარებისას გამოირკვა, რომ:

1. ინდოევროპულ ენათა ძველი  $b-d-g$  იქცნენ გუთურში  $p-t-k$ -დ შესაბამისად;

2. ინდოევროპულ ენათა ძველი  $h-h-dh-gh$  (ე. ი. ფშვინვიერი  $h-d-g$ ) იქცნენ გუთურში  $\beta-\delta-\gamma$  (ე. ი. სპირანტ  $b-d-g$ -დ, რომლებიც გუთურში იწერება  $b-d-g$ -ს სახით) შესაბამისად;

3. ინდოევროპულ ენათა  $p-t-k$  იქცნენ გუთურში  $f-\theta-h(-\chi)$ -დ, ე. ი. შესაბამის სპირანტებად.

4. ინდოევროპულ ენათა  $ph-th-kh$  (ფშვინვიერი  $p-t-k$ ) იქცნენ გუთურში აგრეთვე  $f-\theta-h(-\chi)$ -დ.

ეს ორი უკანასკნელი (3 და 4) ცვლილება ხდებოდა მხოლოდ მაშინ, როცა ამ თანხმოვნებს წინ არ უძლოდა  $s, f$  ან  $h$ .

ნიმუშები: 1. რუს.  $сладихъ$  'სუსტი' — გუთ.  $slēpan$  'დაძინება'; რუს.  $сидѣхъ$  'ჯდომა', ლათ.  $sedere$  — გუთ.  $sitan$  'ჯდომა'; ბერძნ.  $\acute{\alpha}\gamma\epsilon\rho\acute{\alpha}$ , ლათ.  $ager$  'სახნავ-სათესი, მინდორი' — გუთ.  $\acute{a}krs$ .

2. ძველი ინდური  $bhrāt̥ar$  'ძმა' — გუთ.  $brōthar$ ; ძველი ინდური  $mādhyas$  'შუა, შუათანა' — გუთ.  $midijs$ ; ძველი ინდური  $vāhati$  ( $h < gh$ ) 'მიდის ზეითად' — გუთ.  $ga-wigan$  'მოძრაობა'; ძვ. ინდ. ზმნის ძირი  $stigh-$  'ასვლა, აწევა' — გუთ.  $steigan$ .

3. ლათ.  $pecus$  'საქონელი' — გუთ.  $faihu$ , რუს.  $тpн$  — გუთ.  $θreis$  'სამი'; ბერძნ.  $\tau\acute{\alpha}\iota\eta$  'ათი' — გუთ.  $taihu$ .

4. ძვ. ინდური ზმნის ძირი  $sp̥hal-$  'შეჯახება' — ძველი ზემო გერმ.  $fallan$  'ვარდნა'; ბერძნ.  $\beta\alpha\lambda\lambda\acute{\iota}\varsigma$  'უვნებელი' ( $\theta = th$ ) — გუთ.  $skafjan$  'დაზარალება'; ძვ. ინდ.  $\acute{s}ākhā$  'ტოტი' — გუთ.  $hōha$  'გუთანა'.

ამგვარად, თანხმოვანთა გადაწევა გამოიხატა მათი რაგვარობის ცვლილებაში, წარმოების ადგილი კი იგივე დარჩა: პირველი წესით ( $b-d-g > p-t-k$ ) მოხდა თანხმოვანთა გაყრუება; მეორეთი ( $h-h-dh-gh > b-d-g$ ) დეზასპირაცია (გაუფშვინვიერება) და გასპირანტება; მესამითა ( $p-t-k > f-\theta-h$ ) და მეოთხით ( $ph-th-kh > f-\theta-h$ ) გასპირანტება და დეზასპირაცია (იხ. ქვემოთ).

მესამისა და მეოთხის ცვლილების შესახებ უნდა დაეუმატოთ შემდეგი: ასეთი გადაწევის შედეგად მიღებულ f—ჟ—h-სა და აგრეთვე ძველ s-ს სიტყვის შიგნით მელერ ბგერათა შუა მიდრეკილება აქვთ გაძღვდრდნენ (ანალოგიური მიდრეკილება აქვს ზოგ სხვა ენასაც); მაგ., ძვ. ინდ. pitár, pater 'მამა'— გუთ. fadár (ნ წარმოდგენს მელერ სპირანტს, მიღებულს ჟ-საგან ამ მიდრეკილების თანახმად; ხოლო თვით ჟ უნდა მიგველო t-საგან მესამე წესის თანახმად).

წარმოდგენილმა შესატყვისობებმა არ იცის აუხსნელი გამოჩენისი. ეს იმას ნიშნავს, რომ, თუ შესატყვისობა ირღვევა, ასეთი დარღვევის მიზეზიც არსებობს, მაგ., ერთხანს აუხსნელად ითვლებოდა წარმოდგენილი შესატყვისობებიდან ასე-

თი ნიმუში: ძვ. ინდური bhṛ́ṣṭar — გუთ. br̥ṣar. მართალია, t-საგან გუთურში უნდა მიგველო ჟ, მაგრამ, მელერთა შუა ყრუ სპირანტის გაძღვდრებისადმი მიდრეკილების ძალით, ეს ჟ უნდა გაძღვდრებულიყო ისე, როგორც გვაქვს fadár-ში. აღმოჩნდა, რომ ჟ-ს გამძღვდრებას ხელი შეუშალა მის წინ მდგომი ხმოვნის მახვილმა. მართლაც, ეს ორი სიტყვა (fadár და br̥ṣar) განსხვავებულია ერთმანეთისაგან მახვილის ადგილით, რასაც

ამტკიცებს ძვ. ინდ. pitár და bhṛ́ṣṭar: პირველში მახვილიანი ხმოვანი მოსდევს t-ს, მეორეში — წინ უძღვის მას.

იმის შესახებ, თუ რით უნდა აიხსნას თანხმოვანთგადაწევა, კერძოდ, გერმანულში, გამოთქმულია სხვადასხვა აზრი. ყველაზე მართებულია ის ახსნა, რომელიც ემყარება ხშულთა თავისებურ წარმოთქმას გერმანულ (დოიჩლანდურ) ენაში.

ცნობილია, რომ გერმანულში 1) მელერი ხშულები არ არიან სრული მელერობისანი (იხ. გვ. 58 და შემდ.) და 2) ყრუ ხშულები ფშინვიერებია (იხ. გვ. 79 და შემდ.). თუ გავიზიარებთ მოსაზრებას, რომ გერმანულის ეს პირველი თავისებურება დღემდე კონსერვატულად დაცული უძველესი მოვლენაა წასში, ადვილად აიხსნება პირველი წესი (მელერ ხშულთა დაყრუება). მეორე წესის (ფშინვიერ მელერ ხშულთა გასპირანტების) ახსნაც არ წარმოდგენს დიდ სიძნელეს: ხშულთა საკმაოდ ძლიერი ფშინვიერი დამართვა (იხ. გვ. 106) ხელს უშლის ხშულის მტკიცე ხშვას, რის გამოც მას ადვილად შეუძლია გასპირანტდეს და, ბუნებრივია, დაიკარგოს ასპირაცია. ამგვარადვე აიხსნება მესამე და მეოთხე წესებიც (ყრუ ხშულთა და ფშინვიერ ყრუ ხშულთა გასპირანტება); განსხვავება მესამესა და მეოთხეს შორის მხოლოდ იმაშია, რომ ძველი p—t—k იქცნენ საერთო გერმანიკულ ენათა ნიადაგზე ჯერ pl—tl—kl-დ, რითაც ისინი დაემთხვენ ძველ pl—tl—kl-ს, ხოლო შემდეგ ორივენი იქცნენ f—ჟ—h-დ (იხ. ზემოთ).

გასპირანტებისათვის რომ ფშინვიერობას (ანუ ფშინვიერდამართვიანობას) აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, ამას მოწმობს ზემოთ ჩვენს მიერ აღნიშნული დაბრკოლება მესამე და მეოთხე წესის მოქმედებისათვის. მართლაც, ლათ. spuo-ს 'ფურთხება' შესატყვისად გუთურში უნდა გვექონოდა არა speiwan, არამედ sfeiwan 'ფურთხება'; აგრეთვე

ლათ. octo-ს 'რვა' შესატყვისად უნდა გვექონოდა არა გუთ. ahtau, არამედ ahtau, და ლათ. neptis-ის 'შვილიშვილი ქალი' შესატყვისად უნდა გვექონოდა არა nift (ძვ. ზ. გერმ.), არამედ nifზ. მაგრამ სპირანტები ზ (spyo-ში), h (ahtau-ში, სადაც h მიღებულია k-საგან მესამე წესით) და f (nift-ში, სადაც f მიღებულია p-საგან მესამე წესით), წარმოითქმინა რა ფშინვიერად, არ აძლევენ საშუალებას მომდევნო ხშულებს (p—t—t-ს). იყვნენ ფშინვიერნი (ფშინვიერდამართვიანები), რის გამოც მათი გასპირანტება გამორიცხულია.

### ფონეტიკური მოვლენები და ფონეტიკური ცვლილებები

საჭიროა ვახსენებდეთ ამ ორ ცნებას—ფონეტიკური მოვლენები და ფონეტიკური ცვლილებები.

ფონეტიკური ანუ ბგერითი მოვლენებია, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, ყოველგვარი წარმოთქმა. მაგრამ შეცნიერულად ამ ცნებაში უნდა ვგულისხმობდეთ შემდეგ შინაარს: ფონეტიკური ანუ ბგერითი მოვლენებია სიტყვის ან შესიტყვების, როგორც წარმოთქმისა და მნიშვნელობის მთლიანობითი ერთეულების, ყოველგვარი ცვლილებები; ხოლო ფონეტიკური ანუ ბგერითი ცვლილებები არის სიტყვის ან შესიტყვების შემადგენელ ბგერათა არტიკულაციური და კოარტიკულაციური ბგერათშეერთების ნიადაგზე წარმოქმნილი სისტემებრივი კანონზომიერი ბგერათცვლილებები, რომლებიც შესაძლებელია განპირობებული იყვნენ აგრეთვე სიტყვაში ან შესიტყვებაში მოქმედი სხვა ფაქტორით—ბგერას ადგილმდებარეობით ან მახვილით.

მაშასადამე, ფონეტიკური ცვლილება წარმოადგენს ამა თუ იმ ენის ბგერითს ევოლუციას გარკვეული მიმართულებით. ზოგი ფონეტიკური მოვლენა კი შეიძლება არ წარმოადგენდეს ევოლუციას.

ამდენად ცნება ფონეტიკური მოვლენები უფრო ფართო ცნებაა და შეიცავს თავისში ფონეტიკურ ცვლილებებს, როგორც ერთ-ერთ თავის სახეს. ყოველი ფონეტიკური ცვლილება ფონეტიკური მოვლენაა, მაგრამ ფონეტიკური მოვლენა არაა მხოლოდ ფონეტიკური ცვლილება.

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ფონეტიკური მოვლენისა და ფონეტიკური ცვლილების შესახებ, უნდა ვიცოდეთ, თუ რა იგულისხმება ცვლილების ამოსავალ წერტილად (ფონეტიკური მოვლენაც ხომ ცვლილებას წარმოადგენს!).

ამოსავლად შეგვიძლია მივიღოთ რაგინდ ფორმა სიტყვისა ან შესიტყვების და მათი შემადგენელი ბგერების რაგინდ სახე (მაგ.: კაცი, კაცის, კაცები, კაცებს, კაცუნა; თალა, თლის, წყვეტა, წყვიტა, წყვეტილი; ბალი, ბახთან და ა. შ.); მაგრამ უმჯობესია ანალიზისათვის ამო-

მავლად მივიღოთ სიტყვის ძირი ან ფუძე, შესიტყვების თხრობითი ფორმა და ბგერის ყველაზე დამოუკიდებელი, და, შესაძლებლობისამებრ, მისი უძველესი სახე (მაგ.: კაც-, კაცებ-; თალ-, თლ-, წყვეტ-, წყვიტ-, ბალ-; მელერი-თანხმოვნის ყველაზე დამოუკიდებელი სახე გვაქვს ხმოვნის ან მელერი-თანხმოვნის წინ, ხოლო უძველესი მისი სახე შესაძლებელია დადასტურდეს მეტ-ნაკლებად ძველმწერლობიანი ენისათვის; მაგ., ხარო-ში ხ-ს ამოსავალია ჯ ჯარი-ში).

ამგვარადვე შესაძლებელია გავანალიზოთ შესიტყვების სხვადასხვა გრამატიკული და ინტონაციური სახე თხრობითი ფორმიდან ამოსვლით.

მოცემული სიტყვის (ფუძის) ყოველგვარი ცვლილება ფონეტიკური მოვლენაა, რადგანაც სიტყვას, როგორც ბგერათა შენაერთს, ემატება (კაც- — კაც-ის, კაც-უნა), ან აკლდება (თალ- — თლ-ის) და ან ეცვლება (კაცებ- — კაცეფს, ბალ- — ბახ-თან) ბგერა ან ბგერები; ზოგ ამ ფონეტიკურ მოვლენათაგანს უკავშირდება გრამატიკული ან სემანტიკური მნიშვნელობა.

მაგრამ მათ შორის ფონეტიკურ ცვლილებას წარმოადგენს მხოლოდ რამდენიმე, სახელდობრ: ბ > ფ, მონაცვლეობა თალა/თლის, წყვეტა/წყვიტა, ლ > ხ, ჯ > ხ.

ზემოთ, ამ თავის 1—6 პარაგრაფებში, განხილულია უმთავრესად ფონეტიკური ცვლილებები, რომელნიც განსაზღვრავენ ენის ბგერითს ევოლუციას და რომელთაც ამიტომ ჰქვია მსხვილი ფონეტიკური ცვლილებები. გზადაგზა ვეხებოდით აგრეთვე ზოგიერთ სხვა ფონეტიკურ მოვლენებსაც.

აქ განვიხილავთ დანარჩენ ფონეტიკურ მოვლენებს, რომელთაგან ზოგი წარმოადგენს აგრეთვე ფონეტიკურ ცვლილებას, მაგრამ მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანს ენის ბგერითი ევოლუციისათვის. ზოგიერთი აქ განსახილველი ფონეტიკური მოვლენა დაკავშირებულია ზემოთ განხილულთან; არაა მხოლოდ მოცემული იქვე მათი სპეციალური სახელწოდება, რომლითაც ისინი ცნობილნი არიან ჩვენს მეცნიერებაში.

## ა. სიტყვის თავიდაური და ბოლოკიდაური

მიუხედავად იმისა, რომ ჩვეულებრივს რწყემულ წარმოთქმაში შესიტყვათა შორის ხშირად წაშლილია ფონეტიკური საზღვარი (იხ. გვ. 141), მაინც შეგვიძლია ვილაპარაკოთ ცალკეული სიტყვის ფონეტიკურ არსებობაზე. ეს იმიტომ, რომ საკმაოდ ხშირად სიტყვას აქვს ფონეტიკურად თავისებური დასაწყისი ანუ თავკიდაური (ანლაუტი) და ფონეტიკურად თავისებური ბოლო ანუ ბოლოკიდაური (აუსლაუტი).

მაშასადამე, ცალკეული სიტყვა არსებობს არა მხოლოდ როგორც სემანტიკური და გრამატიკული ერთეული, არამედ აგრეთვე როგორც ფონეტიკური ერთეული.

ეს აიხსნება უმთავრესად იმით, რომ სიტყვა არის სემანტიკურისა და გრამატიკული ფუნქციების მატარებელი და გრამატიკულად ცვლადი (ფორმიანობის შემთხვევაში) ერთეული; აგრეთვე იმით, რომ ძლიერ ხშირად მეტყველების აქტი შეიძლება შედგებოდეს ცალკეული სიტყვისაგან (ბრძანება, წყრომა, თხოვნა, თითოსიტყვიანი კითხვა-პასუხი და მისთანები), ან სიტყვის საზღვრები ემთხვეოდეს ტაქტის საზღვრებს.

სიტყვისა და ტაქტის ფონეტიკური ურთიერთობის შესახებ შევნიშნავთ შემდეგს: ცოცხალ წარმოთქმაში სიტყვის თავკიდური ბგერა შეიძლება გამოირჩეოდეს პაუზის მიმყოფ, ხოლო ბოლოკიდური — პაუზის წინ. მაგ., შესიტყვებაში ( || მეც მისი || შვილი || ალალ გულს || გავშლი || (რ. მარჯიანი) \* ფონეტიკურად გამოირჩევა თავკიდურიც (პაუზის მიმყოფ) და ბოლოკიდურიც (პაუზის წინ) მხოლოდ ორ სიტყვაში (შვილი, გავშლი); პირველი ტაქტის ორი სიტყვა წარმოითქმის როგორც ერთი სიტყვა (ვთქვათ, როგორ შერმისი), რომელშიც ფონეტიკური თავკიდურია მ (პაუზის მიმყოფ), ხოლო ბოლოკიდური — ი (პაუზის წინ); მესამე ტაქტის ორი სიტყვა წარმოითქმის როგორც ერთი სიტყვა (ვთქვათ, ალაგმულს), რომელშიც ფონეტიკური თავკიდურია ა (პაუზის მიმყოფ), ხოლო ბოლოკიდური — ხ (პაუზის წინ).

ამ შესიტყვებაში სიტყვის ორივე საზღვარი დაემთხვა ტაქტისას მხოლოდ ორ სიტყვაში.

არც ერთი სიტყვის ორივე საზღვარი არ ემთხვევა ტაქტისას, მაგ., შემდეგ შესიტყვებაში: || მივალ და || მივე || ჩქარები || .

ფონეტიკური თავკიდურია ის ბგერა, რომელსაც აქვს თავისი ხაკუთარი, დამოუკიდებელი შემართვა: ასეთია ყოველი ბგერა პაუზის მიმყოფ.

ფონეტიკური ბოლოკიდურია ის ბგერა, რომელსაც აქვს თავისი ხაკუთარი, დამოუკიდებელი დამართვა: ასეთია ყოველი ბგერა პაუზის წინ.

ფონეტიკურად სიტყვის შიგნითა ბგერა არის ის ბგერა, რომელსაც არა აქვს ხაკუთარი, დამოუკიდებელი არც შემართვა და არც დამართვა: ასეთია ტაქტში ყველა ბგერა გარდა-თავკიდურისა და ბოლოკიდურისა (შემართვა-დამართვის შესახებ იხ. გვ. 94 და შემდ.).

ზემომოყვანილი შესიტყვებებიდან მხოლოდ ორჯერაა დამთხვევა სემანტიკურ-გრამატიკულისა და ფონეტიკური ერთეულის (შვილი, გავშლი): სიტყვა დაემთხვა ტაქტს. დანარჩენი ტაქტების სახით გვაქვს ფონეტიკური ერთეულები, რომლებიც არ ემთხვევიან სიტყვას. სხვა შესიტყვებებში ამათ შეუძლიათ წარმოადგინონ სიტყვისა და ტაქტის დამთხვევა, ე. ი. ცალკეული სიტყვები თავიანთი თავკიდურით, ბოლოკიდურით და შიგნითა ბგერებით.

\* || ტაქტის საზღვრის ანუ პაუზის ნიშანია.

წარმოთქმის ცოცხალ პროცესში ასეთ მრავალგზის დამთხვევათა შედეგად, სადაც წამყვანია სიტყვის მნიშვნელობითი (სემანტიკურ-გრამატიკული) მხარე, ყოველ ენაში დამკვიდრებულია ცალკეულ სიტყვათა თავკიდურისა და ბოლოკიდურის ფონეტიკური კანონზომიერება, რომლითაც ისინი, ერთი მხრით, განსხვავებულნი არიან ერთმანეთისაგან, ხოლო, მეორე მხრით, თითოეული მათგანის კანონზომიერება შესაძლოა განსხვავებული იყოს სიტყვის შიგნითა ფონეტიკური კანონზომიერებისაგან.

სიტყვის თავკიდურისა და ბოლოკიდურის ფონეტიკური თავისებურება კარგად ჩანს ზოგიერთ ენაში — როგორც დღევანდელ წარმოთქმაში, ისე ისტორიულად.

ნიმუშები სხვადასხვა ენიდან:

სიტყვის თავკიდურში მეღერი ჩქამიერი არასოდეს არ ყრუვდება ქართულში ხმოვნის წინ (მაგ.: ბარი, ღედა, ბორი, ფარი. ლერი, ჭარი და ა. შ.), მაგრამ ყოველთვის ყრუვდება იგი სიტყვის ბოლოში (მაგ.: ვაგეშ — იწერება ვაგებ, ავათ — ავაღ, ჩარიქ — ჩარიშ და სხვა).

ასეთივე კანონზომიერება ახასიათებს რუსულსა და გერმანულ ენებს: *нач* 'ბანი', მაგრამ *лос* — *лос* 'შუბლი', *гора* 'მთა', მაგრამ *сапог* — *сапог* 'ჩექმა'; გერმ. *bauen* 'შენება', მაგრამ *групп* — იწერება *grub* 'ტლანქი'; *гросс* 'დიდი', მაგრამ *klus* 'ქკვიანი'.

სონორული თანხმოვნები ყრუვდება რუსულში სიტყვის ბოლოში ყრუ თანხმოვანთა მიმყოლ და სიტყვის თავში ყრუ თანხმოვანთა წინ: *министр*, *воплъ* 'გოდება', *песнь* 'სიმღერა'; *путъ* 'ვერცხლისწყალი', *меститъ* 'შურისძიება' და ა. შ. (ყველა ამ შემთხვევაში გახაზული *p*, *л*, *н* და *m* ყრუებია).

ანალოგიური კანონზომიერება მოქმედებს ქართულშიც, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ 1) ქართულს ასეთი კომპლექსები თითქმის მხოლოდ სიტყვის თავში აქვს, ხოლო რუსულს მეტწილად სიტყვის ბოლოში და 2) სიტყვის თავში ყრუ თანხმოვნის წინ სონორულთაგან გაყრუება ეხება მეტწილად რ-სა და ნაწილობრივ ლ-ს: რთველი, რკინა, რქენა, რხევა (ყველა შემთხვევაში რ გაყრუებულია); ლხენა, ლხობა (ლ გაყრუებულია); მაგრამ ლპობა, ლტოლვა-ში ლ ინარჩუნებს მეღერობას, ისე როგორც მ და ნ მეტწილად ინარჩუნებენ მეღერობას ყრუ თანხმოვანთა წინ სიტყვის თავში: მკვრივი, მქონე, მთაგარი; ნთხევა, ნქრევა (ყველა ამ შემთხვევაში მ და ნ ჩვეულებრივ წარმოითქმის მეღერად).

გერმანულში სიტყვის თავკიდურის ყოველი ხმოვანი ძლიერშემართვიანია ან ფშვინვიერშემართვიანი (ამ უკანასკნელ შემთხვევაში ხმოვნის წინ იწერება ყოველთვის *h*—*ჰ*): 'anders 'სხვაგვარად', 'erste 'პირველი', 'irren 'შეცდომა'; haben 'ქონა', herzlich 'გულითადი', hoch 'მაღალი' და სხვა.



ფრანგულსა და რუსულში, პირიქით, თავიკიდურის ყოველი ხმოვანი ელემენტარულიანია (იხ. გვ. 104 და შემდ.).

უძველესი სლავურის თავიკიდური e რუსულმა შეცვალა o-თი; მაგ., რუს. სიტყვები: *о́зеро* 'ტბა', *дсень* 'შემოდგომა', *одн* 'ერთი' განვი-თარდა *езеро*, *есень*, *един*-ისაგან.

ქართულში განსხვავებულია სიტყვის თავიკიდური და ბოლოკიდური თანხმოვანთა თავყრილობის შესაძლებლობის მხრივ: სიტყვის თავში შე-საძლებელია რამდენიმე თანხმოვნის თავმოყრა, ხოლო სიტყვის ბოლოში ამას გაუარბის ქართული. მაგ.: *ბრწყინვა*, *შცძჳნა*, *წართობა* და ბევრი სხვა.

ზანურსა და სვანურში სიტყვის თავში ასატანია მხოლოდ დეცე-სიური კომპლექსები (იხ. გვ. 107 და შემდეგ): ქან. *თხირი* 'თხილი', *ზან-ჩხომი*, *მეგრ.* *ტყევი* 'ტყავი', *ჭჳორო* 'მწყერი'; სვან. *ძღღ* 'ენავილი', *ჭყინტ* 'ბიჭი', *თხერე* 'მგელი' და სხვა. რაც შეეხება სხვა თანხმოვანთა კომპლექ-სებს, მათ ზანური და სვანური სიტყვის თავში ვერ იტანს: მეგ. *კიბირო*—ქართ. *კბილი*, *ზან.* *თომა*—*თმა*; სვან. *ფირთხილდ*—*ფრთხილად*, *ჭურივ*—*ჭვრივი*; სვანურში თავშეყრილ თანხმრვანთა შუა ჩაერთვის ნეიტრალური ხმოვანი *ჲ*: *ხგნსგა* 'ნახევარი', *კლდე*—*კლდე*, *ქრელ*—*ქრელი* და<sup>1</sup>ა. შ.

სვანურში „სიტყვის ბოლოში თანხმოვანთა შეყრა ჩვეულებრივი მოვლენაა“ (ს. ჟღენტის): *მგრჳკ* 'ქიანქველა', *უცხვდ* 'უცხოლ', *ბეფჳვ* 'ბაეში' და ა. შ.<sup>1</sup>

სხვა ენებიდან შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი ნიმუშები:

ლათ.: *locus* 'ადგილი' მიღებულია ძველი *stlocus*-ისაგან, *sabulum* 'ბრეში' \**psaflo-*-ისაგან, *natus* < *gnātus* 'დაბადება', *nōbilis* < *gnōbilis* 'გამოჩენილი'.

ძველ ბერძნულში სიტყვის თავში ვერ ძლებს *ძ* კომპლექსი: *γλαχᾶς* 'ტკბილი' მიღებულია \**ბლახაძ*-ისაგან.

სიტყვის ბოლოში ვერ ძლებდა ძველ ბერძნულში ვერც ერთი თანხ-მოვანი, გარდა *რ*—*ვ*—*ს*-სი; მაგ.: *κηρ* 'გული' < \**კერბ*; *γᾶλα* 'რძე' < \**ყაღაჯ* და სხვა.

## ბ. ფაუქალური და რთული ლატინალური თანხმოვნები

საზიარო არტიკულაციის წესით (იხ. გვ. 101) ბგერათშეერთების ერთ საყურადღებო მოვლენას წარმოადგენს ე.წ. „ფაუქალურისა“ და ენის გვერდითი ხშულ-მსკდომი თანხმოვნის წარმოქმნა.

<sup>1</sup> ნიმუშები და ცნობები სვანურის შესახებ ამოღებულია ს. ჟღენტის „სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები“-დან (ხელნაწ. 1946 წ.).

როდესაც წინაენის ხშულებს დ—თ—ტ-ს უშუალოდ მოსდევს ჰომორგანული ნაზალი ნ (მაგ.: ღნობა. ხათნო, პიტნა), ასეთი კომპლექსები (ღნ, თნ, ტნ) შესაძლებელია წარმოითქვას ორგვარად: 1. ენის არტიკულირება ნ-სათვის იწყება წინმდგომი ხშულის ექსპლოზიის შემდეგ, და, მაშასადამე, მათ შორის დადებულია საზღვარი გაურკვეველი ხმოვნის სახით, რაც აბრკოლებს მათს შერწყმას; ამდენად არ წორციელდება ბგერათშეერთების I წესი. ამ კომპლექსების ასეთი წარმოთქმა ჩვეულებრივია ქართულში. 2. ენის არტიკულირება ხშვის სახით, რომელიც საზიარო აქეთ წინმდგომ ხშულსა და მომდევნო ნ-ს, ხდება მხოლოდ ერთხელ; ხოლო განხშვას ადგილი აქვს არა პირში, სადაც ხშვა მოხდა, არამედ ხახის არეში სასის ფარდის სწრაფი ჩამოშვების სახით, რის გამოც ჰაერი მთლიანად მიედინება ცხვირის ღრუში; მაშასადამე, წარმოიქმნება სრულიად ახალი ბგერა, რომლისთვისაც ხშვას ახდენს წინაენა, ხოლო განხშვა ხდება სასის ფარდით; წინაენა რჩება ხშვის მდგომარეობაში. ამგვარად წარმოებულ რთულ თანხმოვანს ვეძახით საერთოდ ფაუკალურს (ლათ. faux „ხახა“, faucalis ‘ხახისმიერი’).

დენტი-ფაუკალური თანხმოვანი დამახასიათებელია, მაგ., რუსულ-სათვის; მაგ., ДНО-ში ‘ფსკერი’ და ПЯТНО-ში ‘ლაქა’ გვაქვს არა ж და н, ან т და х, არამედ თითოეული ფაუკალური თანხმოვანი, რომლებიც იწერება ж-სა და т-ს სახით.

ამგვარად აქ განხორციელებულია ბგერათშეერთების I წესი. რამდენადაც ასეთი ფაუკალური თანხმოვნის წარმოქმნაში მონაწილეობს წინაენა კბილების მიმართ, ხოლო ენაკბილისმიერ თანხმოვნებს ეძახიან დენტალურს, ამიტომ ასეთ ფაუკალურ თანხმოვნებს ვეძახით დენტი-ფაუკალურს.

ანალოგიური ბგერათშეერთება გვაქვს კომპლექსებში: ბმ—ფმ—პმ, ე. ი. როცა პირველი სამეულის ხშულებს უშუალოდ მოსდევს ჰომორგანული მ; მაგ., სიტყვებში ბმა, თოშმა, ტიშმა. ეს კომპლექსებიც ორგვარად შეიძლება წარმოითქვას (იხ. ზემოთ). ქართულს სჩვევია მათი განცალკევებული წარმოთქმა და ამდენად წარმოთქმაში ჩანს როგორც წინმდგომი ხშული, ისე მომდევნო მ.

მეორეგვარი წარმოთქმა აქვს რუსულს, სადაც არ ჩანს რწყულ მეტყველებაში არც წინმდგომი ხშული და არც მომდევნო მ, მაგ., სიტყვაში о́нмѣн ‘გაცვლა’: დაწერილობა онм აქ გამოხატავს ლაბიო-ფაუკალურ თანხმოვანს.

ბგერათშეერთების I წესის მოქმედების შედეგად შესაძლებელია მივიღოთ თავისებური რთული ლატერალური თანხმოვნები. ეს ხდება მაშინ, როცა მეორე სამეულის ხშულებს უშუალოდ მოსდევს ლ: ღლ—თლ—ტლ.

ეს კომპლექსები (მაგ., სიტყვებში: მადლი, ბოთლი, ეტლი) შეიძლება წარმოითქვას აგრეთვე ორგვარად: განცალკევებით ერთმანეთისა—

გან, სადაც გამოჩნდება როგორც წინმდგომი ხშულები, ისე ლ. მათი ასეთი წარმოთქმა ჩვეულებრივია ქართულში.

მეორეგვარი წარმოთქმა ახასიათებს, მაგ., რუსულს კომპლექსებში *дл тл*: სიტყვებში *для, длинный, тля* 'მლილი', *тлеть* 'ხრწნა, ფერფლვა' წარმოითქმის არა *д* და *л* ან *т* და *л* განცალკევებულად, არამედ სხვა ბგერა, რომლისთვისაც ხშვა ხდება წინაენით, ხოლო სკდომა ენის გვერდებით; წინაენის ხშვა გაიხსნება მხოლოდ მომდევნო ხმოვნისათვის. ასეთ რთულ თანხმოვნებს ვეძახით *დენტო-ლატერალურს* (დენტალურია აქ *д-т*, ლატერალური—*л*).

დენტო-ლატერალური თანხმოვნები რუსულში დღეს მხოლოდ პოზიციურად არსებობს, მაგრამ რიგ კავკასიურ ენებში იგი წარმოადგენს ფონემას, რის გამოც მათ ვეძახით „კავკასიურ ლატერალურ თანხმოვნებს“ (იხ. გვ. 42 და შემდეგ).

### 3. გგერათსუბსტიტუცია ანუ გგერათჩანაცვლება

ხშირია ყოველ ენაში ისეთი ფონეტიკური მოვლენები, რომლებიც წარმოადგენენ ბგერის შეცვლას ცალკეულ სიტყვაში ან მხოლოდ რამდენიმე სიტყვაში ყოველგვარი ფონეტიკური განპირობებულობის გარეშე; ასეთი ბგერათშეცვლა, მაშასადამე, არაა კანონზომიერი ფონეტიკური განვითარების შედეგი: იგი არაა, მაგალითად, არც ასიმილაციის და არც დისიმილაციის ან თანხმოვანთგადაწევის შედეგი, არც მახვილიანობა-უმახვილობის შედეგი და ა. შ.

მაგ., ტიმოთე-ს (ბერძნ. *Τιμόθεος*) ნაცვლად ქართულად იხმარება კიმოთე: მომხდარა *ტ*-ს შეცვლა *კ*-თი; პატიჟი — პატიჯი: *ჟ*-ს შეცვლა *ჯ*-თი და სხვა. არც ერთი ეს შეცვლა არ წარმოადგენს რითიმე განპირობებულ ფონეტიკურ ცვლილებას; იგი გვხვდება მხოლოდ ერთს ან რამდენიმე სიტყვაში და ამდენად იგი არაა სრული კანონზომიერი ფონეტიკური მოვლენა. აგრეთვე არა ჩანს, რომ ასეთ ბგერათშეცვლაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდეს ე. წ. ბგერითი ანალოგია (იხ. ქვემოთ გვ. 231).

მაშასადამე, ესაა ბგერის ერთბაში, „შენიხვევითი“, სპორადული ცვლილება სიტყვაში. ერთადერთი „კანონზომიერება“, რომელსაც ადგილი აქვს ასეთ ბგერათშეცვლაში, მდგომარეობს იმაში, რომ ერთმანეთის შეცვლა შეუძლიათ მხოლოდ ისეთ ბგერებს, რომლებიც წააგვანან ერთმანეთს აკუსტიკურად.

ბგერათა ასეთ შენაცვლებას ვეძახით *ბგერათსუბსტიტუცია*ს (ლათ. *substitutio* 'ჩანაცვლება') ანუ *ბგერათჩანაცვლება*ს.

როგორც ჩანს, ბგერათსუბსტიტუცია წარმოიქმნება ბგერათა არასწორი (არაადეკვატური) აღქმის ნიადაგზე. ამიტომ ეს მოვლენა აკუსტიკურია.

თავისთავად იგულისხმება, რომ ბგერათა ერთმანეთთან ფიზიოლოგიური მონათესაობა (ანუ მეტ-ნაკლები მსგავსება) შეიცავს იმავე დროს მათს მეტ-ნაკლებ აკუსტიკურ მსგავსებასაც, მაგრამ ბგერათა ერთმანეთის აკუსტიკური მსგავსება შესაძლებელია ფიზიოლოგიური მონათესაობის გარეშეც.

ბგერათსუბსტიტუცია, საერთოდ, ნაკლებად მონაწილეობს ენის ბგერითს ევოლუციაში.

ჩვენ ვასხვავებთ ორგვარ ბგერათსუბსტიტუციას: ერთია ჩანაცვლება უცხოური ენიდან ნასესხებ სიტყვაში, მეორე — ჩანაცვლება მშობლიური ენის სიტყვაში. პირველის ნიმუშს წარმოადგენს, მაგ., უცხოური ფ-ს ნაცვლად ფ-ს წარმოთქმა ქართულში: ციფრი < რუს. цифра; აფიცერი < რუს. офицер. ამის მიზეზია ფ-ს, როგორც ფონემის, უქონლობა ქართულში: უცხოურ ფ-სთან ქართველის სმენისათვის ყველაზე ახლოა ქართ. ფ — არტიკულაციურადაც (ორივე ბაგისმიერია, ორივე ძლიერ ფშვინვიერია) და ამიტომ აკუსტიკურადაც. ამგვარსავე ჩანაცვლებას აქვს ადგილი რუსულშიც, მაგ., უცხოურ ენათა ი-ს ჩანაცვლებისას ი-ს საშუალებით: Дюма < ფრანგ. Dumas (მწერლის გვარია), Цюрих < გერმ. Zürich (ქალაქის სახელია). იგივე ბგერა ქართულში ჩანაცვლებულია ორი ხმოვნით: დიშმა, ციშრახი: როგორც რუსულში, ისე ქართულში არაა ფონემა ი, ხოლო მასთან ყველაზე ახლოა რუსულში იო (= jy) და ქართულში იუ.

დიალექტობრივ (მაგ., ინგილოურ კილოში) ქართულშიც გვაქვს უ კომბინატორული ბგერათცვლილების ნიადაგზე; მაგ.: შულ < შვილი, წრულ < წვრილი. ორივე შემთხვევაში უ მიღებულია თ-ს ლაბიალიზების გზით: პირველში მომხდარა პროტრუსული კონტაქტური ასიმილაცია, ხოლო მეორეში დისტანციური; თ-ს ლაბიალიზება შესაძლებელია ინგილოურში რეგრესული ასიმილაციის გზითაც; მაგ.: შურბოლი < შვრბოლი. ამგვარადვე ლაბიალიზდება ე; მაგ.: კრულ < კვრელი (პროტრუს. დისტანც. ასიმილაცია), ფრტ < ფტფე (რეგრეს. დისტანც. ასიმილაცია).

ახალი ბერძნულის ფ-ს (კბილთაშუა ყრუ სპირანტი), მაგ., სიტყვაში *καθηδρα* გერმანულმა ჩაუნაცვლა th (= ქართ. თ-ს): Katheder; აგრეთვე გერმ. Theodor < ბერძნ. Θεόδωρος. ასევე მოიქცა ქართულიც; კათედრა, თედორე. ფრანგულიდან გერმანულში ნასესხებ génie-ს 'გენიალობა, ნიჭიერება' (წარმოითქმის geni) გერმანულში წარმოთქვამენ *Geni*; ფრანგ. Journal გერმანულად წარმოითქმის *Jurnal*. ეს იმიტომ, რომ გერმანულსა და ქართულს არა აქვთ ახალი ბერძნულის ფ-ს მსგავსი ფონემა და გერმანულს არა აქვს აგრეთვე ჯ (= ქართ. ე) ფონემა.

უნდა აღინიშნოს, რომ ბგერათჩანაცვლების ეს სახე (ე. ი. ჩანაცვლება უცხოურ სიტყვებში) არ სცელის მსესხებელი ენის არც ბგერათსისტემას და არც მის ფონეტიკურ იერს (იხ. ზემოთ გვ. 191), მაგრამ თვით ჩანაცვლება ზედმიწევნით კანონზომიერია, მან გამონაკლისი არ იცის; მაგ., ახალი ბერძნულის ყოველი ფ ქართულში ჩანაცვლებულია თ-თი.

იგივე არ ითქმის მეორე სახის ბგერათხანაცვლებაზე, რომელიც მეტადაა გავრცელებული ყოველ ენაში; სახელდობრ, ესაა ბგერათსუბსტიტუცია, როცა მშობლიური ენის ერთი ბგერა ჩაენაცვლება ამავე ენის სხვა ბგერას სიტყვაში, რომელიც შესაძლებელია იყოს როგორც უცხოური (ასეთია, მაგ., ზემომოყვანილი ბერძნ. ტიმოთე > ძიმოთე, სადაც ტ-ს ჩაენაცვლა კ), ისე მშობლიური; მაგ., დ-ს შეიძლება ჩაენაცვლოს დიალექტობრივ ტ, მაგ., სიტყვაში რამდენი > რამტენი.

ამ შემთხვევაში ბგერათსუბსტიტუცია წარმოადგენს იმ ფონეტიკურ მოვლენას, რომელსაც ფრანგულად ჰქვია mutation 'შენაცვლება' და გერმანულად Lautwechsel 'ბგერათშენაცვლება' (საპირისპიროდ ჯერმ. Lautwandel-ისა და ფრანგ. changement phonétique-ისა 'ფონეტიკური ცვლილება'; იხ. ზემოთ ფონეტიკური ცვლილება).

რადგანაც ბგერათსუბსტიტუციის ეს სახე ძლიერაა გავრცელებული ყოველ ენაში, ამიტომ იგი ერთგვარად მონაწილეობს ენის ბგერითს ევოლუციაში, თუმცა მას არ ახასიათებს ის ფონეტიკური კანონზომიერება, რომელიც აქვს ბგერათხანაცვლების პირველ სახეს.

მეორე სახის უეჭველი ბგერათსუბსტიტუცია გვაქვს, მაგ., სიტყვაში საბძელი < საბზელი, სადაც ძ ჩანაცვლებია ზ-ს (შეად. ბზე); აგრეთვე: მიწრო (ქართულში) < ვიწრო, კომზი < კოვზი, ნეფე < შეფე (იქვე) და სხვა.

ზოგიერთი შემთხვევა, რომელიც წინათ ბგერათსუბსტიტუციად ითვებოდა, ასეთად არ შეიძლება ჩაითვალოს იმის შემდეგ, რაც მოინახა გარკვეული კანონზომიერება, როელსაც იგი ემორჩილება. მაგ., წინათ ქართლური დიალექტობრივი ბარაკლისი < პარაკლისი, მთიულური ბატარა < პატარა, ხევსურული გურკო < კრკო (საბა) და მისთანები ითვლებოდა ბგერათხანაცვლების მოვლენებად. იმის შემდეგ კი, რაც დადგენილია დისიმილაციური გამჟღერების კანონზომიერება, მათ ველარ ჩავთვლით ბგერათხანაცვლებად.

პირველი შეხედვით, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ, მაგ., სიტყვაში კარქი (დიალექტ.) ქ ჩანაცვლებია გ-ს. მაგრამ ნამდვილად აქ არაა გვაქვს სუბსტიტუცია, როგორც ერთბაშე ფონეტიკური მოვლენა. როგორც ჩანს, გ გაყრუებულა ამ სიტყვაში ყრუ თანხმოვნის წინ. ეს შეიძლებოდა მომხდარიყო, მაგ., მიცემითში (კარგს > კარქს; კარგთან > კარქთან, კარგში > კარქში) ან ყრუ თანხმოვნით დაწყებული თანხმოვნის წინ (კარგ საქმეს > კარქ საქმეს კარგ თავს > კარქ თავს). ამის შემდეგ ძ გა ნ ხ ზ გ ა დ რ ე ბ უ ლ ა ყოველგვარ პოზიციაში, გარდა მჟღერი თანხმოვნის წინ მდგომარეობისა (მაგ., კარგზე), რომელ პოზიციაშიც მჟღერდება პირვანდელი: ყრუ თანხმოვანიც კი (დოქი — დოგზე).

მაშასადამე, აქ არაა აქვს ადგილი ერთბაშე ჩანაცვლებას.

ბგერათსუბსტიტუცია მოქმედებს როგორც თანხმოვნებში, ისე ხმოვნებში — მეტადრე პირველი სახისა; ე. ი. უცხოურ სიტყვებში შეიძლება ჩაენაცვლოს ერთმანეთს როგორც თანხმოვნები, ისე ხმოვნები. მაგრამ მეორე სახის სუბსტიტუცია მოქმედებს მხოლოდ თანხმოვნებში, ე. ი. მეორე სახის სუბსტიტუციით ერთმანეთს შეიძლება ჩაენაცვლოს მხოლოდ თანხმოვნები.

ეს აიხსნება, ალბათ, იმით, რომ ყოველ ენაში ხმოვანთა რიცხვი გაცილებით ნაკლებია თანხმოვანთა რიცხვზე, და ამასთანავე ხმოვნები ძლიერ განსხვავებულნი არიან ერთმანეთისაგან აკუსტიკური თვალსაზრისით.

თანხმოვანთა ურთიერთ ჩანაცვლების ნიმუშებს ვალაგებთ I. მათი ერთმანეთთან ფიზიოლოგიური წარმოების (და, მაშასადამე, აკუსტიკური) სიახლოვის მიხედვით და II. მათი აკუსტიკური მიმსგავსების (აღქმის) მიხედვით.

I. ერთმანეთს შეიძლება ჩაენაცვლონ:

1. ბ ა გ ის მ ი ე რ ნ ი: ნაფთი — ნაფთი — ნაშითი, ნაშჯა — ნაბჯა, ფარცხნა — ბარცხნა, თევზი — თებზი, ნემსი — ნეფსი; რუსული пчелка — დიალექტ. мчелка 'ფუტკარი', прыскать — прызгать 'შხეფება, სხურება', ბულგარული внук 'შვილიშვილი, ძმის (დის) წული' — мнук; მეგრ. ხოფი — ხობი — ხობი 'ნიჩაბი'.

2. წ ი ნ ა ე ნ ი ს მ ი ე რ ნ ი (ენაკბილისა და ენანუნის): რამდენი — რამტელი — რამთელი, პატიფი — პატიჯი, მეგრ. ჰანჯი, ჰანდი — 'ბუზი', ცუნდი — სუნდი 'ნამი', რუს. этак 'ასე' — დიალექტ. эдак.

3. უ კ ა ნ ა ე ნ ი ს მ ი ე რ ნ ი (და ფ ა რ ი ნ გ ა ლ უ რ ნ ი): ქართული საგუსალი — საქუსალი 'ქსელი საქსოვი' (საბა), მეგრ. კებური — ყებური 'კერა', სკანი — სქანი 'შენი', ყაზახალა — ყაზაყალა 'მამაცობა', რუს. балкан — დიალექტ. балхан 'აივანი'.

II. ერთმანეთს შეიძლება ჩაენაცვლონ:

1. მ/ნ: შეფე — ნეფე, ინტერესი — იმტერესი, никита — Микита, ფრანგული pappe 'სუფრა' — ლათინური pappa 'ხელსახოცი';

2. ნ/ლ: რამდენი — რამდელი, ლიტრა — ნიტრა რუს. много — დიალექტ. много;

3. ლ/რ: მეგრ. კალაჩხა — კარაჩხა 'კალათა', ლათ. titulus — ფრანგ-titre 'ტიტული';

4. რ/ნ: მეგრ. გირძე — გინძე 'გრძელი'.

5. ბ/გ: бумага — бумага (დიალექტ.) 'ქალაღი';

6. დ/გ: რუს. для '-თვის' — დიალექტ. гля; ბულგ. глѣнок 'ღრმა' — длѣнок.

7. ტ/კ (ტ/კ): ტიმოთე — კიმოთე, რუს. театр — დიალექტ. киатр, უკრ. тїсто 'ცომი' — кїсто (რუს. тѣсто); გერმ. Kleid 'ტანსაცმელი' — ხალხური Tleid.

ნიმუშებიდან ჩანს, რომ სუბსტიტუციას ანუ ჩანაცვლებას ადგილი აქვს სიტყვის მხოლოდ უცვალებელ და (არა მის ფორმალურ) ნაწილში (აფიქსებში).

რადგანაც სუბსტიტუცია შედეგია ბგერის არაადეკვატური აკუსტიკური აღქმისა, ამიტომ წარმოთქმის პროცესში აწაადეკვატურად.

აღქმული ბგერა შესაძლოა არასწორად წარმოითქვას სიტყვის ყოველ ნაწილში, მაშასადამე, ფორმალურ ნაწილშიც; მაგრამ აქ არასწორი წარმოთქმა ფებს ვერ მოიკიდებს, რადგანაც აფიქსი მოძრავია — იგი ერთვის მრავალ სხვადასხვა ფუძეს—და ამით იგი თავს იცავს ერთჯერ-ორჯერ არასწორად წარმოთქმულ სიტყვაში დამკვიდრებისაგან: ერთ შემთხვევაში ჩანაცვლებული ბგერა თავს აღიდგენს სხვა შემთხვევაში. მაგ., სიტყვაში **გხედავდა გ პრეფიქსს წარმოთქმაში ჩაენაცვლება ქ** (ქხედავდა), იგი თავს აღიდგენს მედერი თანხმოვნით ან ხმოვნით დაწყებული ზმნის წინ, მაგ.: **მღევდა, გაქვს.**

სიტყვის უცვალვებელ ძირეულ ნაწილში მომხდარი ჩანაცვლება კიდევ, რადგანაც ჩანაცვლებულ ბგერას იქ საშუალება არა აქვს თავი აღიდგინოს. მაგ., სიტყვაში ნეფე **ნ** ფებს იკიდებს და გარკვეულ დიალექტებში წარმოითქმის მხოლოდ ასე; აგრეთვე **Микита** ნაცვლად **Никита**-სი. **ნ**-სა და **м**-ს უძრავობა სწყვეტს მათი ამ სიტყვებში დამკვიდრების საკითხს.

## **დ. ფონეტიკური მოვლენების არაფონეტიკური შაბტორები**

ზემოგანხილული ფონეტიკური მოვლენა, რომელსაც ბგერათსუბსტიტუცია ანუ ბგერათჩანაცვლება ეწოდება, მართალია, არაა ფონეტიკურად საესებით განპირობებული, მაგრამ ნაწილობრივი კანონზომიერება მას მაინც ახასიათებს—აქუსტიკური თვალსაზრისით; მისი პირველი სახე უგამონაკლისოც კი არის.

მაგრამ არის ენაში ისეთი ბგერათცვლილება, რომელსაც არ ახასიათებს არც ფონეტიკური განპირობებულობა და არც ფონეტიკური კანონზომიერება; ე. ი. სიტყვაში ადგილი კი აქვს ბგერათცვლილებას (ბგერათჩართვა, ბგერათჩანაცვლება და სხვა), მაგრამ ამის მიზეზია არა ფონეტიკური ფაქტორები (ბგერათა ურთიერთ გავლენა ბგერათშეერთებაში, მახვილიანობა-უმახვილობა სიტყვაში, ბგერათა ურთიერთ სიახლოვე და სხვა), არამედ ფსიქოლოგიური ფაქტორი საერთოდ, ხოლო კერძოდ—სემანტიკური (აზრობრივი) და გრამატიკული. ყველა ასეთ შემთხვევაში მოცემული სიტყვის ფონეტიკურ შედგენილობაზე გავლენა აქვს მის გარეშე მომხდარ ფაქტს (ფსიქოლოგიურს, სემანტიკურს, გრამატიკულს), რომელიც ზოგჯერ ფონეტიკური წარმოშობისაც შეიძლება იყოს.

მაგ., სიტყვაში **დაღმართი** ღ არაა მასში ფონეტიკურად განერთარებული ბგერა: იგი ჩართულია ამ სიტყვაში ასოციაციურად აღმართი-ს მიხედვით, სადაც ღ აღ- წინსართის შემადგენელი ელემენტია.

ბგერა **ქ** სიტყვისა **კარქი** (დიალექტ.) ჩანაცვლებულია **გ**-ს ადგილას ამ სიტყვის იმ ფორმებიდან, რომლებშიც **გ** გაყრუებულა (მაგ., **კარქს**, იხ. ზემოთ გვ. 227); მაშასადამე, **გ**-ს გაყრუება გარკვეულ პოზი-

ციაში ფონეტიკური ფაქტია, მაგრამ მისი ჩანაცვლება და განზოგადება ხმოვნის წინ (კარქ-ი, სადაც გ არ შეიძლებოდა გაყრუებულიყო) უკვე არა ფონეტიკური, არამედ ფსიქოლოგიური ფაქტი. ამგვარად, გ > ქ: ფონეტიკური წარმოშობისაა ამ სიტყვაში, ხოლო მისი განზოგადება — ფსიქოლოგიური.

ზოგიერთ რუსულ სიტყვაში ყჩ კომპლექსი წარმოითქმის ორგვარად — აზრობრივი მნიშვნელობის კვლობაზე; მაგ., სიტყვაში *сердечный* 'გულის, გულის შესახები' (*сердечный припадок* 'გულყრა') ყჩ წარმოითქმის ისე, როგორც იწერება, მაგრამ *сердечный*-ში 'სატრფო გულისა' ყჩ წარმოითქმის როგორც *шн*; აგრეთვე *конечно*-ში 'რასაკვირველია' ყჩ-*шн*, მაგრამ *конечный*-ში 'ბოლოსი, საბოლოო' ყჩ წარმოითქმის ისე, როგორც იწერება (მაგ., *конечный пункт* 'საბოლოო პუნქტი').

ქართულში (სალიტერატუროშიც და დიალექტებშიც) ვითარებითი ბრუნვის დაბოლოების -დ ყრუვდება სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში (კაცად > კაცათ), ხოლო ნაენებითარ ზმნისართებში გაყრუების შემდეგ (კარგად > კარგათ) იკარგვის კიდევ (კარგა); ასეთია კიდევ, მაგალითად, მალა, ახლა და სხვა. მაგრამ არ ყრუვდება სიტყვის ბოლოში დ სიტყვებში: სად, მარად (დასავლურ დიალექტებში, მართალია, გვხვდება ხა ხარ); არ იკარგვის სიტყვის ბოლოში: თ ახვათ, მოგეწერათ, შექამოთ, შექამეთ და სხვა.

სვანურში სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მოქცეული დ ხშირად იცვლება ტ-დ (ლენტეხური აკვატ < აკვად 'კუდი'), მაგრამ არ იცვლება, თუ იგი (-დ) წარმოადგენს ფორმანტს.

მაშასადამე, ბგერის ცვლილება-უცვლელობა და დაცულობა თუ დაკარგვა შეიძლება უკავშირდებოდეს ამა თუ იმ ფორმის გრამატიკულ მნიშვნელობას—ისე როგორც სემანტიკურს ანუ აზრობრივს (იხ. *сердечный*): სიტყვის ბოლოში არ ყრუვდება პირვანდელი ზმნისართების -დ (სად, მარად), მაგრამ ყრუვდება ვნებითში და ყრუვდება და იკარგვის ნაენებითარ ზმნისართებში (კარგა, მაგრა, ახლა); ბოლო -თ არ იკარგვის ზმნის ფორმებში და ა. შ.

ისეთ ფონეტიკურ მოვლენებს სიტყვაში, რომელთა ფაქტორი, საბოლოო ჯამში, სიტყვის ბგერთი შედგენილობის გარეთაა, ეწოდება არაფონეტიკური ბგერთაცვლილება ანუ ბგერთი ანალოგია (ბერძნ. *δυναμογία* 'შესატყვისობა, შესაბამისობა აზრისა').

ერთგვარ ბგერთს ანალოგიას წარმოადგენს ბგერთი კონტამინაცია (გვ. 234).



## ბგერითი ანალოგია

ბგერითი ანალოგიის მოქმედება ყოველი ენის სიტყვაში ნრაეალ-გვარია. მათგან, ჩვენი აზრით, უმთავრესია ორი:

ერთია ბგერითი ანალოგიის ისეთი მოქმედება, რომელიც ეხება ცალკეულ სიტყვებს ან მათ ფორმებს და არ უკავშირდება მათს მნიშვნელობას; მაგ., მნიშვნელობის მხრივ სულ ერთია, ვიტყვიტ ჩვენ უფროსი (სწორი ფორმა) თუ უმფროსი (ანალოგიით მიღებული არასწორი ფორმა) — ამით მნიშვნელობა არ იცვლება; აგრეთვე სულ ერთია, ვიტყვიტ დაჯედი თუ დაჯეძი, ჰრძჰტ 'დადიან' თუ ჰრძჰტ (პირველები: დაჯედი, ჰრძჰტ მართებულია ისტორიულად, მეორეები: დაჯეძი, ჰრძჰტ ანალოგიითაა მიღებული და ითვლება სწორ ფორმებად წარმოთქმაში; დაჯეძი—წერაშიც).

ბგერითს ანალოგიას, რომლის მოქმედება ან მის მიერ გამოწვეული ცვლილება არ ახდენს გავლენას სიტყვის მნიშვნელობაზე, შეგვიძლია დავარქვათ ნეიტრალური ბგერითი ანალოგია.

მეორეა ბგერითი ანალოგიის ისეთი მოქმედება, რომელიც უკავშირდება სიტყვის სემანტიკურსა და გრამატიკულ (მორფოლოგიურ) მნიშვნელობას. საბოლოო ჯამში, ანალოგიის მოქმედება ასხეავენს ერთმანეთისაგან განათლება-ს განათებისა-გან, ასეთივეა გამარჯვება — გამარჯობა, მალლა—მალლად, ახლა—ახლად.

ბგერითს ანალოგიას, რომლის მოქმედება უკავშირდება სიტყვის მნიშვნელობას, შეგვიძლია დავარქვათ ფუნქციონალური ან მაღდიფერენციური ბგერითი ანალოგია.

ზემოგანხილული ნიმუშებიდან ნეიტრალური ბგერათანალოგია არის სიტყვებში: დაღმართი, კარქი; ხოლო ფუნქციონალური ან მაღდიფერენციური: სერდეჩნიჰ — სერდეშნიჰ, კარგა—კარგათ, კაცათ-სად, მარად, სვანურის ფუძის -ტ და ფორმანტის -დ.

განვიხილავთ ვრცლად ნეიტრალური ბგერითი ანალოგიის ნიმუშებს.

1. დაჯეძი, დაჯეძი: ორივე სიტყვაში განზოგადებულია ასოციაციურად ის ქ, რომელიც ფონეტიკურადაა მიღებული დაღეძ-ში დაღეძიდან. ასოციაცია შესაძლებელი იყო იმიტომ, რომ სამივე ზმნა ერთ სემანტიკურ ჯგუფს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ქ-ს პირველი განზოგადება ანალოგიის ძალით მომხდარა თვით დგომა ზმნის დაღე-ფუძეში: ამ სიტყვაში ქ შესაძლებელია ყოფილიყო მხოლოდ სიტყვის ბოლოში. მაშასადამე, თუ გვაქვს ავღეძი, დაღეძი, ავღეძით (ე., ი. ქ ზმონის წინ), ესაა ანალოგიის მოქმედების შედეგი. ამის შემდეგ მომხდარა ამ ზმნიდან ქ-ს გადატანა ორი სხვა ზმნის დ-სა და გ-ს ადგილას. ანალოგიამ მოახდინა ამ ფორმის ნიველირება (შეთანასწორება) ამ ზმნებში.

2. დაღმართი, უკუღმართი, წაღმართი: ამ სიტყვებში დ შემოტანილია აღმართი-ს ანალოგიით, სადაც იგი წარმოადგენს ძველი აღწინსართის ორგანულ ნაწილს. როგორც ჩანს, ეს მომხდარა იმ დროს,

როცა აღ- ჯერ კიდევ რეალურად მოქმედი ზმნისწინი იყო (დღეს იგი აღარაა ასეთი; შერჩენილია მხოლოდ რამდენიმე სიტყვაში: აღმოსაგლეთი, აღტაცება, აღმოჩენა და სხვა). ოთხივე დასახელებული ზედსართავი წარმოადგენს ერთ სემანტიკურ ჯგუფს (ყველა აღნიშნავს მიმართულებას), რამაც შესაძლებელი გახადა ასოციაციურად ლ-ს მათში განზოგადება. ამ მხრივ ნიველირებულია ოთხივე სიტყვა.

3. უმცროსი (დიალექტ.): მ წარმოითქმის ამ სიტყვაში, როგორც ჩანს, უმცროსი-ს გავლენით — აგრეთვე ასოციაციურად: ეს ორი სიტყვა წარმოადგენს ერთი სემანტიკური ჯგუფის ურთიერთ დაპირისპირებულ წევრებს. მცირე-ში მ უძველესი ჩანს.

4. აკლდეშებს, ზემით: ორივეში, როგორც ჩანს, ვ ჩართულია ისეთ წარმოებათა ანალოგიით, სადაც ვ ან შესაძლოა ძველი იყოს და ან ფონეტიკურია. ასეთებია, მაგ., აქვაგებს, ასხვაგებს; ქვევით. ანათგან ძველი ვ შესაძლოა იყოს ჯქვაგებს-ში. დანარჩენ ორში (ასხვაგებს, ქვევით) შესაძლოა განვითარებული იყოს ფონეტიკურად — ფუძის ვ-ს გავლენით. ასეთი ვ-ს წარმოქმნას, ალბათ, ხელს უწყობდა უმკველად ფონეტიკური წარმოშობის ვ, მაგ., შემდეგ სიტყვებში: აჯადოგებს, აუთოგებს, აბოლოგებს, პოგეტი (< პოეტი): \* აქ ვ განვითარებულა, როგორც გარდამავალი ბგერა წინა თ-სა და მომდევნო ე-ს შუა.

ასოციაციურად ვ-ს გადატანა აკლდეშებს-ში შესაძლებელი იყო იმიტომ, რომ, გარკვეული თვალსაზრისით, დასახელებული (და ბევრიც სხვა) ზმნები წარმოადგენენ ერთ გრამატიკულ ჯგუფს: გარკვეული წარმოების ნასახელარ ზმნებს. იმიტომ აქ გვაქვს გრამატიკული (და არა სემანტიკური) ანალოგია. ამის შედეგად ნიველირებულია ეს ზმნები გრამატიკულად.

5. ნურაგინ: რ ჩართულია არაგინ-ის ანალოგიით.

6. „თ-ხუთ-მეტ-ის ნაცვლად რომ თ-უთხ-მეტ-ი მივიღეთ, ეს თ-ოთხ-მეტ-ის ანალოგიით აიხსნება“ (ა. შანიძე).

7. რუსული ДЕВЯТЬ: н-ს ჩანაცვლებია д მომდევნო (თვლაში) дЕСЯТЬ-ის გავლენით. ДЕВЯТЬ-ში რომ н- უნდა ყოფილიყო წინათ, ჩანს რუსულის მონათესავე ზოგიერთი ენებიდან, რომლებშიც ეს სიტყვა 11-თი იწყება, მაგ., ლათ. novem (11-თი იწყება სლავურ ენებში ლატვიურსა და ლიტავურში).

8. რუს. пов 'თხრილი' — рва 'თხრილისა', лѣд 'ყინული' — льда 'ყინულისა': ძველ რუსულში იყო აგრეთვე ნათესაობით ბრუნვაში рова; ძველ რუს. იყო ნათეს. ბრ. лѣда. მაგრამ ისეთი სიტყვების ანალოგიით, როგორიცაა, მაგ., лон — льна 'შუბლი — შუბლისა' (ძველი სლავური лънъ), лѣх — льна 'სელი — სელისა' (ძველი სლავური

\* ფორმები დიალექტალურია.

льнѣ), მიღებული გვაქვს рва და льда; лба-სა და льна-ში კანონზომიერადაა დაკარგული ხმოვანი л-ს შემდეგ.

აქაც ადგილი აქვს გრამატიკულ ნიველირებას ფონეტიკური ანალოგიის გავლენით.

9. რუს. гнѣзда „ბუდეები“, звѣзды 'ვარსკვლავები', берѣза — берѣзе 'არყი — არყს', нескѣм — нескѣте 'მიგვაქვს — მიგაქვთ': берѣза-სა და нескѣм-ში ზ კანონზომიერია, რადგანაც რუსულში მოქმედებს (XII საუკუნიდან) შემდეგი ფონეტიკური კანონზომიერება: მახვილიანი ე (არა ძველი ზ-საგან წარმომდგარი е!) სიტყვის თავკიდურში ან ხმოვნის შენდგომ (=ჟ) და დარბილებული თანხმოვნისა და შიშინათა შემდეგ იქცევა ჟი-დ (სიტყვის თავკიდურში) და ი-დ (მის წინ მდგომი თანხმოვნის სილბოს დაცვით), თუ მას (ე-ს) მოსდევს მაგარი თანხმოვანი და ან იგი სიტყვის აბსოლუტურ ბოლოშია; მაგ., სიტყვებში: берѣза, нескѣм, жлака, моѣ, житьѣ — დაცულია ყველა ეს პირობა თითოეულში შესაბამისად. მაგრამ არაა დაცული ყველა ეს პირობა гнѣзда-სა, звѣзды-სა, берѣзе-სა და нескѣте-ში, რადგანაც პირველ ორ სიტყვაში ე წარმომდგარია ძველი ზ-საგან, ხოლო ორ უკანასკნელში მახვილიანი ე არაა მაგარი თანხმოვნების წინ (з და т რბილია მომდევნო е-ს გამო) და არც სიტყვის ბოლოშია. ამის მიუხედავად (ე. ი. კანონზომიერების დარღვევით) გვაქვს ყველა ამ შემთხვევაში ზ.

ეს აიხსნება მხოლოდ ანალოგიის გავლენით: პირველ ორზე (гнѣзда, звѣзды) უმოქმედნია ისეთი სიტყვების ზ-ს, სადაც ეს უკანასკნელი კანონზომიერია; მაგ., весел 'ნიჩაბი, ხოფი' — весела 'ნიჩებები': აქ ე არაა ძველი ზ-საგან, მოხვდა მახვილს ქვეშ, в რბილია, с მაგარია; აგრეთვე слеза 'ცრემლი' — слезы 'ცრემლები' და მრავალი სხვა. ანალოგიის შედეგად აქაც ნიველირებულია ამგვარ სიტყვათა გარკვეული ფორმები.

რაც შეეხება берѣзе-სა და нескѣте-ს, ამათზე უმოქმედნია ამავე სიტყვების სხვა ფორმებს, რომლებშიც ზ კანონზომიერი იყო; მაგ., берѣза, берѣзу და სხვა, нескѣт, нескѣм: აქ ყველა პირობა დაცულია.

ამგვარად, ზ-ს მხრივ ნიველირებულია ასეთი შედგენილობის სახელთა და ზმნათა ფორმები.

10. რუს. брѣсѣт 'გადაადგებენ' — წარმოითქმის брѣсѣют, стрѣят 'აშენებენ' — стрѣют; слышат 'ესმის მათ' — слышут; ე. ი. მეორე ულლების ზმნათა აწმყოს მრავლ. რიცხვის მესამე პირში უმახვილო я და а წარმოითქმიან როგორც ю, у. ეს აიხსნება პირველი ულლების ზმნათა ამავე ფორმის გავლენით, სადაც დაბოლოებაში არის ю, у; მაგ.: дѣмают 'ფიქრობენ' решают 'წყვეტენ', пишут 'წერენ', рѣжут.

ამგვარად, პირველი ულლების ზმნათა ანალოგიით ნიველირებულია აწმყოს მრავლ. რიცხვის მესამე პირის უმახვილო დაბოლოება.

11. ახალი ფრანგული *aimons* 'გვიყვარს' მიღებულია ძველი ფრანგულის *amons*-ისაგან სხვა პირების (1—3 მხოლ. და 3 მრავლ.) ანალოგიით: ეს ზმნა წარმომდგარია ლათინურის *āmo*-საგან 'მიყვარს'; მახვილიანი მოკლე *a* ღია მარცვალში იქცეოდა ფრანგულში *ai*-დ (ლათ. *āmo*, *āmas* 'გვიყვარს'; *āmat* 'უყვარს' — ფრანგ. *j'aime*, *tu aimes*, *il aime*), მაგრამ მახვილიანი მარცვლის წინ არ იცვლებოდა (ლათ. *amāmus* 'გვიყვარს', *amātis* 'გვიყვართ', *āmant* 'უყვართ' — ძვ. ფრანგ. *amons*, *amez*, მაგრამ *aiment*). მაშასადამე, ამ კანონის ძალით უნდა გვექონოდა დღევანდელ ფრანგულში ისე, როგორც ძველში (*amons*, *amez*), მაგრამ იმ პირების ანალოგიით, რომელთაც კანონზომიერად აქვთ *ai*, ეს ხმოვანი განზოგადდა მთელ პარადიგმაში. აქაც ადგილი აქვს ფორმების ნიველირებას.

### ბგერითი კონტამინაცია

კონტამინაცია (ლათ. *contaminatio* 'შერევა, შერწყმა'), როგორც ითქვა, ანალოგიის ერთგვარი სახეობაა; კერძოდ, ბგერითი კონტამინაცია წარმოადგენს ისეთ ბგერითს ცვლილებას მოცემულ სიტყვაში, რომელიც შედეგია ასოციაციურად დაკავშირებული ორი სიტყვის ბგერობრივი შერევისა. ზემომოყვანილი ბგერითი ანალოგიის ნიმუშებიდან ზოგი შესაძლოა კონტამინაციის ნიმუშებადაც მივიჩნიოთ.

ასეთია, მაგ.: უმფროსი, რომელშიც მოცემულია მასთან ასოციაციურად დაკავშირებული უმცროსი-ს მ; დაღმართი, ნურაგინ, *девятъ*-კონტამინაციის შედეგია აგრეთვე უმართებულო დიალექტობრივი რასთვის, რომელშიც *ი*-ს ნაცვლად გვაქვს *ა*: კონტამინირებულია რისთვის და რატომ. ასეთივეა დიალექტობრივი მითი < მათი + მისი და სხვა.

სხვა ენებიდან შეგვიძლია დავასახელოთ ბგერითი კონტამინაციის შემდეგი ნიმუშები: რუს. *мыравѣй* 'ქიანჭველა' მიღებულია ორი ფონეტიკურად ასოცირებული სიტყვის კონტამინაციის შედეგად: *моросѣй* 'ქიანჭველა' (ხალხური) + *мыравѣ* 'მოლი, მდელო'.

ხალხური ლათინური *grevis* 'მძიმე' წარმოადგენს კლასიკური ლათინურის *gravis*-ის 'მძიმე' და *levis*-ის 'მსუბუქი' კონტამინირების შედეგს.

გერმ. დიალექტ. *Erdtoffel* 'კარტოფილი' მიღებულია *Erdapfel*-ისა 'მიწივასლა' და *Kartoffel*-ის კონტამინაციით.

### მ. ზოგიერთი უცხოური ფონეტიკური ტერმინი

ფონეტიკაში და, საერთოდ, ენათმეცნიერებაში ხშირად იხმარება, წინა თავეებში განხილულს გარდა, კიდევ რამდენიმე უცხოური ტერმინი; მათგან ზოგიერთი მოძველებულიცაა, მაგრამ მათი ცოდნა მაინც საჭიროა.

წოყავს ასეთი ტერმინები მოკლე განმარტებითურთ ანბანურ რიგზე.

1. ა ნ ა პ ტ ი ქ ს - ი (ბერძნ. — *ἀναπτύσσει* '(გა)ვშლი' '(გა)ვმართავ'), უფუნქციო ხმოვნის განვითარება სიტყვაში; ა ნ ა პ ტ ი ქ ს უ რ ი ხ მ ო .

ვანი. ამავე მნიშვნელობით იხმარება სვარაბჰაქტი (ძველ ინდურად 'ხმოვნის ამოყრა, ზრდა'. მაგ., ბერძნული *δραχμή* (ფულის ერთეული) ლათინურში ნასესხებია *drachma*-ს სახით. ლათ. *proclum* 'ქიქა, ბოკალი' < *proclum*. მთიულური კირწყილი < ძველი კრწყილი, თუმ., ფშავ. კურკო < ძველი კრკო.

2. აპოკოპე (ბერძნ. *ἀποκοπή* 'მოკვეცა ბოლოში'), სიტყვის ბოლოს ბგერის ან ბგერათა მოკვეცა — ფონეტიკურად (ახლად > ახლა) ან ხელოვნურად, მაგ., ავტო(მობილი); რუს. *мол* < *молвил* 'თქვა'. დაიქი < დაიქირე, მოიტა < მოიტანე და სხვ.

აქედან ზმნა: ბგერის აპოკოპირება.

3. აფერეზისი (ბერძნ. *ἀφαίρεσις* 'წართმევა'), სიტყვის თავში ბგერის დაკარგვა; მაგ., დიალექტ. პილო < სპილო, რკო < კრკო, ლათ. *lis* 'დავა, ჩხუბი' < *stlis*; ინგლ. *I'm* < *I am* 'მე ვარ'. ამავე მნიშვნელობით იხმარება კრაზისი.

4. დიერეზისი (ბერძნ. *διείρεσις* 'გაყოფა'), დიფთონგის დაშლა: შემადგენელ სრულ ხმოვნებად; მაგ., ძაკობ > ოაკობ, *слѣхъ* 'შემთხვევა' — *слѣхъи* 'შემთხვევები'.

5. ელიზია (ლათ. *elisis* 'გამოწურვა'), სიტყვის შიგნით ან ბოლოში ხმოვნის ამოვარდნა; მაგ., ბლის < ბალის; ფრანგ. *l'ami* 'მეგობარი' < *le ami*. ელიდირებული ხმოვანი.

6. ენთეზისი (ბერძნ. *ἐνθεσις* 'ჩასმა') ანუ ეპენტეზისი (ბერძნ. *ἐπι + ἐνθεσις* 'შიგ ჩასმა'), სიტყვის შიგნით უფუნქციო თანხმოვნის განვითარება; მაგ., გვიმბრა < გვიმრა, კამბეჩი < კამეჩი; დიალექტ. ანგრე < აგრე. რუს. ხალხ. *нрав* < *нрав* 'ჩვეულება'; ლათ. *emptus* 'ნაყიდი' < *emo* 'ვყიდულობ', გერმ. *eigentlich* 'ნამდვილი, საკუთრივი'.

7. ეპენტეზისი (იხ. წინა ტერმინი), იხმარება აგრეთვე ისეთი ბგერათგადასმის აღსანიშნავად, რომელიც დაკავშირებულია რ—ლ—ნ—სთან; მაგ., ხაინდრავა < ხანიდრავა, შაინძე < შანიძე, წოვა თუშურად მაირამ < მარიამ; ოსური მაირსმთე 'მარიამობისთვე' < მარიანსმთე, ბერძნ. *φάγω* 'ვამეღავნებ, ვაშუქებ' < *φάγω*. ეპენტეზისური მოვლენა.

8. ეპითეზისი (*ἐπιθεσις* 'თავდასხმა'), სიტყვის ბოლოს უფუნქციო ბგერის დართვა; მაგ., გერმ. *Habicht* 'ქორი' < ძვ. გერმ. *habecch*, *oder* 'ანუ, ან' < *ide*.

9. კონტრაქცია (ლათ. *contractio* 'შეკუმშვა'); მეზობლობაში მყოფი ორი ხმოვნის შერთვა ერთ ხმოვნად; მაგ., დედოფალი < დედაუფალი, *нет* (ძველი *нѣтъ*) < *не + есть*; ლათ. *dego* 'ვაცილებ, მიმყავს' < *de + ago*; გერმ. *nicht* 'არა' < *ni-wicht* 'არა რაიმე'. ხმოვანთა კონტრაქცირება.

10. კ რ ა ზ ი ს - ი (ბერძნ. *κράσις* ‘შერევა’) კონტრაქციის ერთი სახეობა: წინა სიტყვის ბოლო ხმოვნის შერთვა მომდევნო სიტყვის თავკიდურ ხმოვანთან; ამის ნიმუშია დედოფალი (იხ. წინა ტერმინი).

11. ლ ი ე ზ ო ნ - ი (ფრანგ. *liaison* ‘შეერთება, შეკავშირება’), ჰიატუსის (იხ. ეს) ასარიდებლად თანხმოვნის ჩართვა სიტყვის ბოლო ხმოვანსა და მომდევნო სიტყვის თავკიდურ ხმოვანს შუა; მაგ., ფრანგ. *nous* — წარმოითქმის *nu*, მაგრამ ხმოვნით დაწყებული სიტყვის წინ წარმოითქმის *s* გამეღერებული სახით (*z*): *nous allons* ‘მედივართ’ — *nu z alɔ̃*.

12. ს ა ნ დ ჰ ი (ძველი ინდური *sandhi* ‘შეერთება’), ფონეტიკური მოვლენები სიტყვის თავსა და ბოლოში (გ ა რ ე გ ა ნ ი ს ა ნ დ ჰ ი) ან სიტყვის შიგნით (შ ი ნ ა გ ა ნ ი ს ა ნ დ ჰ ი); მაგ., ლიეზონი (იხ.) წარმოადგენს გარეგან სანდჰის, ხოლო ეპენტეზისი (იხ.) შინაგანს.

13. ს ვ ა რ ა ბ ჰ ა ქ ტ ი (იხ. ანაპტიქსი).

14. ს ი ნ ე რ ე ზ ი ს - ი (ბერძნ. *συναρπασίς* ‘შეკუმშვა’), მეზობლად მყოფი ორი ხმოვნის აღმავალ დიფთონგად შერთვა; მაგ., იაკობ > ჯაკობ.

15. ს ი ნ კ ო პ ე (ბერძნ. *συνκοπή* ‘ჩეხა, მუსრვა’), სიტყვის შიგნით ორ თანხმოვანს შუა ბგერის ჩაყარდნა (დაკარგვა); იგივე ელიზია სიტყვის შიგნით (იხ, ელიზია). ხ მ ო ვ ნ ი ს ს ი ნ კ ო პ ი რ ე ბ ა.

16. ჰ ი ა ტ უ ს - ი (ლათ. *hiatus* ‘ნაპრალი, პირის გაღება’), ორი ხმოვნის უშუალო მეზობლობა სიტყვის შიგნით (დაუწერია, დროება) ან სიტყვის ბოლო ხმოვანსა და მომდევნო სიტყვას შუა (არა აქვს, რა უნდა). ზოგიერთხ ენა ერიდება ჰიატუსს და თავიდან იცდენს მას სხვადასხვა გზით: კონტრაქციით (და კრაზისით) ან ლიეზონით (იხ. ესენი).

# ბგერათცვალებალოვის კანონოშიკაბა და „ფონევიკური კანონი“

## 1. შედაჩაბითი მეთოლი

ბგერათა ის მრავალგვარი ცვლილება, რაც ზემოთ იყო განხილული (იხ. თავი მეცხრე, გვ. 184—234), იმას მოწმობს, რომ ენის ბგერითი მხარე განუწყვეტლივ იცვლება; იცვლება იგი არა მხოლოდ დროის დიდ მონაკვეთებზე—საუკუნეთა განმავლობაში, არამედ, როგორც ვიცით, თვით წარმოთქმის მომენტშივე (იხ. გვ. 184 და შემდ.); არც მეტყველისათვის და არც მსმენელისათვის ეს არაა შესამჩნევი: პირველისათვის იმიტომ, რომ იგი ამას უნებურად სჩადის, ხოლო მეორისათვის იმიტომ, რომ მოცემულ ენაზე ყველა სხვა მოსაუბრისაგან იმავე ცვლილებებით ესმის მას იგივე სიტყვები (ვგულისხმობ ერთისა და იმავე ენობრივი კოლექტივის წევრთა ურთიერთ შორის საუბარს, მაგ., ქართულ სალიტერატურო ენაზე ან ქართულის რომელიმე დიალექტზე).

მაგრამ საკმარისია ყურადღებით გაეანალიზოთ წარმოთქმული სიტყვა და დავინახავთ, რომ ერთი და იგივე ფონემა, მაგ., ლ სხვადასხვაგვარად წარმოითქმის სიტყვებში ღარი და ღოლი: მეზობლობის კვლად შეიძლება შეიცვალოს ყველა ბგერა. ასეთ შემთხვევებში დაცულია ერთი ფონემა, ხოლო წარმოთქმაში წარმოდგენილია მისი ერთ-ერთი სახეობა.

არის უფრო ძლიერი ცვლილებებიც რწმულ წარმოთქმაში: ზოგჯერ ერთ ფონემას შეცვლის ხოლმე სხვა ფონემა. მაგ., ზ შეიძლება იცვალოს წარმოთქმაში ფ-დ: გობი, მაგრამ გოფს; გ შეიძლება წარმოითქვას როგორც ქ: დარბი, მაგრამ დარქს და ა. შ.; ეს არის თანაქამიერი ბგერათცვლილება.

კიდევ უკეთ ჩანს ბგერათცვლილება, რომელსაც ადგილი აქვს დროთა განმავლობაში; მაგ., ძველად იყო ბჭისკარი, დღეს გვაქვს ჭიჭკარი: დაქარგულა ბ, შეცვლილა ხ შ-დ; ძველი ქართ. ჭელი, დღეს ხელი: ჭ > ხ და სხვა.

ამ და მრავალ სხვა შემთხვევაში ჩვენ ვხედავთ ბგერათა ისტორიულ ცვლილებას.

ზოგჯერ ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს მივაკვილოთ იმ ცვლილებებსაც, რომელთა გამოსავალი წერტილი არაა დადასტურებული მწერლობით; ე. ი. გვაქვს მხოლოდ ცვლილების შედეგი (მაგ., გოფს, რომლის გამოსავალი წერტილია გომ-, ან ხელი, რომელიც გამოვიდა ჯელისაგან — აქ ბ-ც და ჰ-ც დადასტურებულია), მაგრამ არ ვიცით, რის ცვლილების შედეგია.

ამის ნიმუშად ქართულ-ქართველურ ენებში გამოდგება, მაგ., სიტყვა ძალ-ის ძირის შესატყვისობის საფუძველზე წინარე ფორმის აღდგენა:

ქართ. ძალ- || ზანური ჯოლ- || სვან. ელ-; სვანურის სპირანტი (ჟ) გვაფიქრებინებს, რომ სპირანტი უნდა ყოფილიყო გამოსავალი როგორც ზანურის ჯ-სა, ისე ქართულის ძ-სათვის; მეგრულში გვექნებოდა უ, ხოლო ქართველურში ზ (ზალ- ფუძეში). მაშასადამე, ის ბგერა, რომლის ცვლილებასაც წარმოადგენს ამ სიტყვაში სვან. უ და მეგრ. ჯ, უნდა ყოფილიყო ზ<sup>1</sup>.

ასეთივე წარმოშობის ძ უნდა გვეკონდეს რძე სიტყვის ძირში: ქართ. რ-ძე (ძე. ქართ. ხ-ძეხ || ზან. ბ-ჯა (ქან. მ-ჯა, მ-ჟა, ბ-ჯა, ბჟა; მეგრ. ბ-ჯა (ლ). წინაღ. ქართულში უნდა გვექონოდა ძირი ზე- (მდგომარეობა აქ იმითაა გართულებული, რომ ჰანურსა და მეგრულში ძირს დართვია მ და ბ შესაბამისად, ხოლო ქართულში ხ > რ — ნივთის კატეგორიის მაჩვენებელი აფიქსი)<sup>2</sup>.

ყველა აქ გაანალიზებულ ნიმუშებში მომხდარ ცვლილებას ვადასტურებთ შედარების გზით (იხ. გვ. 9): ფ (გოფს-ში) რომ ბ-ს ცვლილებას წარმოადგენს, ვრწმუნდებით იმით, რომ ვადარებთ ერთმანეთს, ერთი მხრივ, წარმოთქმაში ფ-ს შემცველ ფორმებს (გოფს, გოფში, გოფთან, გოფთა) და ბ-ს შემცველ ფორმებს, მეორე მხრივ (გობი, გობის, გობმა, გობზე და ა. შ.). ეს შეეხება ერთეამიერ ბგერათცვლილებებს.

ისტორიულ ცვლილებასაც შედარების გზით ვადასტურებთ; ვადარებთ ერთმანეთს, ერთი მხრივ, ძველი მწერლობით შემონახულ სიტყვებს: ბჰისკარი, ჯელი, ათ-სამ-მეტო იმავე (ან მეტ-ნაკლებად განსხვავებული) მნიშვნელობით მოქმედ დღევანდელ სიტყვებს: ჰიშკარი, ხელი, ცამეტო, მეორე მხრივ, და ვრწმუნდებით, რომ მომხდარა ბგერათცვლილება.

ამავე შედარებითი მეთოდით ვადასტურებთ წინარეისტორიულ ბგერათცვლილებასაც (იხ. აქვე ზემოთ-ძალ- და რძე- ფუძეთა შესატყვისობრივი ანალიზი).

<sup>1</sup> იხ. არნ. ჩიქობავას „ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი“, 1938, გვ. 82—83. „თუ ის (აგანური ელ-ის ე) მეოთხედი არ არისო“, დასძენს ავტორი.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 94.



პირველ შემთხვევაში გვაქვს მოცემულ ენაში თანაქამიერად მოქმედ ბგერათმოვლენათა შედარება ერთსა და იმავე სიტყვაში; მეორეში — მოცემული ენის განვითარების სხვადასხვა პერიოდში (ძველ ქართულსა და ახალ ქართულში) არსებული ერთი და იმავე სიტყვის შედარება მათი ბგერითი შედგენილობის მხრივ; ხოლო მესამე შემთხვევაში ვადარებთ ერთმანეთს ერთისა და იმავე სიტყვის ძირებს მონათესავე ენებში.

ეს არის ფონეტიკის შედარებითი მეთოდი, რომელიც ემსახურება ენის ისტორიას.

შედარებითი მეთოდის ნიმუშები რუსული ენიდან. მაგ., სხვადასხვა სახის *д* გვაქვს რუსულ სიტყვებში *дать* 'მიცემა' და *дуть* '(შე)ბერვა'; სხვადასხვა სახის *а* გვაქვს რუსულ *даль*-სა 'მისცა' და *даль*-ში — იმის გამო, რომ პირველ *а*-ს მოსდევს მაგარი *л*, ხოლო მეორეს — რბილი *л'*. მაგრამ აქ ფონემა არ იცვლება არც ერთ შემთხვევაში (*д*, *а*).

მაგრამ თუ ავიღებთ, მაგ., სიტყვას *стол* და ვუცვლით მას ბრუნვას (*столѣ* — ითქმის *сгалаѣ*, *столѣ* — *сталаѣ*), ვნახავთ, რომ უმახვილობის გამო *о > а*; მაშასადამე, თანაქამიერად, ცოცხალი მეტყველების ერთსა და იმავე დროს, ბგერა (აქ *о*) შეიცვალა იმდენად, რომ მივიღეთ სხვა ფონემა (აქ *а*). ამავე სიტყვის სხვა ფორმაში მეორე ფონემატური ცვლილებაც გვაქვს: *сталаѣ*, სადაც *а*-ს წინ მოხვედრის გამო ფონემა *л* (მაგარი) იცვალა სხვა ფონემად (რბილ *л'*-დ). აგრეთვე სიტყვაში *трынѣ* 'მილი' გვაქვს *н*, მაგრამ *трынка*-ში წარმოითქმის *п* (*трыпка* 'მილაკი') შედარებები: *стол* — *столѣ* — *столѣ*, *трынѣ* (*трынѣ*, *трыны...*) — *трынка* (*трыпка*) — არკვევს, რომ *о* იცვლება *а*-დ, *л* — *л'*-დ, *н* — *п*-დ. ესაა თანაქამიერი ბგერათცვლილებები.

ძველი რუსული ენის ძეგლებში ხშირად ვხვდებით რედუცირებულ (ე. წ. „ყრუ“) ხმოვნებს, რომლებიც იმ დროს გამოიხატებოდნენ *ზ* და *ხ* ნიშნებით (თუ რა ფუნქცია დაეკისრა ამ ნიშნებს იმის შევლევ, როცა ისინი დაიკარგნენ, როგორც ხმოვნები, ამის შესახებ იხ. გვ. 151, 153, 154); მაგ.: *сѣнь* 'ძილი, სიზმარი', *дѣнь* 'დღე'; *кѣто* 'ვინ'; *чѣто* 'რა'; *кѣнѣга* 'წიგნი', *отѣцѣ* (ძველად *ч* რბილი იყო, რაც აღნიშნულია *ѣ*-თი) 'მამა' და სხვა მრავალი. თუ შევადარებთ ერთმანეთს, ერთი მხრით, ამაო და, მეორე მხრით, ამავე სიტყვებს დღევანდელ დაწერილობაში, ვნახავთ, რომ *ზ* და *ხ* ხმოვნები ზოგ შემთხვევაში დაკარგულა, ხოლო ზოგში ქცეულა *о*-დ და *е*-დ: *сон* — *сна*, *ден* (*з*) (ეს *з* დაკარგულია როგორც ბგერა) — *дня*, *кто*, *что*; *книга*, *отец* — *отца*. ცვლილება უეჭველია, რაც გამოარკვია მოცემული ენის დღევანდელი მდგომარეობის შედარებამ ძველთან, ისტორიულთან.

შედარებამ ისიც გამოარკვია, რომ ცვლილება მომხდარა სრული კანონზომიერებით, სახელდობრ: როცა *ზ* და *ხ* იყვნენ ძლიერ პოზიციაში (ე. ი. სიტყვის პირველ მახვილიან მარცვალში და სიტყვის შიგნით რედუცირებული ხმოვნის შემცველი მარცვლის წინა მარცვალში),

იცვლებოდნენ სრულ ხმოვნებად—*o*-დ და *e*-დ შესაბამისად; მაგ. *сѣнь* > *сон*, *дѣнь* > *ден(ь)*; *тъпѣтъ* 'თქარა-თქური' (ცხენისა) > *тѣпѣтъ* *отъ ѹъ* > *отѣѹъ*; ხოლო იკარგებოდნენ სუსტ პოზიციაში (ე. ი. სიტყვის პირველ უმახვილო მარცვალში, სიტყვის შიგნით სრული ხმოვნის შემცველი მარცვლის წინა მარცვალში და სიტყვის ბოლოში); მაგ.: *кѣтъ* > *кто*, *чѣтъ* > *что*; *кнѣга* > *кнѣга*, *мнѣго* > *много*, *въчерѣ* 'გუშინ' > *вчѣра*; *лодѣка* 'ნავი' > *лодка*, *тъмнѣ* 'ბნელა' > *темнѣ*; *сѣнь* > *сон*, *дѣнь* > *день*.

დღევანდელ რუსულ ენაში მრავალია *y*-ს შემცველი სიტყვა; მაგ.: *ѹхо* 'ყური', *лѹч* 'სხივი', *купѣтъ* 'ყიდვა', *ѹзкѣ* 'ვიწრო', *дѹгѣ* 'რკალი', *зѹб* 'კბილი' და სხვა მრავალი. მაგრამ საკმარისია შევადაროთ ეს სიტყვები რუსულის ახლო მონათესავე სლავურ ენათა იმავე წარმოშობის სიტყვებს, რომ დავრწმუნდეთ ამ ერთი *y*-ს ორ სხვადასხვა წარმოშობაში:

რუს. *ѹхо* || ძვ. სლავ. *оухо* (*оу = y*) || პოლ. და ჩეხ. *ucho* || სერბ. *ѹхо* || ბულგ. *ухѣ*.

რუს. *лѹч* || ძვ. სლავ. *лоуча, лучь* || პოლონ. *luczywo* 'კვარი' || ჩეხ.

*louč* 'კვარი' || სერბ. *лѹча*, ბულგ. *лучѣ*.

რუს. *купѣтъ* || ძვ. სლავ. *коупити* || პოლონ. *kupic* || ჩეხ. *kou-  
piti* || სერბ. *кѹпити*.

მაგრამ: რუს. *ѹзкѣ* || ძვ. სლავ. *ѡзъкъ* (*ѡ*-ს ჰქვია დიდი იუსი და ბგერითად წარმოადგენს ცხვირისეულ *o*-ს) || პოლონ. *wazki* (*a* გამოხატავს იმავე ცხვირისეულ *o*-ს); სერბ. და ბულგარულში ეს *y* წარმოადგენილია არაცხვირისეულით, ისე როგორც რუსულში.

რუს. *дѹгѣ* || ძვ. სლავ. *дѡга* || პოლონ. *dega* (*e* ცხვირისეული *e* არის) ან *dega* 'ცისარტყელა'; სერბ. და ბულგარულში არაცხვირისეული ხმოვნებია ამ რუს. *y*-ს შესატყვისად.

რუს. *зѹб* || ძვ. სლავ. *зѡбъ* || პოლონ. *zab*; სხვებში არაცხვირისეულია.

ამ შედარებებიდან ვასკვნით, რომ პირველი რუს. *y* საერთოა ყველა სლავური ენისათვის, ხოლო მეორე *y* წარმოქმნილია ცხვირისეული *o*-საგან, რომელიც შერჩენილია ძველ სლავურსა და დღევანდელ პოლონურში.

ამგვარივე შედარებით შეგვიძლია დავადგინოთ, რომ რუსული ენის ზოგიერთი *a*, რომელსაც წინ უძღვის რბილი თანხმოვანი (მაგ., *пѣтъ*—წარმოითქმის *п'ar'* || ძვ. სლავ. *пѡтъ* || პოლონ. *piec'*) ან *j* (მაგ., *языкъ* 'ენა'—წარმოითქმის *язык*, *язык* || ძვ. სლ. *—языкъ* || პოლონ. *jezyk*), წარმოქმნილია ცხვირისეული *a*-საგან (ძველი სლავურის *o* ნიშანს ჰქვია პატარა იუსი და ბგერითად წარმოადგენს ცხვირისეულ *e*-ს; *—o* არის ცხვირისეული იოტიანი ე).

აქაც, როგორც ზემოვანხილულ ყველა შემთხვევაში, დასტურდება ბგერათცვლილების კანონზომიერება.

## 2. შონეჯიკური კანონი

ბგერათცვლილებების განხილვამ დაგვარწმუნა, რომ ენის ბგერითი მხარე დროთა განმავლობაში იცვლება გარკვეული კანონზომიერებით. მაგ., ძველი ქართულის ჳ იცვალა ხ-დ ქართული ენის დიალექტთა უმრავლესობაში; იმ დიალექტებში, სადაც ეს ცვლილება მოხდა, არ დარჩენილა არც ერთი სიტყვა, რომელშიც ყოფილიყოს ძველად ჳ და იგი ხ-დ არ ქცეულიყოს.

არა მხოლოდ ისტორიული, არამედ თანამედროვე ბგერათცვლილებაც კანონზომიერია; მაგ., ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა (და სუბ. პრეფ. მეორე პირისა) წინაენისმიერ ჩქაძიერთა წინ გვევლინება მხოლოდ ხ-ს სახით, ხოლო დანარჩენ თანხმოვანთა წინ იმავე დროს მხოლოდ ჰ-ს სახით (რაც ფონეტიკურად წარმოადგენს ფშეინვიერ შემართვას, იხ. გვ. 105). ყრუ თანხმოვანი მომდევნო მელერი თანხმოვნის წინ მელერდება და ა. შ.

ბგერათცვლილების ასეთი და უამრავი სხვა კანონზომიერება სუფევს როგორც ქართულში, ისე ყოველ სხვა ენაში. ჳ > ხ-ს კანონზომიერება იმაში გამოიხატება, რომ იგი საყოველთაოა მოცემულ ენობრივ ერთეულში; ხ || ჰ-ს დიფერენცირებული გამოყენება პრეფიქსად ქართულ ზმნებში განპირობებულია ბგერათმეზობლობით; აგრეთვე ყრუ თანხმოვნის გამქლერება და ა. შ.

რამდენადაც კანონზომიერება არის კანონთა ერთობლიობა, ამდენად ფონეტიკური კანონის არსებობა არ უნდა იწვევდეს დავას. ამის მიუხედავად, საკამათოდაა ქცეული, მეცხრამეტე საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული, საკითხი ფონეტიკური კანონის არსებობის შესახებ: მწვავესა და ხანგრძლივ დავას ჰქონდა ადგილი იმის შესახებ, არსებობს თუ არა ფონეტიკური კანონი და, თუ არსებობს, უგამონაკლისა იგი თუ არა.

ზოგიერთი გაუგებრობა ამ საკითხში გამოიწვია ტერმინ კანონის სხვადასხვაგვარმა გაგებამ. მეცნიერულ (ამ შემთხვევაში ფონეტიკურ) კანონს არ შეიძლება, რა თქმა უნდა, ჰქონდეს ის იმპერატიული ძალა, როგორც აქვს იურიდიკულ სახელმწიფოებრივ კანონს. იურიდიკული და მეცნიერული კანონები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან როგორც წარმოშობით, ისე მიზანდასახულობით: პირველი წარმოადგენს დადგენილ წესს ადამიანთა ურთიერთობის რეგულირების მიზნით, ხოლო მეორე არის დაკვირვების შედეგად მიღებული დასკვნა დებულების სახით მოვლენათა ერთმანეთთან მიმართების შესახებ.

მაგ., ჳ-სა და ხ-ს ურთიერთ ისტორიული მიმართების შესახებ დებულება აბსოლუტური ხასიათისაა და ამდენად ეს დებულება მეცნიერულ (აქ ფონეტიკურ) კანონს წარმოადგენს.

მაგრამ „მოკლენები კანონზე მდიდარია“ (ლენინი). მაგ., დებულება ს II 3 პრეფიქსების დიფერენცირებული გამოყენების შესახებ უკვე იმიტომ არაა აბსოლუტური ხასიათის, რომ იგი შეეხება ქართული ენის განვითარების მხოლოდ გარკვეულ მონაკვეთს (ძველი ქართული-სას), და უკვე ძველ ქართულში ეყარებოდა მას ძალა; დღეს კი იგი აღარ მოქმედებს; მეტიც შეიძლება ითქვას: რადგან არსებობდა ძველ ქართულში სიტყვა მსგავსი (ს-თი გ-ს წინ)<sup>1</sup>, რომელმაც გადანაშთის სახით დღემდე მოაღწია (ზ-თი), თვით ძველ ქართულში არ ჰქონია ამ დებულებას აბსოლუტური ძალა. ეს ჩანს აგრეთვე იმაში, რომ ჰ-მ და-კარგა ფონემურობა თანხმოვნების წინ და იქცა მათ ფშვინვიერ შემართვად. თუ ამას დაუმატებთ, რომ პრეფიქსი ს გვევლინება კიდევ სამი სხვა სახით (ზ, შ — უ; ზდ-, შჩ— უჯ-); დავრწმუნდებით, რომ მოკლენა, კემმარიტად, კანონზე მდიდარია.

ვ > ხ-ს კანონი მარტივია და უეჭველი. მაგრამ სირთულე არ გამოიწვხავს მეცნიერულ კანონზომიერებას: ს II 3-ს კანონი რთულია, მაგრამ, ის ნაინც რჩება სახელმძღვანელო წესად, რომელსაც შეგვიძლია ფონეტიკური კანონი ვუწოდოთ.

ბევრი რამ დაწერილა ფონეტიკური კანონებისა და მათი უგამონაკლისობისა თუ გამონაკლისიანობის შესახებ—მეტწილად პოლემიკური ხასიათისა.

თავდაპირველად ასე მკაფიოდ, მაგრამ გამომწვევად გამოითქვა უგამონაკლისობის დებულება:

1. „ბგერათკანონები მოქმედებენ უგამონაკლისოდ“, რასაც ასეთი ფორმულირება მიეცა შემდეგ:

2. „ბგერათცვლილება მიმდინარეობს უგამონაკლისო კანონებისამებრ“.

პირველ ხანებშივე ეს დებულება წარმოდგენილ იქნა უფრო გაშლილი სახით:

3. „ყოველი ბგერათცვლილება, რამდენადაც იგი წარმოიქმნება მექანიკურად, მიმდინარეობს უგამონაკლისო კანონებისამებრ, ე. ი. ენობრივი კოლექტივის ყველა მონაწილის ბგერათმოდრობის მიმართულება მუდამ ერთნაირია—იმ შემთხვევის გარდა, როცა ადგილი აქვს დიალექტებად დაშლას, და ცვლილება უგამონაკლისოდ მოედება ხოლმე ყოველ სიტყვას, რომელშიც კი არის ცვლილებაგანცდილი ბგერა ერთნაირ პირობებში“.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ყველაზე ნაკლებად ანგარიშგასაწევს მკვახედ გამოთქმულ დებულებას:

<sup>1</sup> აკად. არნ. ჩიქობავამ მიმითითა ძველ ქართულში აგრეთვე მსგავს-ის არსებობაზე.

4. „ფონეტიკური კანონები მოქმედებენ ბრმად, ბრმა აუცილებლობით“ (90-იანი წლები), საბოლოოდ, ცხარე კამათის შემდეგ, ასეთი სახე მიეცა, უგამონაკლისობის ფორმულას:

5. „ბგერათკანონები, ბუნების კანონების მსგავსად, მოქმედებენ უგამონაკლისოდ, თუ მათ არ არღვევენ სხვა კანონები ან ხელისშემშლელი ცალკეული მიზეზები“.

ამ დებულებათა საერთო ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ მხედველობაშია მიღებული მეტყველების მხოლოდ არტიკულაციური მხარე და ამით გამორიცხულია სემანტიკური (მეტადრე აშკარადაა ეს გამოთქმული მეოთხე ფორმულაში); ე. ი., ამ დებულებათა მიხედვით, ფონეტიკური ცვლილებები არაა დამოკიდებული იმ სიტყვათა მნიშვნელობაზე, რომლებშიც ფონეტიკური ცვლილება ხდება.

მათგან მაინც გამოირჩევა მეხუთე; გამოირჩევა იმით, რომ იგი მეტ-ნაკლებად ითვალისწინებს სხვა მომენტებსაც. მართალია, ამ დებულებითაც ფონეტიკური კანონები გათანასწორებულია ბუნების კანონებთან („ბუნების კანონების მსგავსად“), რაც უმართებულოა სამეტყველო ბგერის სოციალურობის გამო, მაგრამ გამოთქმაში „...თუ მათ არ არღვევენ სხვა კანონები ან ხელისშემშლელი ცალკეული მიზეზები“ შეიძლება კაცმა იგულისხმოს სიტყვის სემანტიკური მხარეც; კერძოდ, ანალოგიის მოქმედება, რომელსაც გადაქარბებით დიდ როლს ანიჭებდნენ (მეტადრე გრამატიკულ ანალოგიას, შინაგანს და გარეგანს, პრობორციულ ანალოგიას და სხვ.) ამ დებულების დამცველნი, მეტყველების ელემენტების სემანტიკურ მხარესაც შეიცავს.

ფონეტიკური კანონის მოქმედების უგამონაკლისობის დებულება ითვალისწინებს: 1. ანალოგიის მოქმედებას, 2. სხვა ფონეტიკური კანონის ჩარევასა და 3. უცხოური ენიდან ლექსიკის ნასესხებობას, რომელთაც შეუძლიათ დაარღვიონ ფონეტიკური კანონის უგამონაკლისო მოქმედება. განვიხილოთ ესენი ცალ-ცალკე.

### ფონეტიკური ანალოგიის მოქმედება

ფონეტიკური ანალოგია რომ ფონეტიკური კანონის მართებულად რეალიზებას ხელს უშლის, ჩანს, მაგ., დადეჟი-ში (იხ. ზემოთ გვ. 231): დადეჟ < დადეგ ფონეტიკური კანონისამებრათ („სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მქდერი ჩქამიერი თანხმოვანი ყრუედება“), მაგრამ დადეჟი-ში ფონეტიკური კანონი დარღვეულია, რამდენადაც ქ ბოლოში არ მოექცა. მაგრამ მაინც ყრუა. ანალოგიისავე მოქმედების შედეგია დაფჟეჟი, დაფწეჟი, რომლებშიც ქ არ შეიძლებოდა განვითარებულიყო ფონეტიკურად ანუ ფონეტიკური კანონისამებრ.

ფონეტიკური ანალოგიის მოქმედების ასეთსავე ნიმუშს წარმოადგენს რუსულში, მაგ.: несть, სადაც წ არაა ფონეტიკური განვითარე-

ბის შედეგი (იხ. გვ. 231 — 233) და, მაშასადამე, ფონეტიკური კანონი („მახვილიანი e გადადის ზ-ში მომდევნო მაგარი თანხმოვნის წინ“), რომელიც დაკუთვნილია, მაგ., მესტ-ში, ირლვევა მესტე-ში ფონეტიკური ანალოგიის მოქმედებით.

ფონეტიკური კანონის დარღვევის ახსნა ფონეტიკური ანალოგიის ასეთი მოქმედებით სრულიად მართებულია; მაგრამ ამ შემთხვევებში მოქმედებს ნეიტრალური ანალოგია, რომელიც, როგორც ითქვა (გვ. 231), არაა დაკავშირებული სიტყვის (ან სიტყვის ფორმის) მნიშვნელობასთან და ამდენად იგი მექანიკურია.

ამასთანავე გვაქვს მრავალი შემთხვევა, როცა მოქმედებს ფუნქციონალური ან მაღიფერენცირებელი ანალოგია (იხ. იქვე), რომელიც დაკავშირებულია სიტყვის ან ფორმის მნიშვნელობასთან და წარმართავს ფონეტიკურ ცვლილებას.

ფუნქციონალური ანალოგიის არსებობის ფაქტი არღვევს უგამონაკლისობის დებულებას იმ ნაწილში, რომელიც გამორიცხავს ფონეტიკურ ცვლილებას სიტყვის (ან ფორმის) მნიშვნელობასთან დაკავშირებით (იხ. ზემოთ დებულება მესამე გვ. 242).

ფუნქციონალური ანალოგიის მოქმედების ნიმუშები:

ფონეტიკური რედუქციის კანონის (გვ. 214 და შემდ.) ძალით ქართულში სიტყვა თვალი ფუძეკუმშვადია: თვალი — თვ-ლის (ურმის თვლის); მაგრამ ეს ფონეტიკური კანონი დარღვეულია ფუნქციონალური ანალოგიის მოქმედებით, სახელდობრ, სიტყვის მნიშვნელობის სადიფერენციაციოდ: თვალი — თვალის (თვალის სინათლე): ფონეტიკურ ცვლილებას წარმართავს სემანტიკა.

ფუნქციონალური ანალოგიის მოქმედება გვექნება მაშინაც, თუ თვალ-ს ჩავთვლიდით იმთავითვე უკუმშველ ფუძედ: მაშინ სადიფერენციაციო დანიშნულება მიეწერებოდა ფუძის შეკუმშვას.

ფუნქციონალური ფონეტიკური ანალოგიის ნიმუშს წარმოადგენს პირველადს ზმნისართებში (სად, მარად, ფრად) დ-ს დაკულობა, ხოლო ნავენებითარებში (კარგა, მაგრა, ახლა) მისი (თ-დ ქცევა და შემდეგ) დაკარგვა: ფონეტიკური კანონის („მეღერი ჩქამიერი ყრუვდება სიტყვის ბოლოში“) დარღვევა გვაქვს პირველადს ზმნისართებში. მეორე მხრით, ასეთივე ანალოგიის მოქმედებას ვხედავთ დაპირისპირებებში: კარგათ — კარგა, მაგრათ — მაგრა, ახლათ — ახლა. აქ დარღვეულია ფონეტიკური კანონი („სიტყვის ბოლოში დაკუთვნილია ვნებითის დ > თ: კაცათ, თეთრათ, კარგათ“) სიტყვათა მხოლოდ გარკვეულ გრამატიკულ კატეგორიაში, სახელდობრ, მეორადს (ნავენებითარ) ზმნისართებში — ისე როგორც პირველებში (სად და სხვ.).

ორივე შემთხვევაში ფონეტიკურ ვითარებას (დაკულობას თუ დაკარგვას) წარმართავს ფუნქციონალური ანალოგიის მოქმედება და, მაშა-

ზადამე, სემანტიკა (აქ არა სიტყვის, არამედ გრამატიკული კატეგორიის, ფორმის სემანტიკა).

როგორც ზემოთ (გვ. 230) იყო ნათქვამი, სვანურში (ლენტეხ.) სიტყვის ბოლოში -დ იცვლება -ტ-დ (აკვად > აკვატ), მაგრამ ეს ფონეტიკური კანონი ირღვევა, თუ ეს -დ წარმოადგენს ვითარებითის (ქორ-დ 'სახლად', დინა-დ 'ქილიშვილად') ან ზმნის 1 და 2 პირის დაბოლოებას (მაგ., ხჭარიდ 'ვართ', ხარიდ 'ხართ'), ცხადია, იმიტომ, რომ ამ დ-სთან დაკავშირებულია გარკვეული ფორმის მნიშვნელობა. აქაც, მაშასადამე, გვაქვს ფუნქციონალური ანალოგიის მოქმედება, და წამყვანია სემანტიკა.

რუსულიდან ფუნქციონალური ანალოგიის ნიმუშია, მაგ., ზმნის მესამე პირის ტხ დაბოლოების გამაგრებასთან დაკავშირებული ვითარება: ძველ რუსულში იყო *ведѣтъ* 'მიპყავს', *ведѣтъ* 'მიპყავთ'; მეცამეტე საუკუნიდან დადასტურებულია *ведет(ь)*, *ведут(ь)*—ისე როგორც დღესა გვაქვს. სხვა შემთხვევებში -тъ (ე. ი. т') არ გამაგრებულა; არც ინფინიტივში (*писѣтъ* 'წერა', *ходѣтъ* 'სვლა'), არც არსებით სახელებში (*кость* 'ძვალი', *путь* 'გზა'). როგორც ჩანს, ეს ფონეტიკური ცვლილება მოედო მხოლოდ მესამე პირს და დაუკავშირდა მას ფუნქციონალური ანალოგიის ძალით. ის გარემოება, რომ არსებით სახელებში (*кость* და სხვ.) т-ს სილბო დატული იყო სხვა ფორმებით (*кѣсти*, *кѣстѣи* და სხვ.), მესამე პირში კი არაა, ჩვენი დებულების საწინააღმდეგოდ არ გამოდგება, რადგანაც ინფინიტივშიც (*писать*, *ходить*) დატულია -тъ, მაგრამ გამაგრება მისი არ მომხდარა.

უკანასკნელ, მოვიყვანთ ინგლისურიდან ერთ ნიმუშს, სადაც კარგად ჩანს, საერთოდ, სემანტიკის წამყვანი როლი ფონეტიკურ ცვლილებაში:

ცნობილია, რომ ინგლისურში ყრუ ხშული ხმოვნის წინ წარმოითქმის უფრო მეტი ფშვინვიერობით, ვიდრე სიტყვის ბოლოში. მაგ., *pipe*-ში (წარმოითქმის *paip*) 'მილი' პირველი *p* მეტად ფშვინვიერია, ვიდრე ბოლოში; *tempt*-ში (*teint*) 'შეცდენა' პირველი *t* მეტად ფშვინვიერია, ვიდრე მეორე და ა. შ. ინგლისური *at all* 'საერთოდ' ერთ სიტყვადაა გაგებული, და მასში *t*, როგორც ერთ სიტყვაში ხმოვნის წინ მდგომი, მეტად ფშვინვიერია, ვიდრე *at all events*-ში 'ყოველ შემთხვევაში', სადაც *at* ცალკე სიტყვადაა გაგებული, და *t* სიტყვის ბოლოში ექცევა (დესპერსენ).

### სხვა ფონეტიკური კანონის ჩარევა

ზემოხსენებული ფონეტიკური კანონი ხ || ზ პრეფიქსების დიფერენცირებული გამოყენების შესახებ უფრო რთულია, ვიდრე პ > ხ-ს ფონეტიკური კანონი; რთულია იმიტომ, რომ მის მოქმედებას წინ ელობოდა ორი სხვა ფონეტიკური კანონი; ესენია: 1. „ხ, როგორც ჩქაშიერი ყრუ თანხმოვანი, მეღერდება მომღვენო მეღერი ჩქამიერის წინ“

(ამ კანონის ძალითაა, რომ ს || ჰ მოგვევლინება ხოლმე ზოგჯერ ზ || ჰ-ს სახით: გახდის > გაზღდის || ჰკითხავს);

2. „ს—ზ, როგორც სისინა თანხმოვნები, იქცევიან შიშინა თანხმოვნებად მომდევნო შიშინას წინ“ (ამ კანონის თანახმად, ს || ჰ მოგვევლინება შ || ჰ-ს სახით: მოშკრის || ჰკითხავს, ხოლო ზ || ჰ—ც || ჰ-ს სახით: მიუფჯის || ჰკითხავს).

ამას შეიძლება დავუმატოთ მესამე ფონეტიკური კანონი: „ჰ თანხმოვანი კარგავს ფონემურობას (ე. ი. დამოუკიდებელი სამეტყველო ბგერის ხასიათს) და იქცევა მომდევნო ჩქამიერი თანხმოვნის ფშვინვიერ-შემართვად“ (ამ კანონის ძალით, ჰკ—ჰქ—ჰგ-ში გვაქვს არა ორ-ორი თანხმოვანი, არამედ თითო ფშვინვიერ-შემართვიანი, და ს || ჰ გვევლინება ს || ნული-ს სახით, ან კიდევ უფრო რთული სახით „ს—ზ, შ—ც, ჯ || ნული“-ს სახით).

ამითაა გამოწვეული ს || ჰ პრეფიქსის კანონის სირთულე: მის რეალიზაციაში ჩაერთა სამი სხვა ფონეტიკური კანონი. მაგრამ ეს არ გაზორიციხავს ს || ჰ-ს კანონის წარმოდგენას, როგორც კანონზომიერი ფონეტიკური მოვლენისას.

სხვა ფონეტიკური კანონის ჩარევით აიხსნა აგრეთვე ის „გამონაკლისი“, რომელიც აღმოაჩნდა თანხმოვანთა გადაწევის ფონეტიკურ კანონს (იხ. გვ. 216 და შემდ.).

## უცხოური ენიდან ლექსიკის ნასესხებობა

უცხოური ლექსიკა ყოველ ენაშია მეტ-ნაკლებად, რადგანაც არ არსებობს ისეთი ენა, რომლას მატარებელთაც არ ჰქონოდეთ, თავისი ენის არსებობის მანძილზე, მეტ-ნაკლები კულტურული ურთიერთობა სხვა ენაზე მეტყველ ხალხთან.

რადგანაც ცნობილია, რომ ორი ენის ბგერათა სისტემა მუდამ განსხვავებულია ერთმანეთისაგან, საერთოდ, ხოლო მათი ცალკეული ბგერები მეტწილად არ ემთხვევიან ერთმანეთს, ამიტომ ისმება საკითხი: აქვს თუ არა ნასესხებ ლექსიკას რაიმე მნიშვნელობა მოცემული ენის ბგერათა სისტემისათვის, საერთოდ, ხოლო მისი ბგერითი შედგენილობისათვის, კერძოდ? თუ აქვს, რას შესძენს ახალს ამ ფაქტის დადასტურება ჩვენს მსჯელობას ფონეტიკური კანონის გამოუნაკლისობის საკითხზე?

ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ, ჩვენი აზრით, მხოლოდ ნასესხებობას — რა ოდენობისაც არ უნდა იყოს იგი — არ შეუძლია რაიმე ცვლილება შეიტანოს მსესხებელი ენის ბგერათსისტემაში, თუ ლექსიკის სესხება მიმდინარეობს ორენოვნობის გარეშე, ე. ი. თუ მსესხებელი ხალხი არ მეტყველებს იმ ენაზეც, რომლისაგანაც სესხულობს, ისევე კარგად, როგორც მშობლიურზე.



ორენოვნობის პირობებში კი უცხოური (აქ, მაშასადამე, მეორე „მშობლიური“) ენის შემთვისებელ ხალხს, ზართლაც, ეცვლება წარმოთქმა ლექსიკის დიდი რაოდენობით სესხების უმისოდაც. ამის საესებით დამარწმუნებელ ნიმუშს წარმოადგენს ფონეტიკურად გაკავასიურებული ორი ენა—ოსური და სომხური, რომლებშიც კავასიურ ენათა ლექსიკა არც ისე დიდია, მაგრამ ბგერათსისტემა მათი საერთოდ კავასიურია, მეტადრე ხშულთა სისტემის მხრივ.

ორი ენის ურთიერთობა ერთმანეთზე ფონეტიკური გავლენის მხრივ გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე აქ შეიძლება ამაზე ლაპარაკი. აღვნიშნავ ნხოლოდ შემდეგს:

ორენოვნობის შემთხვევაში (ე. ი. როდესაც ამა თუ იმ ხალხს აქვს ორი „მშობლიური“ ენა) უცხოური ანუ მეორე „მშობლიური“ ენა შემთვისებლის მიერ განიცდება ყოველთვის რაიმე მხრივ უპირატესობის მქონედ; ამის საბუთია ის ფაქტი, რომ ორენოვნობა, როგორც წესი, ცალმხრივია: მეორე ხალხისათვის პირველის (ე. ი. შემთვისებლის) ენა არაა „მშობლიური“; მაგ., საქართველოში (სამხრეთ-ოსეთში) ოსობამ, ჩვეულებრივ, იცის ქართულიც, ხოლო ქართველობამ იწაფე ოსთა სოფლებში ოსური, ჩვეულებრივ, არ იცის; ანალოგიურია სომხობის დამოკიდებულება ქართლისადმი და ქართველობისა სომხურისადმი ჩვენში.

ან ფაქტს იმიტომ აქვს მნიშვნელობა ენის ენაზე გავლენისათვის, რომ მეორე ენის უპირატესობის გრძნობა განაწყობს შემთვისებელს ერთგვარი მიზანძვისადმი— შეგნებულად თუ შეუგნებულად, რაც გავლენის ერთ-ერთი ძლიერი ფაქტორთაგანია, კერძოდ ფონეტიკის მხრივ.

ეს იმ შემთხვევაში, როცა მეორე ენის შემთვისებელ ხალხს არ სურს დაივიწყოს თავისი საკუთარი ენა.

მაგრამ ხშირია ისტორიაში შემთხვევები, როცა ერთი ხალხი ცდილობს—ნებით თუ უნებლიედ—მეორე ენით შესცვალოს მშობლიური და თავისი ენა დაივიწყოს. ასეთ პირობებში გავლენა კიდევ უფრო მეტია ფონეტიკური თვალსაზრისით, პირველ შემთხვევაში. ჩვეულებრივ ხდება ხოლმე ორი საარტიკულაციო ბაზისის მეტ-ნაკლები შერევა, რამდენადაც ყოველ მეტყველს აქვს ორი საარტიკულაციო ბაზისი. მეორე შემთხვევაში კი ხდება ერთი საარტიკულაციო ბაზისის თანდათანობითი შეცვლა მეორით. თაობათა რიგის მიერ ასეთი შეცვლის პროცესში მნიშვნელოვან ცვლილებას განიცდის შემთვისებლის წარმოთქმა—იქამდე, რომ თაობა შესაძლოა მეტყველებდეს თავის ენაზე სხვა ენის საარტიკულაციო ბაზისით (იმის ნიმუშად, თუ როგორ შეიძლება ეს ხდებოდეს, გამოდგება ქართველი ძველი თაობის ინტელიგენტის რუსულაქცენტიანი მეტყველება).

მეორე მხრივ, შესაძლებელია ძლიერი ფონეტიკური ცვლილება განიცადოს თვით შეთვისებულმა ენამ შემთვისებლის წარმოთქმაში, როცა შემთვისებელი ხალხი ხდება მემკვიდრე შეთვისებული ენისა, რომლის

პირვანდელი მატარებელი გადაშენდება ხოლმე. ამის ნიმუშია რომანული ენები იტალიის გარეთ, კერძოდ, ფრანგული, რომლის უძველესი პერიოდი წარმოადგენს ხალხურ ლათინურს კელტური მოსახლეობის წარმოთქმაში.

არც სომხურში და არც ოსურში, როგორც ინდოევროპულ ენებში, არ იყო მოსალოდნელი ხშულ თანხმოვანთა სამეულბრივი სისტემა და, ნით უფრო, ოთხეულბრივი; ასეთი სისტემის შესვლა მათში შესაძლებელი იყო მხოლოდ ორენოვნობის პირობებში, როცა ამ ხალხთა ერთ-ერთი მშობლიური ენა იყო რომელიღაც კავკასიური ენა.

რა თქმა უნდა, ცალკეული უცხოური ბგერის შესვლაც არაა გამორიცხული მოცემულ ენაში, მაგრამ იგი ვერ დამკვიდრდება მასში, თუ მას არ დაემთხვა იდენტური ბგერის განვითარება თვით შემთვისებელ ენაში.

ამის მშვენიერი ნიმუში მოჰყავს სეპირს (რუს. თარგმანი Язык. Введение в изучение речи, 1934, გვ. 155): მეთოთხმეტე საუკუნეში შედის ინგლისურში *y* (ii) ფრანგულიდან ნასესხებ სიტყვებში, მაგ., *value* 'ღირებულება', *nature* 'ბუნება'; მაგრამ მალე იგი გადაიქცა *iu* დიფთონგად, შემდეგ *ju*-დ (=რუს. *ю*-ს).

მაშასადამე, *y*-მ ვერ გაძლო ინგლისურში, რადგანაც იგი არ დაემთხვა მსგავსი ბგერის განვითარებას თვით ინგლისურში.

შემოსული უცხოური ბგერის დამკვიდრების ნიმუშია, მაგ., რუსულის *ф* და ქართულის *ჟ* (იხ. გვ. 188 და შემდ.). მათი დამკვიდრება ამ ენებში შესაძლებელი იყო მხოლოდ იმიტომ, რომ იგი დაემთხვა თვით რუსულსა და ქართულში იდენტური ბგერების განვითარების პროცესს.

რაც შეეხება ისეთი სიტყვების სესხებას, რომლებიც შეიცავენ მოცემულ ენაში არარსებულ ბგერებს, მათში ადგილი აქვს ბგერათანაცვლებას ანუ სუბსტიტუციას (იხ. გვ. 225 და შემდ.), ე. ი. უცხოურ ბგერას ნასესხებ სიტყვაში ჩაენაცვლება ხოლმე მოცემული ენის ყველაზე ფიზიოლოგიურად ან აკუსტიკურად ახლო ბგერა. საყურადღებოა, რომ ყოველ სიტყვაში, რომელშიც კი არის უცხოური ბგერა, ჩანაცვლება ხდება მსესხებელი ენის მხოლოდ ერთი და იმავე ბგერით. ამ წესმა (ფონეტიკურმა კანონმა) გამონაკლისი არ იცის (ნიმუშები იხ. იქვე). ხოლო იმის შემდეგ, რაც რომ მოხდა უცხოური ბგერის ჩანაცვლება მშობლიურით, მთელი სიტყვა შედის ამ ენის ლექსიკაში სხვა სიტყვათა მარაგის გვერდით, ასე ვთქვათ, ნატურალიზირდება იგი და ყველა თავისი ბგერით ემორჩილება ამ ენის ფონეტიკური განვითარების იმ კანონებს, რომლებიც კი განაგრძობენ თავის მოქმედებას (იხ. ქვემოთ), თუ მათ მოქმედებას ხელს არ უშლის სალიტერატურო ენის ნორმები, ერთი მხრით, და ანალოგიის მოქმედება, მეორე მხრით.

ამდენად არა ყოველი ნასესხებობა სცვლის მსესხებელი ენის ბგე-

რათსიტემას, და ნასესხები სიტყვები არ ჰქმნიან რაიმე გამონაკლისს ფონეტიკური კანონიდან.

ამ უკანასკნელი დებულების საილუსტრაციოდ გამოდგება, მაგ., ძველი ქართულიდან ახალ ქართულში შემოსული აღ- ზმნისწინის ვითარება. ძველი ქართულის აღ-ს შეესატყვისება ახალში ა-: აღდგომა— ადგომა. დარღვეულია თუ არა შესატყვისობა ახალ ქართულში, რომელშიც იხმარება აღდგომა? ერთი შეხედვით, თითქოს, დარღვეულია. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ახალ ქართულად მეტყველის ცნობიერებაში „აღდგომა“ აღარაა დაკავშირებული დგომა ფუძესთან, არამედ წარმოადგენს ყოფილი რელიგიური დღესასწაულის სახელწოდებას, გასაგები იქნება, თუ რატომაა მასში დატული ლ: აღ- აღარაა ზმნისწინის ელემენტი, იგი სიტყვის გრამატიკულად უფუნქციო ბგერაა. რომ ეს ასეა, ჩანს იმ ბგერათცვლილებიდან, რომელიც ამ სიტყვამ განიცადა ცოცხალ დიალექტებში: ამბობენ აღდგომა-ს.

ამასვე ადასტურებს რუს. крест 'ჯვარი' (ხალხური крѣст) და хѣно 'ცა' (хѣно 'სასა').

ე крест და хѣно-ში (და მრავალ მისთანებში), როგორც ძველი სლავურიდან შემოსულ სიტყვებში, მიაჩნიათ გამონაკლისად იმ ფონეტიკური კანონიდან, რომლის თანახმად ასეთ პირობებში ე უნდა ქცეულიყო ზ-დ (იხ. ზემოთ გვ. 233). რელიგიამ სალიტერატურო ენის გზით თითქოს განამტკიცა, ფონეტიკური კანონის წინააღმდეგ, ამ სიტყვებში ე. სინამდვილეში (ხალხურში) გვაქვს крѣст და მისგან ნაწარმოებში (უკვე სალიტერატუროშიც) крѣстѣнѣи (отѣцъ) 'ნათლია'.

რაც შეეხება ხენი-ს, აქ, ხსენებულ ფაქტორთან ერთად, ე განამტკიცა სემანტიკურმა ფაქტორმა: ცოცხალ წარმოთქმაში ე > ზ (хѣно 'სასა'), მაგრამ ხენი-ში 'ცის' მნიშვნელობით განმტკიცდა ე ხენი-საგან: სადიფერენციაციოდ. ესაა ანალოგიის მოქმედების ერთ-ერთი სახე.

### 3. ფონეტიკური კანონის მოქმედების პირობები

#### ბგერათცვლილება არაცნობიერი

სამეტყველო ორგანოთა საწარმოთქმო მოძრაობები ისეთივე ავტომატიზებული პროცესია, როგორც ყოველი სხვა მიზანშეწონილად კოორდინირებული მოძრაობები (სიარული, ცურვა, წერა და სხვ.), რომლებსაც ბავშვი ეჩვევა თანდათანობით. ამიტომ საწარმოთქმო მოძრაობებში ნორმალურ ცოცხალ მეტყველებაში სრულდება ცნობიერების გარეშე.

ყოველი სამეტყველო წარმოთქმა — ცალკეული ბგერა იქნება ის (როცა სიტყვა ერთი ბგერისაგან შედგება) თუ ბგერათშეერთება სიტყვაში — გაუცნობიერებელია.

რადგანაც, როგორც ვიცით, ყოველი სამეტყველო წარმოთქმა წარმოადგენს, იმავე დროს, ბგერათცვლილებას (იხ. გვ. 184 და შემდ.),

ამიტომ ბგერათცვლილებაც გაუცნობიერებელი მოვლენაა. ცნობილია, რომ, მაგ., ბავშვი ვერ ამჩნევს თავის წარმოთქმის ნაკლს. როგორც წესი, დამთავრებულ მეტყველებიან მოზრდილსაც არა აქვს, ჩვეულებრივ, შეცნობილი თავისი ნორმალური წარმოთქმის ცალკეული ელემენტები; იგი ამჩნევს (გაიცნობიერებს) მას მხოლოდ არასწორი წარმოთქმის შემთხვევაში: თავისივე წაცდენისას ან სხვისი მცდარი წარმოთქმის გაგონებისას.

ბგერათწარმოთქმისა და ბგერათცვლილების ავტომატიზმი უძველესადაა ფონეტიკური მოვლენის კანონზომიერებას, ფონეტიკურ კანონს.

როგორც ის ფონეტიკური მოვლენები, რომელნიც წარმოადგენენ ბგერათცვლილებებს (ასიმილაცია, დისიმილაცია, ბგერათრედუქცია და სხვა), ისევე არაფონეტიკური ფსიქოლოგიური პროცესები, რომელნიც დაკავშირებულნი არიან ბგერათცვლილებასთან (ფონეტიკური ანალოგიის მოქმედება, ფონეტიკური მოვლენის სემანტიზაცია და სხვა, იხ. თავთავის ადგილას), მიმდინარეობენ არაცნობიერად, ჩვენდა უნებურად. ამის შედეგია, საბოლოო ანგარიშში, რომ ფონეტიკური კანონი მყარია, მიუხედავად იმისა, რომ მის მოქმედებას შესაძლებელია წინ ელობებოდეს სხვა ფონეტიკური თუ არაფონეტიკური მოვლენა.

## ფონეტიკური კანონის უმზღლდულოება დროითა და ადგილით

ფონეტიკური კანონი არსებითად განსხვავდება ბუნების კანონისაგან; და განსხვავდება არა იმიტომ, როგორც ზოგიერთნი ფიქრობენ, რომ, თითქოს, ფონეტიკურ კანონში არ ჩანდეს მუდმივი თანაშეფარდება ნიზეზსა და შედეგს შორის, არამედ იმით, რომ ბუნების კანონი შეუზღლდავია, ხოლო ფონეტიკური კანონი შეზღლდულია დროითა და ადგილით, როგორც ყოველი სოციალური მოვლენა.

თუ ფონეტიკური კანონი სწორადაა დადგენილი და თუ მიგნებულია მისი დარღვევის მიზეზები, მასში კარგად ჩანს თანაშეფარდება ნიზეზსა და შედეგს შორის; მაგრამ ეს ჩანს მხოლოდ გარკვეულ დროში და გარკვეულ ადგილზე.

მაგ., ძველი ქართულის საშუალ ქართულში გადასვლის გარდამავალ პერიოდში მოქმედებდა ფონეტიკური კანონი ჳ-ს ხ-ღ ქცევისა (გარკვეულ დიალექტებში). ამ კანონმა შეწყვიტა მოქმედება უკვე საშუალ ქართულში და დღეს იგი აღარ მოქმედებს, რაც ჩანს იქიდან, რომ იგი მტკიცეა და ცული გარკვეულ დიალექტებში (ხევსურულში, ფშავეურში და სხვ.).

უძველეს ქართულში, როგორ ჩანს, მოქმედებდა ძლიერი ხმოვანთრედუქციის ფონეტიკური კანონი (იხ. გვ. 211 და შემდ.); შესუსტდა იგი უკვე ძველ ქართულში და შემდეგ შეწყდა სავსებით.

საშუალო ქართულში დაიწყო მოქმედება ფონეტიკურმა კანონმა, რომლის ძალითაც სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მქცევი ჩქამიერები ყრუვდებიან; ეს კანონი არ მოქმედებდა ძველ ქართულში.

ძველ რუსულში ж—ш და ш, ш რბილი თანხმოვნები იყო; მათგან ж—ш-ს მაგარ თანხმოვნებად ქცევის ფონეტიკური კანონი იწყებს მოქმედებას, ალბათ, XIV საუკუნიდან, ხოლო ш-ს მაგარ თანხმოვნად ქცევისა — XVI საუკუნიდან.

ყველა აღმოსავლურ სლავურ ენაში (რუსულსა, უკრაინულსა და ბელორუსულში) არსებობდა гх — кх — хх ბგერათკომპლექსები; მათგან ги — ки — хи-ში გადასვლის ფონეტიკური კანონი იწყება XII საუკუნიდან; მაგ.: ძვ. რუს. Киевъ > Киев, ძვ. რუს. гнѣхъ 'დაღუპვა' > гнѣхъ, ძვ. хытру 'ცბიერად' > хитро, ძვ. რუს. секира 'ნაჯახი' > секира და სხვა.

ინგლისურ ენაში XV საუკუნიდან იწყება ე. წ. „ხმოვანთა დიდი გადაწევის“ ფონეტიკური კანონი (the great vowel shift), რაც მდგომარეობს გრძელ ხმოვანთა დაეწროებაში, და მთავრდება, როგორც ჩანს, XVI ს-ში. მაგ., meet 'შეხვედრა' საშუალო ინგლისურში წარმოითქმოდა mi:t (გრძელი ვიწრო e-თი); ამ კანონის მოქმედებით e: > i: დღევანდელი წარმოთქმა i: (mi:t) ანის შედეგია. lead 'წაყვანა' წარმოითქმოდა საშ. ინგლ. lɛ:d (გრძელი ფართო e-თი); აქედან li:d > li:ɪ (ლი 'კეთება' საშ. ინგლ. წარმოითქმოდა li: (გრძელი ვიწრო o-თი); აქედან di: (გრძელი u-თი). ასევე boat 'ნავი' — საშ. ინგლ. bo:t (ფართო გრძელი o-თი), საიდანაც გვაქვს boat და მრავალი სხვა.

ფონეტიკური კანონის მოქმედება რომ შეზღუდულია დროით, ამის ნიმუშები მრავალია თითოეულ ენაში.

ასევეა შეზღუდული ფონეტიკური კანონის მოქმედება ადგილითაც, ე. ი. გავრცელების საზღვრებით ამა თუ იმ ენაში.

მაგ., ფონეტიკური კანონის მოქმედება ძველი ქართულის ჯ-ს გადასვლისა ზ-დ გავრცელდა ქართული ენის მხოლოდ გარკვეულ ფარგლებში — სალიტერატურო ენასა და, მეტწილად, ბარის დიალექტებში. არ გავრცელდა, მაგ., ხევსურულში, ფშავურში, მოხევურში, ქიზიყურსა და ინგილოურში და ზოგ სხვაში.

ფონეტიკური კანონი ზმნის ფუძის ე და ი ხმოვნების მაასინილირებელი (მაუმლაუტირებელი) გავლენისა ზმნისწინთა მიმართ მოქმედებს მხოლოდ ლიხს გადაღმა; გადმოღმა — არა (ან სპორადულად, იხ. გვ. 197 და შემდ.): დასავლ. წეილო — აღმოსავლ. სალიტერ. წაილო, შევიდა — მოვიდა.

ფონეტიკური კანონი „гх — кх — хх > ги — ки — хи“ (იხ. აქვე. ზემოთ) გავრცელდა მხოლოდ აღმოსავლურ სლავურებში და არა ყველა სლავურ ენაში.

ე. წ. თანხმობიანაა მეორე გადაწევა შეეხო გერმანიულ ენათაგან მხოლოდ ზემოგერმანულს (თანხმობიანა პირველი გადაწევა კი გაერ-ცულდა ყველა გერმანიულ ენაში გამოუკლებლივ: გუთურში, ინგლი-სურში, სკანდინავიის ენებში და სხვ.; იხ. გვ. 216 და შემდ.).

i (j) უმლაუტის ფონეტიკური კანონის ძლიერი მოქმედება გერ-მანულ (დოიჩლანდურ) ენაში დაიწყო ჩრდილოური დიალექტებიდან და შესუსტდა სამხრულ დიალექტთა საზღვარზე. მაგ., მოკლე u-ს უმ-ლაუტი k-ს წინ არ ხდება სამხრულ დიალექტებში: შვაბური (დიალექტ.) stuk 'ნაჭერი, ნაწილი', შვაბ. ლიტერატ. (ჩრდ.) Stück; შვაბ. zruk 'უკან' — ლიტერატურ. zurück.

#### 4. ბგერათმცვლელის შაქრობის შესახებ

სამეტყველო ბგერა ცვალებადია უკვე იმიტომ, რომ იგი სოცია-ლურად გამოყენებული მოვლენაა და განუწყვეტელ ხმარებაშია: როგორც ვიცით, ყოველი წარმოთქმა (ე. ი. ბგერის ხმარება) შეიცავს სამეტყველო ბგერის მეტ-ნაკლებ ცვლილებას.

იმის მიუხედავად, რომ სამეტყველო ბგერა მუდმივ ცვალებადობა-შია, ეს ხელს არ უშლის მას შეასრულოს თავისი სიტყვათგანმასხვევებ-ლობითი დანიშნულება; ხელს არ უშლის, რადგანაც ყოველ მოცემულ მომენტში სამეტყველო ბგერა იცვლება მხოლოდ გარკვეულ საზღვ-რამდე.

თუ რა საზღვრამდე შეუძლია სამეტყველო ბგერას იცვალოს — თა-ვისი დანიშნულების დაუკარგავად, ჩანს, მაგ., ქართული გ-სა და რუ-სული რ შედარებიდან: ქართულის გ მეტადაა შეზღუდული თავისი ცვალებადობის საზღვრებით, ვიდრე რუსულის რ. ორივეს შეუძლია იცვალოს რამდენიმეგვარად (ორივეს შეუძლია მეტ-ნაკლებად გადმოი-წიონ წინ შუაენისაკებ, ან გადაიწიონ უკან, დაკარგონ მეტ-ნაკლებად მჟღერობა, დაირთონ ლაბიალიზაცია და სხვა), მაგრამ თითოეული მათ-განი გამოსადეგი რჩება სიტყვათა ერთმანეთისაგან განსასხვევებლად. რუსულ რ-ს კი, განსხვავებით ქართული გ-საგან, შეუძლია იცვალოს დ-დაც დანიშნულების დაუკარგავად (სულ ერთია, იტყვიტ რჩხ 'წლებ-ბი' თუ რჩხ — ორივე ერთსა და იმასვე აღნიშნავს), მაგრამ ქართულს ეს არ შეუძლია (თქვენ ვერ იტყვით გერი-ს ნაცვლად ლერი — აქ ორი სხვა-დასხვა სიტყვაა). ეს იმიტომ ხდება, რომ ქართულს აქვს ორი ფონემა (გ — ღ) იქ, სადაც რუსულს მხოლოდ ერთი (რ).

ამით აიხსნება რუსული ენის რ-ს ცვალებადობის მეტი შესაძლებ-ლობა, ქართულის გ-სთან შედარებით, როგორც ყოველ მოცემულ მო-მენტში, ისე, ვფიქრობ, ისტორიულადაც. ცნობილია რ-ს სხვადასხვა-გვარი ცვლილება როგორც საერთოდ სლავურში, რომელსაც აგრეთვე არ გააჩნდა ყ, ისე კერძოდ რუსულში (აჰ, აჰ, ჰ, ჰ).

ეს კერძოული ფაქტი მიგვიჩვენებს ზოგად კანონზომიერებაზე.

ამას შეიძლება ეწოდოს ბგერათცვალებადობის ფონოლოგიური მიზეზი.

რამდენადაც მოცემული ენის ასეთი ფონეტიკური ევოლუცია გამომდინარეობს ამ ენის ბგერათშეერთების პროცესიდან, ამდენად მას შეგვიძლია ვუწოდოთ ბგერათცვალებადობის შინაგანი ფაქტორი.

ბგერათცვალებადობის შინაგანი ფაქტორთა რიგისაა აგრეთვე საარტიკულაციო ბაზისის ცვალებადობა.

საარტიკულაციო ბაზისი, რომელიც, როგორც ვიცით (იხ. გვ. 47 და შემდ.), წარმოადგენს ბგერათსაწარმოთქმო ორგანოების თავისებურ მოწყობას უშუალოდ საარტიკულაციო მოძრაობათა წინ და ამიტომ განაპირობებს ამ მოძრაობათა ხასიათს, — დროთა განმავლობაში იცვლება. ბუნებრივია, რომ საარტიკულაციო ბაზისის ცვლილებას ეგუება ბგერათსაწარმოთქმა. თავის მხრივ, ბგერათცვლილებანი გავლენას ახდენენ საარტიკულაციო ბაზისის შეცვლაზე.

საარტიკულაციო ბაზისის, როგორც სოციალურად გამრყენებული ფიზიოლოგიური მოვლენის, ევოლუცია წარმოადგენს ენაში ბგერათგანვითარების შინაგანი ფაქტორს იმ პერიოდებში, როცა ენა ვითარდება სხვა ენასთან შეურევლად. ასეთ პირობებში ენა მთლიანად და, კერძოდ, ფონეტიკურად იცვლება უფრო ნელი ტემპით, ვიდრე მაშინ, როდესაც საარტიკულაციო ბაზისის ცვლილება გარეგანი ფაქტორს წარმოადგენს, ე. ი. როდესაც ერთ ენაზე მეტყველი ხალხი გარკვეული გარეშე პირობების ზეგავლენით იცვლის საარტიკულაციო ბაზისს (იხ. გვ. 247 და შემდ.).

როგორც ჩანს, ენის განვითარებაში საერთოდ და, კერძოდ, ბგერათცვლილებაში ყველაზე დიდი ძვრები ენათა შერევის, კერძოდ, საარტიკულაციო ბაზისის გარედან შეცვლის ნიადაგზე ხდება.

მრავალი აზრი გამოთქმულა იმის შესახებ, თუ რა უნდა მივიჩნიოთ ბგერათცვლილების ძირითად მიზეზად. ფიქრობდნენ, მაგ., რომ მის წარმოადგენს ამ მიზეზს. ეს გამორიცხებულად უნდა მივიჩნიოთ, რადგანაც ასეთ შემთხვევაში ბგერათცვლილება უნდა გვეცნო შეგნებულ, ნებისმიერ აქტად, რაც შეუძლებელია (იხ. ზემოთ).

ზოგნი ფიქრობდნენ, რომ წარმოთქმის სიადვილისადმი მისწრაფებაა ბგერათცვლის მიზეზი. ვერც ამ აზრს გაეზიარებთ, რადგანაც ცნობილია, რომ არ არსებობს წარმოთქმის სიძნელე მშობლიურ ენაზე მეტყველებისას.

ყველა სხვა ფაქტორთა შორის (ადგილმდებარეობა — მთიანეთში თუ ბარში, ჰავა და სხვა) ბგერათცვლილებისათვის მნიშვნელოვანია კულტურულ-ისტორიული პირობები, მათ შორის ენათა შერევა, რაც

აწევს საარტიკულაციო ბაზისის რადიკალურ ცვლილებებს (იხ. ზემოთ გვ. 247 და შემდ.).

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ უმართებულოა ერთი რომელიმე ფაქტორისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობის მინიჭება ბგერათცვალეზადობის მიზეზთა ძიებისას. მაგრამ, თუ არჩევანზე მიდგება საქმე, ასეთად უნდა ჩაითვალოს, მეტადრე—ბგერათცვლილების განმტკიცების მხრივ, სემანტიკური ფაქტორი შინაგან და გარეგან ფაქტორთა საფუძველზე.

მრავალ შემთხვევაში, როგორც ზემოთ სხვადასხვა ადგილას იყო ნაჩვენები, ბგერათცვლილებაში და, მეტადრე, ბგერათცვლილების განმტკიცებაში, წამყვანი როლი ეკუთვნის სიტყვის ფუძისა თუ ფორმის სემანტიზაციას<sup>1</sup>.

ამისვე ნათელსაყოფად მოვიყვანთ კიდევ ერთ ფრიად დამახასიათებელ ნიმუშს: უმლაუტის რეალიზაციას ძველ ზემო გერმანულში (იხ. გვ. 197 და შემდ.) ხელს უშლიდა, სხვათა შორის, თანხმოვანთა კომპლექსები *lx*, *hx* და *rx*; თუ ესენი იდგნენ საუმლაუტო ფუძესა და მაუმლაუტირებელ *i* (*i*)-ს შუა; მაგ., არაა უმლაუტირებული *a* სიტყვებში: ძვ. ზ. გერმ. *mahti* 'ძალები', *wahsit* 'იზრდება' და *garwen* (< *garwjan*) 'თელვა, ცემა'<sup>2</sup>. მაგრამ შემდეგ, როდესაც უმლაუტმა მიიღო გრამატიკული ფუნქცია, წამყვანი შეიქნა არა ფონეტიკური ფაქტორი, როგორც იყო თავიდან უმლაუტი, არამედ სემანტიკური (აქ გრამატიკული), და ამის შედეგად დაძლეულ იქნა ფონეტიკური დაბრკოლება, რომელსაც ჰქმნიდნენ ხსენებული კომპლექსები. დღეს ახალ გერმანულში გვაქვს შესაბამისად: *Mächtige*, *wächst* და *gerben*.

აქაც ზოგადი აისახა კერძოვლ მოვლენაში. უკანასკნელ, საკიროა აღინიშნოს შემდეგი: ნორმალურ საყოველღეო საუბარში ჩვენ წარმოვთქვამთ სიტყვებს მეტ-ნაკლები მკაფიობით—იმის მიხედვით, თუ რა სიტუაციაში ვიმყოფებით მოსაუბრის მიმართ (მანძილი, დამოკიდებულება მოსაუბრესთან, მოსაუბრის მოთხოვნილება, მისი სმენითი და გაგების შესაძლებლობა და სხვა). თუ ჩვენი მეტყველების მიზანი—გაიგოს მსმენელმა ჩვენი ნათქვამი—მიიღწევა არამკაფიოდ წარმოთქმითაც, ჩვენ

<sup>1</sup> ფონეტიკურ ცვალეზადობაში სემანტიკური ფაქტორისათვის მართებული მნიშვნელობის მინიჭების საკითხის გარკვევაში, მართალია, სხვა (სახელდობრ, დესემანტიზაციის) ასპექტით, მნიშვნელოვანი ნაბიჯია გადადგმული წინ პროფ ვ. ი. აბავეის შრომებში:

1) О „фонетическом законе“ (Язык и мышление, I, გვ. 1—14), 2) Язык как идеология и как техника (Язык и мышление, II, გვ. 33—54), 3) Еще о языке как идеологии и как технике (Язык и мышление, VI—VII, გვ. 5—18) და 4) Понятие идеосемантики (Изв. Юго-осетинского Научно-исслед. института АН Грузинской ССР. I (V), 1946: 159—169).

<sup>2</sup> В. М. Жирмунский, История немецкого языка, 1939, გვ. 92.



არ ვცდილობთ წარმოეთქვათ მკაფიოდ. ასე ხდება, მაგ., ვიწრო ოჯახურ პირობებში, ახლო ამხანაგებში და ა. შ.

რადგანაც ჩვეულებრივი მეტყველება მეტწილად ასეთ პირობებში ხდება, ბგერათცვლილებაც აქ ისახება. ასეთი წარმოშობისაა, ალბათ, ლიტყვათშეკვეცა: დიახ < დია ლმერთო, ბიქოს < ბიქო სცან, კაცოს (ქიზიყ.) < კაცო სცან, ქა < ქალო, დაიქი(რე), მოიტა(ნე), რუს. с (და-ც 'დიახ, ბატონო', нег-с 'არა, ბატონო' და სხვა) < сѣдѣх < сѣдѣхъ 'ხელმწიფე' და მრავალი სხვა.

შესაძლოა ამ ფაქტორს, რომელსაც სიტუაციური ფაქტორი შეგვიძლია ვუწოდოთ, გაცილებით მეტი მნიშვნელობა ჰქონდეს ბგერათცვალებადობაში, ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო მეცნიერებაში ჯლემდე.

---



**ნ ა ნ ი ლ ი ბ ე რ ა კ ა**

**ზოგადი უმცხოვრიესი  
ზოგადი პრობლემა**

**17. ზოგადი ფონეტიკა**



## ფონოლოგიის რამდენიმე საკითხი \*

ამ წიგნის პირველი ნაწილის შესავალში განმარტებულია ცნება ფონოლოგია (ანუ ფონემოლოგია)<sup>1</sup> და აღნიშნულია, რომ იგი, როგორც საენათმეცნიერო დისციპლინა, სწავლობს სამეტყველო ბგერას ანუ ფონემას სიტყვათგანმასხვავებლობითი ფუნქციის თვალსაზრისით, გამოდის რა მისი (ფონემის) აკუსტიკურ-ფიზიოლოგიური რაობიდან.

რამდენადაც ფონოლოგია წარმოადგენს ფონეტიკის იმ ნაწილს (იხ. ქვემოთ), რომელიც სწავლობს სამეტყველო ბგერას ფუნქციის თვალსაზრისით, იმდენად მას (ფონოლოგიას) შეიძლება ეწოდოს აგრეთვე ფუნქციონალური ფონეტიკა.

ფონემა ასრულებს თავის სიტყვათგანმასხვავებლობითს (ანუ დისტინქტურ) ფუნქციას სიტყვებში სხვა ფონემასთან დაპირისპირების გზით.

### 1. სიტყვათგანმასხვავებლობითი დაპირისპირება

ფონემათდაპირისპირება (ანუ ფონემათოპოზიცია) ერთ-ერთი საშუალებაა სიტყვათა ერთმანეთისაგან განსასხვავებლად. სიტყვათგანმასხვავებელ საშუალებას წარმოადგენს ზოგ ენაში მახეილიც (მაგ., რუს. *мыка — мыкѣ* 'წვალება — ფქვილი'). ამდენად ფონოლოგიის ფარგლებში უფრო ფართოა, ვიდრე ფონემათდაპირისპირება.

ჩვენ მსჯელობას ჯერჯერობით შევზღუდავთ ფონემათდაპირისპირებით, რადგანაც დანარჩენი სახის დაპირისპირებანი საერთოდ ემორჩილებიან იმავე კანონზომიერებას, რომელსაც ფონემათდაპირისპირებანი.

\* იხ. ნაწ. I, გვ. 2—7.

<sup>1</sup> ტერმინი ფონემოლოგია ნაკლებად გავრცელებული, ვიდრე ფონოლოგია. მაგრამ სჯობს მას. პირველის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მიუთითებს ფონემაზე, რაც შეადგენს მის მთავარ შინაარსს; აგრეთვე იმაში, რომ ზოგიერთი ენათმეცნიერი ტერმინს ფონოლოგია ხმარობს. ფონეტიკის მნიშვნელობით. ჩვენ ვიხმარებთ, ტერმინს ფონოლოგია, როგორც მეტად გავრცელებულს, მაგრამ ფონეტოლოგიაში, შევავალი ნაწილის მნიშვნელობით.

როგორც ჩვენ ვარჩევთ ერთმანეთისაგან ორ საგანს ან ორ მოვლენას რაიმე ნიშნეულობით (მაგ., ფერით, სიდიდით, მოყვანილობით, რისამე ქონა-უქონლობით და ა. შ.) ან ყველაფრით ერთობლივ, (მაგ., ქვა და ხე, კამეჩი და ადამიანი, სინათლე და ხმა და ა. შ.), ისე ორ სიტყვას ვარჩევნულად (ე. ი. შინაარსს ვარდა) ვარჩევთ ერთმანეთისაგან მათი ფონემათშედგენილობით: სიტყვის, როგორც ფონემათშეერთების, ნიშნეულობაა მისი ფონემური შედგენილობა. მაგ., ორი სიტყვა „თავი“ და „ორმო“ ფონემური შედგენილობით ერთობლივ განსხვავებული სიტყვებია: არც ერთი საერთო ფონემა მათ არ გააჩნიათ; ერთი სიტყვის ყველა ფონემა უპირისპირდება მეორის ყველა ფონემას: თ — ო-ს, ა — რ-ს, ვ — მ-ს და ი — ლ-ს. ეს სიტყვები განსხვავებულია ერთმანეთისაგან მნიშვნელობითაც.

მაგრამ ორი სიტყვის ერთმანეთისაგან განსასხვავებლად არაა საჭირო, რომ პირველის ყველა ფონემა უპირისპირდებოდეს მეორის ყველა ფონემას; მაგ., „ყელი—ფარი“: უპირისპირდებიან ერთმანეთს მხოლოდ სამი პირველი ფონემით, მაგრამ ეს ხელს არ გვიშლის განვასხვავოთ ისინი ერთმანეთისაგან; „ღარი—ფერი“: უპირისპირდებიან ურთიერთს ორი პირველი ფონემით; „ცელი—სელი“ — მხოლოდ ერთით.

მაშასადამე, საკმარისია ერთი დაპირისპირებაც კი ორ სიტყვაში, რომ ისინი ერთმანეთისაგან განვასხვავოთ.

მაგრამ თუ ორი სიტყვა არაფრით არ უპირისპირდება ერთმანეთს, მათ ვერ განვასხვავებთ ერთმანეთისაგან, თუ არ შინაარსის მიხედვით. ასეთია, მაგ., „ბარი—ბარი“, „წელი—წელი“, „და—და“ და ყველა ე. წ. ჰომონიმი.

აქედან გამომდინარეობს მნიშვნელოვანი დასკვნა: ორი სიტყვის ერთმანეთისაგან ფონეტიკური განსხვავება შეხამდებელია მხოლოდ დაპირისპირების გზით, და ორი სიტყვის ერთმანეთისაგან განსასხვავებლად საკმარისია ერთი დაპირისპირებაც.

რაც ითქვა აქამდე სემანტიკურად განსხვავებულ სიტყვებზე (თავი — ორმო, ყელი — ფარი და სხვა), იგივე ითქმის სიტყვათა ფორმებზეც: სიტყვის ორი ფორმის განსხვავებას ჰქმნის აგრეთვე დაპირისპირება. მაგ., „ცხენი — ცხენს“ — დაპირისპირებულია ერთმანეთს -ი (სახელობითი ბრუნვის დაბოლოება) და -ს (მიც. ბრ. დაბ.); „გზიდავ — მზიდავ“ — დაპირისპირებულია ვ (მეორე პირის ობიექტ. პრეფიქსი) და მ (პირვ. პირის ობ. პრეფ.).

საწარმოთქმო მოძრაობები ავტომატიზებული პროცესია (იხ. ნაწ. I გვ. 246). ამიტომ სიტყვაში შემავალ ფონემათა ხმარება ცოცხალ მეტყველებაში სრულდება გაუცნობიერებლად, ე. ი. თითოეული ფონემა, რომლის სხვა ფონემასთან დაპირისპირებაზე ვლავარაკობდით, გაუცნობიერებელია. მაშასადამე, თვით დაპირისპირებაც წარმოადგენს ჩვევად ქცეულ გაუცნობიერებელ მოვლენას. არავითარ წინასწარ განზრახულ

ნებისმიერ დაპირისპირებაზე არ შეიძლება ვილაპარაკოთ, როცა ვინ-  
ღაც ბუნებრივად წარმოთქმულ სიტყვებს<sup>1</sup>.

დაპირისპირება შეიძლება ხდებოდეს მხოლოდ განსხვავებულ მო-  
ვლენათა, ამ შემთხვევაში — განსხვავებულ ფონემათა. მაგრამ ფონემები,  
როგორც აკუსტიკურ-ფიზიოლოგიური მოვლენა, განსხვავდებიან ერთმა-  
ნეთისაგან მეტ-ნაკლებად. მაგ., ზ მეტადაა განსხვავებული ქ-საგან, ვილ-  
რე ფ-საგან; მართალია, მეღერობა-სიყრუის თვალსაზრისით, ზ ერთნა-  
ირადაა განსხვავებული ქ — ფ-საგან, მაგრამ წარმოების ადგილით ზ და  
ფ ერთნაირია, ზ და ქ სხვადასხვა. ამიტომ წარმოების ადგილით ზ და  
ფ ვერ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს, ხოლო ზ-სა და ქ-ს კი შეუძ-  
ლიათ ამით დაუპირისპირდნენ ერთმანეთს (მაგ., ბარი — ქარი, ბერი —  
ქერი).

მაშასადამე, ფონემები უპირისპირდებიან ერთმანეთს თავისი აკუს-  
ტიკურ-ფიზიოლოგიური თვისებებით.

მაგ., ზ უპირისპირდება ხ-ს სიტყვებში „ზოლი — სოლი“ მხოლოდ  
ერთი თვისებით, სახელდობრ, მეღერობით<sup>2</sup>; სხვა რამ ერთმანეთისა-  
გან განმასხვავებელი ნიშნეულობა ქართულში მათ არა აქვთ: საკმარის-  
ია ზ-მ დაკარგოს მეღერობა, რომ იგი გაუთანასწორდეს ხ-ს; ან პირი-  
ქით: საკმარისია ხ-მ შეიძინოს მეღერობა, რომ იგი გაუთანასწორდეს  
ზ-ს; ორივე შემთხვევაში მათ შორის განსხვავება წაიშლება<sup>3</sup>.

რკივე ზ შეიძლება უპირისპირდებოდეს რომელსამე სხვა ფონემას  
ორი თვისებით; მაგ., სიტყვებში „ნეზვი — ნეხვი“ ზ უპირისპირდება  
ხ-ს მეღერობითაც (ზ მეღერია, ხ — ყრუ) და წარმოების ადგილითაც,  
სახელდობრ, წინაენისმიერობით (ზ წინაენისმიერია, ხ — უკანაენისმიერი).  
თეორიულად შესაძლებელია ორივე განსხვავების მოშლა ზ-სა და ხ-ს  
შორის; მაგრამ პრაქტიკულად ქართულში ასეთი რამ არ გვხვდება, ე. ი.  
ქართულში არა გვაქვს შემთხვევა, რომ ზ ყრუდებოდეს და იმავე დროს  
კარგავდეს წინაენისმიერობას, ან ხ მეღერდებოდეს და ამასთანავე კარ-  
გავდეს უკანაენისმიერობას<sup>4</sup>.

<sup>1</sup> რა თქმა უნდა, არაა გამორიცხული სალიტერატურო ენაში ხელოვნურად და-  
პირისპირებული შემთხვევების არსებობა — სიტყვათა მნიშვნელობის სადიფერენცია-  
ციოდ; ასეთია, მაგ., ქართულში „რითმა“ და „რიტმი“, სადაც ხელოვნურადაა დაპი-  
რისპირებული თ/ტ. ა/ი; დროთა განმავლობაში, თაობიდან თაობაში, როდესაც ამ და-  
პირისპირების ხელოვნურობა დაეიწყებას მიეცემა, იგი აღარ განსხვავდება ჩვეულებ-  
რივი დაპირისპირებისაგან.

<sup>2</sup> უკეთ: თითოეულ მათგანს აქვს თითო განმასხვავებელი ნიშნეულობა; ასეთ  
შაზიხიციას ეწოდება კორელაცია ანუ კორელაციური თაზიხიცია.

<sup>3</sup> მართლაც, სიტყვებში „ზახთან — თახთან“ წაშლილია განსხვავება ზ-სა (ზახი)  
და ხ-ს (თახი) შორის: დაყრუებულია ზ მომდევნო თ-ს წინ; აგრეთვე წაშლილია გან-  
სხვავება სიტყვებში „ზაზხე — თაზხე“ იმავე ბგერებს შორის, მაგრამ აქ გამეღერებუ-  
ლია ხ მომდევნო ზ-ს წინ. კორელაციური თაზიხიციაში განსხვავების ასეთ მოშლას ეწო-  
დება ნეიტრალიზაცია (იხ. ქვემოთ კორელაცია და ნეიტრალიზაცია).

<sup>4</sup> რუსულში გვაქვს ისტორიული მონაცემობა რ/ზ: дурь—дурьхъ.

ზ-ს აქვს კიდევ მესამე დადებითი თვისებაც, რომლითაც მას შეუძლია უპირისპირდებოდეს სხვა ფონემას, — ესაა მისი სპირანტობა. თავისი სამივე თვისებით იგი უპირისპირდება ქ-ს, მაგ., სიტყვებში „ბუზი — ბუქი“, „ნაზი — ნაქი“, „ზარი — ქარი“.

ზ-სა და ქ-ს შორის სამივე განსხვავების მოშლა კიდევ უფრო ძნელი წარმოსადგენია თეორიულადაც, ვიდრე ორი განსხვავებისა.

იმავე ზ-ს აქვს ქართულში (და ზოგიერთ სხვა ენაში), ამ სამი თვისების (მელერობის, წინაენისმიერობისა და სპირანტობის) გარდა, ოთხი უარყოფითი ნიშნეულობა, რომლებითაც იგი (ზ) უპირისპირდება სიტყვებში სხვა ფონემებს. ეს ნიშნეულობებია: არააბრუპტივობა, არაცხვირისეულობა (ანუ არანაზალურობა), არაგვერდითობა (ანუ არალატერალურობა) და არამთროლოობა (ანუ არავიბრანტობა).

ამათგან არააბრუპტივობით ზ უპირისპირდება აბრუპტივ ტ-ს (მაგ., ზარი — ტარი, ზრიალი — ტრიალი, ბაზი — ბატი); არაცხვირისეულობით — ცხვირისეულ ნ-ს (მაგ., ზარი — წარი, გაზი — განი, ბაზა — ბანა); არაგვერდითობით — გვერდითს (ანუ ლატერალურ) ლ-ს (მაგ., ზარი — ლარი, ნაზი — ნალი, აზის — აღის); არამთროლოობით — მთროლო (ანუ ვიბრანტ) რ-ს (მაგ., ზოლი — როლი, ნაზი — წარი, აზის — არის).

შესაძლებელია ზ უპირისპირდებოდეს აგრეთვე მ-საც, მაგრამ ეს დაპირისპირება უფრო რთულია.

განვიხილოთ ცალ-ცალკე ეს ოთხგვარი დაპირისპირება.

ზ უპირისპირდება ტ-ს მხოლოდ ორი ნიშნეულობით — სპირანტობით (ე. ი. ზ სპირანტია, ტ — არა) და არააბრუპტივობით (ე. ი. ზ არააბრუპტივი, ტ — არის). დანარჩენი ხუთი ნიშნეულობით (წინაენისმიერობით, მელერობით, არაცხვირისეულობით, არაგვერდითობითა და არამთროლოობით) ზ ვერ დაუპირისპირდება ტ-ს: წინაენისმიერობით — იმიტომ, რომ ორივე (ზ და ტ) წინაენისმიერია; მელერობით — იმიტომ, რომ აბრუპტივი არ შეიძლება იყოს მელერი (ჩვენ ვერ ვიტყვით: ზ მელერია, ტ — არაო); დანარჩენი სამი ნიშნეულობით — იმიტომ, რომ ისინი ერთნაირად ახასიათებენ ზ-საც და ტ-საც.

ორი თვისებით უპირისპირდება ზ აგრეთვე ნ-ს, მაგრამ არა იმავე თვისებებით, რომლებითაც იგი უპირისპირდება ტ-ს: ერთია სპირანტობა, როგორც ტ-ს მიმართ, მეორეა არანაზალურობა. დანარჩენი ხუთი ნიშნეულობით ზ არ უპირისპირდება ნ-ს.

საყურადღებოა, რომ ზ უპირისპირდება როგორც ტ-ს, ისე ნ-ს ორ-ორი ნიშნეულობით, რომელთაგან ერთი დადებითია, მეორე — უარყოფითი.

ამგვარადვე უპირისპირდება ზ ლატერალურ ლ-სა და ვიბრანტ რ-ს: პირველს — თავისი სპირანტობითა და არალატერალურობით, მეორეს — აგრეთვე თავისი სპირანტობითა და არავიბრანტობით; დანარჩენი ხუთი ნიშნეულობით ზ არ უპირისპირდება მათ შესაბამისად.



ღ-სთან დაპირისპირებისას ამ ხუთში შედის არამართოლობა, ხოლო რ-სთან — არაგვერდითობა.

რაც შეეხება ზ-ს უფრო რთულ დაპირისპირებას მ-სთან, ეს სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ ზ უპირისპირდება მას (მაგ., სიტყვებში: ნაზი — ნამი, ზოლი — მოლი, აზის — ანის) სამი ნიშნეულობით, რომელთაგან ორი დადებითი თვისებაა ზ-სი (წინაენიამიერობა და სპირანტობა), ხოლო მესამე — უარყოფითი (არაცხვირისეულობა).

დაპირისპირებათა ამ ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ ფონემები უპირისპირდებიან ერთმანეთს სიტყვებში თავიანთი აკუსტიკურ-ფიზიოლოგიური დადებითი ან უარყოფითი ნიშნეულობებით.

მაგრამ სიტყვათგანმასხვავებელ დაპირისპირებაში მონაწილეობას იღებს ფონემის არა ყოველი ფონეტიკური (აკუსტიკურ ფიზიოლოგიური) ნიშნეულობა, არამედ მხოლოდ ის, რაც გამოდგება სიტყვათა ერთმანეთისაგან განსასხვავებლად ამა თუ იმ ენაში; მაგ., ზ-ს ერთ-ერთი უარყოფითი ნიშნეულობა, სახელდობრ, არააბრუპტივობა გამოდგება ანისათვის მხოლოდ იმ ენებში (კერძოდ; ქართულში), რომლებსაც აქვთ თავის ბგერათსისტემაში აბრუპტივები: რუსულში, მაგ., ეს ნიშნეულობა (არააბრუპტივობა) არაა სიტყვათგანმასხვავებელი ანუ ფონოლოგიური. რადგანაც რუსულს არა აქვს აბრუპტივები.

ამიტომ არააბრუპტივობა ფონოლოგიურია, მაგ., ქართულში, მაგრამ რუსულში — არა.

თვით ცალკეულ ენაშიც აქვს ბგერებს ისეთი აკუსტიკურ-ფიზიოლოგიური თვისებები, რომლებიც შეიძლება არ იყვნენ ფონოლოგიური, ე. ი. სიტყვათგანმასხვავებელი.

ქართულში ზ-ს აქვს ოდნავი მართოლობა (წინაენის ვიბრაცია კბილების მიმართ). მაგრამ მისი ეს თვისება არაერთარ სიტყვათგანმასხვავებელ როლს არ ასრულებს ქართულში: ზ უპირისპირდება ს-ს მხოლოდ მჟღერობით. მართოლ რ-ს უპირისპირდება ზ თავისი არამართოლობით (რ-ს წარმოებისას თრთის ენის წვერი ნუნების მიმართ, რის გამოც მისი მართოლობა სავსებითაა გამოხატული).

იგივე ქართული ზ — ისე როგორც ყოველი ქართული თანხმოვანი — ოდნავ პალატალიზდება (რბილდება) მომდევნო ე და ი ხმოვნების წინ, მაგრამ ქართულ თანხმოვანთა ამ თვისებას არა აქვს სიტყვათგანმასხვავებელი ძალა ანუ ფონოლოგიური ღირებულება. რუსულში კი არაუკანაენისწიერთა. იგივე პალატალიზაცია — მართალია, მეტად გამოხატული, ვიდრე ქართულში — ფონოლოგიური ღირებულებისაა (იხ., ნაწ. I; გვ. 111—114).

შეიძლება ითქვას მეტიც: იმავე ზ-ს — ისე როგორც ყოველი ქართული არააბრუპტივის — მჟღერობა ან თ-ს ფშვინვიერობა — არაა ფონოლოგიური ღირებულებისა ქართულის აბრუპტივთა მიმართ, რადგანაც აბრუპტივები არ შეიძლება იყვნენ არც მჟღერი და არც ფშვინვიერი.

ამიტომ, რომ ზ უპირისპირდება ტ-ს (მაგ., ზარი — ტარი) არა მკლერობით, არამედ არააბრუპტივობით; აგრეთვე თ უპირისპირდება იმავე ტ-ს არა ფშენიერიობით, არამედ არააბრუპტივობით (როგორც ჩვენ ვერ ვიტყვით: ზ მკლერია — ტ არაო, ისე ვერ ვიტყვით: თ ფშენიერია — ტ არაო, რადგანაც აბრუპტივი არ შეიძლება იყოს არც მკლერი და არც ფშენიერი).

ამგვარად ირკვევა, რომ სიტყვათგანმასხვაებლობითს ანუ დისტინქტურ დაპირისპირებას საფუძვლად უძევს აკუსტიკურ-ფიზიოლოგიური ნიშნეულობა — დადებითი (მაგ., ზ : ს, ზ : ხ, ზ : ქ) ან უარყოფითი (მაგ., ზ : ტ, ზ : ნ, ზ : ლ, ზ : რ), მაგრამ არა ყოველ აკუსტიკურ-ფიზიოლოგიურ ნიშნეულობას შეუძლია დაედოს საფუძვლად დისტინქტურ დაპირისპირებას; მაგ., ქართული ზ-ს მთოლოლობას და მისსავე პალატალიზაციას საერთოდ, აგრეთვე მის მკლერობას აბრუპტივის მიმართ, არ შეუძლია ჰქონდეს დისტინქტური დაპირისპირების ძალა.

მოკლედ: ზ-ს პირველი შვიდი სახის აკუსტიკურ-ფიზიოლოგიურ ნიშნეულობებს ქართულში აქვთ ფონოლოგიური ღირებულება, ხოლო დანარჩენი სამი სახის ნიშნეულობებს ასეთი ღირებულება არა აქვთ. ეს იმას ნიშნავს, რომ ზ-ს პირველი შვიდი ნიშნეულობა რეალიზდება ჩვენს მეტყველებაში სიტყვათა განსასხვაებლად, ე. ი. ფონოლოგიურად, ხოლო დანარჩენი სამი — არა.

რუსულში რეალიზდება ფონოლოგიურად, მაგალითად, წინაენისმიერ თანხმოვანთა პალატალიზაცია, მაგრამ არ რეალიზდება ფონოლოგიურად უკანაენისმიერთა იგივე პალატალიზაცია (იხ. ნაწ. I, გვ. 114)<sup>1</sup>; რუსულშივე რეალიზდება რ-ს უკანაენისმიერობა და მკლერობა, მაგრამ არ რეალიზდება მისი ხშულობა (ან ძლიერ შეზღუდულია მისი ხშულობის ფონოლოგიური რეალიზაცია იხ. ნაწ. I, გვ. 7).

ფონემის ნიშნეულობათა დაპირისპირების განხილვისას ნიმუშად მოგვყავდა ზ-ს დაპირისპირება სხვა ფონემებთან; მის მაგივრად შეგვეძლო აგველო რაგინდ ქართული თანხმოვანი და შეგვეჩია ქართული სიტყვები, რომლებშიც იგი უპირისპირდება სხვა ფონემებს, — დასკვნას ისეთსავე მივიღებდით: ყოველი ფონემა უპირისპირდება სხვა ფონემას თავისი აკუსტიკურ-ფიზიოლოგიური ნიშნეულობით და ასხვაებს ერთმანეთისაგან სიტყვებს.

ზემოთ მოყვანილი იყო ნიმუშები უმთავრესად თანხმოვანთა ურთიერთდაპირისპირებიდან.

<sup>1</sup> მართალია, მოიპოვება რუსულში უკანაენისმიერ თანხმოვანთა სილბო-სიმაგროთ დაპირისპირების (მეტადრე კ — კ'-სი) ნიმუშებიც, მაგრამ იმდენად მცირე, რომ კ'—რ'—ხ'-ს ფონემებად მიჩნევა საეჭვოა. ასეთებია, მაგ.: *к'и'л'у* — *к'и'л'у'* (იწერება *к и'л'у* *к и'л'у'*; *и'л'а* 'ლამი', *к'и'л'а* 'თიაქარი') — ისე როგორც *т'а'к'и'м* (*т'а'к'и'м*) — *т'а'к'и'м* (იხ. ქვემოთ); *с'а'т'к'а* — *с'а'т'к'а* (იწერება *с'а'т'к'а* — *с'а'т'к'а*; *с'а'т'к'а* 'გალია, მახე' — *с'а'т'к'а* 'შევერავეთ').

შეიძლება მოვიყვანოთ რამდენიმე ნიმუში ხმოვანთა ურთიერთდაპირისპირებიდანაც.

მაგ., ე უპირისპირდება ი-ს (სიტყვებში: ხელი—ხილი) მხოლოდ ერთი ნიშნეულობით — აწეულობის საფეხურით: ე საშუალო აწეულობისაა, ი — მაღალისა; სხვა განსხვავება მათ შორის არაა, რადგანაც ორივე წინა რიგის ხმოვანია.

იგივე ე უპირისპირდება ა-ს (სიტყვებში: ხელი—ხალი) უკვე ორი ნიშნეულობით: რიგით (ე წინა რიგისაა, ა — საშუალოსი) და აწეულობით (ე საშ. აწეულობისაა, ა — დაბალისა); სამი ნიშნეულობით უპირისპირდება ე უ-ს, მაგ., სიტყვებში: სენი — სუნი. ე წინა რიგისაა, უ — უკანასი; ე საშუალო აწეულობისაა, უ — მაღალისა, ე — არალაბიალიზებულია, უ — ლაბიალიზებული. მართალია, ე-სა და უ-ს აწეულობის საფეხურები არაა ექვივალენტური (ე-ს აწეულობა შეეხება წინაენას, უ-სი — უკანაენას), მაგრამ ეს არ გამოდგება დასაპირისპირებელ ნიშნად, რადგან წინაენის აწეულობის ლაბიალიზებული ხმოვანი ქართულს არა აქვს.

ე, როგორც არალაბიალიზებული ხმოვანი, უპირისპირდება ლაბიალიზებულ ო-ს; უპირისპირდება მას აგრეთვე როგორც წინა რიგისა უკანა რიგისას (მაგ., სიტყვებში: ცელი — ცოლი, იშენეს — იშენოს, აქეს — აქოს).

ამგვარად, ე თავისი დადებითი (წინარიგისეულობა, საშუალო აწეულობა) და უარყოფითი (არალაბიალიზებულება) ნიშნეულობებით უპირისპირდება სხვა ხმოვნებს სიტყვებში.

არაა ძნელი დანარჩენ ხმოვანთა დაპირისპირების დახასიათება და სათანადო ნიმუშების მონახვა.

ფონემათდაპირისპირების შესწავლისას გასათვალისწინებელია შემდეგი: დაპირისპირებულ ბგეროვნობათა ფონოლოგიური განმასხვავებლობა არაა დამოკიდებული მათი ფონეტიკური (აკუსტიკურ-ფიზიოლოგიური) ურთიერთგანსხვავების რაოდენობაზე.

მაგ., რუსულში ა' (პალატალიზებული ა) და ა (არაპალატალიზებული) ორი სხვადასხვა ფონემაა: ааа' 'სიშორე' (იწერება ааа.) — ааа 'მისცა'; მაგრამ ქართულში, სადაც წარმოთქმაში მოგვეპოვება ერთმანეთისაგან თითქმის ამდენადვე სიღბო — სიმაგრიტ განსხვავებული ლ (შეად., მაგ., ბალ'ი და ბალს), არაა ორი ფონემა. მაშასადამე, სიტყვათგანმასხვავებლობითი ფუნქციით რუსულში ერთმანეთს უპირისპირდება ორი ა, ქართულში — არა.

რუსულში ერთმანეთისაგან განსხვავებულია ორი ვ: ერთია პალატალიზებულ თანხმოვანთა შუა, მაგ., дѣти-ში (ფონეტ. д'ѣт'и), — ესაა ვიწრო ვ. მეორეა პალატალიზებულ თანხმოვანსა და მომდევნო მაგარ თანხმოვანს შუა, მაგ., дѣд (ფონეტ. д'ѣд). — ესაა ფართო ვ, განსხვავებული ვიწროსაგან უფრო დაბალი აწეულობით. ამ განსხვავებულობის

მიუხედავად, რუსულს არა აქვს ორი ფონემა, მაშინ როდესაც, მაგ-  
ფრანგულში, სადაც ამდენივე განსხვავებაა ორ e-ს შუა (მაგ., *écrit*—ვიწ-  
რო e-თი, *mère*—ფართო e-თი), ორი e ფონემაა, რომლებიც უპირის-  
პირდებიან ერთმანეთს სიტყვათგანმასხვავებლობითი ფუნქციით (შეად.  
ნაწ. 1, გვ. 73).

აქამდე საუბარი გვქონდა ცალკეულ სამეტყველო ბგერათა ურთი-  
ერთდაპირისპირების შესახებ. აღმოჩნდა, რომ ფონემა ასრულებს სიტყვათ-  
განმასხვავებლობითს ფუნქციას, როგორც ისეთი სამეტყველო ბგეროვ-  
ნობა<sup>1</sup>, რომელიც მოკლებულია თავისთავადს მნიშვნელობას. ასეთივე  
სამეტყველო ბგეროვნობაა მახვილი და ინტონაცია: როგორც ცალკეულ  
ფონემას არა აქვს რაიმე თავისთავადი მნიშვნელობა, ისე ამათაც; მაგ-  
რამ როგორც ფონემას, ისე მახვილსა და ინტონაციას აქვთ დისტინქ-  
ტური ძალა და, მაშასადამე, ფონოლოგიური ღირებულება. მახვილიან-  
ობა—უმახვილობით უპირისპირდებიან ერთმანეთს სიტყვებში მარცხ-  
ვლები, რის გამოც სხვადება ერთმანეთისაგან სიტყვები (მაგ., რუსულ-  
ში). ინტონაციით შეიძლება განსხვავებული შინაარსით წარმოითქვას  
ერთი და იგივე სიტყვა, განსხვავდეს ორი საესეებით ერთნაირი შესიტყ-  
ვება და ა. შ. (იხ. ნაწ. 1, გვ. 128 და შემდ.).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს შემდეგი ძირითადი  
დებულებები:

ა. დისტინქტური ძალა ანუ ფონოლოგიური (და, მაშასადამე, სო-  
ციალური) ღირებულება აქვს სამეტყველო ბგეროვნობის იმ დადებითს-  
ან უარყოფითს აკუსტიკურ-ფიზიოლოგიურ ნიშნეულობას, რომლითაც  
იგი (სამეტყველო ბგეროვნობა) უპირისპირდება სხვა ბგეროვნობის სხვა  
ნიშნეულობას სიტყვათა ერთმანეთისაგან განსასხვავებლად. მაგ., ზ,  
როგორც სამეტყველო ბგეროვნობა, უპირისპირდება (მაგ., სიტყვებში  
ზარი—სარი) თავისი მქლერობის ნიშნეულობით ს-ს, რომელსაც, რო-  
გორც სხვა სანეტყველო ბგეროვნობას, აქვს ზ-ს საპირისპირო სხვა ნიშ-  
ნეულობა—სიყრუე; რუსულში ერთი სიტყვის მარცვალი, როგორც სა-  
მეტყველო ბგეროვნობა, უპირისპირდება თავისი მახვილიანობით სხვა  
სიტყვის უმახვილო მარცვალს სიტყვათა (ან ფორმათა) ერთმანეთისაგან  
განსასხვავებლად; მაგ.: *мыка*—*мыкя* 'წვალემა — ფქელი', *рыки*—*рѣки*  
'ხელისა — ხელები', *и́знь*—*и́знь* 'ქობისა — ქობები' და ა. შ.

ბ. სამეტყველო ბგეროვნობის ნიშნეულებათა ფონოლოგიური ღი-  
რებულებების მიხედვით ენები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მაგ., რუ-  
სულში ფონოლოგიური ღირებულება აქვს წინაენისმიერ თანხმოვანთა-  
პალატალიზაციას. ხოლო ქართულში (და ბევრ სხვა ენაში, მაგ., ფრანგ.,  
გერმ., ინგლის.)—არა (იხ. ზემოთ); ქართულში გ-ს ხშულობას აქვს სრუ-  
ლი ფონოლოგიური ღირებულება, რუსულში კი რ-ს ხშულობის ფონო-

<sup>1</sup> სამეტყველო ბგეროვნობა რუს. *рассылочный*.

ლოგიური ღირებულება დაქვეითებულია იმის გამო, რომ სალიტერატურო რუსულს არა აქვს r-ს საპირისპირო ნაპრალოვანი ფონემა; რუსულში მახვილს სხვა ფონოლოგიური ღირებულება აქვს, ქართულში — სხვა.

ბ. ფონემა არის სამეტყველო ბგეროვნობა, რომელსაც შეუძლია თავისი დადებითი ან უარყოფითი ნიშნეულობებით განახსვავოს ერთმანეთისაგან მეთყველების მნიშვნელოვანი ელემენტები — ხიტყვები, შეხიტყვებანი.

## 2. ფონოლოგია ფონეტიკის ლარგია

ზემოთ საგანგებოდ განვიხილეთ ბგეროვნობათა დაპირისპირების რამდენიმე ნიმუში; ამით ჩვენ გვინდოდა გვეჩვენებინა სრულიად მარტივ ანალიზზე, თუ რა შეაქვს ფონოლოგიას მეთოდოლოგიურად ახალი ფონეტიკაში: ესაა სამეტყველო ბგერის ანუ ფონემის ფუნქციონალური კვლევა, ფონემათა ფუნქციონალურა სისტემატიზაცია. ამდენად წმინდა ფონეტიკას, როგორც მეცნიერებას სამეტყველო ბგერის შესახებ აკუსტიკურ-ფიზიოლოგიური და ისტორიული თვალსაზრისით, შეემატა დარგი, რომელიც იხილავს სამეტყველო ბგეროვნობას სამეტყველო ღირებულების ანუ ფუნქციის თვალსაზრისით.

ფონოლოგიის ანუ ფუნქციონალური ფონეტიკის შექმნა წარმოადგენს ზოგადი ფონეტიკის, როგორც საენათმეცნიერო დისციპლინის, განვითარებაში ისეთსავე — თუ მეტს არა — მნიშვნელოვან ეტაპს, როგორსაც წარმოადგენდა თავის დროზე ექსპერიმენტული ფონეტიკა.

ამ უკანასკნელმა შესაძლებელი გახადა სამეტყველო ბგერებზე იარაღობრივი დაკვირვება, ბგერით მოვლენათა გრაფიკული გამოსახვა და ამ გზით მათი გაზომვა.

ფუნქციონალურმა ფონეტიკამ ანუ ფონოლოგიამ აღმოაჩინა ფონემის, როგორც ბგეროვნობის, ფუნქციონალური ღირებულება და ამისა სამეტყველო ბგერის სოციალური რაობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ფონეტიკის ეს ახალი დარგი ჩაისახა, განვითარდა და თეორიის სახით ჩამოყალიბდა რუს ენათმეცნიერთა ნაშრომებში. შეიძლება ითქვას, რომ ფონოლოგია რუსული და საბჭოური ენათმეცნიერების მიღწევას წარმოადგენს.

ჯერ კიდევ კავკასიურ ენათა დიდმა რუსმა მკვლევარმა უსლარმან 60-იან წლებში პრაქტიკულად შეამჩნია განსხვავება ბგერასა და ფონემას შორის<sup>1</sup>. მისგან დამოუკიდებლად რუსმა მეცნიერმა ბოდუენ-დე-

<sup>1</sup> საყურადღებოა, რომ ისტორიულად დაახლოებით ერთსა და იმავე დროს წარმოიქმნა იდეა როგორც ექსპერიმენტული, ისე ფუნქციონალური ფონეტიკისა (60-იანი წლები). ბოდუენისა და კრუშევსკის მოღვაწეობა ფონოლოგიის დარგში ეკუთვნის გასული საუკუნის 80-იან წლებს, ხოლო ექსპერიმენტული ფონეტიკა მალე საფუძვრზე ავიდა 90-იანი წლებიდან.

კუ რ ტ ე ნ ე მ შექმნა ფონემის თეორია, რომლის შემდგომი განვითარება დაკავშირებულია მისი მოწაფეების კ რ უ შ ე ვ ს კ ი ს ა (გასული საუკუნის ბოლოს) და აკად. ლ. შ ჩ ე რ ბ ა ს (XV საუკ. დასაწყისი) სახელებთან. ცნობილია აგრეთვე აკად. ნ. მ ა რ ი ს დამსახურება ფონეტიკის ამ ახალი დარგის შექმნაში; კერძოდ, საყოველთაოდ ცნობილია მის მიერ ფონემის გენეზისური განსაზღვრა: „ფონემა არის საზოგადოებრივად დაღმრთებული ბგერა“<sup>1</sup>.

საბჭოთა ეპოქის იმ ენათმეცნიერთაგან, რომლებიც მუშაობენ ფონოლოგიის თეორიულ საკითხებზე ან ფონოლოგიურად შეისწავლიან ამა თუ იმ ენას, აკად. შ ჩ ე რ ბ ა ს გარდა, დავასახელებთ რამდენიმეს: ა ვ ა ნ ე ს ო ვ ი, ბ ე რ ნ შ ტ ე ი ნ ი, გ ვ ო ზ დ ე ვ ე რ, ზ ი ნ დ ე რ ი, ი ა კ ო ვ ლ ე ვ ი, კ უ ზ ნ ე ც ო ვ ი, ე ი რ კ ო ვ ი, რ ე ფ ო რ მ ა ტ ს კ ი, ს ი დ ო რ ო ვ ი, ს ო კ ო ლ ო ვ ა, ს უ ნ ც ო ვ ა და სხვები<sup>2</sup>.

ბოდუენისა და შ ჩ ე რ ბ ა ს სკოლიდან არიან გამოსული პრადის ფონოლოგიური სკოლის მეთაურები ტ რ უ ბ ე ც კ ო ი და ი ა კ ო ბ ს ო ნ ი. რომლებიც ძლიერ დაშორდნენ საბჭოურ ფონოლოგიას<sup>3</sup>.

კერძოდ, ტრუბეცკოის აზრით, ფონოლოგია ფონეტიკაზე სრულიად დამოუკიდებელი მეცნიერებაა.

შეორე მხრით, ზოგიერთი ენათმეცნიერი — მეტწილად უცხოელი — უარყოფითად ან ძლიერ სკეპტიკურადაა განწყობილი ამ ახალი მიმარ-

<sup>1</sup> „Фонема это общественно отработанный звук“.

<sup>2</sup> Алансоев Р. И. и Сидоров В. Н., Очерк грамматики русского литературного языка, 1945. Борнштейн С. И., Стих и декламация, „Русская речь“, 1927 და Вопросы обучения произношению применительно к преподаванию русского языка иностранцам, 1937; აგრეთვე მისი რეცენზია ავანესოვისა და პოდროვის წიგნზე ეურბ. „Русский Язык в школе“, 1946. № 3-4. Проф. А. Н. Гвоздев, О фонологических срезствах русского языка, 1949. Звидер Л. Р., Современный немецкий язык, 1941, Тридцать лет советского общего языковедения, „Известия АН СССР, Отдел. литер. и языка“, т. VI, в. 5, გვ. 342—393. Вопросы фонетики, 1948 და Существуют ли звуки речи? „Известия АН СССР, Отделение литературы и языка“, т. VI, 5. Проф. Яковлев Н. Ф., Таблицы фонетики кабардинского языка, 1923 (литогр. изд.) და Грамматика кабардино-черкесского языка. 1948. Кузнецов П. С., К вопросу о фонематической системе современного французского языка, „Ученые записки Моск. городского педагогич. Института“, вып. 1, т. V, 1941. Проф. Жирков М. И., Табессаранский язык, 1948. Реформатекни А. А., Проблема фонем в американской лингвистике, „Ученые записки“. Моск. гор. педагог. институт. вып. 1, т. V. 1941. Соколова В. С., Фонетика таджикского языка, 1949. Суяцова Н. П., Фолема, „Мовознавство“, № 2, 1954. Академик Шорба Л. В., Фонетика французского языка. 1948.

<sup>3</sup> კიდევ უფროა დაშორებული ფონოლოგიის შემქმნელთა ძირითად დებულებებს ე. წ. ამერიკული სკოლა, რომელიც ფონოლოგიის ანუ ფონეტიკის სახელით აწუშავებს სრულიად სხვა საკითხებს.

თულებიდან ფონეტიკაში. ცხადია, რომ ეს უკვე მეორე უკიდურესობაა.

ფონოლოგიის სახით ფონეტიკა გამდიდრდა ახალი დარგით, რომელსაც, როგორც ჩანს, უწერია შეასრულოს ფონეტიკისა და, საერთოდ, ენათმეცნიერების განვითარებაში არა ნაკლები როლი, თუ მეტი არა, ვიდრე ექსპერიმენტულმა ფონეტიკამ.

როგორც ვიცით, ზოგადი ფონეტიკის დარგებია აღწერილობითი ფონეტიკა და ისტორიული ფონეტიკა (იხ. გვ. 7 და შემდ.). ორივეს საგანია ბგერათა მატერიალური მხარის შესწავლა — ბგერათფიზიოლოგია და ბგერათაკუსტიკა. აღწერილობითი ფონეტიკის მეთოდი იყო და არის (შეტადრე XIX საუკ. 90-იანი წლების შემდეგ), უშუალო თვითდაკვირვებასთან ერთად, ექსპერიმენტული ანუ იარაღობრივი დაკვირვება; ისტორიული ფონეტიკის მეთოდია უმთავრესად შედარებითი (იხ. აგრეთვე ნაწ. I, გვ. 238 და შემდ.).

თუ აღწერილობითის მიზანია, რაც შეიძლება მეტი სიზუსტით იყოს აღწერილი თითოეული სამეტყველო ბგერა და მისი შესაძლებელი ცვალებადობა ცოცხალ მეტყველებაში, ისტორიული ფონეტიკა იკვლევს სამეტყველო ბგერათა ცვლილებებს დროთა განმავლობაში და ადგენს ამ ცვლილებათა გარკვეულ კანონზომიერებას; ამით ფონეტიკამ უდიდესი სამსახური გაუწია შედარებითსა და ისტორიულ ენათმეცნიერებას.

ფონოლოგია კი არ აუქმებს და კი არ სცვლის ფონეტიკის საგანსა და მეთოდებს, არამედ მას შეაქვს ფონეტიკაში ახალი ობიექტი და სათანადო მეთოდი: აღწერილობითს ფონეტიკას იგი კვლევის ობიექტად უსახავს სამეტყველო ბგეროვნობათა ფუნქციონალურ ღირებულებას, ხოლო ისტორიულ ფონეტიკას — ენის ბგეროვნობათა ისეთ ცვლილებებს, რომლებიც ვერ პოულობენ ახსნას წმინდა ფონეტიკურად, ე. ი. აკუსტიკურ-ფიზიოლოგიურად.

მოცემული ენის ფონოლოგიურად შესწავლა გულისხმობს და ემყარება ამ ენის ფონეტიკურად (აკუსტიკურ-ფიზიოლოგიურად) შესწავლილობას; უმისოდ შეუძლებელია რომელიმე სერიოზული ფონოლოგიური საკითხის კვლევა. მეტიც შეიძლება ითქვას: ფონოლოგიის შენდგომა განვითარება ბევრი მხრითაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად განვითარდება როგორც აღწერილობითი, ისე ისტორიული ფონეტიკა.

### 3. ფონემა. ფონემის (ახანსაჲობა (ბგერა თაჲისთაჲალი და ბგერა პრათაჲისთაჲალი))

ჩვენ ვიცით, რომ რომელსამე სიტყვაში ერთი ბგერის სხვა ბგერით შეცვლას შეუძლია გამოიწვიოს ამ სიტყვის შინაარსობლივი მნიშვნელობის ან ფორმის შეცვლა; მაგ., ხ-ს შეცვლა ზ-დ სიტყვაში ხარი შეუცვ-

ლის წინააღმდეგ: ზარი; აგრეთვე ს-ს შეცვლა თ-თი სიტყვაში აგებს აწვევს ფორმის შეცვლას: აგებთ<sup>1</sup>.

მაგრამ გვაქვს მრავალი ისეთი შემთხვევა, როცა ზგივე ხ შეიცვლება ზ-დ, მაგრამ სიტყვას არ ეცვლება არც წინააღმდეგ და არც ფორმა. მაგ., სიტყვა მსგავსი უფრო ხშირად წარმოითქმება მზგავსი. მიხედვს წარმოითქმება მიზღვეს, მაგრამ ამის გამო აზრი არ იცვლება არც ერთ შემთხვევაში. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ შეგვიძლია წარმოვთქვათ როგორც მზგავსი, ისე მზგავსი, მიხედვს და მიზღვეს, მაგრამ ჩვენ ვერ ვიტყვიტ ხუსტი-ს ნაცვლად ზუსტი, ხარი-ს ნაცვლად ზარი, ახი-ს ნაცვლად აზი-ს და მრ. სხვა.

ასევე შეცვლის სიტყვის აზრს, მაგ., დ-ს შეცვლა თ-თი: ღარი — თარი, აღი — ათი და მრ. სხვა, მაგრამ ვერ შეცვლის იმავე დ-ს თ-თი შენაცვლება შემდეგი სიტყვების აზრს: ავად — ავათ, სხედხართ — სხედხართ, გახდა — გახათა და სხვა.

რა განსხვავებაა პირველი სახის შენაცვლებასა (ხარი — ზარი, ღარი — თარი) და მეორე სახის შენაცვლებას (მზგავსი — მიზღვესი, ავად — ავათ) შორის?

პირველი სახის შენაცვლება თავისთავადია, არაა დამოკიდებული არაფერზე, გარდა ჩვენი ნებისა: გვინდოდა აღვენიშნა გარკვეული საგანი და ვთქვით ხარი ან ზარი — იმის მიხედვით, თუ რის აღნიშვნა გვქონდა განზრახული; ხ-ს შეცვლა ზ-თი არაა განპირობებული მისი ფონეტიკური მდებარეობით, პოზიციით.

პირიქით, მეორე სახის შენაცვლება არაა თავისთავადი, დამოკიდებულია ხ-სა და დ-ს ფონეტიკურ მდებარეობაზე, პოზიციაზე: გვინდა თუ არ გვინდა, სულერთია: ჩვეულებრივ რწყმულ წარმოთქმაში ჩვენ ვამბობთ მზგავსი, მიხედვს, ავათ, სხედხართ, გახათა. აქ მოქმედებს რეგრესული (ს > ზ მომდევნო გ-ს ან დ-ს წინ; დ > თ მომდევნო ხ-ს წინ) ან პროგრესული (დ > თ წინმდგომი ხ-ს გავლენით) ასიმილაცია, ან სიტყვის ბოლოს კანონი, რომლის ძალითაც ბოლო მეღერი ჩქამიერი იქცევა ყრუ ჩქამიერად (ავად > ავათ).

ხმოვნის წინ შესაძლებელია იდგეს როგორც მეღერი, ისე ყრუ ჩქამიერი (ხარი — ზარი, ღარი — თარი), მაგრამ მეღერი ჩქამიერის წინ შესაძლებელია ცოცხალ წარმოთქმაში მხოლოდ მეღერი ჩქამიერი, ყრუ ჩქამიერის წინ — მხოლოდ ყრუ (მიხედვს, მაგრამ სხედხართ); აგრეთვე ყრუ ხ-ს შემდეგ შესაძლებელია მხოლოდ თ (და არა დ).

პირველ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს თავისთავადი, პოზიციით განუპირობებელი ბგერა ანუ ფონემა, მეორე შემთხვევაში — არათავისთავადი, პოზიციით განპირობებული ბგერა ანუ ფონემის

შეცვლა

<sup>1</sup> არას ვამბობთ იმის შესახებ, რომ ასეთ ბგერათშენაცვლებას შეუძლია განვიხილოს უახლო სიტყვის შექმნა: ხამი — ზამი ან თამი, (ორივე უახლოა).



სახესხვაობა<sup>1</sup>. ხ—ჯ (სიტყვებში სარი—ზარი) და დ—თ (სიტყვებში დარი—თარი) ფონემებია, მაგრამ იგივე ზ (მზგაეს-ში ან მიზდევს-ში) და თ (სხეთხართ-ში და აეთ-ში)—ფონემის სახესხვაობა. მართალია, ზ—თ, როგორც ხ—დ ფონემების სახესხვაობები, დაემთხვა ზ—თ ფონემებს ამ შემთხვევაში, მაგრამ მათ შორის განსხვავება უეჭველად არის: ზ ფონემის ნებისმიერი შეცვლა ხ-თი ან თ ფონემის შეცვლა დ-თი გამოიწვევს აზრის ცვლას, ხოლო ზ სახესხვაობის შეცვლა ხ-თი ან თ სახესხვაობის შეცვლა დ-თი გამოამჟღავნებს მხოლოდ არამართებულ წარმოთქმას, მაგრამ აზრს ვერ შეცვლის (იხ. ზემოთ).

ზ და თ რომ ამ შემთხვევაში ხ-სა და დ-ს სახესხვაობაა და არა დამოუკიდებელი ფონემა, იმითაც მტკიცდება, რომ საკმარისია ზ და თ მოხვდნენ ხელსაყრელ პოზიციაში, რომ მიიღონ იმ ფონემის წახე, რომლის სახესხვაობასაც ისინი წარმოადგენენ.

ზ-სათვის ამ შემთხვევაში ხელსაყრელია ყრუ წინაენისმიერ ხშულთა წინ დგომა: მისტირის, მისწერს, მისწნაეის და სხვა; ხოლო თ-სათვის—მელერი ბგერის წინ ყოფნა: აეთ, მაგრამ დაავადება. კაცათ, მაგრამ კაკადი და სხვა.

ფონემის სახესხვაობა რომ შეიძლება არ ემთხვეოდეს მოცემულ ენაში არსებულ სხვა ფონემას, ამის კარგი ნიმუშია ჭ-ს არსებობა ქართულ ცოცხალ წარმოთქმაში.

რეგრესული ასიმილაციისა და სიტყვის ბოლოს ჩქამიერთა გაყრუების კანონის ძალით, ქართულში — ისე როგორც რუსულში — ხშირია ჭ-ს გაყრუება და, მაშასადამე, ჭ-დ ქცევა: ვთესე—წარმოითქმის ჭთესე (ისე როგორც რუს. втиснуть — წარმოითქმის вти́снут'), ვხედავ — ჭხედავ (შეად. რუს. вход — вхoд, издав — издав). ამ შემთხვევებში ქართული ჭ (და რუსული ჭ-ც) წარმოადგენს ვ (რუს. в) ფონემის სახესხვაობას, რომელიც ქართულში არ დაემთხვა არც ერთ მასში არსებულ ფონემას, რადგანაც ქართულს არა აქვს ჭ ფონემა (რუსულში კი დაემთხვა მასში არსებულ ჭ-ს).

ფონემის სახესხვაობათა მეტ-ნაკლები დამოუკიდებლობა დაკავშირებულია ფონემის ძლიერ და სუსტ პოზიციასთან.

#### 4. ფონემის კლიური და სუსტი პოზიციის

ყოველ ფონემას აქვს რამდენიმე ფონეტიკური სახესხვაობა, რომლებითაც იგი ვლინდება წარმოთქმაში; ერთი მათგანი არის მისი ძირითადი სახესხვაობა.

მაგ., ვ ფონემას ქართულში აქვს მრავალი ფონეტიკური სახესხვაობა; მათ შორის ძირითადია ვ-ს ის სახესხვაობა, რომლითაც იგი ვლინდება ყოველი მელერი ბგერის წინ (იგულისხმება ყველა ხმოვანიც); მაგ.,

<sup>1</sup> სახესხვაობა = რუს. разноидность.

გაწერა, გვიწერია, გგონია, გღია, გრიალი, ვნებაეს და ა. შ.; დანარჩენ სახესხვაობათაგან აღსანიშნავია ის ორი, რომლებითაც გ ემთხვევა-ქ-სა და კ ფონემებს:

გ ვლინდება ქ სახესხვაობით ყრუ ფშვინვიერ თანხმოვანთა წინ (გთხოვა — ქთხოვა, გსმენია — ქსმენია, გქონდა — ქქონდა) და სიტყვის ბოლოში (მაგ — მაქ, ადეგ — ადექ).

გ ვლინდება კ სახესხვაობით აბრუპტივთა წინ (გტკივა — კტკივა, გტეხს — კტეხს, გწერს — კწერს, გყავს — კყავს).

ამ პოზიციების შენაცვლება გამორიცხულია. ეს იმას ნიშნავს, რომ: გ ფონემა არ რეალიზდება თავისი ძირითადი სახესხვაობით (ე. ი. მჟღერად) მომდევნო ფშვინვიერთა და აბრუპტივთა უშუალოდ წინ: არ წარმოითქმის ცოცხალ მეტყველებაში გთხოვა ან გტეხს; აგრეთვე იმას, რომ ქ ფონემა არ რეალიზდება თავისი ძირითადი სახესხვაობით (ფშვინვიერად) მომდევნო მჟღერ ჩქამიერთა და აბრუპტივთა წინ: წარმოითქმის ცოცხალ მეტყველებაში არა აქგაქეს, აქკიღია, არამედ აგგაქჭს, აკკიღია; და იმასაც, რომ კ ფონემა არ რეალიზდება თავისი ძირითადი სახესხვაობით (აბრუპტივად) მომდევნო მჟღერსა და ფშვინვიერ ჩქამიერთა წინ: ცოცხალ წარმოთქმაში გვესმის არა რიკგაყრილი, ბაკქვეშ, არამედ რიგგაყრილი, ბაკქვეშ.

აქედან ჩანს, რომ ფონემის ყოველი სახესხვაობა ვლინდება მხოლოდ გარკვეულ პოზიციაში; ამიტომაც, რომ ფონემის ერთ რომელსამე სახესხვაობას (მაგ., გ ფონემის ფშვინვიერ სახესხვაობას — ქ-ს) არ შეუძლია მოხედეს სხვა სახესხვაობის (მაგ., კ-სთვის შესაფერ) პოზიციაში: წარმოითქმის არა ქტეხს, არამედ კტეხს, რადგანაც ტ-ს წინ კ-ს შესაფერი პოზიციაა და არა ქ-სი.

აქედანვე ჩანს, რომ ფონემის ერთი სახესხვაობა შეენაცვლება იმავე ფონემის სხვა სახესხვაობას მხოლოდ განსხვავებულ პოზიციაში: გგონია, მაგრამ ქქონდა, კკიღია (იწერება გქონდა, გკიღია).

ამიტომაც, რომ ფონემის პოზიციური სახესხვაობა არ შეიძლება იყოს დისტინქტური იმავე ფონემის სახესხვაობასთან დაპირისპირებით (იხ. ზემოთ გტეხს — კტეხს, რომლებიც არაა ერთმანეთისაგან მნიშვნელობით განსხვავებული სიტყვები, რადგანაც კ აქ არის გ ფონემის პოზიციური სახესხვაობა).

ორი ბგერა ძალიანაც შეიძლება განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, მაგრამ, თუ არ გვხვდებიან ერთსა და იმავე პოზიციაში, ისინი წარმოადგენენ ერთი ფონემის სახესხვაობას.

მაგ., ქართულში გ გვაქვს მხოლოდ მჟღერი ბგერის წინ, ხოლო ჭ არასოდეს არ გვხვდება (ე. ი. არ წარმოითქმის) იმავე პოზიციაში; ამიტომ გ — ჭ წარმოადგენენ ერთი ფონემის (აქ გ-ს) ორ სახესხვაობას, რომელთაგან გ ძირითადია.

ასეთივეა რუსულში **и** — **ы**-ს ურთიერთობა: **и** წარმოიქმნის მხოლოდ სიტყვის თავიკიდურში და რბილი თანხმოვნის შემდეგ (**и**л. **и**мя, **и**скра; **и**ла — წარმოიქმნის **и**ла, **д**ик — **д**ик, **и**нес — რუს. **ы** თავისთავად რბილია), ხოლო **ы** არასოდეს არ გვხვდება არც სიტყვის თავიკიდურში და არც რბილი თანხმოვნის შემდეგ: იგი გვხვდება მხოლოდ მაგარი თანხმოვნის შემდეგ.

ამიტომ **и** — **ы** ერთი ფონემის ორი სახესხვაობაა, რომელთაგან **и** ძირითადია.

**и**—**ы**-ს ურთიერთობისათვის შევინანეთ აქვე შევდგე: პირველი მებუფიათ. მ. გ. **и**ла-სა და **ды**ла-ში **и**-სა და **д**-ს სმაჯრე კი არ არის განმარტვული, არამედ **и** არის მთი სიმაფრის მიხეზო. რომ ეს ასე არის, ჩანს შემდეგიღნ:

მაგ., სიტყვ. თავს-ყარზე წინმდგომი სიტყვის ბოლოში თუ გვქვს მაგარი თანხმოვანი, ხოლო თუ მოხვეწი სიტყვა იქება **и**-თი, ეს **и** წარმოიქმნა **ы**-ს სათათ: **и**ла + **и**мя **и** — წარმოიქმნის **и**ламя, **и**к + **и**н (იწყრება **и** **и**н) **и**нес (ე **и**н) **и**нес (так **и** **и** **и**нес), **и**н + **и**н (и **и**н) **и**н (так **и** **и** **и**н).

საყურადღებოა, მაგ., შედარება **так** **и** **и** და **так** **ы**: პირველი შედგება ორი სიტყვისაგან: **так** **и** **и**, ხოლო **и** **и** (მაგ. **и** **и**) წარმოადგენს მხოლოდ რიცხვის მიღებით ბუნებას **так** **и**-საგან: **так** **и**-ში **и** რბილია.

ამგვარად, ფონემის ზოგი სახესხვაობა მეტადაა განპირობებული თავისი ფონეტიკური პოზიციით, ზოგი — ნაკლებად, ე. ი. ზოგი სახესხვაობა მეტადაა დამოკიდებული ფონეტიკურ პოზიციასე და ამიტომ ნაკლებ თავისთავადია, ზოგი სახესხვაობა კი ნაკლებაა დამოკიდებული ფონეტიკურ პოზიციასე და ამიტომ მეტად თავისთავადია.

ფონემის იმ სახესხვაობის პოზიციას, რომელიც ნაკლებაა განპირობებული, ვეძახით ძლიერ პოზიციას, ხოლო მეტად განპირობებულის პოზიციას, — სუსტ პოზიციას. მაგ., ქართული სიტყვის იტალიურების ძლიერი პოზიციადაა მელერი ბგერის წინ მდებარეობა: და, ბუ, დრო, აღვა, ზღვა და სხვა; ხოლო სუსტია ნათი პოზიცია მიმდევრო ყრუ თანხმოვნის წინ და სიტყვის ბოლოში: ვარდთა (სუსტია დ-ს პოზიცია თ-ს წინ, რის გამოც იგი ყრუვდება: ვართთა), კაცებს (კაცებსა გაზს (გასს) და ა. შ.

მეტ-ნაკლებად ყოველი ბგერა განპირობებულია პოზიციით: ე. ი. აბსოლუტურად ძლიერ პოზიციამი ფონემა თითქმის არ გვხვდება, რადგან ყოველ ენაში იშვიათია ხოლოდ ერთი ბგერის შემცველი სიტყვა.

ფონემის ფონეტიკურად ძლიერი და სუსტი პოზიცია განისაზღვრება აგრეთვე იმით, თუ რა შეიძლება მოუვიდეს ფონემას კორელაციისაში ანუ კორელაციურ ოპოზიციისაში.

## 5. ქორეალაფიკი ოპოზიციეა და ნიიგრალიზაციეა

როგორც დაპირისპირებათა განხილვისას იყო ნახსენები, ისეთ დაპირისპირებას, რომლის წევრებს აქვთ მხოლოდ თითო განმარტვული 18. ზოგადი ფონეტიკა

ბელი ნიშნეულობა, ეწოდება კორელაციური ოპოზიცია ანუ მოკლედ კორელაცია.

მაგ., ს ~ ზ წარმოადგენს კორელაციურ ოპოზიციას, რადგანაც თითოეულ მათგანს აქვს, მეორისაგან განსხვავებით, მხოლოდ თითო ნიშნეულობა: პირველს—სიყრუე, მეორეს—მელერობა. კორელაციას წარმოადგენს აგრეთვე გ ~ დ, რომელშიც პირველს აქვს უკანაენისმიერობის ნიშნეულება, მეორისაგან განსხვავებით; ხოლო მეორეს—წინაენისმიერობა, პირველისაგან განსხვავებით; აგრეთვე შ ~ ქ მელერობა-სიყრუის მიხედვით.

კორელაციურ ოპოზიციას წარმოადგენს აგრეთვე უარყოფითნიშნეულობიანი დაპირისპირებაც; მაგ., დ ~ ნ კორელაციაში დ უპირისპირდება ნ-ს არაკევირისეულობით; დ ~ ტ-ში დ უპირისპირდება ტ-ს არააბრუპტივობით და ა. შ.

ნიმუშები: ხარი ~ ზარი, აგრე ~ ადრე, ვაშა ~ ვაჟა, ღარი ~ ნაღი, ადარე ~ ატარე...

გარკვეულ ფონეტიკურ პირობებში ასეთი დაპირისპირება. ანუ კორელაციური ოპოზიცია, როგორც ითქვა, მოიხსნება ხოლმე, ე. ი. კორელატთა შორის განსხვავება წაიშლება; მაგ.: ბახი ~ ბაჰი, მაგრამ მხოლოდ რიცხვ. მიცემითში გვაქვს წარმოთქმაში ბახს ორივე სიტყვისაგან (ბაჰს წარმოითქმის ბახს), ან -ზე თანდებულთან გვაქვს ბაზზე, ე. ი. ორივე სიტყვისაგან ცოცხალ წარმოთქმაში გვაქვს ბაზზე (ბახზე წარმოითქმის ბაზზე).

კორელაციაში, გარკვეულ ფონეტიკურ პოზიციაში, განსხვავებულობის წაშლას ეწოდება ნეიტრალიზაცია. ნეიტრალიზდება, მაგ., შ ~ ქ სიტყვებში დოში ~ დოჟი როგორც მღერი, ისე ყრუ თანხმოვნის წინ: დოჟზე (დოშზე და დოჟზე—ორივე წარმოითქმის ჟ-თი), დოშს (დოჟს და დოშს—ორივე წარმოითქმის შ-თი); დოშთან (დოჟთან და დოშთან—ორივე წარმოითქმის შ-თი); ნეიტრალიზდება კორელაცია დ ~ თ სიტყვის ბოლოში: უკარნახოდ (კარნახის გარეშე) ~ უკარნახოთ (ზმნის II პირი); ორივე შემთხვევაში წარმოთქვამთ ბოლოში თ-ს.

ფონეტიკური პოზიცია, რომელიც არ მოხსნის კორელაციურ ოპოზიციას, რის გამოც თითოეული ფონემა ვლინდება თავისი ძირითადი სახესხვაობით, არის ფონემის ძლიერი ფონეტიკური პოზიცია (მაგ., ხარი ~ ზარი, ბახი ~ ბაჰი); ხოლო ის პოზიცია, რომელიც მოხსნის კორელაციურ ოპოზიციას, ე. ი. აუქმებს დაპირისპირებას, რის გამოც ფონემა გვევლინება თავისი არაძირითადი სახესხვაობით,— არის ფონემის სუსტი ფონეტიკური პოზიცია (მაგ., ბახს ~ ბაჰს—ოპოზიცია მოხსნილია, რადგანაც ზ წარმოითქმის ს-დ; აგრეთვე დოშს ~ დოჟს—ოპოზიცია მოხსნილია).

აღსანიშნავია, უკანასკნელ, ენათა შორის განსხვავება ფონეტიკური პოზიციის სიძლიერე-სისუსტის მხრივ ერთსა და იმავე პირობებში.

მაგ., ქართულსა, რუსულსა და სალიტერატურო გერმანულში სიტყვის აბსოლუტური ბოლო სუსტი ფონეტიკური პოზიციისა მელერობა-სიყრუის კორელაციური ოპოზიციის მხრივ, რადგანაც მელერი ჩქამიერი ამ ენებში სიტყვის ბოლოში ყრუვდება; მაგრამ ძლიერია იგივე პოზიცია სვანურსა, ოსურსა, ინგლისურსა და ფრანგულში, რადგანაც ამ ენებში სიტყვის ბოლოს ჩქამიერი არ ყრუვდება.

## 6. ფონემის გოლუუნაქიანი და უგოლუუნაქიო სახესხვაობანი<sup>1</sup>

ფონემა ვლინდება, როგორც ვიცით, რომელიმე თავისი სახესხვაობით, რასაც განსაზღვრავს ფონემის ფონეტიკური პოზიცია.

მაგრამ ფონემის ესა თუ ის სახესხვაობა<sup>2</sup> არ არის ყოველთვის ერთნაირი ღირებულების.

განსასხვავებელია ფონემის ორგვარი სახესხვაობა: ერთია ფონემის ტოლფუნქციანი სახესხვაობა, მეორე — ფონემის უტოლფუნქციო სახესხვაობა.

ტოლფუნქციანი სახესხვაობა შეიძლება ეწოდოს ფონემის იმ პოზიციურ სახესხვაობას, რომელიც თავის პოზიციაში ასრულებს ისეთსავე დისტინქტურ ფუნქციას, როგორსაც მოცემული ფონემის ძირითადი სახესხვაობა. მაგ., ქართულში ფ-ს გაყრუებული სახესხვაობა (ფ) ასრულებს ფ-ს ფუნქციას ყრუ ჩქამიერთა წინ და სიტყვის ბოლოში.<sup>3</sup>

ამ ფუნქციონალური იგივეობის გარდა, დამახასიათებელია ის გარემოება, რომ ფონემის ტოლფუნქციანი სახესხვაობა არ ემთხვევა ფონეტიკურად რომელიმე სხვა ფონემას: ასეთია ქართულში ფ.

<sup>1</sup> იხ. P. II. Афанасьев и В. Н. Споров. Очерк грамматики рус. матер. языка. ч. I. Фонетика и морфология, 1945. გვ. 39 და შემდ., სადაც პირველადაა მოცემული რუს. სალიტერ. ენის ფონოლოგიური აღწერილობა; კერძოდ, პირველადაა დიფერენცირებული და სახელდარქვეული ფონემის „ვარიაციები“ და „ვარიანტები“, რაც ჩვენით უდრის ტერმინებს ტოლფუნქციანი სახესხვაობანი და უტოლფუნქციო სახესხვაობანი — შესაბამისად. ზოგ სხვა რამეშიც დავეყრდენით ხსენებულ ავტორებს. კერძოდ, ძლიერ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია „ვარიაციებითა“ და „ვარიანტებით“ გამოხატული ცნებების ისეთი დიფერენცირება, როგორც ეს ავტორებს აქვთ მოცემული, მაგრამ ვერ მივიჩნიეთ მისაღებად თვით ტერმინები, რომლებიც ძნელი გასარჩევია ერთმანეთისაგან და ამიტომ ძნელად დასახსომებელიც, რაც უკვე აღინიშნა სპეციალურ რუსულ ლიტერატურაში (იხ. ზემოთ გვ. 268 ს. ი. ბერნშტეინის რეცენზია).

<sup>2</sup> ჩვენ ქვემოთ გაუვრბით ტერმინს „ვარიანტი“ და ვხმარობთ მის ნაცვლად ტერმინს „სახესხვაობა“ — არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი კარგად გამოხატავს ვარიანტის შინაარსს, არამედ. უმთავრესად, იმიტომ, რომ ავანესოვისა და სიდოროვის ხსენებულ შრომაში „ვარიანტი“ იხმარება არა ზოგადი, არამედ სპეციალური მნიშვნელობით — „ვარიაცია“-სთან დაპირისპირებით. ჩვენი სახესხვაობა შეიცავს როგორც ამ ავტორების ვარიაციას (ჩვენი ტოლფუნქციანი სახესხვაობას), ისე მათს ვარიანტს (ჩვენი უტოლფუნქციო სახესხვაობას).

ტოლფუნქციან სახესხვაობას წარმოადგენს ქართულში აგრეთვე მავ., გაყრუებული ლ (მაგ., სახლს, ბოთლს) ან გაყრუებული რ (ხათრს, თათის), რომლებიც ისეთსავე დისტინქტურ როლს ასრულებენ. როგორცაც ჩვეულებრივი მუდრი ლ და რ, და არ ემთხვევიან ფონეტიკურად სხვა ფონემას.

რუსულში ტოლფუნქციან სახესხვაობას წარმოადგენს, მაგ., ხ (იხ. ზიოთ), პალატალიზებული უკანანისმიერი ჩქამიერები (რ', კ', ხ'). ა ფონემის სახესხვაობანი, მაგ., სიტყვებში: мать, мяч, мяк (მისი ძირითადი სახესხვაობა გვაქვს, მაგ., სიტყვაში мят) და ბევრი სხვა.

მაშასადამე, ფონემის ტოლფუნქციან სახესხვაობას აქვს მისი (ფონემის) ძირითადი სახესხვაობისაგან განსხვავებული დაღებითი ან უარყოფითი ნიშნეულობა, რომელიც არ გამოდგება დისტინქტური დაპირისპირებისათვის. მაგ.: ქართულში ჭ-ს აქვს, ვ-საგან განსხვავებით, სიკრუე, რომლითაც მას არ შეუძლია დისტინქტურად დაუპირისპირდეს სხვა ფონემას. აგრეთვე რუსულში რ'—კ'—ხ'-ს აქვთ, რ—к—х-საგან განსხვავებით, სილბო, რომლითაც მათ არ შეუძლიათ დისტინქტურად დაუპირისპირდნენ სხვა ფონემას.

უტოლფუნქციო სახესხვაობა შეიძლება ეწოდოს ფონემის იმ პოზიციურ სახესხვაობას, რომელიც, ემთხვევა რა ფონეტიკურად სხვა ფონემას, კარგავს იმ ფონემის დისტინქტურ ფუნქციას, რომლის სახესხვაობასაც იგი წარმოადგენს.

მაგ., წვეთი ~ წვენი, მაგრამ მიცემითი ბრუნვაა ორივესაგან წვეთს (აქ წარმოითქმის როგორც სიტყვა „წვეთს“, ისე „წვეთს“). ამ ნიშნეშიც ფონემის რეალიზაციას (სახესხვაობას) მომდევნო ს-ს წინ წარმოადგენს თ, რომელიც ფონეტიკურად დაემთხვა იმ თ-ს, რომელიც გვაქვს ფონემის სახით წვეთი-ში; ამ დამთხვევის შედეგია ის, რომ მან (ც-მ თ-ს სახით) დაკარგა ც-ს დისტინქტური ფუნქცია: ამ თ-ს აღარა აქვს ც-ს ტოლი ფუნქცია.

იგივე ითქმის ისეთ კორელაციურ ოპოზიციებზე, როგორცაა შქმდეგი: დოქი ~ დოკი, მაგრამ დოქთან (ასე წარმოითქმის როგორც „დოქთან“, ისე „დოკთან“). აქაც კ-ს რეალიზაცია ქ-დ მომდევნო თ-ს წინ დაემთხვა ფონეტიკურად იმ ქ-ს, რომელიც გვაქვს ფონემის სახით დოქი ში. ამ დამთხვევამ დააკარგინა მას (კ-ს—ქ-ს სახით) დისტინქტური ფუნქცია.

ამიტომაც, რომ აღარ განიჩხევა წარმოთქმაში ერთმანეთისაგან წვეთს და წვეტხ, დოქთან და დოკთან და მრ. სხვა.

თუ შევადარებთ ერთმანეთს ტოლფუნქციანსა და უტოლფუნქციო სახესხვაობებს, დავინახავთ მათ შორის არსებითს განსხვავებას: თუ ტოლფუნქციანი სახესხვაობა ინარჩუნებს იმავე ფუნქციას, რომელიც აქვს ფონემას (ე. ი. მის ძირითად სახესხვაობას), უტოლფუნქციო სახესხვაობა მას კარგავს:

შეჭხედე ისეა განსხვავებული შემხედე-საგან (ჭ-სა და მ-ს დაპირისპირების გამო), როგორც შევხედე (ვ-სა და მ-ს დაპირისპირების გამო); ეს იმას ნიშნავს, რომ სულ ერთია, რა დაუპირისპირდება შემხედეს — შეჭხედე თუ შევხედე. მაშასადამე, ვ-სა და ჭ-ს ფუნქცია იდენტურია.

პირიქით: სიტყვაში წვეტს ტ-ს რეალიზაცია დაემთხვა თ-ს, რის შედეგადაც მან დაკარგა აქ ფონემის ფუნქცია; აგრეთვე დოკთან-ში და ა. შ.

უტოლფუნქციო სახესხვაობათა ნიმუშებში სახესხვაობა (თ < ა, ქ < კ) დაემთხვა კორელაციის მეორე წევრს: წვეტი ~ წვეთი, მაგრამ მიცემით ბრუნვაში ორივე წარმოითქმის წვეთს; დოკი ~ დოქი, მაგრამ -თან თანდებულის წინ ორივე წარმოითქმის დოქთან.

მაგრამ უტოლფუნქციო სახესხვაობა შესაძლებელია არ ემთხვეოდეს კორელაციის მეორე წევრს და წარმოადგენდეს კორელაციის წევრთაგან განსხვავებულ ბგერას.

მაგ., იგივე კორელაცია წვეტი ~ წვეთი (ე. ი. ტ ~ თ) შესაძლებელია მოიხსნას დ-ს საშუალებით: წვედზე (ასე წარმოითქმის როგორც „წვეტზე“, ისე „წვეთზე“). მაშასადამე, აქ გვაქვს ტ-სა და თ-ს საერთო რეალიზაცია დ-ს სახით; დ აქ წარმოადგენს ტ-სა და თ-ს უტოლფუნქციო სახესხვაობას: იგი დაემთხვა სხვა ფონემას (დ-ს), და მას არა აქვს ტ-სა და თ-ს ტოლი ფუნქცია. ანალოგიურია კორელაცია ლიბი ~ ლიფა (ე. ი. ბ ~ ფ). რომელიც მოიხსნება (ნეიტრალიზდება) ბ-ს სახით: ლიბზე = ლიბზე და ლიფზე); კორელაცია რიკი ~ რიგი: რიქში (კ ~ გ მოიხსნა ქ-თი); კორელაცია კუდი ~ კუტა: კუთთან (დ ~ ტ მოიხსნა თ-თი) და ა. შ.

განხილულმა ნიმუშებმა გვიჩვენეს, რომ ხშირად არა ჩანს, თუ რომელი ფონემის სახესხვაობას წარმოადგენს ესა თუ ის უტოლფუნქციო სახესხვაობა.

კერძოდ, ორთოგრაფიაში, რომელიც მოითხოვს, რომ წერაში გამოიხატებოდეს ფონემა, ე. ი. ფონემის ძირითადი სახესხვაობა, და არა მისი რომელიმე სხვა სახესხვაობა; უტოლფუნქციო სახესხვაობის წარმოქმნის გამოყენებლობა ჰქმნის საკმაო დიდ სიძნელეს ისეთი მარტივი ორთოგრაფიის მქონე სალიტერატურო ენაშიც კი, როგორცაა ქართული (იხ. ნაწ. I, გვ. 173 და შემდ.).

მაგ., სრულიად ბუნებრივია მცირედ წიგნიერ დამწერლობაში ასეთი შეცდომები: ვასთან (ვაზთან-ის ნაცვლად), თახს (თალს-ის ნაცვლად), რიქში (რიგში-ს ნაცვლად), ავათ, კაცათ (ავად-ის და კაცად-ის ნაცვლად) და ა. შ.<sup>1</sup>

<sup>1</sup> წმინდა ორთოგრაფიულ საკითხთა შორის ფონემის უტოლფუნქციო სახესხვაობის მართლწერა ერთ-ერთ ძნელ საკითხად ითვლება სალიტერ. ქართულში.

იმის გამოსაცნობად, თუ რომელი ფონემის სახესხვაობაა ესა თუ ის უტოლფუნქციო, საჭიროა მოცემული სიტყვა (მაგ., ვასთან-ს თახს-ს, ავათ) დაისვას (ან უკეთ: წარმოითქვას) ისეთ ფორმაში თავის ძლიერ პოზიციაში, ე. ი. ისეთ პოზიციაში, სადაც ყველაზე კარგად ჩანს მელერისა და ყრუ ჩქამიერთა განსხვავებულება.

ავილოთ მცირედ წიგნიერის მიერ დაწერილი ვასთან და თასთან. საკმარისია დამწერმა იცოდეს მელერი ჩქამიერის ძლიერი პოზიცია, ე. ი., რომ მლერი და ყრუ ჩქამიერების განსხვავებულობა ჩანს ხმოვნებისა და სონორების წინ, და შეცდომას არ დაუშვებს (იგულისხმება, რატომ უნდა, რომ დამწერმა იცის დასაწერი სიტყვის შინაარსეული მნიშვნელობა: ვაზი — თახი, ვაზად — თასად, ვაზები — თახები (ხმოვნების წინ), ვაზმა — თახმა, ვაზნი — თახნი (სონორების წინ).

აქედან ჩანს, რომ „ვასთან“-ის ხ ყოფილა ზ-ფონემის უტოლფუნქციო სახესხვაობა; ხოლო „თასთან“-ის ხ ყოფილა ხ-ფონემის ძირითადი სახესხვაობა.

ამგვარადვე გამოირკვევა, რომ „თახს“-ის ხ არის ლ-ფონემის (თალი, თალმა...) უტოლფუნქციო სახესხვაობა, „რიქში“-ის ქ — გ-ფონემისა და ა. შ.; აგრეთვე სიტყვები დაავადება, ავადობა; კაცადი, კაცადობა, რომლებშიც ხმოვნების წინ მოხვედრის გამო თ მოგვევლინა (ანუ რეალიზდება) ლ-ს სახით, მოწმობენ, რომ „ავათ“-ის და „კაცათ“-ის თ არის ლ-ფონემის უტოლფუნქციო სახესხვაობა.

მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია გამოვარკვიოთ, თუ რომელი ფონემის უტოლფუნქციო სახესხვაობაა ხ სიტყვაში ახკილი (ზ-სი თუ ხ-სი), ან ხ სიტყვაში დახშული (ლ-სი თუ ხ-სი), ან ზ სიტყვაში მსგავსი (წარმოითქმის მსგავსი) (ხ-სი თუ ზ-სი) და მრავალ სხვაში, სადაც გამოსაცნობი ბგერის დასმა თავის ძლიერ პოზიციაში (აქ ხმოვნებისა ან სონორების წინ) არ ხერხდება ამ სიტყვათა არც ერთ ფორმაში.

მხოლოდ ისტორიულად თუ შეგვიძლია დავადგინოთ ამგვარ სიტყვებში გამოსაცნობი ბგერა. როდესაც ისტორიული თვალსაზრისით არ შევლის, ძველ მწერლობიან ენაში ვკმაყოფილდებით ტრადიციული დამწერლობით.

მაგ., სიტყვაში მსგავსი მხოლოდ ისტორიულად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზ წარმოადგენს ხ-ფონემის უტოლფუნქციო სახესხვაობას მელერი გ-ს წინ (როგორც ჩანს, უძველესია მსგავსი < \*სგავს, ხოლო ძველი ქართულის ზგავს — მეორეული) <sup>1</sup>.

ამგვარადვე ირკვევა რუსულშიც უტოლფუნქციო სახესხვაობათა წარმოქმნა. თუ ჩვენ ადვილად შეგვიძლია გამოვარკვიოთ, რომელი ფონემის უტოლფუნქციო სახესხვაობაა ფ pიფ-ში (იწერება pიფ), უისტორიოდ შეუძლებელია იმის გამოკვლევა, თუ რის სახესხვაობაა იგივე ფ-

<sup>1</sup> იხ. ნაწ. I, გვ. 248.



ფთარიჟ-ში (იწერება მთიარჩ): პირველში ადვილია იმიტომ, რომ ამ სიტყვის ყველა ფორმაში (მხოლოდ. სახელოდ. - ბრალდებითის გამოკლებით) ბოლო თანხმოვანი მოხვედბა ძლიერ პოზიციაში, ე. ი. ხმოვანთა წინ (რვა, რვუ; რვხ...), საიდანაც ჩანს, რომ ფ წარმოადგენს მ-ს რეალიზაციას სიტყვის ბოლოში, ე. ი. ფ არის მ-ს უტოლფუნქციო სახესხვაობა; მთიარჩ-ში ასეთი რამ, ე. ი. მ-ს მოხვედრა ძლიერ პოზიციაში (ხმოვანთა წინ) შეუძლებელია. ამიტომ მ-ს (და არა ფ-ს) ძირითადობა ამ სიტყვაში შეგვიძლია დავასკვნათ ისტორიულ-ტრადიციულად: ისტორიულად იმიტომ, რომ მ-სა და რ-ს შუა იყო რედუცირებული ხმოვანი (ზ), ხოლო ტრადიციულად იმიტომ, რომ სალიტერატურო რუსულში იწერება (ზ-ს ამოვარდნის შემდეგ) მხოლოდ მ-თი (მთიარჩ).

ძნელია აგრეთვე ვიცოდეთ უისტორიოდ, თუ რომელი ფონემის უტოლფუნქციო სახესხვაობაა რ რად-ში; ისტორია გვეუბნება, რომ რად < კზად. მაშასადამე, რ რად-ში ისტორიულად მონდინარეობს კ-დან: რ ამ შემთხვევაში კ-ს მქლერი სახესხვაობაა.

შედარებით - ისტორიულადვე ირკვევა, რომ კიძრვა-ში მუდამ უმახვილო ი, რომელიც მუდამ წარმოითქმის ა-დ, პირველადია, — უმახვილობის გამო, მახვილიანი მარცვლის წინა მარცვალში ა-დ ქცეული (ძველი სლავურის რა-ს შესატყვისად თანხმოვანთა შუა რუსულში გვაქვს ე. წ. სრულხმოვნობა იძი-ს სახით: крава—корова, арага—ахура).

მაგრამ მხოლოდ ტრადიციით ეწერთ ნარჩ, რადგანაც უმახვილო ა შესაძლებელია წარმოადგენდეს როგორც ი-ს, ისე ა-ს უტოლფუნქციო სახესხვაობას; ძლიერ პოზიციაში (ე. ი. მახვილიან მარცვალში) მოქცევა კი მისი (უმახვილო ა-სი) შეუძლებელია.

## 7. ფონემათა თანაბრფარდობა

„ფონემები ჯგუფდებიან იმის გამო, რომ ზოგ პოზიციაში ისინი განირჩევიან ერთმანეთისაგან, ხოლო ზოგში კი არ განირჩევიან, რადგანაც დაემთხვევიან ხოლმე ერთმანეთს ერთ-ერთ თავიანთ ვარიანტში (უტოლფუნქციო სახესხვაობაში). ამ ფონემათა გარჩეულობა თუ დამთხვევა ზდება სრულიად გარკვეულ პირობებში. ამავე დროს იმავე პირობებში შესაძლებელია განირჩეოდნენ ან ემთხვეოდნენ ერთმანეთს არა მხოლოდ ერთი რომელიმე ჯგუფის ფონემები, არამედ ჯგუფთა ცთული რიგის ფონემებიც. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ასეთ ჯგუფებში შეავეალ ფონემათა გარჩეულობა თუ დამთხვევა, რამდენადაც ამას ადგილი აქვს იდენტურ პირობებში, პარალელურია. მაგალითად, რუსულ ენაში სიტყვის ბოლოში მქლერი ა-ფონემა ყრუვდება და გვევლინება თავის ყრუ რ-ვარიანტში (უტოლფუნქციო სახესხვაობაში), და დაემთხვევა რა, ამგვარად, ყრუ რ-ფონემას; ამავე პოზიციაში ზ გვევლინება ც-ვარიანტში (უტოლფუნქციო სახესხვაობაში), დაემთხვევა რა ც-ფონემას;

ნ-ფონემა გვევლინება *п*-ვარიანტებში (უტოლფუნქციო სახესხვაობაში), დაემთხვევა რა *п*-ფონემას და ა. შ.; შეად.: *сажѣ* — *сат* (შეად. *кажѣ* — *кѣт*), *гжажѣ* — *гѣс* (შეად. *нажѣ* — *гѣс*), *ѣанѣ* — *нѣт* (შეად. *сжапѣ* — *снѣт*). ამგვარად, თითოეულ მოყვანილ ჯგუფთაგანში შემაჯავალი თანხმობანი ფონემები ყრუვდებიან ან მკლერდებიან იღენტურ პირობებში.

ანალოგიურ რაცს ჰქმნის რუსულში ფონემათა ისეთი წყვილგული ჯგუფება, როგორცაა *д* და *д'*, *т* და *т'*, *з* და *з'*, *с* და *с'* და სხვ.<sup>1</sup>; თუ აქა თუ იმ პოზიციაში *д*-ფონემა რბილდება და რეალიზდება *д'* ვარიანტში (უტოლფუნქციო სახესხვაობაში), მაშინ იმავე პოზიციაში *т*-ფონემა რეალიზდება *т'*-ში, *з* — *з'*-ში, *с* — *с'*-ში და ა. შ.; ყველა ესენი დაემათხვევიან ხოლმე ამ შემთხვევაში შესაბამის რბილ *д'* — *т'* — *з'* — *с'* = ფონემებს (შეად.: *чзжѣ* — *чз'ж'ѣ'*, *тѣ* — *т'ѣ*, *кажѣ* — *каз'ѣ'*, *асѣ* — *ас'ѣ'* და ა. შ.).

ამგვარი რიგები იმ ფონემათა, რომელნიც განირჩევიან ერთმანეთისაგან და ერთხვევან იღენტურ პირობებში, წარმოქმნიან თანაშეფარდებულ ჯგუფებს, ე. ი. ისეთ ჯგუფებს, რომელთაგან თითოეულში ერთი ფონემა შეფარდება მეორეს ისე, როგორც შესაბამისი ფონემები შეფარდებიან ერთმანეთს მოცემული რიგის ფონემათა რაგინდ სხვა ჯგუფში. ეს შეფარდებები შეიძლება გამოიხატოს შემდეგნაირად:

$a : a_1 = b : b_1 = c : c_1$  და ა. შ.; ან, მაკ., რუსული ენის მკლერ და ყრუ თანხმობანი ფონემათა რიგისათვის;  $д : т = з : с = н$  და ა. შ.<sup>2</sup>.

ეს ვრცელი ამონაწერი ხსენებულნი წიგნიდან იმისათვის დაგვირგადა, რომ, ჯერ ერთი, მოგვეცა ფონემათა თანაშეფარდებების საფუძვლიანი განმარტება რუსული ენის მასალაზე; მეორე ნხრით, იმისათვის, რომ დავუპირისპიროთ მათ ქართულ ფონემათა თანაშეფარდებები, რომლებიც არსებითად განსხვავდებიან მათგან.

პირველი განსხვავება იმაშია, რომ ქართულს, თავისთავად ცხადია, არ შეიძლება ჰქონდეს თანხმობანი ფონემათა თანაშეფარდებები სილბო-სიმავრის ნიშნეულობით.

მეორე იმაშია, რომ *რ-რ* კეროვანი თანაშეფარდებები ქართულში მკლერობა-სიყრუის ნიშნეულობით შეიძლება იყოს მხოლოდ წყვილგულელებში, ე. ი. ნაპრალოვნებში. ესენია:

$ზ : ს = ე : შ = ლ : ხ$  (ხაზი : ხახთან = ბაჟი : ბაშს = ბალი = ბახში)

აქ არაა გათვალისწინებული დეფექტური *რ-რ* წევროვანი შეფარდებები  $ვ : ჭ$  და  $ყ - ჰ$ , რამდენადაც  $ჭ$  და  $ყ$  ფონემები ქართულს არა აქვს.

<sup>1</sup> იხ. 6.წ. I, გვ. 156.

<sup>2</sup> P. H. А в а и о с и и В. Н. Сидорои, ср. сѣт., გვ. 44—45.

<sup>3</sup> იგულისხმება მკლერი ჰ.

შესამე განსხვავება იმაშია, რომ ქართულში მოქმედებს სშულ ფონემათა სამ-სამწევროვანი თანაშეთარდებები მჟღერობა-ფშვინეი-რობა-აბრუპტივობის ნიშნეულობით, ესენია:

ბ : ფ : პ = დ : თ : ტ = ძ : ც : წ = ჯ : ჩ : ქ = გ : ქ : კ (კბილები : კბილეს : კბილებკრეჭია = სედი : ბეთში : ბეტკრული = ბოძი : ბოცთან : ბოწყინტი = ხენჯი : ხენჩს : ხენქპარბი = ჯაგა : ჯაქნი : ჯაკპარბი<sup>1</sup>).

აქ არაა გათვალისწინებული დეფექტური სანწევროვანი შეფარდება ფ : ქ : ყ. რამდენადაც სალიტერატურო ქართულში არა გვაქვს ფონემის უფლებებით ორი პირველი, სოლო პირველი — არც დიალექტებში (იხ. ნაწ. II, გვ. 9 და 24, აკრეთვე ქვემოთ).

ქართული ენის ბგერათსისტემას ფონოლოგიური თვალსაზრისით არავენ შეუბნია. ანგარიშში არაა ჩასათვლელი როგორც ცალკეული შენიშვნები ამ წიგნის I ნაწილის სხვადასხვა ადგილას<sup>2</sup>, ისე ნ. ტრუბეცკოის ზოგიერთი პარალელი ქართულ ხმოვანთა და თანხმოვანთა სისტეზნიდან მის მიერ კავკასიურ ენათა ფონემათ სისტემის აგებისას (იხ. მისი Grundzüge der Kaukasische, Prague, 1939).

იმ მრავალ საკითხთაგან, რომლებიც კი შესაძლოა დაისვას ამა თუ იმ ენის ფონოლოგიურად შესწავლისას<sup>3</sup>, ჩვენ ქვემოთ შევესებოთ ქართული ენის ფონოლოგიიდან, გარდა ზემოთქულისა, მხოლოდ ქართულის ფონეზურ შედგენილობას, ფონემათა განაწილებასა და სახეცვალებას.

## 8. ქართული ენის ხმოვანი ფონემათი. მათი პოზიციური განაწილება და სახეცვალება

ქართული ენის ხმოვან ფონემათა სისტემა ძლიერ მარტივია როგორც თავისი შედგენილობით, ისე თავისი პოზიციური სახესხვაობებით.

ქართულში არაა წინა რიგის და ლაბიალიზებული ხმოვნები, როგორც აქვს, მაგ., გერმ. (ი — ბ) ან. ფრანგულს; ქართულს აქვს მხო-

<sup>1</sup> ნიმუშები ზოგჯერ აქაც და ქვემოთაც შედგენილია ხელოვნურად: მათი მიზანია მხოლოდ კომპლექსების ილუსტრირება.

<sup>2</sup> იხ. აგრეთვე ჩვენი „ბგერათმონაცვლების ზოგიერთი საკითხი ქართულში“ (სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები XXXIV, გვ 355 და შემდ.), ს დაე პირველადაა განხილული ფონოლოგიურად ქართული ენის ერთ-ერთი საკითხი, რომელიც ფონეტიკია და მორფოლოგიის მიჯნაზეა.

<sup>3</sup> მოცემული ენის ფონემური შედგენილობა და ფონემათსისტემა; ამ ენაში მოქმედი კორელაციური ოპოზიციები და თანაშეთარდებების დადგენა; ფონემური შედგენილობის ფონეტიკურ-პოზიციური განაწილება ადგილმდებარეობის მიხედვით; ფონემის ტოლფუნქციანობა და უტოლფუნქციო სახესხვაობების წარმოქმნა ენის ფონემურ სისტემაში; მოცემული ენის ფონეტიკური შედგენილობისა და ფონემათსისტემის ისტორიული ევალებაა და მასში მოქმედი კანონზომიერებანი და სხვა.

ლოდ ხუთი ხმოვანი, რომელთაგან ყველაზე ფართო (დაბალი აწეულ-ბის) ხმოვანია ნეიტრალური ა.

ამის გამო ქართული ხმოვანი ფონემები ლაგდებიან სამკუთხედის-სკემაში (იხ. ნაწ. I, გვ. 73, სურ. 33).

ქართულ ხმოვან ფონემებს არ ახასიათებთ რაოდენობითი (სიგრძე-სიმოკლის) განსხვავება, ე. ი. ქართული ენის არც ერთ ხმოვანს არა აქვს ორგვარი რაოდენობა, როგორც არა აქვს იგი რუსული ენის არც ერთ ხმოვანს, მაგრამ აქვს იგი, მაგ., გერმანულს, ინგლისურს და ნაწილობრივ ფრანგულსა და სვანურს (ნაწილობრივ — იმიტომ, რომ ფრანგულსა და სვანურში ხმოვანთრაოდენობის ფონოლოგიური ღირებულება დაბალია ან ნულს უდრის, ე. ი. სიტყვათგანმასხვავებლობითი მისი ფუნქცია იშვიათია ან სრულიად არ არის ამ ენებში<sup>1</sup>).

ქართულში ხმოვანი ოდნავ გრძელდება მეღერ თანხმოვანთა წინ, მეტადრე კი მეღერ ნაპარალოვანთა და ბმულ ნაპარალოვანთა (იხ. ნაწ. I, გვ. 39) წინ, როცა ეს თანხმოვნები მარცვალში ეყვდებიან მის წინ მდგომ ხმოვანს; ეს ხმოვანი განსაკუთრებით შესამჩნევად გრძელდება ასეთ პირობებში ნაზალურ თანხმოვანთა წინ. მაშასადამე, ყოველი ხმოვანი ქართულში, მაგ., ა, ზრდადი ხანგრძლიობისა შემდეგ კომპლექსებში:

ბატნა, ათმა — ადგა — დაზგა — ვარგა — სვამდა, დედანს. .

მახვილიანობა-უმახვილობის გავლენა ხმოვნებზე დღევანდელ ქართულში არა ჩანს: თითოეული ხმოვანი საერთოდ წარმოითქმის მკაფიოდ, მეტადრე არა ხმოვანთან თანხმოვანთა შუა — მიუხედავად იმისა, მახვილიან მარცვალშია იგი თუ უმახვილოში (მახვილის ადგილის შესახებ იხ. ნაწ. I, გვ. 136 და შემდ.).

ხმოვნის ყველაზე ძლიერი პოზაცია ქართულში არის მისი მდებარეობა არა ხმოვანთან და თანხმოვანთა შუა, ე. ი. ამ მდებარეობაში რეალიზდება ყველაზე უკეთ ქართულში ხმოვნის ძირითადი სახესხვაობა.

ქართული ხმოვნის პოზიციური განსხვავებულობა ანუ თითოეული ხმოვნის სახესხვაობრიობა მეტად შეზღუდულია: ქართული ხმოვანი სრულიად უმნიშვნელოდ იცვლება, ცოცხალი მეტყველების პროცესში, პოზიციურად; მეტადრე მცირედ განიცდის იგი თანხმოვანთა გავლენას.

ამით ქართული ძლიერ განსხვავებულია რუსული ენისაგან, რომელშიც თანხმოვნებს ძლიერი გავლენა აქვთ ხმოვანთა კვალიტეტზე.

მხოლოდ ერთი პოზიციაა ხმოვნისა ქართულში, ხმოვანს რომ შესამჩნევად უცვლის როგორც კვალიტეტს, ისე კვანტიტეტს (რაოდენობას); ესაა ზემოხსენებული გავლენა ნაზალური თანხმოვნისა ხმოვანზე: აქ ხმოვანი რეალიზდება გრძელ ოდნავ ნაზალურ ხმოვანად. ა უფრო გრძელია სიტყვებში: ჩანს, ქამდა, განს, ან, ვიდრე სიტყვებში: ჩაფს, მჭად-თან, ჰგავს, აქ.

<sup>1</sup> იხ. ნაწ. I, გვ. 124—126, სადაც განხილულია ხმოვანთა ხანგრძლიობის ფუნქციონირება.

მაგრამ ქართულში ა-ფონემის ეს სახესხვაობა ტოლფუნქციანია, რის გამოც იგი არაა გამოყენებული ქართულში დისტინქტურად.

ქართულ თანხმოვანთა მინიმალური გავლენა ხმოვნებზე — და საერთოდ ხმოვანთა და თანხმოვანთა ურთიერთზე — შედეგია, როგორც ჩანს, ქართულ თანხმოვანთა — მეტადრე ხშულთა — მკაფიო წარმოთქმისა და, ნაწილობრივ ამის გამო, ხმოვანთა და თანხმოვანთა ერთმანეთისაგან მკაცრად განიჯნვისა.

სამაგიეროდ ხმოვნები განიციდიან ერთმანეთის მეტ-ნაკლებ გავლენას: ქართული ხმოვანი სუსტ პოზიციაშია მხოლოდ ხმოვანთან უშუალო მეზობლობაში, უმთავრესად კი, როგორც ჩანს, მომდევნო ხმოვნის წინ; ე. ი. ქართული ხმოვანი ფონემის ძირითადი სახესხვაობა იცვლება უმთავრესად ხმოვნის წინ.

სალიტერატურო ქართული არ იძლევა საშუალებას, თავისი ოთოგრაფიული ნორმირებულობის გამო, განვიხილოთ მასში ხმოვანთა პოზიციური სახესხვაობები: ქართულში ხმოვნები მეტწილად გრანტიკული ფუნქციის მატარებელია; სალიტერატურო ენაში ხშირად ხელოვნურადაა ისინი დაცული. დიალექტებში კი ფონეტიკური ცვლილებები ნაკლებაა შეზღუდული.

ამიტომ ქართულ ხმოვანთა პოზიციური სახესხვაობების ვანხლებისათვის უმჯობესია დიალექტობრივი მასალების გამოყენება.

საერთოდ აღსანიშნავია, რომ ხმოვანთა ურთიერთგავლენა საკმაოდ ძლიერი ჩანს დიალექტებში: იგი იქამდე აღწევს, რომ ზოგიერთ დიალექტში ხმოვანი მოქმედებს ხმოვანზე არაუშუალო მეზობლობაშიც, სახელდობრ, როცა ხმოვანთა შუა თანხმოვანია. ასეთ მანძილზე ხმოვნის გავლენის ნიმუშია, მაგ., დომინახევენ (აქარულში), გიგამარჯოსა (თუშურში) <sup>1</sup>.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ხმოვანი ფონემა იცვლის ძირითად სახესხვაობას, როგორც წესი, რეგრესულად, ე. ი. მომდევნო ხმოვნის გავლენით <sup>2</sup>.

ნეიტრალური ხმოვანი ა რეალიზდება როგორც წინა რიგის ხმოვნად, ისე უკანა რიგისად: იმერ., გურ. წვილო, აქარ. წვილო: გოუ-გზანა, გოუგზანა (გუგზანა). ორივე მიმართულების შემთხვევაში ჩვენ გვაქვს ა ფონემის უტოლფუნქციო სახესხვაობები, რომლებიც პირველ შემთხვევაში დაემთხვენენ ე — ი-ფონემებს; ხოლო მეორეში — ო — უ-ფონემებს.

---

<sup>1</sup> ამოღებულია შოთა ძიძიგურის შრომიდან „ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საერთო საფუძველი ქართულ კილოებსა და ხანურში“ (იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, თბილისი, 1946), გვ. 20.

ჩვენი მომდევნო მსჯელობა მთლიანად ემყარება ამ შრომაში მოცემულ მასალას და მის ავტორისებურ კლ:სიფიკაციას

<sup>2</sup> იხ. ნაწ. I, გვ. 195.

ამას აღვლილი აქვს A რიგის კომპლექსებში, ე. ი. როდესაც a წინ-  
 უძღვის წინა რიგის ან უკანა რიგის ორში ერთ ხმოვანს შესაბამისად.

იგივე a B რიგის კომპლექსებში, ე. ი. როცა იგი წინ კი არ უძღ-  
 ვის, არაჩნდ წოსდევს წინა რიგისა ან უკანა რიგის ორში ერთ ხმოვანს  
 შესაბამისად, რეალიზდება მუდამ თავისი ძირითად სახესხვაობით.

კვალიტეტურად ძირითად სახესხვაობას ინარჩუნებს a-ფონემა  
 აგრეთვე C კომპლექსში, ე. ი. როცა მას უერთდება მეორე a (ან იგი  
 უერთდება a-ს).

საყურადღებოა, რომ უფრო ძლიერაა გაერცელებული პრევერბი-  
 სეული a-ფონემის — ისე როგორც ყველა სხვა პრევერბისეული ხმოვ-  
 ნის — სახეცვალება, ვიდრე ფუძისეულისა, — მეტადრე დასავლურ კი-  
 ლოებში.

რაც შეეხება სხვა ხმოვნებს, არც ერთი მათგანი არ ინარჩუნებს  
 თავის ძირითად სახესხვაობას არც A რიგის კომპლექსებში, ე. ი. როცა  
 თითოეულ მათგანს მოსდევს მათზე უფრო ვიწრო ხმოვანი, და არც B  
 რიგისაში, ე. ი. როცა თითოეულ მათგანს მისდევს მათზე უფრო ფარო  
 ხმოვანი: პირველ შემთხვევაში (ე. ი. A რიგის კომპლექსებში) ეს ხმოვნები  
 რეალიზდებიან უფრო დავიწროებული სახესხვაობებით (დელაბიალიზე-  
 ბულად მომდევნო ი-ს წინ და ლაბიალიზებულად მომდევნო უ-ს წინ —  
 შესაბამისად); მეორე შემთხვევაში (ე. ი. B რიგის კომპლექსებში) ეს  
 ხმოვნები რეალიზდებიან აგრეთვე უფრო დავიწროებული სახესხვაო-  
 ბებით, რომელთაც ცენდენცია აქვთ მოგვევლინონ უმარცვლო სახესხვაო-  
 ბით (ი და ე > ა, უ და ო > ე) ან დაიკარგონ სრულიად.

### 9. ქართული პნის თანხმოვანი ფონემები. გათი პოზიციური განაწილება და სახესხვალება

სალიტერატურო ქართულსა და მის დიალექტთა უმრავლესობაში  
 დღეს გვაქვს 28 თანამოვანი ფონემა.

#### I. ალბიჟის მიხედვით:

##### 1. ბ ა გ ის მ ი ე რ ნ ი:

ა. წყვილბაგისნიერნი: ბ — ფ — ვ, მ

ბ. კბილბაგისნიერი: — — — — ვ

##### 2. ე ნ ის მ ი ე რ ნ ი

ა. წინაენისმიერნი: დ — თ — ტ, ნ, ლ  
 ძ — ც — წ — — ზ — ს

ბ. ენაუნისმიერნი: ჯ — ჩ — ქ — რ, თ — შ

გ. უკანაენისმიერნი: გ — ქ — კ — — ლ — ხ

დ. ენისძირისმიერი — — ყ

##### 3. ხ ო რ ხ ის მ ი ე რ ი: — — — — — 3

## II. რაბვარობის მიხედვით:

### 1. ხშულნი (ჩქამიერნი):

- ა. მელერნი: ბ — დ — ძ — ჯ — გ
- ბ. ფშვინვიერნი: ფ — თ — ც — ჩ — ქ
- გ. აბრუპტივნი: პ — ტ — წ — კ — ყ — უ

### 2. არახშულნი:

#### ა. ჩქამიერნი:

1) მელერნი: ზ — ყ — ლ — ე

2) ყრუები: ს — შ — ხ, ჰ

#### ბ. სონორულები: რ — ლ — მ — ნ.

ამ 28 თანხმოვანი ფონემიდან უმრავლესობა ლაგდება თანაშეფარდებათა რიგებად:

1. ორ-ორწევროვნებად — ნაპრალონები: ზ : ს = ყ : შ = ლ : ხ (ნიმუშები იხ. ზემოთ) და

2. სამ-სამწევროვნებად — ხშულები: ბ : ფ : პ = დ : თ : ტ = ძ : ც : წ = ჯ : ჩ : ქ = გ : კ : ჯ (ნიმუშები იხ. ზემოთ).

დანარჩენი შვიდი თანხმოვანი ფონემიდან ოთხს (რ — ლ — მ — ნ) არ მოეპოვება ქართულში კორელაციური ოპოზიცია (უტოლფუნქციო სახესხვაობა), ე. ი. არც ერთი მათგანის გაყრუებული სახესხვაობა ქართულში არ წარმოადგენს ფონემას.

ასეთივეა ქართული ფ-ც: არც მას აქვს უტოლფუნქციო ყრუ სახესხვაობა, ე. ი. ძ არ წარმოადგენს ქართულში ფონემას<sup>1</sup>.

ანიტომ რ — ლ — მ — ნ, ე არ ჰქვნიან მელერობა-სიყრუის მიხედვით თანაშეფარდებულ რიგებს.

რაც შეეხება ფ-სა და მ-ს, ესენი ორივე მოკლებულია კორელაციურ ოპოზიციას სალიტერატურო ქართულში; ზოგიერთ დიალექტში კი ფ-ს მოეპოვება ოპოზიცია მ-ს სახით; მაგ., ყელი : ჰელი, ე. ი. ყ : ჰ = მ : ფ = ტ : თ და ა. შ.

სალიტერატურო ქართულში ფ-ს აქვს ტოლფუნქციანი სახესხვაობა ყრუ ნაპრალონის წინ, მაგ., სიტყვებში: არაყს, ჯანყში ფ წარმოითქმის თავისი ფშვინვიერი ტოლფუნქციანი სახესხვაობით: არაჟს, ჯანჟში (ისე როგორც რიკს, რიკში წარმოითქმის რიჟს, რიჟში).

არც ერთი ამ ექვსი თანხმოვიდან (რ — ლ, მ — ნ, ვ, ყ) ექვს არ იწვევს, რომ თითოეული მათგანი სრულდირებული ფონემაა ქართულენაში.

<sup>1</sup> ძ ძლიერ გავრცელებული ფონემაა მსოფლიოს მრავალ ენაში. კავკასიურ ენათა შორის ძ აქვს ფონემის სახით: ადგაზურს, ადიღურს, ლეზგიურს, წაბერულს...

რაც შეეხება ჰ-ს, ეს არაა სრულდირებული ფონემა სალიტერატურო ქართულში (და, როგორც ჩანს, არც დიალექტებში): ხმოვნის წინ სალიტერატურო ქართულში იგი იხმარება საყოველთაოდ გავრცელებულ მხოლოდ ორ სიტყვაში (ჭაერი და ჭავა)<sup>1</sup> და ზოგიერთ ძახილში, მაგ., ჰა, ჰე, ეჰე, აჰა. თანხმოვნის წინ სალიტერატურო ქართულში დღეს იხმარება მხოლოდ აფექტირებულსა და ემოციურ წარმოთქმაში—ზმნური პრეფიქსის დანიშნულებით (ჰქონდა, ჰგავს, შეჰქმნა, მოჰკლა და მისთ.), და ამ შემთხვევაშიც იგი წარმოადგენს უფრო მეტად თანხმოვნის ფუნქციურ შემართვას, ვიდრე დამოუკიდებელ ფონემას.

როგორც ჩანს, ჰ-მ დაკარგა ფონემის ღირებულება გრამატიკული ფუნქციის დაკარგვასთან ერთად (იხ. ნაწ. I, გვ. 106 და შემდ.).

როგორაა განაწილებული პოზიციურად ქართულის ჩქამიერი ფონემები, ე. ი. რომელი ფონეტიკური პოზიციებია მათთვის ძლიერი და რომელი სუსტი? რა სახეცვალებას განიცდიან ისინი?

ქართული ჩქამიერი ფონემები რეალიზდებიან თავიანთი ძირითადი სახესხვაობებით ყველა ხმოვნისა, სონორებისა და ვ-ს წინ. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ათი ბგერის (ა — ე — ი — ო — უ, რ — ლ, მ — ნ, ვ) წინ ქართული ჩქამიერებიდან მჟღერები მოგვევლინებიან მჟღერებად, უშვინეიერები — ფშვინეიერებად და აბრუპტივები — აბრუპტივებად: ჩქამიერთა ეს თვისებები ანუ ნიშნულობები (მჟღერობა — ფშვინეიერობა — აბრუპტივობა) ამ ათი ბგერის წინ არაა განპირობებული, ან თუა, — მინიმალურად. ამ პოზიციაში ქართული ჩქამიერები ძლიერ პოზიციაშია, ე. ი. თითოეული მათგანის წინ შეიძლება იდგეს ყოველი ქართული ჩქამიერი ფონემა:

ზარი — ზელა — დეზი — ზოგი — ზურგი, დაზრა — ეაგზლის, ზმა — ზნე, ნეზვი.

სარი — ხელი — ხილა — ხოლი — ხული, მოსრა — ნისლი, ხმა — ხნეული, ნესვი და ა. შ.: ყველა 23 ჩქამიერი ფონემა (ბ — გ — დ — ვ — ხ — თ — კ — პ — ჟ — ს — ტ — ფ — ქ — ლ — ყ — შ — ჩ — ც — ძ — წ — ჳ — ხ — ჯ) შეიძლება უცვლელად მოხედეს ამ ათი ბგერის წინ, ისე როგორც ზ და ხ.

ჩქამიერ თანხმოვნებს სხვა პოზიციებიც შეიძლება ჰქონდეთ ძლიერი. მაგრამ ამ მხრივ ჩქამიერი თანხმოვნები განირჩევიან იმის მიხედვით, მჟღერია იგი, ფშვინეიერი თუ აბრუპტივი, ერთი მხრით, და ხშულია იგი თუ ნაპრალოვანი, მეორე მხრით. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩქამიერი თანხმოვნები განაწილებულია პოზიციურად.

<sup>1</sup> დიალექტებში გვხვდება აგრეთვე ხაერი, აერი და ხავა, რაც იმას მოწმობს, რომ არც ამ ორ სიტყვაშია იგი მტკიცედ. რაც შეეხება ახლად შემოსულ უცხოურ სიტყვებში ხმარებულ ჰ-ს (ჰიპნოზი, ჰორიზონტი, ჰალუცინაცია, ჰიდროსადგური და ვრ. სხვა), მას შეუძლია განამტკიცოს ჰ-ს ფონემურობა ქართულში — ასეთი სიტყვების სიმრავლისა და მათი გავრცელებულობის კვალობაზე.



## ხეშულთა ძლიერი პოზიციაა

### ა. ხეშულთა წინ:

1. როცა მეღერ ხეშულს მოსდევს მეღერივე ხეშული: ნაბდის, გადიდდა, შეჯორჯდა, აბარგდა, გაგანძდა და სხვა.
2. როცა ფშინვიერი ხეშულს მოსდევს ფშინვიერი: ფთილა, ნიფთა, კამეჩთან, დოქთან, კაცთა და სხვა; ან როცა ფშინვიერთაგან ფ — თ — ქ-ს მოსდევს მეღერი ხეშული: ყეფდა, მათგან. გასუქდა<sup>1</sup> და სხვა.
3. როცა აბრუპტივის მოსდევს აბრუპტივი: კოპწია, მეტწილად, რიკტაფელა (თამაშია ერთგვარი), წკრიალი, ჭულეტა, ანაყთანა.  
ან როცა აბრუპტივის მოსდევს მეღერი: კება, ხვეტდა, ლეწდა, იხვეტდა, რეკდა, გაამაყდა<sup>2</sup>.

### ბ. ნაპრალოვანთა წინ:

1. როცა მეღერ-ხეშულს მოსდევს მეღერი ნაპრალოვანი: ბჴე, დღე, ძღება, ჯვარი, გჴა.
2. როცა ფშინვიერს მოსდევს ყრუ ნაპრალოვანი: ფშანი, თხა, ცხრა, ჩხირი, ქსანი.  
[აბრუპტივებს არა აქვთ ძლიერი პოზიცია ნაპრალოვანთა წინ].

## ხეშულთა სუსტი პოზიციაა

### ა. ხეშულთა წინ:

1. როცა მეღერ ხეშულს მოსდევს ფშინვიერი ხეშული: აქებთ — აქეფთ, შვიდთან — შვიოთან, ბოძთან — ბოცთან, ბურჯთან — ბურჩთან, რიგთა — რიქთა;  
ან როცა მეღერ ხეშულს მოსდევს აბრუპტივი: კბილებ-კრეჴია — კბილებკრეჴია, ბედკრული — ბეტკრული, ბოძკინტი — ბოწკინტი და სხვა.
2. როცა ფშინვიერი ხეშულს მოსდევს აბრუპტივი: როფკარა — რომკარა, აქეთკენ — აქეტკენ, ოცკარა — ოწკარა, სპიჩკა — სპიჭკა (ბოჩკა-ბოჭკა);

<sup>1</sup> გვხვდება ასეთი წარმოთქმაც: მაღგან, ყუთა, გასუქთა. ამათგან ხეშულის ძლიერი პოზიციის წესს არღვევს მაღგან; საყურადღებოა აგრეთვე პროგრესული ასიმილაცია ყეფთა, გასუქთა-ში. როგორც პირველის (მაღგან), ისე ამათი მიზეზი აქცესიურ-დემონსტრირ კონპლექსთა განსხვავებაში უნდა იყოს. იხ. ჩვენი „თანხზოვანთა აქცესიური კონპლექსების საკიფხისათვის კართულში“ (თბილისის უნივერსიტეტის შრომები. XXX/1b, 1947, გვ. 357 და შემდეგ: აგრეთვე ქვემოთ).

<sup>2</sup> ამ ნიმუშებში ყველგან მოსალოდნელია დიალექტობრივ (დასავლურ კილოებში) პროგრესული ასიმილაცია: კება, ხვეტტა, ლეწტა, იხვეტტა, რეკტა, გაამაყტა; მაგრამ ის არ არღვევს აბრუპტივთა ძლიერი პოზიციის წესს.

ან როცა ფშვინვიერ ხშულაგან ც-სა და ჩ-ს მოდევს მეღერი ხშული:

ოცდაერთი -- ოძდაერთი (ან ოზდაერთი), გაურჩა — გაურჯა.

3. როცა აბრუპტივს მოსდევს ფშვინვიერი ხშული:

სიპთან — სიფთან, სეცთან — სეფთან, ბერწთან — ბერცთან, ნიქ-  
თა — ნიჩთა, რიკთან — რიჭთან, ამაყთა — ამაჭთა.

### ბ. ნაპრალოვანთა წინ:

1. როცა მეღერ ხშულს მოსდევს ყრუ ნაპრალოვანი:

აქებს — აქეფს, ბედწი — ბეთწი, ბოძს — ბოცს, ნაბიჯს — ნაბიჩს,  
რიგში — რიჭში.

2. როცა ფშვინვიერ ხშულს მოსდევს მეღერი ნაპრალოვანი:

როფსე — რაზსე, მათლა — მაღლა, კაცწე — კაჭწე, ურჩსე —  
ურჯსე.

3. როცა აბრუპტივს მოსდევს მეღერი ნაპრალოვანი:

სიპწე — სიბწე, კეძწე — კედწე, ლერწწე — ლერძწე, ბიჭწე —  
ბიჯწე, რიკწე — რიჭწე;

ან როცა აბრუპტივს მოსდევს ყრუ ნაპრალოვანი:

სიპს — სიფს, სეცში — სეფში, ლერწს — ლერცს, ბიქს — ბიჩს,  
რიკს — რიჭს.

## ნაპრალოვანთა ოლიმპიკონიკია

### ა. ნაპრალოვანთა წინ:

1. როცა მეღერ ნაპრალოვანს მოსდევს მეღერი ნაპრალოვანი:  
ვანწე, ვაფწე, ბაღწე.

2. როცა ყრუ ნაპრალოვანს მოსდევს ყრუ ნაპრალოვანი:  
თახს, დოშში, დოშს, ბალახს.

### ბ) ხშულთა წინ

1. როცა მეღერ ნაპრალოვანს მოსდევს მეღერი ხშული:  
განაწდა, კაჟღება, ბაღგაღმა, ნავწე.

2. როცა ყრუ ნაპრალოვანს მოსდევს ფშვინვიერი ხშული:  
თახთან, ოთხფა, დოშთან;

ან როცა ყრუ ნაპრალოვანს მოსდევს სისინა აბრუპტივი:  
ხპეტაკი, ხტუმარი, ხწორი, შტერი, ხტომა, დუხჭირი.

3. როცა ფუძისეულ ყრუ ნაპრალოვანს მოსდევს მეღერი ჩქა-  
მიერი.

დაფახდა, გაშეშდა, მოხერხდა<sup>1</sup>.

### ნაპრალოვანთა სუსტი პოზიციაა

#### ა. ნაპრალოვანთა წინ:

1. როცა მეღერ ნაპრალოვანს მოსდევს ყრუ ნაპრალოვანი:  
ხაზს — ხახს, ვაჟს — ვაშს, ბაღში — ბაზში, ნავს — ნაჭს.
2. როცა ყრუ ნაპრალოვანს მოსდევს მეღერი ნაპრალოვანი:  
თასზე — თაზზე, დოშზე — დოჟზე, ბალახზე — ბალაღზე.

#### ბ. ხშულთა წინ:

1. როცა მეღერ ნაპრალოვანს მოსდევს ფშენიერი ხშული:  
ვაზთან — ვახთან, ვაჟთან — ვაშთან, ბაღთან — ბაზთან; ან როცა  
მეღერ ნაპრალოვანს მოსდევს აბრუპტივი:  
ვაჟკაცი — ვაშკაცი.

2. როცა ფორმანტისეულ ყრუ ნაპრალოვანს მოსდევს მეღერი  
ხშული:

მისდევს — მიზდევს, ხდის — ზდის, მიხგან — მიზგან, ხჯის — ზჯის  
> ჟჯის, იხ. შემდეგი).

შედ. ზემოთ ნაპრალოვანთა ძლიერი პოზიცია ხშულთა წინ.

3. როცა სისინა ნაპრალოვანს მოსდევს შიშინა ნაპრალოვანი ან  
შიშინა აფრიკატი:

დასში — დაშში, ხკირს — შკირს, ხჩადის — შჩადის, ზჯის (< ხჯის,  
იხ. წინა ნიმუში) — ჟჯის.

ჩქამიერთა პოზიციური განაწილებისათვის მნიშვნელობა აქვს სიტყ-  
ვის ბოლოს.

სიტყვის ბოლოში ჩქამიერთაგან ძლიერ პოზიციაშია ყველა ყრუ,  
ხოლო სუსტ პოზიციაშია ყველა მეღერი თანხმოვანი. ეს უკანასკნელნი  
სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში რეალიზდებიან თავიანთი ფშენიერი  
სახესხვაობით (იხ. ნაწ. I, გვ. 220 და შემდ.).

ამიტომ სიტყვის ბოლოში ოპოზიცია „მეღერი: ფშენიერი“ (ე. ი.  
ბ: ფ, დ: თ, ძ: ც და სხვები) ნეიტრალიზდება (იხსნება) ფშენ-  
ვიერით, მაგ., ჭაქებ: ვყეფ — ვაქეფ: ვყეფ; ვამბობ: ვყოფ — ვამბოფ: ვყოფ.

<sup>1</sup> დასავლურ კილოებში აქაც პროგრესული ასიმილაციაა მოსალოდნელი: და-  
ფახა, გაშეშა, მოხერხა.

მაშასადამე, ფშენიერი თანხმოვანი რეალიზდება სიტყვის ბოლოში თავის ძირითადი სახესხვაობით, ხოლო მეღერი ჩქამიერი — თავისი უტოლფუნქციო სახესხვაობით.

ძირითადი სახესხვაობით რეალიზდება სიტყვის ბოლოში აგრეთვე აბრუპტივი, რომელიც ამ პირობებში ძლიერ პოზიციამა, ფშენიერი თანხმოვნის მსგავსად.

ამიტომ ოპოზიცია „ფშენიერი: აბრუპტივი“ სიტყვის ბოლოში არ ნეიტრალიზდება; მაგ., ვხვეტ : ვკვეთ, ვლეწ : ვკვეც და სხვა.

## ღ — ხ, ყ — ს პოზიციური ბანაწილების შესახებ

საგანგებოდაა აღსანიშნავი ღ — ხ, ყ — ს პოზიციური განაწილება და მათ სახესხვაობათა რეალიზაცია, როცა მათ წინ უძღვის შესაბამისად ერთ-ერთი ხშული თანხმოვანი პირველი ოთხი სამეულიდან. იმ თორმეტი ხშულიდან, რომელსაც შეიცავს ეს ოთხი პირველი სამეული (ბ — ფ — ჰ, დ — თ — ტ, ძ — ც — წ, ჯ — ჩ — ქ), ღ შეიძლება რეალიზდებოდეს თავისი ძირითადი სახესხვაობით მხოლოდ მეღერ ხშულთა (ბ — დ — ძ — ჯ) მიმყოფ:

ბღაის, დღე, ძღოლა, ჯღიბა.

ამ სამეულების ფშენიერი ხშულთა (ფ — თ — ც — ჩ) მიმყოფ იგივე ღ რეალიზდება თავისი უტოლფუნქციო ყრუ სახესხვაობით — ხ — თი:

ფღ > ფხ, თღ > თხ, ცღ > ცხ, ჩღ > ჩხ.

ამ პროცესს მოწმობს, მაგ., იმერული რაცხა, რომელიც წარმოქმნილია რაც + ღა-საგან (შეად. რაცაღა).

ამ სამეულების აბრუპტივთა (პ — ტ — წ — ქ) მიმყოფ იგივე ღ რეალიზდება ყ — ს სახით:

პღ > პყ, ტღ > ტყ, წღ > წყ, ქღ > ქყ.

ამ პროცესს გვიმოწმებს ძველი ქართულის აწყა < აწ-ღა.

განხილულ შემთხვევაში ღ წარმოადგენს ფონემას, ხოლო ხ და ყ მის უტოლფუნქციო სახესხვაობებს.

თეორიულად ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ამ კომპლექსებში ფონემად ხ, ხოლო ღ და ყ მის უტოლფუნქციო სახესხვაობებად. ამ შემთხვევაში ხ რეალიზდება თავისი ძირითადი სახესხვაობით (ე. ი. როგორც ფონემა) ამ ოთხი სამეულის ფშენიერთა (ფ — თ — ც — ჩ) მიმყოფ:

ფხა — თხილი, ცხელი, ჩხირი,

ხოლო მეღერ ხშულთა (ბ — დ — ძ — ჯ) მიმყოფ — ღ — ს სახით, ე. ი. თავისი მეღერი უტოლფუნქციო სახესხვაობით (ბხ > ბღ, დხ > დღ, ძხ > ძღ) და აბრუპტივთა (პ — ტ — წ — ქ) მიმყოფ — თავისი აბრუპტივული სახესხვაობით — ყ — თი (პხ > პყ, ტხ > ტყ, შეად. ტეხ || ტხ > ტყ, წხ > წყ, კხ > კყ).

აგრეთვე თეორიულად ჩვენ შეგვიძლია ფონემად წარმოვიდგინოთ : ყ, რომელიც თავისი ძირითადი სახესხვაობით რეალიზდება აბრუპტივ-თა მიმყოლ (საპყარი, ტყუბი, წყალი, ჭყეტა), ხოლო თავისი უტოლ-ფუნქციო სახესხვაობებით (ღ-თი და ხ-თი მეღერთა და ფშენვიერ-თა მიმ-ყოლ შესაბამისად (ბყ > ბღ, დყ > დღ, ძყ > ძღ, ჯყ > ჯღ; ფყ > ფხ, თყ > თხ, ცყ > ცხ, ჩყ > ჩხ).

აქ ძლიერ საყურადღებოა, რომ ჰარმონიულ ხშულთა B-სისტემაში (იხ. ქვემოთ გვ. 301) ყ ჰქმნის სამეულ ღ : ხ : ყ-ს. ფონეტიკურად ეს შეუძლებელია, რადგანაც შეფარდების (ოპოზიციის) ორი პირველი წევრი ნაპრალოვანია, ხოლო მესამე — ხშული.

ეს შეიქნა შესაძლებელი ფონოლოგიურად იმის შებენი, რაც ყ-მ დაკარგა (სალიტერ. ჭართულსა და დიალექტთა უმრავლესობაში) თავისი შეფარდების ორი პირველი წევრი. (ზ და ჯ) და მიეკედლა ფუნქციონა-ლურად წყვილდულ ღ : ხ-ს. ნაშასადამე, ყ ფონეტიკურად აბრუპტივია, ფონოლოგიურად — ნაპრალოვანი. ამას ხელს უწყობს, ალბათ, ყ-ს სპირან-ტოიდობა (იხ. იქვე).

## ბგერათმონაცვლეობის ზოგიერთი საკითხი ქართულში \*

თანხმონაცვლეობის ნიმუშია ქართულში, მაგალითად, სიტყვებში: გალობა/გალოფს, რიგი/რიქს (მონაცვლეობაა მელერისა და ყრუ: თანხმონაცვლეობის: ბ/ფ, გ/ქ).

თანხმონაცვლეობა გვაქვს აგრეთვე შემდეგ შემთხვევებში: კრება/კრეფა, სული/სუნი; მაგრამ აქ სრულიად არა ჩანს ფონეტიკური განპირობებულობა: პირველ ნიმუშებში ბ-ს ენაცვლებოდა ფ, როცა იგი აღმოჩნდებოდა ყრუ თანხმონაცვლეობის წინ; აგრეთვე დ/თ. აქ კი ბ-ც და ფ-ც, ლ-ც და ნ-ც ერთნაირ პირობებშია, მაგრამ განსხვავებულია ერთმანეთისაგან: ვგრძნობთ კი, რომ კრება/კრეფა ერთი და იგივე სიტყვაა, ერთმანეთისაგან მნიშვნელობით ოდნავ განსხვავებული; აგრეთვე სული/სუნი<sup>2</sup>.

ხმონაცვლეობის ნიმუშად ქართულიდან შეგვიძლია მოვიყვანოთ, მაგ., იმერული წევვიდა/წავა (ე/ა), მევვიდა/მოვა (ე/ო) და საერთო ქართული გლეჯს/გლეჯა (ე/ი). პირველ შემთხვევაში (ე/ა, ე/ო) ხმონაცვლეობა განპირობებულია ფონეტიკური პოზიციით (ა და ო გადადის ე-ში მომდევნო მარცვლის ი-ს გავლენით), ხოლო მეორე შემთხვევაში განპირობებულობას ადგილი არა აქვს.

ბგერათმონაცვლეობის აქ წარმოდგენილი სახეები არ არიან ერთნაირი ლირებულების: პირველნი (გალობა/გალოფს..., რიგი/რიქს..., წევვიდა/წავა...) დღევანდელი ცოცხალი წარმოთქმის მოვლენებია, განპირობებული წარმოსათქმელი ბგერის პოზიციით; მეორენი (კრება/კრეფა, გლეჯს/გლეჯა) ისტორიულადაა დამკვიდრებული ენაში და არაა განპირობებული წარმოსათქმელი ბგერის პოზიციით.

\* იხ. ნაწ. I, გვ. 207—211.

<sup>1</sup> დაბეჭდილია „სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში“, XXXIV, 1948, გვ. 355—363. აქ იბეჭდება ზოგიერთი ცვლილებით.

<sup>2</sup> იხ. არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართულურ ენებში, 1942, გვ. 43.

მაგრამ უმთავრესია ის, რომ პირველი რიგის ბგერათმონაცვლეობას, რომელსაც პოზიციური ბგერათმონაცვლეობა შეგვიძლია ვუწოდოთ, არა აქვს დაკისრებული არავითარი წნიშვნელობითი (სემანტიკური ან გრამატიკული) როლი; ის მხოლოდ ფიზიოლოგიურ-აკუსტიკური მოვლენაა: მაგალითად, ვიტყვიტ ჩვენ გალობს თუ გალობს, წვივიდა თუ წავიდა, ამით არ შეიცვლება ამ სიტყვების მნიშვნელობა; ეს კია, მხოლოდ, რომ გალობს ეთგვარად ნაძალადევი წარმოთქმაში და წევიდა არაა ლიტერატურული.

მეორე რიგის ბგერათმონაცვლეობას კი, რომელსაც შეგვიძლია ვუწოდოთ ისტორიული ბგერათმონაცვლეობა, დაკისრებული აქვს გარკვეული ფუნქცია — სემანტიკური ან გრამატიკული: კრება სხვას ნიშნავს და კრეფა სხვას, ისე როგორც სული და სუნე; აგრეთვე ფუძედრეკად ზმნაში ე საფეხური მიუთითებს აწმყოზე, ხოლო ი — ნამყო წყვეტილზე.

როგორც ამ მსჯელობიდან ჩანს, ორივე რიგის ბგერათმონაცვლეობა ფონეტიკური მოვლენაა, რამდენადაც ორივე შემთხვევაში ერთმანეთს ენაცვლება ბგერები, რომელთაც თავისთავადი მნიშვნელობა არა აქვთ. აზრის მხრით კი მათ შორის არსებითი განსხვავებაა, სახელდობრ: მეორე რიგის მონაცვლეობა სემანტიზებულია (კრეფა/კრება, სუნი/სული) ან გრამატიზებული (გრეხს/გრიხა).

ამიტომ შეიძლება გვეთქვა, რომ პირველი რიგის ბგერათმონაცვლეობა მხოლოდ ფონეტიკურია ანუ ფიზიოლოგიურ-აკუსტიკური, ხოლო მეორე რიგისა — ფონოლოგიური.

ბგერათმონაცვლეობა ფონეტიკისა და სემანტიკა-გრამატიკის მიჯნაზე ძეგს. პირველადია მასში ფონეტიკური პროცესი. მრავალია ისეთი ფონეტიკური პროცესი, რომელსაც სემანტიკურ-გრამატიკული ფუნქცია არ მოუპოვებია. მაგ., არავითარი ფუნქცია არა აქვს ქართული სიტყვის ბოლოში მქლერ ჩქამიერთა გაყრუებას: სულ ერთია, იტყვიტ სოფლად თუ სოფლათ, — მათი მნიშვნელობა ერთი და იგივე იქნება; ესაა მხოლოდ, რომ წარმოთქმაში უფრო ბუნებრივია სოფლათ.

ასევეა მნიშვნელობას მოკლებული მქლერი ჩქამიერის გაყრუება რუსულსა და გერმანულში: სულ ერთია, გითქვამს ხორ თუ хок. (ირად თუ ират — ამით ამ სიტყვების მნიშვნელობა არ შეიცვლება; ესაა მხოლოდ, რომ გაყრუებული ვარიანტები (k, t) უფრო სწორია წარმოთქმაში.

ეს ის ენებია (ქართული, რუსული, გერმანული), რომლებშიც სიტყვის ბოლოს ჩქამიერი მქლერი თანხმოვნები ყრუდებიან. მაგრამ ზოგ ენაში ასეთი თანხმოვნები მქლერადვე რჩებიან სიტყვის ბოლოს; ასეთია, მაგ., ინგლისური და ფრანგული. არ შეიძლება, მაგ., ინგლისურში sack სიტყვაში ბოლო ჟ წარმოითქვას k-დ, რადგანაც სხვა მნიშვნელობა გამოვა: sack (sæk) წარმოითქმის s:ed) ნიშნავს 'დაფერდება, დაქანება', sack (sæk)

‘ტომარა, პალტო’; ასევე განსხვავებული ერთმანეთისაგან სიტყვები: save (seiv) ‘გადარჩენა, დაზოგვა’ და safe (seif), ‘უვნებელი, სეიფი’; cab (caib) ‘ეტლი, მეეტლე’ და cap (ceap) ‘ქუდი’; robe (roub) ‘მოსასხამი’ და rope (roup) ‘თოკი’, nis ‘წვეტი’ და nip ‘ჩქმეტა’ დაწვრილებული სხვა.

ხშირია შემთხვევები, როცა ბგერის უტოლფუნქციო სახესხვაობები (მაგ., გაყრუებული სახეები ყრუების წინ ან სიტყვის ბოლოში) მოიპოვებენ ფონემის ფუნქციას და ამ გზით ისინი გრამატიზირდებიან ან სემანტიზირდებიან.

ქართულში ამ უკანასკნელის ნიმუშს წარმოადგენს კრეფა, რომელიც, უქვევლია, გამოსულა კრება-საგან; იყო ფუძე კრებ — ‘შეგროვების’ მნიშვნელობით; ამ ფუძის აწმყოს ფორმებში (ვკრებ, კრებ, კრებს, ვკრებთ, კრებთ — მაშასადამე, სიტყვის ბოლოს ან ყრუ თანხმოვანთა წინ) ბ-ს გაყრუება მომხდარა რომელიღაც დროიდან, როცა ჯერ კიდევ ფუძეს ერთი მთლიანი ძველი მნიშვნელობა (‘შეგროვება’) უნდა ჰქონოდა (საბას კრება ‘შეყრილობა’ დიფერენციაციის შემდეგ დამკვიდრებული უნდა იყოს).

როგორც ჩანს, აზრის მეტი სიზუსტით გამოხატვის საჭიროებამ მოითხოვა გამოხატულიყო ერთჯერადი მოქმედების გვერდით (საბათი მოწყვეტა ‘ხილთა და ყვავილთა მოკრება’) აგრეთვე მრავალჯერადი მოქმედებაც, როცა აზრის ცენტრში იდგა არა მცენარისა ან ხისაგან ნაყოფის მოცილების მომენტის (‘მოწყვეტის’) ცნება, არამედ მისი დაგროვება.

ასეთ პირობებში შესაძლებელი იყო გამოყენებული ყოფილიყო კრება ფუძის ის უტოლფუნქციო სახესხვაობა, რომელიც არსებობდა სინამდვილეში (ე. ი. ცოცხალ წარმოთქმაში) კრეფ-ის სახით და რომელიც, როგორც ასეთი, ერთგვარად „თავისუფალი“ იყო რაიმე განსაზღვრული მნიშვნელობისაგან. სწორედ ამ პირობებში უნდა მომხდარიყო ამ ერთი სიტყვის ორი სახესხვაობის (კრება — კრეფა) სემანტიკური დიფერენციაცია (უკვე საბას ეპოქამდე: მან მოგვცა ცნობა უკვე მონხდარი დიფერენციაციის შესახებ): კრება ‘შეყრილობა’, კრეფა ‘ხილთა მოწილვა, გინა ყვავილთა მოწყვეტა’ (მოწყვეტა, საბა, 176, 226).

იმის შემდეგ, რა რომ კრეფ ფუძეს აზრის გარკვეული ნიუანსი დაუკავშირდა, იგი დაუპირისპირდა კრებ-ფუძეს (კრებ — კრეფ), რომელი დაპირისპირებაც უკვე აღარ შეიძლებოდა წაშლილიყო, რადგან წამყვანი შეიქნა აზრის მოთხოვნილება — სემანტიკა.

მაშასადამე, ჯერ წმინდა ფონეტიკური ანუ ფიზიოლოგიურ-აკუსტიკური პროცესი და შემდეგ მისი გამჯყენება აზრის სადიფერენციაციოდ, ე. ი. მისი სემანტიზაცია (კრებ-/კრეფ- მონაცვლეობისათვის შეად. არნ. ჩიქობავა, კანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, 296—7).



ზუსტად ასეთსავე პროცესს ჰქონია ადგილი ძველი ქართულის წყუედ-ფუძის ფონეტიკური და სემასიოლოგიური დიფერენციაციისათვის.

მისი ზოგადი მნიშვნელობა იყო, ალბათ, 'მოშორება, მოცილება, დაშორიშორება...'. ერთი მხრით, მოხდა დ-ს აბრუპტივიზაცია წინა წყ-სთან უშუალო მეზობლობაში (მაგ., ვნებ. გვარ. წყდ-დან მივიღეთ წყტ-, რომელიც გამოყენებულ იქნა სადიფერენციაციოდ, დაუპირისპირდა რა წყდ-ს (წყდ — წყტ). დიფერენციაციის შესრულების შემდგომი ეტაპია ასახული საბას განსაზღვრაში: წყუედა 'მოსრვა, მოწყუედა დაჯოცა, მოწყვეტა ხილთა და ყვაეილთა მოკრეფა' (საყურადღებოა, სხვათა შორის, ერთგვარი მერყეობა, რომელსაც იჩენს საბა, თუ ეს კორექტურული შეცდომა არაა: მოკრეფის მნიშვნელობით 226 გვ. მოწყვეტა აქვს მოცემული, ხოლო 176 გვ. მოწყვედა. აქედან შეიძლებოდა დაგვესვენა, რომ საბას დროს დიფერენციაცია არ იყო განმტკიცებული).

აქაც, მაშასადამე, მოხდა უტოლფუნქციო სახესხვაობის (წყვეტ) სემანტიზაცია.

საყურადღებოა აგრეთვე, რომ დღევანდელ ქართულში არის ერთგვარი მიდრეკილება ამ ორი ტერმინის (წყვედა და წყვეტა) ფონეტიკური უნიფიკაციისადმი ტ-ს შემცველი უტოლფუნქციოს სასარგებლოდ. ასეთივე, მაგრამ უფრო სუსტი, მიდრეკილებაა აგრეთვე კრება — კრეფა-ს ფონეტიკური უნიფიკაციისადმი კრება-ს დესემანტიზაციის სახით, ე. ი. იმავე კრეფა-ს სასარგებლოდ.

უტოლფუნქციო სახესხვაობის სემანტიზაციას ვხედავთ აგრეთვე ბგერადობის აღმნიშვნელი სიტყვების თავკიდურ თანამოვანთა მონაცვლეობაში: შრიალი-ქრიალი-ქრიალი...

იმის შესახებ, თუ რომელია მათგან ძირითადი სახესხვაობა, რომლის უტოლფუნქციოებს ბგერადობის ეს ნიუანსები აუსახავს, გადაჭრით რისამე თქმა საძნელოა. სავარაუდოდ კი შეიძლება ითქვას, რომ უმრავლესობისათვის გამოსავალი წერტილი უნდა იყოს კრიალი. მოვიყვან 11 ტერმინის სიას საბას (და დ. ჩუბინაშვილის) განსაზღვრით (ანბნის რიგზე):

1. გ რ ი ა ლ ი წისქვილის ვმაჲ
2. კ რ ი ა ლ ი კულის (ხის სასმისის) ვმაჲ
3. ზ რ ი ა ლ ი საზარელი მრავალვმიანობა
4. ქ რ ი ა ლ ი მრავალთ-ეჟუანთ ვმა
5. ს რ ი ა ლ ი вылет с шумом, напр., стрела, пуля... (დ. ჩუბინაშვილი)
6. ლ რ ი ა ლ ი უკაფიო ყვირილი
7. ყ რ ი ა ლ ი მწერთ ვმიანობა
8. შ რ ი ა ლ ი ქართაგან-ფურცლის ვმა

9. წრილი მაჯლის ხელზე წასმის ჯმა
10. ქრილი კართა და ურემთა ჯმიანობა
11. ხრილი ჩამოკუნის ჯმა.

სემანტიკურად ამათი ერთმანეთთან კავშირი ექვს გარეშეა: ყველა მათგანი გამოხატაეს ამა თუ იმ ბგერადობას, მაგრამ არაა აშკარა ყველა მათი ფონეტიკურად ერთმანეთისაგან წარმოქმნა. ყოველ შემთხვევაში შესაძლებელია, ვფიქრობ, ამ მონაცვლეობათა ერთი ნაწილის (2—5 და 8—10) გაერთიანება კრილის გარშემო — ამისაგან დანარჩენების წარმოქმნის ნიშნეულობით. მართლაც, ფონეტიკურად შესაძლებელია კრილი ქცეულიყო როგორც წრილად, ისე ქრილად — მარტივ ხშულთა აფრიკატიზაციის წესით (მაგ., ძრწოლა/კრკოლა, ნახოკი/ნახოკი, იხ. ჩენი „გუტურალთა რეგრესულ-დისიმილაციური დაკარგვა ქართულში, (გვ. 34 ან იგივე ქვემოთ); ამათგან კი, დენაფრიკატიზაციის წესით, შესაძლო იყო ხრილი (წრილისაგან) და შრილი (ქრილისაგან); აქედან ს—შ-ს გამეღერების გზით მიიღება ზრილი და ჟრილი.

მაშასადამე, კრილი ორგვარი პროცესით შეიძლებოდა მოგვეღენოდა: 1. სისინა: კრილი > წრილი > სრილი > ზრილი, 2. შიშინა: კრილი > ქრილი > შრილი > ჟრილი.

არ არის გამორიცხული, რომ ზრილი ‘საზარელი მრავალჯმიანობა’ მიღებული იყოს ზარი-საგან, ‘საზარელისაგან შიში’ (საბა): ეს იქნებოდა დამთხვევა როგორც ფონეტიკური, ისე სემანტიკური.

რაც შეეხება დანარჩენ ოთხს (1, 6, 7 და 11), სამი უკანასკნელის (ღრილი-ყრილი-ხრილი) ერთმანეთთან მონაცვლეობითი დაკავშირება სიძნელეს არ წარმოადგენს: გამოსავალია, ალბათ, ღრილი, რომლის გააბრუპტივებულ და დაყრუებულ სახესხეობას წარმოადგენს ყრილი და ხრილი<sup>1</sup> (დაყრუება თუ გამეღერება, როგორც წინა ნიმუშებში, პოზიციური არ შეიძლებოდა ყოფილიყო; მაშასადამე, ის იყო ფონოლოგიური).

არნ. ჩიქობავას შენიშვნა (იხ. მისი ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, 349), რომ ქართ. ღრ-ძირში დაკარგულია ო ხმოვანი, არ ეწინააღმდეგება ჩვენს მოსაზრებას: იგი მოწმობს მხოლოდ ხრილის გამოდიფერენცირების (გამოყოფის) გვიანდლობას.

მესამეზე (გრილი) ძნელია დარწმუნებით თქმა, რომ იგი ფონეტიკურ კავშირში იყოს ღრილი-ყრილი-ხრილი-სთან, მაგრამ შეუძლებელი ეს არ ჩანს.

სრულიად ანალოგიურ თანხმოვანთმონაცვლეობას წარმოადგენს, აგრეთვე, ბგერადობის სახესხეობის გამომხატველი ჯგუფი ტერმინთა

<sup>1</sup> შესაძლოა ყრილი წარმოადგენდეს კრილის ტოლ ძველ ვარიანტს.

(ანბნის რიგზე): ზიზინი (არა აქვს განმარტებული (საბას), კიკინი ახის ვმიანობა, ეიეინი მრავალ სირთ ვმიანობა, სისინი ბატის სივილი, ლილინი საამო ვმის თქა, ყიყინი გველთა, მყუართა და ბატთა ვმიანობა, შიშინი მკირე დულილი, წიწინი ალყის (აბრეშუ-ნის ძალის) ვმა, კიკინი — კიკინას ვმიანობა, ხიხინი перхота; по-суждение к кашлю (დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონი).

მეღერი სახესხვაობის (\* გიგინი) გამოკლებით, რომელიც ღი-ლინთან და ხიხინთან თუ იყო კავშირში (რაც საეკვო ჩანს), ჩვენ-თვის საინტერესო მონაცვლე თანხმონებების მხრივ ეს ჯგუფი ინფორმებს წინას, სახელდობრ: თავს იყრის კიკინის გარშემო, რომელიც შეიძ-ლება ჩაითვალოს მათ წყაროდ:

1. კიკინი > წიწინი > სისინი > ზიზინი, 2. კიკინი > კი-კინი > შიშინი > ეიეინი.

ლილინი-ყიყინი-ხიხინი, შესაძლოა, წარმოადგენდნენ ურთი-ერთმონაცვლე სახესხვაობებს. ყიყინი (ისე, როგორც ყრიალი, იხ. ზემოთ), შესაძლოა, წარმოადგენდეს კიკინის ტოლ ძველ ვარიანტს.

ანალოგიურად შეიძლება გავაანალიზოთ აგრეთვე ბგერადობის ურთიერთმონაცვლე ტერმინები ჯგუფებში:

1. კივილი-ეივილი-სივილი, ყივილი-წივილი-ხივილი (ქივილი საბასთან). 2. გუგუნი-ლულუნი-ყუყუნი 'გუანში კენესა' (საბა)-წუწუნი (წუწუნი)-ქუქუნი 'ჰუტლის ქიანობა', ხუ-ხუნი 'გატყორცის ვმა' (საბა). 3. კაკანი-ლლანი-ყაყანი-ქა-ქანი (ქაქანება 'გლებურად ჩამიჩუმი', საბა) და სხვა.

აქაც, მაშასადამე, ისე როგორც კრებ-/კრეფ — და წყვედ-/წყვეტ-შემთხვევებში, ფონეტიკური სახესხვაობები გამოყენებულ იქნა ცნებათა დასაზუსტებლად, სადიფერენციაციოდ, მაგრამ გამოყენების პროცესით მაინც განსხვავებულია მისგან.

იქ (მაგ., კრებ/კრეფ-ში) ჩვენ გვქონდა პოზიციურად წარმოქმ-ნილი მონაცვლეობა, აქ (კრ-/წრ-/სრ-...) მონაცვლეობა არაა პოზიციუ-რად წარმოქმნილი, რადგანაც, მაგ., რ-ს წინ შეიძლება ყოველგვარი თანხმონი. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ აქ იმთავითვე წამყვანია აზრი, რომლის „კარნახით“ უნდა მომხდარიყო დიფერენციაცია.

საყურადღებოა, სემანტიკური დიფერენციაციის თვალსაზრისით, ე. წ. ფუძის კუმშვის გამოყენება სახელში სადიფერენციაციოდ, სახელ-დობრ: თუ სიტყვა თვალის იბრუნვის ფუძეუკუმშველად (თვალის, თვა-ლით, თვალად), მაშინ სხვა ლექსიკური მნიშვნელობა ეძლევა მას („ადა-ნიანის ან ცხოველის თვალი“), ხოლო თუ ფუძის კუმშვით (თვლის, თვლით, თვლად), მაშინ სხვა („ძვირფასი თვალი“, ან „ურმის თვალი“). ასეთივეა სიტყვა წელი — წლისა, წლები („გავიდა წლები“) და წელი — წელისა („წელის ტკივილი“).

ცხადია, რომ წმინდა მექანიკური ფონეტიკური პროცესი ენას გამოუყენებია აზრობრივად. ამ შემთხვევაშიც წამყვანია აზრი და არა ფიზიოლოგია<sup>1</sup>.

„ირკვევა, რომ ხმოვანთმონაცვლეობა, როგორც მორფოლოგიური პროცესი, უცხო არ არის მეგრულ-სვანურისთვის“, წერდა ვ. თოფურია შრომაში „რ და ნ თანხმოვანთა მონაცვლეობისათვის სვანურ ზმნაში“ (თბილ. უნივ. შრომები, XVIII, 1941, გვ. 62); იმავე შრომის დასკვნაში ნათქვამია: „... ხმოვანთმონაცვლეობა (იგულისხმება მორფოლოგიური) სვანურსა და მეგრულში უდავოა, ქართულში დასამტკიცებელი“ (გვ. 65). ავტორს მხედველობაში ჰქონდა აბლაუტის სახელით ცნობილი შინაგანი ფლექსია.

ერთი წლის შემდეგ ვ. თოფურია გააანალიზა ოთხი ზმნა მოქმედებითსა და ვნებითს ფორმებში ფუძის ხმოვანთმონაცვლეობის მიხედვით და დაასკვნა, რომ „მოქმედებითის საწარმოებელი ნიშანია „ა“ და ვნებითისა — „ე“ („მესაჲე ტიპის ვნებითის წარმოება ქართულში“, მეცნ. აკადემიის მოამბე, III, 969). ეს ზმნებია ჯად/ჯედ (აღმჯადეთ/შთაჰჯედ), ცად/ცეთ < \* ცედ (განოცადებოდა/შევსცეთ), ყავ/ყევ (წარვეყავ/წარვეჰყევ) და ქარ/ქერ (განქარებოდა/განქერ).

„ქართული ენაც თავისი განვითარების შემდგომ საფეხურზე ხასიათდება ფუძის ფლექსიით (ფუძის ხმოვანთა ფუნქციონალური მონაცვლეობით; მაგ.: ჯად/ჯედ)“ (იქვე).

ავტორი აღარებს რა ამ მხრივ ერთმანეთს სვანურსა და ქართულს, დაასკვნის: „ფუძის ფლექსია სვანურში მკვეთრად ჩამოყალიბებული მოვლენაა... დიგე ‘აქრობს’ — ლენტეხური დეგენი ‘ქრება’ (ძირია : დგ)... ქართულში კი ხმოვანთა ფუნქციონალური „მონაცვლეობა ასე მკაფიოდ რ არის გამოხატული...“ (იქვე, 970).

მაშასადამე, ხმოვანთმონაცვლეობა ა/ე ზმნის ფუძეში გამოყენებულია მოქმედებითისა და ვნებითი გვარების ერთმანეთისაგან განსასხვავებლად, ე. ი. ფონეტიკური პროცესი (ხმოვანთმონაცვლეობა) გრამატიზებულია. ესაა ტიპური აბლაუტი.

ფონეტიკური პროცესის პრინციპულად ასეთსავე მორფოლოგიზაციასთან გვაქვს საქმე ქართულ ზმნაში, როდესაც მისი ფუძის კუმშვა-უკუმშველობასთან და ფუძის დრეკადობასთან დაკავშირებულია აწმყოსა და ნამყო წყვეტილის ერთმანეთისაგან განსხვავება, სახელდობრ:

---

<sup>1</sup> ვ. თოფურიას მიერ გამოთქმული აზრი, რომ ზემოთ მოყვანილი ბგერადობის გამოხატველი ტერმინების თავკიდური თანხმოვნები შესაძლოა ურთიერთისაგან დამოუკიდებელი წარმოშობისა იყვნენ, არსებითად არაფერს შეცვლის ფონეტიკური პროცესების სემანტიზაციის თვალსაზრისით.

## მონაცვლეობანი:

1. O — O/a (ან ე): კ-ლავს — კ-ლა / ვკალ (ი); ხ-ნავს — ხ-ნა / ეხან (ი);  
ქ-რის — ქ-რა / ვქერ (ი); ც-რის — ც-რა / ვცერ (ი)...

2. ე/ი — ი: კრეფს / კრიფა — ვკრიფე; გრეხს / გრიხა — ვგრიხე...

3. O/a — ა: თლის / თალა — ვთალე; თხ-რის / თხარა — ვთხარე.

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ, რომ ამა თუ იმ ფონეტიკურ პროცესს დაუკავშირდა მორფოლოგიური ფუნქცია, ეს არ ნიშნავს, რომ ეს ფუნქცია გამოხატულია მხოლოდ ამით: იმ ენებში, რომლებსაც ჩვენ აქ ვეხებით, ეს ფონეტიკური პროცესი წარმოადგენს მხოლოდ დამატებითს შინაგან ფლექსიას.

უნდა ვიფიქროთ, რომ ისტორიულად უფრო ძველია და ნორმალური პირველი ტიპი (კლავს — კლა / ვკალ (ი), სადაც ხმოვანთმონაცვლეობა განპირობებულია მახვილის ქონა-არქონით: ვკალ(ი), მაგრამ კ-ლავს — კ-ლავ (ფუძე მახვილიანია აორისტის I და II პირში, ხოლო უმახვილოა აწმყო მთლიანად და აორისტის III პირი; შეად. არნ. ჩიქობავას „მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში“, გვ. 195, სადაც მახვილიანობის მიხედვით აორისტის I და II პირი დაპირისპირებულია მესამესთან; ვ ა რ ქ უ - ა რ ქ უ - პ რ ქ უ ბ).

მეორე ტიპი მეორეული ჩანს, რამდენადაც მასში მონაცვლეობა ხმოვანთა არა ძირისა, როგორც პირველ ტიპში (კლ/კალ), არამედ ნაწარმოები (სუფიქსდართული) ფუძისა (კრ-ეფ/-იფ, გრ-ეხ/-იხ; შეად. ვ. თოფურიას „ფუძედრეკად ზმნათა სუფიქსაციისათვის“, გვ. 230 და შემდეგ). მახვილიანობის მიხედვით ასეთი სურათი იყო, ალბათ: კრქფს- \* ვკრქფე / \* კრფავ, გრქხს- \* ვგრქხე / \* გრხავ (შეად. შეკრბა, შედრკა). ი შემდეგ უნდა იყოს განვითარებული აორისტის მესამე პირში, რომლის გავლენით განზოგადებულია აორისტის I და III პირში ი საფეხური (კრიფა-კრიფე-ვკრიფე).

რაც შეეხება მესამე ტიპს (თ-ლის / თალა-ვთალე), აქ ა საფეხური განზოგადებულია აორისტის მესამე პირისათვისაც, ალბათ, ანალოგიის ძალით, ე. ი. მიუხედავად იმისა, რომ მახვილი აქაც, რა თქმა უნდა, დაბოლოებაზე უნდა ყოფილიყო (\*თალა). როგორც ჩანს, ანალოგიის გავლენას ხელს უწყობდა განსხვავებისადმი მიდრეკილება აორისტის მესამე პირისა სახელზმნისაგან, ე. ი. \* თლა (აორ. III პ.) და თლა (სახელზმნა) რომ ერთმანეთს არ დამთხვეოდა.

ასეთი დამთხვევის საშიშროება პირველ ორ ტიპში გამორიცხულია; შეად. აორ. III პირი კლა, ხნა, კრა და სახელზმნა კლვა, ხნვა, კრვა (კვლა, ხვნა, კვრა); აორ. III პ. კრ(ი)ფა, კრ(ი)ქა და სახელზმნა კრეფა, გრეხა, კრექა.

უფრო სუსტად, მაგრამ მაინც გრამატიზებულია ქართულის საკმაოდ მრავალ სახელში ფუძის კუმშვა, რომლის მიხედვითაც განსხვავე-

ბულია ერთმანეთისაგან ბრუნვათა ორი ჯგუფი: ფუძე უკუმშველი (სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი და წოდებითი ფორმა) და ფუძე-კუმშვალი ბრუნვები (ნათესაობითი, მოქმედებითი და ვნებითი).

სახელთა ფუძის კუმშვა-უკუმშველობა ისეთივე ხმოვანთმონაცვლეობაა, როგორც ზმნაში აღვნიშნეთ. იქაც და აქაც ხმოვანთმონაცვლეობა განპირობებულია მახვილის გავლენით და გამოყენებულია მეტ-ნაკლებად სიტყვის ფორმათა ერთმანეთისაგან განსასხვავებლად, ე. ი. იქაც და აქაც ფონეტიკური პროცესი მორფოლოგიზებულია.

(მახვილის ბუნებისა და ადგილის შესახებ სიტყვაში და მისი გავლენით ხმოვნის ამოღების შესახებ ქართულში იხ. არნ. ჩიქობავას „მახვილის საკითხისათვის ქართულში“, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, III, გვ. 191 და 198; და „О лингвистических чертах картвельских языков“ — Изв. АН СССР, Отд. литер. и языка, 1948 г., т. VII, 25 და შემდ.).

რაც შეეხება თანხმოვანთმონაცვლეობის გრამატიზაციას, იგი, საერთოდ, უფრო ნაკლებადაა გაერცელებული სხვადასხვა ენაში, ვიდრე ხმოვანთმონაცვლეობისა. მაგ., რუსულში საკმაოდ გაერცელებულია გრამატიზებული თანხმოვანთმონაცვლეობა ფუძეებში: друг/друж, печь/печ, глад/глож და სხვა. ქართველური ენები, ვ. თოფურიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „თანხმოვანთმონაცვლეობას, როგორც გრამატიკულ პროცესს, არ იცნობენ“ („რ და ნ თანხმოვანთა მონაცვლეობისთვის სევანურ ზმნებში“, გვ. 62), ან „... თანხმოვანთმონაცვლეობა ქართველურ ენათათვის უცხოა“ (იქვე, გვ. 66).

---

### III.

## პარმონიულ ხშულთა ორი სისტემა ქართულ ენაში \*

„ქართული ენის კომბინატორულ თავისებურებათა“ რიგს ეკუთვნის აგრეთვე თანხმოვანთა აპარმონიზაცია<sup>6</sup>, — ამბობს აკად. ნ. მარი თავის „ძველი სალიტერატურო ქართულის გრამატიკაში“ (1925, გვ. 023 — 024)<sup>1</sup>.

თუ ჩვენი მსჯელობის საგნად ამ შემთხვევაში გავიხდით მხოლოდ უშუალო მეზობლობაში მყოფ თანხმოვანთა აპარმონიზაციას (ნ. მარსა გააანალიზა აგრეთვე ერთმანეთისაგან ხმოვნებით დაშორებულ თანხმოვანთა აპარმონიზაცია), მაშინ ნ. მარის აგებული აპარმონიზაციული სისტემა შესაძლებელია წარმოვიდგინოთ, ოდნავი გამარტივებით, შემდეგი სახით:

„წინაენისმიერი თანხმოვნები + უკანაენისმიერი თანხმოვნები (სწორედ ამ მიმდევრობით) გვაძლევს პარმონიულ ჯგუფებს:

1. წყ — ქყ — ტკ — ტყ, ე. ი. აბრუპტივთა კომპლექსებს,

2. ცხ — ცქ — ჩხ — ჩქ — თხ — თქ, ე. ი. ფშენივიერთა კომპლექსებს, და

3. ძღ — ჯღ — დგ — დღ, ე. ი. მელერთა კონპლექსებს“.

კომპლექსები „ბაგისმიერი ხშულები + უკანაენისმიერი“ (ე. ი. ბგ — ფქ — ჰკ; ბღ — ფხ — ჰყ) აკად. ნ. მარს მოცემული არა აქვს ამასთან დაკავშირებულად.

უნდა ვიფიქროთ, რომ აკად. ნ. მარი აპარმონიზაციას ხედავდა თანხმოვანთა ურთიერთ შეგუებაში ჰომოგენურობის ნიშნეულობით (აბრუპტივები აბრუპტივებთან, ასპირატები ასპირატებთან და მელერები მელერებთან).

აქედან ჩანს, რომ აკად. ნ. მარი არ ასხვავებდა ერთმანეთისაგან ხშულთა პარმონიული კომპლექსების ორ სისტემას.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ საჭიროა ვასხვავებდეთ ერთმანეთისაგან, ერთი მხრით, ხშულთა ისეთ კომპლექსებს, რომლებშიც მეორე კომპო-

\* იხ. ნაწ. I, გვ. 109—110.

<sup>1</sup> Н. М а р р, Грамматика древнегрузинского литературного языка, 1925, гв. 023—024.

ნენტებად გვევლინება ხშულთა მეხუთე სამეული (გ — ქ — კ), ხოლო მეორე ნხრით, ისეთ კომპლექსებს, რომლებშიც მეორე კომპონენტებად გვაქვს ლ — ხ — ყ. პირველი სახის კომპლექსებს ვაერთიანებთ A-სისტემის სახელწოდებით, ხოლო მეორე სახისას B-სისტემის სახელწოდებით.

თვალსაჩინოებისათვის აქვე წარმოვადგენთ ქართულის ხშულთა სამეულებს, ნაპრალოვანთა წყვილეულებს და პარმონიული კომპლექსების ორ სისტემას — ცხრილების სახით:

ქართულის ხშულთა სამეულები:	ნაპრალოვანთა წყვილეულები:
1. ბ — ფ — პ	1. ვ — (ფ)
2. დ — თ — ტ	2. ზ — ს
3. ძ — ც — წ	3. უ — შ
4. ჯ — ჩ — ქ	4. ლ — ხ
5. გ — ქ — კ	5. — — ჰ
6. — (ქ) — ყ	ცხრ. 2
ცხრ. 1.	

ქართულის პარმონიული კომპლექსების  
სისტემები:

A	B
1. ბგ — ფქ — პკ	ბღ — ფხ — პყ
2. დგ — თქ — ტკ	დღ — თხ — ტყ
3. ძგ — ცქ — წკ	ძღ — ცხ — წყ
4. ჯგ — ჩქ — ქკ	ჯღ — ჩხ — ქყ
ცხრ. 3.	

ამ მესამე ცხრილიდან ჩანს, რომ ორივე სისტემას (A-ს და B-ს) პირველი კომპონენტები ერთნაირი აქვს, სახელდობრ, პირველი ოთხი სამეული (იხ. ცხრ. 1), მაგრამ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მეორე კომპონენტებით, სახელდობრ:

I. A-სისტემის კომპლექსების შედგენილობაში შედის მეორე კომპონენტებად ხშულთა მეხუთე სამეული (გ — ქ — კ) შესაბამისად, ე. ი.:

პირველი ოთხი სამეულის თითოეულ პირველ წევრს (ბ — დ — ძ — ჯ) ემატება მეხუთე სამეულის პირველი წევრი (გ); მივიღებთ შემდეგს:

ბგ — დგ — ძგ — ჯგ.

იმავე ოთხი სამეულის თითოეულ მეორე წევრს (ფ — თ — ც — ჩ) ემატება მეხუთე სამეულის მეორე წევრი (ქ); მივიღებთ შემდეგს:

ფქ — თქ — ცქ — ჩქ.



იმავე სამეულების თითოეულ მესამე წევრს (პ — ტ — წ — ჭ) ემატება მეხუთე სამეულის მესამე წევრი (კ); მივიღებთ შემდეგს:

პკ — ტკ — წკ — ჭკ.

II. B-სისტემის კომპლექსთა შედგენილობაში შედიან ლ — ხ (ე. ი. ნაპრალოვანთა მეოთხე წყვილი) და ყ (ე. ი. მეექვსე სამეულის მესამე წევრი) შესაბამისად, ე. ი.:

პირველი ოთხი სამეულის თითოეულ პირველ წევრს (ბ — დ — ძ — გ) ემატება მეოთხე წყვილულის პირველი წევრი (ლ); მივიღებთ შემდეგს:  
ბლ — დლ — ძლ — გლ.

იმავე ოთხი სამეულის თითოეულ მეორე წევრს (ფ — თ — ც — ჩ) ემატება მეოთხე წყვილულის მეორე წევრი (ხ); მივიღებთ შემდეგს:  
ფხ — თხ — ცხ — ჩხ.

იმავე სამეულების თითოეულ მესამე წევრს (პ — ტ — წ — ჭ) ემატება მეექვსე სამეულის მესამე წევრი (ყ), და მივიღებთ შემდეგს:  
პყ — ტყ — წყ — ჭყ.

პარმონიულ ხშულთა ორი სისტემის დადგენა წამოჭრის ზთელ რიგ საკითხებს: როგორ ჩამოყალიბდა ასეთი მწყობრი დეცესიური კომპლექსების სისტემები? აქცესიურ კომპლექსთა დაძლევის (სუპერაციის) რომელი წესის ძალით გამოიშუშავდა მათგან დეცესიური კომპლექსები? თუ, შესაძლოა, იმთავითვე დეცესიურები იყვნენ? ასეთ საკითხთა რიგს ეკუთვნის საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ გვაქვს B-სისტემაში მეორე კომპონენტების არაერთგვაროვნობა.

ამ საკითხის დასმა მართებულია იმიტომ, რომ A-სისტემაში მეორე კომპონენტებად გამოყენებულია მეხუთე სამეულის სამივე წევრი (გ — ქ — კ), ე. ი. ერთისა და იმავე ადგილის სამი ხშული; B-სისტემაში კი გამოყენებულია ნაპრალოვანთა მეოთხე წყვილულის (ლ — ხ) და ხშულთა მეექვსე (დეფექტიანი) სამეულის მესამე წევრი (ყ), ე. ი. ორი — უკანანისმიერი ნაპრალოვანთა, ხოლო მესამე — ფარინგალური ხშული.

პირვანდელია თუ არა B-სისტემის მეორე კომპონენტთა არაერთგვაროვნობა?

ქვეყასიურ და, კერძოდ, ქართველურ ენათა ფონეტიკურად შესწავლილობის საკმარის მაღალი დონე<sup>1</sup> საშუალებას გვაძლევს დამარწმუნებლად ვუპასუხოთ ამ კითხვაზე:

B-სისტემის კომპლექსთა მეორე კომპონენტების არაერთგვაროვნობა არაა პირველადი:

<sup>1</sup> მხედველობაში გვაქვს, მეტწილად, ამ ბოლო წლებში დაწერილი გამოკვლევები: გ. როგავასი, ს. ჟღენტისა და ლარინგოსკოპიული დაკვირვებები ა. ჩარგვიშვილისა.

ირკვევა, რომ სამივე კომპონენტი ფარინგალური იყო; მათგან კომპლექსებში გადარჩა მხოლოდ ყ, ხოლო ორი დანარჩენის ადგილას გვაქვს ლ — ხ.

რომ ეს უფრო გასაგები გახდეს, საჭიროა გავიხსენოთ, რომ ხშულთა მეექვსე სამეული ახალ ქართულში ითვლება დეფექტიან სამეულად, რადგანაც ქართულში არაა შენახული ამ სამეულის მქლერი წევრი; თვით მისი ფშვინვიერი წევრიც კი (ჟ), რომელიც ძველ სალიტერატურო ქართულში ცოცხალი ბგერა იყო, შემონახულია დღეს მხოლოდ რამდენსამე დიალექტში.

ყოველ შემთხვევაში, ამ უკანასკნელს (ჟ-ს) ჩვენ ვიცნობთ ძველი ქართულიდან და ზოგიერთი დღევანდელი დიალექტიდან, რასაც ვერ ვიტყვით მქლერ ფარინგალზე: არც ძველ ქართულში ყოფილა იგი დაცული (როგორც ჩანს, იგი გადაშენებულა უძველეს ან მწერლობამდელ ქართულში) და არც რომელსამე დღეს მოქმედ დიალექტშია იგი შემონახული დამოუკიდებელ პოზიციაში.

ამ უკანასკნელის აღნიშვნა გვიხდება იმიტომ, რომ კომბინატორულად ანუ განპირობებულ პოზიციაში მისი არსებობის დადასტურება არ იყო ძნელი: მისი წარმოთქმა და მოსმენა შეიძლება ისეთსავე პოზიციაში, როგორშიც ყოველი აბრუპტივი ან ყრუ ფშვინვიერი გვევლინებამქლერის სახით; მაგ.: როკი, როკზე — ითქმის როგზე, დოქი, დოქზე — ითქმის დოგზე (რეგრეს. ასიმილაციის ძალით); ამგვარადვე: უყი, უყზე — წარმოითქმის უგზე; ჯანჰი, ჯანჰზე — ჯანგზე; ფეჰი, ფეჰზე — ითქმის ფეგზე, ვენაგზე (იმ დიალექტის წარმომადგენლის წარმოთქმაში, სადაც შენახულია ჰ).

თავისთავად გასაგებია, რომ ასეთ პირობებში წარმოთქმული ზ არ შეიძლება წარმოდგენდეს ნამდვილს, დახვეწილს — ისეთს, როგორიც უნდა ყოფილიყო მაშინ, როცა იგი სრულფასეული ფონემა იყო.

რომ ეს საკმარისი არ იყო ფარინგალური მქლერის (ზ) გასაცნობად და საენათმეცნიერო კვლევაში მის გამოსაყენებლად, ჩანს იქიდან, რომ, როგორც კი იქნა იგი (ზ) შემჩნეული დამოუკიდებელ პოზიციაში, ე. ი. ფონემის როლში (მართალია, ინდივიდუალურ ხპარებაში)<sup>1</sup>, იმ დროიდანვე დაიწყო იმის ძიება, ჰქონდა იგი ქართველურ ენებს თუ არა, როგორია მისი რეფლექსები ცალკეულ ქართველურ ენებში, რა შესატყვისობანი აქვს მას სხვა კავკასიურ ენებში და ა. შ.; მაშასადამე, იგი ამ დროიდან შედის ქართულ ენათმეცნიერებაში კვლევის ობიექტად, ერთი მხრით, და ეტიმოლოგიურ ძიებათა დასაყრდენად, მეორე მხრით.

ქართულ პათოლოგიურ მეტყველებებაში მქლერი ფარინგალური ხშულის დამოუკიდებელ პოზიციაში შემჩნევა, ქართველურ ენათა ხშუ-

<sup>1</sup> ვრცლად ამის შესახებ მოთხრობილია თავში „ქართულის ხშულთა მეექვსე სამეული“ (ფარინგალები).

ლების სამეულებრივი სისტემა და მეექვსე სამეულის გადანაშთური წიგნების (ჯ — ყ-ს) ისტორია ქართულსა და ზანურ ენებში ჩვენ გვიკარზახებდა გვევარაუდნა მეღერი ფარინგალის (წ) არსებობა ქართველურ ენებში უძველეს დროს.

გ. როგავამ არსებითად დაადასტურა ეს ვარაუდი — მნიშვნელოვანი დამატების შეტანით — ქართველურ ენათა სათანადო მასალის შედარებითი ანალიზით<sup>1</sup>. სერგი ჟღენტმა იპოვა ფარინგალური მეღერი ხშული, როგორც ფონემა, სვანურ ცოცხალ მეტყველებაში<sup>2</sup>. მის მიერ მოპოვებული მასალა გვიჩვენებს, რომ სვანური ენის წინანდელი მეკლეერები ევრ ამჩნევდნენ ამ ბგერის ფარინგალურ ხასიათს და აიგივებდნენ მას დ-სთან.

ექვი აღარ რჩება, რომ ფარინგალური მეღერი ხშული წარმოადგენდა ქართველურ ენებში მეექვსე (დღეს დეფექტიანი) სამეულის პირველ წევრს.

ამასთანავე ერთად შესწავლილ იქნა ექსპერიმენტულად სამივე ფარინგალი ს. ჟღენტისა და არჩ. ჩარგეიშვილის მიერ<sup>3</sup>.

გამოიჩვენა, რომ სამივე ფარინგალი სპირანტილია, ე. ი. თითოეული მათგანი შეიცავს სპირანტულ ელემენტს შემართვის მომენტში<sup>4</sup>.

ამ გამოკვლევათა შედეგები ახალ შუქსა ჰყენენ ზემოდასმულ საკითხს.

უპირველესად ყურადღებას იქცევს ის გარეწობა, რომ A და B-სისტემები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან აჰარმონიზაციის ხარისხით კომპლექსებში — მიუხედავად იმისა, რომ ორივე სისტემის უველა კომპლექსი დეცესიურია<sup>5</sup>.

A-სისტემაში აჰარმონიზაციას ჰქმნის თანხმოვანთა ურთიერთშეგუება ჰომოგენურობის ნიშნეულობით — დეცესიური თანამიმდევრობის პირობებში; A-სისტემის კომპლექსებში თანხმოვანთა ერთმანეთთან შექმიდროება უფრო სუსტია, ვიდრე B-სისტემაში: ამით აიხსნება კონპონენტთა მეტი დამოუკიდებლობა A-სისტემის თითოეულ კომპლექსში.

პირიქით, B-სისტემის თითოეულ კომპლექსში თანხმოვანთა შექმიდროება უფრო ძლიერია, ვიდრე A-სისტემაში; ამითაა განპირობე-

<sup>1</sup> გ. ო. რ. გ. ა. ვ. ა. ფარინგალურ ხშულთა რიგისათვის ქართველურსა და აღილეურ ენებში, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, I. 1946, გვ. 1—17.

<sup>2</sup> ს. გ. ჟ. ჟ. ე. ი. ს. ჟღენტი აღნიშნავს მას ლ' ნიშნით, ჩვენ — როგავასთან ერთად — წ ნიშნით.

<sup>3</sup> ს. გ. ჟ. ჟ. ე. ი. ს. ჩარგეიშვილი, ქართულის კ-ყ თანხმოვანთა ბიომექანიკის საკითხისათვის; საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, 1946, 537 და შემდ.

<sup>4</sup> სპირანტილი განსხვავებულია აფრიკატისაგან, რომელშიც აგრეთვე შედის სპირანტული ელემენტი, მაგრამ შედის დამართვის მომენტში.

<sup>5</sup> დაწერილებით იხ. ქვემოთ თავი VII.

ბული B- სისტემის თითოეული კომპლექსის მთლიანობა, ე. ი. კომპონენტთა ნაკლები დამოუკიდებლობა.

B- სისტემის კომპლექსებისათვის, რომლებშიც მეორე კომპონენტი არის სპირანტი ლ ან ზ (მაგ.: ბლ — ფზ, დლ — თბ...), ეს ბუნებრივია, რადგანაც მომდევნო სპირანტის შერწყმა წინმდგომ ხშულთან ფიზიოლოგიურად ნაკლებ ძნელია, ვიდრე ხშულისა ხშულთან<sup>1</sup>. მაგრამ აუხსნელი იყო თანხმოდანთა ასეთი შემქიდროება-შერწყმა B-სისტემის იმ კომპლექსებში, სადაც მეორე კომპონენტი არის ყ (მაგ.: პყ — ტყ — წყ...), რამდენადაც ყ ითვლებოდა სავსებით ხშულად.

მაგრამ იმის შემდეგ, რაც ექსპერიმენტულად დადგენილ იქნა ა. ჩარგეიშვილის მიერ სპირანტოიდული ხასიათი ყ-სი, ხოლო ს. ელენტის მიერ ზ — ჯ-სიც, გასაგები შეიქნა A-სა და B- სისტემის ერთმანეთისაგან ზემოაღნიშნული განსხვავება.

უნდა ვიფიქროთ, რომ B- სისტემის კომპლექსთა მეორე კომპონენტები თავდაპირველად ერთგვაროვანი იყვნენ: ყველა ისინი (ზ — პ — ყ) ხშული ფარინგალები იყვნენ; მაგრამ მათი თანდათანად გადაშენების კვალობაზე მათ შეენაცვლა უკანაენისმიერი სპირანტები (ლ — ზ) შე'აბამისად, ე. ი. ზ-ს — ლ, ხოლო ჯ-ს — ზ.

ასეთი შენაცვლების შესაძლებლობას ზ — ჯ ატარებდნენ, როგორც სპირანტოიდები. შესაძლებელია ისინი თანდათანობით ცვლილიყვნენ ასეთ კომპლექსებში ფარინგალურ სპირანტებად, ხოლო შემდეგ დამთხვეოდნენ უკანაენისმიერ სპირანტებს ლ — ხ-ს. ამ პროცესის დამადასტურებელია, ერთგვარად, ის გარემოება, რომ ფარინგალთა სამეფულის მესამე წევრი (ყ) გადაურჩა შენაცვლებას, და, ვფიქრობთ, გადაურჩა იმიტომ, რომ შეუძლებელი იყო მისი, როგორც აბრუპტივის, სპირანტიზაცია ქართულში: აბრუპტივული სპირანტები ქართულს არ გააჩნია.

მაშასადამე, B- სისტემის თავდაპირველი სახე უნდა ყოფილიყო ასეთი:

ბზ — ფვ — პყ  
დზ — თვ — ტყ  
ძვ — ცვ — წყ  
ჯვ — ჩვ — ქყ,

სადაც კომპლექსთა მეორე კომპონენტებს წარმოადგენდა მეექვსე სამეფულის წევრები ზ — ჯ — ყ.

რადგანაც ზ საერთოდ გადაშენდა ქართველურ მეტყველებაში და მისი სპირანტად გადასვლის შესაძლებლობის რეალიზაცია მოხდა B- სისტემის კომპლექსებში, ამიტომ გასაგებია, რომ ბზ — დზ — ძვ — ჯვ კომპლექსები მოგვევლინა ბლ — დლ — ძლ — ჯლ კომპლექსების სახით.

<sup>1</sup> ამ გზითაა წარმოქმნილი მრავალი აფრიკატი (იხ. აფრიკატები გვ. 39).

აგრეთვე გასაგებია ფჳ—თჳ—ცჳ—ჩჳ კომპლექსების შეცვლა ფბ—თბ—ცბ—ჩბ კომპლექსებად სალიტერატურო ქართულსა და იმ დიალექტებში, სადაც ჳ > ხ. მაგრამ როგორ მოხდა, რომ იმ დიალექტებშიც კი, სადაც ჳ დაცულია, გვაქვს კომპლექსები ფბ—თბ—ცბ—ჩბ (და არა ფჳ—თჳ—ცჳ—ჩჳ)?

როგორც ჩანს, ამ დიალექტებში აღგილი ჰქონდა ჰ-ს გასპირანტების შესაძლებლობის რეალიზაციის აგრეთვე მხოლოდ კომპლექსებში—ისე როგორც ფ-ს.

ამის საყურადღებო (მაგრამ არასრულ) ანალოგიას ვპოულობთ ქანურის ხოფურ კილოკაეში (არასრულ ანალოგიას იმიტომ, რომ შენახულობა ესება ყ-ს და არა ჳ-ს და ხდება არა გასპირანტება, არამედ დაკარგვა): „...ხოფურს ყ ბგერა ძირითადად შემოუნახავს, დაუკარგავს ნეტწილად ტყ—წყ—ჭყ კომპლექსებში“<sup>1</sup>.



<sup>1</sup> გ. ბოგაევა, op. cit. გვ. 2.

## ქართლის სხულთა მკაცრსა სამეული (უარინგალუბი) \*

ძველ ფონეტიკურ ლიტერატურაში დიდხანს თითქმის აიგივებდნენ წარმოების ადგილის მიხედვით სამი სხვადასხვა ადგილის თანხმოვნებს: ლ — ხ-სა, ჯ — ყ-სა და ე (=მეგრ ე)-ს. პირველებს (ლ-ხ-ს) რუსულად ეძახდნენ (задне-)язычно-гортанно-хлещные-ს — (უკანა-) ენა-ხორხ-სასისმიერებს, მეორეებსა (ჯ — ყ-ს) და მესამეს (ე-ს) — (задне-)язычно-гортанные-ს — (უკანა-)ენა-ხორხისმიერებს. შედგენილობის მხრივ ყველას თვლიდნენ აფრიკატებად<sup>1</sup>.

ტერმინი „ხორხისმიერი“ ანუ „ყელისმიერი“, „გუტურალური“ (ლათ. guttur ‘ყელი’, gutturalis ‘ყელისა’) იხმარებოდა იმ თანხმოვანთა სახელად, რომელთაც დღეს ვეძახით უკანაენისმიერებს (რბილ-სასისმიერებს) ანუ ველარებს. მათი არტიკულაცია რომ უიარლო თვალთ არ დაინახება, ეს იყო იმის მიზეზი, რომ მათ ყველას მიეცა საერთო სახელწოდება გუტურალური ან ყელისმიერი.

ზოგნი ამავე ბგერებს ეძახდნენ ლარინგალურებს (ბერძნ. λάρυγξ ‘ხორხი’, ლათ. laryngalis ‘ხორხისა’) ანუ ხორხისმიერებს (რუსული гортанный აღნიშნავდა როგორც გუტურალურს, ისე ლარინგალურს).

ახალ ფონეტიკურ ლიტერატურაში ტერმინს ლარინგალური უფრო სწორი გამოყენება აქვს, სახელდობრ: ლარინგალური თანხმოვნები ეწოდება სახმო სიმების მიერ (ყელში, ხორხში) დამოუკიდებლად წარმოებულ ნაპრალოვანს (მაგ., ქართ. ჰ-ს) ან ხშულს (მაგ.; ე = მეგრ. ე-ს).

ამიტომ ამ ტერმინების მათი ძველი მნიშვნელობით ხმარება შეუფერებელია ფონეტიკური ბეცნიერების დღევანდელი მდგომარეობისათვის.

რაც შეეხება ჯ — ყ-ს ფონეტიკურ-ფიზიოლოგიურ კვალიფიკაციას, აქ საკითხი გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ტერმინოლოგიური

\* იხ. ნაწ. I, გვ. 37 და 87, 88.

<sup>1</sup> Н. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, (გვ. 027).

შეუსაბამობა. ბგერათწარმოების რომელი ადგილი ეკუთვნის ჯ—ყ-ს? ე. ი. რომელი ბგერათსაწარმოთქმო ორგანოები იღებენ მონაწილეობას ჯ—ყ-ს წარმოთქმაში?

ჯერ კიდევ ოცზე მეტი წლის წინათ იყო აღნიშნული ჯ—ყ-ს ფარინგალური ხშულობა, ე. ი. ენისძირის ხშვა ხახის (ბერძნ. φάρυγγ 'ხახა') უკანა კედელთან მათი არტიკულაციისას.

ზელმერი მათ პოსტველარულს (ლათ. postvelaris 'რბილი სასის იქითა') ანუ ღრმად უკანაენისმიერს ეძახდა. მისი (და ჭოგჯის) სპეციალურ ექსპერიმენტულ გამოკვლევაში ქართული ბგერების შესახებ ნათქვამია: „განსაკუთრებით, სამწუხაროდ ჩემდა, უნდა განოვტყდე, რომ „პოსტველარული ხშულის“ (ყ-ს) ბუნება ბნელი და გამოუცნობელი დარჩა ჩემთვის. სარისკო და დაუსაბუთებელი ჰიპოთეზების წამოყენებას („იმპლოზიური წოვნითი ბგერა“) ვამჯობინე შემეწყვიტა ჯერჯერობით ყოველგვარი დაწერილებითი ანალიზი—იმ იმედით, რომ, თუ მე თვითონ არა, ვინმე სხვა მკვლევარი შეძლებს—იქნებ, პალატოგრამული გზით—ფარდა ახადოს მას“<sup>1</sup>.

აღნიშნავ აქვე, რომ ზელმერი არ დაკვირვებია ჯ-ს არტიკულაციას, თორემ გაიმეორებდა იმასვე, რაც თქვა მან ყ-ს შესახებ<sup>2</sup>.

თუ რა შენიშვნებს იწვევს ზელმერის შრომიდან აქ მოყვანილი აზრი, ჩანს ჩვენი „ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხების“ წინდები ადგილიდან:

„1) პოსტველარული... არ შეიძლება ეწოდოს მათ (ჯ—ყ-ს), რამდენადაც ამ ტერმინით აქტიურ ორგანოდ ნაგულისხმევია უკანაენა (და არა ენისძირი), 2) საკმარისია უიარალო დაკვირვება თავისთავად წარმოთქმაზე იმაში დასარწმუნებლად, რომ ჯ—ყ არაა წოვნითი ბგერები (ჰაერნაკადი შიგნიდან გარეთ ირეკება და არა გარედან შიგნით), 3) პალატოგრამით შეუძლებელია მისწვდეს მკვლევარი მათი წარმოთქმის ადგილს და 4) მათი (ჯ—ყ-ს) არტიკულაცია ჩვენთვის სავსებით გამოკვეთულია: ენისძირი აწარმოებს ხშვას ფარინგსის (ხახის) უკანა კედლის მიმართ; უკანა თალები უახლოვდებიან ერთმანეთს და წარმოქმნიან ღარისებრს გასაფალს<sup>3</sup>; სიმები დახშულია ყ-სათვის (ამიტომ ეს მკვეთრია, როგორც პ—ტ—კ—წ—ქ). ხოლო სიმები ღიაა საასპირაციოდ ჯ-სათვის (ამიტომ ეს ასპირატია, ანუ ფშვინიერი, როგორც ფ—თ—ქ—ც—ჩ); მათი (ჯ—ყ-ს) არტიკულაცია ხდება ფარინგსის

<sup>1</sup> E. W. Selmer (und Hans Vogt), Georgische Experimentalstudien, 1935, 83-49.

<sup>2</sup> მას არც შეეძლო ჯ-ს დაკვირვება, რადგანაც მისი ინფორმატორი ქართველის მეტყველებაში ჯ არ იყო; ე. ი. ინფორმატორი არ იყო რომელიმე იმ დიალექტანის წარმომადგენელი, სადაც დაცულია ჯ.

<sup>3</sup> ანატომიური ტერმინები უკვე დახუსტებულია ოტოლარინგოლოგ ა. ჭარკვიანელის მიერ (იხ. ქვემოთ).

(ხახის) ღრუში — ამიტომ ეწოდება მათ ფარინგალური (იხ. აგრეთვე: პროფ. ა. შანიძის ქართული გრამატიკა, გვ. 6—7). რომ უკანაენა არ მოქმედებს მათი წარმოთქმისას სასის მიმართ, ამაში ადვილად შეიძლება დარწმუნდეს კაცი: დააკეროთ თითს ან შპატელს უკანაენას, მაგრამ ჯ — ყ-ს წარმოთქმა (მართალია, არა „დახვეწილად“) მაინც შესაძლებელია.

იმავე ადგილას, სადაც ჯ — ყ, მაგრამ სახმო სიმების ეიბრაციული მონაწილეობით, შესაძლოა წარმოითქვას „მეღერი ფარინგალური ხშული“, ე. ი. მეექვსე (დეფექტური) სამეულის მეღერი წევრი: მაგრამ ქართულ ენაში (არც ისტორიულად და არც დიალექტალურად) ეს ბგერა დადასტურებული არა გვაქვს“ (გვ. 86 და შემდ.).

შევჩერდები ამ უკანასკნელზე, ე. ი. მეღერი ფარინგალური ხშულის საკითხზე.

ჯერ კიდევ აკად. ნ. მარსა აქვს აღნიშნული თავისი ცნობილი იაფექტიდოლოგიური ანბნის კვადრატში ბგერა ჳ, როგორც რეკონსტრუირებული (არშენახული) თანხმოვანი<sup>1</sup>. აქ არ შეეფხები ამ ბგერის მარისებური კვალიფიკაციის საკითხს; ჩვენთვის საკმარისია მივუთითოთ, რომ ჳ თანხმოვანი მოთავსებულია აკად. ნ. მარის მიერ ჯ — ყ-ს რიგში; ამიტომ არაა შეუძლებელი, რომ, ქართულის ხშულ თანხმოვანთა სამეულებრივი პრინციპით დალაგებისას, ჳ მას მოეთავსებინა ჩვენი მეექვსე სამეულის რიგში: ჳ — ო — კ (ჩვენით = ფ — ჯ — ყ).

არავის უცდია ამ ჰიპოთეტურად აღდგენილი თანხმოვნის ფონეტიკურად აღწერა, თუმცა ეს არ იყო ძნელი; ყოველი ჯ ან ყ შეიძლება მოგვევლინოს ფ-ს სახით მომდევნო მეღერი ჩქამიერის წინ<sup>2</sup>. როგორც ჩვენ ვამბობთ ფელზე (იწერება ფეზზე), სადაც ხ > ლ მომდევნო მეღერის წინ, ისე ხევსური ან ქიზიყელი იტყვის ფეზზე. არაჟი — არაჟზე (წარმოითქმის არაჯზე): ყ გამეღერდა მომდევნო ფ-ს წინ. ეს იმიტომ, რომ, მართლაც, ძლიერ იშვიათად მოხდება ხოლმე ჯ ან ყ მეღერი ჩქამიერის წინ. ყოველ შემთხვევაში, კომბინატორულად ფ-ს არსებობა დღევანდელი ქართულის ზოგიერთ კილოში ცოცხალი ფაქტია.

მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ეს საკმარისი არ იყო იმისათვის, რომ ჩასახულიყო იდეა ფარინგალური მეღერი ხშულის არსებობის შესახებ. ამისათვის საჭირო იყო მოგვესმინა იგი არა კომბინატორულ პარობებში, განპირობებულ პოზიციაში (როგორცაა, მაგ., ხსენებული ფეზი — ფეზზე, მეყი — მეზზე), არამედ განუპირობებელ პოზიციაში, ე. ი. როგორც ფონემა.

დღევანდელ ნორმალურ ქართულ შეტყვევლებაში ამისი პირობები შეუძლებელია შექმნილიყო. ამიტომ თვალყურს ვადევნებდით ენამოშლი-

<sup>1</sup> იხ. ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები, გვ. 131 და შემდეგ.

<sup>2</sup> ეს ფ, რა თქმა უნდა, არ შეიძლება იყოს სრულყოფილი. იხ. თავი III „ქართული ხშულთა ორი სისტემა ქართულ ენაში“.



ლობის სხვადასხვა ფორმებს, მეტადრე ენაჩლუნგობას, რომელსაც ისე როგორც ენამოშლილობას, საერთოდ, თავისებური ფონეტიკური კანონზომიერება ახასიათებს<sup>1</sup>.

მართლაც, 1937 წელს, შემთხვევა მოგვიცა მოგვესმინა ეს ბგერა განუპირობებელ პოზიციაში, ე. ი. როგორც ფონემა, 9 წლის ენაჩლუნგი გოგონას (ე. თ.—იას) მეტყველებაში. მისი ენაჩლუნგობა გამოიხატებოდა იმაში, რომ ქართულის ხშულთა მეხუთე სამეულის (გ—ქ—კ-ს) ნაცვლად წარმოთქვამდა სხვა თანხმოვნებს გარკვეული კანონზომიერებით.

ხშირია შემთხვევები, როცა გ—ქ—კ-ს ნაცვლად ენაჩლუნგი წარმოთქვამს დ—თ—ტ-ს შესაბამისად, ე. ი. გ-ს ნაცვლად დ-ს, ქ-ს ნაცვლად თ-ს და კ-ს ნაცვლად ტ-ს. აქ ჩვენ გვაქვს უკანაენისმიერთა წინ გადმოწევა.

ჩვენი ენაჩლუნგის წარმოთქმაში კი, პირიქით, გ—ქ—კ გადაწეული იყო კიდევ უფრო უკან: კ-ს ნაცვლად ანზობდა ყ-ს, ქ-ს ნაცვლად ჭ-ს, ხოლო გ-ს ნაცვლად ჳ-ს: კაკო > ყაყო, ქოქო > ჯოჯო, გოგო > ჳოჳო და ა. შ.<sup>2</sup>

ამგვარად, ერთი სისტემა (იგულისხმება მეხუთე სამეული: გ—ქ—კ) შეცვლილია მეორე სისტემით (ჳ—ჭ—ყ-თი), ისე როგორც სისტემა გ—ქ—კ შესაძლებელია გარკვეული ფორმის ენაჩლუნგობაში შეიცვალოს სისტემით დ—თ—ტ. ორივე შემთხვევაში დატულია სისტემებრივი განაწევლება ბგერათწარმოების ადგილისა, რითაც გამორიცხულია ყოველგვარი შემთხვევითობა<sup>3</sup>.

მაშასადამე, ე. თ.—იას წარმოთქმაში ჳ წარმოადგენდა ნამდვილ ფონემას — ისე როგორც მისსავე წარმოთქმაში ყ და ჯ იყვნენ ნამდვილი ფონემები.

ამ საკითხის დამუშავების პირველ ეტაპზე, რომელსაც დღეს, როგორც ქვემოთ ვნახავთ, უკვე ძლიერ შორს გასცდა ქართული ენათმეცნიერება, ჩვენ ვწერდით: „ისტორიულ ხანაში ეს ჳ, როგორც ჩანს, დაიკარგა ქართულ რესყ. ქართველურ ენებში უკვე აღ; შესაძლოა, რომ იგი შესცვალა ლ-მ, ისე როგორც ახალ სალიტერატურო ქართულში ჳ შესცვალა ზ-მ, ვინაიდან ჳ : ლ = ჳ : ხ<sup>4</sup>“.

კვლევის მომდევნო ეტაპებმა არ გაამართლა ჩველი ფარინგალის უკვალოდ დაკარგულობა ქართველურ ენებში: აღმოჩნდა არა მხოლოდ მისი რეფლექსები ჩვენს ენებში, არამედ თვით იგივე ბგერა, ნაშთობრივი

<sup>1</sup> დაკვირვებას ვაწარმოებდით თბილისის ფუნქციონალურ ნერვულ დაავადებათა ინსტიტუტში (დირექტორი პროფ. ა. ფ. გოციროძე).

<sup>2</sup> ჩვენმა ენაჩლუნგმა რამდენიმე დღის საგანგებო ვარჯიშით გამოისწორა ეს ნაკლი.

<sup>3</sup> აქედან ჩანს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ლოგოპედის ცოდნას ენათმეცნიერისათვის საერთოდ, ხოლო ფონეტიკოსისათვის — განსაკუთრებით.

<sup>4</sup> ხოგადი და ქართ. ენის ფონეტიკის საკითხები, გვ. 133.

სახით, სვანურში, რომელსაც ახასიათებს არქაულობა ზოგიერთი სხვა მხრითაც.

არ გამართლდა არც ის მოსაზრება, რომ შესაძლოა ზ-ს მორფოლოგიური ფუნქციაც ჰქონოდა (იხ. იქვე).

გ. როგავამ გააანალიზა ქართველურ ენათა სათანადო მასალა და, არსებითად, დადასტურა ჩვენი ვარაუდი, მაგრამ დაზუსტა იგი მნიშვნელოვანი შესწორების (უფრო სწორად — აუცილებელი დამატების) შეტანით, რის მეოხებითაც შესაძლებელი შეიქნა ზუსტი შედარებითი მეთოდის ძივნება სათანადო მასალის შესწავლისას: <sup>1</sup>

გ. როგავამ დაამტკიცა, რომ „ქართულსა და ზანურ ენებში ფარინგალური ფშვინვიერი ჯ იძლევა ხ და ქ რეფლექსებს“ (ძვ. ქართული მჯცე = ქან. ქჩე. ახ. ქარაული მხცოვანი), ხოლო აბრუპტივი ყ იძლევა ყ და კ რეფლექსებს (ქართ. კლავს ზმნის კალ ფუძე < \*ყალ —; შეად. მეგრ. ყვილ = და ქან. ყვილ || ევილ-) (გვ. 4), და ამბობს: „გ. ახველდიანის ზემოაღნიშნულ ვარაუდს ჩვენ დაუშვებლად შემდეგს: ამავე მელერ ფარინგალურ ხშულს (ზ-ს) შეიძლებოდა შენაცვლებოდა, ლ მელერი სპირანტის პარალელურად, მელერი ხშული გ, რამდენადაც ამავე ზ ფარინგალური რიგის აბრუპტივ ყ-ს, როგორც ზემოთ ვნახეთ, შენაცვლებია, ყ-ს პარალელურად, აბრუპტივი კ (გ-ს რიგისა), ანდა ფშვინვიერ ფარინგალურ ჯ-ს, ხ-ს პარალელურად. შენაცვლებია ქ (იმავე გ-ს რიგისა); ზ : გ = ყ : კ ან ჯ : ქ.

საბოლოოდ, ფარინგალურ ხშულთა სამეულის რეფლექსებად ქართველურ ენებში უნდა მივიჩნიოთ: ყ > ყ || კ  
ჯ > ხ || ქ  
ზ > ლ || გ“ (იქვე, გვ. 5).

ამ შესატყვისობათა საფუძველზე გ. როგავას დადგენილი აქვს შემდეგი ფრიად მნიშვნელოვანი კანონზომიერება: „თუ ქართველურ ენებსა და მათ დიალექტებში გვექნება სიტყვათა ფუძეებში მხოლოდ მელერ სახეობათა შესატყვისობა, ე. ი. ლ მელერი სპირანტისა გ მელერ ხშულთან, უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთ ფუძეში უნდა ყოფილიყო პირველადი მელერი ფარინგალური ზ“ (გვ. 7).

ამის დამარწმუნებელ ილუსტრაციას წარმოადგენს შედარება: მეგრ. გენი || გინი, ქან. გენი || ჯენი, სვან. ლუნ ‘ხბო’. ამ ფუძეთა ამოსავლად ავტორი სამართლიანად გულისხმობს ზუნ-ს, აგრეთვე: სვან. გარგლა ‘ლაპარაკი’ და ქან. ღარღალი; ქართ. გობი და სვან. ღობ || ლუმბ ‘სკა, როფი’ (იქვე).

ამგვარად, ექვმიუტანლად დადასტურდა მელერი ფარინგალური ხშულის (ზ-ს) არსებობა ქართველურ ენებში.

<sup>1</sup> გ. თ. რ. გ. როგავა, ფარინგალურ ხშულთა რიგისათვის ქართველურსა და ადიღურ ენებში: „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, I. 1946, გვ. 1—17.

„საგულისხმო ფაქტიაო,--ამბობს გ. როგავა, --რომ ქართველურსა და მთის კავკასიის ენებში ამ რიგის (იგულისხმება ფარინგალური) ხშულებიც, როგორც ფარინგალური სპირანტები, საერთოდ განიკდიან დაკარგვას, უმეტეს შემთხვევაში კი სხვა მიახლოებული ბგერით შენაცვლებას; ამის უდავო ფაქტები მრავალია როგორც აფხაზურ-აღიღურ ენებში, ისე დალისტნის ენებშიც“ (იქვე: გვ. 5).

ფარინგალური მჟღერი ხშულის საკითხი გასცდა ქართველურ ენათმეცნიერებას.

აქედან ჩანს, თუ რა მდიდარი შედეგების პერსპექტივა შეუძლია ჰქონდეს შედარებითი მეთოდის გამოყენებას.

თვალსაჩინო ვახდა ამ ბგერის არსებობა იმის შენდევ, რაკ ს. ჟღენტმა იპოვა იგი სევანურ ცოცხალ მეტყველებაში; მაგ.: ლახამ. ზემი, ლენტ. ზე 'საკმელი ბალახია'; ბზ. ბაზ 'ბელელი', ბგლდგ 'წვირიანი' და მრავალი სხვა<sup>1</sup>.

ს. ჟღენტის ნიერ მოპოვებული მასალა ამტკიცებს, რომ სევანური წინანდელი მკვლევრები, როგორც ითქვა, ვერ ამჩნევდნენ ამ ბგერის ფარინგალურ წარმოებას, აიგივებდნენ მას ლ-სთან და აღნიშნავდნენ ამავე ნიშნით. ამ მხრივ ს. ჟღენტის ფრიალ მნიშვნელოვანი დაკვირვება წარმოადგენს მეთოდოლოგიურად განაფრთხილებელ სიგნალს (იხ. კვლეოთ).

ამასთანავე ერთად ფარინგალური ყრუ ხშულები (ჯ—ყ) გამოკვლეულ იქნა ექსპერიმენტულ-ფარინგოსკოპიულად ლარინგოლოგ არჩ. ჩარგეიშვილის მიერ.

რადგანაც ა. ჩარგეიშვილის<sup>2</sup> გამოკვლევას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ჯ—ყ-ს (და, მაშასადამე, აგრეთვე ზ-ს) ფონეტიკურ-ფიზიოლოგიური რაობის დადგენისათვის, ამიტომ საჭიროა მისი ერკლად განხილვა.

მოკლე ანატომიური მიმოხილვიდან ჩვენთვის, ფონეტიკოსათთვის, ძლიერ საყურადღებოა ხახის კუნთოვანი აპარატის აღწერილობა. მეტაფრე მნიშვნელოვანია ჩვენთვის, რომ ენისძირი თავისი მოძრაობით დაკავშირებულია ხახსთან. რასაც დამატებით კიდევ ხელს უწყობს მათი კავშირი კუნთის *III. glossopharyngeus*-ის საშუალებით და აგრეთვე ქროი და იგივე ინერვაცია *II. glossopharyngeus*-ის საშუალებით“ (გვ. 538).

„ყ-სათვის საჭირო ხშვის დროს ხახის გვერდითი კედლების მოძრაობა შეთანხმებულა ენის ძირის მოძრაობასთან -- ავტომატურად. მაშინ, როდესაც ხახის გვერდითი კედლები, ე. ი. ზონრები, მისწრაფიან ერამანეთთან შესახვედრად ხახის უქანა კედლის შუა ხაზზე, ენისძირი

<sup>1</sup> ს. ჟღენტის, ირ. ც.

<sup>2</sup> ა. ჩარგეიშვილი, ქართული თანამოენების „ყ“ და „ქ“ ბიომექანიკის საკითხისათვის (საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. VII, № 8, 1946, გვ. 537—542).

გაემართება უკან, მაგრამ შუა ხაზზე ზონრები ერთმანეთს კი არ შეხვდებიან, არამედ ისინი დადგებიან ერთმანეთის პირისპირ პარალელურად სხვადასხვა მანძილზე—იმისდა მიხედვით, თუ როგორია ყ-ს წარმოთქმასხვადასხვა დიალექტსა და ენაში. სწორად წარმოთქმული ქართული ყ-სათვის<sup>1</sup> ეს მანძილი უდრის 0,5—1 სანტიმეტრს, რაც კმნის ხახის უკანაკედლის შუა ხაზზე ვერტიკალურ ღარს.

რამდენადაც ენისძირის<sup>2</sup> სიგანე ბევრად მეტია, ვიდრე აღნიშნული ღარის სიგანე, ამ ადგილას საკმარისი ხშვა ვერ მოხდება. ამიტომ ენის ძირი ამოიბურცება შუა ხაზზე ისეთივე ვერტიკალური მიმართულებით, როგორცაა ზემოხსენებული ხახის კედლის ღარი, და ჩაჯდება ღარში. ენისძირის დანარჩენი ფართობი კი, მისი სიგანის შესაბამისად, მკიდროდ მიკრულია ხახის გვერდითს კედლებთან და სასის უკანა რკალთან. ამრიგად ხდება ხშვა... რამდენადაც სკდომის მომენტში ყია დახურულია, სკდომისთვის იხარჯება ჰაერის მხოლოდ ის მცირე მარაგი, რომელიც იმყოფება ჰიპოფარინგსში, ყიის ზემოთ...

ენისძირის უმეტეს ნაწილში ხშვა ენერგიულია, მაგრამ გამონაკლისს შეადგენს ღარის ფსკერი, სადაც, მიუხედავად იმისა, რომ ენისძირის ამობურცული მორგვი ჩაჯდა, მაინც რჩება უმნიშვნელო ნაპრალი<sup>3</sup>. ეს ნაპრალი განკუთვნილია ლორწოიანი სითხისათვის, რომლის დახმარებითაც ჰაერი აწარმოებს სკდომას. ამას ადასტურებს შემდეგისურათი: ყ-ს რამდენჯერმე წარმოთქმის დროს გამოსაკლევნი ობიექტის ხახის კედელზე არსებული სქელი ლორწოს ბადე აიწმინდა ზევეთკენ და იქ დაგროვდა დაახლოებით 2—3 სანტიმეტრის სიმაღლეზე. ნაპრალის არსებობას მოწმობს აგრეთვე ყ-ს მეტ-ნაკლებად გაგრძელებული წარმოთქმის შესაძლებლობა. ამდენად ყ არ არის წმინდა მეყსეული“ (გვ. 538—539).

აღწერს რა სახმო სიმებისა და რბილი სასის მდგომარეობას ყ-ს წარმოთქმისას (ყია მკიდროდაა დახშული, რბილი სასა დაბლა დაწეული, ცხვირის ღრუში ჰაერი ოდნავ შეიკრება ხოლმე), ავტორი ასკვნის ყ-ს შესახებ:

„ამრიგად, ყველა ზემოაღნიშნულიდან ჩვენ ვხედავთ, რომ ყ ბგერის წარმოთქმა მოითხოვს ენისძირისა და ხახის კედლების აქტიურ შემკუმშველ მოძრაობას. ენის აქტიური მოძრაობა ხახის კედლებისაკენ შეიძლება დავადასტუროთ უბრალო მაგალითით: თუ კი ჩვენ ენის წვერს წინ გამოვწევთ, საკვლევი ობიექტი ვერ შესძლებს მხოლოდ ხახის კედლებით ყ-ს წარმოთქმას. ამასვე ადასტურებს ლოგოპედ ა. კაიშაურის

<sup>1</sup> ტექსტში შეცდომითაა: „წარმოთქმულ ქართულ ყ-დან“.

<sup>2</sup> ტექსტში შეცდომითაა: „ენის ღარის“.

<sup>3</sup> სჯობდა „მცირე ნაპრალი“, რადგანაც იგი სრულიად არაა უმნიშვნელო ყ-ს წარმოთქმისათვის.

ნიერ მოწოდებული ხერხი ყ-ს დასაყენებლად ენაჩლუნვებში<sup>1</sup>. ჩვეულებრივ, ლოგოპედები აღიბენ შპატელს ენის იმ ადგილზე, სადაც თანხმობა ვან კ-ს ხშვის ადგილია, და ათქმევენებენ კ-ს, რომელიც აქვს ენაჩლუნვს: პაციენტი კ-ს მაგივრად იტყვის ყ-ს, ე. ი. ხდება მოწოდების გადანაცვლება ძირისაკენ, სადაც ყ-ს წარმოთქმის ადგილია“ (გვ. 540).

ა. ჩარგეიშვილის იმავე ფარინგოსკოპიული დაკვირვებით კ-ს წამოშობის ადგილი იქ არის, სადაც ყ-სათვის, მაგრამ განსხვავება იმაშია, რომ ამ შემთხვევაში ხშვა-სკდომა ხდება მეტი სისწრაფით და, ვარჯა ამისა, ყია ამ დროს დახურულია მხოლოდ შემართვის მომენტში... ენაჩხურგი ცოტა უფრო ქვემოთაა დაწეული და ჰაერის ძლიერი ტალღა ეჯახება ნაქს. უკანასკნელი იწყებს ვიბრაციას და, ამრიგად, ჰქმნის „ტარინახალს“... ამდენად კ-ს ბიომექანიკა ანალოგიურია თავდაცვის პარამექანიკისა<sup>2</sup>. ასევე ითქმის ყ-ს შესახებაც: როდესაც ადამიანს მშრალი ფარინგიტის შემთხვევაში აწუხებს ქავილი, ის იფხანს ყ ბგერის წარმოთქმის მოძრაობებით...

ჩემი აზრით,—განაგრძობს ა. ჩარგეიშვილი,—ის ავტორები, რომლებიც ყ-ს სთვლიან უფულარულად ან პოსტველარულად, უმთავრესად აკუსტიკურ შეგრძნებას ეყრდნობიან... შეიძლება მოხერხდეს აგრეთვე ყ-ს რეზონანსის გადანაცვლება წინისაკენ რეზონატორის შეცვლით. მაგრამ როგორ ხერხსაც არ უნდა მივმართოთ, ყ-სთვის ხშვა-სკდომის აღნიშნულ ადგილს ვერ ავცდებით ვერაფრითარი გზით“ (გვ. 540—541).

ამგვარად, სავსებით დადასტურდა კ-ყ-ს საარტიკულაციო ადგილი იქ, სადაც ჩვენს მიერ იყო დადგენილი: ეს თანხმობები ფარინგალურებია და იწარმოება ენისძირით ფარინგის უკანა კედლის მიმართ.

მაგრამ ა. ჩარგეიშვილის კვლევამ არ დაადასტურა მათი სრული ხშულობა. ეს არსებითი შესწორებაა ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ძლიერი მნიშვნელოვანი დახუსტებაა წინანდელი ჩვენი დებულებისა.

საყურადღებოა, რომ ყ-ზე კი ამბობს ავტორი, რომ იგი არაა „წმინდა მეყსეული“, მაგრამ კ-ზე ამას აღარ იმეორებს. გამოდის, რომ ყ არაა „წმინდა მეყსეული“, ე. ი. არაა სავსებით ხშული, ხოლო კ წმინდა მეყსეულია.

ასეთ ორქოფულ მდგომარეობაში ვიქნებოდით, რომ არ გექონოდა ამ შრომაზე უფრო აღრე გამოსული სერგი ჟღენტის „მეტერი ხშული ფარინგალის საკითხისათვის სევანურში“ (1946), რომელმაც მნიშვნე-

<sup>1</sup> მითითებულია ა. კაიშაურის შრომაზე „ქართული სპეციფიკური თანხმობების დაყენების საკითხისათვის“ (ხელნაწერი დისერტაცია).

<sup>2</sup> შეად. ზოგადი და ქართ. ენის ფონეტიკის საკითხები, გვ. 174: „ეგრძელდა კ-ს წარმოთქმისათვის მინდა მივუთითო შემდეგ მეთოდზე: წარმოიდგინეთ, რომ გადაგუდათ თევზის ფხა და გაჩხირული გაქვთ ხახაში; სცადეთ მისი ამოვდება, — გამოვა ფაბლოებით კ-ს მსგავსი ბგერა. სათანადო ვარჯიშით მიიღწევა ნამდვილი კ-ს წარმოთქმა“.

ლოგანი წვლილი შეიტანა ქართველურ ენათა ფონეტიკურად შესწავლის საქმეში—არა ნხოლოდ იმით, რომ მან გაარკვია ჳ-ს (resp. ყ-ს) სპირანტიოიდული რაგვარობა, არამედ იმითაც, რომ ამ შრომაში მან გამოაქვეყნა იმის დამარწმუნებელი დასაბუთება სათანადო მასალებით, რომ სვანურში დღესაც ცოცხალია გადანაშთის სახით („... სვანურ სპეციფიკურ ონომატოპოეტურ სიტყვებსა, ფრინველთა და მცენარეების სასკლწოდებებში... როგორც ცნობილია, ასეთი სიტყვები ამსახველია აგვიათა უფრო ძველი მდგომარეობისა“) ფარინგალური მქლერი ხშული, რომელიც აქამდე ქართველურ ენებში გადაშენებულად ითვლებოდა.

რაც შეეხება ჳ—ყ-ს სპირანტიოიდობას, სერგი ჟლენტმა იკვლია კონკრეტული (კიმოგრაფიული) მეთოდით როგორც ჳ (resp. ყ), ისე ახლად მიღებული სვანური ფარინგალური ფ: „... კიმოგრაფიული მრუდების შედარება გვიჩვენებს, რომ პირის ჩამწერი კალმები შემართვის მომენტში ორივე შემთხვევაში საკლებით მსგავს სურათს იძლევიან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ნათლად ადასტურებს ფ-სა და ჳ-ს ერთნაირ რაგვარობას. კერძოდ, ფ-სა და ჳ-ს შემართვა სპირანტი თანხმოვანთა შემართვის სურათს უფრო მიაგავს, ვიდრე ნამდვილი ხშულის შემართვას. შემდეგი მომენტები კი ხშვა-სკდომით იწარმოება და არა ნაპრალით... მტკიცდება, რომ, მართალია, ფ-სა და ჳ-ს შემართვა სპირანტისებურია, მაგრამ რაგვარობის მიხედვით ისინი ძირითადად მაინც ხშულებია (ფ.--მქლერი, ჳ—ყრუ ფშინიერი)“ (გვ. 464—465).

ხშულთა მეექვსე საწიულს (ფ—ჳ—ყ), რომელიც დეფექტურია ქართულსა და ზანურში, მაგრამ სრულია სვანურში, ვუწოდეთ სპირანტიოიდები იმიტომ, რომ თითოეულ მათგანში არის (ყ-ში ა. ჩარგეიშვილით, საწივეში ს. ჟლენტიტ) სპირანტული ელემენტი და, როგორც ს. ჟლენტიც ამბობს, იმიტომაც, „რომ ისტორიულად ფ და ჳ შეცვალა სპირანტებმა ლ—ხ-მ“ (გვ. 466).

ამას ისიც უნდა დავმატოს, რომ აფრიკატის (ან აფრიკატიოიდის) დარქმევა იმიტომაც არ იქნებოდა მართებული, რომ აფრიკატის შედგენილობაში, ჩვეულებრივ, შეერთებულ თანხმოვანთა თანამინდევრობა არის: ხშული+ჰომორგანული სპირანტი (იხ. გვ. 84); ხოლო ფარინგალური ხშულების შედგენილობაში ამის საპირისპირო თანამინდევრობაა: სპირანტისებური ჩქამი (შემართვაში) + ხშული.

არ შეიძლება არ შევეხოთ აქვე, მოკლედ მაინც, ნ. ვ. იუშმანოვის „საქურადლებო სტატიას „Семито-хамито-яфетические сжатогор-танные“<sup>1</sup>, რამდენადაც მასში აღძრულ ზოგიერთ საკითხს კავშირი აქვს ჩვენ თემასთან:

<sup>1</sup> Язык и мышление, ტ. XI, გვ. 394—405. უფრო დაწვრილებით იმედი მაქვს განვიხილო ეს შრომა ახლო მომავალში.

ავტორი; მისივე სიტყვით, საგანგებოდ იხილავს თანხმობანთა უცნაურ წყვილს („загадочная пара“), რომელიც არაბულში გამოიხატება ასე:  $\text{ح} - \text{ع}$ . მაგრამ მას მოკლედ დახასიათებული აქვს აგრეთვე  $\text{خ}, \text{ج}, \text{غ}, \text{ز}$ . (ტრანსკრიფციაში პირველი ორი: ‘— $\text{h}$ , დანარჩენები; ‘,  $\text{h}$ ,  $\text{g}$ ,  $\text{z}$  — საბამისად):

„ $\text{خ}$  წარმოადგენს ხორხის მსკდომს, ე. ი. სახმო სიმების მეყსეულ ბგერას, კარგად ცნობილს მსოფლიოს მრავალ ენაში; არაბი ფილოლოგები აღწერენ მას, როგორც მეღერს, მაგრამ Blählaut-ის („ღაღანის“) უმისოდ, ხოლო დღევანდელ არაბულ წარმოთქმაში აღინიშნება როგორც ყრუ ბგერა.  $\text{ج}$  თანხმობანი უფრო მეტადაა ცნობილი მსოფლიოში; ესაა ფშვინვა, ე. ი. სახმო სიმების მყოვარი ბგერა, რომელიც შეიძლება იყოს ყრუ  $\text{h}$ -ც (ასეა არაბ ფილოლოგებთან) და მეღერიც (ნ. ი. მარით — $\text{ج}$ )...  $\text{غ}$  და  $\text{ز}$  წარმოადგენენ მეღერ და ყრუ მყოვარ ღრმად უკანაენისმიერებს (ნაქისმიერს ან ხახისმიერსაც კი), ცნობილს ახლო აღმოსავლეთის ყველა ენაში, მაგრამ არა ხორხისმიერს...“.

როგორც ჩანს, შეკუმშულ ხორხისმიერად ავტორს მიაჩნია  $\text{ع} - \text{ج}$  (გვ. 399), რომელთაც ასე ახასიათებს: „რაც შეეხება დავიწროების ადგილსა და რაგვარობას, რაც დამახასიათებელია სემიტური ჩერჩულა ( $\text{ح}$ ) და კრიალა ( $\text{ع}$ ) ხორხისმიერთათვის, სასარგებლოდ ვთვლი მიუხედავად სანა-ხორხის რკალების (arcūs glosso-palati) ურთიერთ მიახლოებაზე, რომლებიც ჰყოფენ პირის ღრუს ხახის ღრუსაგან და კარგად ჩანან სარკეში.  $\text{ح}$  (=‘) ბგერის წარმოთქმისას ეს მიახლოება შესაძლებლად უფრო ძლიერია, ვიდრე  $\text{ع}$  (=h) ბგერის წარმოთქმისას. ეს მიახლოება სრულიად არ გამოირიცხავს იმ გამოსავალთა დავიწროებას, რომლებიც არ ჩანან სარკეში; ორივე ბგერას შეუძლია ჰქონდეს სხვადასხვა სიძლიერისა და სისქის (რესონანსი). რამდენიმე ელფერი; ამიტომ რაივე სტანდარტის უქონლობის გამო რომელიმე სემიტურენოვან საზოგადოებაში ძნელია დააზუსტოს კაცმა. ზოგადი ხასიათის  $\text{h}$  გვაქვს უნებუოდ. როცა ვსუნთქავთ ცხელის დაღვევისას, ხოლო ზოგადი ხასიათის ‘ — დაშინ, როცა წარმოვთქვამთ  $\text{g}$ -ს ექიმის წინადადებით ჩენი ყელის გამოკვლევისას ლითონის კოვზით; როგორც ერთს, ისე მეორე შემთხვევაში გამოსავლები ვიწროვდებიან მოულოდნელი სიცივის გამო“ (გვ. 399).

„ზემოხსენებული ხორხისმიერი ოთხეული (‘,  $\text{h}$ ,  $\text{h}$ , ‘), დამახასიათებელი სემიტურისა და ქამიტური ენებისათვის, სავსებით ჩვეულებრივია დასახელებული (ჩრდილო კავკასიისა და დალისტინის) ენებისათვის... გ. ბერგშტესერი (G. Bergstässer) ეძახის ‘აინ-ს მეღერ კრიალა ბგერას, რომელიც მოიცავს მრავალრიცხოვან სახესხვაობებს ხშულისა (ან აფრიკატის, მყოვრისა და კრიალა ხმით წარმოთქმული ხმოვნისას. იაფეტურ ენათა ხორხისმიერ ბგერათა აღწერებში ვპოულობთ იმავე სახესხვაობებს:

ხშულს ანუ აფრიკატულს, მყოვარს ანუ სპირანტულს; ხმოვანთა ხორხისეულ გაძლიერებას (ღირრის მიერ დადგენილია უღურ ენაში - სამი ასეთი ხმოვანი: a, o, y)“ (იქვე).

„რასაკვირველია, ხორხისმიერ არტიკულაციათა პრობლემა რაფეტურ ენებში არ იზღუდება ამ კლასიკური ოთხეულით, რომელშიც შედის უცნაური წყვილი  $\zeta - \xi$ ... გათვალისწინებულ უნდა იქნენ აფხაზური ენის ის რთული არტიკულაციები, რომლებიც შეიცავენ თავიანთ შედგენილობაში ჩვენი წყვილეული ბგერის ანალოგიურ მოძრაობებს, შეერთებულს ერთეამიერ პალატალურსა (შუაენისმიერსა) და ბაგისმიერ მოძრაობებთან...“ (გვ. 398).

ნ. ვ. იუშმანოვის მრავალ დანარჩენ მოსაზრებათაგან და პარალელთაგან მოვიყვანთ კიდევ შემდეგს: „... შეიძლება აღინიშნოს მოქცეული R-ს ერთი სახეობა, რომელიც ჰგავს  $\zeta$ -ს, მაგალითად, ეულგარულ ბერლინურში (der Berliner = [dɛ 'bɛr'lɪ'nɛr])...“ (იქვე).

მუსლიმანური კულტურის ენათა უმრავლესობა „ურევს შეკუმშულ  $\zeta$  (')-ს ჩვეულებრივს შეუკუმშველ  $\mathfrak{h}$  (h)-ს, ხოლო შეკუმშულ  $\zeta$  (h)-ს ხორხისმიერ მსკდომ  $\zeta$  (')-ს ან ნულ ბგერას...“ (გვ. 399).

„ქართველი ებრაელები წარმოთქვამენ ებრაულ  $\zeta$  (')-ს, როგორც ქართულ  $\zeta$ -ს, ე. ი. ყელხშულ ღრმად უკანაენისმიერ სპირანტს“ (იქვე).

აქ არ შეეხები იუშმანოვის მიერ განხილულ ფრიად საყურადღებო მოვლენებს (შეკუმშულხორხისმიერთა „სიყვარულს“ A-სადმი, პალატალიზაციასა და ველარიზაციას მათთან, ხორხისეულ გაძლიერებას ხმოვანთა ფარინგალიზირებისას) და ზოგს, ალბათ, მნიშვნელოვან ფაქტს, სამწუხაროდ, ჩემთვის უცნობი ენებიდან (მადაგასკარისა, ინდონეზიისა, აქქადურისა და სხვ.).

მოვიყვან მხოლოდ, უკანასკნელ, ავტორის შემდეგს მსჯელობას: „უკანაენისმიერებს ხშირად აერთიანებენ ხოლმე საერთო ტერმინით *gutturales* (რუსულად ითარგმნება აგრეთვე „гортанные“, როგორც *laryngales*). ეს, რა თქმა უნდა, უმართებულოა (сбивчиво) ფიზიოლოგიურად, და უნდა ვერიდოთ მას საენათმეცნიერო შრომებში, რომელთაც აქვთ მეცნიერული სიზუსტის მაღალი დონის პრეტენზია. ამის მიუხედავად, ძირისეულ სახესხვაობათა შესწავლას სემიტურსა და ქამიტურ ენებში მიყვავართ დასკვნამდე, რომ უკანაენისმიერნი და ხორხისმიერნი შეადგენენ თანხმოვანთა ცვლის საერთო რაიონს პირვანდელი ძირის ვარიირებისას, რადგანაც უკანაენისმიერებსა და ხორხისმიერებს შეუძლიათ შეენაცვლონ ერთმანეთს ძირის მნიშვნელობის მცირე ცვლილებისას ან საერთოდ მნიშვნელობის უცვლელადაც. ძირისეულ სახესხვაობათა შესწავლისას დგინდება ძირითადად სამი ასეთი რაიონი: P (ბაგისმიერისა), T (წინაენისმიერისა) და K (უკანაენისმიერ - ხორხისმიერისა, რაზედაც ახლა ვამბობდით); T-ს რაიონი ზოგჯერ გვიხდება



დაკოთ S-დ (ჩქამიერი ქვერაონი) და I/R-დ (სონორული ქვერაონი)...

წინაენისმიერ თანხმოვანთა მონაცვლეობა შეკუმშულ ხორხისმიერებთან და საერთოდ ხორხისმიერებთან გვხვდება<sup>1</sup>... მეორე მხრით, ენის შესახებ ახალ მოძღვრებას განოპყავს არაბაგისმიერი ორივე რაიონი — T და K — ერთი დიფუზური \*<sub>11</sub> ბგერისაგან. სემიტურ ენებში შეინიშნება წინაენისმიერთა რაიონისა (T) და უკანაენისმიერთა რაიონის (K) მონაცვლეობა, მაგრამ მხოლოდ იშვიათად, როგორც გადმონაშთი ძლიერ შორეული ეპოქებისა“ (გვ. 404).

ჩვენ ვეცადეთ სრულად გადმოგვეცა ნ. ვ. იუშმანოვის შრომის ჩვენი თემისათვის მნიშვნელოვანი ადგილები, რომლებიც, ერთი მხრივ, აიღებურად აშუქებენ ფარინგალების ზოგიერო საკითხს, ხოლო მეორე მხრივ, მოითხოვენ, ჩვენი აზრით, ერთგვარ დაზუსტებას.

შევეხებით, რა თქმა უნდა, უმთავრესად ႁ—ღ წყვილს, რომელიც წარმოადგენს იუშმანოვის შრომის მთავარ თემას.

ღ (=')-ს შესახებ შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ქართველურ ენათაგან იგი გვაქვს ზანურში ყრუ ხშული ფონემის სახით, მაგალითად, მეგრულ ყულდეში; რაც შეეხება ႁ (l-ს), ის გვაქვს ქართულში ყრუ ფშინვის (მაგ., ჭაერი), ან ფშინვიერი შემართვის სახით (იგივე ჭაერი ან ჭქონდა); მაგრამ კომბინატორულად იგი შესაძლებელია გვქონდეს მკლერის სახითაც, მაგალითად, ჭგავს-ში, სადაც ჭ პრეფიქსი, რამდენადაც კი იგი წარმოითქმის, შესაძლოა გამკლერდეს რეგრესულად მომდევნო გ-ს წინ. ႁ და ႁ საერთოდ უდრიან ქართულ ღ-სა და ზ-ს შესაბამისად (ისინი შესაძლებელია იყვნენ მეტ-ნაკლებად ღრმად უკანაენისმიერი).

ფრიად მნიშვნელოვნად ვთვლით თვითონ ტერმინის „შეკუმშულ-ხორხისმიერი“ შექმნას, რამდენადაც იგი გულისხმობს ႁ—ღ-ს წარმოთქმისას პირის ღრუს იქითა რეზონატორის დავიწროებას. მაგრამ დავიწროება (ან შეკუმშვა) შეიძლება ხახისა და არა ხორხის, რომელიც ამ ზხრივ უცვლელია. ამიტომ, ეფიქრობთ, უნდა იყოს „შეკუმშულ-ხახის-ეულნი“ და არა „შეკუმშულ-ხორხისმიერი“<sup>2</sup>. ამდენად ႁ—ღ ფარინგალური თანხმოვნებია.

როგორც ვთქვით, შეკუმშვისა თუ დავიწროების ცნების შემოტანა ფარინგალთა წარმოქმნის საკითხში მნიშვნელოვანი შენაძენია, მაგრამ მას აკლია დაზუსტება: არა ჩანს, თუ, ბოლოს და ბოლოს, რა ვიწროვ-

<sup>1</sup> „Переднесязычные согласные в чередовании со сжатогортанными и вообще гортанными встречаются“ (გვ. 404).

<sup>2</sup> -შიერ სუფიქსს ვხმარობთ მაშინ, როცა აქტიურია ერთი რომელიმე ორგანო (წინაენისმიერი, შუაენისმიერი და სხვა); ხახა (და მით უფრო ხორხი) არ წარმოადგენს ერთ რომელსაზე აქტიურ ორგანოს. ამიტომ ვამბობთ: ხახისეული — ისე როგორც ცხვირისეული (იხ., მაგ., გვ. 44).

დება; არაა გათვალისწინებული, რომ -ენისძირი თავისი მოძრაობით დაკავშირებულია ხახასთან, რასაც დამატებით კიდევ ხელს უწყობს მათი კავშირი კუნთის *iii. glossopharyngeus*-ის საშუალებით და აგრეთვე ერთი და იგივე ინერვაცია *ii. glossopharyngeus*-ის საშუალებით“ (იხ. ზემოთ გვ. 313). ამიტომ არ კმარა იუშმანოვის თქმა: „სასარგებლოდ ვთვლი მივეუთოთ სასა-ხორხის რკალების ურთიერთ შიახლოებაზე (сближение)“.

მართალია,  $\gamma$ — $\xi$ , როგორც *v*. იუშმანოვის მსჯელობიდან ჩანს, სპირანტებია, მაგრამ  $\psi$ -სა და  $\zeta$ -სათვის რომ „ხახის გვერდითი კედლები, ე. ი. ზონრები, მიისწრაფვიან ერთმანეთთან შესახვედრად ხახის უკანა კედლის შუა ხაზზე...“ (იხ. ზემოთ გვ. 313—14), ეს საერთოა ყველა ფარინგალისათვის. განსხვავება იმაშია მათ შორის, რომ  $\gamma$ — $\xi$ -სათვის არ ხდება ხშვა ენისძირისა ხახის უკანა კედელზე შექმნილ ღართან, რომელიც შესაძლოა იყოს მეტ-ნაკლები სიფართოვის — იმის მიხედვით, თუ რამდენად მიუახლოვდებიან ერთმანეთს ზონრები, — ხოლო  $\psi$ -სა და  $\zeta$ -სათვის ხშვა აუცილებელია.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია კიდევ შემდეგი: *v*. იუშმანოვი ქართულ  $\psi$ -ს თვლის „ყელხშულ ღრმად უკანაენისმაიერ სპირანტად“ (იხ. ზემოთ) და, მაშასადამე, რაგვარობით უთანასწორობს  $\gamma$ — $\xi$ -ს, როგორც სპირანტებს. ამას შეუძლია გამოიწვიოს გაუგებრობა; რადგანაც სრულიად აშკარაა, რომ  $\psi$  ხშულია (მართალია, სპირანტოიდი, იხ. ზემოთ), ამიტომ: ან  $\gamma$ — $\xi$  სპირანტებია და  $\psi$ -ს ვერ გაუთანასწორდებიან რაგვარობით, ან იხინი არაა სპირანტები, თუ გაუთანასწორდებიან  $\psi$ -ს რაგვარობით. მაგრამ, რამდენადაც აგრეთვე სრულიად აშკარაა, რომ  $\gamma$ — $\xi$  სპირანტებია, იმდენად მათი  $\psi$ -სთან გათანასწორობა რაგვარობით არ შეიძლება. გვებადება ეჭვი: ხომ არაა  $\psi$ -ს ასეთი კვალიფიკაცია ძველი ტერმინოლოგიის გადმონაშთი?

ზემომოყვანილი შენიშვნა ვულგარული ბერლინური წარმოთქმის შესახებ, ვფიქრობ, დასაზუსტებელია ბერგშტესერიდან მოყვანილი ცი-ტატის საფუძველზე. საქმე ისაა, რომ ბერლინურში გვაქვს ან უფულარული *r*, ან ხმოვნის შემდეგ *r* სრულიად იკარგვის და ხმოვანი იძენს თავისებურ ელფერს, რომელიც, როგორც ჩანს, ხახის დავიწროების შედეგია. ამგვარად, აქ გვაქვს ხმოვნის ერთგვარი 'აინიზაცია. რომ ეს ასეა, ამის ერთ-ერთ საბუთად, გარდა აკუსტიკური ეფექტისა, შესაძლოა გამოვსვათ *r*-ს წინ მდგომი  $\psi$  ხმოვნის შეცვლა  $\alpha$ -დ: უფულარული *r*-ს დაკარგვა ანაზღაურებულია ხახის დავიწროებით  $\alpha$ -ს წარმოთქმისას; ამიტომაც, რომ ეს  $\alpha$  წააგავს იმ ბგერას, რომელსაც წარმოეთქვამთ ხოლმე „ექიმის წინადადებით ჩვენი ყელის გამოკვლევისას ლითონის კოვზით“ (იხ. ზემოთ იუშმანოვის შედარება). ამას ეხმაურება *v*. იუშმანოვის დამარწმუნებელი დასაბუთება შეკუმშულ-ხახისეულთა მიდრე-

კლემენტისა A-სადმი: „უნდა აღინიშნოს, რომ მიდრეკილება A-სადმი და მხასიათებელია უმთავრესად შეკუმშულ ხორხისმიერთაფვის“ (გვ. 400).

ნ. იუშმანოვი მართებულად მიუთითებს აფხაზურ ფარინგალურ სპირანტებზე. მართლაც, რამდენადაც საქმე ეხება ხახის დაფიწროებას, არსებითად, აფხაზურის ჰო და ვო (მაგ., სიტყვებში: აჰია 'ხმალი' და აჯან 'მშრალი', „ხმელი“) იმავე რიგის თანხმოვნებია, რომლისაც ႁ-ღ. განსხვავება მათ შორის იმაშია, რომ აფხაზური ფარინგალური სპირანტები შესაძინევადაა ლაბიალიზებული.

მომყავს აქვე აფხ. ჰო-სა და ვო-ს ფიზიოლოგიური აღწერილობა<sup>1</sup>.

აჰია 'ხმალი', აჰია 'ჯდომი', აჰჰა 'ჩალა'.

ჰო-სათვის პირის ღრუ საკმაოდ ღიაა, წინაენა თითქმის უმოკვდოა: უკანა-ენა ეშვება ქვევით და უკან, ენისძირი ჰქმნის ნაპრალს ხახის უკანა კედლის მიმართ, სადაც წარმოქმნილია ღარი ხახის გვერდითი კედლების (ხორხების) ერთმანეთის მიმართ მიახლოების გამო. ენისძირსა და ღარს შუა ნაპრალში ამომდინარე ჰაერნაკადი ჰქმნის იმ ჩქამს, რომელიც გვესმის ჰო-ს სახით: წესაწლოა, ამ ჩქამის შექმნაში მონაწილეობდეს ხორხსარქველი, რომელიც გადასრილია და ერთგვარ დაბრკოლებას ჰქმნის სახმო სიმებიდან ამომდინარე ჰაერნაკადს. ხორხი ოდნავ ამოიწვეა ხვეით. სახმო სიპები, როგორც ჩანს, საჩუქრულ ႁდგომარეობაშია, ე. ი. ღიაა ცის მორჩებს შუა არ. ტუჩები მომრგვალებელია შესაძინევად—დაახლოებით, როგორც ფართო ႁ-სათვის.

ამგვარად, ჰა წარმოადგენს პირსიკითულს, ხ. ხაში (ფარინგალური) ნაწარვებ იმ რიგის სპირანტს, როგორიცაა ႁ ლაბიალიზაციის მიმატებით. ხახის მხრე შეკუმშულ-ხახისეულია როგორც ႁ, ისე ჰო. ამ უკანასკნელს (ჰო-ს) ვეძახით ლაბიალიზებულ ფარინგალურ ყრუ სპირანტს.

ავიჭ 'ღვინო', აჯან 'მშრალი', „ხმელი“, ვიბან 'ორი'. ვო-სათვის ენისა და ხ. ხის უკანა კედლის ფორმა იგივეა, რაც ჰო-სათვის; განსხვავებაა, როგორც ჩანს, მხოლოდ იმაში, რომ დაჭინებობა ნაკლებია და ნაპრალიც უფრო ფართო, ვერაე ჰო-ს წარმოთქმისას. საყურადღებოა, რომ ხახის ხორხები ნაკლებად უახლოვდებიან ერთმანეთს უკანა კედლის შუა ხახზე, ვიდრე ჰო-სათვის, ე. ი. ღარი უფრო ფართოა ვო-სათვის. კიდევ უფრო მტკადაა საყურადღებო, რომ რძილი ს.სა არ კეტავს გზას ცხვირის ღრუსაკენ ისე ნკიდროდ, როგორც ჰო-სათვის, რაც უახლოვდება, როგორც ჩანს, ამ ႁგართა საერთო მოდუნებულობით ვო-სათვის—ჰო-სთან შედარებით. ამის გამო ცხვირის ღრუს მონაწილეობა ვო-ს ტემბრის შექმნაში გამორიცხული არაა<sup>2</sup>. ხორხის ხვეით აღწვევა არ შეიმჩნევა; ხორხსარქველი არ მონაწილეობს ჩქამის შექმნაში. ტუჩების მომრგვალება ისეთივეა, როგორიც ႁ > -სათვის.

ამგვარად, ზ > არის ლაბიალიზებული ფარინგალური მდგარი სპირანტი იმავე რიგისა, ლაბიალიზაციის გამოკლებით, როგორისაც ႁ.

<sup>1</sup> იხ. ჩენი: „მასალები აფხაზურ ბგერათა ფიზიოლოგიისათვის“ („ნიმომხილეული“, I, 1926. გვ. 195 და შემდ. ახლა აგრეთვე ხეშოთ, გვ. 398).

<sup>2</sup> საყურადღებოა ნ. იუშმანოვის შენიშვნა: „ჩვენი პირველი ში აბეკვიდობა ႁ-საკანონი ႁალაც მსგავსი ფრანგული ცხვირისეული ხმოვნებისა: ჰ, ႁ“ (გვ. 359). მაგრამ საეკვოდ მიგვაჩნია იქვე თქმული: „ႁ-ს ცხვირისეულით შენაცვლება (იტალიელი ებრაელების მიერ), რომელიც ცნობილია ინდონეზიურ ენებშიც, აიხსნება მხოლოდ აკუსტიკური (სატემბრო) მსგავსებით... და არა რაიმე ႁ-ს ფიზიოლოგიური თვისებით: ႁ-ს წარმოთქმისას, როგორც გვიჩვენებს გამოკვლევებია (I), ცხვირში გასავალი ნკიდროდაა დაკეტილი“.

საყურადღებოა, რომ აფხ. კვ.-ს შეუძლია ჰქონდეს, თანხმობანთა წინ, მარცხ-  
ლაკადი ხმოვნის ფუნქცია: თავისი ფართო ნაპრაალით (ენისძირსა და ხახის კედლი  
ღარს შუა) კი უახლოვდება ხმოვანს და, გარკვეულ პირობებში, ასრულებს ხმოვნის  
როლს; მაგ.: გაბზ 'ორი' ორმარცვლიანი სიტყვაა, ხოლო ავარა ორ- ან სამმარცვ-  
ლიანი: ორმარცვლიანია, თუ დიფთონგად მივიღებთ ავარა-

უკანასკნელ, თანხმობანთა ფიზიოლოგიურ-გენეზისური „დარაიონ-  
ნების“ პრობლემის შესახებ.

პრობლემა საყურადღებოა და, შესაძლოა, ფონეტიკური მეცნიერე-  
ბის განვითარებამ, მართლაც, დააყენოს იგი რეალურ საფუძველზე: მაგ-  
რამ დღეს იმ საშუალებით, რომელიც გამოყენებულია ნ. იუშმანოვის  
მიერ, „დარაიონება“ მოკლებულია დამარწმუნებლობას.

ბგერათმონაცვლეობა შესაძლებელია საარტიკულაციო რაიონებით  
ისეთ ერთნაირს დაშორებულ ბგერათა შორის, როგორცაა ბაგისმიერი  
და უკანაენისძიერი, წინაენისძიერი და უკანაენისძიერი, რის მაგალითები  
თვით ნ. იუშმანოვის ამ შრომაშია მოყვანილი.

ამ დარაიონებას ეწინააღმდეგება აგრეთვე არა მხოლოდ აკად.  
ნ. მარის დაშვებული შესაძლებლობა T-სა და K-ს წარმოქმნისა ერთი  
დიფუზური <sup>ნ</sup> ბგერისაგან, არამედ თვით ავტორის (ნ. იუშმანოვის)  
ზემომოყვანილი აზრი იმის შესახებ, რომ T—K-ს რაიონების მონაცვ-  
ლეობა წარმოადგენს „ძლიერ შორეული ეპოქების გადმონაშთს“-: უკანა-  
ენისძიერთა და ხორხისძიერთა საერთო რაიონის დადგენა ემყარება,  
ნ. იუშმანოვით, მათი ურთიერთმონაცვლეობის შესაძლებლობას (იხ. ზე-  
მოთ); მაშინ რაღა უშლის ხელს T-სა და K-ს საერთო რაიონის დადგე-  
ნას, თუ „სემიტურ ენებში შეინიშნება წინაენისძიერთა (T) და უკანა-  
ენისძიერთა (K) რაიონის მონაცვლეობა..., (რაც) არის გადმონაშთი ძლი-  
ერ შორეული ეპოქებისა“?

## სამეცხველო ბგერათა ზემბრის საკითხისათვის\*

სამეცხველო ბგერათა ფიზიკური განსხვავება  
სასიმლერო ხმისაბან

ტემბრის წარმოქმნის საკითხი საკამათოა როგორც სამუსიკო, ისე ფონეტიკურ მეცნიერებაში. სასიმლერო ხმის საკითხი ასე დგას: 'საღ წარმოიქმნება სასიმლერო ხმის ტემბრი—ზესადგამ მილში (ე. ი. რეზონატორებში) თუ ხორხში, სახმო სიმებში?'

როგორც ჩანს, მრავალი საბუთი არსებობს იმის სასარგებლოდ, რომ სასიმლერო ხმის ტემბრი წარმოიქმნება ხორხშივე, ხოლო რეზონატორებში ხმას ემატება სიძლიერე. მაგრამ, ასეც რომ გადაწყდეს საკითხი სასიმლერო ხმის ტემბრის შესახებ, ეს ვერ გადაწყვეტს საკითხს სამეცხველო ბგერის ტემბრის შესახებ, რადგანაც სასიმლერო ხმასა და სამეცხველო ბგერათა შორის რამდენიმე მნიშვნელოვანი განსხვავებაა.

დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს.

პირველი განსხვავება ხმა არის სახმო სიმების პერიოდული (რიტმული) ვიბრაციით (ჟღერით) წარმოებული ბგერა. ამიტომ ხმა არის მუსიკალური ტონი. იდეალური სასიმლერო ხმა — ისე როგორც მუსიკალური საკრავის ბგეროვნობა — უნდა შეიცავდეს მხოლოდ ჩქამშეურეველ ტონს. თუ ტონს ერთვის ჩქამიც (უამისობა კი შეუძლებელია, იხ. გვ. 53); ეს ნაკლია მუსიკაში.

სრულიად სხვაგვარია ტონისა და ჩქამის მონაწილეობა სამეცხველო წარმოქმნაში.

ენათა უმრავლესობაში ჩქამიერი ბგერები მეტია ტონიერებზე, და თვით ტონიერ ბგერებში (კერძოდ—ხმოვნებშიც) უეჭველად უნდა იყოს ამა თუ იმ ოდენობის ჩქამი. ზოგიერთი სამეცხველო ბგერა, როგორც ვიცით, შეიცავს მხოლოდ ჩქამს. ასეთია, მაგ., ქართულში ყველა ყრუ თანხმოვანი: ფ—პ, თ—ტ, ც—წ, ჩ—ჭ, ქ—კ, ჯ—ჯ, ს, შ, ხ, ჰ. ჩურჩულა წარმოქმნაში ყოველი ბგერა შედგება მხოლოდ ჩქამისაგან. ზოგიერთ თანხმოვანში მონაწილეობს ტონიც, მაგრამ სქარბობს ჩქამი; ასეთია, მაგ., ქართულის ყველა მჟღერი ჩქამიერი თანხმოვანი: ბ, დ, ძ, ჯ, გ; ვ, ზ, ჟ, ლ.

\* იხ. ნაწ. I, გვ. 52—54.

ტონი ოდნავ სქარბობს ჩქამს, მაგ., ქართულ რ — ლ — მ — ნ-ში, ხოლო ძლიერ სქარბობს ტონი ხმოვნებში.

მეორე განსხვავება. როგორც ითქვა (იხ. გვ. 50), სასიმღერო ხმა აღწევს 1000-მდე ორმაგრხევის წამში, და ისიც — მხოლოდ ქალის ხმა, იწყება რა 16 ორმაგრხევით: ესაა ქალის ხმის სიმალლის ზედა და ქვედა საზღვრები; მამაკაცის ხმის საზღვრებია 500 და 80 ორმაგრხევა წამში.

მეტყველებაში ეს ფარგლები გაცილებით ვიწროა: აქ დიაპაზონის (მოცულობის) მერყეობა ასის მანძილზეა ქალისა და ბავშვის სამეტყველო ხმაში, სახელდობრ, 210 — 320-ის შუა; მამაკაცის მეტყველებას, რომელიც საერთოდ დაბალი რეგისტრისაა ქალის მეტყველებასთან შედარებით, დიაპაზონი მეტი აქვს, დაახლოებით — 150 ორმაგრხევა.

ესაა მეტყველების ის ხმა, რომელიც გამოყენებულია მასში სხვადასხვა ლოგიკურ-ემოციური ხმის აწვევ-დაწვევისას ცალკეული სიტყვის ან შესიტყვების წარმოთქმაში; აგრეთვე ტონურმახვილიან ენებში — მახვილისათვის.

რაც შეეხება ცალკეულ სამეტყველო ბგერას, მისი დიაპაზონი არ აღემატება, ჩვეულებრივს წარმოთქმაში, ორ-სამ ათეულ ორმაგრხევას, და ისიც — ყველაზე მეტად ტონიერ ბგერებში — ხმოვნებში. ხმოვნებზე ნაკლები დიაპაზონი აქვთ რ — ლ — მ — ნ-ს და კიდევ უფრო ნაკლები — ჩქამიერ მჟღერ თანხმოვნებს.

მესამე განსხვავება ეხება ცალკეულ სამეტყველო ბგერას, ერთი მხრით, და სასიმღეროსა და სამეტყველო ხმას, მეორე მხრით, და მდგომარეობს იმაში, რომ ხმის ტემბრი (როგორც სასიმღერო ხმისა, ისე სამეტყველოსი) მაქსიმალურად ინდივიდუალურია; ამიტომაც, რომ სასიმღერო და სამეტყველო ხმით ადვილად გავარჩევთ ადამიანებს ერთმანეთისაგან. ასევე სპეციფიკური აქვს ბგეროვნობის ტემბრი ყოველ მუსიკალურ საკრავს.

რაც შეეხება ცალკეულ სამეტყველო ბგერას, მისი ტემბრის სპეციფიკურობა იმდენად უმნიშვნელოა, რომ ცალკეული ბგერა თითქმის ერთი და იმავე ტემბრისაა სხვადასხვა ადამიანის წარმოთქმაში, მეტად რე — ყრუ თანხმოვანი და, საერთოდ, უხმოდ (მაგ., ჩურჩულით) წარმოთქმული სამეტყველო ბგერები.

საყურადღებოა აგრეთვე მეოთხე განსხვავებაც. ხმა იწარმოება საფონაციო ორგანოთა სამივე სისტემის (სასუნთქის, ხორხისა და ზესადგამი მილის) თანამოქმედებით; სამეტყველო ბგერა კი შესაძლოა იწარმოებოდეს უხორხოდაც (უსახმოსიმებოდ) და, მაშასადამე, უსასუნ-

თქოდაც, ე. ი. მხოლოდ ზესადგამ მილში. ასეთია, მაგ., ქართულის აბ-  
რუბტივები, რომლებიც წარმოითქმიან ზესადგამი მილის ღრუებში, რომ-  
ლებიც იზოლირებულია ხორხისაგან.

არ შეეჩერდებით სასიმღერო და სამეტყველო ბგერას შორის არ-  
სებულ სხვა განსხვავებებზე, როგორცაა, მაგ., ბგერათწარმოება  
შესაძლებელია უხმოდ (მაგ., ჩურჩულით), სიმღერა — არა; ბგერათ-  
წარმოთქმა შესაძლებელია ინსპირაციულად, სიმღერა — არა; არსებობს  
ე. წ. წლაპუნა ანუ შეწოვნილი სამეტყველო ბგერები, სიმღერა — არა,  
და ა. შ.

## სამეტყველო ბგერათა ტემბრი

როგორც ვიცით, ხმოვნები საერთოდ განსხვავებული არიან თანხ-  
მოვნებისაგან როგორც აკუსტიკური, ისე ფიზიოლოგიური სტრუქტურ-  
ით. ამის კვალობაზე მათი ტემბრი შეისწავლება სხვადასხვა გზით.

ხმოვანთა ტემბრი. სამეტყველო ხმოვანი ბგერები უფრო ახლოა  
სასიმღერო ხმასთან, ვიდრე თანხმოვნები: ყოველ ნორმალურად წარ-  
მოთქმულ ხმოვანში ჩქამს სქარბობს ტონი (ხმა) — ზოგში (მაგ., ა-ში)  
მეტად, ზოგში (მაგ., ი-ში) ნაკლებად; ე. ი. ა-ში, როგორც უფრო ღია  
და ამიტომ დაუბრკოლებელ ხმოვანში, ჩქამი ძლიერ ცოტაა, ხოლო  
ი-ში, როგორც უფრო ვიწროსა და ამიტომ ერთგვარად დაბრკოლებულ  
ხმოვანში, ჩქამი მეტია, ვიდრე ა-ში.

სასიმღერო ხმაშიც ტონი სქარბობს ჩქამს.

ამის მიუხედავად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მეტი საბუთია იმის და-  
სამტკიცებლად, რომ ხმოვანთა ტემბრის წარმოქმნაში უმთავრესი მნიშვ-  
ნელობა ენიჭება ზესადგამ მილს, როგორც რეზონატორს, კერძოდ — პი-  
რის ღრუს; ხოლო სასიმღერო ხმის ტემბრის შექმნაში უმთავრესია, რო-  
გორც ჩანს, ხორხის მონაწილეობა.

იმ ორი მთავარი თეორიისათვის (არსებობს სხვა თეორიებიც) ხმო-  
ვანთა ტემბრის წარმოქმნის შესახებ, რომელთაგან ერთს ეწოდება რე-  
ზონანსის თეორია (ჰელმჰოლცი), მეორეს — ფორმანტების თეო-  
რია (ჰერმან), საერთოა ის, რომ ორივე თეორიით ხმოვნის დამახასიათე-  
ბელი ტემბრი წარმოიქმნება ღრუებში (რეზონატორებში) — მათი მოყვა-  
ნილობის დაყენებით ამა თუ იმ ხმოვნისათვის.

განსხვავება კი ამ ორ თეორიას შორის მდგომარეობს იმაში, რომ,  
რეზონანსის თეორიის თანახმად, რეზონატორებში (ზესადგამ მილში)  
ძლიერდება ხორხში (სახმო სიმებში) წარმოქმნილი რთული ტონის ესა-  
თუ ის ერთი ან რამდენიმე თანატონი, რომელიც წარმოადგენს რეზო-  
ნატორების „საკუთარი ტონის“ ჰარმონიულ ტონს, დამახასიათებელს  
ამა თუ იმ ხმოვნისათვის. რეზონატორების „საკუთარი ტონი“ კი გან-  
პირობებულია თითოეული ხმოვნისათვის განკუთვნილი რეზონატორების

მოყვანილობით. მაშასადამე, ამ თეორიით, ტემბრსა ჰქმნის ჰარმონიული ტონების რეზონირება.

ამიტომ ეწოდება ამ თეორიას რეზონანსის თეორია.

ფორმანტების თეორიის თანახმად, რეზონატორებში წარმოიქმნება, სახმო სიმებისაგან დამოუკიდებლად, ისეთი თანატონები, რომლებიც შეეფერება რეზონატორების მოყვანილობას, მაგრამ არაა ხმის ძირითადი ტონის ჰარმონიული. მაშასადამე, სახმო სიმებში წარმოქმნილ ხმას თანარხევაში კი არ მოჰყავს ზესადგამი მილის ჰაერი, არამედ ის (ხმა) მხოლოდ აღძრავს საბგეროდ პირის ღრუს ჰაერს—რეზონატორის შესაფერისად.

ამ თეორიას იმიტომ ჰქვია ფორმანტების თეორია, რომ გულისხმობს დამოუკიდებელ შემდგენელთა (ფორმანტთა) წარმოქმნას ზესადგამ მილში.

არსებობს სხვა თეორიებიც, მაგ., მარაჟის თეორია, რომლის თანახმად ხმოვანთა შორის განსხვავება იწყება უკვე სახმო სიმებში, რომელთა მოქმედება არაა ერთნაირი სხვადასხვა ხმოვნისათვის. ამ თეორიას ეწინააღმდეგება ხმოვანთა განსხვავება ჩურჩულის დროსაც.

არც ერთ არსებულ თეორიას არ შეუძლია უარყოს ზესადგამი მილის, როგორც რეზონატორის, როლი ხმოვანთა (და, საერთოდ, ყოველი სამეტყველო ბგერის) ტემბრის წარმოქმნაში. ამას ასაბუთებს, მაგ., შემდეგი ფაქტები:

ა. თითოეული ხმოვნის წარმოსათქმელად საჭიროა პირის ღრუს, როგორც რეზონატორის, სრულიად განსაზღვრული კონფიგურაცია (მოყვანილობა), მეტ-ნაკლებად განსხვავებული ყველა სხვა ხმოვნისათვის საჭირო კონფიგურაციისაგან. (იხ. სურ. 31, გვ. 45). ზესადგამ მილში ჩვენ იმიტომ ვასახელებთ პირის ღრუს, როგორც რეზონატორს, რომ პირის ღრუს მოყვანილობა ყველა დანარჩენ ღრუზე მეტად ფორმაცვალებადია.

ბ. თუ ჩვენ მოვაწყობთ პირის ღრუს რომელიმე ხმოვნის წარმოსათქმელად და, წარმოთქმის მაგიერ, ამ მდგომარეობაში ლოყაზე წიპურტს დავირტყამთ, მივიღებთ განზრახული ხმოვნის აკუსტიკურ შთაბეჭდილებას (ასეთ პირობებში უკეთ ისმის ო და უ, ვიდრე ა — ე — ი).

ხელოვნურად მიიღება ყოველი ცალკეული ხმოვანი შემდეგი გზით: ავადღერებთ სხვადასხვა რხევათა რიცხვის მქონე (ე. ი. სხვადასხვა სიმაღლის) კამერტონება ცარიელი ბირთვების ღია პირთან. (ბირთვები წარმოადგენენ სხვადასხვა მოცულობის რეზონატორებს — ჩვენი პირის ღრუს ანალოგიურს): გაძლიერდება ერთი რომელიმე ბირთვის ღია პირთან არა ყოველი კამერტონის ტონი, არამედ მხოლოდ იმ კამერტონისა, რომელიც ყველაზე მეტად შეეფერება მოცუ-



შული ბირთვის საკუთარ ტონს, ე. ი. როზელიც ეჰარმონიულება მას (ქელმპოლც).

ამ გზითაა გამოკვეთილი, თუ რომელი ხმოვნისათვის პირის ღრუს რა სიმაღლის საკუთარი ტონია დამახასიათებელი, ე. ი., როგორი მოყვანილობა უნდა ექნეს პირის ღრუს, როგორც რეზონატორს, იმისათვის, რომ მასში შეიქმნეს ამა თუ იმ სიმაღლის საკუთარი ტონი, რომელიც საჭიროა მოცემული ხმოვნისათვის.

ეს არაა ხმის ტონის სიმაღლე. ესაა ხმოვანთა სატემბრო ანუ რეზონატორული ტონის სიმაღლე, ტონისა, რომელიც წვესატყვისება რეზონატორის ფორმასა და ზოცულობას. ეს ტონი მით ღღრო დაბალია, რაც უფრო დაგრძელდება რეზონატორი (ტუჩების წამოშვების ჩათვლით), და მით უფრო მაღალია, რაც უფრო დამოკლდება იგი (იხ. გვ. 115 და 116).

მაგალითად, ფრანგული ენის ხუთი ძირითადი ხმოვნისათვის ეს სატემბრო ტონის სიმაღლე ასეთია (რუსლოს მიხედვით):

u — 228, o — 456, a — 912, e — 1824, i — 3648.

რიცხვები წარმოადგენენ ორმაგრხევას წამში, რაც ნოტებზე რომ გადაეიტანოთ, მოგვეცემს მცირე ოქტავის Ia II-დან დაწყებული მეოთხე ოქტავის Ia II-ით გათავებულ რიგს (უ-დან ი-მდე).

საყურადღებოა, რომ თითოეული ხმოვანი ამ რიგით განსხვავებულია მომდევნო ხმოვნისაგან თითო ოქტავით (იხ. ნაწ. I, გვ. 73).

რუსული მახვილიანი ხმოვნების სატემბრო სიმაღლე (აკად. შჩერბას მიხედვით) ასეთია: y — 432, o — 756, a — 980, u — 996, e — 1816, i — 3044.

მართალია, თითოეულ ხმოვანს აქვს საშუალო გარკვეული სატემბრო სიმაღლე, მაგრამ სხვადასხვა მეზობლობაში ეს სიმაღლე მერჯობს გარკვეულ ფარგლებში. მაგ., რუს. მახვილიან o-ს შეიძლება ჰქონდეს; მეზობელ ბგერათა კვალობაზე, 750-ზე ცოტა მეტი ორმაგრხევა ან ცოტა ნაკლები; მაგრამ, თუ რხევათა ეს რიცხვი მიუახლოვდება 930-ს, იგი იცვლება a-დ; ხოლო თუ მიუახლოვდება 432-ს, იქცევა u-დ და ა. შ.

როგორც არ უნდა წარმოვიდგინოთ ხმოვანთა ტემბრის წარმოქმნის საკითხის გადაწყვეტა, ერთი უქველია: რეზონატორის როლს მასში, ყოველ შემთხვევაში, პირველი ადგილი ექნება.

ამ პრინციპზეა დამყარებული ხმოვანთა დაყენების ე. წ. „კამერტონული წესი“.

მაგ., თუ ვისმე სურს სწორად წარმოთქვას რუსული ა, ის ააყდრებდეს იმ კამერტონს, რომლის ვიბრაციათა რიცხვი უდრის 756-ს (ან დაახლოებით ამდენს; კამერტონზე, ჩვეულებრივ, აღნიშნულია მის ვიბრაციათა რიცხვი), მიიტანს თავის პირთან აქლერებულ კამერტონს და

ეცდება მისცეს პირის ღრუს ისეთი კონფიგურაცია, რომ მოხდეს რეზონირება, ე. ი. გაძლიერდეს კამერტონის ჟღერადობა. შემსწავლელი იგრძნობს, რომ პირის ღრუს მრავალ კონფიგურაციათა შორის არსებობს მხოლოდ ერთი, რომელიც ყველა სხვაზე მეტად გააძლიერებს კამერტონის ჟღერადობის (რუსული ო-ს კამერტონი შეიძლება იყოს 756-ზე ცოტა მეტი რხევისა და ცოტა ნაკლებისა).

ამ მეთოდითაა, უმთავრესად, გამოკვლეული ფრანგულისა და რუსულის ხმოვანთა სატემბრო სიმაღლე და ამგვარადვე ხდება მათი დაყენება ანუ მათი შესწავლა.

თანხმოვანთა ტემბრი. როგორც ვიცით, თანხმოვნები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ფიზიოლოგიურად იმის კვალობაზე, თუ რა ადგილას და რა სახის დაბრკოლების გადალახვა უხდება ჰაერნაკადს მათი წარმოქმნისას. ამ დაბრკოლებათა დაძლევისას წარმოიქმნება ხოლმე თითოეული თანხმოვნისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ჩქამი, რომლითაც ჩვენ გავარჩევთ ხოლმე ერთ თანხმოვანს მეორისაგან.

იპის გამო, რომ ჰაერნაკადი მრავალგვარად იმსხვრევა თავისი მეტ-ნაკლებად სწრაფი დინებისას საწარმოთქმო ორგანოებთან ღრუებში (მეტ-ნაკლები სიფიწროვის ნაპრალში გავლისას, დახშულობის გადალახვისას), წარმოიქმნება ჩქამის მაღალი დისჰარმონიული ტონები.

თანხმოვანთა ჩქამების სპეციფიკურობას ჰქმნის აგრეთვე ფორმა, სინკრივე თუ სილბო, დაჭიმულობა თუ მოდუნებულობა იმ დაბრკოლებათა, რომელთაც ეხეთქება ხოლმე ჰაერნაკადი.

წარმოთქვით და შეადარეთ, მაგ., ჰაერნაკადის დინება და მისგან წარმოქმნილი ჩქამები შემდეგ თანხმოვანთა: ხ და ხ, თ და ტ, ღ და ზ და სხვა; ა და ჯ, ი და შ და სხვა.

ხმოვნისა და თანხმოვნის ამგვარი შედარებისას ჩანს (გვესმის), თუ რა განსხვავებაა მათ შორის: ხმოვნის რეზონატორი შედარებით მთლიანია (მაქსიმალურად მთლიანია რეზონატორი ა-სთვის), და ამიტომ ჰაერნაკადის დაბრკოლება მინიმალური; თანხმოვნის რეზონატორი, პირიქით, არაა მთლიანი, ნაწილობითია, და ამიტომ ჰაერნაკადის დაბრკოლებაც მეტნაირია, ვიდრე ხმოვნის რეზონატორში; დაბრკოლების ეს ნაირობაა იმ ჩქამების წყარო, რომლებიც ჰქმნიან თანხმოვანს.

ამიტომ ხმოვნის აკუსტიკური სტრუქტურა მთლიანია, ხოლო თანხმოვნის — დარღვეული, ნაწილობითი; ხმოვნის ტონი შედარებით მარტივია, თანხმოვნისა — მეტის-მეტად რთული.

თანხმოვანთა სატემბრო ანუ რეზონატორული ტონის სიმაღლე მრავალგვარია: სხვადასხვა თანხმოვნისათვის იგი მერყეობს 20 ორმაგრხევისა (მაგ., ფ-სათვის) და 4000-ს (მაგ., ხ-სათვის) შუა.

ყველაზე დაბალი სატემბრო სიმაღლე აქვთ ბაგისმიერებსა და უკანაენისმიერებს; წინაენისმიერები უფრო მაღალია; რბილი თანხმოვნები უფრო მაღალია, ვიდრე მაგარი თანხმოვნები.

ერთისა და იმავე თანხმონის სიმაღლე საკმაოდ ცვალებადია იმის შიხედვით, თუ როგორ მეზობლობაშია მოცემული თანხმონი; მაგ., ხ-ს სხვა სატემბრო სიმაღლე აქვს ა-ს წინ (მაგ., ხა-ში) და სხვა სიმაღლე ა-ს შემდეგ (ახ-ში), სხვადასხვა სიმაღლისაა ხ სუ-ში და უხ-ში; ორივე უკანასკნელი ხ განსხვავდება ორივე პირველი ხ-საგან სატემბრო სიმაღლით და ა. შ.

მაგრამ ყოველი თანხმონის სატემბრო სიმაღლე მერყეობს, მეზობლობის კვალობაზე, გარკვეულ ფარგლებში; მაგ., ხ-ს სატემბრო სიმაღლე ვერ გასცდება 4000-ზე ცოტა მეტ ორმაგრხეას ან ცოტა ნაკლებს: წინააღმდეგ შემთხვევაში იგი იცვლება სხვა თანხმონად (შეადარეთ ამას ანალოგიური მსჯელობა ხმოვანთა სატემბრო სიმაღლის შესახებ).

ტემბრით (ე. ი. ტონის სატემბრო სიმაღლით) განსხვავდება ერთი თანხმონი სხვა თანხმონისაგან—ისე როგორც ხმოვანი ხმოვნისაგან.

გასათვალისწინებელია მხოლოდ თანხმონის ტემბრის სირთულე ხმოვნისასთან შედარებით—თანხმონის ტონის ნეტივმეტ სირთულესთან დაკავშირებით (იხ. ზემოთ).

სამეტყველო ბგერას — როგორც ხმოვანს, ისე თანხმონს — ასხვავებს სხვა ბგერისაგან მხოლოდ ტონის სატემბრო სიმაღლე და არა ხმის სიმაღლე, სიძლიერე ან ხანგრძლიობა: არც ერთ ამ უკანასკნელ სამთავანს არ შეუძლია შესცვალოს ერთი ბგერა სხვა ბგერად; ხმის რა სიმაღლით, სიძლიერით ან რა ხანგრძლიობითაც არ უნდა წარმოვთქვათ ხმოვანი ა ან თანხმონი ბ, ისინი არ შეიცვლებიან. ხოლო, თუ შეეცვლით ბგერის ტემბრს, რაც შედეგია რეზონატორების ფორმისა და მოცულობის ცვლილებისა და მათში სპეციფიკური ჩქამების წარმოქმნისა, ერთი ბგერა შეიცვლება სხვა ბგერად.

ამიტომ. ა. ტომსონის აზრი, რომ „თანხმონის ჩქამის სიმაღლე არ შეიძლება ჩაითვალოს მისი სხვა თანხმონისაგან განმასხვავებელ დამახასიათებელ კუთვნილებად, არამედ იგი ასხვავებს ერთმანეთისაგან მხოლოდ ერთისა და იმავე ბგერის (მაგ., ხ-ს ან წ-ს) სახეობებს“, — არ შეეფერება სინამდვილეს, რამდენადაც ავტორი არ ითვალისწინებს თანხმონის ჩქამის სიმაღლის მერყეობის შესაძლებლობას გარკვეულ ფარგლებში<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> Томсон, А. П., *Общая фонетика*, 1910, გვ. 192. იხ. აგრეთვე ჩვენი „ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები“, 1938, გვ. 64, სადაც ტომსონის აზრი ნათქვამელია უკონკრეტოდ.

## თანხმოვანთა მჟღერობის ხარისხის დადგენის მეთოდი \*

თანხმოვანთა მჟღერობა-სიყრუის საკითხი ფონეტიკის ერთ-ერთი ძირითად საკითხთაგანია. არაა ძნელი იმის გამოცნობა, მჟღერია თუ ყრუ მოცემული თანხმოვანი (იხ. გვ. 57 და შემდეგ). მაგრამ არაა ადვილი იმის დადგენა, თუ რამდენადაა მჟღერი ან ყრუ ესა თუ ის თანხმოვანი. ამას კი, ე. ი. თანხმოვნის მჟღერობის ხარისხის დადგენას, აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს ფონეტიკაში.

იმ მეთოდს, რომლის საშუალებითაც ირკვევა მოცემული თანხმოვნის მჟღერობის ხარისხი, ეწოდება ფონოპოზო-ტოპო-მეტრია (ბერძნ. φωνή 'ხმა', ποίσις 'რამოდენა', τέρσις 'ადგილი').

ამ მეთოდის შესწავლა შეიძლება ე. წ. ბგერათწარმოთქმის სამი მომენტის სქემაზე (იხ. სურ. 15).

წარმოვიდგინოთ, რომ სურათის AD ხაზზე, რომელიც გამოხატავს თანხმოვნის ხანგრძლიობას, მოცემულია კიმოგრაფის მრუდის სახით სახმო. სიმების ვიბრაციები, რომლებიც მოგვცა მჟღერი თანხმოვნის წარმოთქმამ (თუ როგორ რეგისტრირდება წარმოთქმული ბგერა კიმოგრაფზე, ამის შესახებ იხ. გვ. 57).

რომელიმე მჟღერი თანხმოვნის მეტ-ნაკლები მჟღერობა ჩანს AD ხაზზე სხვადასხვა სახით:

1) თუ ვიბრაციები აღინიშნება მთელ AD ხაზზე — A წერტილიდან D წერტილამდე, ეს იქნება სრული მჟღერობის მქონე თანხმოვანი; 2) თუ ვიბრაციები სრულიად არ აღინიშნება AD ხაზზე, გვექნება მთლიანად ყრუ თანხმოვანი; 3) ვიბრაციები შეიძლება ჩანდეს მხოლოდ A წერტილიდან O წერტილამდე ან მხოლოდ A-დან M-მდე — ეს იქნება ნაწილობრივ მჟღერი თანხმოვანი; 4) აგრეთვე ნაწილობრივაა მჟღერი ის თანხმოვანი, რომლის ჩაწერის დროს (კიმოგრაფზე) მივიღებთ ვიბრაციებს მხოლოდ O-დან M-დე ან მხოლოდ O-დან D-მდე.

აქედან ჩანს, რომ მესამე და მეოთხე შემთხვევებში, ზოგჯერ მჟღერობა სკარბობს სიყრუეს (მაგ., როცა ვიბრაციები ჩანს A-დან M-დე.

\* იხ. ნაწ. I, გვ. 28—30 და 59—61.

ან  $O$ -დან  $M$ -დე ან  $D$ -მდე), ზოგჯერ სიყრუე სქარბობს მეღერობას (მაგ., როცა ვიბრაციები ჩანს მხოლოდ  $A$ -დან  $O$ -მდე ან მხოლოდ  $M$ -დან  $D$ -მდე).

თავისთავად ცხადია, რომ ვიბრირების დასაწყისი ან გათავება შეიძლება არ დაემთხვეს  $A$ ,  $O$ ,  $M$ ,  $D$  წერტილებს; შეიძლება ვიბრირება იწყებოდეს და თავდებოდეს იმავე  $AD$  ხაზის რომელიმე სხვა წერტილებში.

ამგვარად, სახმო სიმების ვიბრირების ხანგრძლიობა  $AD$  ხაზზე არკვევს მოცემული თანხმოვნის მეღერობის ხარისხს. უკვე ეს დაკვირვებაც მნიშვნელოვანია.

მაგრამ დავეშვათ, რომ სხვა რომელიმე თანხმოვნის რეგისტრირებამ (ჩაწერამ) გვიჩვენა, მაგ., ორჯერ მეტი ხანგრძლიობა; მაშინ ამ სხვა თანხმოვნის ხანგრძლიობის მაჩვენებელი ხაზი ორჯერ გრძელი იქნება პირველისაზე. აღვნიშნოთ იგი  $A_1D_1$ -ით.

თუ ამ  $A_1D_1$  ხაზზე მოცემულია ვიბრაციები, ჩვენ განოვარკვევთ აქ რეგისტრირებული თანხმოვნის მეღერობის ხარისხს ისე, როგორც  $AD$ -ზე. შეგვიძლია შევადაროთ  $A_1D_1$  ხაზი  $AD$  ხაზს მეღერობის ხარისხის მხრივ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ორივე თანხმოვანი მთლიანადაა მეღერი ან მთლიანად ყრუ.

მაგრამ ჩვენ უძლურნი ვართ შევადაროთ ერთმანეთს  $AD$ -სა და  $A_1D_1$ -ს მეღერობის ხარისხები მაშინ, როცა ვიბრაციები ამ ხაზებზე ნაწილობრივია, ე. ი. მაშინ, როცა ორივე თანხმოვანი ნაწილობრივაა მეღერი და არა მთლიანად, სახელდობრ: როცა გვაქვს შესაძენ მეოთხე შემთხვევა (იხ. ქვემოთ).

შესაძლოა იქნეს კონკრეტულად ასეთი შემთხვევა:  $A_1D_1$  ხაზზე ვიბრაციები იწყება  $A_1$ -დან და გრძელდება  $M_1$ -მდე;  $AD$  ხაზზე კი ვიბრაციები იწყება  $A$ -დან და გრძელდება  $D$ -მდე, ე. ი. ეს თანხმოვანი მთლიანად დაფარულია ვიბრაციებით. რადგანაც  $A_1M_1$  უფრო გრძელია  $AD$ -ზე, ამიტომ  $A_1M_1$  ვიბრირებისას უნდა გვექნეს მეტი მეღერობა, ვიდრე მთელი  $AD$ -ს ვიბრირებისას. ნამდვილად კი  $A_1M_1$  ვიბრირებისას მთლიან თანხმოვანს ( $A_1D_1$ ) მეღერობა აკლია, რადგანაც მისი ნაწილი ( $M_1D_1$ ) არ ეღერს;  $AD$ -ს კი მეღერობა არ აკლია და, მაშასადამე, მთლიანად მეღერია.

აი ეს სიძნელე, რომელიც მდგომარეობს მეღერობის ხარისხთა შედარების შეუძლებლობაში, დაძლეულ იქნა ფონოლოგთა  $ოპოზიციური$  (პანკონჩელი - კალცია), რომელიც საშუალებას გვაძლევს გამოვხატოთ მეღერობის ხარისხები რიცხვებში და ამასთანავე გამოვარკვიოთ „მეღერობის ადგილი“, ე. ი. ის ადგილი  $AD$  ხაზზე, სადაც იწყება და თავდება ვიბრაციები.

ყოველი ბგერა გამოხატულია რიცხვით „10“, ხოლო დანარჩენი გაზომვები შეფარდებულია ამ რიცხვთან.

მარტივი ფორმულა, რომელშიც წარმოდგენილია მელერი (ვიბრაციებიანი) ნაკვეთის სიგრძე ( $n$ ) და ბგერის ხანგრძლიობა მთლიანად ( $L$ ), ასეთია:  $n : L = x : 10$ . საძებარია ( $x$ ) მელერობის ხარისხი.

აეილოთ, მაგ., ისეთი  $AD$ , რომლის ხანგრძლიობა ( $L$ ) უდრის 30 მეასედ წამს, მელერი (ვიბრაციებიანი) ნაკვეთი ( $n$ ) უდრის 12 მეასედ წამს ბგერის დაწყებიდან. საძებარია ( $x$ ) მელერობის ხარისხი და ადგილი, სადაც თავდება ჟღერა (ვიბრაციები).

რიცხვების ჩასმით ფორმულა მიიღებს ასეთ სახეს:  $12 : 30 = x : 10$ . აქედან  $x = 4$ . მელერობის ხარისხს აღნიშნავენ ხოლმე ბერძ. ასო  $\pi$ -თი ( $\pi$ ბოცა 'რამოდენა'), ხოლო მელერობის ადგილს ბერძნ. ასო  $\tau$ -თი ( $\tau$ ბოცა 'ადგილი').

ამგვარად, მოცემულ შემთხვევაში  $\pi = 4$ ; ხოლო  $\tau = 0$  (ნული)  $\rightarrow 4$ , ე. ი. მელერობა იწყება თანხმოვნის დაწყებიდანვე (ე. ი. ნულიდან) და თავდება 4 ით<sup>1</sup>. ჩანს, გაზომილი თანხმოვნის მელერობა ნახევარსაც ვერ აღწევს (ნახევარი იქნებოდა, ხუთი რომ ყოფილიყო, რადგანაც მთელი ააია; ეს იმას ნიშნავს, რომ გაზომილი თანხმოვანი ნახევრადმელერობის ხარისხს ვერ აღწევს.

ბეორე შემთხვევა:

მთელი თანხმოვნის ხანგრძლიობა ( $L$ ) უდრის 39 მეასედ წამს, ბეღერი ნაკვეთი ( $n$ ) = 23 მეასედ წამს. ამ ნაკვეთის მელერობა იწყება არა ნულიდან (როგორც წინა შემთხვევაში), არამედ 16/100 წამის შემდეგ ბგერის დაწყებიდან.

ფორმულა მიიღებს ასეთ სახეს:  $23 : 39 = x : 10$ . აქედან  $x = 6$ -ზე ცოტა ნაკლებს; ყოველ შემთხვევაში 5-ზე მეტს, ე. ი. ბგერა ნახევრადმელერზე მეტად მელერია:  $\pi = 6$ . როგორ გამოიკვევა ამ შემთხვევაში ადგილი?

რადგანაც პირობებში მოცემულია, რომ ჟღერა იწყება არა ბგერის დაწყებიდანვე, ამიტომ (10-ის მიმართ)  $\tau = 4 \rightarrow 10$ , ე. ი. ჟღერის ადგილის გამოსაცნობად 10-ს გამოაკლდება 6 (მელერობის ხარისხი).

ნესამე შემთხვევა:

მთელი თანხმოვნის ხანგრძლიობა ( $L$ ) უდრის 33/100 წამს; ჟღერა იწყება 15/100 წამის შემდეგ თანხმოვნის დაწყებიდან და გრძელდება არა თანხმოვნის ბოლომდე, არამედ 26/100 წამის შემდეგ ბგერის დაწყებიდან, მაშასადამე, ჟღერა მოქცეულია ორი ყრუ მომენტის შუაში,

ასეთ შემთხვევაში  $n$  (მელერობის ხანგრძლიობა) უდრის 26/100 მინუს 15/100 = 11. ფორმულა:  $11 : 33 = x : 10$ . აქედან  $x = 3,6$ ;  $\pi = 3,6$  (ნამდვილად — ცოტა მეტს, დამრგვალებულია), ხოლო  $\tau = 4, 5 \rightarrow 8$  (რიცხვები აქაც დამრგვალებულია).

4, 5 მიღებულია იმავე ფორმულით, მაგრამ გამოანგარიშებულია  $AD$  ხაზის (ე. ი. მთელი თანხმოვნის ხანგრძლიობის) ყრუ ნაწილი და-

$\rightarrow$  ნიშანი აღნიშნავს მიმართულებას წერტილიდან წერტილისაკენ.

საწყისში:  $15 : 33 = x : 10$ .  $x = 4,5$ . რაც შეეხება 8-ს, იგი წარმოადგენს ხანგრძლიობას თანხმობის დასაწყისიდან მელერობის გათავებამდე. ე. ი.  $4, 5 + 3, 6 = 8$ .

ამაზე რთულია შეოთხე შემთხვევა:

მთელი თანხმობის ხანგრძლიობა უდრის  $36/100$  წამს. ელერა იწყება თანხმობის დასაწყისიდანვე და წყდება  $12/100$  წამის შემდეგ. ელერა ისევ იწყება  $30/100$  წამის შემდეგ და გრძელდება ბოლომდე. მაშასადამე, შუაში მოქცეულია ყრუ ნაკვეთი.

იმავე ფორმულის ორჯერ გამოყვანით (ცალკე — პირველ შემთხვევაში და ცალკე — ხელახლა აელერებიდან თანხმობის ბოლომდე მივიღებთ:

$$12 : 36 = x : 10. x = 3,5 \text{ (დამრგვალებულია).}$$

მაშასადამე,  $\pi = 3, 5$ ;  $\tau = 0 \rightarrow 3, 5$ .

მეორე ნაკვეთის ფორმულა:  $6 : 36 = x : 10$ .  $x = 1,5$  (დამრგვალებულია). მაშასადამე,  $\pi = 1,5$ ,  $\tau = 8,5 \rightarrow 10$ .

ამ მეთოდით, მაგ., გერმანულისა და ფრანგული ხ-ს შეფარდება შეიძლება წარმოვიდგინოთ ასე: თუ გერმანული ხ-ს მელერობა არის  $\pi = 6$ . ხოლო  $\tau = 4 \rightarrow 10$  (ე. ი. გერმ. ხ, ისე როგორც ყველა მელერი ჩქარაჩქარი, მასში ყრუა ნახევარზე ნაკლებ, ხოლო მელერია ნახევარზე ცოტა მეტი). ფრანგული ხ-ს მელერობა ასეთია:  $\pi = 9$ , ხოლო  $\tau = 1 \rightarrow 10$  (ე. ი. ოდნავი სიყრუე აქვს თავში, დანარჩენი მთლიანად მელერია). (უფრო დავწვრილებით იხ. პანკონჩელი-კალცია, გვ. 35, 42, 43).

საერთოდ, თანხმობის მელერობის ხარისხი ერთსა და იმავე ენაში დამოკიდებულია აგრეთვე იმაზე, თუ რომელ ბგერებს ემეზობლება იგი.

ქართულ თანხმობანთა მელერობის ხარისხისა და ადგილის შესახებ ჯერჯერობით შეიძლება ითქვას, გარდა ზემოთქმულისა (იხ. გვ. 58 და შემდ.), შემდეგი: სრული მელერობის ხშულები ქართულს არა აქვს; თანხმობანთაგან სრული მელერობისა ქართულში შეიძლება იყვნენ მხოლოდ ნაპრალოვნები (ვ — ზ — ე — ლ). ქართული თანხმობის მელერობა კონცენტრირებულია მეტწილად მის დაყოვნების მომენტში. მთელი თავისი მელერობის შესაძლებლობა ქართულ მელერ თანხმობას შეუძლია გამოამჟღავნოს მხოლოდ მელერ ბგერათა შუა (მაგ., ბ-სი: აბა, ლბა, რბა, აბდა და მისთ.); სიტყვის თავსა და ბოლოში და აგრეთვე ყრუ თანხმობანთა მეზობლობაში ქართული მელერი თანხმობანი ნახევრად ან ნახევარზე ნაკლებ მელერია ან სრულიად დაყრუებულია (მაგ.: ბა, ობ, აბს, ხბო, თბა და მისთ.), თუ არ ხდება მეზობელი ყრუ თანხმობის ასიმილაციური გამჟღავნება (მაგ., სგ > ზგ: მსგაესი > მზგაესი, თგ > დგ: მათგან > მადგან და მისთ.). სიტყვის თავში მელერის წინ ქართულ მელერ თანხმობას აკლდება მელერობა, მაგრამ ამ პოზიციაში მისი გაყრუება არ ხდება<sup>1</sup>.

<sup>1</sup> არ შეეფერება სინამდვილეს, თითქოს ბ სრულიად ყრუდებოდეს სიტყვებში ბოლოში და ბრინჯი (იხ. Georgische Experimentalstudien von E. W. Selmer, Oslo, 1935, გვ. 41).

## თანხმოდანთა აქცესიური კომპლექსების საპარაზიტის საკითხისათვის \*

ბგერათცვლილების მნიშვნელოვან ფაქტორთაგანია ფიზიოლოგიური ფაქტორი, რომელიც მოქმედებს ბგერათშეერთების პროცესში (იხ. გვ. 184 და შემდ.).

აღმოჩნდა, რომ თანხმოდანთა შეერთებისას მათი ცვლილება განსხვავებულია იმის მიხედვითაც, დეცესიური თანამიმდევრობითაა ისინი შეერთებული თუ აქცესიურით.

რა თქმა უნდა, ხშირად აქაც—ისე როგორც ყველა სახის ბგერათ-ცვლილებაში—გადამწყვეტ როლს ასრულებს სემანტიკური ფაქტორი.

ერთსაც და მეორესაც მოწმობს ქვემოთ განხილული მოვლენები.

### 1. თანხმოდანთა აქცესიური კომპლექსების საკითხისათვის ქართულში \*\*

ჯერ კიდევ „ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხებში“ მიექცა ყურადღება საარტიკულაციო წერტილების თანამიმდევრობას ქართულ თანხმოდანთა შეერთებისას<sup>1</sup>. მაშინ თანხმოდანთა შეერთების სხვადასხვა თანამიმდევრობა, რომელსაც ვუწოდებ იქითურა (როცა კომპლექსში პირველი წინაწარმოებისაა) და აქითურა (როცა კომპლექსში პირველი უკანაწარმოებისაა), გამოვიყენე მარცვალთვასაყრის დადგენისათვის. შემდეგ, როცა დადგენილ იქნა გუტურალთა რეგრესულ-დისიმილაციური დაკარგვა ქართულში (1944)<sup>2</sup>, აქითურა თანამიმდევრობის აღნიშვნა (მაგ., გდ ტიპისა) გამოდგა იმის ასახსნელად, თუ რატომ გვაქვს, მაგ., „გრგოლ > რგოლ“<sup>3</sup>. ში. რეგრესული დისიმილაცია (და არა პროგრესული); 1945 წ., როცა იმავე თანამიმდევრობის

\* იხ. ნაწ. I, გვ. 107—109.

\*\* დაბეჭდილია სტალინის სახელობის თბ. სახელ. უნ-ტის „შრომებში“, XXX/ხ, 1947, გვ. 357—61. აქ იბეჭდება ზოგიერთი ცვლილებით.

<sup>1</sup> გ. ახვლედიანი, ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები, თბ. 1938, გვ. 119 და შემდ., 146 და შემდ.

<sup>2</sup> იხ. ქვემოთ, გვ. 344 და შემდ.



თავისებურებამ ახსნა ძველი ფრანგულის  $ei > ie$ <sup>1</sup>, ამ თანამიმდევრობას დაურქვა სახელად აქცესიური (აქეთური), ხოლო საწინააღმდეგოს — დეცესიური (იქითური). მიმდინარე წელს აქცესიური თანამიმდევრობის საუბუძველზე აიხსნა აგრეთვე დღემდე აუხსნელი (ისე, როგორც აუხსნელი იყო ძველი ფრანგულის  $ei > ie$ ) დაგროვლება ხმოვნისა ისეთი -ი-ს წინ, რონელიც მიღებულია \*xi-საგან<sup>2</sup>.

ამდენად თანხმოვანთა წარმოების დეცესიურ-აქცესიური თანამიმდევრობის განსხვავებულობის გათვალისწინება რეალური დასაყრდენი აღმოჩნდა ზოგიერთი ფონეტიკური ცვლილების ახსნისათვის.

როგორც ჩანს, მრავალი ფონეტიკური საკითხი შეიძლება გადაწყდეს ამ მოვლენის უფრო ღრმა შესწავლის ნიადაგზე — და არა მხოლოდ ქართული ენისა.

ამ შეპთხვევაში შევხებით დეცესიურ-აქცესიური კომპლექსების ზოგიერთ ვითარებას ქართულ ენაში.

საკითხი ეხება იმას, თუ რომელ ექვს გზათაგანს მიმართავს ქართული ენა აქცესიური კომპლექსების დასაძლევად: 1. გადასმას (როგორც, მაგ., სერბულში გვაქვს  $kto > kto$ ), 2. გასპირანტებას (რუს.  $xto < kti$ ) ან გახმოვნებას (გასპირანტების გზით:  $γae > ηae$ ), 3. მარცვალთგასაყრის შექმნას (აგ-დია,  $αοκ-τπ, ηογ-τπ$ ), 4. ასიმილაციას ( $οετο > οτιο$  იტალიურში), 5. კომპლექსში პირველი თანხმოვნის დაკარგვას ( $rae > ae$ ) თუ 6. წარმოთქმის მკაფიოობას.

ჯერჯერობით ფაქტები გვიკარნახებს დავასკვნათ, რომ ქართულის მკაფიო წარმოთქმა, დაკავშირებული მარცვალთგასაყრის შექმნასთან, და აქცესიური კომპლექსის პირველი კომპონენტის დაკარგვა — ეს ორი გზაა, რომელსაც ქართული მიმართავს აქცესიური კომპლექსის სუპერაციისათვის<sup>3</sup>. მეგრული, მაგ., მიმართავს გადასმასაც: ფირქი, წინგი და სხვა.

ქართულში საკმაოდ ხშირია მეტათეზისი, მაგრამ აქცესიური კომპლექსისათვის იგი გამოყენებული არაა: როგორც ჩანს, იშვიათად ჰქმნის უხერხულობას აქცესიური კომპლექსი ქართულში იმის გამო, რომ წარმოთქმა მკაფიოა, და, სადაც საჭიროა (მაგ., სიტყვის შიგნით: მაგ-და, რეკ-და, ბეგ-თაბეგი, აქ-ტი და სხვა). მარცვალთგასაყარი იქმნება ან იკარგვის პირველი კომპონენტი.

სხვა საკითხია, ჩანს თუ არა რომელსამე ბგერათცვლილებაში დეცესიურ-აქცესიურ კომპლექსთა ცვლის განსხვავებული შედეგები. ჯერჯერობით დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ აქცესიური კომპლექსებისათვის უმეტესად ჩვეულებრივია პროგრესული ასიმილაცია სახმო სიმების მოქმედების მიხედვით, ხოლო დეცესიურისათვის — რეგრესული.

<sup>1</sup> იხ. ქვემოთ გვ. 338 და შემდ.

<sup>2</sup> იხ. ქვემოთ გვ. 342 და შემდ.

<sup>3</sup> ლათ. *superatio* 'დაძლევა, გადალახვა'.

ა. აქცესიური: ქლ > ქთ (გასუქდა > გასუქთა), კლ > კტ (ატოკდა > ატოკტა), ყლ > ყტ (გატყდა > გატყტა), ხლ > ხთ (გახდა > გახთა), თბ > თფ (გათბა > გათფა).

ამ ნიმუშების მიხედვით მოსალოდნელი იყო გთ > გდ. მაგრამ გვაქვს ხშირად ქთ; მაშასადამე, რეგრესული ასიმილაცია: ამ ხ ა ნ ა გ თ ა ნ ა ნ ა მ ხ ა ნ ა ქ თ ა ნ.

ვფიქრობ, რომ აქ სემანტიკური ფაქტორი დიდ როლს ასრულებს თ-ს დაცვაში: -თან იმდენად დამოუკიდებელი და ხშირად ხმარებული თანდებულია—როგორც სიტყვასთან უცვლელი სახით (დედასთან, ორმოსთან...), ისე სიტყვის თავში (ე. ი. წინა ბგერის გავლენის გარეშე) და ცალკეე კი (თან წაიყვანა, თანვე ქქონდა...), რომ მისი დაცვა უზრუნველყოფილია; პირიქით: მან თვითონ მოახდინა გავლენა წინა თანხმოვანზე.

როგორ შეიძლება აიხსნას პროგრესული ასიმილაცია აქცესიურ კომპლექსში?

ვფიქრობთ, რომ წარმოთქმის მკაფიოობა აქცესიურ კომპლექსში უფრო ძლიერდება, რადგანაც უმისოდ პირველი კომპონენტი (ქ ქლ-ში) დაკარგვის ან დასუსტების საფრთხეშია. მისი არტიკულაციის გაძლიერება კი იწვევს მისი სიყრუის resp. მკვეთრობის შენარჩუნებას მომდევნოსთვისაც.

კიდევ ნიმუშები: ხბ > ხფ (ხბო > ხფო), ტბ > ტპ (ტბა), კბ > კპ (კპილი), ყბ > ყპ (ყბა)...

ბ. დეცესიური: თგ > ღგ (მათგან > მადგან), თკ > ტკ (ქვითკირი > ქვითკირი), ღხ > თხ (სად ხარ > სათ ხარ, სხედხართ > სხეთხართ...).

ესაა ჩვეულებრივი რეგრესული ასიმილაცია, როდესაც მომდევნო ბგერის არტიკულაცია (აქ სახმო სიმების მოქმედება) შედის ძალაში ადრე, ჯერ კიდევ მის წინ მყოფი ბგერის წარმოებისას. აქ კომპლექსის პირველი კომპონენტის არტიკულაციის ჩვეულებრივზე მეტი მკაფიოობა საჭირო არაა, რამდენადაც დეცესიური კომპლექსი მეტი ბუნებრივობით წარმოითქმის, ვიდრე აქცესიური (იხ. ზემოთ)...

ამ ფაქტს (ე. ი. აქცესიურ კომპლექსში რომ პროგრესულ ასიმილაციას აქვს უპირატესობა და დეცესიურში — რეგრესულს) უაღრესად პრინციპული მნიშვნელობა აქვს.

თუ მოვიგონებთ ზემოაღნიშნულ ცნობასაც რეგრესული დისიმილაციის შესახებ (რომ დისიმილაციის რეგრესულობა განსაზღვრა აქცესიურმა კომპლექსმა), შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხშირად თანხმოვანთა ასიმილაციისა და დისიმილაციის მიმართულება დამოკიდებულია არა ენის მიდრეკილებაზე პროგრესულისა თუ რეგრესული ასიმილაცია-დისიმილაციისადმი, არამედ ამა თუ იმ ენის კომპლექსებში შემავალ თანხმოვანთა თანამიმდევრობაზე და აგრეთვე ხსენებულისმაგვარ სემანტიკურ ფაქტორზე.

მოვიყვან რამდენიმე ნიმუშს თქმულის ნათელსაყოფად:

1. ი მ ე რ უ ლ ი ა ლ ღ ო მ ა < ა ლ ღ ო მ ა.

წმინდა ფონეტიკურად გაუგებარია, თუ რატომ დაიკარგა გ (ღკ კომპლექსში) და არა ლ (ლდ კომპლექსში).

თუ დაკარგვაზე მიდგებოდა საქმე, უნდა დაკარგულიყო ლ, როგორც აქცესიურ ლდ კომპლექსში შემავალი; მაგრამ არ დაიკარგა, რადგან ლ სპირანტია და არა ხშული (ზოგიერთ ენაში, მაგ., რუსულში და ზოგიერთ სხვაში, აქცესიური კომპლექსის გამარტივების ერთერთი გზაა უკანა ხშულის გასპირანტება). საფიქრებელია, რომ გ-ს დაკარგვის სახით ჩვენ გვაქვს პროგრესული დისიმილაციის შემთხვევა. რამ განსაზღვრა ასეთი მიმართულება? ცხადია, არა კომპლექსმა, რადგანაც ღგ არ საკიროებს გამარტივებას, როგორც დეცესიური კომპლექსი. ვფიქრობთ (და სხვა შესაძლებლობა ახსნისა არა ჩანს), რომ აქ სემანტიკური ფაქტორი აპირობებს დისიმილაციის მიმართულებას. მკამელის ცნობიერებაში „აღდგომა“ აღარაა დაკავშირებული „აღგომა“-სთან; იგი დღესასწაულის საკუთარ სახელად იქცა ისე, როგორც, მაგ., „агхха“, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს „агхрррррр“-სთან. ასეთ პირობებში საკირო იყო ლ-ს გამოყენება სწორედ სადიფერენციაციო საშუალებად, რათა აღდგომა არ დამსგავსებოდა აღგომა-ს. სრულიად ბუნებრივია, რომ გ-ს ეკარგებოდა სემანტიკური როლი; და ამით მისი ფიზიოლოგიური მხარეც სუსტდებოდა, რის შედეგადაც გვაქვს მისი პროგრესული დისიმილაციის ფორმა.

საყურადღებოა, სხვათა შორის, რომ, თუ ღგომა სიტყვაში ძირია მხოლოდ გ<sup>1</sup>, აღდგომა-ში ჩვენ ძირის წარმომადგენელი აღარ შეგვჩვენია, ე. ი. გვაქვს ძირის არმქონე სიტყვა.

2. დაწყებითი ანუ გამოსვლითი ბრუნვის დაბოლოებაა -იღან.

ამ ბრუნვის (ა. შანიძე) დაბოლოების განვითარება ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: -ითგან > იღგან > -იღან. „იღან“ რომ ფონეტიკური გზითაა მიღებული „ითგან“-ისაგან („იღგან“-ის ვაელით), ცხადია<sup>2</sup>, მაგრამ გასარკვევია, თუ რატომ დაიკარგა გ და არა ღ? ზემოთ დადგენილი წესის თანახმად ღგ (და არა თქ) მართებულა, რადგან დეცესიურ კომპლექსში უნდა გვექონოდა რეგრესული ასიმილაცია, მაგრამ დეცესიური კომპლექსის (აქ ღგ) გამარტივებას, მეორე კომპონენტის დაკარგვის გზით, საკიროება არ მოითხოვდა.

უეჭველია, რომ აქაც სემანტიკურ ფაქტორთან გვაქვს საქმე: ფონეტიკურმა ცვლილებამ (თ > ღ: „ითგან > იღგან“-ში) გამოიწვია, მაგ., „სახლიდ-გან“-ის კავშირის შეწყვეტა მოქმედებითს ბრუნვასთან (სახლით); ამდენად -გან თანდებულმაც დაკარგა აქ თავისი ძირითადი

<sup>1</sup> ვ. თ. თ. თ. რ. ი. ა., „ღ- თავსართიანი ზმნები ქართულში“, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „შრომები“, XXV, 1942. გვ. 149.

<sup>2</sup> იხ. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები I, 1942, 72.

ფუნქცია და იქცა ბრუნვის დაბოლოების ნაწილად: მას დაეკარგა კავშირი თვით -გან თანდებულთან: მხოლოდ ამიტომ შეიძლებოდა გ-ს დაკარგვა დეცესიურ დგ- კომპლექსში.

ფუნქციის დაბოლოების შერთვისას რომ ფონეტიკურად უფრო ადვილად იცვლება არა ფუნქცია, არამედ დაბოლოება, ამის კარგი ნიმუშია ქართულის მიცემით ბრუნვაში ბრუნვის მაჩვენებელი ს თანხმონის დაკარგვა: მოსალოდნელი გულ-ს-თან-ის ნაცვლად გვაქვს გულ-თან (შეად. დედა-ს-თან, რომო-ს-თან და სხვა)<sup>1</sup>. სიტყვებში რელს-თან, ნემს-თან, უელს-თან თანხმონთან სწორედ ისეთივე დაჯგუფება (ლსთ, მსთ) გვაქვს, მაგრამ ს არ იკარგება, რადგანაც იგი ფუნქციის ელემენტია და ამიტომ სემანტიკურად მეტად დატვირთული.

3. ე. წ. „მიწვევითი ბრუნვის“ დაბოლოება.

ა. შანიძე, რომელმაც დაარქვა ამ ბრუნვას სახელი, ასე მოგვითხრობს მისი ფორმირების შესახებ: „ვითარებით ბრუნვას ძველად მიმართულებითის ფუნქციაც ჰქონდა (წარვიდა გალილიად = წავიდა გალილიას). მიწვევითის გადმოსაცემად კი მას ერთოდა თანდებული მღე ან მღის; მიღებული იყო ჯგუფი ად-მღე (ად-მღის) ან დ-მღე (დ-მღის). სადაც ორ დს მარტო მ ჰყოფდა, რაც სიძნელეს ჰქმნიდა გამოთქმისათვის, ამიტომ პირველად დაიკარგა გამოთქმაში“...<sup>2</sup>.

ან ბოუნეის ჩამოყალიბების პროცესი დადასტურებულია წერილობითი ძეგლებით. არ ჩანს მხოლოდ, თუ რატომ დაიკარგა დ. ა. შანიძის „ორ დ-ს მარტო მ ჰყოფდა“ საკითხს ვერ გადაწყვეტს<sup>3</sup>.

უფრო ადრე ამავე საკითხის შესახებ აზრი აქვს გამოთქმული ა. ჩიქობავას: „ყურადღებას იქცევს -მღე თანდებულის წინ გარდაქცევითი ბრუნვის დ ნიშნის დაკარგვა... რას უნდა გამოეწვია დ-ს დაკარგვა -მღე- მღის თანდებულის წინ?.. ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ დ-ს დაკარგვა ასეთ შემთხვევაში გააადვილა იმ გარემოებამ, რომ მხოლოდ -ა- საკმარისი იყო—გარკვეულს დიალექტებში მაინც — გარდაქცევითი ბრუნვის საწარმოებლად!“<sup>4</sup>.

---

<sup>1</sup> შეად. ა. შანიძის ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 68; „გამოთქმის გაადვილების მიხნით ენამ ხელი აიღო ისეთ ელემენტზე, ურომლისობა აზრის გაგებას ხელს არ უშლის“.

<sup>2</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 73.

<sup>3</sup> იგივე აზრი აქვს გამოთქმული ა. შანიძეს სტატიის „მღე თანდებულის გენეზისისათვის“: საქ. მეცნ. აკად. მოაზბე. III, № 4, გვ. 368. თვით გენეზისის საკითხს არ ვეხები.

<sup>4</sup> ა. ჩიქობავა, მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის: ენიმკის მოაზბე I, 1934, გვ. 19. თუ ა ჩიქობავას კონცეფცია სწორია, რასაც აქ არ ვეხები, დ-ს დაკარგვის გაადვილება, მართლაც, ასე შეიძლება აიხანას.

ა. შანიძის თანახმად, ერთ-ერთი ღუნდა დაკარგულიყო, ხოლო  
 .ა. ჩიქობავას აზრით, — სწორედ პირველი. ა. შანიძე გახაზავს პრო-  
 ცესის ფონეტიკურ მხარეს, ხოლო ა. ჩიქობავა — სემანტიკურს.

საკითხი, ვფიქრობ, ადვილად წყდება წმინდა ფონეტიკურ ნია-  
 დაგზეც: საკმარისია მიუთითოთ, რომ -ღმ- კომპლექსი ღმღ-ში აქცე-  
 სიური თანამიმდევრობისაა; ასეთ პირობებში ღ-ს მიდრეკილება დასუს-  
 ტებისა და შემდეგ დაკარგვისადმი სრულიად კანონზომიერია — მით  
 უმეტეს, თუ აქას კიდევ სხვა ფაქტორი (ა. ჩიქობავათი ფსიქოლოგიური)  
 შეუწყობდა ხელს.

## 2. თანხმობანთა აქციონური კომპლექსის სუპერაციის საკითხისათვის ძველ ფრანგულში<sup>2</sup>

საკითხი შეეხება ძველი ფრანგულის ისეთ ფაქტებს, როგორცაა,  
 მაგ.:

ახალი ფრანგული:	ძველი ფრანგული:	ლათინური:
fait 'გაკეთებული, საქმე' < fait	< fait	factum).
fruit- 'ნაყოფი, ხილი' < fryit	< fryit	fructu(m)
nuit 'ღამე' < nyit	< nyit	noctem)
toit 'სახურავი' < leit	< leit	tectum) და სხვა.

როგორ უნდა აიხსნას, რომ უკანაენისმიერი ხშული i: ა. ნნმო-  
 ვანი (ლათ. e) -et- კომპლექსში მოგვევლინა ძველ ფრანგულში i ნასე-  
 ვარხმოვნის სახით?

საკითხი რომ მნიშვნელოვანია და აქტუალური ფრანგული ენის  
 ისტორიისათვის, ეს იქიდანაც ჩანს, რომ გასული საუკუნის დაპლევიდან  
 დღემდე, დროგამოშვებით, მას ეხებოდა და მის გადაწყვეტას ცდილობ-  
 და თითქმის ყველა გამორჩენილი რომანისტი<sup>3</sup>.

ვფიქრობ, საკიროება არ მოიხზავს განვიხილოთ თითოეული  
 მათგანის შეხედულება ამ ფონეტიკურ მოვლენაზე; განვიხილავ მხოლოდ.  
 უკანასკნელად გამოთქმულ აზრს, რომელიც ეკუთვნის E. B. Davis-ს<sup>4</sup>.

\* წაკითხულია საქართველოს მეცნ. აკადემიის საზოგადოებრივ მეცნ. განყოფი-  
 ლების XIX სამეცნ. სესიაზე (1945 წ. 19 დეკემბერს): თეზისები. რეზიუმე დაიბეჭდა  
 საქავშ. მეცნ. აკად. ლიტერატურისა და ენის განყოფილების „Резюме тезисов и ре-  
 зюмированных работ за 1945 г.“-ში სათაურით: „К вопросу об изменении „акце-  
 сивного“ сочетания согласных в старофранцузском языке“ (გვ. 40).

მობხენება აქ იბეჭდება შემოკლებით.

<sup>2</sup> კ. ნიუროპ, გ. გროებერ, ვ. შუაერ-ლუბკე, ფ. ბრიუნო, მ. გრამონ, ე. შიშა-  
 რიოვ და სხვები.

<sup>3</sup> Edwin B. Davis. Latin -et- > Old French it (Modern Language  
 Notes, LIX, Febr., 1944. № 2). იხივე წიგნს, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგაა და-  
 ბეჭდილი Language-ში (XX, № 8, July-September, გვ. 155 და შემდ.) Yakov  
 Malkiel-ის შენიშვნა ამავე მოვლენაზე (იხ. ქვემოთ).

მით უმეტეს, რომ საკითხის ისტორია მოკლედ წარმოდგენილია ამ ავტორის დასახელებულ შრომაში.

Davis-იც—ისე როგორც ჩვენ—იმ აზრისაა, რომ საკითხი გადაუწყვეტელია, და იძლევა თავის ახსნას.

ლათ. -ct- კომპლექსის ძე. ფრანგ. it-ად ცვლაში ავტორი აღნიშნავს სამ მომენტს:

- 1) ხშული k იცვალა ნახევარხმოვნად (i) (გვ. 76—77),
- 2) ველარული k გაპალატალდა (გვ. 71—80) და
- 3) ყრუ გამჟღერდა (80—82).

პირველ ცვლილებას ავტორი ხსნის k-ს დამართვის მომენტიდან დაწყებული მისი სპირანტიზაციით, რასაც, ავტორის აზრით, ხელს უწყობდა k-ს სუსტი პოზიცია ხმოვნის შემდეგ და ექსპლოზიური თანხმოვნის წინ.

მეორე ცვლილება:—ველარის გაპალატალება—მოხდა, ავტორის აზრით, წინაენისმიერი t-ს გავლენით, რის გამოც k-მ გადმოინაცვლა წინისაკენ.

ნაკლებ გასაგებია ავტორის მსჯელობა მესამე ცვლილების შესახებ: მსჯელობიდან არა ჩანს, თუ რატომ უნდა მიგველო ყრუ სპირანტისაგან ნახევარხმოვანი<sup>1</sup>.

გასაგებია და, ვფიქრობ, სწორი k-ს სპირანტიზაციის შესაძლებლობა t-ს წინ, როგორც ამას ავტორი (Davis) ვარაუდობს, მაგრამ — არა იმიტომ, რომ იგი იმპლოზიურია მომდევნო t-ს წინ, არამედ იმიტომ, რომ ლათინურის -ct- კომპლექსი აქცესიურია და ძველი ფრანგულის ნიადაგზე იგი უნდა დაძლეულიყო რომელიმე გზით.

ძე. ფრანგულის ნიადაგზე იმიტომ შეიქნა მისი დაძლევის (სუპერაციის) საკიროება, რომ იგი (-ct-) მოხვდა, ბოლო ხმოვნის (ე. ი. u-ს) დაკარგვის გამო, ერთი მარცვლის ფარგლებში, მაგ.: \*fact, \*fruct; ლათინურში კი იყო fac-tum, fruc-tum, ე. ი. -ct- კომპლექსი ასატანი იყო იმიტომ, რომ მარცვალთგასაყარი c სა და t-ს შუა ხედებოდა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქცესიური კომპლექსის სუპერაციის გზა ექსნაირი შეიძლება იყოს (იხ. ქვემოთ გვ. 343); მათგან ძველი ფრანგული, როგორც ჩანს, მიჰყვება სპირანტიზაციის გზას, რამაც იგი მიიყვანა k(c)-ს ვოკალიზაციამდე; მაგ.: factu > \*fakt > fait > fait.

სხვადასხვა ენა შეიძლება სხვადასხვა საშუალებას მიმართაედეს აქცესიური კომპლექსების სუპერაციისას. ამიტომ შესაძლებელია მართებული იყოს Malkiel-ის შენიშვნა, რომ ძველ ფრანგულში მოკმედ

<sup>1</sup> -ct-საგან It-ის მიღებაში სპირანტიზაციის საფეხურს გულისხმობს არა ერთი მკვლევარი, მათ შორის აკად. ვ. თ. შიშმარიოვი (იხ. მისი Очерки по истории языков Испании, 1911, გვ. 79).

-ct->it- პროცესს კელტური საფუძველი უნდა ჰქონდეს<sup>1</sup>. არსებითია აქ არა ის, კელტურ ენათა მოვლენა იგი თუ რომანულთა, რაც თავისთავად, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, — არამედ თვით ფონეტიკური ფაქტი — აქცესიური კომპლექსის სუპერაცია გარკვეული გზით.

ეს რომ აქცესიურობის საფუძველზეა მომხდარი და არა თანხმოვანთა რაგინდ თანამიმდევრობითი შეერთების გამო, ჩანს იქი ღან. რომ თანხმოვანთა სხვა თანამიმდევრობით შეერთება განსხვავებულ შედეგს იძლევა. მეფერ-ლუბკე. რომელსაც. რა თქმა უნდა. არ ჰქონდა შეჭინეული თანხმოვანთა დეცესიურ-აქცესიური კომპლექსების განსხვავებულობა, ამბობს: „ct-ს განვითარებას it-ად, cs-სა is-ად უნდა შეეთარდებოდეს pt-ს განვითარება ft-დ. ps-სა fs-დ. ხოლო აქედან, სრული თანაბრობისას, უნდა წარმოქმნილიყო ut,-us. ამას კი ადგილი არა აქვს“<sup>2</sup>.

ზოგად პრინციპად აქცესიური კომპლექსის სუპერაციის მიღებას ახლს ვერ შეუშლის ის გარემოება, რომ ზოგ ენაში შესაძლებელია არ ჩანდეს დაძლეულად (სუპერიორებულად) აქცესიური კომპლექსი.

გარდა იმისა, რომ ყოველ ცალკეულ შენთხვევაში გასათვალისწინებელია სუპერაციის ყველა ექვსი შესაძლებლობა (იხ. გვ. 343), რომელიც კი მიკვლეულია ჯერჯერობით, უნდა ითქვას შემდეგი:

არის ენები, რომლებშიც განმტკიცებულად ჩანს — დაწერილობაში მაინც — თანხმოვანთა აქცესიური კომპლექსი. ასეთია, მაგ., ძველი ბერძნული, რომელშიც ჩვეულებრივია *ατ* და *αψ* კომპლექსები (*ατ* *αψ*: 'ვიცინ', *ατ* *αψ*: 'ვერძი', *ατ* *αψ*: 'ფუძე'; *αψ* *ατ*: 'ფეხეკ', *αψ* *ατ*: 'ბოლი', *Κυρατψ*: ქალაქის სახელია და სხვა). მაგრამ, ეს რომ შეიძლება არ გამოხატავდეს ძველი ბერძნულის ცოცხალ წარმოთქმას, ამას გვაფიქრებინებს ანალოგიური ფაქტები დღეს ცოცხალ ენათა დამწერლობისა და წარმოთქმის ურთიერთობიდან. მაგ., ჩვენ ვწერთ იხვლ. *know* 'ყოფნა', მაგრამ წარმოვთქვამთ *noʊ*: *knowledʒ* წარმოითქმის *noʊlɪʒ* (მაგრამ *acknowledʒ* 'ცნობება' წარმოითქმის *æknoʊlɪʒ*, სადაც *k* დაცულია იმის გამო, რომ მარცვალთგასაყარი მოხედა *k*-სა და *n*-ს შუა; შეად. *inter knit* 'შეკვრა' — წარმოითქმის *intənit*); ვწერთ რუს. *кто*, მაგრამ წარმოვთქვამთ *xto* და ა. შ.

<sup>1</sup> მსგავსებაში გვაქვს ზისი რეცენზია აკად. შიშმარიოვის ხსენებულ შრომაზე *Langue*-ის ზემომოყვანილ ნომერში, სადაც ნათქვამია: „გამომწვებული აქვს კელტურის უმნიშვნელოვანესი რეფლექსი -ct->-it- = 'The most important reflex of Celtic, -ct->-it-, has been omitted“ (გვ. 159); ეს ბრალდება შიშმარიოვის მიმართ Malkiel-ის უფრადღებობას უნდა მიეწეროს: მართალია, არა იმ გვერდზე (55), სადაც რეცენზენტ. მოულოდნა, მაგრამ სხვაგან (75) შიშმარიოვის ეს აღნიშნული აქვს.

<sup>2</sup> N. Mayer-Lübke, *Historische Grammatik der französischen Sprache*, 1913, გვ. 137.

საკითხის ასე დასმა რომ შესაძლებელია (ე. ი. როგორ წარმო-  
 იაქროდა *z* ან *z* კომპლექსი ძველ ბერძნულში), ამას ადასტურებს  
 ძველი ბერძნულის დიალექტალურ წარწერებში ასახული ცოცხალი  
 წარმოთქმის ზოგიერთი შემთხვევა, სადაც *z* კომპლექსი გვხვდება სუ-  
 პერირებული სახით (ასიმილაციის გზით); მაგ., კრეტულში  $\Lambda\pi\tau\tau\omega\iota <$   
 $\Lambda\pi\tau\tau\omega\iota$  'ქალაქ ლიქტოსის მცხოვრებნი';  $\acute{\alpha}\rho\text{-}\epsilon\chi\tau\acute{\omicron}\varsigma <$   $\acute{\alpha}\rho\text{-}\epsilon\chi\tau\acute{\omicron}\varsigma$  'ასატანი,  
 მოსათმენი' და სხვა (K. Brugmann, Grundriss der vergl. Grammatik der  
 idg. Sprachen, I<sup>2</sup>, 550).

### 3. ბრძელი ხმოვანი \*-tt- < \*-xt-ის წინ ძველ ისლანდიურში\*

მოკლე ხმოვნის ნაცვლად გრძელი ხმოვანი -tt-ს წინ მხოლოდ იმ  
 შემთხვევაშია შემჩნეული ძველ ისლანდიურში, როცა ეს გემინატი (-tt-)  
 წარმოქმნილია \*-xt-საგან. სხვა გემინატების ან სხვა წარმოშობის -tt-ს  
 წინ გვაქვს მოკლე ხმოვანი.

რამდენადაც შემიძლია ვიყოდე, უკანასკნელად ამ მოვლენის ახსნა  
 სცადა ანერიკელმა გერმანისტმა ა. მ. სტარტეევანტმა; მაგ.: გუთური  
 drigkan 'სმა' — ძველ ისლანდიურში drǫkka, გუთ. wintrus 'ზამთარი' —  
 ძვ. ისლანდ. vǫttir; მაგრამ გუთ. āhtau 'რვა' — ძვ. ისლანდ. átta (ჩ-თი  
 აღინიშნება გრძელი a).

ძველ ისლანდ. flǫttr (ბ გრძელი) < \*flǫxtu < \*flǫxtu და სხვა.

A. Noreen ფიქრობს, რომ ხმოვანი დაგრძელდა -xt-ის წინ (ასი-  
 მილაცია შემდეგ მოხდა)<sup>1</sup>.

ასე ფიქრობენ A. Kock და A. Heusler, რომელთა აზრითაც, ხმოვ-  
 ნის დაგრძელება მოხდა \*-xt-ის გადასვლამდე -tt-დ: „... ჯერ ხმოვანი-  
 დაგრძელდა -xt-ს წინ კანონზომიერად (\*āhtau), შემდეგ -xt- > -tt- (átta)“.  
 არაა ნაჩვენები, თუ რა კანონზომიერებით დაგრძელდა ḥ -xt-ს წინ.

თვითონ სტარტეევანტი ვარაუდობს attu-ს წარმოქმნას არა āxtu-სა-  
 ან axtu-საგან უშუალოდ, არამედ გარდამავალი საფეხურისაგან, რომელ-  
 საც ფშვინვა ახლდა, ე. ი. \*axtu-საგან: „ფშვინვა ḥ შოთხოვს ნაკლებ  
 დროს, ვიდრე .x<sup>2</sup>; მაშასადამე, წინა ხმოვანი დაგრძელდა იმ დროის  
 ხარჯზე. რომელიც დარჩა სპირანტის ფშვინვად ქცევისას, ე. ი.  
 \*āxtu > \*āhtu > āttu. ხმოვანი დაგრძელდა არა სპირანტის წინ (რო-  
 გორც ფიქრობენ კოკ და ჰოისლერ), არამედ ფშვინვის წინ“<sup>3</sup>.

\* დაბეჭდილია საქ. სსრ წყნ. აკადემიის „შობაში“, ტ. IX, № 7, 1948. იბეჭ-  
 დება აქ ოდნავი ცულობებით.

<sup>1</sup> A. Noreen, Altisländische und altnordische Grammatik. Berlin. 1933, გვ. 109.

<sup>2</sup> x აქ გამოხატავს უკანაენისნიერ სპირანტს (ქართ. ხ), რომელიც ორთოგრა-  
 ფიულად იწერება ხ.

<sup>3</sup> A. M. Sturtevant, Language, VIII, 1932, 215—216: The lengthening of  
 vowel before -tt- < \*-xt in Old Norse.



ა: გვარად, x-სა და h-ის შორის ხანგრძლიობის განსხვავება და-  
იხარჯა. სტარტევიანტით, ხმოვნის დაგრძელებაზე.

ჯერ ერთი, გაუგებარია, თუ რატომ უნდა ჩავთვალოთ h ფშვინვად  
და არა სპირანტად: თუ ავტორი თელის მას ძალიან სუსტ ფშვინვად,  
მაშინ საეჭვოა, რომ მომხდარიყო h-ის ასიმილაცია t სთან და წარმო-  
ექმნა მას გემინატი.

მეორეცაა და—საეჭვოა, რომ x უფრო ხანგრძლივი იყოს h-ზე.

ამიტომ, რამდენადაც არც სტარტევიანტისა და არც მისი წინა-  
მორბედების მსჯელობა არ გვაძლევს ნებას ახსნილად ჩავთვალოთ ეს  
მოვლენა. ჩვენ ვიძლევიტ ახალ ახსნას.

საკითხი ხმოვნის დაგრძელებისა მხოლოდ ისეთი -tt-ს წინ, რომე-  
ლაც წარმოიქმნა \*-xh-საგან ძველ ისლანდიურში, შეიძლება გადაწყდეს,  
ჩვენი აზრით, თანხმოვანთა კომპლექსში თანხმოვანთა აქცესიური  
კომპლექსის სუპერაციის ნიადაგზე, სახელდობრ:

რადგანაც აქცესიური თანამიმდევრობა (მაგ., ქთ) ფიზიოლოგიუ-  
რად ნაკლებ „ბუნებრივია“ (ნაკლები მოქნილობის გამო ენის უკანა ნა-  
წილისა, რომელიც აწარმოებს ამ კომპლექსში რიგით პირველ თანხმო-  
ვანს), ამიტომ ცალკეულ ენებში შეინიშნება ასეთი კომპლექსების სუპერა-  
ციისადმი მიდრეკილება სხვადასხვა გზით: 1) გადასმით, როგორც. მაგ.,  
სერბულში  $ktu > tku$ ; 2) წინა ხშულის გასპირანტებრთ: რუს.  $xto < kto$ ,  
ან ეოკალიზაციით (სპირანტიზაციის გზით), როგორც. მაგ., რუსულ დია-  
ლექტურ  $rae > \gamma ae > nae$ -ში; 3) თანხმოვანთა შუა მარცვალკასაყრის  
შექმნით, მაგ., რუსულში:  $лhx-тя, нox-тя$ ; 4) ასიმილაციით. მაგ., იტა-  
ლიურში:  $netu > it. ntu$ ; 5) კომპლექსიდან პირველი თანხმოვნის და-  
კარგვით, მაგ., რუსული  $rae (> \gamma ae) > ae$ ; 6) წარმოთქმის ეკაუიობით.

თანხმოვანთა აქცესიური კომპლექსის სუპერაციის ნიადაგზე უკვე  
აიხსნა რამდენივე მნიშვნელოვანი ფონეტიკური საკითხი. სახელდობრ:  
1) ძე. ფრანგულის, მაგ.,  $fait < \text{ლათინ. factu(m)}$ , ძე. ფრანგ.  $fruit <$   
ლათ.  $fructum$  და მისთანანი, სადაც აქცესიური კომპლექსი (ef) გა-  
მარტივდა მეორე გზით<sup>1</sup>; 2) უკანაენისმიერ თანხმოვანთა დისიმილა-  
ციური დაკარგვის რეგრესული მიმართულება ქართულში<sup>2</sup>; 3) დადგენილ  
იქნა, რომ ქართულში აქცესიური კომპლექსისათვის დამახასიათებელია  
უმთავრესად პროგრესული ასიმილაცია (ხმის მონაწილეობის მხრივ),  
ხოლო დეცესიურისათვის — რეგრესული<sup>3</sup>.

ნათქვამი ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ თანხმოვანთა აქცესიური  
თანამიმდევრობა -xh- კომპლექსში შეიძლება ყოფილიყო ხმოვანთა  
დაგრძელების ფაქტორი -xh-ს-წინ.

<sup>1</sup> იხ. ზემოთ გვ. 340.

<sup>2</sup> იხ. ქვემოთ გვ. 344.

<sup>3</sup> იხ. ზემოთ გვ. 336.

ცხადია, რომ  $x$ -ს ასიმილაცია მომდევნო  $t$ -სთან გაათავისუფლებდა დროს წინამავალი ხმოვნის დასაგრძელებლად:  $x_t$ , რა თქმა უნდა. ხანგრძლივია - $tt$ -ზე. მეტადრე იმიტომ, რომ  $x_t$ -ში, როგორც აქცენსიურ კომპლექსში, გვაქვს ოდნავი აუცილებელი დაყოვნება (რაც არაა დეცესიურში, მაგ.,  $tx$ -ში).

აქედან ცხადია, რომ ხმოვნის დაგრძელება და  $x$ -ს ასიმილაცია მომდევნო  $t$ -სთან მოხდა ერთჯამიერად.

ვფიქრობ, რომ ზედმეტია გარდამავალი ფშვინვის დაშვების აუცილებლობა (სტარტევიანტი).

#### 4. შპანაანისმიერ ხშულთა რეგრესულ-დისიმილაციური დაკარგვა ქართულში \*

თანხმოვანთა დისიმილაციური ნოვლები საკმაოდ გავრცელებულა ქართულ ენაში, და მათ ყურადღებაც მიექცა სპეციალურ საენათმეცნიერო ლიტერატურაში.

განასხვავებენ ქართულში, ისე როგორც ყველგან, რეგრესულა (მაგ., წრეულს < წლეულს) და პროგრესულ (მაგ., ოროლი < ორორი, რესული < \*რესური) დისიმილაციას. ი. ყიფშიძის წრომით, და მის შემდეგ დადგენილად ითვლება, რომ „ბგერათა დისიმილაცია ქართულსა და მეგრულში წარმოებს ნარნარა და ცხვირისმიერ თანხმოვანთა შორის...“ და დისიმილაცია უპირატესად პროგრესულია.

მაგრამ, თუ დისიმილაციის ნოვლენათა რიგს მივმატებთ თანხმოვანთა დისიმილაციური დაკარგვის შემთხვევები, ამ დებულებებს დაზუსტება და შესწორება დასჭირდება. მაგ., სრულიად ცხადია, რომ მოსულ-ში (< \*მოსლული, შეად. დიალექტალური იმერ. მოსრული, სადაც რეგრესული დისიმილაციის შედეგად ლ ქცეულა რ-დ) გვაქვს ლ-ს დაკარგვა დისიმილაციის გზით (ე. ი. ლ — ლ > ნული — ლ, დიალექტ. რ — ლ < ლ — ლ).

ასეთი ნიმუშებითაც რომ არ გავამრავლოთ რეგრესულ-დისიმილაციურ ნოვლენათა რიცხვი, უჩემისოდაც ბევრია ეს უკანასკნელი ქართულ-

---

\* დაბეჭდილია სათაურით „გუტურალთა რეგრესულ-დისიმილაციური დაკარგვა ქართულში“, „ფსიკოლოგია“, ტ II, მიძღვნილი აკად. დ. უხანაძის სამეცნიერო მოღვაწეობის 35 წლისთავისადმი. იბეჭდება აქ ზოგიერთი ცვლილებით.

თანხმოვანთა კონპლექსების მასალა შეაგროვეთ თბ. უნ-ტის ფონეტიკური ლაბორატორიის თანამშრომლებმა თ. აბზიანიძემ და მ. ბახტაძემ.

<sup>1</sup> იოსებ ყიფშიძე, „ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში“ (ტფ. უნ-ტის „მოამბე“, № 1, 1919 წ., გვ. 1—8). შედ. ა. შანიძე. ქართული ზრ.მატიკის საფუძვლები, ნაკვეთი პირველი, თბილისი, 1942 წ.; გვ. 22 და შემდ.

ნი. თვითონ ი. ყიდშიძეს აქვს ნათქვამი იქვე. რომ „ქართულში ადგილი აქვს უმთავრესად რევრესულ დისიმილაციას...“<sup>1</sup>.

მართლაც. საკმარისია მოვიგონოთ ისეთი ნიმუშები, როგორცაა, მაგ., დიალექტ. ანბავი < ამბავი, კალონი < კანონი: რბილი < ლბილი, სუნთელი < სულმთელი, ღინკილო < ღილკილო და მრავ. სხვა, და დავრწმუნდებით, რომ რევრესული დისიმილაცია ძლიერაა გავრცელებული ქართულში. თუკი ამას მივმატებთ დისიმილაციურ დაკარგვის შემთხვევებიც. მაშინ გადაკრით შეიძლება ვთქვათ, რომ ქართულში თანხმოვანთა რევრესული დისიმილაცია არაა ნაკლებ გავრცელებული, ვიდრე პროგრესული.

თანხმოვანთა რევრესულ-დისიმილაციური დაკარგვის ნიმუშები უარბობს, როგორც ჩანს, პროგრესულისას. ასეთია. მაგ.: მოსული იხ. ზემოთ), სულ < \*ხრულ<sup>2</sup>; რთულ ფუძეებში: დიალექტ. პიჯგარი < პირჯგარი; ძინწარე < ძიმწარე < ძირმწარე; გაორკეცებულ ფუძეებში: ბებერი (\*ბერ-ბერი, გოგრა < \*გორ-გორა, კაკანი < \*კან-კანი დიალექტ. ოთოთხი < ოთხ-ოთხი, ლაღადი < \*ლაღ-ლაღი, ყიყინი < \*ყინ-ყინი, ცალ-ცალკე < ცალკ-ცალკე, წიწიბო < წიპ-წიპო და მრავალი სხვა. ამათხე ცოტა ჩანს პროგრესულ-დისიმილაციური დაკარგვის ნიმუშები: ერთმანეთი < ერთმანერთი, ქუთუთო < ქუთ-ქუთო, ხუთუთი < ხუთხუთი<sup>3</sup>.

ამ ნიმუშებიდან ვხედავთ, რომ დისიმილაციაში მონაწილეობს, რ — ლ — შ — ნ.ს გარდა, აგრეთვე ჩქაპიერი თანხმოვნებიც (მაგ., ღ, ხ, პ, ჭ, კ).

რევრესულ-დისიმილაციური დაკარგვა ფონეტიკური კანონზომიერებითაა გატარებული თანხმოვანთა ასეთ კომპლექსში: „უკანაენის-ნიერი რ ( + აფრიკატი ) + უკანაენისძიერი“.

მაშასადამე. წინა ტიპისაგან, რომელშიც ურთიერთ განმსვავსებიან ორ სხვადასხვა მარცვალში მყოფი მსგავსი თანხმოვნები, ეს ტიპი განსხვავდება იმით, რომ განმსვავსება ხდება ერისა და იმავე მარცვალში მყოფ ორ თანხმოვანს შორის, მაგ.: გრკო > რკო, გრწყილი > რწყილი, გრკალი > რკალი და სხვა. კომპლექსის ორი უკანაენისძიერიდან იკარგვის, რევრესული დისიმილაციის გზით, პირველი უკანაენისძიერი<sup>4</sup>.

ამ კომპლექსში დისიმილაციის რევრესული (და არა პროგრესული) მიზარაღობა იმითაა გამოწვეული, რომ კომპლექსის თავიკიდური ორი თანხმოვნის (გრ-, კრ-, ქრ-, ღრ-) თანამიმდევრობა აქცესიურია, ე. ი.

<sup>1</sup> არა საკირო ამ წინააღმდეგობაზე აქ შეიზრება.

<sup>2</sup> იხ. არბ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942. გვ. 67.

<sup>3</sup> იხ. ა შანიძე, იქვე, გვ. 146.

<sup>4</sup> დისიმილანტი შესაძლებელია იყოს ფარინგალი ყ-ც (მაგ. გრწყილი).

უკან წარმოებულს (გ — კ — ქ — ლ-ს) მიჰყვება წინ წარმოებული (რ), და ამიტომ პირველი უკანაენისმიერის გამძლეობა უფრო სუსტია, ვიდრე მეორისა იმავე კომპლექსის რგ—რკ—რქ-სა და სხვებში. საყურადღებოა, რომ კომპლექსში რ-ს ნაცვლად შეიძლება გვექონდეს ძ (დაახლოებით წარპოების იმავე ადგილისა, როგორც რ); მაგ., გძღარბი > ძღარბი > ზღარბი, ე. ი. ვ-ს რეგრესულ-დისიმილაციური დაკარგვა აქაც ხორციელდება (გძ-ს თანაზიმდეგრობა აქცესიურია, როგორც გრ-სი).

თუ დისიმილაციის (რეგრესული) მიმართულება განსაზღვრა გრ-კომპლექსის აქცესიურობაში, თვით დისიმილაციის ფაქტი ძალიანად გამოიწვია ორი უკანაენისმიერის (resp. უკანაენისმიერისა და ფარინგალის) არსებობამ ერთ კომპლექსში. ძირითადად იმიტომ, რომ პირველ ფაქტორსაც (ე. ი. გრ-კომპლექსის აქცესიურობას) მნიშვნელოვანი წილი უძევს დისიმილაციის მოხდენაში: ორ ერთნაირ თანხმოვანს შორის წონახწორობის დარღვევა, რაც დისიმილაციის მოხდენისათვისაა საჭირო და ხელსაყრელი, პირველი უკანაენისმიერის ნაკლებმა გამძლეობამ გამოიწვია (იხ. ზემოთ). ისეთ კომპლექსებში, რომლებიც განსხვავდებიან ორი უკანაენისმიერის უქონლობით, მაგ.: გრძნობა, გრდემლი, კრტინვა, კრთილია ბრგვე, მკრთალი და მრავალი სხვა, დისიმილაციას არა აქვს ადგილი (ამიტომაც გრ-, კრ-, ქრ-ში თანხმოვანთა თანამიმდევრობას მნიშვნელობა აღარა აქვს დისიმილაციისათვის).

შეიძლება გვეთხონ: თუ თანხმოვანთა (აქ უკანაენისმიერთა) ერთნაირობაა საჭირო და საკმარისი დისიმილაციის რეალიზაციისათვის, რატომ არ გვაქვს დისიმილაცია კომპლექსში „დენტალი + რ + დენტალი“, მაგ.: თრთოლა, დრტვინვა ან კომპლექსში „ლაბიალი + რ + ლაბიალი“, მაგ.: ბრბო, ბრმა, ბრპენი?

ჯერ ერთი: პირველი ტიპის კომპლექსში, მართალია, ცოტა, მაგრამ მაინც არის დისიმილაციის (და სწორედ რეგრესულის) ნიმუშები (მაგ. რთვლი < თრთვლი, დიალექტ. რთოლა < თრთოლა, რჩილი < ჩრჩილი. ორი ერთნაირი თანხმოვნის (აქ დენტალია) წონახწორობა არ (ან იშვიათად) ირღვევა, რადგანაც თრ- და -რთ კომპლექსებში (თრთ-ში) მონაწილეობს თითქმის წარმოების ერთი და იმავე ადგილის თანხმოვნები, რის გამოც აქცესიურ-დეცესიურობა არაა მკაფიოდ გამოხატული. რაც შეეხება „ლაბიალი + რ + ლაბიალი“ კომპლექსს, აქ მკაფიოდაა გამოხატული დეცესიურობაც (ბრ) და აქცესიურობაც (რბ). მაშასადამე, აქ მოსალოდნელი იყო რ-ს (ბრბ-ში) გამძლეობის შესუსტება. მართლაც, თუ სუსტდება ასეთ კომპლექსში რაიმე, ისევე რ, როგორც გრძ-, ბრძ-სა და მისთანებში (შეად. დიალექტ. გძნობა, ბძანება და სხვა).

<sup>1</sup> აქ „დენტალ“-ში რგულისხმება რი გარტ დენტალი (დ თ ტ), ისე აღვეოლა—რი (ჩ).

რამდენადაც საერთოდ დისიმილაცია, როგორც წესი. დისტანციური ფონეტიკური მოვლენაა, ე. ი. დისიმილაციაში მონაწილე ბგერები (დისიმილანტი და დისიმილირებული) ერთმანეთს დაშორებულია, ამდენად მასში ფსიქოლოგიურ ფაქტორს მეტი ძალა უნდა ჰქონდეს, ვიდრე ფიზიოლოგიურს. ფიზიოლოგიურად რ-ს წინ უკანაენისმიერის სისუსტე, როგორც ვნახეთ, უეჭველია; მაგრამ გუტურალის დაკარგვისათვის ეს არ კმარა (შეად. მაგ., კრთ-, გრთ-). ცხადია, სხვა მიზეზია საძებარი. ორა ურთიერთდაშორებული უკანაენისმიერის ერთმანეთზე გავლენა უკვე ფსიქოლოგიური მოვლენაა და არა ფიზიოლოგიური, რამდენადაც, მაგ., გრგ- კომპლექსში პირველი გ-ს არტიკულაციას მოსდევს რ-ს არტიკულაცია, და მომდევნო გ-სათვის ხელახლა იწყება მეორე გ-ს არტიკულაცია. მაგრამ ფსიქოლოგიური ფაქტორი უფრო ძლიერად ჩანს იქაში, რომ ისეთი არტიკულაციური და აკუსტიკური მთლიანობა, როგორცაა, მაგ., გრგ- კომპლექსი, იმსგავსება ერთ-ერთ გუტურალს, სახელდობრ პირველს, რომელიც ფიზიოლოგიურად სუსტი აღმოჩნდა. მაშასადამე, ის, რაც მთლიანის თვალსაზრისით ასიმილაციური მოვლენაა, ელემენტის თვალსაზრისით დისიმილაციურია (ამ შემთხვევაში დისიმილაციური დაკარგვა).

იმავე რიგისაა ფუნქციური ფაქტორი: შეუძლებელია გ დაიკარგოს, მაგ., გრქ-, გრგ-, გრცხ- კომპლექსებში (გრქუა, გრგვბს, გრცხვენია), როცა იგი ფუნქციურადაა დატვირთული.

აქ დადგენილი დისიმილაციური დაკარგვა უკანაენისმიერისა შუქს. ჰუენს ზოგიერთი სიტყვის ეტიმოლოგიას, სახელდობრ:

1) ქართულ რაცხ- | რიცხ- ძირს (სიტყვა რიცხვ-ში) ზანურში შესატყვისება კოროცხ- (ქანურში აგრეთვე კორეცხ-). უნდა ვიფიქროთ, რომ ეს შესატყვისება (რა/იცხ- || კოროცხ-) ადეკვატურია შესატყვისობისა კრე'იხ- || კოროხ-, ე. ი. ქართულში დაკარგულია კანონზომიერად კ \*კრცხ- კომპლექსში; ამ კომპლექსის დაშვებას არაფერია უწინააღმდეგება (შეად. კრხ- შეკრბა-ში, სადაც კ-ს არ ჰქონდა მიზეზი დაკარგულიყო) <sup>1</sup>.

2) ქართ. კივის-ს შესატყვისება ქან. კრიახს, მეგრ. რკიანხ<sup>2</sup>. როგორც ჩანს, მათი ძველი სახე დაკულია კრკინვა (გრკინვა)-ში. გუტურალის დისიმილაციური დაკარგვით ქართულში უნდა გვექონოდო რკივის, მაგრამ რ-ც დაკარგულა. შენახულია ძირეული რ ზანურში (ცხოლოდ ქანურში მეტათეზისი მოხდარა: რკ > კრ). შეად. არნ. ჩიქობავას: ძირეული ყველგან კ უნდა იყოს; რ მეგრულში ფონეტიკურად განვითარებული თავკიდური ბგერა ჩანს, ქანურში რ-ს მეტათეზისი გვაქვს <sup>3</sup>.

<sup>1</sup> შეად. არნ. ჩიქობავა, ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი. 1938 წ., გვ. 297.

<sup>2</sup> იხ. იქვე.

<sup>3</sup> იხ. იქვე, გვ. 298.

3) ამავე ძირთან უნდა იყოს დაკავშირებული ზანური რკვან- (ქან- აგრეთვე კვან) „თხოვა“ და მომდინარეობდეს ძველი გრკვეინვა-დან: „ჩვლთიგან ხზრდელისა თვისისა შეხარლი, რეცა უბნობაა“<sup>1</sup>.

უკანანისმიერთა რეგრესულ-დისიმილაციური დაკარგვა ქართულში დადასტურებულად შეიძლება ჩაითვალოს ჯერჯერობით შემდეგ სიტყვებში:

- 1) გრგოლი > რგოლი
- 2) გრკალი, კრკალი > რკალი
- 3) გრკვეინვა (იხ. ზემოთ)
- 4) გრკო, კრკო > რკო
- 5) გრძღვამლი „ბაბილო“<sup>2</sup> > რძღვამლი > ძღვამლი
- 6) გრწყილი, კრწყილი > რწყილი
- 7) გძღარბი > ძღარბი > ზღარბი
- 8) გრჯლა<sup>1</sup> > კრჩხა<sup>2</sup> — დიალექტ. რჯლაი, ჯღლან > რჩხა<sup>2</sup>, დიალ. ჩხა
- 9) კრკიალა „საჩინოდ სანახავი“<sup>1</sup> > რკიალა > კრიალა (მეტათეზისით)
- 10) კრკინვა (იხ. ზემოთ)
- 11) კრჩხიალი<sup>2</sup> > \* რჩხიალი — ჩხრიალი (მეტათეზისით)
- 12) კრჩხიალება<sup>3</sup> > \* რჩხიალება > ხრიალი (მეტათეზისით)
- 13) მგრგული > მრგვალი > დიალექტ. რგვალი
- 14) ქრცხილა > რცხილა
- 15) ქრცხმელი > რცხმელი
- 16) ლრღნა > რღნა > ლღნა (მეტათეზისით).

შენიშვნა ორი ფუძის შესახებ: კრკოლა და კრკილი.

1) კრკოლა (მოგონებული თრთოლა ტყუილი (ნ. ძრწოლა)<sup>1</sup>). როგორც ჩანს, კრკოლა-ში ორივე კ გააფრიკატებულია ჯერ კიდევ მაშინ, როცა დისიმილაციური დაკარგვა არ მომხდარიყო. აფრიკატიზაციის შედეგად კრკოლა-ს მოუცია \* წრწოლა<sup>1</sup>, ხოლო ამ უკანასკნელს, დისიმილაციური გამჟღერების წესის თანახმად<sup>2</sup>, ძრწოლა.

2. კრკილი (ვმელთ ნორკთ განჰრყუნელი ქუა (მძრომ.)<sup>1</sup>). საფიქრებელია, რომ ამ ძირისაგან გამოვიდა კრწყილი. აქ დისიმილაციური გამჟ-

<sup>1</sup> სულხან-საბა ორბელიანი.

დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ. 1887.

<sup>2</sup> იხ. არნ. ჩიქობავა, კანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, 1892 — 91.

<sup>3</sup> იხ. არნ. ჩიქობავა, კანურის გრამ.ტიკული ანალიზი, თბილისი, 1936.

<sup>4</sup> გ. ახვლედიანი, „ოსური ენის ისტორიისათვის. III. ხშულთა დისიმილაციური გამჟღერება ოსურში“, 1944 წ.

ღებება მომხდარა უფრო ადრე, ვიდრე,  $k$ -ს გააფრიალებს.  $\eta$   $\cdot$   $\nu$  კრძალი  $>$  \* გრძალი; ამ უკანასკნელისაგან გამოსულა \* გრძალი —  $k$ -ს ადრეკატიზაციის ვამო:  $\nu$ -ს შემდეგ განვითარებულა  $\nu'$ . მხოლოდ ამის შემდეგ, ნომხდარა  $g$ -ს დისიმილაციური დაკარგვა — ხეშოა დაღვირული უკანთანახმად.

## 5. თანხმონათა აქცესიური კომპლექსების სუპერაციის მეშვიდე შესაძლებლობა

თანხმონათა აქცესიური კომპლექსების დაძლევისადმი (სუპერაციისადმი) მიდრეკილება ჩანს მრავალ ენაში. რამდენადაც იგი დეტალზინირებულაა ფიზიოლოგიურად, იგი შესაძლებელია ჩანთკალის ხაზოველთაო ფონეტიკურ მოვლენად.

მაგრამ ეს ფონეტიკური მოვლენა ხორციელდება ანალოგიურად სხვადასხვა ენაში,  $\eta$   $\cdot$   $\nu$  ენები შესაძლებელია განსხვავდებოდნენ ფონეტიკისაგან აქცესიურ კომპლექსთა სუპერაციის სხვადასხვა შესაძლებლობით. როგორც ჩანს, ახლო შონათესავე ენებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ამ მხრივ; ამის ნიმუშს წარმოადგენს სუპერაციის მეშვიდე შესაძლებლობა, რომელიც მიუკლევია  $g$ . როგავას მგრულ ენაში<sup>1</sup>.

სუპერაციის შესაძლებლობათა მიხედვით ენების ერთმანეთისაგან განსხვავებულობას საფუძვლად უძევს როგორც მათი ურთიერთ ფონეტიკური განსხვავება, ისე სემანტიკური ფაქტორი: ენები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან როგორც ბგერობრივი და ფონემობრივი შედგენილობითა და ცალკეული ბგერების ბუნებით, ისე ბგერათმეორეობა და ბგერათცვლილების წესებით, რაც, თავის მხრივ, ძლიერ ხშირად განპირობებულია სემანტიკური ფაქტორით ამდენად აქცესიური კომპლექსის, როგორც ფიზიოლოგიური ფაქტის, დაძლევის (სუპერაციის) შესაძლებლობათა სხვადასხვაობას საფუძვლად შეიძლება ვდოს ფიზიოლოგიის გარეშე მოქმედი ფაქტორებიც. მაგ., დანიურ ენაში  $ax$  (და  $kx$ ) აქცესიური კომპლექსი დაიძლევა ხოლმე  $g$  ( $k$ )-ს გასპირანტებით, მაგრამ გერმანულში (დოიჩლანდურში) ასეთივე კომპლექსი დაიძლევა ხოლმე არა გასპირანტებით, არამედ  $k$ -ს მკაფიოდ წარმოთქმით, რადგანაც გერმანულს აქვს სპირანტი  $x$  ფონემის სახით, ხოლო დანიურს იგი არ გააჩნია: დანიურში სულ ერთია, როგორ წარმოვთქვამთ, მაგ., სიტყვას  $axt$  ( $axt$  თუ  $akt$ ) — მნიშვნელობა მას არ შეეცვლება; გერმანულში კი არაა სულ ერთი:  $axt$  სხვას ნიშნავს,  $akt$  — სხვას; ამიტომ, მნიშვნელობის

<sup>1</sup> იხ. არნ. ჩიქობავა, კანულის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1936, გვ. 18.

<sup>2</sup> გ. როგავა, „ქართულურ ენათა ბგერათმესატყვისობიდან: მეგრ. რ. ქართ. გ.“ (გამაცნო ავტორმა ხელნაწერში).

დაცვისათვის k წარმოითქმის მკაფიოდ. ე. ი. აქცესიური კომპლექსი აქ დაძლეულია მკექვეს შესაძლებლობით (იხ. ზემოთ გვ. 343). ასევეა დაძლეული (სუპერირებული) kt კომპლექსი სიტყვათა ასეთი წყვილის ცალკე: markt — Nacht, geschichte — Geschichte და სხვა.

აქცესიურ კომპლექსთა სუპერაციის ფორმები რომ ისტორიული მოვლანაა, ჩანს თუნდაც ამავე ნიმუშში: მაგ., იმავე acht-ში (ძვ. ზემო გერმანული alitu. ვით. alitau: ლათ. actio. ძვ. ბერძნ. ἄκτις) elit განვითარებულია kt-საგან აქცესიურ კომპლექსში k-ს სპირანტიზაციის გზით დაძლევის შედეგად: მაგრამ შეადგე, როცა გერმანულში დამკვიდრდა kt-კომპლექსი შექცეული ნასესხება (ლათ. actus. ფრანგ. acte) სიტყვა, ამ სიტყვაში სუპერაცია სხვა გზითაა.

გ. როგავას ხსენებულმა გამოკვლევამ, ერთი მხრით, განამტკიცა დადგენილ ფონეტიკურ კანონზომიერებათა ამოწავალი დებულება — თანხპოვანთა აქცესიურ კომპლექსს მიდრეკილება აქცესიური სუპერაციისადმი — და, მეორე მხრით, გახსნა ახალი გზა სუპერაციის სხვა ფორმათა (ანუ შესაძლებლობათა) ძიებისათვის სხვადასხვა ენაში. შეიძლება რა სუპერაციის ექვს დადგენილ ფორმას<sup>1</sup> მეშვიდე, რომლის მოქავედებაც მეკრულ ენაში გ. როგავამ, ეუიქრობ, უეჭველად დამტკიცა.

აქცესიური კომპლექსის სუპერაცია მეკრულში გ. როგავამ დაინახა მეკრულის რ-ს ქართულის გ (ქ) -სთან ფონეტიკური (და, მაშასადამე, ეტიმოლოგიური, მატერიალური) შესატყვისობის საკმაოდ მრავალ შემთხვევაში — როგორც ცალკეულ ფუძეებში, ისე აფიქსშიც: იგულისხმება გ (ქ) > რ აქცესიურ კომპლექსში.

მაგ.: ქართ. საგზალი: ორზოლი, ქართ. ქსელავს: მეგრ. ორზუანს: ძვ. ქართ. მოიქია (< \* მოიქთა)<sup>2</sup>.

ქართ. გწერს: მეკრ. რქარუნს<sup>2</sup>.

მეკრ. რთხულენს < \*გთხულენს 'გთხოვს'

„ რძირუნს < \*გძირუნს 'გნახავს'

„ მერტახუნს < \*მეგტახუნს 'მოვტებს' და სხვა. „სხვაგვარ

პოზიციაში მეკრულში გ არ უნდა გვაძლევდეს რ-ს“, ასკენის ავტორი.

ისეთ შემთხვევებს, როცა შესატყვისობა (გ || რ) არ ირღვევა იმის შუახედავად, რომ აქცესიური კომპლექსი არა გვაქვს, ავტორი მართებულად თვლის ანალოგიის მოვლენად რ-ს მორფოლოგიზაციის ნიადაგზე: „ზმნის ფუძეთა დაუწილს სწორედ ეს ბკერები (იგულისმება წინაენის-

<sup>1</sup> სუპერაციის ექვსი ფორმა: 1. ვადაპა (მქტაუხისი), 2. წინმდგომი ხშულის სპირანტიზაცია .resp. ვოკალიზაცია, 3. მარკვალკასაცრის შექმნა, 4. წინმდგომი ხშულის ასიმილაცია, 5. წინმდგომი (იშუიათად მომდევნო) ხშულის დაკარგვა და 6. წარმოთქმის მკაფიობა (იხ. ზემოთ გვ. 343).

<sup>2</sup> მითითებულია არნ. ჩიქობავას კანურის გრამატიკულ ანალიზზე, გვ. 98 და კანურ-მეკრულ-ქართულ შედარებით ლექსაკონზე, გვ. 334 და შემდ.



მიერი ხშულები დ -- თ -- ტ, ძ -- ც -- წ და სპირანტები ზ -- ს, ყ -- შ) მოუდის წინ. ამის გამო რ-ს (< გ), როგორც პირის აფიქსის, სამოქმედო არე ფართოვდება და იგი ფონეტიკური მოვლენიდან მორფოლოგიურ ოდენობად ქცევას ლაშობს. ამის შედეგია ის, რომ რ-დ ქცეული გ. როგორც პირი აფიქსი, გვხვდება არააქცესიურ კომპლექსებშიც; ააგალითები:

ნეკრ. რკორუნს < \*გგორუნს 'გძებნის'...

რზირუნს < \*გზირუნს 'გპარ ვს'...

აქცესიური კომპლექსის სუპერაციის შემთხვევად, მართებულად, ნიჩნია გ. როგ ავას (არნ. ჩიქობავას ხსენებულ შრომებზე და ვ. თოფურიას შრომაზე - ფონეტიკური დაკვირვებანი, III მითითებით) - ქართ. ვ (ვ): ჰანერის ხ (ქ): მეგრ. რა "შესატყვისობა:

მაგ.: ძვ. ქართული მცვე, 'ქალარა': ქან. ქინი 'მოხცი': მეგრ. რჩინუ. ძვ. ქართ. წარვლა: ქან. მენდახთუ: მეგრ. მიდართუ.

ამგვარად, წარმოდგენილი ანალიზი სრულიად დანარწმუნებულად ამართლებს აქცესიური კომპლექსის სუპერაციის მეშვიდე ფორმას, რომელსაც შეიძლება ეწოდოს როტაციზმისებრი<sup>1</sup> ფორმა.

კიდევ უფრო ამაგრებს გ. როგ ავას დებულებას აქცესიურ-კომპლექსიანი ნახეხები სიტყვების წარმოქმნა მეგროულში, რომლებშიც, 'ვეულებრივ', როტაციზმისებრ სუპერაციას აქვს ადგილი; მაგ.: ლერხი < ქართ. ლექსი. ერთგვე ან ერთიმე < ქართ. ექ(ვ)თიმე.

საყურადღებოა, რომ, როგორც ავტორი აღნიშნავს, აქცესიური კომპლექსის სუპერაცია ძალიან ხშირად იღება სხვა გზით<sup>2</sup>, სხედლობრ, კომპლექსის "რომელიმე კომპონენტის დაკარგვით":

ნეკრ. თირუა 'გაცვლა' < \*ქთირუა, შეად. ქან. ოქთირუ: მეგრ. შინათა 'ხენება' < \*წშინათა, შეად. ძვ. ქართ. ვხენება (არნ. ჩიქობავა და ვ. თოფურიას, ხსენებ. შრომები); მეგრ. ალესი < ალექსი, ხენია (ან რხენია) < ქსენია და სხვა.

ნიშვითად იკარგება მეორე კომპონენტი: - დასქენს ავტორი და ნოჰყავს მას მეგრ. ზუგიდი - ზუვდილა, სადაც შესაძლოა დასაწილაციურ დაკარგვას ჰქონდეს ადგილი და არა სუპერაციას.

რაც შეეხება გ. როგ ავას აზრს, რომ - აქ წარმოდგენილი შენთხვევა თავისებური ჩანს, იგი შეიძლება მეორე სახეობის (უკანაენის-

<sup>1</sup> ფონეტიკაში როტაციზმი (იერძნ. ცა - რა ანოს სახელწოდება) ქვეია თანხვევის (ქერძოდ ზ-ა) რ-დ ქცევას. ასეთია, მაგ. ლათ. amare 'სიყვარული' < \* amase-სადაც s წარმოითქმის ზ-დ; გერმ. შეად. war. ინგლ. was.

ლოგოპედიისი როტაციზმი ეწოდება სიტყვაში რ-ს ნაწილენვრ დაკარგვას (მაგ. ბარხი - ბა-ი, ვროფა - გ-ოფა).

<sup>2</sup> ივლიანება სუპერაციის მესხუე ფორმა (იხ. ზემოთ).

მიერის გასპირანტების გზით) ვარიანტს წარმოადგენდეს, რამდენადაც რ ბგერა ნაწილობრივ სპირანტიცაა“, იგი პირველ ნაწილში (ამ შემთხვევის თავისებურების შესახებ) საესებით სწორია,—იმდენად სწორი, რომ მისი აზრის მეორე ნაწილს (მეორე სახეობისად მიიწევა), ვფიქრობ, ჩრდილავს. საქმე ის არის, რომ უკანაენისმიერი ხშულის სპირანტიზაციის შედეგად წინაენისპიერ ვიბრანტად ქცევა საეჭვოდ უნდა მივიჩნიოთ. ამიტომვე აღწერილი შემთხვევის ჩათვლა სუპერაციის მეორე ფორმად არ იქნება მიზანშეწონილი. ცხადია, რომ გ. როგავას მიერ მიკვლეული მოვლენა წარმოადგენს სუპერაციის დღემდე უცნობს მეშვიდე ფორმას, როტაციზმისებრ სუპერაციას.

ჩვენ ვფიქრობთ. რომ გ. როგავა თავისი აზრის მეორე ნაწილშიც უახლოვდება საკითხის სწორად ახსნას, რამდენადაც იგი ცდილობს ფუნქციური საფუძველი მოუპოვოს უკანაენისმიერ ხშულთაგან რ-ს განვითარებას. ეს ცდა კი უფრო მიზანშეწონილი იქნება, თუ საკითხი დაისმება თვით მეგრული რ-ს წარმოების ადგილისა და, საერთოდ, მისი ბუნების შესახებ, ყოველ შემთხვევაში — ქართულისა და მეგრული რ-ს დღეს თუ ისტორიულად.

შესაძლოა, მეგრულ რ-ს, თავის სისუსტესთან ერთად, მიდრეკილება ჰქონდეს უკანაენისმიეობისაკენ (უფულარობისაკენ).

ასეთი საკითხის დასმას ნაწილობრივ გვიკარნახებს გ. როგავას მიერ მოყვანილი ზოგიერთი ფაქტი. მაგ., ჩვენ ვერ ვიტყვით გადაჭრით, თუ რა დაიკარგა თირუა-ში ან შინაფა-ში — ქ (ხ) თუ რ; აგრეთვე ალესი-ში; აფიქსის როლში რ-ს დაკარგვას, რა თქმა უნდა, ხელს შეუწეულია მისი ფუნქციური დატვირთულობა.

ამავე საკითხის დასმისათვის არაა, ვფიქრობ, მნიშვნელობას მოკლებული რ-ს განვითარების პროცესის გათვალისწინება ზეგარულში, რაზედაც თვითონ ავტორი მიუთითებს.

უნდა ვივარაუდოთ, რომ აქცენიურ კომპლექსთა სუპერაციის არაერთი და ორი ფორმა იქნება კიდევ მიკვლეული სხვადასხვა ენაში. ამ ვარაუდს რეალური საფუძველი მოუპოვავ, ჩვენთვის იოლოლოდნელად, გ. როგავამ როტაციზმისებრი სუპერაციის დადგენით მეგრულში.

## ყრუ MEDIAE ქართულში\*

დონი თუ თანი?

სილოვან ხუნდაძის ძლიერი გავლენის გამო<sup>1</sup> ქართულ სამწერლო-ბო ენაში ვნებითი ბრუნვის ტრადიციულ დ-ს გაუჩნდა მეტოქე თ-ს სახით, რომლის ხმარება ჩვენს მწერლობაში იმდენად ჩვეულებრივად შეიქნა, რომ სრულიად არ გვეუცხოება ს. ხუნდაძის შემდეგი სიტყვები: „ვნებით ბრუნვაში თ-ს გარდა კიდევ იხმარება ჩვენს მწერლობაში დაბოლოება დ, მაგალითად: ბავშად, კატად, ბავშებად, კატებად“...<sup>2</sup> ს. ხუნდაძის რეფორმა მისაღებიც რომ არ იყოს, მაინც ფრიად საყურადღებოა, რადგან მან აღნიშნა ბოლოკიდური დ-ს მიდრეკილება თ-საკენ, რამდენადაც ეს თ განსხვავდება დ-საგან თავისი სიყრუით. ამ რეფორმის მოწინააღმდეგენი ისტორიულ ნიადაგზე დგანან, თუმცა ცნობენ, რომ ვნებითი ბრუნვის ბოლოკიდური თანხმონი ხშირად თ-ს მსგავსად წარმოითქმის; მაგალითად, ს. გორგაძე ამბობს: „... ძველად მუდამ იწერებოდა დ-ონით, დღეს კი ცოცხალ კილოებში ეს დონი ალაგ წმინდად შენახულა (ამერეთში), ალაგ თ-ანად ისმის და ზოგანაც რაღაც საშუალო ბგერას წარმოადგენს. ასეთ მდგომარეობაში საკითხის გადაწყვეტა ნხოლოდ ისტორიულსა და მორფოლოგიურ ნიადაგზე შეიძლება, ე. ი. აქ ყველგან უნდა ეწეროთ დაბოლოება დ...“<sup>3</sup>.

ჩვენ ვუიქრობთ, რომ „ისტორიული ნიადაგის“ ნოშველიება არ ენარა, სანამ ზუსტად არ გავითვალისწინებთ იმ ბგერას, რომლის არსებობაც აღნიშნა ს. გორგაძემ და რომელსაც „რაღაც საშუალო ბგერა“ დაარქვა.

## Tenues, aspiratae, mediae

ძველთაგანვე მიღებული ტერმინოლოგიით ქართული მარტივი ხმული თანხმონები შემდეგ ჯგუფებად შეიძლება დალაგდნენ: კ — ტ — ზ

\* დაბეჭდილია ჟურნ. „განათლების“ № 4—5-ში, 1920 წ., გვ. 3—10. იბეჭდება აქ ზოგიერთი შესწორებით.

<sup>1</sup> ვაულისხმობ უმთავრესად მის გრამატიკულ შრომებს.

<sup>2</sup> ქართული გრამატიკა... სილ. ხუნდაძის მიერ შედგენილი, ქუთ., 1917. გვ. 9.

<sup>3</sup> ს. რ. გორგაძე, ქართული მართლწერა, ქუთ., 1916 წ., გვ. 40—41.

tenues (ე. ი. წვრილნი)<sup>1</sup>, კ — თ — ფ aspiratae (ე. ი. ფშვინეიერნი) და გ — ღ — ბ — mediae (ე. ი. საშუალონი). ამ უკანასკნელს უწოდებენ საშუალოს პირველ ორ ჯგუფთან შედარებით. პირველი ორი ჯგუფი ჩვეულებრივ ყრუა; ე. ი. ნათი წარმოების დროს სახმო სიმები არ ეღერს, ხოლო mediae-ს ჯგუფი ჩვეულებრივ ზეღერია, ე. ი. მათი წარმოების დროს ჩვეულებრივ სახმო სიმები ეღერს. მაგრამ იმის მიხედვით, თუ რა ნებობლობაშია თითოეული თანხმოვანი, ე. ი. როგორი ბგერები ჰყავს მას ნებობლად სიტყვაში, ან სიტყვის თავკიდურია ის თუ ბოლოკიდური, — წარმოთქმაში ამა თუ იმ სახეს მიიღებს: ა) ყრუ შეიძლება გამჟღერდეს, მაგ., ერდგული: ამ სიტყვაში თითქოს ღ გვესმის, ერთ-ში ისმის ყრუ თ: აქ ცხადია, რომ წომდევნო მჟღერ გ-ს მასზე გავლენა მოუხდენია; ბ) მჟღერა შეიძლება დაყრუვდეს, მაგ., ეკრეფ: ამ სიტყვაში დღეს ნაწდვილი ფ გვესმის, თუმცა ვიცით, რომ მას იგივე ძირი აქვს, როგორც კრება-ში (ამის შესახებ იხ. ქვემოთ). აქ ჩვენ ვხედავთ ჩვეულებრივ მოვლენას: ზეღერი თანხმოვანი სიტყვის ბოლოში ყრუვდება (შეად. რუს *сад* — წარმოთქმაში *сат*, ან წარმოთქმაში *аиа*). იმ ენებთან შედარებით, რომელთაც ეს უკანასკნელი მოვლენა ახასიათებს (მაგ., რუსული და გერმანული), ქართულში კიდევ ერთი გარემოებაა გასათვალისწინებელი: რუსულსა და გერმანულში დამოუკიდებელ კლასს წარმოადგენს მხოლოდ ორი: 1. *tenues* ანა თუ იმ ოდენობის (ჩვეულებრივ, მცირე) ფშვინით და 2. *mediae* ანა თუ იმ ოდენობის ზეღერობით; ხოლო ამ ორი ჯგუფის სხვადასხვა სახე დამოუკიდებელია სხვადასხვა ნებობლობაზე (იხ. ზემოთ). ქართულში კი *tenues*-ს (კ — ტ — ჰ) ოდნავი ფშვინეაც არ ახლავს, *aspiratae* (ქ — თ — ფ) არსებობენ ჩვეულებრივ სრული ფშვინით, ხოლო მესამე დამოუკიდებელ ჯგუფს წარმოადგენენ *mediae* (გ — ღ — ბ): ამ სამ ჯგუფს შორის არსებითი განსხვავებაა წარმოების მხრით (და აქუსტიკურადაც). შესაძლებელია მჟღერმა გ-მ მჟღერობა დაკარგოს. მაგრამ ასპირაცია კი არ შეიძინოს; მხოლოდ ამის გამო ნამდვილ ქ-დ ის ვერ იქცევა; ვერ იქცევა მხოლოდ ამის გამო ვერც კ-დ, რადგან ქართული კ-ს ბუნება არ განისაზღვრება მხოლოდ უკანაენისმიერობითა და სიყრუით: მისი წარმოების დროს სახმო სიმები სრულიად დახშულია (ანით განსხვავდება ქართული მკვეთრი კ — ტ — ჰ რუსულისა და ევროპული *k — t — p*-საგან). რუსულში კი, მაგალითად, გ რომ დაყრუვდება, ადვილად იცვლება *k*-დ, რადგან მათ შორის, მჟღერობა-სიყრუის გარდა. განსხვავება თითქმის არაა.


აქედან ჩანს, რომ ქართულ სასაუბრო ენაშიც უნდა არსებობდეს გარემოების მიხედვით ისეთი თანხმოვნები, რომელნიც წარმოადგენენ

<sup>1</sup> რადგან ქართული კ — ტ — ჰ არსებითად განსხვავდება ევროპულ (და რუსულ) *k — t — p*-საგან. რომელთაც აგრეთვე *tenues* ეწოდება, ამიტომ მათ ვუწოდებთ „მკვეთრებს“ ანუ აბრუპტივებს. ქართულის მსგავს *tenues*-ს გერმანულად უწოდებენ *reine* ანუ *scharfe Tenues* (იხ. Jespersen, *Lehrbuch der Phonetik*,<sup>3</sup> გვ. 104).

ხსენებულ ჯგუფთა შორის გარდაქვეალ საფეხურს. ასეთი თანხმობები არსებობს და მათ ეწოდება ყრუ media, ე. ი. ყრუ გ—დ—ბ. რადგან ამ შემთხვევაში ჩვენი მსჯელობის საგანს უმთავრესად დ და თ თანხმობები შეადგენს, ამიტომ ჯერჯერობით შეეჩერდებით მათ განხილვაზე.

### ყ რ უ ლ

როგორც ვიცით, ჩვეულებრივი დ (მაგ., დედა-ში) მეღერია და ამასთანავე უფშვინვო. რაც შეეხება თ-ს, ის ჩვეულებრივ არის ყრუ და ამასთანავე სრულ-ფშვინვიერი თანხმობანი (მაგ., სიტყვაში თავი). თუმცა გარემოების მიხედვით შესაძლოა მისი ფშვინვიერობა შემცირდეს, მაგ., შეადარე თ თავ-ში და ეწეროთ-ში. ამ განსხვავებათა მიუხედავად, მათ (დ — თ-ს) საერთო აქვთ წარმოების ადგილი: ორივე იწარმოება წინაენის ზედა კბილებთან და მაგარი სასის ჩამოღმართთან შეხებით; ანტიტომ დ — თ წინაქნისმიერი თანხმობენია. მაგრამ ჩვენი განოკლებით (ხელოვნური სასის საშუალებით) ამ მხრივაც არის მათ შორის განსხვავება: დ-ს წარმოების დროს ენის შეხებით არე ზედა, ვიდრე თ-ს წარმოების დროს. მაშასადამე, ჩვენ შეგვიძლია დ-სა და თ-ს შორის განსხვავება ამგვარი სქენით წარმოვიდგინოთ:



ბოლოკიდური თანხმობის დაყრუების წესის თანახმად, ჩვენ ადვილად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ დ-სა და თ-ს შორის პირველი განსხვავების მოშლა, ე. ი. ამ პირობებში (მაგ., ვნებ. ბრუნვაში) დ დაყრუვდა, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ მეორე განსხვავებაც მოიხსნა; ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მეორე განსხვავების მხოლოდ დასუსტება. რადგან ფიზიოლოგიურად ყრუს უფრო ეთვისება ფშვინვა.

ახლა ჩვენ შეგვიძლია ნათლად წარმოვიდგინოთ ის ბგერა, რომელიც გვესმის ვნებითი ბრუნვის ბოლოში და რომელიც ტრადიციულად დონით გამოიხატებოდა, დღეს კი ზოგნი თანითაც გამოხატავენ:

ის არ არის დ და არც თ; ის არის ბგერა, რომლის ბუნება ამგვარია: წინაენისმიერი, ყრუ, უფშვინვო; მოკლედ: წინაენისმიერი ყრუ media<sup>1</sup>.

ფონეტიკურ ანბანში მას განსაკუთრებული ნიშანი სჭირდება (და აქვს კიდევ ფონეტიკურ ლიტერატურაში), მაგრამ სამწერლობო ენაში პართლწერისათვის ახალი ნიშანი ზედმიტია. პრაქტიკულად საკითხი უნდა გადაწყდეს ასე: ეს ბგერა („ჯ“) უნდა გამოიხატებოდეს იმ ბგე-

<sup>1</sup> დ წარმოითქმის ყრუ media-დ, ვნებითს გარდა, სხვა განსახლებულ პირობებშიც.

რის ასოთი, რომლის პოზიციურ (და ისიც ნაწილობრივს) ცვლილებასაც იგი წარმოადგენს, ე. ი. რომელ ბგერასთანაც მას კავშირი არ გაუწყვეტია: მათ (ღ-სა და ლ-ს) საერთო აქეთ უფშენივნობა. წინაენისშიერი ყრუ media უნდა იწერებოდეს ღონით.

### ღ ი ფ ე რ ე ნ ც ი ა ც ი ა

მე არ შევჩერდები ისეთ შემთხვევებზე, როგორცაა, მაგალითად: მხოლოდ, მარად..., -ზედ და სხვა; თავისთავად ისინიც ფრიად საინტერესო მასალაა კვლევისათვის, მაგრამ დღეს მათი მართლწერა არავითარ ექვს არ იწვევს<sup>1</sup>. აქ შევხვები მხოლოდ ისეთ ფორმებს, სადაც ყრუ media-ს მოველოდით, მაგრამ ასპირატებს (ფშენივეერებს) ვხედავთ. ასეთია, მაგ., ვკრეფ, აღეჟ, დადეჟ და სხვა, სადაც უეჟველია ისტორიულად მჟღერებთან (ბ—გ) გვაქვს საქმე, მაგრამ მორფოლოგიური დიფერენციაციის ძალით ყრუ ფშენივეერები გვაქვს: ვკრეზ და ვკრეფ-ში ერთი და იგივე ძირია (კრეზ/კრეზ), და მათ ძირითადი მნიშვნელოააც ერთი და იგივე აქეთ.

ჩვენ ადვილად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ მათ შორის მნიშვნელობითი განსხვავება იმთავითვე არ არსებობდა და ამიტომ იხმარებოდა მხოლოდ ფორმა კრეზ, სადაც სიტყვის ბოლოში ყრუ media ისმოდა, რომლის გრაფიკული ნიშანი ისტორიულად იყო ზ. როცა ენამ ეს ორი წარმოდგენა ურთიერთისაგან საგრძნობლად განასხვავა, საკირო შეიქნა ეს სხვადასხვაობა გარეგნულადაც გამოხატული ყოფილიყო, ე. ი. ვკრეზ-ს, სადაც ზ ყრუ media იყო, ორი სახე მისცემოდა<sup>2</sup>.

რადგანაც სიტყვის ბოლოში ნორმალურად მჟღერი თანხმოვანი ვერ ძღვბს, ამიტომ დიფერენციაციის მოთხოვნილების დაკმაყოფილება შესაძლებელი იყო ნორმალურად მესამე გვარის წყვილბაგისშიკრის ხმარებით; ეს კი იყო ფშენივეერი ფ. მაშასადამე, მნიშვნელობის დიფერენციაციამ ზოითხოვა ან ხელი შეუწყო მორფოლოგიურსაც; და ამგვარად დღეს რეალურად (და არა ისტორიულად) ჩვენ გვაქვს ორი სხვადასხვა ძირი (ვკრეზ და ვკრეფ); მხოლოდ ამიტომ შეიქნა შესაძლებელი, რომ ვკრეფ-ის ფ, სიტყვის ბოლოში მდებარეობით წარმოშობილი და დიფერენციაციის მოთხოვნილებით განმტკიცებული, გადატანილიყო სიტყვის შიგნით: კრეზა, კრეფს.

რატომ დაუკავშირდა კრეფის მნიშვნელობა ფ-არიან ფორმას და არა ბ-ანიანს? უნდა ვიგულისხმოთ, რომ საერთო ძირითადი მნიშვნელობა ამ ძირისა იყო სიმრავლის და მასთანვე შეგრძობების იდეის გამო-

<sup>1</sup> მათ შესახებ იხ. ნაწ. I, გვ. 244 და სხვაგან.

<sup>2</sup> როგორც ჩანს, ისტორიულ-გრაფიკული ერთსახეობა დაკული იყო იმ დროსაც, როცა მნიშვნელობანი ურთიერთ შორის საგრძნობლად განსხვავდნენ.

ბატვა; ამასთანავე დადასტურებულია ისტორიულად, რომ ამ ძირითადი ადვის გამოხატვა ხდებოდა ბ-ანიანი ფორმით (ვკრებ). დღეს, როგორც ვხედავთ, იმ ძირითად მნიშვნელობასთან ახლოს დგას ვკრებ და არა ვკრეფ. აქედან აშკარაა, რომ მას ფორმაც ძირითადის უნდა შერჩენოდა; ახალი (ფ-არიანი) ფორმა დაუკავშირდა ახლად განვითარებულ მნიშვნელობას.

ამგვარივე ხასიათის მოკლენას ვხედავთ დადექ — ადექში, რაპდენად აქაც დიფერენციაციას აქვს ადგილი. მისი გავლენა მოედო იმ სიტყვებსაც, რომლებიც მასთან დაკავშირებულია ჩვენს ცნობიერებაში ასე, როგორც სძინავს და ღვიძავს, უყვარს და სძულს და სხვა; ესაა დაჯექ და დაწექ ფორმები, სადაც ქ გვაქვს დ-ს და ფ-ს ნაცვლად. ამ უკანასკნელი ფორმების ყოველი სხვაგვარი ახსნა საექვეო იქნება, რადგან ფონეტიკურად დ-სა და ფ-ს ქ-დ ცვლა შეუძლებელია.

პრაქტიკული მართლწერისათვის ჩვენ უნდა ვეცადოთ არ დავარღვიოთ ისტორიულ-მორფოლოგიური ერთსახეობა, თუ ძირითადი მნიშვნელობის დიფერენციაცია არ მომხდარა, ესე იგი, თუ ახალი რეალური ძირი არ შექმნილა. მაგ., ვკრეფ-ში, როგორც აღნიშნული იყო, ახალი რეალური ძირი გვაქვს.

მაგრამ დადეგ-ში არა ჩანს ეს განსაკუთრებული მოთხოვნისებობა. რაც შეეხება დაჯექ-სა და დაწექ-ს, აქ მიხედვლობაში უნდა იქნეს ნიღბული ანალოგიის ძლიერი გავლენა საზოგადოდ ენაში. მაგრამ ფორმები დაჯექ და დაწექ შეგვიძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში მივიღოთ, თუ საერთო ქართულ სასაუბრო ენაში ისინი უფროა გავრცელებული. მართლაც, როცა ჩვენ ვამბობთ დადექ, მაგრამ ვწერთ დადეგ. ეს კიდევ შეიძლება გაეამართლოს (მაგ., ჩვენ ვამბობთ ქქონდა, მაგრამ ვწერთ გქონდა): აქ ადვილია მორფოლოგიური სახის დაცვა, რადგან გ და ქ, წარმოების ადგილისა და სმენითი მთაბუქდრლების მხრით, დიდად არ განსხვავდებიან ურთიერთ შორის. მაგრამ, თუ ქართველთა უმრავლესობა ამბობს დაჯექ და დაწექ-ს, აქ უკვე ძელია მორფოლოგიური ეტიმოლოგიური სახის დაცვა, ე. ი. დაჯედ — დაწედ-ის წერა, რადგან ქ დიდად განსხვავდება ფიზიოლოგიურადაც და აკუსტიკურადაც დ — ვ-საგან.

— .

## „ვ“ ბგერის მავათაჟისი ქართულში \*

თუ ჩვენ დაუჭვირდებით ვ-ს მოძრაობას ქართულში, შევამჩნევთ, რომ იგი სწორად იცვლის ხოლმე ადგილს სიტყვებში; მაგ.: რვა, მაგრამ თვრამეტი (პირველ სიტყვაში ვ მოსდევს რ-ს, ხოლო მეორეში — წინ უძღვის მას); ძველი ხლვა — დღევანდელი ხვლა, შენიშვნა — უნდა იყოს შენიშვნა, ხრავს (იგულისხმება, უნდა გვექონოდა ხრვა), მაგრამ ხვრა და მრავალი სხვა.

როგორც ჩანს, ახალ ქართულში ვ-ს არა აქვს, გარკვეულ მეზობლობაში, თავისი მტკიცე დამოუკიდებელი არტიკულაცია, რის გამოც მას თანხმობანთა ზოგიერთ კომპლექსში ვერ დაუჭერია თავისი საკუთარი ადგილი სიტყვაში. მაგ., სიტყვა თვრამეტი-ს ცოცხალ წარმოთქმაში არა ჩანს გარკვევით, თ-ს მოსდევს ვ თუ რ-ს, თუ ერთსაც და მეორესაც. ჩვენ ეფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში ვ წარმოადგენს წყვილბაგისმიერ (ბილაბიალურ) თანხმობანს, რომელიც აძლევს ბილაბიალურ ელფერს როგორც თ-ს, ისე რ-საც, უფრო მეტად კი თ-ს. მაშასადამე, ამ სიტყვაში ვ გადასწულია.

ვ ბგერის ეს გადასმა (მეტათეზისი) ხდება, როგორც ჩანს, ბგერათა ისეთ კომპლექსში, სადაც თავმოყრილია სამი ან მეტი თანხმობანი, რომელთაგან უკანასკნელია ვ. მაგრამ არც ეს პირობაა საკმარისი იმისათვის, რომ მოხდეს ვ-ს მეტათეზისი. მაგ., ჩვენ გვაქვს მართვა, ხვრახვა, ჩისხვა, ძარცვა და მრავალი სხვა სიტყვა, სადაც ვ-ს მეტათეზისი არ მოხდა, თუმცა ჯგუფში სამი თანხმობანია და მათ შორის უკანასკნელია ვ. ცხადია, კომპლექსში შემავალ თანხმობანთა განსაზღვრული თანამიმდევრობაა საჭირო იმისათვის, რომ ვ-ს გადასმა მოხდეს. ასეთია თანხმობანთა კომპლექსი, რომელშიც კომპლექსის ბოლო ვ-ს წინ უძღვის რ, ლ, მ ან ნ, ხოლო ამათ წინ არის წყვილბაგისმიერი ხშული, წინაენისმიერი თანხმობანი ან უკანაენისმიერი თანხმობანი.

\* იხ. ნაწ. I, გვ. 207.

დაბეჭდილია ქუთნ. „მომავალში“, 1921 წ., გვ. 10—12, სათაური „ჩარცვლის საკითხის გარშემო“. აქ იბეჭდება ზოგიერთი ცვლილებით.



ნიმუშები:

1. წყვილბაგისმიერ ხშულთა მონაწილეობით:

\*ძაბვრა < \*ძაბრვა — \*ძაბრაეს  
დაფვლა < დაფლვა — დაფლაეს  
საპვნა < საპვნა — საპვნაეს.

2. წინაენისმიერ ჩქამიერთა მონაწილეობით:

გაბადვრა < გაბადრვა — გაბადრული  
დათვრა < დათრვა — დათრობა  
გარითვმა < გარითმვა — გარითმაეს  
ნატვრა < ნატრვა — ნატრობს  
ძვრა < ძრვა — ძრაეს  
ქაწვრა < ქაწრვა — ქაწრაეს  
წვნა < წწვა — წწაეს  
მობაზვრა < მობაზრვა — მობაზრული  
წახელა < წახლევა — წახელი < \*წახლული  
ბასვრა < ბასრვა — ბასრაეს  
დახაშვმა < დახაშმვა — დახაშმული.  
დანიშვნა < დანიშვნა — დანიშნაეს

3. უკანაენისმიერ ჩქამიერთა მონაწილეობით:

ჩაგვრა < ჩაგრვა — ჩაგრაეს  
ალაგვმა < ალაგმვა — ალაგმაეს  
ბუქვნა < ბუქვნა — ბუქვნაეს  
ნოოქვრა < ნოოქრვა — ნოოქრული  
კვლა < კლვა — კლაეს  
კვრა < კრვა — კრაეს  
ბაკვმა < ბაკმვა — ბაკმული  
ხვრა < ხრვა — ხრაეს  
ხვნა < ხწვა — ხწაეს  
ნალვმა < ნალმვა — ნალმაეს

ჩქამიერ თანხმოვანთა მეტ-ნაკლები მონაწილეობა კომპლექსში, რასაკვირველია, არ არღვევს კანონზომიერებას: კანონზომიერება დგინდება იმ კომპლექსებში, რომლებიც მოეპოვება ამა თუ იმ ენას. მაგ., იშვიათია ქართულში ჩქამიერთაგან ზ — ფ — ჰ-ს მონაწილეობა, ნეტადრე — პირველისა; აგრეთვე იშვიათად გვაქვს ჯ — ჩ — ჰ-სა და ჟ-ს მონაწილეობა. ცოტაა ნიმუში აგრეთვე თვით სონორი მ-ს მონაწილეობისა.

ამ ნიმუშებიდან ჩანს, რომ ქართულში ფ-ს გადასმა ამ პირობებში მუდამ რეგრესულია, ე. ი. იგი გადაინაცვლებს ხოლმე სიტყვის თავისაკენ (იხ. გვ. 206 და შემდ.).

გვაქვს შემთხვევები ქართულში, როცა გ გადაისმება ცოცხალ წარმოთქმაში ზემოაღნიშნული პირობების გარეშეც (მაგ.: ბექვდა < ბექ-ღვა — ბექღაეს, თხვზა < თხვზა — თხზაეს), მაგრამ ასეთი

შემთხვევები ძლიერ ცოტაა; ზემოხსენებულ პირობებში კი ვ-ს გადასმა აუცილებელია.

რადგანაც თანხმოვანთა ვ-თი გათავებულ კომპლექსებში რ — ლ — მ — ნ-ს წინ შესაძლებელია იდგეს მეტ-ნაკლებად ყველა ექვსი სამეულისა და ყველა სრული წყვილელის წარმომადგენელი, რომ ვ-ს გადასმა მოხდეს, ამიტომ ვ-ს მეტათეზისის წესი შეგვიძლია განვაზოგადოთ შემდეგნაირად:

ჩქამიერი თანხმოვნის მომდევნო რვ — ლვ — მვ — ნვ იცვლება  
ვრ — ვლ — ვმ — ვნ-დ.

გამოსარკვევია ამ ფონეტიკური კანონზომიერების გამომწვევი მიზეზი.

ამ მიზეზს ჩვენ ვხედავთ რ — ლ — მ — ნ-ს სონორობაში, რომელი თვისებითაც ისინი აღემატებიან ჩქამიერ თანხმოვნებს.

ამ სონორობის გამოა, რომ მათ (რ — ლ — მ — ნ-ს) მეტი შესაძლებლობა აქვთ, ვიდრე რომელიმე სხვა თანხმოვანს, იქცნენ მარცვლოვან ბგერებად ისეთ ბგერათა გარემოცვაში, რომელნიც მათზე ნაკლები სონორობისაა (იხ. გვ. 145 და შემდ.). მაგრამ, რადგანაც ქართულს არა აქვს მარცვლოვანი რ — ლ — მ — ნ ფონემები, ამიტომ, ბუნებრივია, იგი გაუბრის მათი ისეთ კომპლექსში წარმოთქმას, სადაც ისინი მარცვლოვნებად უნდა იქცნენ. ზოგჯერ სიტყვათცვლისას რ — ლ — მ — ნ მოექცევიან ხოლმე ასეთ კომპლექსებში; მაგ., სიტყვებში: ბადრს, ნედლს, კიტრს, ოფლს, იფნს, ნალმს რ — ლ — მ — ნ ისეთ გარემოცვაშია, რომ მკაფიო (თითქმის, ხელოვნურ, არაბუნებრივ) წარმოთქმაში ისინი მარცვლოვნებად გვესმის. ბუნებრივ რწყმულ წარმოთქმაში ისინი რედუცირებულია და გვესმის: ბადრს (გაყრუებული რ-თი) ან ბადს (რედუცირების გზით რ დაიკარგა), ადლს (ყრუ ლ) ან ადს, კიტრს (ყრუ რ) ან კიტს, ოფლს (ყრუ ლ) ან ოფს (ნ ყრუა) იფნს (ნ ყრუა) ან იფს და ა. შ.

ესაა რ — ლ — მ — ნ-ს მარცვლოვნად წარმოთქმის არიდების ის ერთ-ერთი საშუალებათაგანი, რომელსაც მიმართავს ხოლმე ქართული ენა.

მეორე საშუალებაა ვ-ს გადასმა, როცა იგი ისეთი კომპლექსის ბოლოსაა, რომელშიც რ — ლ — მ — ნ მარცვლოვნად უნდა წარმოიქცეას. ასეთი კომპლექსებია „თანხმ. + რვ — ლვ — მვ — ნვ“, მაგ.: ძრვა, სლვა, ხაშმვა, ხნვა და სხვა (იხ. ზემოთ ნიშნუები). თითოეულ ამ სიტყვათაგანში რ — ლ — მ — ნ მეტად სონორია, ვიდრე მისი წინმდგომი და მომდევნო თანხმოვანი. მათი მარცვლოვნობის ასარიდებლად ხდება ვ-ს რეგრესული გადასმა; ანგვარად მიღებულ კომპლექსში რ — ლ — მ — ნ აღარ აღემატებიან სონორობით ერთ-ერთ მეზობელ ბგერას, სახელდობრ- მომდევნო ხმოვანს, რის გამოც ისინი წარმოითქმიან უმარცვლო ჩვეულებრივ რ — ლ — მ — ნ-დ.

როგორც ვხედავთ, ვ-ს მეტათეზისის საკითხი ქართულში დაკავშირებულია მარცვლის საკითხთან (იხ. გვ. 142 და შემდ.).

## აბრუპციები ანუ მკვეთრი ხშულები ქართულში (კ—ტ—პ)\*

*Tenuis-mediae*-ს პრობლემის ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს საკითხი იმ ხშულ თანხმოვანთა შესახებ, რომელთაც ქართულად „მკვეთრი“ ვუწოდებთ, ხოლო რუსულად *смычные горные* ჰქვია<sup>1</sup>. ასეთ თანხმოვნებად ითვლება ზოგიერთ ევროპულ ენათა განსაზღვრულ ფონეტიკურ პირობებში მყოფი *k—t—p*. მაგრამ რაც შეეხება თვით *k—t—p*-ს ჩვეულებრივ სახეს, ეს ასე თუ ისე გამორკვეულია თითოეული ენისათვის ცალ-ცალკე: მათ თან ახლავს ამა თუ იმ ოდენობის ასპირაცია. მაგრამ ამოცანას წარმოადგენს *k—t—p*-ს ის სახეები, რომელთა წარმოთქმისას თითქოს ფშვინვას (ასპირაციას) ადგილი არა აქვს. ამ უკანასკნელი ბუნების ხშულნი (= „მკვეთრი“): ა) ევროპულ ენებში დამოუკიდებელ ფონემებს არ წარმოადგენენ, რის გამოც, ბ) მათ ევროპის სამწერლობო ენებში გრაფიკული გამოხატულება არა აქვთ. ქართულში კ—ტ—პ-ს მკვეთრობა აშკარად არის გამოხატული; ისინი დამოუკიდებელ ფონემებს წარმოადგენენ და გრაფიკული ნიშნებიც თავისი აქვთ. ამიტომ ქართული კ—ტ—პ-ს შესწავლას უაღრესი მნიშვნელობა ექნება საზოგადოდ *tenuis-mediae*-ს საკითხის გასაშუქებლად და, კერძოდ, მკვეთრობა საკითხისათვის<sup>2</sup>.

ო. ჟესპერსენის თანახმად, არსებობს ხშულთა ექვსი კლასი: მაგრამ მისი აზრით, თითოეულ ენაში არსებობს მხოლოდ ორი კლასი,

\* იხ. ნაწ. I, გვ. 77 და შემდ.

დაბეჭდილია თბილისის უნივერსიტეტის „მაგბეში“. II, 1922—1923 წწ., გვ. 113—128. სათაურით „მკვეთრი ხშულნი ქართულში“. აქ იბეჭდება მნიშვნელოვანი ცვლილებებით.

<sup>1</sup> O. Jespersen, *Lehrbuch der Phonetik*<sup>2</sup>, Lpz u. Berl. 1913, გვ. 164 და შემდეგ. აქვე შევნიშნავ, რომ ჰ. შუხარდტის მიერ კ—ტ—პ-სთვის მიღებული „ნტიცი“ (*hart*) გულისხმობს კ—ტ—პ-ს „რბილ“ (*weich*) თანხმოვნებად, რაც მიუღებელია ყოველი თვალსაზრისით (იხ. მისი *Über das Georgische*, გვ. 10), 1938 წლიდან მათ ვეძღვით აბრუპციებს (ლათ. *abruptio* 'მოწყვეტა, მოკლეჯა').

<sup>2</sup> ასეთივე თანხმოვნები აქვს ოსურ ენას, რაც კავკასიურ ენათა გავლენით აიხსნება. იხ. აგრეთვე В. М и т е р, *Осетинское письмо*, ч. II, 1892, გვ. 18.

<sup>3</sup> სამგვარი *tenuis*: ა) სრული ასპირაციით, ბ) მცირე ასპირაციით და გ) მკვეთრი.

ურთიერთ შორის მტკიცედ განსხვავებული და სიტყვათა განსასხვავებლად გამოყენებული<sup>1</sup>; მის მიერ რომ მხოლოდ ევროპული ენებია მხედველობაში მიღებული, ამას ამტკიცებს ქართული, სადაც ფაქტობრივ (და გრაფიკულადაც) მტკიცედ განსხვავებულია ურთიერთისაგან ხშულთა სამი კლასი (1. კ — ტ — ძ, 2. ქ — თ — ფ და 3. გ — ღ — ზ) და გამოყენებულია სიტყვათა განსასხვავებლად (1. კარი, ტარი, პარი; 2. ქარი, თარი, ფარი; 3. გარს, ღარს, ზარს).

ამგვარად, ერთი თვალის გადავლებითაც ნათელია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნება ქართულის ხშულთა შესწავლას ზოგადი ფონეტიკისათვის: ის, რაც ევროპულ ენებში ჩანს მხოლოდ გარემოების მიხედვით (და აქა-იქ დიალექტურადაც), ქართულში ნათლად არის გამოხატული და მთელი ენის ბგერათა სისტემას ახასიათებს<sup>2</sup>.

ამჟამად აზრად გვაქვს: ა) გამოვარკვიოთ ქართული კ — ტ — ძ-ს ბუნება სხვა ენის ბგერებთან შედარებით, სახელდობრ, რუსულისა, რომლისაგანაც ამ ერთი საუკუნნახევარის განმავლობაში მრავალი სიტყვა უსესხნია ქართულს, და ბ) გამოვთქვათ რამდენიმე მოსაზრება მკვეთრობის მიზეზებისა და მკვეთრთა წარმოების ფიზიოლოგიურ პირობათა შესახებ.

ნართალია, უკანასკნელი სიტყვა ექსპერიმენტს ეკუთვნის, მაგრამ ჩვენი აზრით, საკმაო ნათელს მოჰუენს ბგერის ბუნების შესწავლას იმის გამოკვლევა, თუ როგორ აღიქვამს თვით ხალხი სხვა ენის ამა თუ იმ ბგერას მშობლიური ენის ბგერებთან შედარებით; ამისათვის კი მდიდარ მასალას წარმოადგენს ნასესხები სიტყვები<sup>3</sup>...

მეცხრამეტე საუკუნიდან დაწყებული ქართულ სასაუბრო ენაში მრავალი სიტყვა შემოვიდა რუსული ენიდან: ზოგი წმინდა რუსული და ზოგიც ევროპული სიტყვა — რუსული ენის გზით; მრავალი ჰათგანი ქართულ სამწერლობო ენაშიც შეიქრა. ჩვენი მიზნისათვის განსაკუთრებით საყურადღებოა, თუ როგორი ბგერითი სახე მისცა თვით ხალხმა თავის სასაუბრო ენაში უცხოურ სიტყვას, როგორ გამოიყენა ქართველმა ხალხმა სესხების დროს საკუთარი ბგერითი მასალა, რომელიც არსებითად განსხვავდება სხვა (ამ შემთხვევაში რუსული) ენის ბგერითი მასალისაგან. ეს შედარება მით უფრო საყურადღებოა, რომ აქ გამოიჩვენა რამდენადმე თვით რუსული ბგერების ხასიათიც.

<sup>1</sup> სამგვარი mediae: ა) ყრუ, ბ) ნახევრადყრუ და გ) ნამდვილი mediae (ხუნ. შრომა. გვ. 103 და შემდ.).

<sup>2</sup> თავისებური k — t — p-ს არსებობა ქართულში აღნიშნული აქვს Sievers-ს (Grundzüge der Phonetik .P. l.pz. 1901, გვ. 141).

<sup>3</sup> დღემდე ამ გზას მიმართავენ ხოლმე უმეტესად ისტორიულ-ფონეტიკურ ძიებაში, ხოლო აღწერილობითი ფონეტიკა მას საკმაო ყურადღებას არ აქცევდა.

რომ აცილოთ, მაგალითად, ისეთი ნასესხები სიტყვა, როგორცაა ლაფათქა (ЛОПАТКА) და მოვიგონოთ, რომ, ზოგი ფონეტიკოსის აზრით, რუსულს მკვეთრი კ—ტ—პ აქვს (მაგ., იგივე დესპერსენი, Lehrbuch... გვ. 104), ორივე ენისათვის საყურადღებო მოვლენას აღმოვაჩინთ: რუსული კ—ტ—პ-ს გადმოტანის დროს ქართველმა ვამოკუნთათვისი ენის სრული ასპირაციის მქონე ქ—თ—ფ და არა კ—ტ—პ: ცხადია, რომ ქართველის ყურისათვის რუსულ კ—ტ—პ-ში საკმაოდ ასპირაცია ისმოდა. უეჭველია, ქართული ასპირატები განსხვავდება რუსული კ—ტ—პ-საგან<sup>1</sup>. მაგრამ ეს განსხვავება იმდენად არსებითი არ არის, რამდენადაც ქართულ კ—ტ—პ-სა და რუსულ კ—ტ—პ-ს შორის: ოდნავი ასპირაციაც კი რომ ახლდეს ქართულ კ—ტ—პ-ს, მაშინ უფრო შესაძლებელი იქნებოდა რუსული კ—ტ—პ-ს ქართული კ—ტ—პ-თი გადმოღება, ვიდრე ქ—თ—ფ-თი, რადგანაც ქ—თ—ფ-ს სრული ასპირაცია აქვს, რაც უიარაღოდაც აშკარად ჩანს. სრულიად მარტივად ექსპერიმენტითაც ადვილად შეიძლება ნათქვამის ნათელყოფა: პირთან ახლოს მიტანილი ასანთის ალი უფრო მეტად გადაიხრება ქ—თ—ფ-ს წარმოების (სკდომის) დროს, ვიდრე რუსულ კ—ტ—პ-ს წარმოებისას; ხოლო ქართ. კ—ტ—პ-ს წარმოების დროს ალი ოდნავაც არ გადაიხრება, რადგან მათ ფშვინვა არ ახლავს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ (და არც მისაღებია) ჰაერის იმ მცირეოდენ მარაგს, რომელიც თვით პირშია და გარეთ გამოირეკება ხოლმე სკდომის ძალით. აქედან დასკვნა: 1. რუსულ კ—ტ—პ-ს მკვეთრი არ ეთქმის; 2. ქართულ კ—ტ—პ-ს ფშვინვა არ ახლავს.

არ შეიძლება აქვე უყურადღებოდ იქნეს დატოვებული ზოგიერთი მკვლევრის მოსაზრება, თითქოს ქართულს (რუს. მეგრულს) თავისებური ჰქონდეს არა კ—ტ—პ, არამედ ქ—თ—ფ<sup>2</sup>. 3. შუხარდტი პირდაპირ ამბობს, რომ ქართველის სძენა ვერ არჩევს თავის კ—ტ—პ-ს რუსული კ—ტ—პ-საგან (იხ. იქვე); მას მოჰყავს ფეჩი (УФЧ) და ფოჩ-ტა<sup>3</sup> (УФТА), სადაც, მისი აზრით, ჰ უნდა ყოფილიყო სიტყვის თავში, მაგრამ მომდევნო ჩ-ს გავლენით ფ-დ იქცა. ავტორის მოსაზრება რომ მართალი იყოს, მაშინ ქართულში უნდა გვექონოდა ფეჩენიე და არა პეჩენიე<sup>4</sup> (УФЧЕНЕ); მეორე მხრით, უნდა გვექონოდა პოპოლია და არა

<sup>1</sup> სალბოსა და სიმაგრიის მზიკ განსხვავებაზე ლაპარაკი აქ ზედმეტია. რადგანაც სამივე ძველი ასოგრაფი-ში „მაგარია“, მაგრამ ქართულში ფშვინვიერებიოთა: გადმოტანის. იხ. А. Иваница. Мусульманские звуки, II том, გვ. 51 და С. Иваница. გვ. 10, სადაც ქ „რბილ“ თანამოვალაა მიჩნეული.

<sup>2</sup> იხ. შუხარდტი, ხსენ შრ, გვ. 10.

<sup>3</sup> ქართულში უფრო ხშირია ფოშტა.

<sup>4</sup> ერთი ამგვარი „გამორაკლია“ ავტორსაც მოჰყავს, სახელდობო კურჩაი. მაგრამ, რამდენადაც ვიცი, ნაღში ქუჩერი-ც წარმოითქმება.

ფოფოლია (попудия), პუდი და არა ფუთი (пуд) და მრავალი სხვა (იხ. ქვემოთ). აქედან, რა თქმა უნდა, იმის დასკვნაც არ შეიძლება, თითქოს ქართული ფ რუსულ II-ს უდრიდეს: აქედან მხოლოდ ისა ჩანს, რომ ქართული პ არსებითად განსხვავდება რუსული II-საგან.

სრულ ნეცდომად უნდა ჩაითვალოს, ჩემი აზრით, აგრეთვე ქ-სათვის სპირანტული ხასიათის მიწერა (ყოველ შემთხვევაში დღევანდელი სასაუბრო ქართულის ქ-სათვის)<sup>1</sup>: სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რუსული ენის X (სპირანტი) ქართულში ჩვეულებრივ ხ-დვე გადმოდის და არც ერთხელ ქ-დ: ხულოჟნიკი, ხაზეინი, ხოლერა და სხვ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ა) ქ—თ—ფ თანაგვარი ბგერებია და ბ) უდრიან იმ სრული ფშენივის ბგერებს, რომელთაც აესპერსენი უწოდებს *bellasene Verschlusslaute*-ს (*Lehrbuch*, გვ. 103).

### რუს. K > ქართ. ქ ან კ

რუსულიდან ქართულში სხვადასხვა დროს და სხვადასხვა წრის მიერ შემოტანილი K-ს მქონე სიტყვებია, მაგალითად, შემდეგი:

ა) K > ქ: დურაქი (дурак), ლაქი (лак), ლაქია (лакѣи), პლატუქი (платок); სალფეთქი (салфетка), სტაქანი (стакан), ტალერქი (тарелка), ქართოფილი (картофель), ქანი (канна), ქუჩერი (кучер), ქუხნა (кучня), ჩოტქი (щетка), ჩულქი (чулок). ძნელია გადაწყვეტით იმის თქმა, თუ ვის მიერ და როდის არის შემოტანილი ეს სიტყვები ქართულ ენაში, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ა) რუსული ენის არმცოდნეთა ან ცუდად მცოდნეთაგან და ბ) უფრო ადრე, ვიდრე

ბ). K > კ: აკოფი (окон), აკოშკა (оконшко), ზაკუსკა (закуска), კონკა (конка), კრიშა (приша), პოლკი (полк), პომოშნიკი (помощник), უჩენიკა (ученик), შკაფი (шкаф) და სხვა მრავალი. მაშასადამე, რუსულ K-ს ქართულში მიუღია ქ-ს ან კ-ს სახე.

გასული საუკუნიდან მოყოლებული რუსული ენა თანდათან სასაუბრო ენად იქცა ქართველთა განათლებული წრეებისათვის: თუ რუსულად მოსაუბრე ძველი ქართველი ინტელიგენტი არ ცდილობდა დაეცვა სწორი ქართული წარმოთქმა, იმ შემთხვევაში, რამდენადაც იგი აღწევდა რუსულის სწორ წარმოთქმას, იმდენად მის მშობლიურ წარმოთქმას რუსული წარმოთქმის ელფერი ეძლეოდა, რაც, უმთავრესად, ქართულ ბგერათა თანდათანი შეცვლის შედეგი იყო რუსულ ენაზე მოსაუბრეთა წრეში. მაგალითად, რუსულის კარგად მცოდნეთა წარმოთქმაში ქართულ ხ-ს შედარებით უფრო წინა არტიკულაცია ახასიათებს. სხვათა შორის, აზგვარად ქართულმა კ — ტ — ჰ-მ თავისი „მკვეთრი“ ხასიათი

<sup>1</sup> იხ. А. Цагарели, ხენ. შრ., გვ 31.

თანდათან იცვალა მათ წარმოთქმაში და რუსულის  $K-T-P$ -ს დაენს-გავსა. ამიტომ ხდებოდა, ჩვენი აზრით, რომ რუსული  $K-T-P$  ქართულში ჩვეულებრივ  $კ-ტ-პ$ -ს სახით გადმოდიოდა; უწინ კი, როცა ქართულ მკვეთრთა ბუნება დაცული იყო,  $კ-ტ-პ$  არ უდგებოდა რუსულ  $K-T-P$ -ს და ამიტომ  $ქ-თ-ფ$ -ს სახით გადმოდიოდა. ხალხში ნამდვილი მკვეთრებია შენახული; ამიტომ, თუ თვით ხალხი (რუსულის ნაკლებ მცოდნე) ისესხებს  $K-T-P$ -ს მქონე სიტყვებს, უმეტესად წარმოთქვამს მათში  $ქ-თ-ფ$ -ს. საკმაო მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს გრაფიკასაც: როდესაც რუსულ ენას ქართველი მასწავლებელი ასწავლიდა, ანბანის რიგის თანახმად ამბობდა:  $K=კ$  და ორივეს ერთნაირად წარმოთქვამდა; ხოლო როცა რუსი ასწავლიდა ქართველ ბავშვებს,  $K$ -სა და  $კ$ -ს განსხვავებულად წარმოთქვამდა, მაგრამ გრაფიკულად მაინც  $K=კ$ . მაშასადამე, ანბანის რიგის თანახმად, რუსულს არ აღმოაჩნდა  $ქ$ , ხოლო ამავე მიზეზით რუსულ  $K$ -ს ნიაწურეს  $კ$ -ს ბუნება... ამგვარად აკუსტიკური წარმოდგენა  $კ$  ბგერისა იცვალა რუსული წარმოთქმის გავლენით, ოპტიკური წარმოდგენა  $კ$  ბგერისა დაუკავშირდა რუსულ  $K$ -ს; აქედან ცხადია, თუ რატომ გვაქვს გადმოტანილი შრატალ შემთხვევაში რუსული  $K$  ქართულ  $კ$ -დ.

ამას უნდა მიემატოს აგრეთვე შემდეგი:

შრატალ შემთხვევაში, როცა ქართულში ჩვენ ეხედავთ  $K=კ$ -ს. რუსულში ეს  $K$  სუფიქსის ელემენტია (ზაბოუნია — *забуनिया*, უჩენია — *учения*, ბოთლიკა — *бутлика*, კარზინკა — *карзинка*). თუ ნოტივობებთ, რომ  $კ$ -ს მქონე სუფიქსები ქართულსაც აქვს (წიგნაკი, ცხენუკა, დედიკო...), ჩვენთვის ცხადი იქნება, რომ აქ ერთგვარ ანალოგიას აქვს ადგილი, რადგანაც  $ქ$ -ს მქონე სუფიქსი ქართულს არა აქვს. მაშასადამე, რუსული  $K$ -ს ჩვეულებრივი მოადგილე ქართულში არაა  $ქ$ ; ხოლო თუ რუსულ  $K$ -ს ქართველი მიიღებს  $კ$ -დ, ეს ხდება მხოლოდ განსაზღვრულ პირობებში, რომელთა საერთო გათვალისწინება ყოველ შემთხვევაში შესაძლებელია. სახელდობრ, ეს პირობები, რომელნიც ხელს უწყობენ  $K$ -ს  $კ$ -ად აღქმას, შესაძლებელია იყვნენ შემდეგი ხასიათისა: ა) ისტორიული (ე. ი. ბგერათა სისტემის თანდათანო ცვლილება რუსული ენის გავლენით), ბ) გრაფიკული (ამ შემთხვევაში ანბანის რიგი და ის გარემოება, რომ რუსულში არსებობს მხოლოდ ერთი ნიშანი ( $K$ ), ხოლო ქართულში ორი  $კ-ქ$ ), და გ) მორფოლოგიური (ქართულში  $კ$  ბგერიანისა და რუსულში  $K$  ბგერიანი სუფიქსების არსებობა).

რუს.  $T >$  ქართ. თ ან ტ .

რუსულიდან ქართულში სხვადასხვა დროს და ამა თუ იმ წრის მეოხებით შემოსული  $T$ -ს მქონე სიტყვებია, მაგალითად, შემდეგი:

ა)  $T >$  თ: ბოთლი (*бутликъ*), თოთა (*тота*), თულუფი (*тулупи*), ლათქა (*латка*), სალდათი (*салат*), ქართოფილი (*картофель*), ჩოტქი (*щетка*) და სხვა.

ამათზე უფრო გვიან, ან რუსულის უკვე კარგად მცოდნეთა მიერ, შემოტანილი უნდა იყოს, მაგ., შემდეგი სიტყვები:

3)  $T > \text{ტ}$ : ზონტიკი (ЗОНТИК), კარტა (КАРТА), სტოლბა (СТОЛБ), სტოლი (СТОЛ), სმეტა (СМЕТА), ტეტრადი (ТЕТРАДА), ტუზი (ТУЗ), შტრაფი (ШТРАФ) და მრავალი სხვა.

მაშასადამე, რუსულ  $T$ -ს ქართულში მიუღია  $\text{თ-ს}$  ან  $\text{ტ-ს}$  სახე. რაც ითქვა ზემოთ  $\text{K} > \text{ქ}$  ან  $\text{კ-ს}$  შესახებ, იგივე ითქვის, *mutatis mutandis*,  $\text{T} > \text{თ}$  ან  $\text{ტ-ს}$  ზედაც. მხოლოდ აქ უნდა აღინიშნოს შემდეგი გარემოება:

ჩვენს ენას არა აქვს ისეთი სუფიქსალური ელემენტი, რომელშიც  $\text{ტ}$  იყოს; რუსულშიც ნაკლებადაა  $T$ -ს მქონე მაწარმოებელი სუფიქსი, მაგრამ მაინც არის, მაგ.: *ОНТЫНЪ, КРЫТЫНЪ, КРАСИВЫТЫНЪ, КРУГОВЫТЫНЪ*. მაშასადამე, ისეთ ანალოგიას, რომელიც რუსულ  $K$ -ს  $\text{კ-დ}$  გადმოტანას ხელს უწყობდა, აქ (ე. ი.  $T$ -ს  $\text{ტ-დ}$  გადმოტანაში) აღვილი არ ექნებოდა. როდესაც რომელიმე რუსულ სიტყვაში, მაგ., *СОСТАТ*-ში, ქართველს რუსული  $T$  ესმოდა, მას უნდა შეჰქმნოდა აკუსტიკური წარმოდგენა მხოლოდ  $\text{თ-სა}$ . რადგან 1) რუსული  $T$ -ს ოდნავი ფშვინვა მოაგონებდა მას ქართულ  $\text{თ-ს}$  და 2) არავითარი ანალოგია სუფიქსალური ელემენტისა არ არსებობდა, რომ  $\text{ტ}$  აღექვა რუსული  $T$ -ს გამგონეს. პირიქით, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ქართულში  $\text{კ-ს}$  მქონე სუფიქსების არსებობა აშკარადობდა რუსულ სუფიქსალურ  $K$ -ს ქართულში  $\text{კ-ს}$  (და არა  $\text{ქ-ს}$ ) სახით. სამაგიეროდ, ქართულში  $\text{სტ}$  კომპლექსის სიხშირე (სტვა, სტუმარი, ნესტიანი...) ხელს უწყობდა რუსული  $\text{CT-ს}$  ქართულში  $\text{სტ-დ}$  გადმოსვლას. მართლაც, ძალიან ხშირად რუსულში  $\text{CT-ს}$  მქონე საიტყვები ქართულში  $\text{სტ-ს}$  მქონედ გადმოდიან: სტოლი, სტაქანი, ზრახტი, -ისტი (გიმნაზისტი) და მრავალი სხვა. ყველაზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ რუსულ (და საერთოდ ყველა ენის)  $\text{CT-კომპლექს-ში}$   $T$ -ს აკლია ფშვინვიერობა მის წინ მდგომი  $\text{C-ს}$  გავლენით. ამიტომ  $\text{CT-ში}$   $T$  უკვე რუსულში უახლოვდება მკვეთრს.

მაშასადამე, აქაც თამამად შეგვიძლია რუსული  $T$ -ს მოადგილედ ქართ.  $\text{თ}$  მივიღოთ; მაგრამ, თუ ჩვენ  $T$ -ს ნაცვლად ქართულში  $\text{ტ}$  გვაქვს, ეს აიხსნება იმავე პირობებით, რომელნიც  $K$ -სათვის იყო მოყვანილი, შესაბამე მუხლის გამოკლებით, მაგრამ სამაგიეროდ ფონეტიკურის მიმართებით (იგულისხმება ისეთი შემთხვევები, როცა  $\text{სტ}$  კომპლექსი ქართულში გვაქვს რუსული  $\text{CT}$  კომპლექსის ნაცვლად).

რუს.  $\text{П} > \text{ქართ. უ ან პ}$

რუსული ენის  $\text{П-ს}$  ქართულში სხვადასხვა დროს სხვადასხვა წრის მიონებით მიუღია ან  $\text{ფ-ს}$  ანდა  $\text{პ-ს}$  სახე, რაც ჩანს შემდეგი მაგალითებიდან:



ა)  $\Pi > \Phi$ : აკოფი ან აკოფა<sup>1</sup> (акѡп), თულუფი (тулѹп), ლამფა (лѡмѡп), ლაფათქა (лѡпѡткѡ), ფარბი (Фѡрѡбѡ სებასთან) სუფი (сѹп), ფას (пѡс), ფეჩი (печѡ), ფოფოლია (пѡпѡдѡн), ფოშტა (пѡчѡтѡ), ფუთი (пѹт) და სხვა.

ბ)  $\Pi > \beta$ : აპეკუნი (ѡпекѹн), პარი (пѡр), პაღოში (пѡдѡшѡ), პეჩენიე (печѡнѡ). პეპელნიცა (пѡпѡлѡнѡ), პოლი (пѡл), პრატაკოლი (прѡтѡкѡლ), პრისტავი (прѡстѡв), სპიჩკა<sup>2</sup> (спѡчкѡ), შპილკა (шпѡлкѡ) და სხვა.

რაც ითქვა  $\kappa$ -სა ან  $\tau$ -ს შესახებ, იგივე რთქნის  $\Pi$ -ს შესახებაც, სათანადო ცვლილებებით. აქ ის გარემოება იქცევს ყურადღებას, რომ რუსული  $\Pi$  თავისთავად უფრო ხშირად იძლევა  $\beta$ -ს ქართულში, ვიდრე  $\kappa$  —  $\gamma$ -სა და  $\tau$  —  $\zeta$ -ს.  $\Pi > \Phi$ -ს მაგალითები რომ ძალიან მცირე იყოს ქართულში, მაშინ იძლებული ვიქნებოდით ერთი ბუნების ბგერებად გვეცნო რუსული  $\Pi$  და ქართული  $\beta$ , და ამიტომ: ან  $\beta$  უნდა გამოგვერიცხა ქართულის მკვეთრთა რიცხვიდან, ანდა რუსული  $\Pi$  სათვის მივეწერა ანგვარი (მკვეთრის) ხასიათი. მაგრამ, ერთი მხრით,  $\Pi > \Phi$ -ს მაგალითები არც ისე უცირვია და, მეორე მხრით, აპრიორულად შეიძლება ვეთქვა, რომ ქართულს უნდა ჰქონდეს მკვეთრი  $\beta$ , ასე ვთქვათ,  $\Phi$ -ს საპირისპიროდ, როგორც  $\gamma$ -სა და  $\zeta$ -ს აქვს  $\chi$  და  $\theta$  სიტყვათა განსახელებლად გამოყენებული (იხ. ზემოთ). რაც შეეუბნა იმას, რომ რუსული  $\Pi$  უფრო ხშირად გადმოდის ქართულში  $\beta$ -ს სახით, თუმცა არც  $\Pi$  რუსულში და არც  $\beta$  ქართულში არ წარმოადგენს სუფიქსალური ნიშნის ნაწილს, — ამას ჩვენ ვხსნით  $\beta$ -ს ნაკლები სიმკვეთრით თვით ქართულში  $\gamma$ -სა და  $\zeta$ -სთან შედარებით; მაშასადამე, თუ ქართული  $\beta$  ნაკლებ მკვეთრია, ამით ის უფრო უახლოვდება რუსულ  $\Pi$ -ს, ვიდრე  $\gamma$  —  $\zeta$  — რუსულ  $\kappa$  —  $\tau$ -ს: ანტიკომ უფრო შესაძლებელი იყო  $\Pi$ -ს  $\beta$ -დ გადმოტანა, ვიდრე  $\kappa$  —  $\tau$ -სი —  $\gamma$  —  $\zeta$ -დ.

რაც შეეხება იმის ახსნას, თუ რატომ არის  $\beta$  ნაკლებ მკვეთრი შედარებით სხვებთან (ე. ი.  $\gamma$  —  $\zeta$ -სთან) ეს შემდეგში მდგომარეობას: სამ ასპირატს ( $\chi$  —  $\theta$  —  $\zeta$ ) შორის  $\zeta$  ყველაზე მეტი ფშვინვით არის ნაწარმოები:  $\zeta$ -ს წარმოების დროს გაცილებით მეტ ჰაერნაკადს ვგრძნობთ ვიდრე  $\chi$  —  $\theta$ -ს წარმოებისას; ეს ჩანს მათი წარმოების დროს ხელისგულის პირთან მიტანითაც: თუ  $\beta$ -ს, ასე ვთქვათ, აკლია მკვეთრობა, სანაგვიეროდ  $\zeta$ -ს ზედმეტი აქვს ასპირაცია, და ამიტომ მათ შორის განსხვავება საკმაოდ არის დაკული სიტყვათა განსახელებლად. ჩვენ რომ იძულებული ვიყოთ პროპორციით გამოვხატოთ, ერთი მხრით,  $\gamma$  —  $\zeta$ -ს დამოკიდებულება შესაფერ ასპირატებთან ( $\chi$  —  $\theta$ ) და, მეორე მხრით,

<sup>1</sup> ან უკანასკნელში ჩანს აგრეთვე ხალხური (ივერული) ეტიმოლოგია: რუსული სიტყვა გააზრიალებულია საკუთარ სახელთან დაკავშირებით (ალბათ, ხეპრობით).

<sup>2</sup> გაპიგონია აგრეთვე სფიჩკა და სპიკა.

პ-სი — ფ-სთან, პროპორცია დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებდა  
კ : ქ = ტ : თ = პ : ფ<sup>1</sup>.

წესაძლეა პ-ს ნაკლები მკვეთრობა საერთო მოვლენა იყოს ყველა  
ენისათვის.

მაშასადამე, აქაც იგივე უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ რუსული  
პ-ს ბუნებრივი მოადგილე ქართულში არის ფ, მაგრამ, თუ გვაქვს  
პ > ფ, ამას ხელს უწყობდა შემდეგი პირობები: ა) ისტორიული,  
ბ) გრაფიკული და გ) „ფონეტიკური“ (იგულისხმე პ-ს ნაკლები  
მკვეთრობა ქართულში).

აღვნიშნავთ აქვე, რომ რუსულიდან ოსურში ნასესხები სიტყვები  
გამოიყენა პროფ. ვს. მილლერმა, სხვათა შორის, ოსურ თანხმომავთა.  
შესწავლის მიზნით (იხ. მისი Осетинские этюды. ч. II, Москва 1982,  
გვ. 16 და შემდ.; აგრეთვე მისი Ossetica, Москва 1907, გვ. 75, 76); ნაგ-  
რამ მილლერმა ვერ გამოარკვია საბოლოოდ ოსურისა და რუსული  
კ — ტ — პ-ს ურთიერთმიმართება, რადგან მის მიერ არ იყო გათვა-  
ლისწინებული 1) წრე, რომელიც სესხულობდა სიტყვას რუსულიდან,  
2) დრო, როდესაც ეს სესხება ხდებოდა და 3) თანდათანობითი ცვლი-  
ლება ოსურ ბგერათა რუსულის გავლენით; ამით აიხსნება ის გარე-  
მოება, რომ არა ჩანს მილლერის შრომებიდან, თუ რატომ გადმოდის  
ზოგჯერ რუსული კ ოსურში კ-ს სახით (ბულკონ — полковник, კურუ-  
ფა — крүпа), ან რუსული პ — მ-დ (პალეთ — палеет); პ ზოგჯერ გად-  
მოდის ფ-დ (კაფუსკა — кафуста, ფოლკ — фольк) და სხვა.

ამგვარად, შეიძლება განხილულიდან შემდეგი დასკვნა გამოვი-  
ტანოთ:

ა. ქართულ კ — ტ — პ-სა და რუსულ კ — ტ — პ-ს შორის არსებითი  
განსხვავებაა;

ბ. განსხვავებაა აგრეთვე ქართულ ქ — თ — ფ-სა და რუსულ  
კ — ტ — პ-ს შორის, მაგრამ ეს განსხვავება არსებითი არაა;

გ. რუსული კ — ტ — პ-ს ჩვეულებრივი მოადგილე ქართულში არის  
ქ — თ — ფ;

დ. როდესაც რუსული კ — ტ — პ-ს ნაცვლად ქართულში გვაქვს  
კ — ტ — პ, მესამე მუხლში მოყვანილი წესის წინააღმდეგ — ამის მიზეზი  
შესაძლებელია იყოს: 1. ისტორიული (სამივე ბგერისათვის), 2. გრა-  
ფიკული (აგრეთვე), 3. მორფოლოგიური (კ > კ-სათვის) და  
4. ფონეტიკური (სტ > სტ-სა და პ — პ-სათვის).

---

<sup>1</sup> ქართული პ რომ ნაკლებ მკვეთრია, მაგალითად, კ-სთან შედარებით, ჩანს,  
სხვათა შორის, ქართულიდან ოსურში გადატანილი სიტყვებიდანაც: ოსური საფონ  
(საპონი), მაგრამ კირო, კამბეც, დეკანოზი და სხვა (В. М и л л е р, Ossetica. გვ. 75...).

რაში მდგომარეობს მკვეთრობის მიზეზი საერთოდ და ქართული კ—ტ--პ-ს მკვეთრობისა კერძოდ?

პ. გუცმანი ფიქრობს, რომ tenuis-სათვის ენის შეხების არე სასასთან ნაკლებია, ვიდრე mediae-სათვის<sup>1</sup>; თუ ამას მივუმატებთ პროფ. ტომსონის მოსაზრებას, რომ შეხების არე ნაკლებია საარტიკულაციო ორგანოთა მეტი დაქიმვის გამო და ამგვარად წარმოებულ ხშულთა სიმკვეთრე ამით აიხსნება<sup>2</sup>, საფიქრებელია, რომ ამ მომენტებში სედავენისინი სიმკვეთრის მიზეზს: ა) საარტიკულაციო ორგანოები მეტად დაქიმულია და ბ) ენის სასასთან შეხების არე ნაკლებია. რაც შეეხება დაქიმულობას, ქართულიდან ცხადად ჩანს, რომ კ—ტ—პ-ს სიმკვეთრეს ეს არ ჰქმნის: თუ თქვენ განზრახული გაქვთ ამათი თქმა, რამდენად მოდუნებულიც არ უნდა იყოს ორგანოები, მშვენივრად ისმის კ—ტ--პ და პირიქით: ორგანოთა ვერავითარი ენერგიული დაქიმვა ვერ აქცევს კ—ტ—ფ-ს ან (ყრუ) გ—ღ—ბ-ს კ—ტ—პ-დ.

კიდევ რომ მივიღოთ ეს პირველი მოსაზრება, მეორე (წესების არის სიმცირე) მაინც არ მართლდება, რაც ნათლად ჩანს მათი პალატო-გრამებიდან, რომლებიც დასახელებულ ავტორთა მოსაზრების სასარგებლო ეფექტს არ იძლევა იმ შემთხვევაშიც კი, როცა განზრახ ენერგიულ არტიკულაციას ვაწარმოებთ თვით ტ-ს წარმოთქმისას: რაც უფრო ენერგიულად ვაწარმოებთ ტ-ს, მით უფრო ფართოდ ეხება წინაენა მაგარ სასას. მაშასადამე, მკვეთრობის მიზეზი ამაში არ მდგომარეობს.

თავის დროზე უკვე ე. ზიერსმა მიაქცია ყურადღება სახმო სიმების მდგომარეობას მკვეთრობა წარმოების დროს. მის აზრს ინიშობს პროფ. მილლერი თავის „Осетинские диалекты“-ში (გვ. 18), სახელდობრ: სახმო სიმების შუა ქუჭრუტანა დაკეტილია მკვეთრობა წარმოთქმის მომენტში: ამის მიუხედავად, ეს საკითხი მათ შემდეგაც სათანადოდ გამოკვლეულად არ ითვლება.

საქმე ის არის, რომ ლარინგოსკოპია არ უდგება ხშულ თანხმოვნებს<sup>3</sup>; ამიტომ როზაპელის ლარინგოსკოპიული დაკვირვება „ფიციურად“ ნაწარმოებ ხშულთა გადამწყვეტი მნიშვნელობისა არ არის<sup>4</sup>, რადგან ამგვარად ჩანს მხოლოდ საწარმოთქმო განზრახვა და არა თვით

<sup>1</sup> Physiologie der Stimme und Sprache, 1909, გვ. 171.

<sup>2</sup> А. Томсон, Общее языкознание<sup>2</sup>, Одеса 1910, გვ. 188.

<sup>3</sup> იხ. ქვემოთ ა. ჩარგეიშვილის მიერ შესრულებული რენტგენოგრაფიული და ლარინგოსკოპიული დაკვირვების შესახებ.

<sup>4</sup> მან დააკვირნა მთქმელს კბილებ შუა „პრობა“ და ამგვარად ათქვევინა *apa, epe* და სხვა; თუმცა ბაგეთა მიხედვით *p* წესიერად ნათქვამი არ გამოდიოდა, სამაგიეროდ, მისი აზრით, სიმები ნამდვილი *p*-სათვის ეწყობოდა, რაც ლარინგოსკოპისათვის მისაწვდომი აღმოჩნდა. იხ. Jespersen, Phonetische Grundfragen, 1904, გვ. 129.

წარმოთქმის ფაქტი. ე. ჰერცოგის თეორიიდან<sup>1</sup> გამომდინარეობს დასკვნა, რომ სიმთა შუა არე შესაძლოა ღიაც იყოს და დახშულიც მკვეთრთა წარმოთქმის მომენტში (ჰაერნაკადის ქვევიდან ზევით დენა რომ შეწყვეტილია, ამას ჰერცოგიც არ უარყოფს, იქვე, გვ. 48). ე. ა. მეფერის გამოკვლევით უფშეინეო p-სათვის სახმო სიმები ცოტაოდნად მაინც დაშორებულია ურთიერთისაგან ( $1/2 - 3/4$  mm.)<sup>2</sup>; მაგრამ, რადგანაც სახმო სიმთა ურთიერთისაგან დაშორების აღნიშვნა შედეგია მხოლოდ p-ს (ფრანგ. და იტალ.) დაკვირვებისა, და ამ ბგერის შესახებ კი უკვე გვექონდა ზემოთ ნათქვამი, რომ შესაძლოა მას ნაკლები მკვეთრობა ჰქონდეს საერთოდ ყველა ენაში, — ამიტომ დანარჩენ მკვეთრთათვის (კ — ტ — ს-სათვის) ჩვენ შეგვიძლია ე. ა. მეფერის დასკვნა სავალდებულოდ არ მივიჩნიოთ, განსაკუთრებით, შემდეგ დაკვირვებათა გამო:

როცა ჩვენ განცალკევებით წარმოთქვამთ კ — ტ — პ-ს, ორგანოთა გახსნის შემდეგ მთქმელს (და ზოგჯერ მსმენელსაც) ესმის კენესისებრი ტკაცანი ყელში; ამგვარი ჩქამი უფრო ცხადად ისმის, თუ ამოუსუნთქველად მრავალჯერ გავიმეორობთ კ — ტ — პ-ს: შეიქველია, რომ ეს თავისებური ტკაცანი გამოწვეულია დახშულ სიმთა სწრაფი გაპობით; ამოუსუნთქველად მრავალჯერ ნათქვამი კ — ტ — პ-ს შემდეგ ეს ტკაცანი უფრო მკაფიოდ იმიტომ გვესმის, რომ სასუნთქში დაგროვილი ჰაერი მტეი სიძლიერით აპობს დახშულ სიმებს.

ამ დაკვირვებას ამტკიცებს აგრეთვე კ — ტ — პ-ს წარმოება მარცვალში, როცა მათ შემდეგ ხმოვანია: მაგალითად, როცა ჩვენ ვამბობთ კა — ტა — პა-ს; კ-სა (ან ტ — პ-ს) და მომდევნო ა-ს შუა ა-ს დაწყებისას, ჩვენ გვესმის ე. წ. „მაგარი შემართვის“<sup>3</sup> მსგავსი ბგერა, რასაც ქართული ასპირატებისა და *maître*-ს შემდეგ აღვილი არა აქვს.

რადგან სახმო სიმების ზემოხსენებული ტკაცანი საკმაოდ კარგად ისმის. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ისიც აღვნიშნოთ, თუ რა თანამიმდევრობაა პირის ორგანოთა მოძრაობასა და სახმო სიმთა ხშვას შორის მკვეთრთა წარმოების დროს: ცნობილია<sup>4</sup>, რომ, მაგალითად, დანიურში სახმო სიმთა გახსნა წინ უსწრებს პირის დაბრკოლების გახსნას; ოსურში კი პირის დაბრკოლება უკვე მოშლილია, როცა სახმო სიმები ჯერ კიდევ ცოტა ხანს დახშულია. ამ მხრით ქართულსა და ოსურს შორის კ — ტ — პ-ს წარმოებაში, როგორც ჩანს, განსხვავება არ უნდა იყოს.

<sup>1</sup> ჰერცოგის თეორია შემდეგში მდგომარეობს: საზოგადოდ *tenues* და *mediae*-ს შორის განსხვავება ემყარება არა ხმის სიმთა დახშვა-გაღებას, არამედ ამომდინარე ჰაერის ტალღის პირის კედლებთან განწყობილებას (*Zur Theorie der Verschlusslaute: Die Neueren Sprachen*, B. XIII, 1905, გვ. 50).

<sup>2</sup> ე. მეფერს გამოკვლევა მოუხდენია თავისებურად გამოყენებული ყელის სარკითა და *Flateau*'-ს ყელს ენდოსკოპით ფრანგულა და იტალიური p-სათვის (*Das Problem der Vokalspannung: Die Neuren Sprachen*, B. XXI, 1913, გვ. 161...).

<sup>3</sup> გერმ. *harter Einsatz*, ფრანგ. *coup de glotte*, რუს. *кρουкий прорыв*.

<sup>4</sup> O. Jespersen, *Phonetische Grundfragen*, 1904, გვ. 120, შენ. 3.

ზემოთ ჩვენ ვთქვით, რომ კ—ტ—პ მკვეთრებია ქართულში, მაგრამ შათ შორისაც განსხვავებაა სინკვეთრის ოდენობის მხრით; ჩვენი აზრით, რამდენადაც ეს ჩანს, სხვათა შორის, ნასესხები სიტყვებიდან, ტ ჩაითვლება ყველაზე მეტ მკვეთრად და პ ყველაზე ნაკლებ მკვეთრად; კ-ს საშუალო ადგილი უკავია. ახლა იბადება ასეთი საკითხი: თუ მკვეთრობის მიზეზი მხოლოდ სახმო სიმთა დახშვაა, რის გამოც ჰაერ-ნაკადის დენა შეწყვეტილია პირის ორგანოთა გახსნის მომენტში, — რით აიხსნება მათ შორის განსხვავება მკვეთრობის ოდენობის მხრივ? თუ ზემოხსენებულია მკვეთრობის ერთადერთი მიზეზი, მაშინ განსხვავება არ უნდა იყოს; მაგრამ, როგორც ზემოთ დავინახეთ, ეს განსხვავება არსებობს. მაშასადამე, საკითხი გადაწყვეტილად ვერ ჩაითვლება, თუ ამ განსხვავების მიზეზიც არ მოინახა. ამის შესახებ შეიძლება ასეთი შესაძლებლობა გამოითქვას: შესაძლოა მკვეთრობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს იმ სისწრაფეს, რომლითაც ხდება პირის დაბრკოლების გახსნა.

ცნობილია, რომ ჰაერის ერთი მთლიანი სწრაფი ჯახების (ТУЛЖАХ) გამო შესაძლოა ბგრის შეგრძნება ტკაცანს წარმოადგენდეს: რადგანაც ტკაცანსა და ჩქამს შორის მრავალი გარდამავალი სათესური არსებობს, ამიტომ ადვილი ასახსნელია განსხვავება კ—ტ—პ-ს შორის მკვეთრობის მხრით, თუკი მკვეთრობას დავუკავშირებთ ჰაერნაკადის სწრაფი ჯახების შეგრძნებას. მართლაც, ჰაერის დენის შეწყვეტა სახმო სიმთა დახშულობის გამო ბუნებრივად მოითხოვს ორგანოთა სწრაფ მოძრაობას; სწრაფი მოძრაობა კი უფრო მეტად შეუძლია წინაენას, ხოლო უფრო ნაკლებად—ბაგეებს. სწორედ ამ რიგზეა, ჩვენი დაკვირვებით, დალაგებული მკვეთრობის ოდენობაც: ტ—კ—პ.

საერთო დასკვნა შეიძლება ამგვარად გამოიხატოს:

1. ქართული ენის კ—ტ—პ არსებითად განსხვავდება მრავალ ენათა k—t—p-საგან; ამ განსხვავებას ჩვენ ვუწოდებთ მკვეთრობას;
2. მკვეთრობის მიზეზი არ მდგომარეობს ენის სასასთან შეხების არის ოდენობაში და, ალბათ, არც საარტიკულაციო ორგანოთა დაქინულობაში;
3. პირის ღრუში კ—ტ—პ-სათვის გახსნის მომენტში სახმო სიმებს შუა კუჭრუტანა დაშულია მცირე ხნის განმავლობაში;
4. შესაძლოა მკვეთრობისათვის მნიშვნელობა ჰქონდეს იმ სისწრაფეს, რომლითაც ხდება პირის საარტიკულაციო ორგანოთა გაპობა, რაც ტკაცანის შთაბეჭდილებას ტოვებს.

მკვეთრის, როგორც ასეთის, წარმოებაში უპირველესი მნიშვნელობა აქვს მესამე მომენტს, — გახსნას.

ა. ჩარგეიშვილის ახალმა დაკვირვებებმა საეხსებით დაადასტურა ჩვენ მიერ 25 წლის წინათ მიღებული შედეგები ბ—ტ—კ აბრუპტივთა ფიზიოლოგიური ბუნების შესახებ<sup>1</sup>. გარდა იმისა, რომ ა. ჩარგეიშვილმა შესაძლებლად დაინახა გამოყენებია როზაპელის ლარინგოსკოპიული მეთოდი (იხ. ზემოთ), მან პირველმა აწარმოვა ამ საკითხზე რენტგენოგრაფიული დაკვირვებაც. საყურადღებოა იმ სიძნელეთა აღწერილობა, რომელთაც წააწყდება ხოლმე მკვლევარი აბრუპტივთა რენტგენოგრაფიულად კვლევისას:

„სახმო სიმების გადაღება რენტგენის სხივებით დიდ სიძნელეს წარმოადგენს. პირველ ყოვლისა, ამ სიძნელეს ქმნის თვით სახმო სიმების ანატომიურ-ფიზიოლოგიური ფორმა და ტოპოგრაფია. ვიწრო ლენტისებრი კუნთმყესოვანი რბილი ქსოვილისაგან შემდგარი პარალელური სახმო სიმები, რომლებიც მდებარეობენ ხორხის ხრტილოვანი კოლოფის სანათურში, რენტგენოგრაფიისათვის ძნელი მისაწვდომია. მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს კონტრასტული ნივთიერების გამოყენების სიძნელე. თუ ამას მიუხედავებთ იმ გარემოებას, რომ ცდის პირად არ გამოდგება ყველა (მაგ.; აწეული რეფლექსების მქონე) ადამიანი, გასაგები იქნება იმ სიძნელეთა კომპლექსი, რომელნიც წინ ელობებიან ამ შემთხვევაში რენტგენოგრაფიულ დაკვირვებას“. მრავალი ცდის შემდეგ, ა. ჩარგეიშვილმა შეიმუშავა რენტგენოგრაფიის მეთოდიკა, რომლის საშუალებითაც მან მაინც მოახერხა დაკვირვების მოხდენა და რომელიც მდგომარეობს შემდეგში:

„ცდის პირს უნდა წაესვას სახმო სიმებზე თხევადი საკონტროლო ნივთიერება—იოდინი. ამის შემდეგ ც. პ. წვება ცალ გვერდზე მოღრეცილად; მოპირდაპირე ბეჭი გადაწეული აქვს ოდნავ უკან, თქო კი წინ; კისერი (ხორხი) უნდა მოექცეს გვერდზე და ოდნავ ქვევით. ც. პირმა სითხის წასმის შემდეგ გადაღებამდე არ უნდა დაახწელოს და საწარმოთქმო ორგანოები დააყენოს გადასაღები თანხმონის შემართვის პოზიციაში. გადაღების ბოლო მომენტში უნდა წარმოსთქვას გადასაღები თანხმონი.“

ამ საშუალებით ჩვენ მივიღეთ სახმო სიმების სურათი: ბ—ტ—კ-ს წარმოთქმის დროს სახმო სიმები დაკეტილი აღმოჩნდა. საკონტროლო სურათში ჩვეულებრივი სუნთქვა აისახა სახმო სიმების სრული ღიაობით, ხოლო ფშვინვიერი ქ-ს წარმოთქმა—მათი ნახევრადღიაობით“ (დართულია შესაფერი სურათები).

ამ აღწერილობიდან ჩანს, რომ არ მოხერხდა სახმო სიმების ისეთი მდგომარეობის ასახვა სურათზე, როდესაც სიმები ღიაა, მაგრამ

<sup>1</sup> იხ. მისი „ქართულის ბ—ტ—კ-ს ბიომექანიკის საკითხისათვის“, 1947 წ. (ხელნაწერი), რომელიც შესრულებულია საქ. მეცნ. აკადემიის აკად. ნ. მარის სახელობის ენის ინსტიტუტში.

..აბრუპტივი მინც წარმოითქმას, რაც ხდება იმ შემთხვევაში, თუ ფილტვებიდან ჰაერნაკადის მოწოდებას ადგილი არა აქვს. მართალია, აბრუპტივები ნორმალურად ასე არ წარმოითქმიან, მაგრამ ასეთი ცდა დაასაბუთებდა დებულებას, რომ აბრუპტივები იწარმოება ნხოლოდ იმ ჰაერის მარაგით, რომელიც პირის ღრუშია, დამოუკიდებლად ფილტვებიდან ამონადენ ჰაერნაკადზე.

რაც შეეხება ნორმალურ აბრუპტივთა წარმოთქმის ბიომექანიკას, ა. ჩარგეიშვილის დასკვნა — სახმო სიმების დაკეტილობის შესახებ — უეჭველია.

ამაზე უფრო მნიშვნელოვანია ა. ჩარგეიშვილის დაკვირვების შედეგი სახმო სიმების სკდომის შესახებ ყოველი აბრუპტივის (აქ პ — ჭ — კ-ს) წარმოთქმისას. აქაც, ვფიქრობთ, საბოლოოდ დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს აბრუპტივის რთულშედგენილიანობა: ხშვა-სკდომა პირში (სათანადო ადგილას) და თითქმის თანაეამიერი (უფრო ზუსტად: დამართვის მომენტში) ხშვა-სკდომა ხორხში (სახმო სიმებში).

ეს შედეგი მიიღო ა. ჩარგეიშვილმა როზაპელის ლარინგოსკოპიული მეთოდით. „ეს მომენტი (იგულისხმება სახმო სიმების სკდომა აბრუპტივთათვის) არა თუ ძალიან წააგავს მეგრული ე-ს მექანიზმს, არამედ იგი ნამდვილად ე არის“, ამბობს იგი.

აბრუპტივის რთულშედგენილიანობის დამადასტურებელ მდიდარ მასალას გვაწოდებს ლატერატების რეფლექსები დალისტნის ენებში (იხ. ქვემოთ გვ. 412).

სახმო სიმების სკდომითი არტიკულაციის ფონეტიკურ ოდენობად მიჩნევას გულისხმობს აგრეთვე ქ. ლომთათიძის მიერ დადგენილი კანონზომიერება შრომაში „ერთი ფონეტიკური კანონზომიერების შესახებ აფხაზურ-აბაზურ დიალექტებში“<sup>1</sup>:

აფხ. (ტაფანტური დიალექტის გამოკლებით) ჭ — ვ — ჭ || ტაფანტური წ — ძ — ც < წი — ძი — ცი.

<sup>1</sup> საჭ. მეცნ. აკადემიის „მოამბე“, ტ. III, № 8: 1942, გვ. 862 და შემდ.

## შენიშვნები ქართულ თანხმოვანთა განდასახვისათვის \*

თავის შრომაში ავტორს (პროფ. ე. პოლივანოვს) განუზრახავს წარმოადგინოს ქართული ენის თანხმოვანთა განდასება (კლასიფიკაცია): „ფსიქო-ფონეტიკური“ ნიშნების მიხედვით. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ტერმინოლოგიური ხასიათის განსხვავებებს, ასეთი განდასება თითქმის სავსებით იგულისხმება აკად. ნ. მარის მრავალ ნაშრომში და დაახლოებით ამგვარივე სქემით ლაგდება ქართული თანხმოვნები. ზოგადი ფონეტიკის კურსში თბ. უნივერსიტეტში, სახელდობრ:

I. ხაზიანობები: პ ბ ფ, ტ დ თ, წ ძ ც, ქ ჯ ჩ, კ გ ქ, ყ --<sup>1</sup>

II. წყვილულები: (ჰ) ვ, ს ზ, შ ჟ, ხ ლ.

III. ცალულები: მ, ნ, რ, ლ, ჯ, ა, პ.

მათ შორის (III-ს გამორიცხვით):

ა. წარმოების გვარობის მიხედვით:

1. ხშულები:

მკვეთრი: პ ტ წ ქ კ ყ <sup>2</sup>

მეღერი: ბ დ ძ ჯ გ —

ყრუ ფშინვიერი: ფ თ ც ჩ ქ ჯ <sup>3</sup>.

2. ხპირანტები:

მეღერი: ვ ზ — ჟ ლ

ყრუ: (ჰ) ს — შ ხ

[მ. აფრიკატები:

სისინა: წ ძ ც

შიშინა: ქ ჯ ჩ]

\* დაბეჭდილია „მიმომხილველში“, I, 1926, გვ. 243—6. წარმოადგენს ე. პოლივანოვის სტატიის („Классификация грузинских согласных“ — Вестник Средне-азиатского унив-та, в. 8. 1925) რეცენზიას.

აქ იბეჭდება თითქმის უცვლელად.

<sup>1</sup> ამ უკანასკნელი სამეულის მეღერი ქართულს აკლია.

<sup>2</sup> ავტორით „ჰამზათიანები“.

<sup>3</sup> ავტორით „ყრუ quasi-ფშინვიერები“.



**ბ. წარმოების ადგილის მიხედვით:**

1. ბაგისმიერნი: კ ბ ფ, — — — (ტ) ვ
2. წინაენისმიერნი: ტ დ თ, წ ძ ც, ს ზ
3. ალვეოლარნი: — — — ქ ჯ ჩ, შ ე<sup>2</sup>
4. უკანაენისმიერნი: კ გ ქ<sup>3</sup> — — — ხ ლ
5. ფარინგალნი: ყ — ჯ<sup>4</sup>.

ასეთია ქართ. თანხმოვანთა ჩვენი განდაება და დაახლოებით ამგვარადვე შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ ავტორისაც, რომელიც თანხმოვნებს სხვა სქემით ალაგებს, რაც თავისთავად არ ჰქმნის განსხვავებას ჩვენსა და მის განდაებას შორის. მაგრამ თანხმოვანთა კვალიფიკაციაში წარმოების რაგვარობისა და ადგილის მიხედვით ჩვენს შორის რამდენიმე ძირითადი განსხვავებაა, სახელდობრ: „მკვეთრთა“, „ყრუ თშვინვიერთა“, „ალვეოლართა“, „უკანაენისმიერთა“ და „ფარინგალთა“ მიზართ.

ჩვენ რომ კ—ტ—წ—ქ—კ—ყ—ს მკვეთრებს ვეძახით, ხოლო პროფ. პოლივანოვი ჰამზათიანებს, აქ მართო ტერმინოლოგიური განსხვავება როდია. რამდენადაც ყოველი ტერმინი, ბოლოს და ბოლოს, შეთანხმების საქმეა, იმდენად შეუძლებელი არაა ჰამზათიანებიც ვუწოდოთ მათ; მაგრამ არ შეიძლება დავეთანხმოთ ავტორს, თითქოს მათი წარმოებისას პირის ხშვას აპობდეს ყელის ხშვის სკდომით ამონაღენი ჰაერნაკადი (გვ. 114). ნამდვილად, ჩვენი დაკვირვებით (იხ. ჩვენი „მკვეთრი ხშულნი ქართულში“, თბ. უნ-ტის მოამბე № 2, 1922—23 წ.)<sup>1</sup>, ჯერ იპობა ხშვა პირში და შემდეგ ყელში: ასეთი თანამინდევრობა სავალდებულოა ქართულის მკვეთრებისათვის. ყელის სკდომა — ტკაცანის გვარად რომ გვესმის—იწყებს მომდევნო ბგერას (უფრო ადვილად გასარჩევია ეს მომენტი, როცა მკვეთოს ხმოვანი მოსდევს). მკვეთრებს ეწოდებთ მათ აკუსტიკური შთაბეჭდილების მიხედვით.

ქართული ფ—თ—ც—ქ—ჩ—ჯ სრულფშვინვიერი ხშულებია, თუკა ურთიერთ შორის ამ მხრივ განსხვავებულნი. ავტორი მათ „ყლავი-ფშვინვიერებს“ ეძახის და განმარტავს, რომ მათ ახასიათებს შესამჩნევად ნაკლები ფშვინვიერობა, ვიდრე, მაგ., გერმანულ, ჩინურ, მონგოლურსა და სხვა ენებში (გვ. 114). რადგანაც სრულიად მარტივი დაკვირვება ცხადყოფს, რომ ქართულის ფშვინვიერებს მეტი ფშვინვა აქვთ, ვიდრე (სალიტერ.) გერმანულისას, ამიტომ შესაძლებელია ვითქვით, რომ ამ მხრივ ავტორი ცდება სხვა ენებთან შედარებაშიც.

---

<sup>1</sup> ავტორით წინაენისმიერნი.  
<sup>2</sup> ავტორით დორსალნი.  
<sup>3</sup> ავტორით „არალრმადუკანაენისმიერნი“.  
<sup>4</sup> ავტორით „ლრმადუკანაენისმიერნი“.  
<sup>5</sup> ახლა აქვე ხეზოთ გვ. 361 და შემდ.

აგრეთვე შეუძლებლად მიგვაჩნია ქ--ჯ--ჩ-ს ეწოდოს წინაენისმიერი ხშულები იმავე აზრით, როგორც წ--ძ--ც-ს და როგორც ტ--დ--თ-ს. თუ ამ ორი ჯგუფის ერთ ჯგუფში მოქცევა კიდევ შესაძლებელია „წინა-ენისნიერის“ სახელწოდებით<sup>1</sup>, ქ--ჯ--ჩ-სათვის იგი გამოუსადეგარია: ამ უკანასკნელთათვის წინაენის ფორმის ცვლა (წ--ძ--ც-სთან შედარებით) აგრეთვე აშკარად ჩანს უბრალო დაკვირვებით. ქ--ჯ--ჩ-ს ჩვენ ვუწოდებთ „ალეოლარებს“ (შეიძლება „სუპრადენტალიც“). ასეთივე სახელწოდება გვაქვს შ--ყ-სათვის. მართალია, ქართ. შ--ყ განსხვავდება რუსული ш--ж-საგან, რომელნიც „მაგარნი“ არიან; მაგრამ აქედან იმის დასკვნაც არ შეიძლება, თითქოს ქართ. შ--ყ „დორსალები“ (რბილები) იყოს, როგორც ეს ავტორს წარმოუდგენია (გვ. 115). შ--ყ-ს ჩვენ ვუწოდებთ ალფეოლარ სპირანტებს, რადგანაც ნაპრალი კეთდება მათთვის იმ ადგილას, სადაც ხშვია ქ--ჯ--ჩ-სათვის. ენის ზურგი კი ოდნავ დაშვებულია.

უკანაენისმიერთა სახელით ჩვენ აღვნიშნავთ კ--გ--ქ-ს და ხ--ლ-ს, თუმცა ხ--ლ უფრო უკან იწარმოება, ვიდრე კ--გ--ქ. ავტორიც კ--გ--ქ-ს „არალრმადუკანაენისმიერს“ უწოდებს, ხოლო, ხ--ლ-სა და ყ--ჭ-ს აერთიანებს ერთ ჯგუფში „ლრმადუკანაენისმიერთა“ სახელით; ნამდვილად კი ყ და ჯ ფარინგალური ხშულებია.

საქმე ის არის, რომ კ--გ--ქ, მართლაც, განსხვავებულია, როგორც ვთქვით, წარმოების ადგილით ხ--ლ-საგან, მაგრამ ორთავე ჯგუფის წარმოება მაინც პირის სფეროში ხდება. რაც შეეხება ყ--ჭ-ს, მათი არტიკულაცია ფარინგსში ხდება. ამიტომ გამოვეყავით ისინი ცალკე ჯგუფად (იხ. ნაწ. I, გვ. 86 და შემდ.).

თანამედროვე ქართულში ჯ იშვიათი ბგერა არისო; იგი ნასესხებულია სხვა იათფეტური ენებიდანო (გვ. 116). ჯ თანამედროვე ქართულში იშვიათი კი არა, მხოლოდ დიალექტურადაა შენახული, მაგ., ხევსურულში; მაგრამ მას სასტიკად იცავს ძველი ქართული. არა მგონია აქედან იმის დასკვნა შეიძლებოდეს, რომ ჯ ქართულში ნასესხებია.

აღსანიშნავია აგრეთვე ავტორის ერთი (მეტი არც აქვს) ისტორიულ-ფონეტიკური შენიშვნა: ქართ. ხ და ლ მას მიაჩნია არქაული. ქ-სა და \*გ (ფარინგალური მქლერი ხშული)-ს ბგერინაცვლად<sup>2</sup>; ავტორი შენიშნავს, რომ სამი არქაული ფარინგალური ხშულისაგან (\*ყ \*გ \*ჯ) მხოლოდ ყ-მ შეინახა ხშულობა, ხოლო \*გ და \*ჯ გასპირანტდნენო; ალბათ, \*გ უფრო ადრე, ვიდრე ქ-ო. (გვ. 116). თუ რატომ გასპირანტდა \*გა

<sup>1</sup> ჩვენ ასევე გვაქვს დალაგებული, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ძ--წ--ც-ს წარმოთქმისას ენისწვერის წინა კიდე ეხება ქვედა კბილებს შიგნიდან (იხ. ნაწ. I, გვ. 83).

<sup>2</sup> \*გ-ში ავტორი გულისხმობს იმ ფარინგალურ მქლერე ხშულს, რომელსაც ჩვენ ახლა აღვნიშნავთ ნიშნით შ (იხ. ნაწ. I, გვ. 83 და შემდ.).

ხოლო \*უ-მ კი შეინახა ხშულობა, ამას ავტორი ხსნის ფიზიოლოგიურად: მჟღერთა ხშვა ნაკლებად ენერგიულია და ამიტომ ისინი ნაკლებ გამძლენი არიანო (იქვე). კიდევაც რომ დავეთანხმოთ ავტორს მის მთავარ დებულებაში (\*გ—\*ჯ > ლ—ხ), არაა გასაზიარებელი მისი ფიზიოლოგიური ახსნა, რადგანაც ცნობილია, რომ ყრუ ასპირატები სუსტია მჟღერებზე: ამიტომ ჯ-ს არანაკლები შესაძლებლობა ჰქონდა გასპირანტებისა. \*გ-ს ადრე გასპირანტებას რომ ვარაუდობს ჯ-სთან შედარებით, ავტორის ერთ-ერთი მოსაზრება იმაში მდგომარეობს, რომ „ხომ მაინც შენახული აქვს ჯ ზოგ (იაფეტ.) ენას, საიდანაც ქართულშიც კი მოხუდა“ (იქვე). ამ მოსაზრებასაც არავითარი საფუძველი არა აქვს ქართულის (რფს). უძველესი ქართულის) მიმართ. ჩვენი აზრით, თუკი „\*გ—\*ჯ—\*უ“-ს დღევანდელი „ლ—ხ—ყ“-ს პროტოტიპებად ვცნობთ, უ-ს მიერ ხშულობის შენარჩუნება აიხსნება მისი სიმკვეთრით: ყოველ მკვეთრ ხშულს შეუძლია გამკვეთრაფრიკატდეს, მაგრამ გასპირანტებისაგან იგი დაცულია, ვიდრე მას მკვეთრობა შერჩენია<sup>1</sup>.



• •

ამ მოვლენის შესახებ იხ. ჩვენი „ოსური ენის ისტორიისათვის“ თბ. უნ-ტის ბოიბტე, ტ. V, 1925. გვ. 316, შენ. 4.

## ხელთა დისიმილაციური გამჟღავნების საკითხისათვის \*

ოსური ენის მასალების მიხედვით დადგენილი ფონეტიკური კანონზომიერება ხ ზ უ ლ თ ა დისიმილაციური გამჟღავნებისა<sup>1</sup> უფრო მნიშვნელოვანი და, ახლა გვგონია, პერსპექტივიანი აღმოჩნდა, ვიდრე მისი დადგენისას იყო საფიქრებელი. მეტადრე სერგი ჟღენტის შრომების („ფონეტიკური შენიშვნები სვანეთის ქართულ წარწერებზე“<sup>2</sup> და „სვანური ფონეტიკის ძირითადი საკითხები“<sup>3</sup>) შემდეგ.

თუ მაშინ ჩვენ გამოვიყენეთ ეს კანონზომიერება მხოლოდ ოსური ენის „გაკავასიურების“ სავარაუდო პერიოდიზაციისათვის, დღეს უკვე უფრო ფართო პერსპექტივები ჩანს მისი გამოყენებისათვის. ერთი მხრით. სვანური ენის უფრო მკიდრო კავშირი—გენეზისური და ნასესხობრივი—სხვა კავასიურ ენებთან, ვიდრე დანარჩენი ქართველური ენებისა (აგრეთვე ოსურთანაც—ნასესხობრივი), ხოლო, მეორე მხრით, ხ ზ უ ლ თ ა დისიმილაციური გამჟღავნების მეტი გავრცელებულობა ქართულ-ქართველურ ენათა იმ პერიოდურულ ენასა და დიალექტებში, რომელნიც ტერიტორიულად მთის კავასიურ ენებს ემიჯნებიან, — ძლიერ დამაფიქრებელი მოვლენებია; მეტადრე, თუ გავითვალისწინებთ, რომ ოსურში — გენეზისურად არაკავასიურ ენაში — დისიმილაციური განჟღერების კანონზომიერება მოქმედებს მხოლოდ აბრუპტივიანი ენბდან ნასესხებ სიტყვებში.

ჯერ კიდევ ამ კანონზომიერების დადგენისას მიექცა ყურადღება, რომ იგი მეტ-ნაკლებად მოქმედებს ხევისურულსა და მთიულურ დიალექტებში (მაგ., ხევის. გურკო, მთიულ. ბატარა, ბატრონი) და სვანურ ენაში (მაგ., ჯაქპარ — ქართ. ჭაქები). როგორც ვ. თოფურაას წიგნიდან<sup>4</sup> და ს. ჟღენტის ხსენებული შრომიდან ჩანს, ამ კანონზომიერების მოქმედება თითქმის ისევე ძლიერი ყოფილა სვანურში, როგორც ოსურში. ჯერ-

\* იხ. ნაწ. I, გვ. 204

<sup>1</sup> იხ. ქვემოთ, გვ. 379.

<sup>2</sup> სტალინის სახელობის თბ. საზ. უნივერსიტის „შრომები“, ტ. XXX/II. 1947, გვ. 430—6,

<sup>3</sup> ხელნაწერი სადოქტორო დისერტაცია.

<sup>4</sup> სვანური ენა, I. ხმნა, 1931, გვ. 60.

ჯერობით ცოტაა მასალები—როგორც სევანურიდან, ისე ქართულის პერიფერიული დიალექტებიდან — იმისათვის, რომ მეტ-ნაკლები დაპარწმუნებლობით გამოითქვას სავარაუდო აზრიც, მაგრამ ამ საკითხის საფუძვლიანად დამუშავებას რომ მნიშვნელოვანი წვლილი შეუძლია შეიტანოს როგორც ენის, ისე დიალექტების ისტორიაში, ეს ექვს გარეშეა.

ამიტომ ვათავსებთ აქ ხსენებულ სტატიას და ახალ თავს „ხზულთა დისიმილაციური გამჟღერება სევანურში“.

### ხზულთა დისიმილაციური გამჟღერება ოსურ ენაში<sup>1</sup>

ოსურმა, წარმოშობით ირანულმა ენამ, საერთოდ შეითვისა კავკასიურ ენათა ბგერითი სისტემა და, ასე ვთქვათ, ფონეტიკურად „გაკავკასიურდა“; ეს მოწმობს ოსური ენის შეგუების ხანგრძლივ პროცესს კავკასიურ ენობრივ სინამდვილესთან; კერძოდ, ოსურმა შეითვისა ლექსიკური მასალა მასთან ხანგრძლივ მეზობლობაში მყოფ სხვადასხვა კავკასიურ ენათაგან. ოსურ ენაში შესულ უცხოურ სიტყვათა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი რაოდენობრივ უპირავეს კავკასიურ ენათაგან შესულთ — საკუთრივ კავკასიური ენებისას ან მათი შუალაობით. „65% (слов в осетинском языке) неизвестного происхождения. Т. е. того, что наирашивается в своем массовом составе на происхождение из яфетических языков“ (ოსური ენის სიტყვათა 65% უცხოები წარმოშობისაა, ე. ი. ისეთისა, რომ ძალაუნებურად აფიქრებინებს კაცს საერთოდ მათს წარმოშობილობას იათეტურ (იგულისხმე — კავკასიურ. კ. ა.) ენათაგან<sup>2</sup>).

აქ ჩვენი მიზანია დავადგინოთ ქართულიდან ოსურ ენაში ნასესხებობათა ფონეტიკური გაფორმების კანონზომიერება, სახელდობრ, „კავკასიურ“ აბრუპტივთა და ფშვინვიერ თანხმოვანთა შემცველი ნასესხები სიტყვების მიმართ.

შევნიშნავთ აქვე წინასწარ, რომ მხედველობაში გვაქვს უმთავრესად ისეთი ნასესხებობანი, რომელნიც გავრცელებულნი არიან ოსურში საერთოდ და არა მხოლოდ სამხრეთ ოსეთის დიალექტებში, სადაც განსაკუთრებით ბევრია უახლესი ნასესხებები სიტყვები<sup>3</sup>.

მოუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ოსური ენის ბგერითი სისტემა საერთოდ ძალიან ახლოა ქართული ენის ბგერითს სისტემასთან,

<sup>1</sup> დაიბეჭდა სტალინის სახელობის თბ. სახ. უნივერსიტეტის „შრომებში“, XVIII, 1941 (გვ. 41—44), სათაურით „ოსური ენის ისტორიისათვის III ხზულთა დისიმილაციური გამჟღერება ოსურში“. აქ იბეჭდება რამდენიმე ნიმუშის დამატებით.

<sup>2</sup> Н. Я. Марр, Осетика — Japhetica, II, ИАН, 1927. გვ. 434, რომელშიც მითითებულია ვ. ი. აბაივის მოხსენებაზე „Некоторые замечания о джуквическом составе осетинского языка“.

<sup>3</sup> ამის შესახებ იხ. В. А. Б а с и н, О языке южных осетин. Языки Северного Кавказа и Дагестана, сб. I, 1932, გვ. 93—95.

განსხვავება მაინც არის მათ შორის: ოსურ ენას აქვს ქართულის ყველა ბგერა და, გარდა ამისა, შემდეგი: ზ, ჳ ხმოვნები, ჟ ჯ ნახევარხმოვნები, ზ და პრერუპტივები π, τ, χ და სხვა<sup>1</sup>.

ოსურ ბგერათა გადმოსაცემად გამოყენებულია ქართული ასოები ოსური ენის პრერუპტივთა გამოსახატავად ვიყენებთ ო. ა ბ ა ე ვ ი ს მიერ (იხ. მისი *Оснaнe элeмeнтy в нaчaлe осетин, афкарек и карачаевцев*, 1933, გვ. 71—89) უკვე ხმარებულ ბერძნულ ასოებს დიაკრიტიკული ნიშნებით.

უნდა ვიფიქროთ, რომ ოსური ენა თავის უფრო ძველ საფეხურზე მეტად განსხვავდებოდა ბგერითი შედგენილობის მხრივ ქართულისაგან — უმთავრესად იმით, რომ ოსურს, როგორც ირანულ ენას, არ უნდა ჰქონოდა იმთავითვე აბრუპტივები და სრულ-ფშვინვიერი თანხმოვნები<sup>2</sup>. ესენი შეითვისა ოსურმა კავკასიური ენების ხანგრძლივი გარემოცვის პირობებში. ამის გამო დროთა განმავლობაში აბრუპტივები ისე ძლიერად დაინერგა ოსური ენის ბგერით სისტემაში, რომ შესაძლებელი შეიქმნა მათი წარმოთქმა ირანული ფენის ოსურ სიტყვებშიც. თანდათან

---

<sup>1</sup> როდესაც ამ ორი ბგერითი სისტემის შედარებაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში ზვაქვს, რა თქმა უნდა, მათი ფონემური შედგენილობა და არა მრავალგვარი ნიჟანის ბგერათკომპლექსებში და დიალექტობრივ არსებული ბგერები, როგორცაა, მაგ., ფარინგალური ასპირატი (კ) ძველი ქართულისა და ცალკეული დიალექტების, სახვალა შორის, ასეთივე ბგერა შევაძინე ოსური ენის დიგორული დიალექტის ცალკეულ სიტყვებში (ლაკვან, ხამოთი).

<sup>2</sup> ვ. ა ბ ა ე ვ ი ს მ. ოსახრება, რომ „ოსური ენის ირანული ფენისათვის იმთავითვე უკან იყო ფშვინვიერი ხშულები“ (*Устaнe нaчaл афкaрек осетинских в осетинских*, 1926, стр. 6—7), მიგვაჩნია სრულიად მართებულად. მაგრამ ვერ დავეთანხმებით მ.ს. თითქოს ოსური ენის „მეთოხე რიგის“ ხშულები სრულიად არაფშვინვიერ იყოს (გვ. 6). ჩვენი დაკვირვებით, ფშვინვა მათ აქვთ, მაგრამ მინიმალური; მათ ამიერიდან პ ო ო რ უ პ ტ ი ვ ე ბ ს ვეძახით. თვით ამ ტერმინისათვის საკიროა შევნიშნო შემდეგი მ. ვ. კ. კავასიური“ ხშულებისათვის, როგორცაა, მაგ., ქართ. პ—ტ—კ—წ—ჭ—ყ, ვხმარობდით ტერმინს „მკვეთრები“, რუსულად იხმარება „свистящие-шипящие“ — „ყელ-ხშულები“, ხოლო ფრანგულად (Rousselot, Principes de phonétique expérimentale. II. Siffles—avulsives. ეს უკანასკნელი არ გავრცელდა; რუსული ტერმინები არ გამოხატავს აინამდგალეს, რამდენადაც „მკვეთრები“ შეიძლება წარმოითქვას სახმო სიმების დიალითაც (იხ. ზემოთ, გვ. 77), რაც შეეხება ტერმინს „მკვეთრი“, რომელსაც ვვალდება გამოხატოს აკუსტიკური შთაბეჭდილება ხსენებულ თანხმოვანთაგან, უხერხულია იმით, რომ გაძნელებულია მისი თარგმნა სხვა ენებზე. ამიტომ მის ნაცვლად ვხმარობთ ტერმინს „აბრუპტივი“ (იხ. ზემოთ, გვ. 78), რომლითაც კარგადაა გამოხატული მკვეთრის წარმოთქმით-სმენითი ნიჟნეულობების ერთობლიობა, სახელდობრ: ხშვაში მონაწილე ორგანოთა ერთმანეთისაგან სწრაფად და მოწყვეტილად დაშორება, რაც აღიქმება ტკაცანის სახით. რაც შეეხება „მეთოხე რიგის“ ხშულებს, მათ ახასიათებს მინიმალური ფშვინვიერობა, ისინი უაქლოვდებიან აბრუპტივებს. ამიტომ შესაძლებლად ლაფინაუთ მათთვის პ ო ო რ უ პ ტ ი ვ ე ბ ი დაგვერქვა.

ნობითი ადაპტაციის ეს პროცესი მელავენდება, ჩვენი აზრით, ოსურ ენაში აბრუპტივთა და ასპირატთა დისიმილაციურ გამეღერებაში.

მომყავს ანბანურ რიგზე ქართულიდან ოსურში შესული რამდენიმე სიტყვა, რომლებიც ამეღავენებენ ამ კანონზომიერებას:

- 1) ირონ. ბარქი, დიგ. ბარკი — ქართ. პარკი
- 2) ირონ. ბარგსქი მარხვა, გლოვა, დიგ. ბარგსკ — ქართ. პარასკევი
- 3) ბატარა (-ლიახვი) — პატარა (-ლიახვი).
- 4) ბგრკა 'ნეხვი, ჩონჩორიკი' — ქართ. პრკე (> ბრკე)
- 5) ბგრქად — ქართ. ბარაქა
- 6) ბეტრე — ქართ. პეტრე
- 7) ირონ. ბიტნა, დიგ. ბეტინა — ქართ. პიტნა
- 8) ბუტრო — ქართ. ფუტურო
- 9) გარაქი — ქართ. კარაქი
- 10) გბრთამ — ქართ. კრთამი
- 11) დიგ. გეთენ, ირონ. ჩეთბნ — ქართ. ქათანი
- 12) გოტოსი — ქართ. კოტოში
- 13) გოცორა — ქართ. კოჩორა
- 14) გოწობი — ქართ. კოჭობი
- 15) გუსტაჟ (-სუადონ) 'გუსტას (წყარო)' — კოსტა
- 16) გუწა ჩინჩახვი — ქართ. კუჭი ("ფრინველის ფაშვი" — საბა)
- 17) გუწზხ 'ურმის შესადგამი' — ქართ. კუჭუქა (ღერო)
- 18) გუწულა 'ჩალიჩი' — ქართ. კუწუწი (ღერო)
- 19) გვგრკო — ქართ. (კ)რკო
- 20) გვგრწგ 'ცელის უკანა ნაწილი' — ქართ. კურწი
- 21) დიქი — ქართ. ტიკი
- 22) საბანტი — ქართ. საფანტი
- 23) ზოკო (> კოზო) — ქართ. სოკო
- 24) ძუცცბგ 'ცუცქვით (ჯდომა)' — ქართ. ცუცქილი
- 25) ირონ. თაბა, დიგ. თაბაი — ქართ. ტაფა
- 26) ირონ. ძგლაკვგ, დიგ. ძილიკუ — ქართ. ქლაკვი
- 27) ჯირკა — ქართ. (ჩუხულიდან) კირკა
- 28) ჯიტრი — ქართ. კიტრი
- 29) ჯუჭი — ქართ. ქუჭი.

ამ ნიმუშების გამრავლება შესაძლებელია არა მხოლოდ ქართულიდან ნასესხები სიტყვებით, არამედ სხვა კავკასიური ენებიდანაც.

წარმოდგენილ მასალაში ნათლად ჩანს შემდეგი ფონეტიკური კანონზომიერების მოქმედება: ნასესხებ სიტყვებში ოსური ენათა თავისი განვითარების გარკვეულ საფეხურზე ვერ იტანს ერთ სიტყვაში ორ აბრუპტივს, resp. ორ ხშულ ასპი-

რატს (აგრეთვე აბრუპტივსა და ასპირატს) და ამიტომ ერთ-ერთ მათგანს ამჟღერებს ხოლმე. ამ კანონზომიერებას ვუწოდებთ დისიმილაციურ გამჟღერებას. საყურადღებოა, რომ ჩვეულებრივ მჟღერდება ხოლმე პირველი აბრუპტივი, resp. ასპირატი სიტყვის თავიდან; მაშასადამე, დისიმილაცია თითქმის ყველგან რეგრესულია.

ბგერათა ასეთს შენაცვლებას საფუძვლად უძევს ტენდენცია — გაიადვილოს მსესხებელმა მისთვის უცხოური ბგერის წარმოთქმა დისიმილაციური შენაცვლებით. უნდა ვითქვოდეთ, რომ კავკასიურ ენებთან პირველდელი ურთიერთობის პერიოდში ოსური ენა, ითვისებდა რა კავკასიური ენებიდან ისეთ სიტყვებს, რომლებშიც იყო ოსურისათვის უცხო აბრუპტივები და სრულ-ფშენვიერი ხშულები, — უნაცვლებდა მათ თავის — წარმოებით უახლოეს — ხშულებს, მაგრამ, როგორც ჩანს, არა განსაზღვრული თანამიმდევრობით. შემდგომში კი, ორენოვნობის გაძლიერებისას, ოსურში შედის კავკასიური ენებიდან სიტყვები მასობრივად, და ოსური ენა ეგუება და ითვისებს კავკასიურ ბგერათა სწორ წარმოთქმას, კერძოდ — აბრუპტივებისა და ასპირატებისას. ამიტომაც, რომ ქართულიდან ოსურში უკანასკნელ ხანებში შესული ასეთხშულებიანი სიტყვები წარმოითქვიან უკვე აღმკვეთურად, ე. ი. უდისიმილაციოდ; მაგ., სამხრეთ ოსეთში ოსურად უკვე ამბობენ პიტნა, ტაფა, პეტრე (ძველი ნასესხებია: ბიტნა, თაბა, ბეტრე), კუპრი, თეფში, ქეტი (ქართ., კეტი) და სხვა [ძველი ნასესხები უნდა ყოფილიყო: — \*გუპრი *guxri*, \*დეფში (ან \*თებში), ჯეტი].

სამართლიანი იქნება აქედან დავასკვნათ, რომ ზემოწარმოდგენილი ოცდაცხრა სიტყვა შეუთვისებია ოსურს ამ სახით ჯერ კიდევ იმ დროს, როცა კავკასიური (კერძოდ, ქართულის) ფონეტიკური სისტემის დამკვიდრება ოსურ ენაში მხოლოდ იწყებოდა ან, ყოველ შემთხვევაში, დამთავრებული არ იყო.

ოსური ბგერითი სისტემის ადაპტაციის პროცესს კავკასიურისასთან ჩვენ ვყოფთ სამ პერიოდად:

პირველი პერიოდია ინდიფერენტულ-უთანამიმდევრო წარმოთქმის პერიოდი კავკასიურ აბრუპტივთა და ასპირატთა ოსურ ენაში; შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ამ პერიოდში ერთ-აბრუპტივიანი ან ერთასპირატიანი სიტყვები წარმოითქმოდნენ ოსურში მჟღერი ხშულით ან პრერუპტივით, უფრო ხშირად კი — ამ უკანასკნელით. მაგ., ქართ. ტარო და თარო (ორივეა შესული ოსურში!) ოსურად წარმოითქმოდა ერთნაირად: ან *ტარო* (უფრო ხშირად), ან *ძარო* (უფრო იშვიათად). რაც შეეხება ორაბრუპტივიან, resp. ორასპირატიან სიტყვათა წარმოთქმას, შეგვიძლია ვივარაუდოთ მეტი თანამიმდევრობა



ამეთ სიტყვათა წარმოთქმაში, რამდენადაც დისიმილაციური პროცესი უკვე ისახებოდა: აქ, ალბათ, შენაცვლება უპირატესად ხდებოდა მეორეი ხშულით.

მეორე პერიოდია თანამიმდევრობითი რეგრესულ-დისიმილაციური გამჟღერების პერიოდი ოსურისათვის ჯერ კიდევ უცხოური ხშულების შემცველ სიტყვაში, რის გადანაშთსაც წარმოადგენს ზემომოყვანილი მასალა (1—30 ნიმუში); ამავე პერიოდში შესაძლოა არსებულიყო, აგრეთვე გადანაშთის სახით, პირველი პერიოდის შემთხვევებიც.

ნესამე პერიოდია, ნასესხები სიტყვების ადეკვატური წარმოთქმის პერიოდი, რომელსაც შეიძლება ეწოდოს აგრეთვე ძველ ნასესხებთა კორექციის პერიოდი; მაგ., დღევანდელი ოსური წარმოთქმა სამხრეთ ოსეთში: პიტნა, ტათა, პეტრე და სხვა.

დისიმილაციური გამჟღერების ცალკეული ნიმუშები (აბრუპტივთა, მაგრამ არა ასპირატთა) აღინიშნა (მოსხენების გამო კამათში) აგრეთვე ქართველურ ენებშიც პროფ. ა. შანიძის, პროფ. ვ. თოფურიას და ს. ელენტიის მიერ [ხევსურ. გურკო, მთიულ. ბატარა, ბატრონი (შეად. მეგრ. პატონი), ქაბუკი, ქაბარკი, შეად. ძვ. ქართ. ქაპუკი, ახ. ქართ. კაპარკი, სვან. ჯაკარ (< ქართ. ქაქები)].

გამოსარკვევია, თუ რამდენად (და როდინდელ) კანონზომიერ მოვლენას წარმოადგენს ეს შემთხვევები ქართველურ ენებში.

### ხშულთა დისიმილაციური გამჟღერება სვანურ მნაში

ჯერ კიდევ 1931 წელს წერდა ვ. თოფურია თავის ხსენებულ წიგნში: „ზემოსვანურ (-ლაშხურ)-ში სგ რომ დისიმილაციის გზითაა წარმოდგარი სკ კომპლექსისაგან<sup>1</sup>, ამას, სხვათა შორის, გვაფიქრებინებს შემდეგიც: ქართულიდან ნასესხებ სიტყვებში არსებულ შქ—შკ—სკ კომპლექსები სვანურს ნიადაგზე შეცვლილია შგ, ხგ-დ: ლაშქარი—ლაშგარი (L.M, XXXI, 2<sub>11</sub>), ზსვ. ლაშგარ (ხშირადაა ლექსებში); კიშქარი—ლაშხ. კიშგარ (СВ.-р. С.10В. 25); კოშკი—კოშგ...; წისქვილი—წისგვილ; სქელი—ზსვ. ლაშხ. სგელ“ (გვ. 65).

აქედან ჩანს, რომ ვ. თოფურიამ პირველმა შეამჩნია ხშულთა დისიმილაციური გამჟღერების ერთი სახეობა სვანურში, სახელდობრ, კონტაქტური (უშუალო მეზობლობითი) პროგრესულ-დისიმილაციური განქღერება.

ვამბობთ „ერთი სახეობა“, რადგანაც, ათი წლის შემდეგ დადგენილი „ხშულთა დისიმილაციური გამჟღერების“ კანონზომიერება;

<sup>1</sup> სახელდობრ, მაგ.: „სგჰ = ლნტ. სკჰ 'მეავე წყალი'; უსგჰა = ლნტ. უსკჰა 'ქვსი'; ლისგდრ = ლნტ. ლისკიდი 'შხერა'“ (იქვე, გვ. 60).

რომელიც მოქმედებს მხოლოდ ხშულების მიმართ (იხ. ზემოთ). ნებას გვაძლევს განვასხვაოთ ვ. თოფურიას მიერ წარმოდგენილ ნიმუშებში ორი ჯგუფი: 1. ლაშგარი — სგელ, ერთი მხრივ, და 2. კიშგარ — კოშგ — წისგვილ, მეორე მხრივ. საკუთრივ სვანური (არა ქართულიდან ნასესხები) ნიმუშების (ისგა, სგიმ, უსგჷა, ლისგდ) ანალოგონს, მართლაც, წარმოადგენს პირველი ჯგუფის (ქართულიდან ნასესხები) ნიმუშები (ლაშგარ — სგელ): აქ დისიმილატორი (ს და შ) და დისიმილირებული (კ და ქ) უშუალო მეზობლობაშია ერთმანერთთან (სკ, შქ); დისიმილაციის ამ კონტაქტურ სახეობას ადასტურებს ს. ჟღენტის მიერ წარმოდგენილი მასალის ნაწილიც: სგანი (სვან. პოეზ. 354,9) < მეგრ. სქანი, შგორ (იქვე, 112,27) < ქართ. შქერი<sup>1</sup>. ამით დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს ის, რაც ვ. თოფურიას მხოლოდ შესაძლებლად („გვაფიქრებინებსო“, იხ. ზემოთ) მიაჩნდა: 1) სვანურში მოქმედებს კონტაქტური დისიმილაციური გამჟღერება, 2) ეს კონტაქტური დისიმილაცია პროგრესულია და 3) ასეთი დისიმილირებისას კომპლექსის პირველი კომპონენტი სპირანტია (ს, შ), მეორე — ხშული (კ, ქ). ამით სვანურის დისიმილაციური გამჟღერების წესი განსხვავებულია ანალოგიური წესისაგან ოსურში, სადაც მოქმედებს 1) დისტანციური (არა უშუალო მეზობლობითი) დისიმილაციური გამჟღერება, 2) ეს დისიმილაცია რეგრესულია და 3) დისიმილატორიც და დისიმილირებულიც ხშული თანხმონებია თითქმის ყოველთვის (გამონაკლისია, ჯერჯერობით, მხოლოდ ზოკო < ქართ. სოკო).

რაც შეეხება მეორე ჯგუფის ნიმუშებს (კიშგარ — კოშგ — წისგვილ და მრავალ სხვას, რაც წარმოდგენილი აქვს ს. ჟღენტს თავის ორივე შრომაში, იხ. ქვემოთ), მართალია, ზოგ მათგანში (მაგ., კიშგარ — კოშგ — წისგვილ) შგ, სგ კომპლექსებთან გვაქვს საქმე, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ მათში მოქმედებს არა კონტაქტურ-პროგრესული სპირანტშემცველი კომპლექსის დისიმილაცია, არამედ დისტანციური (პროგრესულიც და რეგრესულიც, იხ. ნიმუშები ქვემოთ). კიშგარ — კოშგ — წისგვილ-ში რომ დისიმილირებული გ (<კ) გვაქვს, ეს უნდა მიეწეროს არა შკ — ხკ-ს დისიმილაციას, არამედ, უმთავრესად, ჭ — კ-ს (ჭიშკარი), კ — კ-სა (კოშკი) და წ — ქ-ს (წისქვილი) დისიმილაციას. ამას ამტკიცებს მრავალი მაგალითი, სადაც შკ — ხკ კომპლექსები არა გვაქვს, მაგრამ დისიმილაცია მაინც ხდება (მაგ., სვან. ბაპ — პაპა, სვან. ვატ — ქატო, სვან. ქაგ — ქაკი და სხვა).

<sup>1</sup> გამბობთ „ნაწილიც“, რადგანაც ს. ჟღენტსაც ერთი რიგისად მიაჩნია კიშგარ — წისგვილ და ლაშგარ — სგელ — სგანი — შგორ (იხ. მისი „სვანური ფონეტიკის ძირითადი საკითხები“, გვ. 288, ხელნაწ.).

ამგვარად, ვ. თოფურიასი და ს. ქლენტის სვანურზე დაკვირვებებმა გაათართოვს „ხშულთა დისიმილაციური გამეღერების“ კანონზომიერების მოქმედების არც: დისიმილაციური გამეღერება არსებობს არა მხოლოდ დისტანციური (როგორც ოსურში), არამედ კონტაქტურიც; არა მხოლოდ რეგრესული (როგორც ოსურში, თუმცა არის თაბა < ტაფა), არამედ პროგრესულიც; გამეღერების მოქმედებაში მონაწილეობს არა მხოლოდ ხშული (როგორც ოსურში, თუმცა აქაც არის ზოკო), არამედ სპირანტიც; ეს კია, რომ სვანურში სპირანტი შეიძლება იყოს მხოლოდ დისიმილატორი (ოსურში დისიმილირებელიც: ზოკო < სოკო).

მოგვეყავს საანალიზო მასალა ხსენებული შრომებიდან, რა თქმა უნდა, მხოლოდ ნასესხები (ქართულიდან) სიტყვების სახით.

თვალსაჩინოებისათვის ცალ-ცალკეა დალაგებული დისტანციური და კონტაქტური დისიმილაციის ნიმუშები; დისტანციურშიც გამოყოფილია რეგრესული და პროგრესული. კონტაქტური, როგორც ვიცით, მხოლოდ პროგრესულია. არაა მითითებული სვანურის დიალექტები, რომლებშიც გვხვდება მოცემული მასალა.

### 1. ხშულთა დისტანციური ჩამჩახულ-დისიმილაციური გამეღერების ნიმუშები:

- 1) ბალტო — პალტო
- 2) ბაპ — პაპა
- 3) ბატრონი — ბატრონი (მითითებულია პ. ინგოროყვას მიერ გამოცემულ ტექსტზე)
- 4) ბაწკ — პაწკი („ხის გამხმარი წვრილი შტო“)
- 5) ბეტრე — პეტრე (ასევეა ოსურშიც)
- 6) ბირწამაღ — პირწამალი (თოფისა)
- 7) გაკ — კაკალი<sup>1</sup>
- 8) გალტეზ — კალატოზი
- 9) გარყანტ (ლარყანდ) — ყარყატი (ფრინვე.)
- 10) გატ — ქატო
- 11) გირწყალ — კირწყალი
- 12) გოწხირ — კოწხური
- 13) დაიქ — ტაიქი
- 14) დგტა — ტუტა
- 15) ებისკოპოსი — ეპისკოპოსი (მითითებულია პ. ინგოროყვას მიერ გამოცემულ ტექსტზე)

<sup>1</sup> შეად. ნ. მარის სვან. გაკრა 'შოკრილი კაკლისხე' (ИАН, 1915, გვ. 837).

16) ლა-გურკა — წმ. კვირიკეს ეკლესია („ლა თავსართია, ხოლო გჭირკ კვირიკეს სვანური ვარიანტია...“)

17) მადრახ — მათრახი

18) ჯაჭარ — ქაქები

19) ჯგჳკ — ქიქიკი.

## 2. ხუულთა დისტანციური პროგრესულ-დისიმილაციური გამჟღავნების ნიმუშები:

1) კრამიდ — კრამიტი

2) კოსდა — კოსტა (ოსურში რეგრეს.-დისიმილაც., იხ. ზემოთ).

3) კოშგ — კოშკი

4) კუბეც — კუბეცი (< кубен)

5) პრისდავ — პრისტავი (< пристав)

6) სღუბანუ — სტეფანე (დისტანციურ-პროგრესულია ბ-ს მიმართ ხოლო სდ < სტ კონტაქტური დისიმილაციის გამო)

7) ტაბაგ — ტაბაკი

8) ტაშდ — ტაშტი

9) ტახდ — ტახტი

10) ქრისდე — ქრისტე (იხმარება ჩგრესდი-ც)

11) ყანჯჩ — ყანჩა

12) ყაჯ — ყაქი

13) წისგვილ — წისქვილი

14) ქახრაგია — ქახრაკია

15) ქაგ — ქაკი

16) ქიშგარ — ქიშკარი.

## 3. ხუულთა კონტაქტური პროგრესულ-დისიმილაციური გამჟღავნების ნიმუშები:

1) ლაშგარ — ლაშკარი

2) სამხდო — სამხთო

3) სგანი — მეგრ. სქანი

4) სგელი — სქელი

5) სღუბანუ — სტეფანე (იხ. ზემოთ ამავე გვერდზე 2)

6) შგერ, შდრ. — შქერი

საყურადღებოა, რომ, სქ — შქ კომპლექსებს (ლაშგარ — სგანი — სგელ — შგერ, შგორ) გარდა, კონტაქტურ პროგრესულ-დისიმილაციურ გამჟღავნებას ადგილი აქვს აგრეთვე სთ — სტ კომპლექსებში (სამხდო, სღუბანუ).

ცხადია, რომ დისტანციური პროგრესულ-დისიმილაციური გამჟღე-  
რების შემთხვევებიც საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი მასალაში  
(2. №№ 1—16); მაგრამ, თუ მათ გამოვაკლებთ იმ ნიმუშებს, რომლებშიც  
ვ. თოფურიას (და ს. ჟღენტსაც) შეუძლია იგულისხმოს კონტაქტური  
პროგრესული დისიმილაცია (სახელდობრ: კოსდა — კოშგ — პრისდავ —  
ტაშდ — ტახდ — ქრისდე — წისფვილ — ქიშგარ), მაშინ დისტანციური  
პროგრესული დისიმილაციის ნიმუშები ძლიერ შემცირდება; სამაგიეროდ  
გამრავლდება კონტაქტურისა.

ყოველ შემთხვევაში, დისტანციური რეგრესული დისიმილაცია ქარ-  
ბობს (1. №№ 1—19) პროგრესულს — როგორც კონტაქტურს, ისე დის-  
ტანციურს; მეტადრე კონტაქტურს, თუ მის ნიმუშებს არ მიემატება ჩა-  
მოთვლილი რვა ნიმუში (კოსდა — კოშგ...), და დისტანციურს, თუ მის  
ნიმუშებს გამოაკლდება იგივე ნიმუშები; ამ მეორე შემთხვევაში იგუ-  
ლისხმება ვ. თოფურიასი და ს. ჟღენტის მოსაზრების სისწორე კონ-  
ტაქტური პროგრესული დისიმილაციის შესახებ (იხ. ზემოთ). მაშა-  
სადამე, საერთო დასკვნა, დებულების სახით, ასე შეიძლება გამოითქვას:  
სვანურის ხშულთა დისიმილაციურ გამჟღერებაში მოქმედებს როგორც  
რეგრესული, ისე პროგრესული გამჟღერება, და დისტანციურში ქარ-  
ბობს რეგრესული, ხოლო კონტაქტურში — პროგრესული.

## ხმოვნისა და თანხმოვნის ერთმანეთისაგან განსხვავების საკითხისათვის \*

სამეტყველო ბგერათა დაყოფა ორ ჯგუფად — ხმოვნებად და თანხმოვნებად — მომდინარეობს ძველი დროიდან. იმდენად თავალსაჩინოა ხმოვნისა და თანხმოვნის ერთიმეორისაგან განსხვავება, რომ ჯერ კიდევ მეცნიერებამდელი გრამატიკა უდავოდ თვლიდა სამეტყველო ბგერათა ასეთ კლასიფიკაციას<sup>1</sup>. დღესაც — ზოგადისა და ექსპერიმენტული ფონეტიკის მძლავრი განვითარების ხანაში — თითქმის არავინ უარყოფს მას. მიუხედავად ამისა, არ არსებობს საყოველთაოდ მიღებული აზრი იმის შესახებ, თუ რა ჰქმნის განსხვავებას ხმოვანსა და თანხმოვანს შორის და, ნაშასადამე, რას უნდა ემყარებოდეს ხსენებული კლასიფიკაცია.

გამოთქმულია მრავალი ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრი. ყველაზე სწორად შეიძლება ჩაითვალოს მედე-ს აზრი, თუ მას ასეთი სახე მიეცემა: ხმოვანსა და თანხმოვანს შორის ის განსხვავებაა ჩვეულებრივს ხმამალალ მეტყველებაში, რომ ხმოვანი იწარმოება ხმის გამოღებით საწარმოთქმო ორგანოების გარკვეულ მდგომარეობაში შეჩერებისას, ხოლო თანხმოვანი — ხმის ან ჩქამის გამოღებით საწარმოთქმო ორგანოების მოძრაობისას. მართლაც, საწარმოთქმო ორგანოების გარკვეულ მდგომარეობაში შეჩერებისას ბგერის წარმოთქმა გულისხმობს რეზონატორის გარკვეულ მედეგ ფორმასაც და დაუბრკოლებლობასაც — ესაა ხმოვნის წარმოთქმის პირობები; მეორე მხრივ, პირის დაბალ ღრუში ორგანოე-

\* დაბეჭდილია საქ. მეცნ. აკადემიის „მომბეჭში“, ტ. III, № 9, 1942, გვ. 959 — 64, სათაურით „ხმოვნისა და თანხმოვნის ერთმანეთისაგან გენეზისური განსხვავების საკითხისათვის“. აქ იბეჭდება ზოგიერთი ცვლილებით.

<sup>1</sup> მართალია, მაგ., ძველ საბერძნეთში, სადაც ბგერათა („ასოთა“) კლასიფიკაცია საერთოდ მოცემული იყო უკვე V — IV სს., „ნახევარხმოვნებსაც“ (τὰ ἡμίφωνα) ცნობდნენ ხმოვნებისა (τὰ φωνήεντα) და უხმოების (τὰ ἀφωνα) გვერდით, მაგრამ ნახევარხმოვნები (იგულისხმებოდა σ, ζ, ξ, ψ, λ, μ, ν, ρ) და უხმოები წარმოდგენილი იყვნენ ერთ კლასად (τὰ ἀφωνα — თანხმოვნები). დაახლოებით ასევე ჰქონდათ წარმოდგენილი ბგერათა დაჯგუფება ძველ ინდოეთში (IV საუკ.) — იმ განსხვავებით, რომ ნახევარხმოვნებად თვლიდნენ ἰ, ῥ, ἱ და ὑ-ს.

შის საწარმოთქმო მოძრაობა გულისხმობს როგორც დაბრკოლების შექმნას, ისე მის დაძლევას. ნაყოფიერად მიგვაჩნია მკაცრი საზღვრის დადება ხმოვანსა და თანხმოვანს შორის, სახელდობრ, რეზონატორის როლის გახაზვით ხმოვანთა წარმოთქმაში; აგრეთვე — იმ საყურადღებო ფაქტის შემჩნევა, რომ ხმოვნის წარმოთქმაში მონაწილეობს (და ჰქმნის რეზონატორის გარკვეულ ფორმას) პირის კუთხეები (ტუჩების მომრგვალება-გასწვრივობა), ენის ზურგი (წინა-უკანობა) და პირის საფუძველი (ზედა-ქვედაობა), ხოლო პირისეული თანხმოვნის წარმოთქმისას მოქმედებაშია შესაბამისად ერთ-ერთი სამ ორგანოთაგანი (ქვედა ტუჩი, წინაენა, უკანაენა), დანარჩენი ორი კი ნეიტრალურ მდგომარეობაში იმყოფება. ამით დაიძლევა ის სიძნელე, რომელსაც ჰქმნიდნენ ბგერათა კლასიფიცირებისას ნაპრალოვანი თანხმოვნები.

ამგვარად, ხმოვანი და თანხმოვანი განსხვავებული ბგერებია. განსხვავებულია ისინი ყოველ ენაში დროის გარკვეულ მონაკვეთზე, განსხვავებულია მათი ისტორიული განვითარებაც და, ჩვენი აზრით, განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან გენეზისურადაც, ე. ი. მათ შორის ფიზიოლოგიური და სოციალური განსხვავების სათავე მათ გენეზისურ განსხვავებაშია.

ამ უკანასკნელი საკითხის დასმა — და მით უმეტეს მისი გადაჭრა — ერთ-ერთი კარდინალურ საკითხთაგანია საერთოდ მეტყველების წარმოშობის საკითხთა რიგში. მეტიც შეიძლება ითქვას: სამეტყველო ბგერათა წარმოშობის საკითხის გადაჭრას შეუძლია გადამწყვეტი სიტყვა ითქვას საერთოდ მეტყველების წარმოშობის საკითხში, რადგანაც არაფერი ენობრივი არაა ისეთი საერთო რამ ყოველი ენისათვის, როგორც ფიზიკურ-ბიოლოგიური ბგერის გამოყენება სამეტყველო მასალად. ცნობილია მარქს — ენგელსის შემდეგი აზრი:

„... (მატერია) გვევლინება აქ (იგულისხმება: ენაში) ჰაერის მოძრავ ფენათა სახით, ბგერის სახით, — ერთი სიტყვით, მეტყველების სახით“<sup>1</sup>. არათუ გრამატიკული ფორმა, რომლითაც ენები ერთმანეთისაგან ძლიერაა განსხვავებული (ზოგ ენას არც კი აქვს იგი!), არამედ თვით სიტყვის მნიშვნელობაც არ შეიძლება ჩაითვალოს იმდენად სპეციფიკურ მოვლენად ბგერითი მეტყველებისათვის, როგორც სამეტყველო ბგერა.

„... (პირველყოფილი ადამიანები) ლაყობდნენ მხიარულად და დაუდევრად (in den Tag hinein) და ბევრს არ ფიქრობდნენ თითოეული სიტყვის ზუსტ მნიშვნელობაზეო“, — ამბობს დანიის გამოჩენილი ენათმეცნიერი ფესპერსენ.

მაშასადამე, წარმოთქმა-მეტყველების უძველესი საფეხურისათვის არაა აუცილებელი არათუ გრამატიკული ფორმა, არამედ მნიშვნელობაც

<sup>1</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, Немецкая идеология, 1935.

კი. ამიტომ მეტყველების განვითარების პირველი ჩანასახებისათვის ჩვენ ვხმარობთ ტერმინს „წარმოთქმა-მეტყველება“, რითაც გვინდა ვთქვათ, რომ გარკვეულ სტადიაში წარმოთქმა იგივე მეტყველებაა (იხ. ქვემოთ დეიქტიკურისა და სიგნიფიკაციური ფუნქციების შესახებ).

ხმოვნისა და თანხმოვნის ერთმანეთისაგან განსხვავება, ადამიანის განვითარების შორეულ წარსულში, დასტურდება ლოგოპედიის მიერ ენამოშლილობის ზოგიერთი ფორმის განხილვისას; დასტურდება იგი ადამიანის ბგერითი მეტყველების, ე. ი. „წარმოთქმა-მეტყველების“, ჩასახვისთანავე.

ცნობილია, რომ ადამიანში განსხვავებულია, დაზიანების შესაძლებლობის თვალსაზრისით, მის მიერ ფილოგენეზისურად ადრე თუ გვიან შენაძენი. თუ ამ მხრივ შევხედავთ ხმოვანსა და თანხმოვანს, აღმოჩნდება, რომ ისინი სხვადასხვა ხნოვანობის არიან ადამიანის წარმოთქმა-მეტყველების ისტორიაში; მრავალგვარი ენამოშლილობის დროს ზიანდება ჩვეულებრივ თანხმოვნები, ხოლო ხმოვნები—არა, ან ძლიერ იშვიათად. ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საბუთთაგანია ხმოვნების პირველადობის სასარგებლოდ — სწორედ იმავე საფუძვლით, რა საფუძვლითაც წინაენის თანხმოვნების უფრო ადვილად დაზიანება იმით იხსნება, რომ ისინი უფრო გვიანდელი წარმოშობისანი არიან, ვიდრე უკანაენის თანხმოვნები; აგრეთვე ნაპრალოვნები ფილოგენეზისურად უფრო გვიანდელი წარმონაქმია, ვიდრე ხშულები: პირველნი უფრო ადვილად ზიანდებიან, ვიდრე მეორენი.

შესაძლებელია მოვიყვანოთ სხვა მოსაზრებანიც, რომელნიც ამ პირველ, ფრიად მნიშვნელოვან, მოსაზრებას ადასტურებენ.

როგორც ცნობილია, წარმოთქმა-მეტყველების განვითარების პირველი ჩანასახები იგულისხმება სიმღერასთან სინკრეტულად შერწყმული. ამასთანავე მეტად ემოციური, ვიდრე მეტყველების, როგორც ასეთის, დიფერენცირების შემდეგ გვიანდელ სტადიებში. როგორც ერთი (სიმღერასთან კავშირი), ისე მეორე (ემოციურობა) ლაპარაკობს წარმოთქმის იმდროინდელი ხმოვნურობის სასარგებლოდ, რადგანაც ორივესათვის უფრო შესაფერია ხმოვანი, ვიდრე თანხმოვანი.

ბგერითი მეტყველების უეჭველი კავშირის გამო სხეულმოდრაობითს მეტყველებასთან, რაც აგრეთვე ცნობილია, წარმოთქმა-მეტყველებას უნდა ჰქონოდა უმთავრესად დეიქტიკური (მითითებითი) დანიშნულება, რაც უფრო ადვილად შესასრულებელი იქნებოდა, მეტადრე დაშორებულ მანძილზე, ხმოვნით, ვიდრე თანხმოვნით.

იგულისხმება, რომ ამ საფეხურზე წარმოთქმა-მეტყველებას აქვს მხოლოდ დეიქტიკური და არა სიგნიფიკაციური ფუნქცია, რომელიც ვითარდება სხეულმოდრაობითი მეტყველების დასუსტების კვალობაზე. პრიმიტიულ ენათა პოლისემანტიზმი და ამორფულობა წარმოთქმა-მეტყველების დეიქტიკურობის დროინდელი ნაშთი უნდა იყოს, რამდე-



ნადაც მითითებას შეუძლია შეასრულოს, გარკვეულ სიტუაციაში, როგორც სემანტიკური, ისე გრამატიკული ფუნქცია.

ბიოლოგიური ბგერა, რომელიც ადამიანმა თავის ენობრივ შემოქმედებაში გამოიყენა ბგერითი მეტყველების მასალად და რომელიც ამ გზით სოციალური ღირებულებისად აქცია, თავისი გენეზისით ცხოველური ბგერაა, რომელიც ძუძუმწოვრებს ხმოვნისებური აქეთ; მათი ბგერითი რეაქციები აფექტურ მდგომარეობათა გამოსახატავად უმთავრესად სწორედ ხმოვნურია: ზმუილი, ბლავილი, ღმუილი და მსგავსი ბგერები ხმიერია (ჩქამნარევი) და არა უხმო ანუ მხოლოდ ჩქამიერი. მაგრამ იგი მოკლებულია არტიკულაციას და წარმოადგენს დაახლოებით იმ „პრიმიტიულ ხმოვანს“, რომელსაც „არაარტიკულირებულ“, სუსტ ხმოვანს (მაგ., გერმ. e სიტყვაში *Grabe* ‘საჩუქარი’—ალინიშნება e ნიშნით) ეძახიან: ის წარმოადგენს თითქმის მხოლოდ ხმის გამოღებას საწარმოთქმო ორგანოების ინდიფერენტულ მდგომარეობაში. თუ მოვიგონებთ ხმოვნის შემოწყვანილ განსაზღვრას („ხმის გამოღება საწარმოთქმო ორგანოთა გარკვეულ მდგომარეობაში შეჩერებისას“), დავინახავთ, რომ საერთოდ ხმოვანს უღემდე დაცული აქვს თავისი პირვანდლური ხასიათი; ცვლილება, რასაკვირველია, განუცდია ხმოვნებს, თავისი, ასე ვთქვათ, გასოციალურების გამო, სახელდობრ: ხმოვანთა წარმოთქმისას ორგანოთა მდგომარეობა აღარაა ინდიფერენტული, მომხდარა მათი საარტიკულაციო აქტივიზაცია, მაგრამ თანხმოვნისათვის დამახასიათებელი დიფერენცირებული არტიკულაცია ხმოვანს მაინც არა აქვს.

თუ ადამიანის განვითარების განხილულ საფეხურზე — გაადამიანების მიჯნაზე — „წამოთქმა-მეტყველება“ უმთავრესად ხმოვნურია, გაადამიანებულის მეტყველება უკვე თანხმოვნურია უმთავრესად. შეიძლება ითქვას, რომ ადამიანური მეტყველება იწყება დიფერენცირებულ არტიკულაციით, რაც სწორედ თანხმოვნისთვისაა დამახასიათებელი (იხ. ზემოთ). თანხმოვანია, ზღვარს რომ დებს, ამ მხრივ, ცხოველსა და ადამიანს შორის, რამდენადაც არც ერთ ძუძუმწოვარს არა აქვს არტიკულირებული წარმოთქმა, არა აქვს თანხმოვანი.

მეტყველების სიგნიფიკაციური ფუნქცია ამ სტადიის მონაპოვარი უნდა იყოს, რამდენადაც დეიქტიკური მიზნებისათვის თანხმოვნები ნაკლებ გამოსადეგნი არიან: მითითება სუსტდება სხეულმოდრობითი მეტყველების დასუსტებასთან ერთად; ძლიერდება მეტყველების სიგნიფიკაციური ფუნქცია.

ამგვარად, ბიოლოგიურად პირველადია ხმოვანი, ხოლო სოციალურად — თანხმოვანი. ამით აიხსნება, კერძოდ, ხმოვანთა მეტი გამძლეობა ენამოშლილობის შემთხვევებში. თანხმოვანთა პირველადობის შესახებ სხვა კონტექსტში და სხვა საბუთიანობით დასვა საკითხი ა. ვ. დენნიცკაიმ<sup>1</sup>.

<sup>1</sup> А. В. Деницкая, *Чередование гласных в германских языках*, 1937.

ამ ბოლო ხანებში გამოსულ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ საკითხების შესახებ ვაჟოლობთ ჰოლანდიელი ბიოლოგისტ-ენათმეცნიერის ვან გინეკენისა<sup>1</sup> და ვენელი ლოგოპედის ჭროეშელსის<sup>2</sup> მოსაზრებებს. გინეკენის აზრით, კაცობრიობის განვითარების ისტორიაში „ხმოვნებს მეტი მნიშვნელობა აქვთ ახალ ენებში, ხოლო თანხმოვნებს — ძველ ენებში“ და „პირველი სამეტყველო ბგერები ე. წ. წლაპუნა თანხმოვნები უნდა ყოფილიყვნენ“, — ასეთ უძველეს თანხმოვანთა გადმონაშთებს გინეკენი პოულობს კავკასიურ ენებში ლატერატების სახით; კერძოდ, ქართველურ ენებში გვაქვს, მისი აზრით, ძველი ლატერატების მხოლოდ სუროგატები.

გინეკენს მხედველობაში აქვს მხოლოდ, ჩვენი ტერმინოლოგიით, მეტყველების განვითარების მეორე, თანხმოვნური საფეხური (მეორე მისი დებულების შესახებ ჩვენი აზრი იხ. ქვემოთ, გვ. 413. შენ. 1).

რაც შეეხება ჭროეშელსს, მისი აზრით, სამეტყველო ბგერის წარმოშობა დაკავშირებულია კამის პროცესთან. მისი ლოგოპედიური დაკვირვებით, წარმოსახვითი კამა სპობს მეტყველების ზოგიერთ მოშლილობას, მაგ., ენაბლუობას (ლოგონევროზს). ჩვენმა ლოგოპედიურმა პრაქტიკამ არ გაამართლა მისი მეთოდი ლოგონევროზის მკურნალობაში. ნაკლები მნიშვნელობა აქვს ჭროეშელსის „თეორიას“ ენათმეცნიერებაში.



---

<sup>1</sup> J. van Ginneken. Contribution à la grammaire comparée de langues du Caucase, 1938, გვ. 3 და შემდ.

<sup>2</sup> E. Fröschels. Medizinische Beiträge zu einer Theorie der Entstehung der Sprechbewegungen (der artikulierten Sprache). Archives Néerlandaises de phonétique expérimentale, 1939. XV, გვ. 81—91.

## ლიალექტთა შერევის ორი ნიმუში \*

ცნობილია ქართული ენის ორ დიდ დიალექტალურ ჯგუფად დაყოფა: ერთი შეიცავს აღმოსავლურ დიალექტებს, მეორე — დასავლურებს. ასეთი დაყოფის ერთ-ერთ მთავარ საკლასიფიკაციო ნიშნეულ-ობად ითვლება, როგორც აგრეთვე ცნობილია, ფუძის ე და ი ხმოვნების მაასიმირებული ძალა პრევერბთა ხმოვნების მიმართ დასავლურ დიალექტებში — განსხვავებით აღმოსავლურებისაგან, სადაც ამ ხმოვნებს ასეთი ძალა არა აქვთ.

მაგ.: საერთო ქართული (=სალიტერატ.) წ ა ე ა — აღმ. წ ა ე ი და, დასავლ. წ ე ე ი და (ნაწილობრივი ასიმილაცია); აღმ. წ ა ე ე დ ი, დასავლ. წ ე ე ე დ ი (სრული ასიმილაცია); საერთო ქართ. მ ო ე ა — აღმ. მ ო ე ი და, დასავლ. მ ე ე ი და (ნაწილ. ასიმილაცია); აღმ. მ ო ე ე დ ი, დასავლ. მ ე ე ე დ ი (სრული ასიმილაცია).

ამ ნიმუშებიდან ჩანს, რომ საერთო ქართული (იგივე სალიტერატურო) წ ა- და მ ო- პრევერბები უცვლელად ინარჩუნებენ ა და ო ხმოვნებს (წ ა ე ი და, წ ა ე ე დ ი; მ ო ე ი და, მ ო ე ე დ ი) აღმოსავლურში, ხოლო დასავლურში ვერ ინარჩუნებენ, რადგანაც მათ ხმოვნებს იასიმილირებენ (იმსგავსებენ) მომდევნო მარცვლის ი და ე ხმოვნები (წ ე ე ი და, წ ე ე ე დ ი; მ ე ე ი და, მ ე ე ე დ ი).

ი და ე ხმოვნების მაასიმირებული ძალა დასავლურ დიალექტებში აწკარაბა; აგრეთვე ცხადია, რომ ეს ხმოვნები მოქმედებენ პრევერბების როგორც ა-ზე, ისე ო-ზე (გაიგო — გეიგო, დაეცა — დეეცა; მოიგო — მეიგო. მოეგო — მეეგო); აღმოსავლურ დიალექტებში ი და ე ხმოვნები არ მოქმედებენ არც ა-ზე და არც ო-ზე. ამდენად ერთგვარი კანონზომიერი პარალელიზმი გვაქვს ამ მოვლენაში. თუ, მაგ., ვიცით, რომ ამა თუ იმ დიალექტში იხმარება დაეცა, იქ მოსალოდნელია მხოლოდ მოეცა (და არა მეეცა); ხოლო, თუ ვიცით, რომ იხმარება დეეცა, იქ მოსალოდნელია მეეცა და ასე შემდეგ.

მაგრამ, სინამდვილეში, ზემო იმერეთის სოფელთა ერთ ჯგუფში, სახელდობრ, ლიხს გადაღმა, წიფიდან, დაახლოებით, მარელისამდე (მაგ.,

\* დაიბეჭდა საქ. მეცნ. აკადემიის „მოამბეში“, ტ. VII, № 9-10, 1946, გვ. 633-636, სათაურით „დიალექტთა შერევის საკითხისათვის“. აქ იბეჭდება თითქმის უცვლელად.

სოფლებში: წითა, გუდათუმანი, ნებოძირი, ჩილი, ზვარე, დეისი, ღო-  
ლათუმანი და სხვ.) ვხვდებით ი და ე ხმოვნების არაპარალელურ გავ-  
ლენას პრევერბის ა და ო ხმოვნებზე: მაშინ როდესაც ი და ე იასიმი-  
ლირებენ ა-ს, მათ ძალა არა აქვთ ო-ზე: გევიდა, გედევიდა, ჩევეწირე,  
ჩევედი, გეიცემა, გევიგე, დეეკენ, ჩევიტანეთ, წევიდა, გევისტუმრე, დე-  
მემართა (ყველა ამ შემთხვევაში გვაქვს პრევერბები გა-, ჩა-, და-, გადა-,  
წა- > გე-, ჩე-, დე-, წე-, გედე-), მაგრამ: მოვიტანე, მოვიდა, მოიკითხეს,  
მოვიდნენ (მო- პრევერბი); მაშასადამე, იცვალა პრევერბის ა მომდევნო  
ი-სა და ე-ს გავლენით, მაგრამ იგივე ი და ე უძღურნი აღმოჩნდნენ  
ო-ს მიმართ.

ფიზიოლოგიური დასაბუთება იმისა, თუ რატომ გადაურჩა ო ასი-  
მილაციურ გავლენას, ხოლო ა — ვერა, შეიძლება შემდეგნაირად:

ო-ს აქვს სპეციფიკური არტიკულაცია — ლაბიალური, რითაც იგი  
უპირისპირდება ი-სა და ე-ს; ტუჩების მიხედვით ო მომრგვალებულია,  
ხოლო ი და ე — განივი<sup>1</sup>. დაპირისპირებული ხმოვნები ერთმანეთზე  
გავლენას, ბუნებრივია, ისე ადვილად ვერ მოახდენენ.

პირიქით: ა განივ ხმოვანთა რიგისაა (ე. ი. ა ე ი-ს რიგშია); ამი-  
ტომ ე'და ი არ უპირისპირდებიან ა-ს ამ მხრივ და ამის გამო ადვილად  
მოქმედებენ მასზე.

მეტეც შეიძლება ითქვას: ი და ე წინა არტიკულაციის ხმოვნებია,  
ხოლო ო — უკანა არტიკულაციისა; ამდენად ი და ე ამ მხრივაც უპირის-  
პირდებიან ო-ს. რაც შეეხება ქართულ ა-ს, იგი არ ჩაითვლება სავსე-  
ბით უკანა არტიკულაციის ხმოვნად, რადგანაც მისთვის ენა მხოლოდ  
ცოტაოდნად გადაიწევა უკან<sup>2</sup>; ამდენად იგი უფრო ნეიტრალურ ხმოვ-  
ნად ჩაითვლება ამ მხრივ და ამიტომ ისე მკვეთრად ვერ უპირისპირდება  
ი-სა და ე-ს, როგორც ო.

მაშასადამე: ერთი მხრით, ი და ე ორმაგად უპირისპირდება ო-ს:

1) როგორც წინა არტიკულაციისა — უკანისას და 2) როგორც მოუმრ-  
გვალებელი — მომრგვალებულს; ორივე დაპირისპირება მკვეთრადაა გა-  
მოხატული.

მეორე მხრით, იგივე ი და ე მხოლოდ ცალმაგად უპირისპირდე-  
ბა ა-ს, როგორც წინა — უკანას, და ამიტომ დაპირისპირება სუსტადაა  
გამოხატული.

გავლენას რომ ექნეს ადგილი, ამისათვის პირველ შემთხვევაში სა-  
ჭიროა დაიძლიოს ორი მკვეთრი დაპირისპირება, ხოლო მეორე შემთხვე-  
ვაში — მხოლოდ ერთი, და ისიც სუსტი დაპირისპირება. აქედან გასაგე-

<sup>1</sup> გ. ახვლედიანი, ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები. თბი-  
ლისი, 1938, გვ. 156.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 158, და ს. ჟღენტო, ქართული ვოკალიზმი, საქ. მეცნ. აკადემიის  
„მთაბე“ ტ. VIII, № 4, 1947.

ბია, თუ რატომ დაემორჩილა გავლენას ასე ადვილად ა, მაგრამ არ დაემორჩილა ამ გარემოში ჯერჯერობით ა.

ჩვენ განზრახ გავხაზეთ ამ გარემოში (იგულისხმება ზემოთ დასახელებული ტერიტორია) და ჯერჯერობით, რადგანაც საერთოდ დასავლურ დიალექტებში თ-ც უკვე ჩაბმულია ი-სა და ე-ს მასიმილირებელი გავლენის სფეროში (იხ. ზემოთ).

მაგრამ მხოლოდ ფონეტიკური პროცესის (აქ ი-სა და ე-ს მასიმილირებელი გავლენა ა-ზე და უმისობა თ-ზე) ფიზიოლოგიური დასაბუთება ვერ გაარკვევს, თუ რატომაა ასეთი განსხვავება ამ რამდენიმე სოფლის თქმასა და დანარჩენ დასავლურ დიალექტებს შორის, ე. ი. თუ რატომაა, საერთოდ, დასავლ. დიალექტებში მევიდა, მევედი, ხოლო ამ გარემოში — მოვიდა, მოვედი (წევიდა-სა და წევედი-ს გვერდით).

ექვს გარეშეა, რომ აქ საქმე გვაქვს დიალექტთა შერევის ერთ ფონეტიკურ ნიმუშთან: ხსენებული სოფლები მდებარეობენ ქართლურისა და ზემო იმერულის მიჯნაზე.

უეჭველია აგრეთვე, რომ ამ შერეული დიალექტის სახით ჩვენ გვაქვს გაიმერულებული ქართლური დიალექტი, და არა პირიქით — გაქართლურებული იმერული დიალექტი. ეს უკანასკნელი უნდა გამოირიცხოს შემდეგი უბრალო მოსაზრებით: იმერული მეი-( < მოი-) რომ გაქართლულდებულიყო, უნდა გვექონოდა მოი- და მასთან ერთად წაი-, რადგანაც აქ არც ასინილაციას ექნებოდა ადგილი და არც სხვა რაიმე ფონეტიკურ კანონზომიერ ცვლილებას: აქ გვექნებოდა ქართულში დაცული ისტორიულად და ეტიმოლოგიურად სწორი პრევერბის განზოგადება, ფონეტიკურ გარემოცვაზე დამოუკიდებლად.

თავისთავად ცხადია, რომ ასეთი დასკვნა გულისხმობს ფუძის ხმოვანთა პრევერბის ხმოვნებზე მასიმილირებელი გავლენის შედარებით ადრინდელობას. როგორც ჩანს, ეს რეგრესული ასიმილაციური მოვლენა, რომელიც დასავლეთ იმერეთიდან უნდა მომდინარეობდეს, ჩამდგარი ფონეტიკური ფაქტია იმერეთში, შესაძლოა, უკვე XVI საუკუნეზე ადრე: ჩვენს ნარევე დიალექტში მან მოალწია გვიან — ალბათ, არა უადრეს XVIII საუკუნისა<sup>1</sup>.

ჩვენ მოსაზრებათა საბუთად გამოდგება, ნაწილობრივ მაინც, ნახუშტის ცნობა<sup>2</sup>:

„ხოლო კვალად სურამის დასავლით, ლიხის მთის საშუალსა შინა, არს დაბა ფონა. ამ ფონას გასდის ჩხერიმელის მდინარე და

<sup>1</sup> დიალექტთა შერევის პროცესი ჯერაც არაა დაზოგვრებული ამ თქმაში: ინი: მიხედვით, თუ რა ზომის იქნება წიგნურ ენას გავლენა მასზე, იგი სავსებით გაქართლურდება ან გაიმერულდება, კერძოდ, ჩვენს პაერ აღნიშნული მოვლენის მხრივ.

<sup>2</sup> ეახუშტში, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია). თბ., 1941. გვ. 82, 155.

წილის დასავლეთ-სამკრეთ შუა მებოძირის ზეითამდე. მას ქვეით დაბის ქვაბამდე არს ქართლისა (გახაზულია ჩემ მერ — გ. ა.)... არს ვერტყვილამდე ქართლისა, და უწოდებენ ვერტყვილიდამ ნადაბურანდე გეფინის-ქვესა. და მას ზვით არს ულუმბის მონასტრისა, არამედ აწ მიხმული აქუს იმერთაგან... ხოლო ვერტყვილას და ამაშუკეთს შუა არს მცირე მთა, მისრული კოლბეურის მთამდე, და ესე არს ხაზღვარი ქართლ-იმერთა აწინდელი...“ (გვ. 82). „...ჩხერს ზეით არს გზა ქართლს მიმავალი, მოსაკიდელი სივიწროვისათვის წოდებული, ვახანანდის... ვახანს არს ციხე კარგი. ამ ციხის პირისპირ დაბა ქვაბი. ანას ზეით მებოძირი, რომლის ზემოთი დავსწერეთ ქართლზედ, მთას იქითად“ (გვ. 155).

მართალია, ვახუშტის ცნობაში ლაპარაკია უმთავრესად პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ საზღვრებზე, მაგრამ მაინც შეგვიძლია ვიგულისხმოთ ირიბი მითითება ენობრივ (დიალექტალურ) ურთიერთობაზე; ამ მხრივ მეტადრე საყურადღებოდ მიგვაჩნია „აწ მიხმული აქუს იმერთაგან“: მაშასადამე, ადრინდელი სამფლობელო ქართლისა.

ჩვენი შერეული დიალექტის საზღვრებზე, კერძოდ, მიუთითებს ჩენი ერთ-ერთი მთქმელის (გაბო თიკანაშვილის, 66 წლისა) შემდეგი ცნობა: ვახანს იქეთ ქართლელებს გვეძახიან და ქოჩორას (ლიხს) იქეთ იმერლებსო (საუბარი გვექონდა სოფ. ზვარეში, შერეული დიალექტის, დაახლოებით, ცენტრში).

დიალექტთა შერევის მეორე (არათონეტიკურ) ნიმუშად, ვფიქრობ, გამოდგება -უშანი-ით დაბლოებული სოფლის სახელები, რომლებიც გავრცელებულია, სხვათა შორის, ჩვენი ნარევი დიალექტის ტერიტორიაზე:

გუდათუმანი (რუკაზე: გუდათუმანი), ლოლათუმანი (რუკაზე შეცდომით: გოჯათუმანი), გოლათუმანი (რუკაზე: გოლათუმანი), ბეჯათუმანი (რუკაზე: ბეჯათუმანი) და სხვა.

-უშანი ეს იგივე უშანია, რომელიც ხმარებაშია ქართლ-კახეთში, მაგრამ იმერეთში თითქმის აღარ. იხმარება, თუ არ წიგნურში ან წიგნურიდან გავრცელებულ სოფლის სახელწოდებებში (მაგ., ვაზისუმანი, გვერდისუმანი და სხვა).

სოფლის სახელწოდებას ხშირად საფუძვლად უძევს იქ მცხოვრები გვარეულობის სახელწოდება, მეორე მრავლობითი რიცხვის ნათესაობითთ გაფორმებული, მაგ., გუდათუმანში ცხოვრობენ გუდაძეები, ლოლათუმანში — ლონლაძეები და ა. შ.

ცხადია, რომ, როდესაც, მაგ., სოფლის სახელწოდებას „გუდათუმანი“ ითვისებდა იმერულ დიალექტზე მოსაუბრე, რომლის ლექსიკონში „უშანი“ არ იყო, მაგრამ „თუმანი“ აქტიურ მარაგს წარმოაგენდა, ასეთი მოსაუბრე სიტყვას „გუდათუმანი“ და სხვას მეტაანალიზით ასე გა-

დადანიწილებდა: გ უ და - თ უ მ ა ნ ი, ლ ო ლ ა - თ უ მ ა ნ ი, გ ო ლ ა - თ უ მ ა ნ ი და ასე შემდეგ.

იმის საბუთად, რომ მოსაუბრის მიერ მივიწყებულია ამ სიტყვათა კავშირი არა მხოლოდ სიტყვასთან „უბანი“, არამედ გვარეულობასთანაც, გამოდგება თუნდაც ლ ო ლ ა თ - უ მ ა ნ ი, სადაც ცხოვრობენ ლ ო ნ - ლ ა ძ ე ბ ი (და არა ლ ო ლ ა ძ ე ბ ი).

ქართლ-კახეთში, სადაც უ ბ ა ნ ი ცოცხალი სიტყვაა, ასეთი მეტა-ანალიზი არ მოხდება, თუნდაც მას მრავლობითის თ უ ძ ლ ო დ ე ს წ ი ნ, მაგ.: ბ ე რ თ უ ბ ა ნ ი, უ რ ი ა თ უ ბ ა ნ ი (კახეთში), ფ უ ხ ა ა ნ თ უ ბ ა ნ ი, კ ე ქ ე ლ ა ა ნ თ უ ბ ა ნ ი, ყ ი ფ ი ა ა ნ თ უ ბ ა ნ ი და მრავალი სხვა.

სიტყვის (აქ: უბანი) მნიშვნელობის დაკარგვის ნიადაგზე მონიღარი მეტაანალიზური გადანაწილების შედეგია, ალბათ, ა ბ ა ს თ უ მ ა ნ ი: ა ბ ა ზ თ (აბაზაძეთა) უ ბ ა ნ ი > ა ბ ა ს თ უ მ ა ნ ი.

როგორც ჩანს, ისტორიული მონაცემებიც არ ეწინააღმდეგება ასეთ გაგებას (მხედველობაში გვაქვს აკად. ნ. ა. ბერძენიშვილთან პირადი საუბარი ამ საკითხზე და აგრეთვე პროფ. ე. კ. ხარაძის ცნობა აბასოვისა და აბას-ოლის გვარების მყოფობის შესახებ დღეს აბასთუმნის ახლო-მახლო).

## აფხაზურის თანხმოვან ფონემათა კლასიფიკაცია \*

როგორც ცნობილია, აფხაზური ენა ძლიერ მდიდარია თანხმოვანი ბგერებით. მაგრამ ნას აკლია ბევრი ისეთი თანხმოვანი, რომელიც აქვს ზოგიერთ კავკასიურ ენას; არა აქვს მას, მაგალითად: ლატერატები (სპეციფიკური კავკასიური ლატერალები); რაცა აქვთ ხუნძურსა და ადიღურ ენებს; არა აქვს მას აგრეთვე: ჭ-ს გარდა, სხვა აბრუპტივეული (ყელხშული) სპირანტები ადიღურისა.

ქართველურ ენებთან, რომელნიც აფხაზურზე უფრო მარტივი კონსონანტაზმის მქონენი არიან, აფხაზურს საერთო აქვს თანხმოვანთა ე. წ. „საშუალი“ რიგის შემდეგი თანხმოვნები: ბ — ფ — პ, დ — თ — ტ, ძ — ც — წ, გ — ქ — კ; ვ: ზ — ს, ლ — ხ, ჰ.

საერთო აქვს ქართულთან აგრეთვე: რ — ლ — მ — ნ<sup>1</sup>.

ქვემოთ წარმოდგენილია აფხაზური ენის თანხმოვან ფონემათა კლასიფიკაცია, რომელსაც საფუძვლად დაედო — გარდა ქართულში მოქმედ თანხმოვანთდაპირისპირებისა — კიდევ თანხმოვანთა ნიშნეულობის ორი ურთიერთდაპირისპირება: 1) ლ ა ბ ი ა ლ ი ზ ე ბ უ ლ ნ ი — არა-ლაბიალიზებული, 2) „მაგარნი“ — „რბილნი“ — „საშუალნი“.

კლასიფიკაციაში შევიდა აფხაზურის ორი მთავარი დიალექტის (აბჟურისა და ბზიფურის) თანხმოვნები.

„მაგარნი“, „რბილნი“ და „საშუალნი“ თანაშეფარდებული თანხმოვნებია. „მაგართა“ ნიშანია *ჲ* შიშინათათვის ასოს გვერდით მარჯვნივ (ჟჲ — შჲ; ჯჲ — ჩჲ — კჲ, ჰჲ), ხოლო უკანაენისმიერ სპირანტათვის (ბზიფურში) — ასოს ქვეშ (ბჲ ბ; „რბილთა“ ნიშანია *ჱ* — ასოს ზედატანთან მარჯვნივ (ჟჱ — შჱ, შიჱ — ჟიჱ; ჯჱ — ჩჱ — კჱ; გჱ — ქჱ — კჱ; ლჱ — ხჱ; ყჱ),

\* დაიბეჭდა სსრკ მეცნ. აკადემიის საქ. ფილიალის „მომბეში“, ტ. I, №, 1940, გვ. 88—92, სათაურით „Возможные варианты классификации согласных абхазского языка“. აქ იბეჭდება გადამუშავებული სახით; შეტანილია შესწორებები ფილ. მეცნ. დოქტ. კ. ბ. ლომთათიძის შრომათა მიხედვით და პირადად მასთან მოთათბირების შედეგად, რითაც ძლიერ დავალებული ვარ მისგან.

<sup>1</sup> ქართულის „საშუალი“ ჯ — ჩ — კ და ჟ — შ აფხაზურს არა აქვს.



ზოლო შიშინასებრი სპირანტებისათვის (ბზიფურში) <sup>1</sup> — ასოს ზედატან-  
თან მარჯვნივ (ზ' — ს', ზ'ი — ს'ი; ძ' — ც' — წ')<sup>1</sup>. „საშუალნი“ წარმო-  
დგენილია ქართული უდიაკრიტიკულნიშნაკო ასოებით.

აღსანიშნავია „მაგართა“ წარმოთქმისას საარტიკულაციო ორგა-  
ნოთა ძლიერი დაქიმულობა.

აფხაზურის „საშუალ“ თანხმოვნებად ჩვენ ვთვლით იმ თანხმოვნებს,  
რომელნიც ძირითადად არ განსხვავდებიან შესატყვის ქართულ თანხმო-  
ვანთაგან (ესენია: ბ — ფ — პ, დ — თ — ტ, ძ — ც — წ, გ — ქ — კ; ყ: ვ;  
ზ — ს, ლ — ხ) ან განსხვავდებიან მათგან მხოლოდ ლაბიალიზაციით (ეს-  
ენია: დი — თი — ტი, ძი — ცი — წი, გი — ქი — კი; ყი; ლი — ხი); „საშუალ“  
თანხმოვნებად ჩვენ ვთვლით აგრეთვე აფხაზურის კბილბაგისმიერ აბრუპ-  
ტივ სპირანტ ჭ-ს<sup>2</sup> და ჭ-ს; აგრეთვე ფარინგალურ ლაბიალიზებულ  
სპირანტებს ჯი-სა და ჰი-ს, რადგანაც ესენი არ უპირისპირდებიან სხვა  
თანხმოვნებს თავისი „სიმაგრით“.

თანხმოვანთა ლაბიალიზაციის ნიშანია ი — ასოს გვერდით მარჯვ-  
ნივ: დი — თი — ტი, ძი — ცი — წი — გი — ქი — კი, ყი; ზ'ი — ს'ი, ჟ'ი — შ'ი,  
ლი — ხი, ხი, ჯი — ჰი. ჯი — ჰი წარმოდგენენ ე. წ. „შეკუმშულხახისიულ“  
სპირანტებს და, ლაბიალიზაციის გამოკლებით, ისინი ფიზიოლოგიუ-  
რად და აკუსტიკური შთაბეჭდილებით ძლიერ უახლოვდებიან არაბულ  
ჯ — ხ-ს.

საქიროა აღინიშნოს, რომ აფხაზურში ლაბიალიზაცია თვისობრივ  
განსხვავებული აქვს სხვადასხვა ადგილას წარმოებულ თანხმოვნებს:  
ჩვეულებრივი ლაბიალიზაცია აქვთ უკანაენისმიერ თანხმოვნებს (გი —  
ქი — კი; ლი — ხი, ხი) და ფარინგალებს (ყი, ჯი — ჰი); უფრო ვიწრო და  
ენერგიული ლაბიალიზაცია აქვთ წინაენისმიერ აფრიკატებს (ძი — ცი —  
წი), „რბილ“ შიშინასებრ სპირანტებსა (ზ'ი — ს'ი) და ნუნისმიერ „რბილ“  
სპირანტებს (ჟი — ში); ამიტომ ამ სპირანტების წარმოთქმისას ძლიე-  
რად გამომდინარე ჰაერნაკადი ეკვეთება ქვედა ტუჩის კიდეს, რის გა-  
ნოც ისინი ტოვებენ შიშინისებრი სტვენის შთაბეჭდილებას.

რაც შეეხება წინაენისმიერ მარტივ თანხმოვნებს, მათი ლაბიალი-  
ზაცია რეალიზდება ტუჩების ვიბრაციის სახით; ამიტომ ისინი წარ-  
მოდგენენ ლაბიოვიბრანტიზებულ დ — თ — ტ-ს (დი — თი — ტი).

---

<sup>1</sup> ბზიფური დიალექტის „მაგართა“ (ზ, ხი) და „რბილთა“ (ზ' — ს', ზ'ი — ს'ი;  
ძ' — ც' — წ') დიაკრიტიკული ნიშნაკები განსხვავებულია საკუთრივ აფხაზურის იმავე  
„მაგართა“ და „რბილთა“ ნიშნაკებისაგან იმის გამო, რომ ბზიფურის „სილბო-სიმაგ-  
რე“ თავისებურია — საკუთრივ აფხაზურის „სილბო-სიმაგრისაგან“ განსხვავებით.

სპეციფიკური ბზიფური თანხმოვნები მოთავსებულია კვადრატებში.

<sup>2</sup> რომელიც გვხვდება აფხაზურის ერთადერთ სიტყვაში: აჭა' 'წვრილი' — ლი-  
ტერატურული აპა).

აფხაზურში მყოფობს სულ 66 თანხმოვანი ფონემა; მათ შორის ცხრა გამოყენებულია მხოლოდ ბზიტურ დიალექტში (ამ ცხრა თანხმოვნის დიაკრიტიკულნიშნისანი ასო მოთავსებულია პატარა-პატარა კვადრატებში).

ენისძირისმიერთა (ხახისეულთა ანუ ფარინგალურთა) სიმრავლემ აფხაზურში მოითხოვა თანხმოვანთა დაყოფა „პირისეულებად“ და „პირსიქითეულებად“: ამ უკანასკნელ დანაყოფში მოხვდა, ენისძირისმიერთა (ყ, ყო, ყ'; ვო — ვი) გარდა, აგრეთვე ხორხისმიერიც (ჰა).

წარმოების რაგვარობის მიხედვით კლასიფიკაციაში გახაზულია იმ დანაყოფებისა და რიგების სახელწოდებანი, რომლებითაც აფხაზური განსხვავდება ქართულისაგან, სახელდობრ: არალაბიალიზებული — ლაბიალიზებული, რბილი — მაგარნი; აგრეთვე საშუალი — ჭ-ს მიმართ.

## A. წარმოების ადგილის მიხედვით:

### I. პირისეულნი:

#### 1. ბაგისმიერნი:

ა. წყვილბაგისმიერნი: ბ — ფ — პ, მ

ბ. კბილბაგისმიერნი: ვ — ჭ — ჭ' —

#### 2. ენისმიერნი:

ა. წინაენისმიერნი: დ — თ — ტ, ნ, ლ

დი — თი — ტი — —

ძ — ც — წ, ზ — ს

ძი — ცი — წი, წი' — სი'

ძი — ცი — წი, წი' — სი'

ბ. ენაუნისმიერნი: ჯა — ჩა — ჰა, ეა, — შა, რ

ჯ' — ჩ' — ჰ', ე' — შ' —

ე' — შ' —

გ. უკანაენისმიერნი: გ — ქ — კ, ლ — ხ, ხ

გო — ქო — კო, ლო — ხო, ხო

გ' — ქ' — კ', ლ' — ხ' —

### II. პირისიქითეულნი:

1. ენისძირისმიერნი (ხახისეულნი ანუ ფარინგალურნი): ყ, ყო, ყ'; ვო — ვი — — — — ჰა

2. ხორხისმიერნი:

B. წარმოების რაგვარობის მიხედვით:

I. ჩქამიერნი:

1. ხშულნი:

ა. მელერნი:

ა) საშუალნი:

აა) არალაბიალიზებულნი: ბ — დ — ძ — გ

ბბ) ლაბიალიზებულნი: — ღ — ძ — გ

ბ) რბილნი:

ძ — ჯ — გ

გ) მაგარი:

— ჯა —

ბ. ფშენიერნი:

ა) საშუალნი:

აა) არალაბიალიზებულნი: ფ — თ — ც — ქ

ბბ) ლაბიალიზებულნი: — თ — ც — ქ

ბ) რბილნი:

ც — ჩ — ქ

გ) მაგარი:

— ჩა —

გ. აბრუპტივები

ა) საშუალნი:

აა) არალაბიალიზებულნი: პ — ტ — წ — კ, ყ

ბბ) ლაბიალიზებულნი: — ტ — წ — კ, ყ

ბ) რბილნი:

წ — ქ — ჯ, ყ

გ) მაგარი:

— ქა —

2. არახშულნი:

ა. მელერნი:

ა) საშუალნი:

აა) არალაბიალიზებულნი: ვ — ზ — ლ —

ბბ) ლაბიალიზებულნი: — — ღ — ჯ

ბ) რბილნი:

აა) არალაბიალიზებულნი: ზ — ჟ — ლ

ბბ) ლაბიალიზებულნი: ზ — ჟ —

გ) მაგარი:

— ჟა —

ბ. ფშენიერნი:

ა) საშუალნი:

აა) არალაბიალიზებულნი: ჭ — ს — ხ —

ბბ) ლაბიალიზებულნი: — — ხა — ჰა

ბ) რბილნი:

აა) არალაბიალიზებულინი: —  $\overline{ს'}$  — შ — ხ

ბბ) ლაბიალიზებულინი: —  $\overline{ს'ე}$  — ში —

გ) მაგარნი:

აა) არალაბიალიზებულინი: ში —  $\overline{ხ}$  — ჰი

ბბ) ლაბიალიზებულინი: — —  $\overline{ხე}$  — —

გ. აბრუპტივი:

საშუალი:  $\dot{ჳ}$

II. არაჰქამიერნი (ანუ სონორულნი): რ — ლ — მ — ნ.

ლექსიკური ნიმუშები დალაგებულია სამ ჯგუფად: სამეულეზად, წყვილეულეზად და ცალეულეზად.

ათხაზურის მეორე სამეული წარმოადგენს არა ხშულთა, არამედ სპირანტების რიგს (ვ — ჭ — ჭი).

სამეულნი:

1. ბ — ფ — პ: აბორა 'ბოსელი', ხფა 'სამი', აპპა 'ტკიპა'
2. ვ — ჭ — ჭი: ავარა 'გვერდი', აჭარა 'ჭამა', აჭა 'წერილი'
3. დ — თ — ტ: დარს 'ისინი', ათარა 'მიცემა', ატტ 'ქოტი'.
4. ღი — თი — ტი: აღიჭ 'მინდორი', ათია 'თივა', ატიარა 'ჯდომა'.
5. ძ — ც — წ: აძჭ 'წყალი', აცხა 'თაფლი', აწლა 'ხე'
6. ძი — ცი — წი: აძიჭ 'ვილაც', აცი 'ხარი', აწიან 'ვაშლი'
7. ძი — ცი — წი (ბზიფ): აძი 'რწყილი', აციარს 'წასვლა', აწიარს 'სწავლა'
8. ჯ — ჩ — ქ: აჯანმ 'ჯამი', აჩან 'პური', აქანქ 'მოკლე'
9. ჯი — ჩი — ქი: აჯიჭშე 'ნიორი', აჩიან 'ირემი' აქიან 'ახალი'
10. გ — ქ — კ: აგარს 'წაღება', აქტთა 'სოფელი', აქტ 'ერთი'
11. გი — ქი — კი: აგიჭ 'გული', აქიან 'წვიმა', აკიეტტ 'ქათამი'
12. გ — ქ — კ: აგანმა 'გემო', აქანლა 'კარავი', აქანთა 'დუმა'
13. — — ყ: — — — — აყანჩარა 'ყოფნა'
14. — — ყი: — — — — აყიან 'სოხუმი'
15. — — ყრ: — — — — აყანყა 'ბრტყელი'.

**წყვილეული:**

1. ზ — ს: ზეგ<sup>რ</sup> 'ყველაფერი', ასგს 'სტუმარი'
2. ზ' — ს' (ბზიფ.): აზ'წ'აარა 'შეკითხვა', ას'გ<sup>რ</sup> 'თოვლი'
3. ზ'ი — ს'ი (ბზიფ.): აზ'ი 'ძროხა', ას'ი, წიფელი'
4. ჟ — შ: აჟ 'ყურძენი', აშ<sup>რ</sup> 'სისხლი'
5. ჟი — ში: აჟი<sup>რ</sup> 'დაბერება', აში 'კარი, ყველი'
6. ჟა — შა: აჟა<sup>რ</sup> 'ორმო', აშა<sup>რ</sup> 'სიცხე'
7. ლ — ხ: ალა 'გემი', ახგ<sup>რ</sup> 'ტყვია'
8. ლ — ხ: ალა<sup>ლ</sup> 'ბაყაყა', ახ<sup>რ</sup>თა 'სიცივე'
9. ლი — ხი: ალი<sup>რ</sup> 'აღვირი', ახი<sup>ა</sup>ჯა 'ჯოჯა'
10. -- ხ (ბზიფ.): — — ახგ<sup>რ</sup> 'თავი'
11. — ხი (ბზიფ.): — — ახი<sup>ა</sup>ხი 'კლდე. მთა'
12. — ჰი აჰი<sup>ა</sup> 'მსხალი'
13. ვი — ჰი ავი<sup>ნ</sup>გ<sup>რ</sup> 'სახლი', აჰი<sup>ა</sup> 'ლორი'

**ცალეული:**

1. რ: სარა 'მე'; 2. ლ: აწლა 'ხე'; 3. მ: ალგ<sup>მ</sup> 'ლონი'; 4. ნ: 'ნან 'ბეგია'.

## ფონეტიკა და ლოგოპედიკა

### 1. ფონეტიკისა და ლოგოპედიკის საგანი

ფონეტიკის პრაქტიკულად გამოყენების ერთი ფრიალ მნიშვნელოვანი დარგია ლოგოპედიკა (ბერძნ. *λόγος*, 'სიტყვა, მეტყველება'; *παῖδες* 'აღზრდა, სწავლება').

სრულიად განსაკუთრებულია ფონეტიკის მნიშვნელობა ლოგოპედიკისა და სურდოპედაგოგიკისათვის: პირველი ასწორებს ენამოშლილობის სხვადასხვა ფორმებს (ენაჩლუნგობას, ენაბლუობას...), მეორე — ყრუმუნჯებს უვითარებს ნორმალურ ბგერითს მეტყველებას...<sup>1</sup> (იხ. ნაწ. I. გვ. 11).

<sup>1</sup> სიხუსტისათვის საკიროა დაემატოს ამას, რომ, მართლაც, ლოგოპედიკის როგორც პედაგოგიკის ერთი დარგთაგანის, დანიშნულებაა აღზარდოს სწორი წარმოთქმა, გაასწოროს ენამოშლილობა და აარიდოს ეს უკანასკნელი ბავშვებს ამეტყველების მცირე ასაკიდანვე. რაც შეეხება სურდოპედაგოგიკას (ლათ. *surdis* 'ყრუ'), როგორც აგრეთვე პედაგოგიკის ერთ-ერთ დარგს, მართალია. მისი ობიექტია მხოლოდ ყრუმუნჯი (ან დაყრუბული და სმენანაკლული). მაგრამ იგი უფრო რთული და მრავალმხრივი მეცნიერებაა, ვიდრე ლოგოპედიკა. რადგანაც ყრუმუნჯის აღზრდა სპეციალური მეთოდებით მიმდინარეობს მისი საბაგო ასაკიდან დაწყებული სრულწლოვანებამდე (და ხშირად შემდეგაც). მეტყველების შექმნა ყრუმუნჯის აღზრდის მხოლოდ ერთ-ერთი მხარეა — მართალია, მნიშვნელოვანი. ამ მხრივაც დიდი განსხვავებაა ამ ორ ურთიერთმიჯნ-ვე მეცნიერებას — ლოგოპედიკასა და სურდოპედაგოგიკას — შორის: ლოგოპედიკის ობიექტს — ენამოშლილს — მეტყველება, როგორც აზრის გამოთქმის, ლაპარაკის უნარი, აქვს (ან ჰქონდა), საკიროა მხოლოდ სწორად წარმოთქმის ჩანერგვა; სურდოპედაგოგიკის ობიექტს კი — ყრუმუნჯს — ბგერითი მეტყველება არა აქვს; არც იცის, თუ რა არის ბგერითი მეტყველება და. მით უფრო, სწორი წარმოთქმა. მიუხედავად ამ ორი მეცნიერების ამ მხრივ ერთმანეთისაგან განსხვავებისა, მათ მანაც აქვთ საერთო მეთოდებიც. ეს მეთოდებია წარმოთქმის დაყენების მეთოდები, რაც ცხრდნობა ფონეტიკას.

საბჭოური სურდოპედაგოგიკა, რომლის გამოჩენილი წარმომადგენელიცაა ჩვენში პროფ. თ. რაუ და მისი სკოლა, არსებითად განსხვავდება ზურუჟახიულისაგან — როგორც თავისი მიზანდასახულობით (გახადოს ყრუმუნჯი საბჭოური საზოგადოების სრულფასეულ წევრად), ისე სათანადო მეთოდებით.

სპეციალურ ტერმინთაგან ლოგოპედიკაში, ხეობხსენებულს გარდა, უმთავრესია შემდეგი ტერმინები: ლოგოპედი (ანუ ლოგოთერაპევტი) — ლოგოპედიკის სპეციალისტი, ენამოშლილობის გამსწორებელი პედაგოგი. ლოგოპედიკა (ბერძ. *λόγος* 'მეტყველება'

ლოგოპედია მჭიდრო კავშირშია მთელ რიგ საზენეირო დისციპლინებთან; მეტადრე იგი ეყრდნობა სამეტყველო და სასმენ ორგანოთა ანატომია-ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის მონაცემებს; დაკავშირებულია იგი საერთოდ ფსიქოლოგიასთან, ფსიქიატრიასა და ნევროპათოლოგიასთან. ყველაზე მეტად კი — ფონეტიკასთან.

ეს ის სამეცნიერო დისციპლინებია, რომლებთანაც თვითონ ფონეტიკაა მჭიდრო კავშირში. აქედანაც ჩანს ლოგოპედიისა და ფონეტიკის ერთმანეთთან სიახლოვე. მათი ობიექტიც, საერთოდ, ერთი და იგივეა — ადამიანის სოციალურად ღირებულ საწარმოთქმო მოქმედება. სამეტყველო ბგეროვნობა; მაგრამ თითოული მათგანი — ფონეტიკა და ლოგოპედია — სწავლობს ამ ობიექტს სხვადასხვა თვალსაზრისითა და სხვადასხვა მიზნით.

ფონეტიკა (სახელდობრ, აღწერილობითი ფონეტიკა) სწავლობს ადამიანის იმ საწარმოთქმო მოქმედებას მთლიანად და მის იმ ელემენტებს (მაგ., ცალკეულ ბგერებს, მათს ერთმანეთთან შეერთებას, მახვილს და სხვ.), რომელნიც ამა თუ იმ კოლექტივში მიჩნეულია ნორმალურ საწარმოთქმო მოქმედებად და მის ნორმალურ ელემენტებად: მაგ., რუსულში ნორმალურად ითვლება ე. წ. რბილი დ (д') და რბილი ნ (н'): д'н' (იწერება дн); ქართულისათვის ეს არაა ნორმალური, რადგანაც ქართულ ენაზე მეტყველისათვის რბილი დ (დ') და რბილი ნ (ნ') არ ითვლება ნორმალურად. ქართულად მეტყველ ოჯახში რომ ბავშვმა ქართულ სიტყვაში იხმაროს რბილი დ ან ნ (მაგ., სიტყვა დენი წარმოთქვას დ'ენ'ი), მას უფროსები გაუსწორებენ. მაგრამ. თუ იგივე ბავშვი, რომელიც რუსულსაც სწავლობს, რუსულ სიტყვას ден წარმოთქვამს დენ. ამასაც გაუსწორებენ და ათქმევენებენ (დ'ენ', ე. ი.) ისეთი ბგერებით, რომლებიც ქართულისათვის არანორმალურია, ხოლო რუსულისათვის — ნორმალური და ამიტომ სავალდებულო.

მეორე მხრით, რუსულად მეტყველ ოჯახში რომ ბავშვმა რუსულ სიტყვებში ден და дн წარმოთქვას ერთნაირი д' და н' (ე. ი. თქვას

ბა', д'н' 'უბედობა, ტანჯვა') — ენამოშლილობა, ლოგოპათია — ენამოშლილი; დისლალია (ბერძნ. δυσ = 'ძნელად, ცუდად', λαλία 'ლაპარაკი') ან უენახლუნგობა (რუს. нечленоречивые) — ბგერათა შენაცვლება (მაგ., ხ-ს ნაცვლად თ-ს წარმოთქმა: სამი > თამი, შ-ს ნაცვლად ხ-სა; შავი > ხავი; ც-ს ნაცვლად ხ-სი ან თ-სი; ცო-მი > სომი ან თომი და სხვ.), ბგერის დამახინჯება (მაგ., ხ-ს ნაცვლად ხ' — რბილი ხ: ს'ამი; ზ-ს ნაცვლად ხ' და ა. შ.) ან სიტყვაში ბგერის წარმოუთქმელობა: რომ > ომ, თავი > თაი და სხვა). დისლალიკია — ენაჩლუნგი. ენაბლუნობა ანუ ენადაბმულობა (ლოგანეურობი, რუს. заикашис) — სიტყვის კრუნჩხვითი დარღვევა, რაც გამოიხატება ცალკეულ ბგერაზე ან მარცვალზე დაბრკოლება-შეჩერებაში ან მათს რამდენჯერმე განმეორებაში ცალკეული ბგერის სწორი წარმოთქმით (თუ ენადაბმულობას უან არ ერთვის ენაჩლუნგობაც): დ.. ედა, დე... და; დ—დ—დ—ედა, დე—დე—დე—და. ენაბლუნ ანუ ენადაბმული (რუს. заика).

ზოგი ტერმინი ახსნილია ქვემოთ გზადაგზა.

ქიმი), მას უფროსები გაუსწორებენ, რადგანაც, როგორც ჩანს, ეს ბავშვი ვერ ასხვავებს ერთმანეთისაგან მაგარსა და რბილ თანხმოვნებს (ასეთი შენთხვევა, მართლაც ხშირია).

როგორც ვიცით, საქმე თვით სილბოში კი არაა, არამედ რბილ და მაგარ თანხმოვანთა ურთიერთ დაპირისპირებაში, რაც ჰქმნის რუსულში ორ ფონემას ანუ სიტყვათგანმასხვავებელ ორ ბგერას; ქართულში რბილ და მაგარ თანხმოვანთა ასეთი დაპირისპირება არ არის; ამიტომ ქართულში მყოფობს „ღ“-ს ტიპის მხოლოდ ერთი ფონემა, ისე როგორც „ნ“-სი და ყველა დანარჩენი თანხმოვნისა. რუსულში კი ორი ფონემაა „ღ“-სა და „ჩ“-ს ტიპისა და ყველა სხვა თანხმოვნისა. (r—ж—x-ს გარდა).

ფონეტიკის (სახელდობრ, კერძო ფონეტიკის; იხ. ნაწ. I, გვ. 5—8) შესწავლის საგანია მოცემულ კონკრეტულ ენაში ხმარებული მხოლოდ ნორმალური სამეტყველო ბგერები ანუ ფონემები და მათი სახესხვაობანი. მაგ... ქართული ენის ფონეტიკაში განხილული უნდა იქნეს, ვთქვათ, ქართული „ღ“-ს ყოველგვარი სახესხვაობა, რომელიც კი გვხვდება ქართულ მეტყველებაში; მაგრამ რბილი „ღ“-ს განხილვა შეიძლება არ შევიდეს ქართული ენის ფონეტიკაში, რადგანაც ასეთი ფონემა ქართულს არ გააჩნია. რუსული ენის ფონეტიკაში კი უთუოდ უნდა შედიოდეს „ჩ“-ს ორი სახისა (რბილისა და ღაგრის) და მათ სახესხვაობათა განხილვა.

რაც ითქვა, ის ეხებოდა მხოლოდ აღწერილობითს ფონეტიკას (იხ. ნაწ. I, გვ. 8). ისტორიული ფონეტიკა, ჩვეულებრივ, სწავლობს საწარმოთქმო მოქმედების ელემენტთა ცვლილებას დროთა განმავლობაში: რომელნა ნორმალურად მიჩნეულმა წარმოთქმამ როგორი ნორმალურადვე მიჩნეული წარმოთქმის სახე მიიღო კონკრეტულ ენაში განვითარების სხვადასხვა ეტაპზე,—ასეთია ისტორიული ფონეტიკის ძირითადი საკითხი. თუ რა მიმართებაა ეტაპთა შორის ნორმალურობის თვალსაზრისით, ამას ისტორიული ფონეტიკა არ ითვალისწინებს.

ფონეტიკისაგან განსხვავებით, ლოგოპედია მხოლოდ აღწერილობითი და გამოყენებითი მეცნიერებაა; ისტორიული ლოგოპედია არ არსებობს; ამიტომ შედარებითი მეთოდი ფონეტიკაში, რომელიც, უმთავრესად, ისტორიული ფონეტიკის დასაყრდენია (იხ. ნაწ. I, გვ. 237 და შემდ.), ლოგოპედიაში გამოიყენება მხოლოდ აღწერილობითის სიბრტყეზე და არა ისტორიულ პერსპექტივაში: შედარებითი მეთოდი ლოგოპედიაში გამოიყენება ერთ კონკრეტულ ენაში ენამოშლილობის შესაძლებელ ფორმათა (და მათი გასწორების საშუალებათა) შეპირისპირების სახით—სხვა ენებში ენამოშლილობის შესაძლებელ ფორმებთან (და მათი გასწორების საშუალებებთან).

ფონეტიკისაგან აგრეთვე განსხვავებით, ლოგოპედია სწავლობს არანორმალური, დეფექტურად მიჩნეული წარმოთქმის (ენამოშლილო-



ბის) ბიომექანიკას და, ამ ენისათვის ნორმალური, სწორად მიჩნეული, წარმოთქმის მიხედვით, აწარმოებს მის გასწორებასა და აღზრდას. რადგანაც ეს, ცხადია, გულისხმობს სწორი წარმოთქმის ბიომექანიკის შესწავლასაც, აპიტომ ლოგოპედია უფრო ფართოა კერძო აღწერილობითს ფონეტიკაზე, რომელიც შეისწავლის მხოლოდ ნორმალურად მიჩნეულ წარმოთქმას. ლოგოპედიის გამოყენებითი მხარე კიდევ უფრო აფართოებს მის საგანს საენათმეცნიერო კერძო ფონეტიკის საგანთან შედარებით.

თავისი საგნის მოცულობით ლოგოპედია უახლოვდება ზოგად ფონეტიკას, რომლის საგანიცაა საწარმოთქმო მოქმედების ყოველგვარი შესაძლებლობა (იხ. ნაწ. I, გვ. 7 და 8); მაგრამ, რადგანაც ამ შესაძლებლობათა შესწავლა ხდება ზოგად ფონეტიკაში „კონკრეტულ ენათა კერძო ფონეტიკების შესწავლის საფუძველზე — განზოგადების გზით“ (იქვე), აპიტომ ზოგადი ფონეტიკის ფარგლებს გარეთ რჩება ის მრავალი საწარმოთქმო მოქმედება, რომელიც მიჩნეულია ამა თუ იმ ენაში დეფექტურ წარმოთქმად. მათ — ზოგადი ფონეტიკისა და ლოგოპედიის — საგანთა სიახლოვე მაინც აღსანიშნავია იმიტომ, რომ, რაც ერთ ენაში დეფექტურ წარმოთქმადაა მიჩნეული, ის ძალიან ხშირად (თუ ყოველთვის არა) რომელიმე სხვა ენაში ნორმალურ წარმოთქმად ითვლება (იხ. ზემოთ თანხმოდანთა სილბოს შესახებ ქართულსა და რუსულში). მაგ., ე. წ. გვერდითი სიგმატიზმი<sup>1</sup> ენამოშლილი ს-ს ნაცულად წარმოთქვამს „თლიფინა“ ბგერას, რომელიც მრავალ ენაში, კერძოდ ქართულში, წარმოადგენს დეფექტურ ბგერას; მაგრამ ზოგიერთ ენაში (მაგ., ხუნძურში) იგი წარმოადგენს ნორმალურ ბგერას, ფონემას.

ინგლისური fl, რომელიც წარმოადგენს ორ კბილთაშუა (ან ენაკბილისმიერ) სპირანტს (მელერს, მაგ., სიტყვაში *მღც* — იწერება *flis* „ეს“ — ან *ყრუს*, მაგ., სიტყვაში *მრძ* — იწერება *flurid* „დაფი“), სხვა არაფერია, თუ არ ნამდვილი სისინა სიგმატიზმის ნიმუში. როდესაც ქართულად ან რუსულად (და ბევრ სხვა ენაზე, სადაც არაა ასეთი ნორმალურ ბგერებად მიჩნეული ფონემები) მეტყველი წარმოთქვამს ბ-ს ან მ-ს ქართულ ან რუსულ სიტყვაში, მას ლოგოპედის დახმარება ესაქიროება.

<sup>1</sup> სიგმატიზმი (σγμα — „ს“ ასოს ბერძნული სახელწოდება) — ენაჩლუნგობის ერთი სახე, რომელიც გამოიხატება სისინა და შიშინა თანხმონების (ს-ხ, შ-ჟ, ძ-ც — წ, ჯ-ჩ — კ) მოშლილობაში. განასხვავებენ სიგმატიზმის რამდენიმე სახეს: კბილთაშუა ანუ სიფსიფა სიგმატიზმი (ენის წვერი ძვეს ხედა და ქვედა კბილებს შუა), ენაკბილხშული ანუ თიფთიფა სიგმატიზმი (ენის წვერი ეკვრის ედა კბილებს: სამი-ს ნაცულად ითქვება თანი), შიშინა სიგმატიზმი (სამი > შამი) ლატერალური (გვერდითი) ანუ თლიფინა სიგმატიზმი, ნახალური ანუ ცხვირისეული სიგმატიზმი (ჭაერნაკადი ნომდინარტობს ცხვირით), ბაგეკბილისმიერი სიგმატიზმი (სამი > ფამი) და სხვა.

სიგმატიკი — სისინა-შიშინა ბგერებმოშლილი ადამიანი.

თუკი ჩვენ ინგლისურად ვიმეტყველებთ, ეს ბგერები ნორმალურია და სავალდებულო.

ცნობილია აგრეთვე გერმანული (დოიჩლანდური) უველარული (ანუ „მოქცეული“) „რ“ (ფონეტიკური ტრანსკრიფციით *ʀ*); ასეთივე „რ“ მყოფობს ფრანგული ენის პარიზულ წარმოთქმაში. მიუხედავად იმისა, რომ სავალდებულოდაა მიღებული წინაენისმიერი (ე. ი. ჩვეულებრივი) რ-ს ხმარება, მეტადრე, გერმანიაში (დოიჩლანდში), უველარული „რ“ მაინც მეტადაა გავრცელებული, ვიდრე წინაენისმიერი. ასეთი „რ“-ს წარმოთქმა ქართულში ან რუსულში მოითხოვს აგრეთვე ლოგოპედის ჩარევას.

ასეთი შემთხვევები ძალიან ბევრია სხვადასხვა ენაში. მაშასადამე, საერთოდ რომ ვთქვათ, ფონეტიკის საგანია ნორმალური (ან უკეთ: ასეთად მიჩნეული) სამეტყველო წარმოთქმა — როგორც დღეს მოქმედი, ისე ისტორიულ განვითარებაში, და იგი თავისი ისტორიულ-შედარებითი მეთოდით წარმოადგენს ისტორიული ენათმეცნიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს; ლოგოპედიის საგანია სამეტყველო წარმოთქმის — როგორც ნორმალურის, ისე მეტადრე დეფექტურის — ბიომექანიკა, და, როგორც პედაგოგიკის ერთ-ერთი დარგი, იგი ემსახურება დეფექტურად მიჩნეული წარმოთქმის გასწორებასა და სწორის აღზრდას.

ამით განისაზღვრება ფონეტიკისა და ლოგოპედიის საგანი და მიზანი.

რაც ითქვა ზემოთ ფონეტიკისა და ლოგოპედიის საგნის ურთიერთობის შესახებ (იხ. კიდევ ქვემოთ), ისიც, ვფიქრობ, ცხადყოფს ფონეტიკის საგნის ლოგოპედიისაკენ გაფართოების საჭიროებას და, შეიძლება მეტიც ითქვას, აუცილებლობას; და არა მხოლოდ კერძო აღწერილობითი ფონეტიკისა (ამის მტკიცება, იმის გარდა; რაც ითქვა, ზედმეტად მიგვაჩნია), არამედ ზოგადი და ისტორიულ-შედარებითი ფონეტიკისაც (ამ უკანასკნელში ვგულისხმობთ აგრეთვე ფონეტიკის გენეზისურ საკითხებსაც; იხ. ქვემოთ).

მეორე მხრივ, რამდენადაც ლოგოპედია მეცნიერულ დისციპლინათაგან ყველაზე მეტად ემყარება ფონეტიკას, საერთოდ, და აღწერილობითს ფონეტიკას, კერძოდ, ამდენად ფონეტიკის საგნის გაფართოება ლოგოპედიისაკენ ხელს შეუწყობს ლოგოპედიის მეცნიერულად განმტკიცებას.

მხოლოდ ის ფაქტი, რომ, ჩვენი ხანგრძლივი დაკვირვებით, ენამოშლილობაში ისევე მოქმედებს გარკვეული ფონეტიკური კანონზომიერება, როგორც ისტორიულ ბგერათცვლილებაში, საკმარისია იმისათვის, რომ ფონეტიკა და ლოგოპედია — თეორიულად და პრაქტიკულად — უფრო მჭიდროდ უნდა დაუკავშირდნენ ერთმანეთს, ვიდრე ამას ადგილი აქვს დღემდე.

კანტი-კუნტად აზრი ლოგოპედიისა და ფონეტიკის დაახლოების სასურველობის შესახებ აღრეც გამოუთქვამთ უცხოეთშიც და, მეტადრე, ჩვენში; მაგ., აკად. შჩერბას (ენათმეცნიერთაგან) და პროფ. რაუ-ს (ლოგოპედთაგან, — ანას ყველაზე დიდი დამსახურება მიუძღვის ფონეტიკისა და ლოგოპედიის დღემდე არსებული დაახლოების საქმეში); მაგრამ ამის გაშლილი თეორიული დასაბუთება და, მით უმეტეს, პრაქტიკული განხორციელება ჯერჯერობით არსად მომხდარა.

კერძოდ, საქართველოში თეორიულად პირველად საბუთდება ამ სტრიქონებით აქ წარმოდგენილი შეხედულება: ფონეტიკამ უნდა გაათავართოს თავის დაკვირვებათა არე დეფექტური წარმოთქმის შესწავლის მიმართულებით და დაეყრდნოს ლოგოპედიის მონაცემებს, ხოლო ლოგოპედიამ უნდა შეიტანოს თავისი საგნის მოცულობაში როგორც ზოგადი, ისე მოცემული ენის აღწერილობითი და ისტორიული ფონეტიკა<sup>1</sup>.

## 2. ლექსიკური მატერიალის სამი სახე და ფონეტიკა

ლოგოპედიის საგანია დეფექტური მეტყველების სამი უმთავრესი სახე: ენაჩლოება (დისლალია), ენაბლულობა (ლოგონეგროზი) და აფაზია<sup>2</sup>. ამთაგან თბილისის ლოგოპედთა კოლექტივი ამუშავებს

<sup>1</sup> ეს შეხედულება დაედო საფუძვლად თბილისში შექმნილ ორ ლოგოპედიურ უჯრედს: 1) ფუნქციონალურ-ნერვულ დაავადებათა ინსტიტუტის (დირექტ. პროფ. ა. გოცირიძე) ლოგოპედიურ განყოფილებას, მეტადრე 1934 წლიდან (გ. ახვლედიანი, ა. კაიშაური, ნ. ასაშაძე, ტ. შუგუავა, თ. ქებაძე და ნ. ჩხვიძე), და 2) საქ. მეცნ. აკადემიის ნ. მარის სახ. ენის ინსტიტუტის ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილების ლოგოპედიურ ჯგუფს: გ. ახვლედიანი, ა. კაიშაური (ლოგოპედი) და ა. ჩარგვიშვილი (ოტო-ლარინგოლოგი). ეს ჯგუფი ჩამოყალიბდა (1916 წ.) იმ წევრთა მუშაობით ბრიგადისაგან, რომელიც დიდი სამამულო ომის წლებში, ხსენებული ენის ინსტიტუტის დაკლებით, თბილისის № 3ოსპიტალში აწარმოებდა ომში კონტუზებულ მებრძოლთა დაზიანებული სმენისა და მეტყველების შესწავლასა და აღდგენასწორებას: მასში წინაწილებდნენ, ამათ გარდა, პროფ ბ. გ. ანანიევი (ფსიქოლოგი), ნ. გ. ასაშაძე (ლოგოპედი) და ს. მ. ქლენტი (ენათმეცნიერი-ფონეტიკოსი)

<sup>2</sup> აფაზია (ბერძ. ἀφασία 'დუმილი, დამუნჯება', ἀ 'არ-, უ-' + φασα 'სიტყვა') — მეტყველების ისეთი მოშლა, როცა აფატიკს (შეყველებანობილი ადამიანს) არ შეუძლია წარმოთქვას სიტყვა ან წარმოთქვამს, მაგრამ დამახინჯებულად (მოტორული ანუ მოძრაობითი აფაზია); აფაზიას უწოდებენ აგრეთვე ისეთ შემთხვევებს, როცა წერა-კითხვის მცოდნე ადამიანს არ შეუძლია წეროს ან გაიგოს წაკითხული. ისეთ შემთხვევას, როცა მოკვებული ენის მცოდნე ადამიანი ვერ გაიგებს ნათვის ნაცნობი სიტყვის მნიშვნელობას — მიუხედავად იმისა, რომ სიტყვას, როგორც ბგეროვნობას, ის გაიგონებს სწორად (სმენის ორგანო დაუზიანებელი აქვს მას), — ეწოდება სენსორული აფაზია ანუ სიტყვიერი სიყრუე. აუტიკს გონებრივი ფუნქციები, ჩვეულებრივ, დაუზიანებელი აქვს.

მოტორული აფატიკის მიერ სიტყვის დამახინჯება გამოიხატება უმთავრესად ბგერათმეცნიერებაში. სიტყვიდან ბგერის გამოშვებასა და გადასმას: ძლიერ იშვიათად — ცალკეულ ბგერათა დამახინჯებაში. აფაზია გამოწვეულია თავის ტვინის გარკვეული ადგილის დაზიანებით.

უმთავრესად ენაჩლუნგობის საკითხებს ქართული მეტყველების მასალაზე. რა თქმა უნდა, არა მხოლოდ ენაჩლუნგობის საკითხებს, რადგანაც, ჯერ ერთი, კოლექტივს უხდება პრაქტიკული მუშაობა მეტყველების ყოველგვარ დეფექტზე, რაც განპირობებულია იმათი მოთხოვნებით, ვისაც სჭირდება ლოგოპედის დახმარება; მეორეა ის, რომ ძლიერ ხშირია ენა-მოშლილობის შერეული სახეები: ენაჩლუნგობა ენაბლუობასთან ერთად, ენაბლუობა აფაზიასთან და ა. შ.; მესამეა ის, რომ თვით ენაჩლუნგობის მეცნიერულად (ე. ი. ფონეტიკასთან მკიდროდ დაკავშირებულად) შესწავლა, რომელსაც კოლექტივი აწარმოებს, შეუძლებელია შემოიფარგლოს მხოლოდ ენაჩლუნგობით.

უმთავრესად კი იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, კადრების სიმცირის გამო, კოლექტივმა ამჟამინა ემუშავნა, ჯერჯერობით, ერთ პრობლემაზე ინტენსიურად; მეორეა ის, რომ ენაჩლუნგობა საერთოდ შესწავლილი არაა, მეტადრე, ენათმეცნიერულ-ფონეტიკური თვალსაზრისით; მესამეა ის, რომ ენაჩლუნგობის მეცნიერულ კვლევას კარგი პირი უჩანს — როგორც ლოგოპედიური ნეცნიერებისათვის, ისე საენათმეცნიერო ისტორიულ-გენეზისური პრობლემებისათვის.

ენაბლუობა, როგორც ნევროზი, გაცილებით უკეთაა მეცნიერულად შესწავლილი, და, თუ მისი მეცნიერული კვლევა მიმდინარეობს, იძიებენ, სხვა ნევროზების რიგში, მის წარმოქმნასა და მისი გამოსწორების მეთოდებს. ენაბლუობას არა აქვს იმდენად მრავალგვარი სახე, როგორც ენაჩლუნგობას, და მას ფონეტიკის ობიექტთან ნაკლები კავშირი აქვს, ვიდრე ენაჩლუნგობას, რადგანაც ენაბლუობაში ირღვევა. როგორც წესი, სიტყვა და არა ბგერა (იხ. ზემოთ). ამიტომვე ენაბლუობაზე მეცნიერული მუშაობა ნაკლებ პერსპექტივიანია როგორც ლოგოპედიისათვის, ისე ენათმეცნიერებისათვის, მეტადრე. ისტორიულ-შედარებითი ფონეტიკის თვალსაზრისით.

რაც შეეხება აფაზიებს, მათზე მეცნიერული მუშაობის გაშლა კოლექტივის ახლო მომავლის მიზანს წარმოადგენს. მართალია, აფაზიებიც ენაჩლუნგობაზე უკეთაა შესწავლილი, ყოველ შემთხვევაში, მედიცინაში ნევრო-პათოლოგიური თვალსაზრისით, მაგრამ საენათმეცნიერო-ფონეტიკური მხრით იქაც ბევრია საკვლევ-საძიებელი, განსაკუთრებით, სამეცნიერო ელემენტების (სიტყვა, ბგერა, მახვილი, მარცვალი და სხვ.) გენეზისის საკითხებისათვის. თუ კოლექტივმა, ამის მიუხედავად, აფაზიების შესწავლა მეორე რიგში დაისახა მიზნად, ეს იმიტომ, რომ აქაც — ისე როგორც ენაბლუობაში — ირღვევა არა ცალკეული ბგერები სიტყვაში, არამედ, მეტწილად, სიტყვა, და ამიტომ აფაზიებსაც — ისე როგორც ენაბლუობას — უფრო სუსტი კავშირი აქვს ფონეტიკის ობიექტთან.

### 3. პარალელიზმი ისტორიულ ბგერათმცვლილებაზე და დისლალიურ ღარღვევათა შორის

ზემოთ გაკვრით იყო თქმული, რომ „ენამოშლილობაში ისევე მოქმედებს გარკვეული ფონეტიკური კანონმიერება, როგორც ისტორიულ ბგერათცვლილებაში“ (გვ. 408); ნხედველობაში გვეკონდა სწორედ ენაჩლუნგობა (დისლალია). ამის მარტივ ნიმუშად გამოდგება. მაგ., შემდეგი: როგორც ვიცით (იხ. ნაწ. I, გვ. 216 და შემდ.), ინდოევროპულ ენათა ს-ს შესატყვისად გერმანიკულ ენებში იყო p; მაგრამ არა მხოლოდ ს-ს, არამედ ყველა ინდოევროპულ მეღერ ხშულს შეესატყვისება მისი ჰომორგანული ყრუ ხშული; ე. ი. თუ ს || p, მაშინ ძ || t, გ || k. ასეთივე კანონზომიერი შესატყვისობა გვაქვს, მაგ., ა. კაიშაურის დაკვირვებაში: თუ ენაჩლუნგს კ ეცვლება თ-თი (ქლიაეი > თლიაეი), მაშინ ყველა უკანაენისმიერი ხშული შეცვლილი ექნება წინაენისმიერი ხშულით. მართლაც, იგივე ენაჩლუნგი ამბობს: ანდარიში (გ > დ), ტლასში, სტამი, დავტიფე (კ > ტ). მაშასადამე, ამ ენაჩლუნგის წარმოთქმაში: გ—კ—ქ > დ—ტ—თ. თუ გერმანიკულ ენებში ჩვენ ვხედავთ კანონზომიერ „გადაწევას“ მეღერი > ყრუ, აქ გვაქვს მართლა გადაწევა წარმოების ადგილის მიხედვით: უკანაენისმიერი > წინაენისმიერი.

მაგრამ, მოპოვებული მასალის მიხედვით, მეტიც შეიძლება ითქვას.

მოყვანილი ნიმუშიდან, რომლის მსგავსი უამრავია, ვასკენით მხოლოდ, რომ ენაჩლუნგობას აქვს თავისი კანონზომიერება. მასალა მოწმობს აგრეთვე, რომ ენაჩლუნგური ბგერათცვლილება პარალელური ისტორიული ბგერათცვლილებებისა. ეს იმას ნიშნავს, რომ ნორმალურად მიჩნეულ ბგერათა ცვლილება მიმდინარეობს იმავე გზებით, რომლითაც დეფექტურად მიჩნეულ ბგერათა ცვლილება.

იმის შემდეგ, რაც ითქვა ზემოთ „ნორმალურისა“ და „დეფექტური“ ბგერის შესახებ, ეს გასაგებია და, ვფიქრობთ, დამარწმუნებელიც — მეტადრე, თუ მოვიგონებთ, მაგ., ინგლისური tli-ს შესახებ ნათქვამს, რასაც დაუშვებებთ კიდევ შემდეგს: რადგანაც ინგლ. tli-ს შეესატყვისება სხვა ინდოევროპულ ენებში t (მაგ., ზრი: — იწერება tliro ‘სამი’ || ლათ. tres, ბერძნ. τρεῖς, რუს. три; მამბა: — იწერება mother ‘დედა’, ლათ. mater, ბერძნ. μήτηρ, რუს. мать), ცხადია, რომ იგი (tli) „ენაჩლუნგური“ წარმოშობისაა ისტორიულად; იგივე ითქმის, მაგ., დოიჩლანდური მოქცეული „რ“-ს შესახებაც (იხ. ზემოთ).

რამდენადაც ჩვენი მასალა ამის ნებას გვაძლევს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყოველ ენაჩლუნგურ (დისლალიურ) ბგერათცვლილებას მოეძებნება პარალელი ისტორიულ ფონეტიკურ ცვლილებაში. მაგ., იმ მარტივ ნიმუშს (მარტივს ლოგოპედიურად, მაგრამ ძლიერ იშვიათს ისტორიულ-ფონეტიკურად), რომელიც მოყვანილია ზემოთ, მოეძებნება პარალელი (რა თქმა უნდა, არაზუსტი) ძველ ბერძნულში (და, ალბათ, სხვაგანაც).

იშვიათობა მდგომარეობს იმაში, რომ საერთოდ არ ხდება უკანაენის-  
მიერ ხშულთა გადასვლა წინაენისმიერ ხშულებად. რაც შეეხება პარა-  
ლელის არაზუსტობას, ეს მდგომარეობს შემდეგში: ძველი ბერძნულის  
წინაენისმიერი ამ შემთხვევაში მიიღებიან ისეთი უკანაენისმიერებისაგან,  
რომლებიც წინარე ეპოქაში იგულისხმება ლაბიალიზებულიად; მაგრამ  
ჩვენთვის აქ მნიშვნელობა აქვს პრინციპს: უკანა ხშული > წინა ხშულად:

ჩაგ., ძვ. ბერძნ. τῆσαι: 'ფასის გადახდა', φάρμακ: 'თბილი', ἄξιμα:  
'გოქი'. ამ სიტყვებში პირველი თანხმოვნები τ — φ — ὀ წარმოდგარია  
უკანაენისმიერ თანხმოვანთაგან, რასაც მოწმობს მათი შესატყვისები  
მონათესავე ენებში: ავესტის kaēnā- 'სასჯელი', რუს. пеня 'ფასი' (п < к)  
და სხვა: ძვ. ინდური gharmā- 'სიცხე', რუს. гореть 'ნთება, წვა', ძვ.

სომხ. յորմ 'თბილი' (յ < ք) და ა. შ.; ძვ. ინდ. garbhā- 'დედის მუცელი',  
'ბარტყი', გუთ. kalbī 'ხბო' და ა. შ.

შევნიშნავ, რომ ასეთ ცვლილებას ადგილი აქვს მხოლოდ ε და  
ჟ-ს წინ.

ადვილად გასაგებია ენათმეცნიერისათვის, თუ რა დიდი მნიშვნე-  
ლობა შეიძლება ექნეს ასეთი პარალელიზმის შესწავლას ენის ისტორიუ-  
ლად შესწავლის საქმეში.

#### 4. ლაბიარაგების პრობლემა ლომონოსოვი ბაშაქეში

იწინა კარგ ნიმუშს, რომ ენამოშლილობის მეცნიერულ შესწავლას  
წინაშეწელობენ როლი შეუძლია შეასრულოს კონკრეტული ენის ისტო-  
რიულ კვლევაში, წარმოდგენს მყლერი ფარინგალური თანხმოვნის მიკვ-  
ლევა უძველეს ქართულში ლოგოპედიური გზით და ამ პრობლემის ასე  
წარმატებით დამუშავება გ. როგავას, ს. ჟლენტისა და ა. ჩარგეიშვილის  
მიერ.

ამავე გზით დაიწყო აგრეთვე თანხმოვანთა აქცესიური კომპლექსის  
პრობლემის შესწავლა.

ამავე რიგისად შეიძლება ჩაითვალოს ამა თუ იმ ენაში ახალი ფონე-  
ნის წარმოქმნის ზოგიერთი საკითხი. მაგ., მხედველობაში მაქვს ზოგი-  
ერთი კავკასიური ენის ე. წ. „ლატერალური“ თანხმოვნები, რომლებსაც  
ჩვენ ვუწოდებთ ლატერატებს<sup>1</sup>.

ილ. ტერცვაძის შრომის (იხ. ნაწ. I, გვ. 53) გაცნობისა, ამ სა-  
კითხზე სპეციალური ლიტერატურის გათვალისწინებისა და პირადი  
ჩვენი (მართალია, არახანგრძლივი) დაკვირვების შედეგად, იმ დასკვ-

<sup>1</sup> ტერმინი „ლატერალური“ არაა გამოსადეგი იმიტომ, რომ იმავე ენებში მო-  
ჟობს ჩვეულებრივი ლატერალური ლიკვიდებიც. შეიძლებადა გვეხმარა „ლატერალი-  
ზებული თანხმოვნები“, მაგრამ ასეთ ტერმინში ნაგულისმევი იქნებოდა მისი წარმოქმნის  
მეორეულობა (რაც, ვფიქრობ, სწორია!) და მოუქნელიცაა. ამიტომ ვამჯობინებ 'მნიშვ-  
ნელობით ნეიტრალური და სიკრძით მოკლე ტერმინი.

ნამდვიე მით, რომ გასაზიარებლად ვთელი შეხედულებას ლატერატთა წარმოშობის მეორეულობის შესახებ<sup>1</sup>.

დღემდე უახლესი აზრი ამის შესახებ გამოთქმულია არნ. ჩიქობავას მიერ; „ლატერალები ყველა კავკასიურ ენას არ ახასიათებს. ამათაც ჰქონდათ და დაკარგეს თუ პირუკუ: იქაც არ იყო ეს ბგერები, სადაც ამჟამად მოგვეპოვება.

სინამდვილეს ასახავს მეორე შესაძლებლობა. ეს კი ნიშნავს: ლატერალებში გვაქვს კავკასიურ ენათა ბგერითი სისტემის გართულების უდაო ფაქტი. ეს გართულება ისტორიული განვითარების ძირითადი: ხაზია“. ილ. ცერკვაძე, რომლის ხსენებული შრომიდან მოგვეყავს ეს ამონაწერი, დგას ამავე პოზიციანზე<sup>2</sup>.

ეფიქრობთ, რომ, მართლაც, ლატერატი მეორეული წარმოშობისაა, კავკასიურ ენებში, მაგრამ არა ხშულთა სპირანტიზაციის გზით, როგორც ამას ადგილი ჰქონია, მაგ., ინგლისურში (იხ. ზემოთ I-ს შესახებ), არამედ სიგმატიზმის ნიადაგზე; ამ მხრივ კი ლატერატის განვითარება წარმოადგენს ინგლისური I-ს წარმოქმნის ანალოგონს: ერთიც და მეორეც სიგმატიკური წარმოშობისაა. არაა გამორიცხული, რათქმა უნდა, რომ ზოგიერთი ლატერატი (მათი რიცხვი, ფონემის სახით,

---

<sup>1</sup> სერიოზული საბუთიანობით შეიარაღებული დამცველები არცა ჰყავს საწინააღმდეგო შეხედულებას. ასეთად ვერ ჩაითვლება, მაგ., ცნობილი ამსტერდამელი იდუალისტი ბიოლოგიკტი - ვნათმეცნიერი ვან გინეკენ, რომლის აზრით, ყოველ რასას აქვს თანდაყოლილი არტიკულაცია; მაგ., წინარესლავურ ბრაქიკევალურ რასას ახასიათებს წარმოთქმა უფრო პირის უკანა ნაწილით, ხოლო ჩრდილოურ დოლოქთკეფალურა — პირის ღრუს შუათანა არტიკულაციით და ა. შ (იხ. Contribution à la grammairale comparée des langues du Caucase par J. von Ginneken, Amsterdam, 1938 გვ. 25). მისი აზრით, დაშლოლმა კავკასიის ხალხების ნაწილმა (მაგ. ჩერქეზებმა, ხუნძ ანდოელებმა) შემონახეს ლატერალები (ლატერატები). ნაწილმა კი (მაგ., ქართველმა ტომებმა), შეერივნენ რა ხმელთაშუა და ორიენტალიდ რასებს, სამუდამოდ დაკარგეს ისინი (ე. ი. ლატერატები) და შეცვალეს ისინი სხვა სუროგატებით (იქვე, გვ. 28).

არც ერთი ლინგვისტურ-ისტორიული საბუთიანობა არ გააჩნია ავტორს. თავი VI „ისტორიულ ფონეტიკური ნარკვევი ქართულის თანხმოვანთა კომპლექსების შესახებ“, რომელშიც იგი ცდილობს დააპტიკოს ქართულის თანხმოვანთა რთული (და ზოგჯერ ძლიერ მარტივი) კომპლექსებისა და ცალკეულ თანხმოვანთა წარმოშობილობა. პირვანდელ ლატერატთაგან (ხშირად იგი ურევს ქართულსა და უცხოურ სიტყვებს) ისევვა გაუგებრობის შედეგი, როგორც განწირულია მისი რასობრივი მოსახრებები. არ მოგვეპოვება არავითარი საბუთი იმის სასარგებლოდ, რომ ქართულ-ქართველურ ენებში ოდესმე არსებულყოფს ლატერატები (ვან გინეკენის წიგნის შინაარსი მოკუმულია ქართულად და რუსულად „ფონეტიკური ლიტერატურის ანოტირებულ ბიბლიოგრაფიაში“, II. კავკასიური ენები. 1940 წ. გვ. 4—16 და 92—105).

<sup>2</sup> ქვემოთ მოყვანილი ჩვენი მსჯელობა წარმოადგენს იმ მოხსენების ნაწილს, რომელიც წაკითხულია. ენის ინსტიტუტის კავკასიურ ენათა განყოფილებაში. (ქ ლომთაფიძე, ვლ. ფანჩიძე, გ. როგავა, ილ. ცერკვაძე, შ. გაფრინდაშვილი, დ. იმნაიშვილი. აღ. მაქომეტოვი, ტ. გუდავა და ე. ლომთაძე).

აუთანადე აღწევს, მაგ., ხუნძურის ხუნძახურ კილოში) ეტიმოლოგიური წარმოშობისა ც იყოს — როგორც სპირანტიზაციის, ისე ბგერათმერწყნის ნადაგზე; აგრეთვე ანალოგიის გზითაც; მაგრამ ასეთი შესაძლებლობა ჩვენ მეორეულად რას. მესამეულად (თუ თვით ლატერატის სიგმატიკური წარმოქმნა მეორეულად ჩაითვლება) გვეჩვენება, მეტადრე, სიტყვის არაძირეულ ელემენტებში; ძირეულებში კი, როგორც ჩანს, ლატერატები სიგმატიკურისა და ანალოგიის გზითაა მიღებული.

ლატერატთა ფიზიოლოგიიდან<sup>1</sup> საკმარისია ამ შემთხვევაში აღვნიშნოთ შემდეგი:

ყველა ლატერატი, ლატერალური ლიკვიდისაგან განსხვავებით, უნილატერალური არტიკულაციისაა და არა ბილატერალურისა (ლატერალური ლიკვიდიც შესაძლებელია იყოს უნილატერალური). უნილატერალური არტიკულაცია გამოყენებულია ლატერატის მიერ იმ სპეციფიკური (ლატერალური) ჩქანის გასაძლიერებლად, რომლისაგანაც შედგება ყრუ ლატერატი (ლიკვიდისაგან განსხვავებით, სადაც ჩქამს ჭარბობს ხმიერობა) და რომელიც ორად გაყოფის შემთხვევაში ნაკლებ ეფექტურია.

ლატერატის ჩქამის სპეციფიკურობაში აღსანიშნავია, რომ ეს ჩქამი წარმოადგენს ენის ცალმხრივი შეხების შედეგს ქვედა კბილების შესატყვის მხარესთან, რაც ჰქმნის სისინ-შიშინისებრ აკუსტიკურ ეფექტს, რომელსაც ქართულად „თლიფინს“ ვეძახით: ლოგოპედიური ტერმინოლოგიით მას ვუწოდებთ ლატერალურ (თლიფინა) სიგმატიზმს (იხ. ზემოთ გვ. 407).

ლატერატის სიგმატიკური წარმოქმნის სასარგებლოდ ლაპარაკობს ის არაუზნიშენელო გარემოება, რომ ხუნძურში ყველა ლატერატი ყრუა: ლოგოპედიისაში ცნობილია, რომ ლატერალური სიგმატიზმის შემთხვევაში ყველა წინაენისმიერი სიგმატიზირებული სპირანტი — ყრუც და მჟღერიც — ყრუდ წარმოითქმის.

ამგვარად, ლოგოპედიური თვალსაზრისით, ლატერატების სიგმატიკური წარმოქმნის შესაძლებლობა ექვს არ უნდა იწვევდეს. მაგრამ ეს არ კნარა.

საჭიროა ენათმეცნიერულად — ისტორიულ-შედარებითი მასალით — იქნეს ეს დებულება განართლებული.

<sup>1</sup> ანუ ბ ი ო მ ე ქ ა ნ ი კ ი დ ა ნ, როგორც იტყვოდა ლოგოპედი. საჭიროა აქვე შევნიშნოთ, რომ ჩვენ ვასხვავებთ ლატერატის დღევანდლურ ფიზიოლოგიას (ბიომექანიკას) მისი სავარაუდო გეხეხისური ფიზიოლოგიისაგან: დღეს ლატერატი, როგორც ფონემა, სხვა არაფერია, თუ არ ლატერალიზებულ — აფრიკატიზებული წინაენისმიერი ხშული; მაგ., ხუნძურის ხეთი ლატერატი წარმოგვიდგება შემდეგი სახით: თ' — თთ' — ტ' — ტ' — წ', რასაც დღემდე გამოვხატავდით ასე: ლ' — ლ' — ლ' — ლ' — ტ' შესაბამისად. თავისი გენეზისით კი ლატერატი, როგორც ვთქვით, „სიგმატიზირებული“ წინაენისმიერი სპირანტი (შესაძლოა, სიგმატიზირებული აფრიკატიც).



ასეთად ჩვენ ვთვლით ხუნძ. თ' II ქართ. ხ: ხუნძ. თ' აბგო 'სამი' II ქართ. ხამი. თუ ეს შესატყვისობა ისევე სწორია მატერიალურად (ფონეტიკურად), როგორც სემანტიკურად (არც ერთში, თითქოს, ექვი არავის შეაქვს), მაშინ ენათმეცნიერული არგუმენტაცია ემთხვევა ლოგოპედიურს: თ' გულისხმობს სწორედ ხ-ს სიგმატიზაციას. ამითვე მტკიცდება მეორეულობა ლატერატის წარმოქმნისა, რაც, როგორც აქედანვე ჩანს, არც ისე შორეული წარსულის ფაქტი უნდა იყოს.

რაც ითქვა, ეს წარმოადგენს ლატერატთა წარმოქმნის პრობლემის მხოლოდ ახალ სიბრტყეზე დასმას. ამით რა თქმა უნდა, არ წყდება საკითხი. პრობლემისადმი ამგვარად მიდგომა იწვევს მრავალ ახალ საკითხს: მაგ.: რით აიხსნება ლატერატთა სიმრავლე, ვთქვათ, ხუნძურში, მაშინ როცა ამოსავალი მხოლოდ ერთია (სახელდობრ: ხ) მიკვლეული? რა უძევს გენეზისურ საფუძვლად თითოეულ ლატერატს? ასეთივე წარმოშობისაა თუ არა, მაგ., ადიღეური ლატერატები? რა მიმართებაშია ერთმანეთთან სიგმატიკურისა და ეტიმოლოგიური წარმოშობის ლატერატები? აქვს თუ არა ადგილი ლატერატთა წარმოქმნას ანალოგიის ძალით? და მრავალი სხვა<sup>1</sup>.

ყოველ შემთხვევაში, ლოგოპედიის მონაცემების გათვალისწინებით, კავკასიურ ენათა განყოფილების მკვლევართა დახმარებით, ლატერატთა პრობლემა ახალ ეტაპზე დადგა. საქიროა და შესაძლებელიც მისი კოლექტიურადვე გადაწყვეტა.

---

საგანგებო განხილვას მოითხოვს საკითხები სამეტყველო ბგერათა გენეზისური თანამიმდევრობის შესახებ ლოგოპედიის მონაცემებით.

ლოგოპედიის პრაქტიკა შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ენათმეცნიერის მიერ არა მხოლოდ აღწერილობითსა და ისტორიულ ფონეტიკაში, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, არამედ სამეტყველო ბგერათა წარმოქმნის თანამიმდევრობის დადგენაშიც, რაც, თავის მხრივ, საკმაოდ მნიშვნელოვანია ისტორიული ფონეტიკისთვისაც.

ერთი მხრით, ცნობილია ლოგოპედიურ პრაქტიკაში ბგერათა დაყენებისა (ე. ი. ბგერათა წარმოქმნის ჩვევათა შექმნის) გარკვეული თანამიმდევრობა „ადვილიდან — ძნელისაკენ“: „ადვილ“ ბგერებად ითვლება ონტოგენეზისურად (ბავშვის მიერ თავის პირად განვითარებაში) ადრე შეთვისებული სამეტყველო ბგერები; ესენია ბაგისმიერები და წინაენისმიერები. ამათ შემდეგ და მათ საფუძველზე უყენდება უკანაენის ბგერები, რომლებიც, მაშასადამე, ითვლება უფრო „ძნელ“ (ონტოგენე-

---

<sup>1</sup> ზოგიერთ ამ საკითხზე მოხსენებაში გამოთქმულია ჩვენი სავარაუდო მოსახრება, რის შესახებაც ახრი გამოთქვებს კ. ლომთათიძემ, ი. ცერცვაძემ, შ. გაფრინდუაშვილმა და ე. ლომთაძემ.

ზისურად გვიან შეთვისებულ) ბგერებად. მეორე მხრით, წარმოთქმის დაზიანების შემთხვევებში პირველ რიგში ზიანდება უკანაენისმიერი ბგერები. მაგრამ ამათზე უფრო ადრე ზიანდება ლიკვიდები რ—ლ, რომლებიც წინაენისმიერები კი არის, მაგრამ ბავშვს ისინი უვითარდება. ყველა თანხმობის შემდეგ.

როგორია სამეტყველო ბგერათა ფილოგენეზისური. (აღამიანის იმთავითვე) განვითარების თანამიმდევრობა? ემთხვევა თუ არა იგი ონტოგენეზისურს? ეს და ბევრი სხვა ანალოგიური საკითხი არაა უმნიშვნელო ენათმეცნიერისათვის, რადგანაც ცნობილია, რომ ბგერათა ესა თუ ის ჯგუფი იცვლება ისტორიულად იმის მიხედვითაც, თუ რომელი რიგისაა იგი — წინასი თუ უკანასი. კერძოდ, ცნობილია, რომ თავისებურ ცვლილებებს განიცდიან ყოველ ენაში, მაგ., ლიკვიდები.

თუ გავითვალისწინებთ, ერთი მხრით, რომ სამეტყველო ბგერა სიტყვაში არა მხოლოდ მექანიკურ-მოტორული აქტია, არამედ გარკვეული მნიშვნელობითი ელემენტი (ისე, როგორც სიტყვა) ჩვენი მეტყველებისა, ხოლო მეორე მხრით, იმ საყოველთაოდ ცნობილ პათოლოლოგიურ კანონზომიერებას, რომ პათოლოგიურ შემთხვევებში უფრო ადვილად ზიანდება გვიან (როგორც ონტო-, ისე ფილოგენეზისურად) წარმოქმნილი ფუნქციები, ხოლო უფრო გამძლეა ადრინდელი (უძველესი), — გასაგები იქნება, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ლოგოპედიის მონაცემები ამ მიმართულებით მეცნიერული კვლევისათვის.

ასეთ საკითხებზე მუშაობაში, რა თქმა უნდა, დისლალიების შესწავლასაც აქვს მნიშვნელობა, მაგრამ აფაზიების და ტრავმირებული მეტყველების შესწავლა აქ პირველ ადგილზე უნდა იდგეს.

თბილისის ლოგოპედთა კოლექტივის მუშაობა ამ მიმართულებით განისაზღვრება ჯერჯერობით რამდენიმე მნიშვნელოვანი დაკვირვებით<sup>1</sup>.

---

აქვე ვათავსებთ, ზოგიერთი ცვლილებით, მეცნიერულ-პოპულარულ სტატიას „ენამოშლილობა და მისი გამოსწორება“, რომელიც დაბეჭდილია გაზ. „საბჭოთა მასწავლებელში“ (1945 წ. 1/XI, № 16—848).

---

<sup>1</sup> იხ. ზემოთ გვ. 409; აგრეთვე ჩვენი „თანხმობათა პათოლოგიური ცვლილების სხვადასხვა სახის შესახებ“ (საქ. მეცნ. აკადემიის „მომამბე“, ტ. V, № 3, 1944 წ.); ს. ქლენტიის „პოსტკონტუხიური ენამოშლილობის ფონეტიკიდან“ (თბილისის ფუნქციონერულ დაავადებათა ინსტიტუტის და პოლიკლინიკის „შრომები“. II. 1945, 239—243); ა. კაიშაურის „პოსტკონტუხიური მეტყველება ხმოვანი ბგერებით“ (იქვე გვ. 244—5); ნ. ასაშბაძის „მახვილის საკითხისათვის კონტუხებულთა მეტყველებაში“ (იქვე, გვ. 247—9).

მეტყველება ადამიანის უძვირფასესი იარაღია, რომელიც მოპოვე-  
ბული აქვს მას თავისი განვითარების გრძელ გზაზე.

მაგრამ ამ იარაღს ხშირად თან სდევს დარღვევის, მოშლის შესაძ-  
ლებლობა და საშიშროება. და ეს საშიშროება მით უფრო მეტია, რაც  
უფრო ნაკლებ ვუვლით ჩვენ მას. მეტყველების დარღვევის საშიშროება  
მრავალნაირია. ზოგჯერ ადამიანს ისე დაერღვევა მეტყველება, რომ  
თითქმის დამუნჯდება, „ენა ჩაუვარდაო“—იტყვიან. ზოგჯერ კიდევ ადა-  
მიანი, შეშინების ან რაიმე ავადმყოფობის ნიადაგზე, დამუნჯდება კი-  
დეც. ძალიან ხშირად ეს გაივლის ხოლმე ან თავისთავად და ან სათა-  
ნადო საექმო დახმარებით, მაგრამ ხშირია, რომ ადამიანი ისე სუფთად  
ველარ ლაპარაკობს, როგორც წინათ: მას აქვს ამა თუ იმ სახის ენა-  
მოშლილობა, მისი ლაპარაკი ძნელად გასაგები ან სრულიად გაუგე-  
ბარია.

ენამოშლილობა მეტყველების ისეთი დარღვევაა, როცა სიტყვა  
ითქმება იმდენად გაურკვეველად, რომ ძნელია მისი გაგება. მაგალითად,  
ბავშვს უნდოდა ეთქვა 'ჭაჭარი და თქვა ხათარი. ეს იმიტომ, რომ მას  
არ შეუძლია წარმოთქვას შ და ქ; მას უნდა თქვას შავი და ამბობს  
ხავი, უნდა თქვას ქორი და ამბობს თორი. ასეთ ენამოშლილობას ჩვენ  
ვეძახით ენაჩლუნგობას. როგორც აქედან ვხედავთ, ენაჩლუნგობაში გარკ-  
ვეული კანონზომიერება არსებობს: თუ ბავშვი ერთ სიტყვაში ვერ ან-  
ბობს ქ-ს, ის ვერ იტყვის მას (იმავე ბგერითს გარემოცვაში) ვერც ერთ  
სხვა სიტყვაში: როცა უნდა თქვას ქარი, იტყვის თარი. კიდევ მეტიც:  
თუ ის ვერ ამბობს ქ-ს, ვერ იტყვის ის აგრეთვე გ-ს და კ-საც: როცა  
უნდა თქვას გორა, ამბობს ღორა, უნდა თქვას კარი—ამბობს ტარი.  
აგრეთვე, თუ მას არ შეუძლია თქვას შ, როგორც შაქარში, შავში, ვერ  
იტყვის ვერც ე-ს, ჯ-ს, ჩ-ს და კ-ს: თუ უნდა თქვას უორა—იტყვის  
ზორა; უნდა თქვას ჯარი—იტყვის ძარი; თუ უნდა თქვას ჩემი—იტყვის  
ცემი; როცა უნდა თქვას კირი, იტყვის წირი.

ასეთი კანონზომიერების მონახვამ გაუადვილა მეცნიერებას ამგვა-  
რი ენაჩლუნგობის გამოსწორება.

არის ენამოშლილობის სხვა სახეც. მაგალითად, ენაბლუობა, რო-  
მელსაც ენადაბმულობახაც ეძახიან. ესაა სიტყვის ერთ-ერთი მარცვლის,  
ხშირად დასაწყისში, ზედიზედ განმეორება. მაგალითად, ენაბლუს უნდა  
თქვას ბალი,—ის იტყვის: ბა-ბა-ბა-ბა-ბალი; უნდა თქვას დედა, იტყვის:  
დე-დე-დე-დედა-დედა. ენაბლუობა აგრეთვე, როცა ბავშვი მოკუშმავს  
ტუჩებს, მაგალითად ბ-სათვის, როცა უნდა თქვას ბალი, და ველარ გა-  
აღებს კარგა ხანს; ან მიაბჯენს ენას კბილებთან დ-სათვის, როცა უნდა  
თქვას დედა, და ველარ მოაცილებს მას კარგა ხანს. ხშირად ენაბლუო-  
ბას თან სდევს ენაჩლუნგობაც, და მაშინ სრულიად გაუგებარია ლაპა-  
რაკი. არის კიდევ ენამოშლილობის სხვა სახეებიც, მაგალითად ზომანზე

მეტად ჩქარი ლაპარაკი, რომელიც სრულ გაუგებრობამდე მიდის, ან ზომიერ მეტად მოდუნებული მეტყველება და სხვა.

იმ მეცნიერებს, რომელიც იკვლევს ასეთ ენამოშლილობებს და გვასწავლის, თუ როგორ გამოვასწოროთ ეს ნაკლოვანებები, ჰქვია ლოგოპედია, ხოლო ამ მეცნიერებაში და მის პრაქტიკულად გამოყენებაში დახელოვნებულ სპეციალისტს ლოგოპედი-ალმზრდელი.

ლოგოპედია არაა ახალი მეცნიერება: ჯერ კიდევ გასული საუკუნის დამლევს ჰყავდა ამ მეცნიერებას შესანიშნავი წარმომადგენელი რუსეთში (სიკორსკი); მაგრამ ფართოდ გავრცელდა და განვითარდა იგი ჩვენში მხოლოდ დიდი ოქტომბრის შემდეგ... ყურადღება მიექცა მეტყველების სისუფთავეს, მეტადრე სკოლაში, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ენამოშლილის ლაპარაკისაგან უსიამოვნებას გრძნობს როგორც მსმენელი, ისე თვით მოსაუბრე, არამედ უმთავრესად იმიტომ, რომ ენამოშლილობას დიდი ზიანი მოაქვს ბავშვისათვის: ენამოშლილი ბავშვები უმეტეს შემთხვევაში ჩანორჩებიან სწავლაში და საერთოდ იჩაგრებიან ხოლმე. ენამოშლილი ბავშვი შორცხვია, გაუბედავია, იქვიანია, გულფიცხობს, გაჯრბის ამხანაგებს, მიუკარებელია. ენამოშლილს რცხვენია თავისი ნაკლისა და ამიტომ უმეტესად გაჩუმებულია. ვერ ბედავს ლაპარაკს — დაცინვისა ეწინაა. კლასში გაკვეთილებზე ენამოშლილი ბავშვი ზის თავისთვის, არ იღებს მონაწილეობას იმ პასუხებში, რომელთაც აძლევენ სხვა ბავშვები მასწავლებელს კლასისადმი მიმართულ კითხვებზე. ამის გაშო იგი ჩანორჩება ამხანაგებს გონებრივ განვითარებაშიც.

აღამიანის მეტყველება და აზრი ისეა ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ ერთის დაზიანება იწვევს მეორის დარღვევას. ენამოშლილი ბავშვები, ჩამოთვლილი ნიზეზების გამო, ხშირად უდისციპლინონიც არიან: ამიტომ ნათ ზიანი მოაქვთ თვით სკოლისთვისაც, მეტადრე იმიტომ, რომ ზოგჯერ ენაწწორი ბავშვები უნებურად ბაძავენ ხოლმე ენამოშლილს. თუ რა მინიწენელობა აქვს მიმბაძველობას ამ მხრივ, ჩანს თუნდაც იქიდან. რომ ერთ ოჯახში დაძმებს ან ოჯახურად მახლობლებს ერთნაირი ენამოშლილობა აქვთ. ეს იმიტომ კი არა, რომ ნათესაობით ჰქონდეთ მათ ეს ნაკლოვანება: ეს შედეგია მხოლოდ მიმბაძველობისა, რადგანაც მემკვიდრეობითი ენამოშლილობა არ არსებობს.

ცნობილია, რომ მეტწილად ბავშვებს აქვთ ენამოშლილობა — ჩითუჩითი, სიფსითი, ენადაბმულობა და სხვა ამგვარი. ზოგიერთი ასეთი ნაკლი თავისთავად გამოუსწორდება ხოლმე ბავშვს წლების განწავლობაში. მაგრამ, რაც უფრო დიდხანს იქნება ბავშვი ენამოშლილი, მით უფრო მეტად ჩანორჩება იგი ენაწწორ ამხანაგებს სწავლასა და გონების განვითარებაში. ამიტომეა საჭირო, რომ სათანადო ღონისძიება რაც შეიძლება ადრე იყოს მიღებული. საზოგადოებრივად დიდი ნაკლია, როდესაც ენამოშლილობა ბავშვს მოზრდილობაშიც გაჰყვება და

იგი ზოგჯერ მუდამ ენამოშლილი რჩება. თუ აქამდე არ იყო ხელმისაწვდომი ყველასათვის ენამოშლილობის გამოსწორება, საბჭოთა ხელისუფლების დროს, როცა საერთოდ მკურნალობა ყველასათვის ხელმისაწვდომია და ენამოშლილობის გასწორება თითქმის ასპროცენტიანი წარმატებით თავდება. შეუწყნარებელია ენამოშლილი იქნეს მომავალში მოზრდილი ადამიანი, მით უმეტეს იმიტომ, რომ, გარდა ზემოთქმულისა, ენამოშლილობა ხელს უშლის ადამიანს ამოირჩიოს ის პროფესია, ის საქმიანობა, რაშიც ის თავის მოწოდებას გრძნობს, რაც მას უყვარს: ენამოშლილი გაუჩინებს მასწავლებლობას, მსახიობობას, ვექილობას და ყველა ისეთ საქმიანობას, რაც მოითხოვს საჯაროდ ან საერთოდ გარეშე პირებთან ლაპარაკს.

არის თუ არა საშუალება თავიდან ავიციდინოთ ენამოშლილობა, გამოვასწოროთ იგი თავის დროზე, რომ ბავშვი სწავლასა და განვითარებაში არ ჩამორჩეს, არ დაიჩაგროს?

ასეთი საშუალება არსებობს, როგორც ზემოთ იყო მოკლედ ნათქვამი, ლოგოპედიის სახით. თუ ადამიანს რომელიმე სამეტყველო ორგანო (ტუჩები, ენა და სხვა) არ აკლია ან თუ ისე არა აქვს დამახინჯებული, რომ ქირურგიული ჩარევაც კი ვერ შეეღის (ასეთი შემთხვევები კი თითქმის არ არსებობს), მაშინ ლოგოპედის მუშაობა მუდამ წარმატებით მთავრდება, ენამოშლილობა გამოსწორდება. მაგრამ მიუტყვეველი იქნება, თუ ზოგიერთი მშობლები, სკოლის დირექტორი და მასწავლებლები, რომლებმაც უნდა იცოდნენ ასეთი საშუალებების არსებობა, არ მიართვეს თავის დროზე ლოგოპედ-აღმზრდელს ან, საკირო შემთხვევაში, ექიმს და ამით ხელს შეუწყობენ თავიანთი ენამოშლილი ბავშვების ჩამორჩენილობას, გააძნელებენ ენამოშლილობის გამოსწორებას და საზოგადოებას მოუშხადებენ არასრულფასეულ მოქალაქეს.

უკვე 20 წელზე მეტია, რაც ჩვენში, საქართველოში, დაიწყო ლოგოპედიური მუშაობა<sup>1</sup> თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში (ამჟამად საქართველოს სსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტი, დირ. პროფ. დ. ლორთქიფანიძე) და ფუნქციონალურ-ნერვულ დაავადებათა ინსტიტუტში (დირ. პროფ. ა. გოცირიძე). ამ უკანასკნელში 1931 წელს შექმნილი ლოგოპედიური უჯრედი, განყოფილების სახით, დღემდე წარმატებით მუშაობს: ამ ხნის განმავლობაში მრავალმა ასეულმა ენამოშლილმა გამოასწორა თავისი ნაკლოვანი მეტყველება აქ და სხვაგანაც, სადაც კი ამ კოლექტივის რომელიმე წევრს ხელი მიუწვდებოდა.

<sup>1</sup> რუსეთში მას 60 წელზე მეტი ისტორია აქვს, ხოლო საბჭოურ ეპოქაში ფართოდ გაიშალა როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული ლოგოპედიური მუშაობა.

თბილისის გარეთ ლოგოპედიური კაბინეტი შექმნილია. ქუთაისში, სახელდობრ, საქ. სსრ ჯანმრთელობის სამინისტროს ქუთაისის ფსიქონევროლოგიურ დისპანსერთან.

ლოგოპედიური მუშაობა რომ საქიროა არა მხოლოდ. ბავშვებთან, ჩანს იქიდან, რომ ხშირად მოზრდილებსაც და ხნიერებსაც კი მოეშლებათ ხოლმე ენა, კონტუზიისა ან რაიმე დაავადების ნიადაგზე. აქაც საექიმო დახმარებასთან ერთად—და ზოგჯერ პირველ რიგში — ლოგოპედის ჩარევაა საჭირო.

ჩვენი ლოგოპედების მოვალეობაა ებრძოლონ ჩვენში ენანოშლილობას; მაგრამ ლოგოპედები ამას ვერ შეასრულებენ, თუ თვით დაინტერესებულმა პირებმა არ მისცეს მათ ამის საშუალება: ყველა საქირო შემთხვევაში სკოლამ და მასწავლებლებმა დაუყოვნებლივ უნდა მიმართონ დახმარებისათვის საექიმო და ლოგოპედიურ დაწესებულებას.

---

# ს ა ძ ი ა ბ ლ ე ბ ი \*

## ა. საგნობრივი საქმიანული

ა

- აბდომინალური სუნთქვა 26.  
აბლაუტი 209, 298.  
აბეჭური დიალ. 398.  
აბრუპტივი 8, 27, 33, 77, 78, 80, 81, 92, 150, 195, 262, 263, 291, 401.  
აბრუპტივიზაცია 78.  
აბრუპტივული სპირანტი 305, 398.  
აბსოლუტურად ძლიერი პოზიცია 373.  
ადამიანის ხმა 49.  
ადაპტაცია 382.  
ადიდევური 43, 285, 398.  
ათინური დიალექტი 188.  
აკუსტიკა ფონეტიკური 48, იხ. ფონეტიკური აკუსტიკა.  
აკუსტიკური ეფექტი 326.  
ალეოლარი 196, 346, 375.  
ალეოლები 20, 83.  
ალტერნაცია 207, 211.  
ალფაბეტი 164.  
ალფაბეტური სისტემა 180.  
ამპლიტუდი 50.  
ანალიტიკური ანბანი 179, 180.  
    "    სისტემა 180.  
ანალოგია 187, 249, 299.  
    "    გრამატიკული 232, 243.  
    "    მადიფერენცირებული 231, 244, 245.  
    "    ნეიტრალური 231, 244.  
    "    ფონეტიკური 243, 248, 249.  
    "    ფუნქციონალური 231, 244, 245.  
ანალფაბეტური სისტემა 180, 182.  
ანაპტიქსი 234.  
ანბანი 55, 164.  
ანბანი ანალიტიკური 178.  
ანბანური სისტემა 180.  
ანლაუტი 220.  
ანტიციპაცია 112, 113, 116, 207.  
    "    კოარტიკულაციური 114.  
აპიკალური თანხ. 35, იხ. თანხმოვანი.  
აპიკალურობა 177.  
აპოკოპე 235.  
აპოკოპირება 235.  
არაანბანური სისტემა 180.  
არაბული 55, 180, 317, 399.  
არალაბიალიზებული 431.  
"არალრბადუკანენისმიერი" 375.  
არაჩქამიერი 402.  
არახშული 401.  
    "    სონორი 265.  
    "    ჩქამიერი 285.  
არახშულობა 89.  
არტიკულაცია 24, 97, 358.  
    "    იოტისებრი 112.  
    "    მეორეული 110, 111, 113, 116.  
    "    პირველადი 111.  
    "    საზიარო 100.  
არტიკულაციის ერთეულიეობის წესი 107, 109.  
არტიკულაციის უმოკლესი გზის წესი 101, 103.  
არკული 43.  
ასიბილირება 180.  
ასიმილატორი 118, 199.  
ასიმილაცია 116, 119, 185, 193, 194, 207, 344.

\* საქმეებლები არაა ამომწურველი.

ასპალაყ ა დის ტანკიერი 117, 193, 194,  
 195, 197, 226.  
 ველარული 198.  
 ისტორიული 117.  
 კონტაქტური 117, 193, 195,  
 226.  
 ნაწილობრივი 118, 393, 195,  
 196, 198.  
 „ პროგრესული 117, 193, 194,  
 197, 287, 335, 336.  
 „ რეგრესული 193, 194, 195,  
 196, 199, 226, 271, 335, 336.  
 „ რთული 170, 196, 199.  
 „ საურთიერთო 120.  
 „ სრული 118, 193.  
 „ უმლაუტისებური რეგრესუ-  
 ლი 198.  
 ასიმილაციური გამქლერება 118.  
 „ გაყრუება 118.  
 ასო 55, 164, 178, 180.  
 ასოებრივი წერა 166, 170.  
 ასპირატები 77, 78, 79, 106, 367, 382.  
 aspiratae 353, 354.  
 ასპირატი ბღლერი 79, 80.  
 „ ყოუ 79, 80  
 ასპირაცია 77, 78, 79, 177, 361, 367.  
 ასპირიოება 180.  
 აუსლაუტი 220.  
 აუაზია 409.  
 აუაზია მოტორული 409.  
 „ მოძრაობითი 409.  
 „ სენსორული 409.  
 აფატიკი 409.  
 აფერეზისი 235.  
 აფექტირებული წარმოთქმა 286,  
 აფრიკატი 39, 40, 77, 84, 98, 101, 195,  
 212, 303, 316, 345, 374.  
 აფრიკატი ღატერალური მკვეთარი 43.  
 „ „ ფშეინვიერი 43.  
 „ წინაენისმიერი 399.  
 აფრიკატიზაცია 184.  
 აფხაზური 42, 73, 86, 285, 322, 398.  
 აქეთური კომპლექსი 108.  
 „აკენტი- 48.  
 აქცესიური კომპლექსი 107, 108, 151, 207,  
 287, 303, 334, 335, 343, 412.  
 აპარმონიზაცია 301, 305.

ბ

ბაგეები 20.  
 ბაგე-კბილისმიერი 32.  
 ბაგისმიერი 195, 228, 375.  
 ბალსხემოური 88.  
 ბაცბური 43.  
 ბგერა 12, 48, 127, 178.  
 ბგერა არათავისთავადი 269.  
 „ ბიოლოგიური 3, 391.  
 „ გარდამავალი 94, 96.  
 „ დამდგარი 96, 97.  
 „ „დეფექტური“ 411.  
 „ ერთნიშნისანი 178.  
 „ თავისთავადი 269.  
 „ „ნორმალური“ 411,  
 „ ორშედგენილობიანი 178.  
 „ პოზიციით განპირობებული 270.  
 „ პოზიციით განუპირობებელი 270.  
 „ სამეტყველო 164, 323.  
 „ სამშედგენილობიანი 178, 179.  
 „ სოციალურად ღირებული 3, 73.  
 „ ფიზიკური 3.  
 „ ცხოველური 3.  
 „ ჰეტეროზოგანული 101,  
 ბგერათა სიგრძე 121.  
 „ სიმარტივე 89, 90.  
 „ სიმოკლე 121.  
 „ სირთულე 89, 90.  
 „ ორმხრივი შეერთება 95.  
 „ რაოდენობითი განსხვავება 122.  
 „ ცალმხრივი შეერთება 95.  
 ბგერათგადასმა 204.  
 ბგერათმახვილი 129.  
 ბგერათმონაცვლეობა 207, 211, 299.  
 „ გრამატიზებული 210, 293.  
 „ ისტორიული 209, 211, 293.  
 „ კომბინატორული 210.  
 „ პოზიციური 208, 243.  
 „ სუპრინტიზებული 210, 293,  
 „ ფონეტიკური 209, 293.  
 „ ფონოლოგიური 209, 211, 293



ბგერათრაოდნობა 121, 124, 130.  
 ბგერათრედუქცია 211.  
 ბგერათსისტემა 167, 188.  
 ბგერათსუბსტიტუცია 225, 226, 237.  
 ბგერათშეერთება 94, 185, 187, 349.  
 " კონტაქტური 98  
 ბგერათშეერთების მეთრე წესი 101, 104,  
 " შესაშე წესი 107.  
 " პირველი წესი 100.  
 " წესები 99.  
 ბგერათწენაცვლება 227.  
 ბგერათშერთება 98, 99.  
 ბგერ. თშერწყმა 98, 99, 101.  
 ბგერათშეხამება 185.  
 ბგერათჩანაცვლება 225, 248, იხ. სუბსტი-  
 ტუცია  
 ბგერათცვალებადობა 116.  
 ბგერათცვალებადობის კანონზომიერება  
 237.  
 ბგერათცვალებადობის შინაგანი ფაქტორი  
 253.  
 ბგერათცვლილება 189, 192, 200, 229,  
 " 237, 241, 249, 249.  
 " არაფონეტიკური 230:  
 " განპირობებული 185,  
 " 186, 190.  
 " განუპირობებული 186.  
 " დამოკიდებული 186.  
 " დამოუკიდებელი 186.  
 " ერთეამიერი 238.  
 " თანეამიერი 237.  
 " ისტორიული 237, 238.  
 " კომბინატორული 185,  
 " 186.  
 " სკონტანური 186, 187,  
 " 190.  
 " წინარეისტორიული 239.  
 ბგერათცვლილების ფონოლოგიური მი-  
 ხეხი 253.  
 ბგერათხანგრძლიობა 123, 124.  
 ბგერათწარმოება 77.  
 ბგერასავსეობა 60.  
 ბგერები თანაგვარი 363.  
 " ლარინგალური 89.  
 " მაგარი 111.  
 " ორალური 89.  
 " პალატალიზებული 111.  
 " რბილი 111.  
 " ტონიერი 323.

ბგერები თარინგალური 89.  
 " ჩქანიერი 323.  
 " წლაპუნა 325.  
 ბგერითი ანალოგია 225, 230, 231.  
 " ეფიქტი 97.  
 " კონტამინაცია 230.  
 " მეტყველება 4, 404.  
 " სისტემის ადაპტაცია 382.  
 ბგერის ელფერი 52.  
 " რეზონატორი 114.  
 " ხანგრძლიობა 121.  
 ბგერობა 97.  
 ბგერობრივი ანალიზი 169.  
 ბგეროვნობა 60.  
 " სამეტყველო 405.  
 ბგლორული 251.  
 ბუნგალური 36.  
 ბერძნული 52, 285.  
 ბერძნული ევლი 123, 341, 342.  
 ბექდისგარი ხრტილი 14.  
 ბხიჟური დიალ. 398.  
 ბილაბიალური 34, 84.  
 ბილატერალური 42  
 Bilabial 54.  
 ბჟეჟულური დიალექტ. 81.  
 ბრუნუნა 198, 199.  
 ბრონქები 13.  
 ბრონქოლოები 13.  
 ბულგარული 240.  
 ბუსტროფედონის წესი 170.

გ

გაფრიკაცება 348.  
 გადაადგილება (ბგერის) 204.  
 გადასმა 204.  
 გადახმუნება 197.  
 გამკვეთრაფრიკაცება 377.  
 გამელერება 354.  
 გამელერება დის-მილაციური 204, 227  
 იხ. დისიმილაციური გ. მელერება.  
 გამელერება დისტანციური პროგრესულ-  
 დისიმილაციური 386.  
 გამელერება დისტანციური რეგრესულ-  
 დისიმილაციური 385.  
 გამელერება კომბინაციური 158.  
 გ. მელერება კონტაქტური პროგრესულ-  
 დისიმილაციური 386.

გამკლავება დისტანციური რეგრესულ-დი  
 სიმილაციური 385.  
 განივი ხმოვანი 394.  
 გაპალატალება 199.  
 გარდამავლობა 16.  
 გარდამავლობის ხანგრძლიობა 97.  
 გასპირანტება 217. 335.  
 გასრულხზოვნება 190  
 „გატუჩისეულება“ 70.  
 გაუმლაუტებელი ხმოვანი 192.  
 გეჰინატი 100, 101.  
 გეჰინაცია 100.  
 გერმანიკული ენა 8, 198, 216, 222.  
 გერმანული 36, 37, 44. 52, 59, 85, 105,  
 252, 266, 275, 281, 293, 333, 337,  
 349, 350, 355.  
 გერმანული ზემო 217.  
 „ ჩრდილო 78.  
 „ ძველი ზემო 254.  
 გვერდითი თანხ. 39, 42.  
 გრაფიკული მეთოდი 9.  
 გუთური 216. 217. 252, 350.  
 გუტურალური 368.

დ

დაბრკოლების ადგილი 46.  
 დაბრკოლებათა რაგვარობა 38. 46.  
 დამართვა 23, 107.  
 მაგარი 106.  
 ნელი 106, 107.  
 „ ძლიერი 106.  
 დამარცვლა 142.  
 „ პრაქტიკული 142, 143, 151,  
 152.  
 დამარცვლა ფონეტიკური 151, 152.  
 დამწერლობა არამიელების 170.  
 „ ასოებრივ-ბგერითი 170.  
 „ ეტიმოლოგიური 174.  
 „ მარცვლობრივ-ბგერითი 170.  
 „ მარცვლოვანი 170.  
 „ სემიტური 170  
 „ ტრადიციული 273.  
 „ ფინიკიელების 170.  
 დანიური 349.  
 დაყოვნება 28, 123.  
 დაყრუება 185.  
 დევანაგარი 55.  
 დეხაბრუტივიაცია 72.

დეხაფრიკატიზაცია 212.  
 დეიქტიკური ფუჰცია 390, 391.  
 დელაბიალიზაცია 213.  
 დენტალი 346.  
 დენტალური 34, 225, იხ. თანხმოვანი  
 დენტალური  
 დენტი-ლატერალური თანხ. 225.  
 დენტი-ფაჰკალური თანხ. 224. /  
 დეჰექტიანი სამეული 8ა.  
 დეჰექტური მეტყველება 409, 410.  
 დეჰექტური სამწვეოვანი შეფარდება  
 281.  
 დეჰექტური წარმოთქმა 408.  
 დეცესიური 335  
 „ თანამიმდევრობა 355  
 „ კომპლექსები 107, 108, 151,  
 223, 303. 337.  
 დიაკრიტიკული ხიზნები 90, 91, 177,  
 180, 181.  
 დიაკრიტიკულ ნიზნაკთა ცხრილი 177.  
 დიაფრაგმა 12, 13.  
 დიფოეზისი 235.  
 დინამიკური წარმოების ბგერები 64.  
 დისიმილატორი 203. 384.  
 დისიმილაცია 194, 200, 202, 207, 344,  
 346, 347, 382.  
 „ დისტანციური 200, 384.  
 385.  
 კონტაქტური 209. 385.  
 პროგრესული 203, 344.  
 რეგრესული 200, 203, 344,  
 345  
 დისიმილაციური გამკლავება 227, 348,  
 349. 385, 387 იხ. გამკლავება დისი-  
 მილაციური.  
 დისიმილაციური გამკლავება დისტანციუ-  
 რი 384.  
 დისიმილაციური გამკლავება თანმიმ-  
 დევრობითი რეგრესული 383.  
 დისიმილაციური გამკლავება კონტაქ-  
 ტური პროგრესული 383.  
 დისიმილაციური გამკლავება ხშულთა  
 204. 378, 381, 382. 383, 384, 385.  
 დისიმილაციური დაკარგვა ბგერისა 20,  
 348.  
 დისიმილირებული 200.  
 დისლალია 405, 409.  
 დისლალიკი 405.  
 დისლალიური დარღვევები 411.

დისტიქტური დაპირისპირება 264.  
 დისტანციური მეზობლობა 96.  
 " ფონეტიკური მოვლენა 347.  
 დისტიქტური მნიშვნელობა 177.  
 " ფუნქცია 275.  
 " ძალა 266.  
 დისტიქტურობა 5.  
 დისპარმონიული ტონი 53.  
 დიფერენციაცია 3აბ, 357.  
 " სემანტიკური 124.  
 დიფთონგი 98, 102, 103, 104.  
 " დამაეალი 103, 104.  
 " არანამდვილი 104.  
 " აღმაეალი 103.  
 დიორილანდური 216, 2ა2.  
 დორსალნი 375, 376.  
 დორსალური თანხ. 34, 41, იხ. თანხმოვანი  
 დორსალური.  
 დორსალურობა 177.

ე

ებრაული 318.  
 ელიდირებული ხმოვანი 2ა5.  
 ელიხია 235.  
 ემოციური წარმოთქმა 28ა.  
 ენა 12, 20, 90.  
 ენაბლუ 405.  
 ენაბლუობა 393, 404, 405, 409, 417, იხ.  
 ლოგონევიროზი.  
 ენადაბმული 405.  
 ენადაბმულობა 405, 417.  
 ენათმეცნიერება ბ, 10, 184.  
 ენაკბილისმიერი 12, 19ა, 196.  
 ენაუნისმიერი 284.  
 ენამოშლილი 405.  
 ენამოშლილობა 111, 406, 419.  
 ენაშეყენებულობა 413.  
 ენაჩლუხგოა 311, 404, 405.  
 ეხთეხისი 235.  
 ენია გვერდითი კიდებები 21.  
 " ხლოგი 21, 83, 84.  
 ენისმიერი 284.  
 ენის ტანი 21.  
 " ძირი 21, 83.  
 ენიასირისმიერი 89, 284.  
 ენია წვერი 65, 83, 184.  
 " წვეტი 21.  
 ენკლიტიკა 138.

ეპენტეხისი 235.  
 ეპენტეხისური მოვლენა 235.  
 ეპითეხისი 235.  
 ერთეამიერი წარმოთქმა 108.  
 ესპანური 83.  
 "ეფრობა" 152, 198.  
 ექსკურსია 28.  
 ექსპირაცია 24, 25, 78.  
 ექსპლოზია 29, 85.

ვ

ვალიური ენა 42.  
 ვარიანტი 275.  
 ვარიაცია 275.  
 ველარიზაცია 110, 114, 115, 177, 185,  
 197, 318.  
 " კოარტიკულაციური 116.  
 ველარები 308.  
 ველარიზება 115.  
 ველარიზების საფუძველი 115.  
 ველარული თანამოვანი 37, 114.  
 " ხმოვანი 114.  
 ველარულობის ანტიკვირება 115.  
 ვერტიკალური სუნთქვა 26.  
 ვოკალიზაცია 340.  
 ვოკალიზმი 72, 73, 123.  
 " ისტორიული 137.  
 " სამიმოენიაიი 73.  
 " ქართული 89.  
 ვიბრანტი 39, 40, 51, 92, 262.  
 " ბილაბიალური 42.  
 " წველილაგისმიერი 42.  
 ვიბრირება 331.

ზ

ზანური 80, 136, 238, 312, 319, 347,  
 348.  
 ზედაკბილები 83, 84.  
 ზესადგამი მილი 22, 52, 79, 160, 325.  
 ზრდადი ხანგრძლიობა 282.

თ

თანაბგეობა 53.  
 თანამახვილი 132, 177.  
 თანატონი 53, 325.

თანხმობანი 55, 61, 63, 398, 389, 390, 391.  
 ალფოლარული 35, 40, 43, 194.  
 ალვეოლ-პალატალური 92.  
 აპიკალური 35 იხ. აპიკალური.  
 არშენახული 310.  
 ასპირობებული 79, 80.  
 ბაგისმიერი 61.  
 ბილაბიალური 34.  
 გაორმაგებული 100.  
 გაუკანანისმიერებული 43.  
 გენინირებული 100.  
 გრძელი 98, 100, 126.  
 დარბილებული 199.  
 დეხასპირირებული 217.  
 დენტალური 34, 43, იხ. დენტალური.  
 დორსალური 34, იხ. დორსალური.  
 ენაკბილისმიერი 43.  
 ენისწვერიისმიერი 35.  
 ველარიზებული 43.  
 ინტერდენტალური 35, იხ. ინტერდენტალური.  
 კბილთაშუა 35.  
 კბილისმიერი 34, 61.  
 ლაბიოდენტალური 34, 92, იხ. ლაბიოდენტალური.  
 ლაბიო-ვიბრანტიზებული 44.  
 ლატერალიზებული 44, 92.  
 „ლატერალური“ 43, 412.  
 მაგარი 328.  
 მაგარისასისმიერი 36,  
 მარტივი ძლიერი 178.  
 მკლერი 282.  
 „მტკიცე“ 341.  
 ნახალური 43, 282.  
 ნაპრალღვანი 39, 211.  
 ნუნისმიერი 35, 40, 43, 61.  
 პალატალ-ზებული 43, 67.  
 პალატალური 36, 111.  
 პალატო-ალვეოლარული 92.  
 რბილი 328, 361.  
 რბილსასისმიერი 36, 37.  
 რეკონსტრუირებული 310.  
 რთული 77, 84, 178.  
 „ლატერალური 223.  
 სისინა 90, 246.

თანხმობანი სონორი 204, 211.  
 ტუჩებისმიერი 34.  
 უკანანისმიერი 37, 44.  
 ფარინგალური 304.  
 ფაუკ-ლური 223.  
 ფონემები 284.  
 ფუნქციური 33.  
 ფუნქციერდამართვიანი 106..  
 ფუნქციერშემართვიანი 105..  
 ყელბული 19, 27, 33,  
 შინა 90, 246,  
 შუანისმიერი 35, 44, 61.  
 ჩქაჩიერი 246.  
 ცხვირისული 39, 44, 262.  
 ძლიერდამართვიანი 106.  
 ძლიერშემართვიანი 106.  
 წინანისმიერი 34.  
 წყვილბაგისმიერი 34.  
 ხშული 106, 211.  
 ჰეტეროგანული 107.  
 თანხმობანთა განდასება 374.  
 კლასიფიკაცია 76.  
 მეორე გადაწყვეა 252.  
 მონაცვლეობა 319.  
 პალატალიზაცია 199.  
 რედუქცია 211.  
 სისტემები ლუსულისა 159, 160, 161.  
 სისტემები ქართულსა 159, 160, 161.  
 სუნთქვიერი წარმოება 77.  
 უსუნთქველი წარმოება 27, 77.  
 თანხმობანთადაწვეა 216.  
 თანხმობანთმონაცვლეობა 207, 208, 292..  
 თლიფინი 414  
 თრთოლა ენისწვერის 18 .  
 თურქული 194, 197.

II

იაკუტური 197.  
 იარაღობრივი დაკვირვება 9.  
 იაფეტიდოლოგიური ანბანი 310.  
 იაფეტური ენები 376, 377, 379.  
 იდეოგრაფია 168.  
 იდეოგრაფია 168.  
 სუმერული 169.

იდეოგრაფიული წერა 166, 168.  
 იეროგლიფი 168.  
 იეროგლიფური წერა 168.  
 იმერული 96, 93, 99, 192, 193, 336, 395.  
 იმპლოზია 29, 85  
 იმპლოზიური 309.  
 ინგილოური 226, 251.  
 ინგლისური 44, 49, 64, 83, 85, 216, 248, 251, 252, 266, 275, 282, 293.  
 ინდიფერენტული მდგომარეობა 24, 47, 101, 102.  
 ინდოევროპული ენები 217.  
 ინდური ახალი 80.  
 „ ძველი 10, 36, 55, 80, 217, 235.  
 ინერვაცია 96, 320.  
 ინერცია 207.  
 ინსპირაცია 24, 25, 325.  
 ინტილექტუალური 128.  
 ინტენსიობა 50.  
 ინტერდენტალური 35, 84. იხ. თანხმობანი  
 ინტერდენტალური.  
 ინტონაცია 128, 140, 266.  
 „ აღმავალი 140.  
 „ დამავალი 140.  
 „ კიოხვითი 140.  
 „ მოლოდინის 139.  
 იოტი 103.  
 ირაციონალური 122.  
 ისლანდიური ძველი 342.  
 იტალიური 105, 370.  
 იქიპური კომპლექტი 108.

**კ**

კავკასიური ენები 8, 43, 73, 77, 80, 81 247, 267, 393.  
 „ კავკასიური ლატერალური თანხმობანი“ 225.  
 კაკუმინალური 36.  
 კაკუმინალუობა 177.  
 კამერტონი 49 376.  
 „კამერტონული წესი“ 327.  
 კბილები 12.  
 კბილბაჯისმიერნი 284.  
 კბილები: ხევა 20.  
 „ ქედა 65.  
 კბილისმიერი წარმოებანი 92.  
 კვალიტეტი 123, 282.  
 კვანტიტეტი 52, 138, 232.  
 კიპოგრაფა 57.

კიმოგრაფიული მრუდი 316.  
 კლასიფიკაცია ბგერათა 55.  
 „ თანხმობანთა 76.  
 „ თანხმობანთა ზოგადი 90.  
 „ ფიზიოლოგიური 88.  
 „ ქართული ენის თანხმობანთა 76, 87.  
 „ ქართული ენის ხმოვანთა 65, 72.  
 კოარტიკულაცია 94, 96, 109, 110, 113, 185, 207.  
 კოარტიკულაციური ველარიზაცია 116.  
 „ პალატალიზაცია 113.  
 „ პრაქესი 199.  
 კომბინატორული პირობები 310.  
 კონტაშინაცია 234.  
 კონტაქტური გავლენა 95.  
 „ მეზობლობა 96.  
 კონტრაქცია 235.  
 კონტრაპირება ხმოვანთა 235.  
 კორელაცია 261, 273, 274.  
 კორელაციური ოპოზიცია 261, 373, 274, 276, 231, 285.  
 კოსტალური სუნთქვა 26.  
 კრაზისი 235, 235.  
 კრეტული 342.

**ლ**

ლაბიალი 345.  
 ლაბიალიზაცია 34, 96, 115, 177, 180.  
 „ კოარტიკულაციური 116.  
 ლაბიალიზება 321.  
 ლაბიალიზებული 321, 393, 403.  
 ლაბიალური ხმოვანი 394.  
 ლაბიოდენტალური თანხ. 34.  
 ლაბიოველარიზაცია 116.  
 ლაბიოვიბრანტიზებული თანხ. 339.  
 ლაბიო-ფაუკალური თანხ. 224.  
 ლათინური 52, 123, 235, 339, 390.  
 ლათინური ანბანი 80, 180.  
 „ ხალხური 234, 248.  
 ლარინგალურები 308.  
 ლარინგალური ხშული 37, 39.  
 ლარინგსი 14.  
 ლატერალები 39, 42, 51, 262, 398, 405.  
 ლატერალი 393, 412, 413, 414.  
 ლატერალთა ფიზიოლოგია 414.  
 ლატეიური 232.  
 Lautwechsel 227.

**Lautverschiebung** 216.  
 ლუხტიური 285.  
 ლუნტესური 230.  
 ლოფხონი 235.  
 „ლოჯიდეაი“ 43.  
 ლიტავერა 132, 232.  
 ლიტერატურამდელი ქართული 86.  
 ლოგოთეოპაევტი 404.  
 ლოგოანერონი 393, 409.  
 ლოგოპათი 405  
 ლოგოპათია 404.  
 ლოგოპედი 404.  
 ლოგოპედია 11, 311, 404, 405, 406, 408, 416.  
 ლოგოპედი-ალნხრდელი 418.  
 ლოგოპედირი დაწესებულებები 419, 420.  
 „ „ მონაცემები 415.  
 ლუჩსბული წერა 169.

მ

შავარი სასა 65, 72, 83, 84.  
 მარაჟის თეორია 326.  
 მართლმეტყველება 171.  
 მართლწერა 171.  
 მარცვალი 127, 142, 143, 144, 360, 370.  
 მარცვალი დაბურული 147.  
 „ მახვილიანი 282.  
 „ მთავარმახვილიანი 132.  
 „ უმახვილო 282.  
 „ ფონეტიკური 142.  
 „ ღია 147.  
 მარცვლოვნობა ფონოლოგიური 147, 149.  
 მარცვალთვასაყაოი 145, 149, 150, 335.  
 მარცვალთმაბელი 129, 130  
 „ ალშავალი 130.  
 „ დამავალი 130.  
 „ ხუსიკალური 131.  
 მარცვლებად დაშლა 144.  
 მარცვლის მწვერვალი 145.  
 „ ნედგენილობა 145.  
 „ შემკმნელი ფაქტორი 145.  
 მარცვლობითი წერა 169  
 მარცვლოვანი ხმოვანი 177.  
 მარცვლოვნობა 147, 148.  
 „ შეუპირობებელი 147.  
 მბგერი იოჯები 14, 15, 18

მახვილი 12, 69, 127, 140, 141, 218, 266  
 „ 267, 300.  
 „ დინამიკური 51, 127.  
 „ ექსპირატორული 127.  
 „ თხრობითს შესიტყვებაში 138, 139.  
 „ ინტელექტუალური 128.  
 „ კითხვითი შესიტყვების 140.  
 „ ლინგვისტური 129, 198.  
 „ ლოგიკურ-ემოციური 128, 129.  
 „ მარედუციონებილი 137.  
 „ მეორეხარისხოვანი 132.  
 „ მთავარი 177.  
 „ მუსიკალური 50, 127, 130, 137.  
 „ საკუთრივ ლოგიკური 129.  
 „ საფრაზო 134.  
 „ სიძლიერის 127.  
 „ სუსტი დინამიკური 136, 214.  
 „ ფიქსირებული 127.  
 „ ტონური 127, 136, 138.  
 „ შესიტყვების 133.  
 „ ძახილის შესიტყვებაში 138.  
 „ ძველ ქართულში 136.  
 მახვილიანი მარცვალი 131.  
 მახვილის ტენდენცია 134.  
 მეგრული 38, 66, 72, 73, 88, 136, 207, 238, 298, 344, 350.  
 mediae 353, 354.  
 mutation 227.  
 მეტათეზისი 196, 204, 207, 347, 358, 359, 366.  
 „ დისტანციური 205, 207.  
 „ კონტაქტური 205, 207.  
 „ მანძილის 205.  
 „ მარტივი 205.  
 „ რეგრესული მიმართულების 206.  
 „ საურთიერთო 205.  
 „ ხმოვანთა 205.  
 მეტათონია 197.  
 მეტყველება ბგერითი 166.  
 „ გრაფიკული 167.  
 „ ხეირი 185.  
 „ კონტაქტური 166,  
 „ ცოცხალი 185.  
 მეტყველების იერი 191.  
 მეცხოული თანხმოვნები 39.  
 მეცხთერი 77, 78, 304, 366, 367, 369, 370, 374, 375.

მთიულური 125, 235, 378.  
 მთრთოლნი 39, 40.  
 მიმსგავსება 193,  
 მონგოლური 375.  
 მონოტიპური ასოები 90, 91,  
 მორგანის პარკუტი 18.  
 მორფოლოგიური პრინციპი 172, 173.  
 მოძრავმახვილიანობა 215.  
 მოხვეური 88, 251.  
 მელერი 6, 7, 56, 57, 58, 194, 374, 401.  
 მელერთა კომპლექსები 301.  
 მელერობა 32, 54, 181, 261.  
 მელერობა-სიყრღე 261.  
 „მელერობის ადგილი“ 331.  
 მელერობის უწყვეტილობა 100.  
 მელერობის ხარისხის დადგენის მეთოდი  
 5, 8, 3 0, 331, 332, 335.  
 „მსკდომები“ 38  
 მყოვარი თანხ. 39, 51.  
 მწვერვალი ბგეოსია 28.

6

ნახალები 37.  
 ნახალი 44, 51.  
 ნახალიზაცია 177.  
 ნახალობა 96, 181.  
 ნახალური ელფერი 90.  
 „ ტემბრი 70.  
 „ ხუკიანი 186.  
 ნაპრალი გასწვრივი 79, 82, 83, 84, 189.  
 „ მომრგვალებული 182.  
 „ ლარიხეძრ მომრგვალებული 82,  
 83.  
 „ ხოტილებშუა 19.  
 ნაპრალოვანი 51, 78, 291.  
 „ ალფეოლარული 83.  
 „ ინტერდენტალური 84.  
 „ კბილთაშუა 84.  
 „ მელერი 282.  
 „ ნუნებისმიერი 83.  
 „ შუაენისმიერი 179.  
 „ ხშული 282.  
 ნაპრალოვანთა სუსტი პოზიცია 299.  
 ნაპრალოვნობა 39, 77, 182.  
 „ნარნარა“ თანხმოვანი 43.  
 ნასესხები სიტყვები 362.  
 ნაქი 12, 20.  
 ნაქისმიერი 40.

ნაკვალაზხელი 138.  
 ნაწილაკები 138.  
 „ნახევარ-თანხმოვანი“ 44, 46.  
 ნახევარსიგრძე 177.  
 „ნახევარხმოვნები“ 61, 62, 63, 64, 88,  
 102, 211, 380, 388.  
 „ნახევარდბშული“ 84.  
 ნეიტრალიზაცია 261, 273, 274.  
 ნორვეგიული 132.  
 ნორმალიზაცია სალიტ. ენისა 171  
 ნუნები 20, 83.  
 ნუნისმიერი წარმოებანი 92

ო

ობერტონი 53.  
 ოთხეულბრივი სისტემა 77, 80, 81, 96.  
 ოკლუზია 123.  
 ოკლუზიური ელემენტი 212.  
 ორგანოები პასიური 12.  
 „ აქტიური 22.  
 ორგვერდითი 42.  
 ორენოვნობა 382.  
 ორთოგრაფია 143, 171, 172, 277.  
 „ რუსული 156.  
 ორთოგრაფიის აგების პრინციპები:  
 „ ისტორიული 172, 174.  
 „ სიმბოლური 172, 175.  
 „ ტრადიციული 172, 174.  
 „ ფონეტიკური 172, 173.  
 „ ფონოლოგიური 173  
 ორთოეპია 171.  
 ორმაგრხევა 50.  
 ორხმოვანი 103.  
 ოსური ენა 204, 216, 247, 361, 368,  
 370, 377, 380, 382, 384, 385.

პ

პალატალიზაცია 110, 111, 112, 113, 177,  
 185, 197, 263, 266, 318.  
 „ კოარტიკულაციური  
 114, 116.  
 პალატალიზება ბაგისმიერების 112.  
 „ თანხმოვანთა 99.  
 „ უკანაენისმიერების 112.  
 „ წინაენისმიერების 112.  
 „ ხმოვანთა 113.  
 პალატალიზებული 265.

..პალატოვრამა 38.  
 .პათოლოგიური შეთხვევები 416.  
 პარალელური ბგერათცვლილება 411.  
 პედაგოგიკა 404  
 პერიოდული რხევა 5ა.  
 პირისეული ენისპიეოი 400.  
   " ბაჯიამიერი 400.  
   " ეპანუნიაპაური 400.  
   " ენისძირისმიერი 400.  
   " თანხმოვანი 400.  
   " კბილბავიანიერი 400.  
   " უკანაენისმიერი 400.  
   " წინაენისმიერი 400.  
   " წვეილბავისმიერი 400.  
   " ხორხისმიერი 400.  
 პირიკიჯიპეული ენისძირისმიერი 400.  
   " ფაოიზგალური 400,  
   " ხახისეული 400.  
   " ხორხისმიერი 400.  
 პირის ღრუ 20, 89, 32c.  
 პიქტოგრაფია 167.  
 პიქტოგრაფიული წერა 167.  
 პოზიციური განსხვავებულობა 282.  
 პოლიფონია 168, 159.  
 პოლონური ენა 70, 240.  
 პოსტელარული 309, 315.  
 .პრერექტივი 81, 350  
 პრერექტივი თარაინკალური 86.  
 პროკლიტიკა 138.

შ

შურა სახმო სიძებისა 60.

ს

საკვარობა 194  
   " შეოეული 39.  
 .საოდნობა 52.  
 საოდნობითი განსხვავება 282.  
 რბილი სასა 20, 69, 83.  
 რბილნი 401.  
 რედუქცია 137, 159.  
 რედუქცია ფონეტიკური 244.  
 რედუქციონებული ხმოვანი 177, 188, 189.  
 რეზონანსი 52, 53.  
 რეზონატორი 52, 53, 116, 323, 326, 328,  
 389.  
 რეზონანსის თეორია 325, 326.  
 .რეკურსია 23.

რენტგენოგრაფიული კვლევა 372.  
 რესპირაცია 24.  
 რეტროფლექსური 92.  
 რომანული 59, 106, 24E.  
 როტაციონისებრი ფორმა 351.  
 რუსული ენა 36, 38, 39, 40, 42, 47, 48,  
 64, 66, 194, 22, 232, 240, 243, 251,  
 252, 266, 27, 278, 279, 280, 282, 293,  
 362, 363, 364, 365, 362, 405, 406.  
 რუსული ფონეტიკური სისტემა 188, 190.  
   " ძველი 190.  
 რწყმული შეტყველება 144, 164.  
 რხევის პერიოდი 50.

ს

ხაარტიკულაცია ბ.ზისი 24, 47, 48, 187,  
 166, 247, 253.  
   " ორგანოები 78, 369,  
 371.  
 საერთაშორისო ანბანი 66.  
   " ფონეტიკური ასოციაცია  
 73, 90.  
   " ფონეტიკური ასოციაცია-  
 ციის ნიშნები 73.  
 საზიარო არტიკულაციის წესი 100, 101.  
 საკლასიფიკაციო საფუძვლოები 68.  
 სამგვარი mediae 362.  
 სამეული დეფექტური 86, 310.  
   " ლაბიოვიბრანტიზებული 42.  
   " მეექვსე 86, 305, 308.  
   " მეოთხე 86,  
   " მეორე 85  
   " მესამე 86  
   " სრული 61.  
 სამეულები 374, 402.  
   " ხშულთა 302.  
 სამეულებრივი სისტემა 77, 80, 81.  
 სამეტყველო ბგერა 3, 23, 164, 165, 171,  
 187, 252.  
 სამეტყველო წარმოთქმა 249.  
   " ჰაერნაკადი 13.  
 სამ-სამწვერიანი თანამეფარდებები 261.  
 სამ-სამწვეროვნები 285.  
 სანდჰი 236.  
   " გარეგანი 236.  
   " შინაგანი 236.  
 სასა 12, 20.  
 სასა-ენის რკალი 22.



- სასა-ხახის რკალი 22.  
 სასენი ნინები 138.  
 სასიმღერო ხმა 324.  
 სასუნთქი აპარატი 13  
 „ მილი 13.  
 სატემბრო სიმალე 50, 57, 329.  
 საფონაციო ორგანოები 324.  
 „საფრაზო მახეილი“ 134.  
 „საშუალი“ რიგის თანხმონები 398, 399,  
 საშუალნი 40..  
 „საშუალო მელეობა“ 60  
 საწარმოთქმო ადგილი 73.  
 საწარმოთქმო დაბრკოლებათა ადგილე-  
 ბი 89  
 „ ორგანოები 12.  
 სახმო სიმები 12, 14, 15, 19, 79, 90, 354,  
 371  
 სახმო სიმების დაკეტილობა 77.  
 სემანტიკური ფაქტორი 254, 336, 349.  
 სემიტები 170.  
 სემიტური ენები 170, 317, 322.  
 სერბიული 240.  
 სვანური ენა 51, 66, 72, 73, 80, 81, 94,  
 215.  
 სვარაბაქტი 235, 236.  
 სიბილანტი 179, 180.  
 სიგმატიზმი 413  
 „ ბაგეკბილისმიერი 407.  
 გვერდითი 407.  
 „ ენაკბილხშული 407.  
 „ თიფთიფა 40 .  
 „ კბილთაშუა 407.  
 „ ნახალური 407.  
 „ სიფსიფა 407  
 „ ცხვირისეფულა 407.  
 სიგმატიკი 407.  
 სიგნიფიკაციური ფუნქცია 890, 391.  
 სიკრძე ბგეოათა 177.  
 სილაბური წერა 169.  
 სილბო 189.  
 სიმალე ბგეოათა 12, 49.  
 სინკვეთრის ოდენობა 371.  
 სიმოკლე ბგეოათა 177.  
 სინერგისი 236.  
 სინთეტიკური სისტემა 180.  
 სინკოპე 236.  
 სინჰარმონიზმი 197, 198,  
 სისინა 374.  
 სიტუაციური ფაქტორი 255.  
 სიტყვა 127, 260.  
 სიტყვათგანმასხვევებლობითი ფუნქცია  
 263, 264, 266.  
 სიტყვათმახვილი 129, 130, 131, 132, 215.  
 „ დინამიკური 214.  
 „ მთავარი 133.  
 „ მოძრავი 133.  
 „ მუდმივი 133.  
 „ უძრავი 133.  
 „ ქართულში 135.  
 სიტყვიერი სიყრუე 409.  
 „სიფსიფა“ ბგეოები 83, 84.  
 სიფსიფი 418.  
 სიყრუე 177.  
 სიძლიერე 12, 48, 50, 57.  
 სკანდინავიის ენები 252.  
 „სკდომა“ 38.  
 სლავეური 59, 105, 210, 251, 252, 279.  
 „ ძველი 232, 240.  
 სომხური 77, 216, 247.  
 სონ. ნ. ი 61.  
 სონანტობა 177  
 სონორები 43: 61, 83.  
 სონორობა 60, 61, 62.  
 „სონორობის“ თეორია 145, 546.  
 სონორული 42, 61, 148, 193, 202, 402.  
 სონორული ქვერაიონი 319.  
 სპირანტი 39, 73, 79, 83, 85, 195, 385.  
 სპირანტები 351.  
 „ აბრუქტიეფული 306.  
 „ ლატერალური 43.  
 „ ნუნისმიერი რბილი 398.  
 „ შიშინასებრ რბილი 398.  
 სისინა 83.  
 „ ფარინგალური ლაბიალიზე-  
 ბული ყრუ 87.  
 სპირანტები „შეკუმშულხახისეფული“ 399.  
 „ შიშინა 83.  
 სპირინტიხაცია 340.  
 სპირანტოიდები 306, 316.  
 სპირანტოიდი 291.  
 სპირანტოიდული 86.  
 სპირანტული ელემენტი 212.  
 სპირანტულობა 77, 82.  
 სპონტანური ცვლილება 188.  
 სტატიკური წარმოება 64.  
 სუბსტიტუცია 227, 228.  
 „სუფთა“ ბგეოა 14.  
 სუპერაცია 207, 340.

სუპერაცია აქკესიური კომპლექსის 339, 343, 349, 351.  
 სუპერაცია როტაციზმისებრი 352.  
 სუპერაციისადმი მიდრეკილება 343, 450,  
 სუპერაციის მეშვიდე ფორმა 349, 350.  
 „ ფორმები 349, 350, 351, 352.  
 სუპერირებული 341.  
 სურდოპედაგოგია 11, 404.  
 სუსტი პოზიცია 273, 283.  
 სუფიქსი 366.

ტ

ტაფანტური დიალექტი 373. .  
 ტემბრი 12, 48, 52, 53, 323.  
 „ თანხმოვანთა 328.  
 „ ხმოვანთა 325.  
 Tenues 353, 354.  
 ტოლფუნქციანი სახესხვაობა 275, 276,  
 281, 285.  
 ტონი 48, 49, 53, 323.  
 „ მუსიკალური 49.  
 „ პარციალური 52, 53.  
 „ რთული 53, 325.  
 ! „ რეზონატორული 327.  
 „ საკუთარი 52.  
 „ სატემბრო 115, 327.  
 „ ძირითადი 53.  
 ტონიერი ბგერა 49, 54, 323.  
 ტონის ამალღება 139.  
 „ მოდულაცია 139.  
 ტრანსკრიფცია 175.  
 „ მეცნიერულ-ფონეტიკური 157.  
 „ ფონეტიკური 157, 176, 177.  
 „ ფონოლოგიური 176, 177.  
 ტრანსლიტერაცია 175, 176.  
 ტრიფთონგი 104.  
 ტუჩები 12, 20, 70, 75.  
 ტუჩისფული 70.

უ

უარყოფითიშვეულობიანი დაპირისპი-  
 რება 274.  
 უასო ბგერები 158.  
 „ უბგერობა“ 54, 100.  
 უბგერო მომენტი 123.  
 უბიზური 43.  
 უღური ვნა 318.

უეულარები 37, 40, 93, 315, 320.  
 უკანაენა 21, 71, 83.  
 უკანაენისმიერნი 31, 178, 195, 196, 228,  
 284, 306, 345, 375, 399.  
 უკანაენისმიერი ნაპარალოვანი 186.  
 უკანაენისმიერობა 6, 261.  
 უკრაინული 93, 251.  
 უმარცვლო ხმოვ-ნი 177.  
 უმახვილო მდგომარეობა 177.  
 უმლაუტი 192, 197, 198, 199.  
 უმლაუტირება 113.  
 უმლაუტირებული ხმოვანი 198.  
 უნგრული ენა 197. .  
 უნილატერალური 42.  
 ურალურ-ალთაური ენები 194, 197,  
 უსუნთქველი ზგერათწარმოება 77.

ფ

ფარინგალები 27, 93, 375, 399.  
 ფარინგალიზაცია 177.  
 ფარინგალიზირება 318.  
 ფარინგალური აბრუპტივი 86.  
 „ თანხმოვნები 86.  
 „ ბეღერი 180, 304, 305, 311.  
 „ ნაპარალოვანი 86.  
 „ ფშინვიერი ხშული 86.  
 „ ხშული 86, 312.  
 ფარინგალურობა 77.  
 ფარინგსი 79, 89, 309.  
 ფარინგსის კეღელი 83  
 ფარისებრი ხრტილი 14, 15.  
 ფაუკალური 224  
 ფიზიოლოგიური (იხ. კლასიფიკაცია) 76.  
 ფიზიოლოგიური ფაქტორი 347.  
 ფილტვები 12, 13.  
 ფინური ენა 197.  
 ფონაცია 25.  
 ფონემა 4, 5, 26, 78, 83, 97, 171, 177,  
 187, 188, 189, 192, 225, 259, 261.  
 363, 264, 266, 267, 268, 269, 270, 311.  
 ფონემათდაპირისპირება 259, 265.  
 ფონემათპოზიცია 259.  
 ფონემატური 4.  
 ფონემის დარბილება 280.  
 „ სახესხვაობა 370, 271, 273.  
 „ სუსტი პოზიცია 271.  
 „ ფუნქცია 277.  
 „ ძლიერი პოზიცია 271.

ფონემოლოგია 259.

ფონემური 4.

ფონეტიკა 3, 4, 5, 10, 11, 267, 268. 269, 304, 406.

„ აღწერილობითი 8, 269, 405 408.

„ ექსპერიმენტული 9, 267, 269.

„ ზოგადი 6, 7, 8, 267.

„ ისტორიული 8, 9, 269, 409.

„ კერძო 5, 6, 7, 8, 406

„ ფუნქციონალური 259, 267.

ფონეტიკური ანალიზი 169.

„ ანატომია-ფიზიოლოგია 13.

„ ანბანი 355.

„ აკუსტიკა 12, 48.

„ ბოლოკიდური 221.

„ თავკიდური 221.

„ კანონი 237, 241, 242, 245, 246, 250, 251.

„ კანონზომიერება 360.

„ ლიტერატურა 77.

„ მთლიანობა სიტყვისა 131. მოვლენები 219, 229.

„ პირობები 121,

„ პოზიცია 208, 273, 274, 275.

„ საზღვარი 220.

„ სისტემა 184, 188, 189, 191.

„ ცვალებადობა 184.

„ ცვლილებები 219, 227, 283.

„ წერა 180.

ფონოლოგია 7, 11, 259, 267, 268, 269,

„ საბჭოური 268.

ფონოლოგიური ბგერათარაოდნობა 125.

„ ღირებულება 263, 264, 266.

„ ხმოვანთარაოდნობა 126.

ფონო-პოზო-ტოპომეტრია 330, 331.

ფორმანტების თეორია 325, 326.

ფრანგული ენა 37, 41, 47, 48, 52, 64,

65, 70, 73, 74, 83, 85, 94, 97, 248,

266, 282, 293, 327, 333, 370.

ფრანგული ძველი 234, 339.

„ წყვილბაგის სპირანტი 82

ფრიკატივი 39, 92.

„ ლატერალური 92.

ფსიქოლოგიური ფაქტორი 347.

ფუნქციური ფაქტორი 347

ფშაური 88, 251.

ფშენვა 77, 78, 79, 342.

ფსიქოლოგიური 77, 78, 401.

ფშენვიერობა 180, 366.

ძ

ძამიტური ენები 317.

ქართველური ენები 80, 81, 311, 313-378, 393.

ქართული ენა 13, 28, 65, 65, 73, 97, 193, 194, 275, 280, 310, 335, 355, 366, 377, 378, 406.

ქართული სალიტერატურო 39, 66, 79, 80.

„ საშუალო 251.

„ ძველი 3, 6, 8, 9, 80, 191.

215, 249, 250, 251.

ქვედა ტური 83.

„ ყბა 12, 20.

ქვემო-ადილური ენა 81.

ქიზიყური 251.

ღ

ღალანი 54, 57.

ღიაობა 44.

ღრმადუკანენისპიკერი 93. 309, 375.

ყ

ყაბარდოული ენა 184.

ყელასმიერი 308

„ ხშულნი 37.

„ყელხშვა“ 77, 181.

„ყელხშული“ 8, 77, 78.

„ სპირანტი 398

ყია 19, 314.

ყრუ 32, 56, 57, 58, 194, 374.

„ mediae 353, 355, 356.

„ ფშენვიერი 80. 374.

„ ჩქამიერი 194.

„ყრუ“ ხმოვანი 239.

ყრუ ხშული 79.

ყ

შათსულური დიალექტები 81.

შედარებითი მეთოდი 9, 238.

შეკუმშულ ხორხისმიერი 319.

შემართვა 28, 107.

შემართვა-დამართვის სახეები 104.

შემართვა მაჯარი 106.

„ ნული 107.

„ ძლიერი 106.

შემარტებლობითი თეორია 146.

'შენაცვლება' mutation 227.  
შესიტყვება 127.  
შეწონილი ბგერა 26.  
შვაბურა (დილაქტი) 252.  
შიშინა 374.  
შორისდებულები 105.  
შუაენისმიერი 319.

### ჩ

ჩეხური 42.  
ჩინური 132, 375.  
ჩიფჩიფი 418.  
ჩურჩული 177.  
ჩქამი 48, 49, 78, 106, 323.  
ჩქამიერები 49, 54, 359, 401.  
ჩქამიერი თანხმოვანი 202.  
„ ქვერათონი 319.

### ც

ცალგვერდითი 42.  
ცალეული ლარინგალური 92.  
„ მეგრულის 93  
ცალეულები 374, 402, 403  
„ რუსულ თანხმოვანთა 154.  
ცალრხევა 50.  
ცერებრალური 36, 92.  
ციცხვისებრი ხრტილები 14, 15.  
ცხვირისეული 195, 319.  
„ ტემბრი 90.  
ცხვირის ღრუ 22, 69, 89.  
ცხვირ-ხახის ღრუ 22.  
ცხრილი ქართულ თანხმოვანთა 87.  
„ თანხმოვანთა ზოგადი კლასიფი-  
კაციისა 91.

### ძ

ძლიერი პოზიცია 273, 278, 279.  
„ ნაპარალოვანთა 288.  
„ ჩქამიერების 286.  
„ ხშულთა 387.

### წ

წარმოების ადგილი 31, 32, 200, 261.  
„ რაგვარობა 31, 32.  
წარმოთქმა-გაგონება 10.  
წარმოთქმა-მეტყველება 390.  
წარმოთქმის ელემენტები 12,

წარმოთქმის პროცესი 185.  
„ ტემპი 121.  
წახურული ენა 285.  
წერთი მეტყველება 10.  
წერილმეტყველება 166.  
წინაენა 21, 71, 72.  
წინაენისმიერი 178, 228, 284, 319, 375.  
წინაენისმიერობა 101, 216.  
წლაპუნა ბგერები 26, 393.  
„წმინდა მეყსეული“ 315.  
წყვილბაგისმიერნი 86, 284.  
წყვილეულები 82, 154, 280, 374, 402,  
403.  
წყვილეული დეფექტური 78, 82.  
„ ნაკლოვანი 82.  
„ ნაპარალოვანთა 302.  
„ მეორე 85.  
„ მესამე 85.  
„ პირველი 84.  
წყვილეულებრივი სისტემა 77, 80.

### ჭ

ჭანური 40, 136, 347.



ხანგრძლიობა 12, 48, 51, 57.  
ხანგრძლიობის მრავალფეროვნება 122.  
ხახა 21, 319.  
ხახისეული 319.  
ხახის ღრუ 21.  
ხევსურული კილო 48, 88, 193, 251, 378.  
ხელოვნური სასა 37.  
ხმა 49.  
ხმაძლიერი 56.  
ხმოვანი 44, 46, 51, 55, 62, 63, 388,  
389, 390, 291.  
„ არალაბიალიზებული 74, 75.  
„ გრძელი 51, 69, 98, 100, 112.  
„ დაბალი აწეულობის 68, 69, 74,  
265.  
დახურული 67.  
ველარული 67.  
ვიწრო 67, 72, 103, 123.  
ზეგრძელი 122.  
იორაციონალური 122.  
ლაბიალიზებული 61, 70, 71, 73,  
74, 75, 76, 265, 281  
„ მაგარი 65, 67.

- ხმოვანი მაგარშემართვიანი 106.
- „ -მარედუცირებელი“ 216.
  - „ მალალი აწეულობის 65.
  - „ მოკლე 51, 122.
  - „ ნახალიზებული 69, 70.
  - „ ნახევრადგრძელი 122.
  - „ ნელშემართვიანი 107.
  - „ ორალური 69, 70.
  - „ პალატალური 65, 67.
  - „ პირისეული 69.
  - „ რბილი 67.
  - „ რედუცირებული 177, 208, 239.
  - „ რთული 40.
  - „ საშუალო აწეულობის 65, 67, 74, 213, 265.
  - „ სუსტი 64, 72.
  - „ სრული 190.
  - „ უკანა რიგის 65, 66, 67, 71, 72, 76.
  - „ ფართო 68, 72, 103.
  - „ ფონემები 281.
  - „ ფშინვიერდამართვიანი 105.
  - „ ფშინვიერშემართვიანი 105, 221.
  - „ „ყრუ“ 239.
  - „ შუა რიგის 65, 67, 71, 74.
  - „ ღია 68.
  - „ ცხვირისეული 240.
  - „ ცხვირისმიერი 69.
  - „ ძლიერდამართვიანი 106.
  - „ ძლიერშემართვიანი 222.
  - „ წინა რიგის 65, 66, 71, 72, 75, 265.
- ხმოვანთა აწეულობა 71.
- „ დაგრძელება 343.
  - „ დაუკიმველობა 177.
  - „ დაკიმველობა 66, 68, 177.
  - „ დაჯგუფება 122.
- „ხმოვანთა დიდი გადაწევა“ 251.
- „ კლასიფიკაცია 65.
  - „ ლაბიალიზაცია 65.
  - „ მოდუნებული წარმოთქმა 69.
  - „ ნახალიზაცია 65.
  - „ რედუქცია 212.
  - „ რეზონატორული ტონის სი-  
მალლე 72.
  - „ სამკუთხედი 71, 72.
- ხმოვანთასიმოილაკია 197.
- ხმოვანთა სისტემა 72, 162.
- „ ძირითადი ტიპები 74.
  - „ ურთიერთგავლენა 283.
- ხმოვანთა ხანგრძლიობა 124.
- „ ჭარმონია 197.
- ხმოვანთდაკარგვა 214.
- ხმოვანთდასუსტება 214.
- ხმოვანთმონაცვლეობა 207, 208, 211, 292, 298.
- ხმოვანთმონაცვლეობა ისტორიულ-სონ-  
ტანური 210.
- ხმოვანთრედუქცია 214, 215, 250.
- ხმოვანთშეერთება 104.
- ხმოვნის აწეულობის საფეხური 265.
- „ გაფართოება-დავიწროება 198.
  - „ დაგრძელება 124.
  - „ მაგარი შემართვა 78.
  - „ მალალი აწეულობა 265.
  - „ სივიწროვე 31.
  - „ სინკოპირება 236.
  - „ სიფართოვე 123, 177.
  - „ ღიაობა 182.
  - „ წინ წამოწეულობა 177.
- ზორხი 12, 14, 89, 319, 323.
- „ზორხზედა ექსპირაცია“ 78.
- „ზორხზედა ექსპირაციული“ 27.
- ზორხისთავი 15.
- ზორხისმიერი 284, 308.
- ზორხსარქველი 14, 16, 18.
- ზოფური კილოკავი 307.
- ზრტილები ციცივისგბრი 12.
- ზუნძ-ანდიელები 413.
- ზუნძური 42, 92, 398.
- ზშეა 29, 79, 182.
- ზშეა-სკდომა 38, 78.
- „ზშეალები“ 38, 316, 374, 384, 401.
- ზშული ასპირირებული 81.
- „ გარმაგებული 101.
  - „ გრძელი 100.
  - „ თანხმოვანი 77, 78.
  - „ მარტივი 84, 89.
  - „ მელერნი 285.
  - „ მკვეთრი 195, 361.
  - „ ოდნეფშინვიერი ყრუ 81.
  - „ პალატალური 93.
  - „ პოსტველარული 309-  
რთული 39, 89.
  - „ სრულფშინვიერი ყრუ 81.
  - „ ფარინგალი 305.
  - „ ფარინგალური 92, 376.
  - „ „ „ ფშინვიერი 186.
- ზშულ-მსკდომი 38, 51.

აბულ-ნაპრალაკახი ს.  
ხელოება 6, 38, 89.  
" ნაპრალოცნობა 39.

ჯ

„ჯანების ოცორია“ 145.

ჰ

ჰაერნაკადი 83.

ჰიატუსი 236.

ჰამზათი (არაბული) 106.

„ჰამზათიანები“ 374, 375.

ჰაბლოლოგია 201.

ჰარმონიული კომპლექსები 108, 109,  
302.

„ ტონი 53.

„ ხეული 301, 303.

„ ჯგუფები 108, 301.

ჰარმონიულ ხეულთა სისტემები 310.

ჰერცოგის თეორია 370.

ჰეტეროგენური 46, 47, 85, 200.

ჰეტერორგანული 46, 200.

ჰიპოფარინგსი 314.

ჰომოგენური 46.

ჰომორგანული 46, 58, 80, 85.

ჰომოფონია 168, 166.

## ბ. პირველი სიძიებელი

ბბაევ-ი ვ. ი., Аббаев 254, 380.

აბხანიძე თ. 344.

Аванесов Р. И. 268, 275, 280.

ანანიევ-ი ბ. გ. 409.

ასამბაძე ნ. 409, 416.

ახვლედიანი გ. ს. 394, 409.

ბახტაძე მ.

ბერგშტესერ-ი გ. 317, 320.

ბერნშტეინ-ი (Бернштейн С. И.) 268.

ბერძენიშვილი ნ. ა. 397.

ბოდუენ-დე-კურტენე 68—267.

ბრიუნო ფ. 539.

ბაფრინდაშვილი შ. 413, 415.

Гюнозов А. Н. 268.

გინეკენ-ი ვან 392, 413.

Гонимашвили Т. 189.

გორგაძე ს. 353.

გოციროძე ა. 311, 409.

გრამონ-ი მ. 339.

გროებერ-ი გ. 339.

გუდავა ტ. 413.

გუცმან-ი ჰ. 180, 369.

Davis E. W. 339, 340.

დესნიცკაია ა. ვ. (Десницкая А. В.) 391.

დირ-ი 318.

ენგელს-ი ფრ. 12, 389.

ვახუშტი 395.

ვენდტ ი ვ. 194.

ჯელმერ-ი ე. ვ. 136, 309, 333.

Земский А. М. 142.

ბიერს-ი 199.

Зиндер Л. Р. 269.

მოფურია ვ. ტ. 215, 216, 298, 299,  
337, 351, 378, 383, 385, 387.

იაკობსონ 268.

იაკოვლევი-ი ნ., Яковлев Н. Ф. 27, 78, 269

იმნაიშვილი დ. 413.

ინგოროცვა პ. 385.

იუშმანოვი-ი ნ. ვ. 316, 317, 318, 319,  
320, 321, 322.

კაიშაური ა. 315, 409, 416.

Коск А. 342.

კრუშევსკი-ი 267, 268.

Крючков С. Е. 142.

Кузнецов П. С. 268.

ლენინ-ი 242.

ლომთათიძე ქ. 373, 398, 413, 415.

ლომთაძე ე. 413, 415.

Март Н. И. 135, 136, 166, 167, 178.  
179, 180, 181, 268, 301, 308, 310.  
371, 374, 379, 385.

მარქს-ი კ. 389.

მატუსევიჩი-ი მ. ი. Матусевич М. И  
72, 177.

მაკამეტოვი-ი ალ. 413.

მეფე 388.

მეფერი-ი ე. 370.

მეფერი-ლუბკე ვ. 339, 341.

მილლერი-ი ვს., Миллер Вс. 368, 569.

ნიუროპ-ი კ. 339.

დესპერსენ-ი თ. 180, 183, 245, 361, 389.

პანკონჩელი-კალცია 331.

პოლივანოვი-ი ე. 374.

Жирков Л. И. 268.

Жирмунский В. М. 254.

ჯენტი ს. 86, 88, 105, 124, 125, 137,  
223, 303, 305, 313, 315, 316, 384, 385,  
387, 394, 409, 412, 416.

რაუ თ., Рау Ф. А. 404, 409.

Реформатский А. А. 268.

როგავა გ. 81, 86, 305, 312, 313, 349.  
350, 351, 352, 412.

როზაპელ-ი 369.

სეპირ-ი 248.

Светласв М. В. 142.

Сидоров В. Н. 268, 275, 280.

სივერს-ი იხ, ზივერსი.

სიკორსკი-ი 418.

Соколова В. С. 268.

სტარტევანტი-ი ა. მ. 342, 343, 344.

Сушцова И. П. 268.

ტამსონ-ი 329, 369.

ტრუბეცკოი ნ. 268, 269.

უვულაჟა ტ. 405.

უხნაძე დ. 344.

უსლარი-ი 267.

უანჩიძე ელ. 413.

ფოგტი-ი (ფოგტი) ჰ. 136.

ქაროველს-ი 392.

ქებაძე თ. 409.

ქიფშიძე ი 344, 345.

უანიძე აკ. 142, 191, 203, 216, 310, 337,  
338, 339, 345.

უიშმარიოვი-ი ვ. (Шимарён В. Ф.) 339,  
340, 341.

უზხარდტი-ი ჰ. 363.

Щерба Л. В. 69, 72, 79, 134, 143, 150,  
268, 327, 409.

ჩარგეიშვილი არჩ. 86, 303, 305, 309,  
313, 315, 316, 369, 372, 373, 412, 419.

ჩიქობავა არნ. 10, 40, 125, 136, 137,  
215, 216, 278, 242, 292, 294, 296, 299,  
300, 338, 339, 845, 347, 349, 351.

ჩხეიძე ნ. 409.

ცაგარელი ალ. 363 364.

ცერცვაძე ი. 43, 44, 412, 413, 415.

ძიძიჯური შ. 283.

ზარაძე ე. კ. 397.

ზუნდაძე ს. 353.

ჰელმპოლცი-ი 325.

ჰერმანი-ი 325.

Heusler A. 342.